


საქართველოს
წიგნობა



„ნაკადული“, თბილისი, 1972

9(3)
9X551.4](309)(0:8)
ზ 173

7-6-3

რუსულიდან თარგმნა
რევაზ თვარაძე

პირველი გამოსცემა

მთარგმნელისაგან

ლუდვიკ ზაიდლერის „ატლანტიკისთან“ წიგნს ზედმეტი განმარტებები არ ესაჭიროება, ავტორი თვითონვე მშვენივრად განმარტავს, რა არის მის წიგნში სათუფო და რა — უცილობელი. ვითომც მეცნიერული პრეტენზიის მქონე, სინამდვილეში კი გულის გამაწვრილებელი, მთქნარების მომგვრელი წინასიტყვა თუ ბოლოსიტყვა მკითხველს გაუნახვერებდა იმ სიხარულს, რაც ამ მაღლიანი ნაშრომის გაცნობაზე უნდა მოგვევაროს. ორიოდ სიტყვის წამძლეარება იხლოდ იმიტომ გადავწყვიტე, რომ ქართულ ენაზე პირველად გამოდის წიგნი ატლანტიკის შესახებ და მკითხველმა ზოგი რამ წინასწარ უნდა მიინიშნოს სწორედ ქართულ თარგმანთან დაკავშირებით.

ატლანტის ოკეანეში ოდესღაც მდებარე პიოტეტური კუნძულის თუ მატერიკის სახელწოდება ბერძნულია და ამ ენიდანვე გავრცელდა ეს სახელწოდება მთელ მსოფლიოში. ოღონდ გავრცელდა ორი ფორმით: „ატლანტისი“ და „ატლანტიდა“. ამათგან პირველადია „ატლანტისი“ და სწორედ ამ ფორმას ხმარობს დღესდღეობით კულტურული კაცობრიობის მეტი ნაწილი. ხოლო რაკი ქართულ ენაზე ამ სახელწოდების ხმარების ტრადიცია ფაქტიურად ჯერაც არ დამკვიდრებულა და არ გამჯდარა ხალხში, მოქალაქეობრივ უფლებას ის ფორმა მოიპოვებს, რომელსაც ამთავითვე შეეჩვევა მკითხველი. ასეთ ვითარებაში უჭკველად „ატლანტისი“ უნდა ვამჯობინოთ, მით უმეტეს, რომ ამ ფორმაში გამოყენებული სუფიქსი „-ის“ ქართველი კაცისთვის ესოდენ ჩვეული და მშობლიურია (იმის თაობაზე თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ, ზოგიერთი ქართველი და არაქართველი მეცნიერის აზრით, ბერძნულ ტოპონიმებში არსებული სუფიქსი „-ის“ მთლად ბერძნული არ უნდა იყოს და ამ მხრივ ჩვენ რაღაც რაღაც პრეტენზიები შეგვიძლია გვექონდეს თურმე). ამასთან დაკავშირებით ისლა დამრჩენია, სინანული გამოვთქვა იმის გამო, რომ აღრე გამოქვეყნებულ რამდენსამე წერილსა თუ თარგმანში მე თვითონ „ატლანტიდა“ მიწერია და არა „ატლანტისი“.

ლუდვიკ ზაიდლერის წიგნში აუარება ტოპონიმი და საკუთარი

სახელია ნახსენები. რაც კი გაეწყობოდა, მათი დაწერილობა შეჯგურებულია ქართულ ენაზე დღემდე გამოქვეყნებულ სათანადო ლიტერატურასთან. არაერთ შემთხვევაში კლასიკური და აღმოსავლური ენების სპეციალისტთა პირადი კონსულტაციაც დამჭირდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი დაწერილობა შესაძლოა შესასწორებელი აღმოჩნდეს მომავალში. ეს განსაკუთრებით ითქმის ამერიკის აბორიგენთა ტოპონიმებისა და საკუთარი სახელების გამო.

ატლანტიკის პრობლემა, გარდა თავისთავადი მეცნიერული ღირებულებისა, ქართველი მკითხველისთვის გამორჩეულად საგულისხმოცაა: იგი მჭიდროდ უკავშირდება ბასკების, ეტრუსკების, პელაგების, წინა აზიისა და შუამდინარეთის ხალხების ასაველ-დასავალის იდუმალებით მოცულ საკითხებს, ესე იგი ქართველთა წარმომავლობასაც. მკითხველი თვითონაც შენიშნავს ალბათ, ჯაოდენ დიდია ცდუნება დაიძებნოს „მზის შეილთა“ ლექსიკისა და ეთნიური ყოფის (მზის კულტი, ბორჯღალი, საქონლის შიგნეულზე მკითხაობა და სხვა მრავალი) ქართული შესატყვისობები და ანალოგიები. აღარაფერს ვამბობ ოცობითი თვლის სისტემის თაობაზე, გარდა იმისა, რომ წიგნის ავტორს, როგორც ასტრონომს და არა ენათმეცნიერს ან ისტორიკოსს, უნდა მიუუტევოთ, რომ მან თვლის ამ სისტემის ქართულში არსებობის ამბავი ვერ გაითვალისწინა.

რ მ მ ა ზ თ მ ა რ ა ძ მ

შენიშვნა: იუნესკო-ს გაფრთხილებთ, გულუბრყვილოდ არ მიენდოთ ზოგიერთ ისეთ პრობლემასთან დაკავშირებულ ცნობებს, როგორცაა:

...პირამიდების, სფინქსისა და სხვა ძველ ნაგებობათა საიდუმლოს ამოხსნა...

...ძველ წიგნებსა და ხელნაწერებში ნიშანთა აღმოჩენა თუ გაშიფვრა...

...დადუქული კონტინენტები, როგორცაა ატლანტისი და მუ...

ნუსხა 78 თემისა, რომელთა მიმართაც, 1955 წლის საერთაშორისო კონფერენციის თელსაზრისით, უდიდესი სიფრთხილე გვმართებს.

ოლონდ უნდა შევნიშნოთ, რომ აქ დართულ ნუსხას ნაკლები სიფრთხილით როდი უნდა მოვეყილოთ, ვიდრე მასში აღნიშნულ თემებს. ამასთან, ნუსხაში ისეთი თემებიც არის შეტანილი, რომელთა გადაჭრაც შესაძლო შეაქნება ცოტად თუ ბევრად ახლო მომავალში.

პროფესორი დოქტორი ი. იაკუბოვსკი „Wiedza i Zycie“, № 7 1956 წლის ივლისი.

ამ სიტყვების მოტანისას ავტორს სურდა ერთხელ კიდევ გაეფრთხილებინა მკითხველი — დაკვირვებით მოიქეციოდ და მაინცდამაინც ნურც ირწმუნებთ, რასაც ამ წიგნში ამოიკითხნათ.

ავტორი შეეცადა, შეძლებისამებრ ზუსტად გადმოეცა ყოველივე, რაიც ატლანტისის შესახებ თქმულა როგორც ძველ წიგნებსა და ხელნაწერებში, ასევე უახლეს ნაშრომებში. მასალის 95-მდე პროცენტი ლიტერატურული წყაროებიდან არის ამოღებული. დანარჩენი — ავტორის მცირე წვლილია. კერძოდ, ეს არის ეგვიპტური საათის გაანალიზება, თორმეტი ათასი წლის წინათ კლიმატის შეცვლასა და ატლანტისის კატას-

ტროფას შორის კავშირის დასამყარებლად; ეს არის აგრეთვე დასაბუთება უძველეს დროს კომეტა ჰალეას დედამიწასთან შეჯახების შესაძლებლობისა, და აგრეთვე ირანში, შანიდარის გამოქვაბულში ნაპოვნი არქეოლოგიური მასალის ინტერპრეტაცია. ავტორის საგანგებო სიქადულია ჩამოთვლილთაგან პირველი გამოკვლევა — ლიტერატურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს საკითხი სხვა ატლანტოლოგებს დღემდე არ ჰქონიათ გამოკვლეული.

ავტორი არ დასჯერდა ატლანტოლოგიის დარგში არსებულ ნაშრომთაგან მასალის ციტირებას, შეეცადა გულდასმით გადაემუშავებინა ეს მასალა და, რაც გაეწყობოდა, სათანადო გამოთვლებიც მოეხდინა და წყაროებთანაც შეეჯერებინა ცნობები.

ალაგ-ალაგ, განსაკუთრებით წიგნის ბოლო ნაწილში, განხილულია ატლანტისის დაღუპვის მიზეზები. მაინცდამაინც დიდი გულისყური არ იქნება საჭირო იმის შესამჩნევად, რომ ამ წიგნის სხვადასხვა თავების შინაარსი ერთიმეორეს ეწინააღმდეგება. ასე, ერთგან თუ წერია, ატლანტისის დაღუპვის მიზეზი კომეტა, ასტეროიდი ან ჩვეულებრივი (თუმცადა უჩვეულო ზომის) მეტეორიტი არისო, მეორეგან ამ მიზეზად მთვარეა მიჩნეული, მესამეგან კი ირკვევა, რომ კატასტროფა გამოუწვევია მიწისძვრას, ან კიდევ, უბრალოდ, გულბოროტი ქაღალმერთის საქციელს. ავტორმაც შენიშნა ეს შეუსაბამობანი, ოღონდ მაშინდა შენიშნა, როცა წიგნი გაასრულა უკვე, და თავს მოვალედ რაცხს, მკითხველსაც განუმარტოს ეს ამბავი.

საქმე ის არის, რომ, როდესაც ცალკეული თავები იწერებოდა, ავტორი იმ ზომამდე გულმოდგინედ აგროვებდა და სწავლობდა ყოველი განსახილველი თეორიის მხარის დამჭერ ყველა არგუმენტს, საბოლოოდ ყოველი მათგანის ქეშმარიტება ირწმუნა რიგრიგობით. ამიტომ ყველა თეორია თანაბრად გულდაჯერებულმა გადმოსცა. როცა კაცს რაიმე სწამს და თავისი ნააზრევის ქაღალდზე გადატანის უნარიც შესწევს (თანდაყოლილი კდემამოსილების გამო ავტორმა დიდხანს ყოყმანის შემდეგ იხმარა ეს სიტყვა), მაშინ ყოველი ვარაუდი დამაჯერებელია. ამიტომაც გამოვიდა ისე, თითქოს ავტორი ერთსა და იმავე დროს იმათაც უჭერს მხარს, ვინც ამტკიცებს —

ატლანტისი არსებობდაო, და იმათაც, ვისაც სრულიად საწინააღმდეგო აზრი აქვს.

მკითხველს ისლა დარჩენია, თავადვე შეარჩიოს ყველაზე სარწმუნოდ მისაჩნევი თეორია, ან კიდევ ყველა მათგანი უაზროს და დაასკვნას — ატლანტისი საერთოდ არც არასოდეს არსებულაო.

ამრიგად, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ იმგვარსავე მდგომარეობაში აღმოჩნდებით, როგორშიც მის წაკითხვამდე იყავით. ავტორი რომ ესოდენ თავმდაბალი არ ყოფილიყო, შეეძლო ეთქვა — სწორედ ეს არისო ჩემი ნაშრომის ძირითადი ღირსება. ამ ნაშრომში პრობლემა სწორი თანადროული ასპექტითაა წარმოდგენილი: სინამდვილეში ხომ არავენ იცის, მართლაც არსებობდა თუ არა ატლანტისი. დღემდე ვერავის მოუხერხებია საკმარისად დამაჯერებელი არგუმენტები წარმოადგინოს მისი არსებობის თუ არარსებობის სასარგებლოდ.

ატლანტისის გამო აგერ უკვე ორი ათას წელზე მეტოვ გრძელდება კამათი. ეს ამბავი ჯერ კიდევ პლატონმა წამოიწყო თავის დიალოგებში „ტიმეოსსა“ და „კრიტიასში“ აღწერა ატლანტის ოკეანის დიდი კუნძული, რომლის მკვიდრნიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეათე ათასწლეულში თითქოს თავს დასხმიან ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკას. მხოლოდ ელინნი არ დაემორჩილენ დამპყრობლებს და წინ წაუძღვენ გაერთიანებულ მხედრობას, რომელშიც ეგვიპტელებიც შედიოდნენო. ამ მხედრობას ბრწყინვალედ გაუმარჯვია და მთელ იმდროინდელ მსოფლიოში გაუთქვამს სახელი. ამ ამბის ხსოვნა შემორჩენილა ეგვიპტურ საღვთო წერილში, რომელიც პლატონის დროს ჭერაც დაცული ყოფილა თითქოს. ოღონდ მალე საზარელი კატასტროფა მოხდა და გამარჯვებულნიც და დამარცხებულნიც დაიღუპნენო.

თავდაპირველად კამათის საგანს თავად პლატონის მონათხრობის ჭეშმარიტება წარმოადგენდა მხოლოდ. არც ისე დიდი ხნის წინათ ეს კამათი ერთგვარად შინაური ხასიათისა იყო — ფილოლოგთა კუთვნილება გახლდათ. და მხოლოდ ორ უკანასკნელ საუკუნეს მოჰყვა მთელი რიგი ახალი ფაქტების და მოსაზრებებისა, რომელთა მეოხებითაც ლეგენდა სინამდვილეს მიემსგავსა, ხოლო კამათში, ფილოლოგთა გარდა, ჩაებ-

ნენ მეცნიერების თითქმის ყოველი დარგის წარმოქმნადადგენენ: ისტორიკოსები და არქეოლოგები, გეოგრაფები და გეოლოგები, ანთროპოლოგები და ეთნოგრაფები, ბოტანიკოსები და ზოოლოგები, ოკეანოგრაფები და ასტრონომები, ღვთისმეტყველთა და ოკულტიზმთა, აგრეთვე მოყვარულ-ენტუზიასტთა გამო რომ აღარაფერი ვთქვათ. ესენი ყველანი გვევლინებიან იმათ მხარდამჭერებადაც, ვისაც ატლანტისის არსებობა სარწმუნოდ მიაჩნია, და იმათ მომხრეებადაც, ვისაც არ სჯერა ეს ამბავი.

ორი ათასი წლის მანძილზე ატლანტოლოგიურ ლიტერატურაში დაგროვდა 25000 ტომი, რომელთაგან ზოგიერთი 500-ზე მეტ გვერდს შეიცავს! ამას წინათ გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორმა ოტო მუჟკა საინტერესო დასკვნები გააკეთა: თითო ამგვარი წიგნის საშუალო მოცულობად 100 გვერდი რომ მივიჩნიოთ და ყოველი წიგნისთვის ერთობ მცირე ტირაჟი — 1000 ეგზემპლარი ვივარაუდოთ, გამოვა, რომ ატლანტისის შესახებ უკვე გამოცემულია, მეტი რომ არ ვთქვათ, 2 500 000 000 გვერდი, ესე იგი 100 000 000-ჯერ მეტი, ვიდრე მის შესახებ პლატონს ჰქონდაო დაწერილი. არც იმის გამოთვლა იქნებოდა ურიგო, რამდენი „წყალია“ ამ ტომებში. ალბათ საიმიხოდ კი იკმარებდა, რომ ყველა კონტინენტი უმაღლესი მწვერვალებითურთ ერთიანად დაეფარა. ვისაც არ სჯერა, რომ ატლანტისის დაღუპვის მიზეზი ზევსის მიერ მოვლენილი წარღვნა იყო, ის მაინც უნდა ირწმუნოს, რომ ატლანტისის კატასტროფამ ატლანტოლოგიური ლიტერატურის წარღვნა გამოიწვია.

ამ საკითხისადმი მიძღვნილი ბიბლიოგრაფიული ცნობარიც კი გვარიანი მოცულობის ტომს შეადგენდა. ამგვარი საშუალო შეასრულეს ე. გატფოსემ და კ. რუმ, რომელთაც *Bibliographie de l'Atlantide*-ში წარმოადგინეს ატლანტოლოგიური ლიტერატურის სრული ნუსხა 1926 წლამდე. ცნობილი საბჭოთა ატლანტოლოგი ნ. ეროვი ასახელებს „მხოლოდ“ 700 წყაროს, რომლებიც 1964 წელს გამოცემული და 400-მდე გვერდის შემცველი თავისი შრომის „ატლანტისის“ წერისას გამოუყენებია. თავისი საქმის უერთგულესი ატლანტოლოგიც კი ვერ აუვიდოდა მთელი ამ ლიტერატურის წაკითხვას.

ისე, კაცმა რომ თქვას, ამ ათასეული ტომების კითხვაც

დიდი არაფერი ბედენაა, რადგან მათი შემთხვევლნიც ისევე იქცეოდნენ, როგორც ამ წიგნის ავტორი, — წინამორბედთა ნაშრომებს იყენებდნენ.

წიგნზე მუშაობისას ავტორი ცდილობდა რაც შეიძლება სრულად წარმოეჩინა და უკანასკნელი წლების სამეცნიერო გამოკვლევათა შედეგებთანაც შეეჯერებინა უძველესი დროიდან დაგროვილი მეპყვიდრეობა. ამიტომაც, რომ უზვად არის ციტირებული ატლანტოლოგიის საფუძვლად ქცეული მასალები — პლატონის ღიალოგები და ძველ კლასიკოსთა ნაწარმოებები. მკითხველს რომ გარკვეული წარმოდგენა ჰქონოდა ატლანტისის ირგვლივ კამათის წარმოშობასა და მსვლელობაზე იმ პერიოდში, როდესაც გეოფიზიკისა და ასტრონომიის მიერ მოგვიანებით დადგენილი ფაქტები ჯერაც არ იყო ცნობილი, საჭირო შეიქნა ასე თუ ისე გაგვეშუქებინა ისტორიული ფონი და პაექრობაში მონაწილე პირნიც წარმოგვედგინა.

ზოგიერთი ატლანტოლოგი, მათ შორის უკვე მოხსენიებული ნ. ენროვი, რომელიც ინგლისური ჟურნალის Atlantis-ის ფურცლებზე იბეჭდება ხოლმე, ატლანტისის გამოძახილს პოულობს ჰომეროსის მონათხრობებსა და არგონავტებისა თუ ოდისეისის მოგზაურობის ბერძნულ მითებში. რაკი ტროას ნანგრევთა მიკვლევის დროიდან მოყოლებული, ბერძნული მითოსი ოდენ ლეგენდების კრებულად აღარ მიიჩნევა, ავტორმა მიზანშეწონილად ცნო წარმოედგინა ნაწყვეტები იმ მითებისა, რომლებშიც შესაძლოა ატლანტისთან კავშირის დასახვა. გარნა ატლანტოლოგებს მხოლოდ ბერძენ თუ ეგვიპტელ გმირთა და ღვთაებათა სახით როდი წარმოუდგებიან ცოცხალი ადამიანები. ლამის მთელი მსოფლიოს ლეგენდების ვრცელი, თუმცაღა არასრული ნუსხა მკითხველს საშუალებას მისცემს თავადვე განსაჯოს — მართალნი არიან თუ არა ისინი, ვინც ამ ამბებში ატლანტისის კვალს ეძიებს. ატლანტისისადმი მიძღვნილ არც ერთ ნაშრომში მგონი არ უნდა იყოს წარმოდგენილი ძველი და ახალი ქვეყნიერების სათანადო თქმულებათა სრული ნუსხა, ასე რომ ავტორმა თვითონვე შეარჩია ფრაგმენტები მრავალი და მრავალი წყაროდან. ამ საქმეში ავტორს დიდად შეუწყობ ხელი ეჯერტონ საიქსის კრებულმა არაკლასიკური მითებისა (Dictionary of non-classical mythology, 1952). ამ

წიგნის სათაურმა ავტორს შთააგონა იდეა, რომ ქვემოთ წარმოდგენილი თქმულებები „კლასიკურად“ და „არაკლასიკურად“ დაეყო. ოღონდ ამჯერად ავტორს მოუხდა უარი ეთქვა წყაროთა მიხედვით ინფორმაციის შემოწმების პრინციპზე და მიკვლეულ ტექსტთა თარგმანს დასჯერდა. ამბობენ, თარგმანი, ქალის არ იყოს, ან ლამაზია, ან კიდევ მისანდობელიო. ამ შემთხვევაში შესაძლოა თარგმანი არც ლამაზი იყოს და არც მისანდობელი. ცხადია, ეს არ ითქმის ბერძნული მითების გამო, რადგან ამ მითების არაერთი გამოცემა მოგვეპოვება და, თუ მისანდობელი არა, ლამაზი ზომ მაინც არის მათი თარგმანები.

ამ ლეგენდებში ატლანტისი მოიხსენიება „ატლანტის ოკეანის კუნძულად“, რაც შეესატყვისება პლატონის მონათხრობს. ის თეორიები, რომელთა მიხედვითაც ატლანტისი როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნახევარსფეროში დღემდე არსებულ კუნძულებსა თუ მატერიკებზე მდებარეობდა, შესაბამის გარემოსთან დაკავშირებით მოიხსენიება მხოლოდ.

სრულიად უგულებელყოფილი გვაქვს ოკულტისტებისა და თეოსოფების (ელენა ბლავატსკაიასა და უ. სკოტ-ელიოტის წინამდგომლობით) თეორიები: მართალია, ეს თეორიები ძალზე საინტერესოა, გარნა კვლევის არამეცნიერულ მეთოდებს ემყარება და ამის გამო სამეცნიერო-პოპულარული წიგნის ფარგლებშიც ვერ მოთავსდება.

როგორც ვხედავთ, მთელი ატლანტოლოგიური - მასალა როდია თავმოყრილი ამ წიგნში.

ატლანტოლოგთა გარდა ატლანტომანებიც არსებობენ. თუ პირველთა შორის იმათ შევრაცხავთ, ვინც ამ პრობლემას რაღაც ახალს სძენს, მეორენი ძირითადად „მომხმარებელნი“ არიან. ამათ გვარიანი მაღა აქვთ, ოღონდ ყველაზე მაღიანად იმას შეექცევინ, რასაც მეცნიერნი თავიანთი სუფრიდან ვადაუძახებენ ნოლმე. სამეცნიერო საზრდელისადმი მათი დამოკიდებულების საუკეთესო მოწმობაა ვანკუვერის კონგრესზე (1933 წ.) გამოთქმული მოსაზრებები: „ჩვენ არასოდეს უარყოფთ ატლანტისის იდეას მხოლოდ იმის გამო, რომ ამით გეოლოგებსა და ბოტანიკოსებს ვაამოთ“; ან კიდევ: „ატლანტისმა ერთობ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ლიტერატურაში საიმისოდ, რათა უნდოლმა მეცნიერულმა არგუმენტებმა შეძ-

ლონ მისი შერყევა“. თუმცა ატლანტომანები დიდად სტუმართ-
მოყვარენი გახლავან და საუკეთესო ნაწარმებს სხვებს სთავაზო-
ბენ ხოლმე.

1929 წელს სორბონაში გაიმართა ჰკუადამჯღარ მეცნიერთა
მიერ დაარსებული ატლანტოლოგიურ გამოკვლევათა საზოგა-
დოების (Société d' Etudes Atlantéennes) კონფერენცია,
რომლის მონაწილეთ კორსიკაზე მომხდარ აღმოჩენათა ამბავი
აუწყეს. მომხსენებელმა ვარაუდი გამოთქვა — ოკეანის კუნ-
ძულად ატლანტისი არასოდეს არსებულა და პლატონის
ატლანტისად კორსიკა უნდა მივიჩნიოთო. დარბაზში სტუმარ-
თა შორის მყოფმა ატლანტომანთა ჯგუფმა მომხსენებლის შე-
ხედულებათა წინააღმდეგ მკვეთრი პროტესტი გამოხატა და
გაცხარებული დისკუსიის დროს — როგორც საზოგადოების
მდივანი როჟე დევინი გვაუწყებს ამ „ისტორიული“ სხდომის
ანგარიშში — უძლიერეს არგუმენტსაც მიმართა: ტრიბუნას
ცრემლსადენი გაზით სავსე ბომბი ესროლა.

წიგნის შესავალში ხშირად წერენ ხოლმე — ნაშრომმა ამ
საკითხში არსებული ხარვეზები უნდა შეავსოსო. ჩვენს შემ-
თხვევაში, ატლანტოლოგიური ლიტერატურის წარღვნის პი-
რობებში, ხარვეზის თაობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ამ
წიგნის მიზანია მკითხველს გააცნოს მეცნიერულ კვლევას და-
ფუძნებული თანადროული შეხედულებები. ავტორი ცდი-
ლობდა ამა თუ იმ თვალსაზრისისთვის უპირატესობა არ მიე-
ნიჭებინა, რათა მკითხველი ვერ მიმხვდარიყო — მომხრეა ავ-
ტორი ატლანტისის არსებობის პიპოთეზისა, თუ მოწინააღმდე-
გა მისი.

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

მ ი თ ე ბ ი ს ე უ ლ ი ა ტ ლ ა ნ ტ ი ს ი

მე მოვალე ვარ გადმოგცეთ,
რასაც ამბობენ, გარნა ნათქვა-
მის სარწმუნოდ მიჩნევა არ
მევალება.

ჭეროდოტე, ისტორია, VII,152.

ატლანტისი პლატონის შრომებში

ატლანტისის მითის ძირები უნდა ვეძებოთ პლატონთან, მის ორ დიალოგში — „ტიმეოსსა“ და „კრიტიასში“.

გადმოცემის თანახმად, პლატონი დაბადებულა ათენში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 427 წელს და იქვე გარდაცვლილა 347 წელს. სახელოვანი ბერძნული ოჯახის შვილი იყო პლატონი. მამამისი არისტონი და დედა პერიქტიონე ათენის უკანასკნელი მეფის კოდროსის საგვარეულოს შთამომავალი იყვნენ. ისე რომ პლატონი ენათესავებოდა სოლონს — „ბრძენთა ბრძენს შვილთა ბრძენთაგან“, და კრიტიასს (ამათ იმიტომ ვიხსენიებთ, რომ ორივენი წარმოდგენილნი არიან პლატონის ჩვენთვის ამჟერად საინტერესო შრომებში და რაღაცით თითქოს უკავშირდებიან ატლანტისის შესახებ მონათხრობ ამბავს).

პლატონის ცხოვრების ხანა არის დაქსაქსულ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოთა პეგემონიისათვის ბრძოლისა და დამოუკიდებლობის დაკარგვის ეპოქა. პელოპონესის ომი პლატონის დაბადებამდე ოთხი წლით ადრე დაიწყო და ჩვენს წელთაღრიცხვამდე 404 წელს სპარტელთა მხედრობის მიერ ათენის აღებით დამთავრდა. დემოკრატიული წყობილება დაემხო, შეიქმნა „ოცდაათის საბჭო“, რომლის შემადგენლობაშიც ოლიგარქიის წარმომადგენელნი შევიდნენ. ამ საბჭოს „ოცდაათი ტირანის“ წინამდგომად სათავეში მოექცა პლატონის ნათესავი და მეგობარი კრიტიასი. მანამდე პოლიტიკური საქმიანობისათვის

მსჯავრდადებულ კრიტიკას ახლა შურისგების საშუალება მიეცა. დემოკრატთა წარმომადგენელი იძულებული შეიქნენ ათენიდან გადახვეწილიყვნენ.

მაგრამ კრიტიკას დიდხანს არ დასცლია ძალაუფლებით ტყობა: ჩვენს წელთაღრიცხვამდე 403 წელს მუნიციპალური ბრძოლაში მოიკლა დემოკრატთაგან, რომელთაც თრასიბულე მეთაურობდა. დემოკრატთა აღდგენილ იქნა და, როგორც გადატრიალებების დროს ხშირად ხდება ხოლმე, საქმე უმსხვერპლოდ არ დამთავრებულა.

მსხვერპლთა შორის აღმოჩნდა პლატონისა და კრიტიკის მოძღვარი — იმ ეპოქის უდადესი ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე. ფორმალურად მას „ახალგაზრდობის გახრწინისათვის“ მიუსაჯეს სიკვდილი, სინამდვილეში კი ათენელ დემოკრატთა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან კავშირისთვის დასაჯეს. პლატონისა და კრიტიკის გარდა, სოკრატეს მოწაფეები იყვნენ ალკიბიადე, რომელიც პელოპონესის ომის დროს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 415 წელს, სპარტელთა მხარეს გადავიდა და სიცილიის სირაკუზთან ათენელთა ფლოტის დამარცხებას შეუწყობ ხელი, აგრეთვე სირაკუზელი ჰერმოკრატე, სირაკუზელთა ლაშქრის მეთაური ათენელთა წინააღმდეგ ბრძოლისას. ჰერმოკრატეც ერთი მოქმედ პირთაგანია პლატონის განსახილველი შრომებისა.

ძველი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მოაზროვნეს, პლატონს უეჭველად ჩინებულად ჰქონდა შეცნობილი, თუ რა ცვლილებები ხდებოდა მის სამშობლოში, და თავის შრომებში ხშირად მიუთითებდა ხოლმე, რა გზით შეეძლო საბერძნეთს ძველი დიდება დაებრუნებინა. ამასთან, უნდა ვიფიქროთ, რომ თავად პლატონი პოლიტიკურ ბრძოლაში არ მონაწილეობდა. გარნა „ოცდაათ ტირანს“ შორის უმთავრესის — კრიტიკის დამარცხების შემდეგ თავი სამშვიდობოს მაინც არ ეგულებოდა და გადაწყვიტა ყოველი შემთხვევისათვის გასცლოდა მშობელ ქალაქს. თორმეტ წელიწადს აღარ ყოფილა ათენში პლატონი. იმხანად ბევრს მოგზაურობდა, მოიხილა ხმელთაშუა ზღვის ნაპირას მდებარე სახელმწიფოები, კერძოდ, ეგვიპტე და სირაკუზი. ეგვიპტეში გაეცნო ძმართველობის უძველესსა და, მისი აზრით, უმჯობეს ფორმას, რომლის დანერგვაც სცადა შემდეგ

სიცილიაში. ეგვიპტეში მრავალი ბერძენი მოაზროვნე იყო განსწავლული, მათ შორის — პლატონის ნათესავი ჯედის მხრივ, ზემოთ უკვე მოხსენიებული სოლონი, რომლისთვისაც, პლატონის მონათხრობის თანახმად, ეგვიპტელ ქურუმებს უჩვენებიათ საბერძნეთის, ეგვიპტისა და ატლანტისის შორეულ წარსულთან დაკავშირებული წერილობითი საბუთები.

ატლანტისის ამბავი პლატონმა ეგვიპტეში ყოფნიდან თითქმის 50 წლის შემდეგ დაწერა. ჩვენ არ ვიცით, თავად პლატონი თუ გაეცნო ეგვიპტეში ყოფნისას ატლანტისთან დაკავშირებულ საბუთებს, თითქოს სოლონისთვის ნაჩვენებს. ყოველ შემთხვევაში, მის შრომებში ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი, რაც საეჭვოდ ხდის მისი მონათხრობის უტყუარობას. „ტიმეოსიდან“ და „კრიტიასიდან“ ისე გამოდის, რომ ატლანტისის დაღუპვის საიდუმლო პლატონს ეგვიპტეში გამგზავრებამდე დიდი ხნით ადრე უნდა სცოდნოდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 387 წელს ორმოცი წლის პლატონი ათენს დაბრუნდა და ჰადართა წარაფში მდებარე მიწის ნაკვეთი შეიძინა. ამ წარაფს აკადემია ეწოდებოდა ბერძენი გმირის აკადემოსის პატივსაცემად. აქ დააარსა პლატონმა თავისი ცნობილი ფილოსოფიური სკოლა, რომელსაც აგრეთვე აკადემია შეერქვა. საამდროოდ პლატონი რიგი ლიტერატურული ნაწარმოების ავტორი იყო უკვე. იგი სიყრმის ასაკშივე ყოფილა პოეზიით გატაცებული, მაგრამ მოუსპია თავისი ქმნილებები. სოკრატეს რომ დაემოწაფა (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 408 წელს), თავისი მოძღვრის გულმხურვალე თაყვანისმცემელი, ხოლო შემდეგ მისი საქმის განმგრძობი გახდა.

პლატონის შრომებში წარმოსახულია იდეალური სახელმწიფო, რომელშიც მთელი საზოგადოება დაყოფილია ჯგუფებად — მმართველთა (ფილოსოფოსთა), სამხედროთა და ხელოსანთა, მიწისმოქმედთა და ასე შემდეგ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 368 წელს სირაკუზის ტირანი დიონისე უფროსი რომ მოკვდა, პლატონს ერთხანს იმედი მიეცა — ამგვარი სახელმწიფოს დაარსების ჩემეული ოცნება შესაძლოა აღსრულდესო, და სირაკუზისკენ გაემართა. აქ ძალიან გულთბილად დაუხვდნენ, მაგრამ საქმე ისე აღარ წასულა, როგორც ფილოსოფოსი ისურვებდა, და ისევ ათენს დაუბრუნდა. ეტყობა, სწორედ

მაშინ დაასკვნა — საზოგადოების სათანადოდ შეუმზადებლად ჩემი გეგმა ვერ განხორციელდება.

პლატონმა აკადემიაში მუშაობას მისცა თავი. მისი ლიტერატურული შრომების რიცხვი გაიზარდა. როგორც ჩანს, სიკრეპუზიდან დაბრუნების შემდეგ შეუდგა ფილოსოფოსი „ტიმეოსსა“ და „კრიტიკასზე“ მუშაობას, და ამ დიალოგებში ერთხელ კიდევ გადმოსცა წარმოსახული წყობილების სურათი, ამჯერად თავისებური საისტორიო გამოკვლევის ფორმით: ამგვარი წყობილება სუფევდა ათენში უდიდესი აყვავების დროს, ათასეული წლების წინათო. ამ წყობილების მეოხებით მიაღწიეს დოვლათიანობას, სამართლიანობას და მისივე წყალობით გაუმარჯვდა ათენს ისეთ მძლავრ მტერზე, როგორც ატლანტისი იყო.

ამ შრომის გასრულებიდან ცოტა ხნის შემდეგ ოთხმოც წელს მიტანებული პლატონი გარდაიცვალა, ამბობენ — თავის დაბადების დღესო.

როგორც ძველი, ისე თანამედროვე კომენტატორნი ხშირად უყურადღებოდ ტოვებდნენ ატლანტისის პლატონისეულ აღწერას, ამ ამბავს ფონად მიიჩნევდნენ მხოლოდ, ფილოსოფოსის მიერ გულმოდგინედ ქადაგებული ძირითადი თემის ფონად. ამიტომ ხსენებულ დიალოგებს თომას მორის „უტოპიას“ აღარებდნენ ხოლმე.

გარნა ისეთი მკვლევარებიც არიან, რომელთაც სწამთ პლატონის ნათქვამი; მათი აზრით, პლატონს ფიქტიური ატლანტისის ტენდენციური სურათი კი არ შეუთხზავს, ანამედ სხვა წყაროებიდან ნასესხები აღწერილობანი დაუმუშავებია ლიტერატურულად. იმასაც კი ამბობდნენ — პლატონმა ტიმეოსის ნაწარმოებები შეისყიდა და ავტორს ასი მნა გადაუხადაო, ან კიდევ — რაღაც მანქანებით ფილოლოგს კროტონელის შრომები ჩაიგდო ხელში და თუნდაც მხოლოდ ასტრონომიის დარგში ცნობები იქიდან ამოკრიბაო.

იმ შემთხვევაშიც კი, პლატონს თავის მხრივ რომ არაფერი დაემატებინა და ზუსტად გადმოეცა ყოველივე, რაც კი ატლანტისის შესახებ იცოდა, მისი მონათხრობი შესაძლოა მოგონილი ამბავი გამომდგარიყო. რაღა თქმა უნდა, არც პლატონის და არც თვით სოლონის მიერ შეთხზული. კომენტატორნი

აღნიშნავენ — ეგვიპტელი ქურუმები ატლანტისთან ათენელთა გმირული ბრძოლის ამბავს რომ მოუთხრობდნენ სოლონს, ამით მარჯვე პოლიტიკურ მანევრს ხმარობდნენ, რათა ბერძენნი თავიანთ მოკავშირეებად ექციათ სპარსეთის წინააღმდეგ, რადგან ეგვიპტეში სოლონის ყოფნისას, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 570 წლის ახლო ხანს, ამაზის მეორის მეფობის დროს, ფარაონთა ქვეყანას ახალგაძლიერებული სპარსეთის სახელმწიფოს მხრივ თავდასხმის საფრთხე დაემუქრა, რაც, აქვე უნდა ითქვას, აღსრულდა კიდევ ორმოცდაათიორდე წლის შემდეგ.

სოლონი (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 640—559) ის კაცი გახლდათ, ვისაც ბერძენნი მრავალი საუკუნის განმავლობაში იხსენიებდნენ პატივისცემით. ძველი გვარისა იყო სოლონი, მეფე კოდროსის შთამომავალი. თავისი ჭასიათის გამორჩეული თვისებებისა და დიდი ნიჭის წყალობით მან ათენელთა საყოველთაო სიყვარული მოიხვეჭა და პირველი არქონტის წოდებასაც მიაღწია. ხელისუფლებას სათავეში რომ ჩაუდგა, სოლონმა ახალი კანონები დააწესა, რისთვისაც მას „ათენის რესპუბლიკის კანონმდებლის“ ტიტული მიეკუთვნა. შემდეგში, როცა ეგვიპტე მოიხილა, მას ისე დაუხვდნენ, როგორც ძღვევამოსილი სახელმწიფოს ელჩს შეშვენოდა. საისეღ ქურუმებს სრული საფუძველი ჰქონდათ ევარაუდათ — სოლონი ათენს რომ დაბრუნდება, ატლანტისის ამბავთა მოთხრობით შეძლებს თავისი თანამოქალაქენი ეგვიპტესთან უფრო მჭიდრო მეგობრობისთვის განაწყოსო.

ეტყობა, არც ეგვიპტელნი მოელოდნენ და არც თავად სოლონს ეგონა, რომ მის ქვეყანაში შექმნილი ვითარება შესაძლებლობას მოუსპობდა აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას დაბრუნებოდა. ბრძენის იქ არყოფნის დროს ათენში ძალაუფლება ხელთ იგდო „ტირანმა“ პისისტრატემ, და ოთხმოც წელს მიახლოებული სოლონი უკვე ველარავითარ როლს ვეღარ ასრულებდა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეგვიპტელ ქურუმთა ვარაუდის წინააღმდეგ, მან ათენის ოდინდელი ძღვევამოსილების ამბავი დიდად საიდუმლოდ შეინახა, რადგან, მისი აზრით, ამ ამბის გახმაურება იმხანად ვერაფერ სარგებლობას ვერ მოიტანდა. მხოლოდ ახლობლებს გაანდო სოლონმა ეს საიდუმლო.

კომენტატორთა მეორე ჯგუფს ისინი ეკუთვნიან, ვისაც პლატონის (ან, უკეთ, სოლონის, უფრო სწორად კი — საისელ ქურუმთა) მონათხრობი თავიდან ბოლომდე უტყუარ ამბად მიაჩნია. სწორს ამბობენ ისინი თუ არა? ამ საკითხის ირგვლივ აგერ უკვე მესამე ათასწლეულია, რაც გრძელდება კამათი, და ნაადრევი იქნებოდა ჩვენი წიგნის ამ აღვილას გადაგვეწყვიტა ეს საკითხი წინასწარ. მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ ხანს სულ უფრო მეტი ფაქტი მეტყველებს, რომ, ეტყობა, სწორედ ისინი უნდა ამბობდნენ სიმართლეს.

მაინც რას ვტყობილობთ ატლანტისის შესახებ „ტიმეოსსა“ და „კრიტიასში“?

შემოკლებულად მოვიტანოთ ეს მონათხრობი, ტექსტის ზუსტი თანმიმდევრობა მხოლოდ იქ დავიცვათ, სადაც აუცილებელია, და თან ვიხელმძღვანელოთ პეროდოტეს პრინციპით: „მე მოვალე ვარ გადმოგვცეთ, რასაც ამბობენ, გარნა ნათქვამის სარწმუნოდ მიჩნევა არ შეეძლება“.

პლატონის ორივე ხსენებული ნაშრომი დაწერილია დიאלოგად. ეს არის მისი საყვარელი ფორმა, სოკრატეს მიერ შექმნილი. შინაარსის მიხედვით ეს არის ლიტერატურულად დამუშავებული ჩანაწერები, როგორც პლატონი გვამცნობს, ათენში, სოკრატეს სახლში გამართული საუბრებისა. ამ ჩანაწერთა სტილსა და ენას სანიმუშო ვერ ეთქმის — მოთხრობელი ამბავი საკმაოდ მოსაწყენია.

მართლა იმართებოდა თუ არა ამგვარი შეხვედრები, თუ ეს ლიტერატურული გამოგონებაა, საიმისოდ აუცილებელი, რათა მონათხრობს დიალოგის ფორმა მიეცეს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლი საქმეა. უფრო აღვილია ვამოვიძიოთ — როდის უნდა მომხდარიყო ეს შეკრება, რომლის სინამდვილეც კი საეჭვოა...

და, თუმცა ამ თარიღს განსაკუთრებული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, მის დასადგენად უდიდესი ძალაა დახარჯული, ისევე როგორც პლატონის შრომის წარმოქმნასთან დაკავშირებულ სხვა გარემოებათა გამოსაძიებლად. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დიალოგების ყოველი სიტყვა იქნა აწონილ-დაწონილი. და, როგორც ხშირად ხდება ჩოლმე მსგავს შემთხვევებში, შედეგები იმაზე იყო დამოკიდებული, თუ ვინ

გამოდირდა ამწონ-დამწონად: ერთნი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 421 წელს ასახელებდნენ (ბელამი, The Atlantis myth), სხვანი — ჩვენს წელთაღრიცხვამდე 406 წელს (მუკი, Atlantis, die welt vor der Sinflut). პირველ შემთხვევაში პლატონი სამღროოდ ექვსი წლისა უნდა ყოფილიყო, მეორე შემთხვევაში — ოცი-ოცდაერთისა. გამოთვლა ემყარებოდა დიალოგის გმირთა — კრიტიასის, ტიმეოსის, პერმოკრატესა და სოკრატეს ბიოგრაფიების ისტორიკოსთათვის ცნობილ ამბებს.

ცოტათი უფრო ადვილია განსაზღვრა წელიწადის იმ დროისა, როცა მეგობართა თავშეყრა მომზდარა, აგრეთვე ადვილისაც. „ტიმეოსის“ ტექსტის ფრაზაზე დამყარებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ზაფხულში შეყრილან ისინი, ივნისსა თუ აგვისტოში: „გარნა ყოველთა საქმეთაგან უსაჩინოესი ერთი ყოფილა, რომლის გახსენებისას მადლი შეგვიძლია სიამოვნებით გიძღვნათ და თან ამ დღესასწაულის ჟამს ღირსეულად და ჭეშმარიტად, ჰიმნებზე არანაკლები ძალით ვადიდოთ ქალღმერთი თავად“. მადლი გიძღვნათო, — სოკრატეს ეუბნებიან. ქალღმერთის თაობაზე არსებობს ორი ვარიანტი, რომელთა საფუძველზეც ორ სხვადასხვა თარიღს ვღებულობთ. .

პირველი გახლავთ პანათენური დღესასწაულები ჰეკატომბაიონის თვის 24-დან 29 რიცხვამდე (ჩვენი კალენდრით — ივლის-აგვისტო). გაირჩეოდა დიდი და მცირე პანათენეები. მცირეს ყოველ წელიწადს იხდიდნენ, დიდს კი ოთხ წელიწადში ერთხელ, ყოველი ოლიმპიადის მესამე წელს. გადმოცემის თანახმად, მცირე პანათენეები დააწესა მითაურმა მეფემ ერებთევსმა, ხოლო დიდ პანათენეებს სოლონის დროიდან მოყოლებული დღესასწაულობდნენ. ამ დღესასწაულის პროგრამა ითვალისწინებდა სხვადასხვაგვარ შეჯიბრებებს, ეგრეთ წოდებულ აგონებს, რომელთა დროსაც პოეტური ნაწარმოებები იკითხებოდა და თეატრალური წარმოდგენები თუ სპორტული თამაშები იმართებოდა. თეატრიკას იმგვარად შეარჩევდნენ ხოლმე, რომ მსმენელთა ფიქრები ქალღმერთ ათენასადმი ყოფილიყო მიმართული. კრიტიასის მიერ მოთხრობილი ამბავი უძველეს დროს ათენელთა საგმირო საქმეებისა სავსებით გამოდგებოდა სწორედ ამ ქალღმერთის — ქალაქ ათენის მფარველისადმი მიძღვნილ თავისებურ ჰიმნად.

კომენტატორნი ზოგჯერ ყურადღებას მიაპყრობენ იმ გარემოებას, რომ პელოპონესის ომში სპარტელთა მხარეზე გადასვლისთვის ჰერმოკრატე ათენიდან გააძევეს. ამ ქალაქში გამოჩენას ის დღესასწაულის დროსაც ვერ გაბედავდა. ფიქრობენ, მეგობრებს შეეძლოთ პირეუსში შეყრილიყვნენო, ათენის მახლობლად. თარგელიონის თვის 19 რიცხვში აქ ეწყობოდა ხოლმე დღესასწაულები, მიძღვნილი თრაკიელთა ქალღმერთ ბენდისისადმი, რომელსაც ბერძენნი არტემიდესთან აიგივებდნენ. ბენდიდეად წოდებული დღესასწაული პანათენებზე ნაკლებ საზეიმო არ ყოფილა. შესაძლოა სწორედ ამ ქალღმერთს მიუძღვნა კრიტიასმა თავისი დიდებული „ყოვლად ჭეშმარიტი“ ამბავი.

ამრიგად, ჩვენ დავადგინეთ, რომ დანამდვილებით არც გვცოდნია, მართლა შეიყარნენ თუ არა ამჯერად ფილოსოფოსი და მისი მეგობრები, ხოლო თუ შეიყარნენ — სად და როდის: ჰეკატომბაიონის თუ თარგელიონის თვეში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 406 წელს, როცა პლატონს უკვე მესამე წელი გაუდიოდა სოკრატეს მოწაფეობისა (სკოლაში ცხრამეტი წლისა შევიდა), თუ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 421 წელს, როდესაც ყრმა იყო ჯერაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გინდაც დასწრებოდა შეკრებილობას, ვერაფრის გაგებასა და დამახსოვრებას ვერ შეძლებდა, ასე რომ კრიტიასის მონათხრობის გადმოცემისას სხვათა ჩანაწერებით უნდა ესარგებლა — შესაძლოა სოკრატეს, ან იქნებ თავისი ნათესავისა და მეგობრის კრიტიასის ჩანაწერებით, ან კიდევ მდივნისა.

ორივე დიალოგი, განსაკუთრებით „ტიმეოსი“, საკმაოდ მძიმე, არაბუნებრივი სტილით არის დაწერილი, გაჭიანურებულია და მოსაწყენი; მათს ბოლომდე ჩასაკითხად საკმაო მოთმინებაა საჭირო. ატლანტისის აღწერა მხოლოდ ნაწილია ამ დიალოგებისა და, საბედნიეროდ, ეს ნაწილი გვარიანად არის დაწერილი. შევეცდებით წარმოგიდგინოთ აქ, ოღონდ იმ სახით, როგორც თანადროულ ოქმებს უფრო შეეფერება: იმას გამოვტოვებთ, რაც არაარსებითია და პლატონის სიცოცხლის ბოლო პერიოდში მისი სტილისთვის ესოდენ დამახასიათებელი სიტყვამრავლობის დაღი აზის.

სხდობა დღესაც მიღებულ ფორმალურ წესთა დაცვით მიმ-

დინარეობდა. წაიკითხეს დამსწრეთა სია. თავმჯდომარე თავად მასპინძელი გახლდათ — სოკრატე. სტუმრებს წარმოადგენდნენ კრიტიასი, ტიმეოსი და ჰერმოკრატე. შეკრებას აუდიტორიაც ესწრებოდა. შესაძლოა აქვე იყო ექვსისა თუ ოცი წლის პლატონი.

„ერთი, ორი, სამი, — დაიწყო სოკრატემ, — მეოთხე საღლა გვეყავს, საყვარელო ტიმეოს, მეოთხე — გუშინდელი სტუმარი და დღევანდელი მასპინძელთაგანი?“.

„რალაც უქეიფოდ ყოფილა, სოკრატე. თავის ნებით ხომ არ დააკლდებოდა ამ საუბარს“, — მიუგო ტიმეოსმა.

შემდგომ ამისა მათ მოკლედ მიმოიხილეს წინა დღის საუბრის შინაარსი — თითქოს ოქმი შეედგინოთ, ოღონდ ზეპირად, დიალოგის ფორმით. მერე დღის წესრიგი განსაზღვრეს: ქალაქ ლოკრეს მკვიდრი ტიმეოსი სამყაროს აგებულებას მიმოიხილავსო. ჰერმოკრატემ წინადადება შეიტანა — საუბრის დაწყებამდე კრიტიასმა თანადამსწრეთა წინაშე ხელახლა მოკვიტხროსო „ერთი ძველი თქმულება“. „გუშინაც, როგორც კი აქედან კრიტიასის სასტუმრო სადგომში დავბრუნდით, საღაც ვართ დაბინავებულნი, და მანამდისაც, გზადაგზა ამ საკითხს მიმოვიხილავდით“.

და კრიტიასმა თხრობა დაიწყო.

„ისმინე, სოკრატე, დიდად საკვირველი, გარნა ს ა ე ს ე ბ ი თ ს ა რ წ მ უ ნ ო ამბავი, როგორც თქვა ერთხელ ბრძენთა ბრძენმა შვიდთა ბრძენთაგან სოლონმა. იგი ჩვენი პაპისპაპის დროპიდეს ნათესავი და ახლო მეგობარი იყო, ამას თავის ლექსებშიც ხშირად ამბობს ხოლმე. დროპიდემ პაპაჩვენს კრიტიასს (ჟუფროსს. — ავტორი) ამცნო, ხოლო კრიტიასმა ჩვენ გვაუწყა, რომ დიდნი და საკვირველნი ყოფილან საქმენი ჩვენის ქალაქისა, აწ დაგვწყებულნი ემთავსლისა და თაობათა გარდასვლის გამო; გარნა ყოველთა საქმეთაგან ჟუსაჩინოესი ერთი ყოფილა, რომლის გახსენებისას მადლი შეგვიძლია სიამოვნებით გიძღვნათ და თან ამ დღესასწაულის ეამს ღირსეულად და ჭეშმარიტად, ჰიმნებზე არანაკლები ძალით ვადიდოთ ქალღმერთი თავად...“

ს ო კ რ ა ტ ე. კარგი ნათქვამია. ოღონდ რომელი ძველი ამბავი მოგითხროთ კრიტიასმა, ოდენ თქმულება კი არა, დ ე ა

წლიც რომ ყოფილა, სოლონის ნათქვამის თანახმად, ამ ქალაქის მიერ ჭეშმარიტად გაწეული ოდესღაც?

კრიტიასი. მე გამცნობ ძველისძველ გაღმოცემას, არ ყმაწვილი კაცისაგან სმენილს, რამეთუ იმხანად კრიტიასი, მისივე თქმით, ოთხმოცდაათ წელს იყო მიტანებული, ხოლო მე ათის თუ ვიქნებოდი“.

როგორც ჩანს, კრიტიასი ზეპირად ჰყვებოდა ამბავს. ამ გამოსვლისთვის წუხელ მომზადებულიყო, გუშინდელი საუბრის შემდეგ. ეგონა — რიგიანად ვერ აღვადგენო ესოდენ დიდი ხნის წინათ მოსმენილს. მაგრამ „ბავშვობაში შეთვისებულ ამბებს, ნათქვამის არ იყოს, ჩალაც ჯადოსნური ძალა ჰქონიათ“ ამიტომ სოლონის მონათხრობი კრიტიასმა დაწვრილებით გაიხსენა. „კრიტიას უფროსი გულითადად განმიმარტავდა ყოველ კითხვას, რომლითაც მივმართავდი ხოლმე დროდადრო; ასე რომ წარუშლელად აღმებეჭდა ყოველივე“.

აჰრიგად, სოლონის ნაამბობი იმ „ამბობებათა და სხვათა ჰირთა გამო, რაიც აქ დახვედრია“ ეგვიპტიდან დაბრუნებისას, ამბავი, რომელიც მანამდე არსად გამოქვეყნებულა და ას ორმოცდაათი წლის განმავლობაში ოჯახის საიდუმლოებად ინახებოდა, პირველად ითქვა საჯაროდ დღესასწაულზე სოკრატესთან შეყრილი კარგადალი ხალხის თანდასწრებით. კრიტიასმა ბავშვობისას დამახსოვრებული სოლონის სიტყვებით გაღმოსცა ეს ამბავი.

„ეგვიპტეში, დელტაზე, რომლის კუთხედაც ნილოსის მდინარეა განიკვეთება, მღებარეობს საისის ოლქად წოდებული მხარე...“ — ასე იწყება ამბავი. ამ მხარის მთავარი ქალაქია საისი, სადაც ქალღმერთ ნეითის ტაძარი დგას. ტაძარში მოთავსებულია ბიბლიოთეკა, ხოლო ბიბლიოთეკაში თავმოყრილია წიგნები — პაპირუსის გრაფიკები. საისში ყოფნისას სოლონმა იაზრა — ამ წიგნებში საბერძნეთის ისტორიის საგულისხმო ამბებსაც ბევრს წავაწყდებო. ქურუმნი ყველას როდი ანახებდნენ იმ თავიანთ წიგნებს და, ეტყობა, თავდაპირველად არც სოლონს უმხელდნენ მრავალ რასმე. ეს იქიდან ჩანს, რომ სოლონს ერთი ფანდის გამოყენება დასჭირვებია.

„ერთხელ ძველთა ამბავთა გამო ქურუმების სასაუბროდ

განწყობის მოსურნე სოლონე საბერძნეთის წარსულს გადას-
 წვდა: ეგრეთ წოდებული პირველი ფორონევისისა და ნიობეს
 შესახებ ჩამოუგდო სიტყვა, მერე წარღვნის მომდევნო ამბები
 გაიხსენა, დეკალიონი და პირა, მათი გადაარჩენა; მათს შთამო-
 მავლობას ჩამოჰყვა და დროის თვალის გამდევნებელი ცლი-
 ლობდა განესაზღვრა — რამდენი წელი გავიდოდაო მას შემ-
 დეგ. გარნა ამის თაობაზე ერთი მიხრწნილი ქურუმი გაეპასუ-
 ხა: „ო, სოლონ, სოლონ! თქვენ, ელინნი, მუდამ ბალები ხართ
 და ასაკოვანი ელინი არც კი იპოვება“. ამის გამგონე სოლონი
 შეეკითხა: „ეს როგორ? რის თქმა გნებავს?“. „თქვენს ყველანი
 ყრმანი ხართ სულით,—მიუგო ქურუმმა.—რამეთუ სულსა ში-
 გან ერთი არ მოგეძევებათ ძველ თქმულებას დაფუძნებული
 ხანმოთეული თვალსაზრისი ან ჟამთასვლის მხცით შემოსილი
 რაიმე ცოდნა. ხოლო მიზეზი ამისა შემდეგია. მრავალი სხვადა-
 სხვაგვარი კატასტროფა დასტყდომიათ თავს და კვლავაც და-
 ატყდებათ კაცთა; ამათგან უდიდესნი ცეცხლისა და წყლი-
 საგან აღიძვრიან, სხვანი, უფრორე მსწრაფლწარმავალნი, —
 მრავალთა სხვათა მიზეზთაგან. თქვენც ხომ გაქვთ თქმულება,
 თითქოს ოდესმე ფაეტონს, მზის ძეს, მამამისის ეტლი მიეშვას
 ცაზე, გარნა მამამისისავე გზით ეტლის წარმართვის ვერშემ-
 ძლებელს ქვეყნიერებაზე ყოველივე გადაებუგოს და თავადაც
 დაღუპულიყოს ელვათაგან ენებული. რაღა თქმა უნდა, ეს მითის
 სახით არის მოთხრობილი, მაგრამ მითში ის ქვეშარიტებაა და-
 ფარული, რომ ცათა შინა და დედამიწის ირგვ-
 ლივ მბრუნავნი მნათობნი გზას ასცდებიან
 ხოლმე, და, გრძელი ჟამი რომ გამოხდება,
 ძლიერი ცეცხლი ქვეყნად ყოველსავე გა-
 დაბუგავს. მაშინ მათა, მალალ და მშრალ ადგილთა
 მკვიდრნი უფრორე მოსწყდებიან, ვიდრე მდინარისა და ზღვის-
 პირელნი. ჩვენ რაც შეგვეხება, სხვა შემთხვევებშიც ჩვენი
 მფარველი ნილოსი ამ უბედურებისგანაც გვიფარავს. ხოლო
 როდესაც ღვთაებანი დედამიწის განსაწმედად კვლავად წარღვ-
 ნას მოუვლენენ ხოლმე მას, მაშინ მათა ბინადარი მწყემსნი
 შველიან თავს, თქვენი ქალაქების მკვიდრთ კი წყლის ნაკადე-
 ბი ზღვაში ჩაღუკავს. გარნა ამ ქვეყანაში არც მაშინ და არც
 რომელსამე სხვა დროს წყალი ველებს ზემოდან არ გადმოედ-

ნება, პირიქით, ჩვეულებრივ ქვემოდან ეძალევა ხოლმე. ამის გამოა და ამ მიზეზით, რომ აქ, ამბობენ, უხსოვარი დროიდან ყოველივე შემონახულიაო. ოღონდ საქმე შემდეგშია: ყოველ მხარეში, სადაც კი გარდარეული სიცივე ან სიციხე არაა დამაბრკოლებელი, დიდი თუ მცირე რაოდენობით ხალხი ცხოვრობს ყოველთვის; და რაც კი მშვენიერი, დიადი და შესანიშნავი მომხდარა თქვენში თუ აქ, ან რომელსამე სხვა ადგილას, რის თაობაზეც ხმა მოგვწვდენია, უძველესი დროიდან ყველაფერი ჩაწერილია და აქ ინახება ტაძრებში. ხოლო თქვენა და სხვა ხალხებს, როგორც კი დამწერლობა თუ საამისოდ საქირო სხვა საშუალებები მოგიმძლავრდებათ, განსაზღვრული ხანის შემდეგ, თითქოს რაიმე სენი ყოფილიყოს, ცით თავს დაგატყდებათ ხოლმე ღვარები და უწიგნურთა და უბირთა გარდა ცოცხალს აღარავის ტოვებს; ასე რომ თათქოს კვლავ გაქაბუკდებით ხოლმე და ხსოვნაში ველარაფერს ინახავთ იმისგან, რაიც ძველთაძველ დროს მომხდარა. აი, ახლაც, შენ რაც მოგვითხრე, სოლონ, თქვენი ძველი თაობების ამბავი, ბალღური წილადობილადან მაინცდამაინც არ გამოირჩევა: უწინარეს ყოვლისა, თქვენ ერთი წარღვნა გახსოვთ მხოლოდ, თუმცაღა მანამდე რამდენიმე სხვაც იყო; შემდგომ ამისა, თქვენ არც კი უწყით, რომ თქვენს ქვეყანაში ბინადრობდა კაცთა შორის უმშვენიერესი და უსრულქმნილესი ტომი, რომლისგანაც წარმოსდგებით შენცა და ყველა თქვენიანიც. ეს ამბავი იმიტომ ვერ გეუწყათ, რომ იმ ტომის გადაარჩენილი ნაწილი მრავალი თაობის მანძილზე უწიგნურად გადაეგო. ოდესღაც, სოლონ, წარღვნის დიდ კატასტროფამდე, აწინდელ ათენელთ ჰქონდათ სამხედრო საქმეებში უმაგრესი ქალაქი; თავისი კანონმდებლობით ფრიად გამოირჩეული. იმ ქალაქს მიეწერებთან უმშვენიერესნი საქმენი და უმშვენიერესი სამოქალაქო წყობილება ყველა იმათგან, რაც კი მზისქვეშეთში არსებულა ჩვენამდე მოღწეულ ხმათათანახმად“.

ეს რომ მოისმინა, სოლონი, მისივე თქმით, განცვიფრდა და ქურუმებს გულით შეეხვეწა — დალაგებულად და წვრილად მიაგებეთო ჩემთა გარდასულ თანამოქალაქეთა საქმენი. ქურუმმა მიუგო: „არაფერს დაგიძალავ, სოლონ, ყოველივეს მოგი-თხრობ შენი ხათრითაც, თქვენი ქალაქის ხათრითაც, ხოლო

უფრო რე იმ ქალღმერთის ხატობით, რომლის წილხვედრომილიცაა თქვენი ქალაქიცა და ჩვენიც; მან დააფუძნა ორივე, ოღონდ თქვენი ათასი წლით ადრე გეასა და ჰეფესტოს თესლით დაამკვიდრა, ხოლო ჩვენი — შემდგომში. აქაური ქალაქის დაფუძნების დროდ ჩვენს საღვთო წერილებში რვა ათასი წელია მინიშნებული. ცხრა ათასი წლის წინათ მცხოვრებ შენს თანამემამულეებს რაც შეეხება, განგიმარტავ მათს კანონებსა და უსაჩინოესს მათ მიერ ქმნილ საქმეთაგან. უფრო წვრილად სხვა დროს გამოვიძიოთ ყოველივე, მოცლილობის ეამს, თან ჩანაწერებსაც ჩაუხედოთ. მათი კანონების ამბავი აქაურ კანონთა მიხედვით გართვალისწინე, რამეთუ აქ ახლა მრავალ რასმე ჰპოვებ იმის ნიმუშად, რაც თქვენში მაშინ ყოფილა დანერგილი: უწინარეს ყოვლისა, ქურუმთა კლასს ჰპოვებ, სხვა წოდებათაგან გამოცალკეებულს; მერმე მხატვართა კლასს, ყოველი ცალკეული ხელოვნების მიხედვით მომუშავეს ერთიმეორეში შეუტრევენლად; შემდგომ ამისა — მწყემსთა, მონადირეთა და მიწისმოქმედთა წოდებებს; მხედართა კლასიც, როგორც ზედავ, სხვა წოდებათაგან გამოყოფილია და მათ კანონი უწესებს სხვა არაფრისთვის იზრუნონ სამხედრო საქმეზე მეტად. საქურველიც იმგვარივე აქვთ — ფარნი და შუბნი; ამ იარაღით აზიის მკვიდრთაგან ჩვენ პირველნი შევიჭურვეთ იმ ქალღმერთის ბრძანებით, ვინც ხალხს ასწავლა მისი ხმარება როგორც ამ ქვეყანაში, ისე თქვენთანაც. გონიერებას რაც შეეხება, თავადაც ზედავ, როგორი მზრუნველობა გამოიჩინა მის გამო კანონმა აქ იმთავითვე, დასაბამიდან, როგორ განახვანა ყოველნი გზანი სამყაროს შესაცნობად, თვით განათლებიანა და ჯანმრთელობის გამო მზრუნველი მეცნიერებანი, როგორ მიუსადაგა ეს საღმრთო ცოდნა კაცობრიულ მიზნებს და ამ მეცნიერებებთან მიახლოებულ ყველა სხვასაც დაეუფლა. აი, ამგვარი წესწყობილება დაამკვიდრა იმხანად ქალღმერთმა და პირველთ თქვენ მოგმადლათ იგი; თქვენი საცხოვრისიც მანვე შეარჩია, — ის მხარე, საიდანაც თქვენ წარმოსდგებით, — გული რა შეიჭრა — ჰავის იქაური კეთილშეზავება უგონიერეს მამაცთ წარმოშობსო.

ომისა და სიბრძნის მოყვარულმა ქალღმერთმა ისეთი მხარე შეარჩია, რომელსაც მისდამი უფრო რე მიმსგავსებული

ვაეკაცნი უნდა წარმოეშვა, და თავდაპირველად ის მხარე დაასახლა სწორედ. იქ მკვიდრობდით თქვენ, იმ კანონებით სარგებლობდით და თქვენს ყოფას სრულქმნიდით, ისე რომ ყოველგვარი სათნოებით ყოველ ხალხს აღემატეთ, როგორც ღვთის შვილთ და აღზრდილთ შეგშვენოდათ.

საკვირველნი არიან აქ შემოარჩენილი აღწერილობანი თქვენი ქალაქის მრავალთა დიდთა საქმეთა, გარნა უგამოჩენილესი და უმამაცესი ერთთა მაინც. წერილნი გვამცნობენ, ატლანტის ზღვის მხრიდან მთელს ევროპასა და აზიაზე კანდიერად აღძრული როგორი ძალა დაუოკებია ოდესმე თქვენს ქალაქს. მაშინ ეგ ზღვა სანაოსნოდ ვარგისი იყო, რადგან შესართავს იქით, თქვენ რომ თქვენებურად ჰერაკლეს სვეტებს უწოდებთ, კუნძული მდებარეობდა. ის კუნძული ლიბიისა და აზიის, ერთად აღებულს, უდიდესი იყო, და მისგან მეზღვაურთ გზა ჰქონდათ ხსნილი სხვა კუნძულებისკენ, ხოლო იმ კუნძულთაგან — მთელი გაღმა მდებარე მატერიკისკენ, რომელიც იმ ჰემსპარიტი პონტოს შემოსაზღვრავდა. რამეთუ შესართავის შიდა მხარეს ზღვა ყურედ დგას მხოლოდ, მსგავსად ვიწრო გასასვლელისა, ხოლო იმას (რაც გარე მხრითაა) უკვე ნამდვილი ზღვა შეიძლება ეწოდოს, ისევე როგორც მის შემოსაზღვრელ მიწას — ჰემპარიტი და სრული მატერიკი. იმ ატლანტის კუნძულზე შეიქმნა დიდი და მრისხანე სახელმწიფო მეფეებისა, რომელთა მეუფება მთელ კუნძულს, მრავალ სხვა კუნძულსა და მატერიკის ზოგიერთ მხარესაც სწვდებოდა. გარდა ამისა, ისინი გამოღმა მხარესაც ფლობდნენ ლიბიას ეგვიპტემდე და ევროპას ტირენიამდე. ეს სახელმწიფო შენივთდა და მოიწადინა ერთი დაკვრით დაემორჩილებინა თქვენი ქვეყანაც, ჩვენიც, და შესართავის გამოღმა მდებარე მთელი სივრცეც. აი, მაშინ ყველა ხალხის წინაშე ისახელა თავი თქვენი ქალაქის მხედრობამ სიმამაცითა და სიმტკიცით. გულოვნებითა და საომარ ხერხთა ცბიერებით სხვათაგან გამორჩეული თქვენი ქალაქი ხან ელინთა წინამდგომად იბრძოდა, ხანაც, სხვათა უკუქცევისას, მტერს მართოდ ერკინებოდა და უკიდურეს საფრთხეში იჭდებდა თავს. მაგრამ საბოლოოდ მაინც სძლია მოძალებულ მტერებს, გამარჯვება

იზიმა, ჯერ დაუმონებელთა დამონებას წინააღმდეგ და, საერთოდ, ჩვენ ყველას, პერაკლეს ზღვართა გამოღმა მცხოვრებთ, თავისუფლება დაგვიმკვიდრა.

ხოლო შეზღვრვამა ესა, ოღეს საზარელი მიწისძვრანი და წყლით რღვენანი მძვინვარებდნენ, ერთ დღესა და ავბედითს ღამეში მთელი თქვენი მზებრობა ერთიანად უფსკრულს დაინთქა და კუნძული ატლანტიისიც გაუჩინარდა, ზღვაში ჩაძირა. ამიტომაა იქაური ზღვა დღესდღეობით სანაოსნოდ გამოუსადეგარი და გამოუყვლეველი: ნაოსნობას აფერხებს შემდგარი ლაფის სიმრავლე, რაიც ჩაძირული კუნძულის შემდეგ დარჩენილა.

შენ მოისმინე, სოკრატე, მოკლედ მონათხრობი ავბაეი, რომელიც, სოლონის მიერ გადმოცემული, გვარქვა მოხუცმა კრიტიასმა“.

კრიტიასმა დამსწრენი გააფრთხილა — თბრობას გავაგრძელებო ტიმეოსის მოხსენების შემდეგ, რაც უნდა იყოს, დღის წესრიგის მთავარი პუნქტი ეს მოხსენება არისო. სოკრატემ კრიტიასს მადლი მოახსენა და თქვა:

„ამის უმჯობესი სხვა რა ამოცანა უნდა შევარჩიოთ, როცა ეს თავისი შინაარსით ესოდენ ჩინებულად უახლოვდება ქალღმერთისათვის განსაკუთრებულ აწინდელ ზორვას? ისიც ძალზე ნიშანდობლივია. რომ ეს მონათხრობი მოჭოროლი ზღაპარი კი არ არის, არამედ ნამდვილი ამბავი. ამ თქმულებებზე უარი რომ ვთქვათ, სხვები როგორღა და რანაირად უნდა მოვიპოვოთ? ევ შეუძლებელია; არა, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, თქვენ უბნობა გმართებთ, მე კი გუშინდელ განსჯათა ჯილდოდ ახლა მშვიდად უნდა გისმინოთ“.

სოკრატემ სიტყვა მისცა მთავარ ორატორს — ტიმეოსს (ვისი სახელიც ამ დიალოგს შეარქვა პლატონმა) და თქვა:

„ასე რომ, ტიმეოს, ღვთაებათა მიმართ ხმობას რა აღასრულებ წესისამებრ, სიტყვა შენზე იქნება“.

ტიმეოსის მოხსენება ჩვენთვისაც, მეოცე საუკუნის ადამიანებისთვისაც კი იმდენად დახვანჯულია, იმდენ უცნაურობას შეიცავს, მისი მოსმენისას ბერძენთა თუ სხვა ხალხთა ყველა

ღვთაება უნდა მოგვეხმო ჩვენდა შემწედ. თუმცა იმ შეკრების დამსწრეთ, ეტყობა, სხვა აზრი ჰქონდათ ამ საკითხზე.

ჩვენ მაინც საჩქაროდ გადავფურცლოთ „ტიმოსის“ უკანასკნელი ასი გვერდი და შეკრების მომდევნო დღის ანგარიშს მივმართოთ. ამჯერად ოქმი ჩვეულებრივს პროცედურულ ფორმლობებს აღარ შეიცავს, საუბრის (მოსაუბრეთა შემადგენლობა იგივეა) გადმოცემა იწყება პლატონის სტილის კვალობაზე მოკლე (სულ სამგვერდიანი!) აღწერით ორატორიისთვის სიტყვის მიცემის ცერემონიისა. ჰერმოკრატე კრიტიკას ურჩევს შემწედ უხმოს ღმერთ პეონსა (ამ შემთხვევაში აპოლონს) და მუხებს. კრიტიკას წინადადება შემოაქვს — სხვათა ც მოვუწოდოთო, მათ შორის მუხათა დედას — მეხსიერების ქალღმერთ მნემოსინეს.

მე მგონია, მკითხველნი არ მიწყენენ, თუკი მცირე ხნით შევწყვეტთ პლატონის კითხვას — და, ვიდრე შემდგომს დიალოგს მივმართავდეთ, რამდენსავე აუცილებელ განმარტებას წარმოვადგენთ.

წესი მოითხოვს ითქვას, რომ განსხვავებული შრიფტი „ტიმოსის“ ნაწყვეტებისთვის ისე შეირჩა, მისმა ავტორმა არ იცოდა ეს ამბავი და არც თანხმობა გექონია მისი, ოღონდ უეჭველია — რომ სცოდნოდა, უარით არ გაგვაწილებდა. ეს განსაკუთრებით ითქმის პლატონის იმ სიტყვათა მისამართით, რომლებითაც გვარწმუნებს — მოთხრობილი ამბავი სინამდვილეაო. ატლანტისის ადგილმდებარეობის მიმნიშნებელი ფრაზებიც ხაზგასმულია; ამ საკითხს მომდევნო თავებში არაერთხელ დავუბრუნდებით.

კიდევ რა არის განსამარტავი?

ეგვიპტისა და ათენის სახელმწიფოთა დამაარსებელი ქალღმერთი არის ნეითი, ეგვიპტური თქმულებებით ბერძენთა ათენას მსგავსი. ეს ორივენი თავიანთი სახელითაც და ხასიათისთვისებებითაც ჰგვანან იმ ქალღმერთს, რომლის კულტიც აზიასა და ბაბილონში იყო გაბატონებული. ნეითი ეგვიპტურ ღვთაებათა უძველეს დასს ეკუთვნის, მისი კულტი დინასტიამდელ ხანაში, მატრიარქატის ეპოქაში შეიქმნა. ათენასა და ნეითის მსგავსებას უკვე ესქილე მიუთითებდა. ათენასაც აქვს მატრიარქატის დროინდელი ქალღმერთისთვისებები. ათენას

სახელი ეწოდა მისი საყვარელი სახელმწიფოს დედაქალაქს. ათენას კოსმოპოლიტური თვისებები მიმნიშნებელია საბერძნეთის პირველ მკვიდრთა კავშირისა ნილოსისა და ევფრატის ხეობების მცხოვრებლებთან.

ამასთან, კიდევ ერთ მსგავსებას უნდა მიეჭყეს ყურადღება: ბერძნულ თქმულებათა თანახმად, ათენა შექურვილი, ფარშუბოსანი იშვა ზევსის თავიდან. იეროგლიფურ დამწერლობაშიც გადაჯვარედინებულ ისრებიანი ფარი იყო ნეთის ემბლემა.

ათენთან ეგვიპტის ძველ კავშირს ბერძნული მითებიც მიუთითებენ. ამ თქმულებათა მიხედვით, ოდესღაც გორაკზე — ათენის უძველეს უბანში — დასახლებულა საისიდან (ეგვიპტე) წამოსული კეკროპსი, ნახევრად კაცი და ნახევრად გველი. ათენი ათენასა და პოსეიდონის წაკიდების მიზეზად ქცეულა. მოქიშპეთა შესარიგებლად ზევსს უბრძანებია — თითო სასწაული მოახდინეთ, ხოლო კეკროპსმა ეს სასწაულები შეაფასოს და მანვე გადაწყვიტოს, რომელი თქვენთაგანი იქნესო ქალაქის მფლობელი. ქალღმერთს ზეთისხილის ხე შეუქმნია და მსაჯულს მისი სასწაული უფრო მოსწონებია. ხოლო პოსეიდონმა დიდი ვერაფერი მახვილგონიერება გამოიჩინა თურმე — კლდისთვის სამკბილა უხეთქია და იქიდან წყალი გადმონთქრეულა.

ათენასა და პოსეიდონის წაკიდების ამბავი უმიზეზოდ არ გავიხსენებია: ოკეანის მეუფე პოსეიდონი, თანახმად პლატონის დიალოგისა (რომლის კითხვაც ჩვენ მცირე ხნით შევწყვიტეთ), ატლანტისის მფლობელიც გახლდათ. ეტყობა, ამ მითს, რომელიც, რაღა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე პლატონის თხზულება, შემონახული უნდა ჰქონდეს ათენელთა ატლანტელებთან ბრძოლის ბუნდოვანი ხსოვნა.

სოლონისა და მისი საისელი თანამოსაუბრის მიერ ხსენებული წარღვნა ბერძნულ მითოლოგიაში დევკალიონის წარღვნად იწოდება. ზევსს განუზრახავს ამ წარღვნით დაესაჯა შემცოდე კაცობრიობა. დევკალიონი და პირა ხანდაზმული ცოლქმარნი არიან, ამ უბედურებას გადაარჩენილნი.

სოლონმა ფორონევსი და ნიობეც მოიხსენია. მათ ცოტათი ქვემოთ მივუბრუნდებით.

მომდევნო თავებში ფაქტონის მიზანსაც განვიხილავთ; ახლა ის აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ეს მითი დიდ როლს ასრულებს თანაზროულ ატლანტოლოგიაში, რამდენხდაც კოსმოსური მასშტაბის რალაც კატასტროფას მიგვითითებს.

ლიბია ძველად აფრიკას ეწოდებოდა. ცხადია, ისიც იცოდნენ, რომ ეს მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილი იყო აფრიკისა. სახელწოდება „აზია“ ოდენ მცირე აზიას აღნიშნავს. პერაკლეს სვეტები აწინდელი ჰიბრალტარის სრუტეა. ტირენია, იმხანად ეტრურიად წოდებული, არის იგივე ტოსკანია, იტალიის ჩრდილოეთი პროვინცია. იქ სახლობდა უცნობი წარმომავლობის ხალხი, რომლის ენაც ინდოევროპულ ენათა ჯგუფს არ განეკუთვნება.

ატლანტის ზღვა და ატლანტისი...

იმიტომ არის ეს ზღვა „ატლანტისა“, რომ ატლანტისი იქ მდებარეობდა, თუ პირუკუ — კუნძულს „ატლანტისი“ იმიტომ ერქვა, რომ ატლანტის ზღვაზე იყო განფენილი?

დღესდღეობით ფართოდ არის გავრცელებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ოკეანემ სახელწოდება მიიღო ატლანტის მთაგრეხილიდან (აფრიკის ჩრდილო-დასავლეთში). თავის მხრივ, იმ მთებს ეს სახელი შეარქვეს ტიტან ატლანტის პატივსაცემად. ბერძნული მითების თანახმად, ატლანტი სწორედ იმ ადგილას შესდგომოდა თავისი მხარბეჭით ცარგვალს.

„ატლანტის ზღვა“ პერაკლეს სვეტების მიღმა მდებარე ზღვის სახელად პირველად პეროდოტესთან გვხვდება. მანამდე უბრალოდ „გარე ზღვას“ ან „ოკეანეს“ იტყოდნენ ხოლმე. ამ ფაქტს უაღრესი მნიშვნელობა აქვს პლატონის თხზულების გასაანალიზებლად.

სოლონის დროს ხალხს დედამიწა შუაში ცოტათი ამობორცვილი მრგვალი კვერის სახით წარმოედგინა; მათი ფიქრით, საბერძნეთი სწორედ იმ ამობორცვილ ადგილას მდებარეობდა, სამხრეთით „ლიბია“ იყო, აღმოსავლეთით — ეგვიპტე, ფინიკია და მცირე აზია; ჩრდილო კიდურზე შავი ზღვა და კარპატები გაზლდათ; იმდროინდელი ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარს ატლანტის მთები და პერაკლეს მიერ ქმნილი სვეტები განასრულებდა. მთელი ეს ქვეყნიერება გარემოცული იყო ოკეანით, რომელიც ზოგჯერ დიდ მდინარედაც მიაჩნდათ. ამ „ქვეყნიე-

რების“ შემოქმედი იყო ძველი დროის უდიდესი პოეტი, „ილიადის“ ავტორი ჰომეროსი.

ჰეროდოტეს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 484—425 წლები) „ქვეყნიერება“ გაცილებით ვრცელია უკვე-არც არის საკვირველი — სოლონის დროიდან ას ორმოცდაათი წელი გასულა. მართალია, ჯერაც ასე ეგონათ — დედამიწა დამხობილი, წყლით გარემოცული ჯამია, რომლის შუაშიც საბერძნეთი განფენილაო. გარნა ჰეროდოტეს ქვეყნიერების განაკიდებებში ჩვენ უკვე ვხედავთ, გარდა „აზიისა“, ინდოეთს (აღმოსავლეთით), ეთიოპიას (სამხრეთით) და ყინულებით მოცულ სკვითთა ქვეყანას (ჩრდილოეთით). მხოლოდ დასავლეთის საზღვარი — ჰერაკლეს სვეტები — დარჩა უცვლელი. მაგრამ ჰეროდოტემ იცის, რომ შესაძლოა ლიბიის (აფრიკის) ირგვლივ ცურვა ჰერაკლეს სვეტებიდან მეწამულ ზღვამდე: მას უკვე სმენია ამბავი ფინიკიელთა ექსპედიციისა ფარაონ ნეხოს დროს.

და მხოლოდ პლატონის მოწაფემ არისტოტელემ (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 384—322 წლები), ჰეროდოტეზე ასიოდუ წლით გვიან მცხოვრებმა, იმავე საბუთებზე დამყარებით, რომლებსაც სასაკლო სახელმძღვანელოთა დღევანდელი ავტორებიც იშველიებენ ხოლმე, დაადგინა, რომ დედამიწას სფეროს ფორმა ჰქონია. პლატონმა, ცხადია, იცოდა, დედამიწა სფეროსებური რომ არის. ამას ტიმეოსის პირით ამბობს პლატონი თავის დიალოგში.

ამრიგად, ეჭვი აღიძვრის — მართლა იხმარა თუ არა სოლონმა ტერმინი „ატლანტის ზღვა“. ან სწორედ ამ სახელწოდებას ხმარობდნენ თუ არა ეგვიპტელი ქურუმნი სოლონის საიის ყოფნის დროს? მეორე დიალოგი გვამცნობს — ეგვიპტელი ქურუმების მიერ ნახსენებ ატლანტთა სახელები სოლონმა ბერძნულად „თარგმნაო“, რაც იმას ნიშნავს, რომ ეგვიპტურ ვერსიაში სხვაგვარად ეღერდა ეს სახელები.

მეორე ეჭვი ატლანტისის აღგილსამყოფელს უკავშირდება. ვთქვათ, სოლონს მართლა ეხმაროს ტერმინი „ატლანტის ზღვა“. მთელ ოკეანეს გულისხმობდა სოლონი, დღეს ატლანტის ოკეანედ წოდებულს, თუ მხოლოდ ნაწილს მისას ჩრდილო აფრიკაში მდებარე ატლასის მთათა მახლობლად? ზოგი-

ერთი ატლანტოლოგი ატლანტისად გულისხმობს აფრიკის კონტინენტზე, პირენეს ნახევარკუნძულსა თუ დღესდღეობით არსებულთაგან ერთ-ერთ კუნძულზე განფენილ რაიონებს.

ასეთი ან ამდაგვარი მოსაზრებები აღიძვრის პლატონის დიალოგთა კითხვის კვალობაზე, და ზოგჯერ ფანტასტიურ დასკვნებამდეც მიყვართ ამ მოსაზრებებს. ისეთი ხალხიც აღმოჩნდა, ვინც ამჟამად ცნობილ ყველა კონტინენტზე „მიაკვლია“ ატლანტისს, არქტიკისა და ანტარქტიკის გამოუკლებლად. ეს არ შეესაბამება პლატონის მიერ მოთხრობილ ამბავს. „სხვა კუნძულებისა“ და „გალმა მდებარე“, „იმ ჰემსპარიტი პონტის შემომსაზღვრელი მატერიკის“ პირდაპირ დასახელება (იხილეთ ზემოთ ტექსტში კურსივით გამოყოფილი ადგილები) თვალნათლივ მოწმობს, რომ ოკეანეში მდებარე კუნძულს ეხება საქმე. ამ ნაწყვეტის კითხვისას ჩვენს თვალწინ ცხადად წარმოიხატება სოლონის, პლატონის, არისტოტელესა და თვით უფრო გვიანდელ გეოგრაფთათვისაც ლამის ორი ათასი წლის განმავლობაში უცნობი ამერიკის ნაპირი¹.

ჯერჯერობით მაინც გადაუჭრელი დავტოვოთ ჩვენი ეჭვები — მათ სხვა მასალათა განხილვის შემდეგ მოვუბრუნდებით კვლავ — და პლატონის კითხვა განვაგრძოთ.

„უწინარეს ყოველთა გავიხსენოთ, — ასე იწყებს თავის ამბავს კრიტიასი პლატონის მეორე დიალოგში, — რომ ცხრა ათასამდე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჰერაკლეს სვეტების გაღმა-გამოღმა მცხოვრებთ ომი ჰქონდათ ერთმანეთში“.

იმხანად ორი სახელმწიფო არსებობდა — საბერძნეთი და ატლანტისი. სხვა ხალხები ერთ-ერთ მათგანს ემორჩილებოდნენ; „ერთ მხარეს ეს ქალაქი ედგა სათავეში, ხოლო მეორეს კუნძულ ატლანტისის მეფენი წინამდგომობდნენ. ატლანტისის

¹ შესაძლოა პლატონს რაღაც ცნობები მოეპოვებოდა ატლანტის ოკეანის გაღმა მდებარე მატერიკის შესახებ. ეს ცნობები ეტრუსკ მეზღვაურთაგან შეეძლო მიეღო იმ დროის უდიდეს ქალაქსა და სავაჭრო ცენტრში — სირაკუზში ყოფნისას. საფუძველს მოკლებული არაა იტალიელი მეცნიერის ჩელის მოსაზრება; რომ ეტრუსკებს უნდა სცოდნოდათ ამერიკის არსებობის ამბავი — შესაძლო იყო გრივალს ამ კონტინენტამდეც გადაესროლა მათი ხომალდები. ოკეანის გაღმა არსებულ ვეება მატერიკს ასხენებს აგრეთვე პლატონზე ცოტათი უფრო გვიან მცხოვრები ბერძენი გეოგრაფი თეოპომპე. — რუსული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.

კუნძულით, ვთქვით ჩვენ, ოდესღაც ლიბიისა და აზიის უდიდესი იყო, მიწისძვრათა შემდეგ კი დაიწია და გაუვალი წლამი დატოვა, ისე რომ მენავენი აქედან გარე ზღვამდე ვეღარ აღწევენ“.

ღვთაებათა შორის ქვეყნიერების დანაწილებისას საბერძნეთი, როგორც უკვე ვიცით, ათენას ხედა წილად; პოსეიდონმა ატლანტისი ირჩია. ღმერთებმა „ირგუნეს, რაც უფრო ექაშნიკებოდათ, ქვეყნად-ქვეყნად დაემკვიდრნენ, და, რა დაემკვიდრნენ, ისე გვზრდადნენ ჩვენ, ვითარცა მწყემსი ფარას...“

ადამიანებმა დაივიწყეს, როგორი წყობილება იყო ამ სახელმწიფოებში ძველად. ახალმა თაობებმა ყურმოკვრითლა იცოდნენ თავ-თავიანთი მიწის მფლობელთა სახელები და საქმენი მათნი, მაგრამ ესეც კი ბუნდოვნად ჰქონდათ წარმოდგენილი, რამეთუ, უწინარეს ყოვლისა, არსებობის პურის მოპოვებისთვის ბრძოლით იყვნენ გართულნი, ხოლო „გარდაძოცემათა და სიძველეთა ძიების სულისკვეთება ქალაქებში მოცალებობასთან ერთად დამკვიდრდა...“

ამას მოსდევს ათენელ მოქალაქეთა საქმიანობისა და მათი მიწა-წყლის დაწვრილებით აღწერა. ნაამბობისთვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად სოლონი ნახევარკუნძულის გეოლოგიურ ისტორიასაც ჰყვება.

„ამიტომ დიდთა წყალდიდობათა სიმრავლისას, რაც ხდებოდა ცხრა ათასი წლის მანძილზე, — რადგან იმ დროიდან დღემდე ამდენი წელიწადია გასული, — ასეთ ვითარებაში მალეიდან ჩამოშლილი მიწა აქ კი არ ხვავდებოდა, როგორც იცის ხოლმე სხვა ადგილებში, არამედ სიღრმედ ჩაინთქრეოდა ყოველი მხრით ჩამორეცხილი. ახლა რაც არის დარჩენილი, მაშინდელთან შედარებით, როგორც მცირე კუნძულებმა იცის ხოლმე, თითქოს ჩონჩხიდაა ვეება სხეულისა, რადგან რაც კი ნოყიერი და რბილი იყო შიგ, იმ მიწასთან ერთად ჩაირეცხა და გაძვალტყავებული სხეულიდა დარჩა. მაშინ-კი ჯერაც წაუხდენელს აწინდელ ბორცვთა ადგილას მაღალ-მაღალი მთები ედგა ეგრეთწოდებულ ფელევასის ხეობაში, პოხიერი კორდები ამშვენებდა, ხოლო მთები ტყით ჰქონდა დაბურული და ნატყევეარები დღემდეც შეინიშნება. მათათგან ზოგიერთი ახლა ფუტკარს თუ გამოზრდის თავისი ნაყოფით; არც ისე დიდი

ხნის წინათ კი სახურავებიც ჩანდა, ისეთ ხეთაგან ნაგები, რომლებიც დიდებული შენობებისთვის იჩეხებოდა ჩინებულ სამშენებლო მასალად. სხვა მშვენიერი და მაღალ-მაღალი ხეებიც მრავლად იყო, საქონლის საკვები ხომ უხვად იპოვებოდა. ამასთან, ქვეყანა მაშინ ზეციური წვიმებით ირწყვებოდა ყოველწლიურად და წყალი ისე კი არ იკარგებოდა, როგორც დღეს ჩაედინება ზღვას მოტიტვლებული მიწიდან; არა, ნიადაგი წყალს უხვად შეისრუტავდა, თიხნარ შრეებში დაახანებდა, შემდეგ დაბლობებისკენ მიუშვებდა შთანთქმულ წყალს და ყველგან წყლის უხვ ნაკადებს ბადებდა წყაროებად და მდინარეებად, რომელთაგან დღესაც კი ოდესღაც დიდრონ ნაკადთა ადგილას წმიდა ნიშნებია დარჩენილი და გვიდასტურებს, რომ სიმართლეს ვყვებით ამ ქვეყნის შესახებ“.

ამგვარი იყო პელოპონესის ნახევარკუნძული და ათენი, ვიდრე „ერთ დელგმიან ღამეს ნიადაგი სულ არ გაღღვა და მიწისგან არ განიძარცვა, ამას ზედ მიწისძვრაც დაერთო და პირველად მოხდა დეკალონის წარღვნამდე მესამე საზარელი მოვარდნა წყალთა. ძველად კი, სხვა დროს, იგი ერიდანდნად და ილისიდან იყო განფენილი, პნიქსის მომცველს პნიქსის საპირისპირო მხარეს საზღვრად ლიკაბეტე ჰქონდა და მთლიანად მიწით იყო შემოსილი მცირეოდენ ადგილთა გარდა. მისი გარე ნაწილები ღერადობების ძირას დასახლებული იყო ხელოსნებით და იმ მიწისმოქმედი ხალხით, ვისი ყანებიც ახლომახლო მდებარეობდა, ხოლო ზემოთ, ათენასა და ჰეფესტოს ტაძართან, განცალკევებულად ბინადრობდა მხედართა წოდება, რომელსაც ყოველივე მესრით ჰქონდა გარემოცული, თითქოს ერთი სახლის ეზო ყოფილიყოს“.

ამ ქვეყანაში „სხეულის მშვენიერებითა და სხვადასხვაგვარი ქველობით“ ევროპასა და აზიაშიც სახელგანთქმული ხალხი ცხოვრობდა. მისი მხედრობის შემადგენლობა („როგორც მამაკაცთა, ისე ქაღთა, ამეამადაც და მომავალშიც ომის შემადგენელი“) რიცხვობრივად მუდამ ერთნაირი იყო, ესე იგი „ოცი ათასამდე მებრძოლს მაინც შეიცავდა“. ათენელთა წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად ატლანტებს მთელი თავიანთი ძალა უნდა მოეკრიბათ.

თავის მონათხრობს ატლანტისის შესახებ კრიტიასი მოკლე


შენიშვნას ურთავს: „ნუ გაგაკვირვებთ ბარბაროსთაგან ბერძნულ სახელთა ხსენება. ამის მიზეზსაც შეიტყობთ. ამ თქმულების თავისი ლექსისთვის გამოყენების მოსურნე სოლონმა სიტყვათა მნიშვნელობა იძია და ნახა, რომ იმ პირველ ეგვიპტელთ ეს სახელები თავიანთ ენაზე თარგმნილი ჩაეწერათ; ამიტომ ყოველი სახელის მნიშვნელობას ჩამხვდარი თავადაც ჩვენს ენაზე თარგმნილად იწერდა ამ სახელებს. აი, ეს ჩანაწერები ჰქონდა პაპაჩემს და მეც შემომჩნა დღეებდუ, ბავშვობაშივე ვკითხულობდი ხოლმე მათ. ასე რომ ჩვენებურ სახელთა მოსმენა ნულარ შეგაცბუნებთ, — მიზეზი ამისა იცით უკვე“.

„კუნძული ატლანტისი წილად რომ ხვდა“, პოსეიდონმა იქ დაასახლა თავისი მოკვდავი ცოლის მიერ შობილი წთამომავალი. ზღვის მბრძიდან შუაგულისკენ ვაკე აღგილი მიუყვებოდა მთელ კუნძულს, ამბობენ, ვაკეთაგან უმშვენიერესი და საკმაოდ ნაყოფიერიცო. ამავე ვაკეზე, ისევ კუნძულის შუაგულისკენ, ორმოცდაათამდე სტადიონის მანძილზე, გარეშემოწერილობით მცირე მთა ყოფილა წამომართული. იმ მთაზე ერთ კაცთაგანს უცხოვრია, დასაბამითვე მიწისაგან შობილს იქ, სახელად ევენორს, თავის ცოლთან — ლევკიპასთან ერთად უცხოვრია; ერთადერთი ასული ჰყოლიათ — კლიტო. გასათხოვარ ასაკს მიტანებულ კლიტოს დედ-მამა დაჰხოცია“.

ადამისა და ევას მსგავსად, ევენორიცა და ლევკიპაც მოკვდავნი იყვნენ. სახელი ევენორი „გულადს“ ნიშნავს, ხოლო ლევკიპა — სიტყვასიტყვით „თეთრ ცხენს“ (უძველეს ღროს პოსეიდონს ცხენის სახით სცემდნენ თავყვანს). კლიტოსადმი ენებაადრული პოსეიდონი „შეეყო მას და ის გორაკი, რომელზეც კლიტო ცხოვრობდა, მტკიცედ შემოზღუდა რიგრიგობით მიყოლებული ზღვის წყლისა და მიწის რკალებით, სახელდობრ, მიწის ორი და წყლის სამი, ერთიმეორეს თანაბრად დაშორებული რკალით, თითქოს შუაგული კუნძულიდან თერძივით გამოეჭრას ისინი, ისე რომ გორაკი კაცთაგან შეუვალი შეიქნას; საიმდროოდ ხომალდები და ზღვაზე ცურვა ჯერაც ზომ არ ყოფილა ცნობილი“.

პოსეიდონის დედაქალაქი გამოსახულია აქ წარმოდგენილ ნახაზზე, რომელიც აღწერილის მიხედვით არის შედგენილი ზუსტად. ნახაზზე ჩანს სისტემა ცენტრალური უბნის შემომ-

გარსველი რკალური არხებისა, ხოლო ცენტრში, გორაკზე მეფის სასახლე იყო აღმართული. ცივ და ცხელ წყაროთა წყალს ბალების მოსარწყავად და სადგომის გასათბობად იყენებდნენ.



ატლანტისის დედაქალაქის გეგმა პლატონის აღწერილობის მიხედვით. მეორე და მესამე შიდა ნავთსადგურებს შორის კუნძულის ნაპირებს კოშკურებიანი ქვის კედლები დაუყვებოდა. იოდრომის განი ერთი სტადიონი იყო. პორტში სანაპიროს კედლებქვეშ დაფარული დოკები იყო მოთავსებული.

პოსეიდონმა „ყოველგვარი საზრდელი საკმარისად მოავლინა მიწით. მამრობითი სქესის ბავშვი ხუთი წყვილი იყოლია — ტყუპები — და მთელი ატლანტისი ათ ნაწილად დაყო“. უფროსი წყვილის პირმშო ვაჟს დედამისის საცხოვრისი მიუჩინა

მიმდგომი სანახებითურთ და ხელმწიფედ გახადა, დანარჩენ ვაჟიშვილებს არქონტობა ებოძათ. პირმშო ვაჟს პოსეიდონმა ატლასი უწოდა, და ამ სახელიდან წარმოდგა სწორედ ქვეყნისა და ზღვის სახელწოდება: „...უხუცესსა და ხელმწიფეს ის მიუბოძა, რისგანაც მთელ კუნძულსაც და ატლანტის ზღვასაც შეერქვათ თავთავისი სახელი, — რამეთუ პირველად გამეფებულ ვაჟს ატლასი ერქვა“. მის მომდევნო ტყუპისცალს, რომელსაც კუნძულის განაჟიღე ხედა წილად ჰერაკლეს სვეტთაგან ვიღრე „გადირის სანახებამდე“, დაერქვა ელინური სახელი ევმელოსი. — ცხვართა მფლობელი, ხოლო მისი უცხოური სახელი — გადირი — ქვეყნის სახელწოდებად იქცა. ტყუპების მომდევნო წყვილთა სახელებია ამფირი და ევემონი, მნისევსი და ავტოქთონი, ელასიპე და მისტორი, აზაისი და დიაპრეპე.

ატლასის მემკვიდრენი განაგრძობდნენ დედაქალაქის შენებას. არხების სისტემა, თავდაპირველად პოსეიდონისა და კლიტოს სასახლის ირგვლივ შემოყოლებულ თხრილთა მაგვარ რასმე რომ წარმოადგენდა, მათ ზღვას შეუერთეს და საპორტო ნაგებობანი აღმართეს. ეს უკანასკნელნი ახლა უკვე აუცილებლობას წარმოადგენდნენ, რადგანაც „მრავალი რამ... ვრცელ არეზე ბატონობის მეოხებით ქვეყნის გარედან შემოუდიოდათ“, — ასე განსაზღვრავს პლატონი ატლანტთა კავშირს დამორჩილებულ ქვეყნებთან. შესაძლოა სწორედ ამგვარი ვითარება იქცა ატლანტთა და ელინთა ომის მიზეზად.

საკუთრივ კუნძულზეც მრავლად იყო განძეული, უწინარეს ყოვლისა — მადანი. გარდა ოქროისა, რომლის ფასიც კარგად იცოდნენ, აქ მოიპოვებოდა აგრეთვე ლითონი, „რომელიც ახლა მხოლოდ სახელით არის ცნობილი, გარნა მაშინ მეტს წარმოადგენდა, ვიდრე სახელია მხოლოდ, — ლითონი... კუნძულის მრავალ ადგილას რომ იღებდნენ მიწიდან, იმდროინდელი ხალხისთვის ოქროს შემდეგ ყველაზე ძვირად რომ ფასობდა“ — მითიური ორიქალკოსი.

მიწაზე, ტბებსა და ჭაობებში მობინადრე ყველა ცხოველს საკვები სამყოფად ჰქონდა, თვით „ბუნებით ყოველთა უდიდესს და უაემუცელეს ცხოველებსაც კი“ — „მრავალგვარი ჭიშის სპილოებს“.

„იქ იყო აგრეთვე რბილი ნაყოფიცა და ხმელი, ნაყოფიც,

რასაც ჩვენ საკვებად ვხმარობთ, ყოველივე სხვაც, რასაც საკმაზად ვიყენებთ და რის ნაწილსაც, საერთოდ, ბოსტნეულს ვუწოდებთ, გარდა ამისა, — ხის ნაყოფი; სასმელსაც რომ იძლევა, საჭმელსაც და მალამოსაც, ხეხილის ძნელად შესანახი ნაყოფიც, კაცთა გასართობად და საამებლად რომ გაჩენილა; გულის ამსუყეების დამაამებელი, დამაშვრალთათვის სანუკვარი ნაყოფი, ჩვენ რომ ჩაროზად მივართმევთ ხოლმე; ყოველსავე ამას საოცრად მშვენიერი სახით და აურაცხელი რაოდენობით იძლეოდა ის კუნძული მზისქვეშეთში არსებობისას“.

კუნძულის შუაგულში, მეფის სასახლის ეზოში აღმართული იყო პოსეიდონისა და კლიტოს ტაძარი, — მთავარი ტაძარი და ყოველწლიურ მსხვერპლმეწირვათა საზორავი. შიგნით და გარეთ ტაძარი ოქროით, ორიქალკოსით, სპილოს ძვლით იყო განწყობილი და ყოველნაირი სიმდიდრე უხვად ჰქონდა. ტაძართან დაედგათ პირველი ათი მეფის თანამეცხედრეთა და შთამომავალთა ოქროს ქანდაკნი.

მთელი ტაძარი გარედან ვერცხლითა და ოქროით იყო მოპირკეთებული. მის სიღრმეში აღმართულიყო პოსეიდონის ქანდაკება, რომლის შესახებაც პლატონი წერს: „რალაც ბარბაროსული იყო მის გარეგნობაში“. „ოქროს კერპებიც აღმართათ შიგნით — ეტლში მდგარი ღმერთი ექვს ფრთოსან ცხენს მართავდა, თავად იმდენად ვეება იყო, თხემით ჰერს სწვდებოდა, ხოლო მის ირგვლივ დელფინებზე ამხედრებული მოცურავდა ასი ნერეიდა...“

სასმელი და ცხელ წყაროთა წყალი წყალსადენის მეშვეობით შემოდიოდა. წყალსაცავეები შენობებითა და ხეებით იყო გარშემორტყმული. ნამეტი წყალი კუნძულის ცენტრის შემოპრკალველ არხებში ჩადინებოდა. არხების ნაპირ-ნაპირ თეთრი, წითელი და შავი ქვით ნაგები მშვენიერი შენობები იდგა. საბანაო აუზებიც არ დავიწყებოდათ: „რიგი ღია ცის ქვეშ გაეკეთებინათ, რიგი კიდეც დახურულში, ზამთრობით თბილი აბაზანების მისაღებად; სამეფო აუზები ცალკე იყო, კერძო პირთათვის განკუთვნილი — ცალკე, ასევე გამოყოფილი იყო საქალბო აუზები და ცხენებისა და სხვა მუშა პირუტყვის საბანებელი აუზები, ამასთან, ყოველი მათგანი შესაბამისი მოწყობილობით იყო აღჭურვილი“.

მრავლად იყო აგრეთვე „ბაღები და გიმნაზიები მამაკაცებისთვისაც და ცალკე — ცხენათვის“.

კუნძულზე თბილი ჰავა იყო, ჩრდილოეთის მხრივ მთები იცავდა ცივი ქარებისგან. მოსავალს წელიწადში ორჯერ იწევდნენ. დედაქალაქის მსგავსად მთელი კუნძულიც არხების სისტემით იყო მოფენილი. არხებით მარტო წყალს კი არ იღებდა მოსახლეობა, ჩინებულ სანაოსნო გზებადაც იყენებდა მათ.

ნავსადგურებში უამრავი ხალხი ირეოდა. „არსენალები ტრირემებით და სამყოფად მომარაგებული ტრირემებისთვის საჭირო აღჭურვილობით იყო გავსებული... მაგრამ ნავთსაყუდელს გაცილებულს — ნავთსაყუდელი კი სამი იყო — წინ კიდევ დახვდებოდა კედელი, ზღვიდან მოყოლებული კუნძულს ირგვლივ რომ გასდევდა, ყოველ ადგილას ორმოცდაათი სტადიონით¹ დაშორებული დიდ რკალსა და ნავსადგურს, და წრეს კრავდა არხის ზღვაში შესართავთან. მთელი ეს სივრცე უამრავი სახლით იყო მოფენილი, ხოლო წყლას გასასვლელი და უდიდესი ნავსადგური გაქვდილი იყო ხომალდებითა და ყოველი მხრიდან ჩამოსული ვაჭრებით, რომელთა სიმრავლე ყვირილით, კაკუნითა და ნარევი ხმაურით აღავსებდა იმ არემარეს“.

ატლანტთა ლაშქარი სახმელეთო და საზღვაო ძალთაგან შედგებოდა. უზარმაზარ არმიას 10 ათასი წყვილად შესაბმელი და 60 ათასი უფრო მსუბუქი ეტლი ჰქონდა. შეჭურვილობას შეაღგენდა მშვილდები, შურდულები და აგრეთვე შუბები. საზღვაო ძალთა შემადგენლობაში იყო 1200 ხომალდი 240 ათასი მეზღვაურითურთ. მთელი არმია შედგებოდა ცხრა კორპუსისგან, რაც უმთავრესი მბრძანებლისადმი დამოჩრილებულ ცხრა სამეფოს შეესაბამებოდა.

სახელმწიფო წყობილების თაობაზეც კარგა ხანს მოგვიხდებოდა საუბარი. ჩვენ იმის აღნიშვნას დავჯერდებით, რომ ატლანტები ნიადაგ იცავდნენ პოსეიდონის მიერ დადგენილ კანონებს. ორიქალკოსის სვეტზე იყო აღბეჭდილი ეს კანონები და პოსეიდონის ტაძარში ინახებოდა, რათა ყველას შეძლებოდა მათი წაკითხვა. ტაძართან სასამართლო ეწყობოდა ხოლ-

¹ 50 სტადიონი 9,2 კილომეტრს უდრის.

მე, საერთო საქმეთა გამოც აქვე ბჭობდნენ. სამსჯავროს დაწყებამდე საკურთხეველზე მსხვერპლს შესწირავდნენ და საზეიმო ფიცს ღებდნენ — „სვეტზე აღბეჭდილ კანონთა თანახმად“ გამოვიტანთო მსჯავროს. და მხოლოდ სამსხვერპლო სუფრის შემდეგ, ცეცხლი მიწელებას რომ იწყებდა, მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებოდნენ ბჭობას თუ გასამართლებას. გამთენიის ხანს განაჩენს ოქროს დაფაზე წერდნენ და ამასაც ტაძარში ტოვებდნენ მსხვერპლად.

კანონი მეფეებს უკრძალავდა ერთიმეორის წინააღმდეგ მიემართათ იარაღი და ავალებდა მიშველებოდნენ ერთმანეთს, თუკი ვინმე „სამეფო გვარეულობის ამოწყვეტას განიზრახავდა“. „...წინაპართა მსგავსად, ისინიც ერთობლივ ღებულობდნენ გადაწყვეტილებას ომისა თუ სხვა ღონისძიებათა გამო, ამასთან, უმადლესი ხელმძღვანელობა ატლასის გვარს ჰქონდა მინდობილი. მეფეს არ ხელეწიფებოდა სიკვდილი მიესაჯა რომელიმე სახლეულისთვის, თუკი ათთა მეფეთაგან ნახევარზე მეტი ერთი აზრისა არ იქნებოდა ამ საკითხის გამო.

...მრავალი თაობის მანძილზე, ვიდრე ღვთაებრივი ბუნება კიდევ კმასაყოფელი იყო მათში (იმა მხარეთა ადამიანებში), ისინი კანონთა მორჩილნი იყვნენ და თავიანთ ღვთაებას მოყვარულად ეპყრობოდნენ. რამეთუ ჭეშმარიტი და მართლაც მაღალი გონება ეპყრათ და კრძალვითა და კეთილგონიერებით ეკიდებოდნენ როგორც ჩვეულებრივს ცხოვრებისეულ შემთხვევითობებს, ისე ერთიმეორეს. ამიტომ ყოველსავე ამოდ შერაცხავდნენ, თვინიერ სათნოებისა, და თავს არ ევლებოდნენ, რაც ჰქონდათ, აუარება ოქროს და სხვა რამ. მოსახვეჭელი, გულგრილად ეპყრათ, თითქოს კირთი ყოფილიყოს. მიწას როდი განერთხმოდნენ ფუფუნებით ზარხომნი და სიმდიდრით თავდაკარგულნი; არა, ფზიზელი გონების მფლობელთნათლად ჰქონდათ შეცნობილი, რომ ეს ყოველივე საერთო გულსხმიერებითა და სათნოებით შეიძინება, ხოლო როდესაც სიმდიდრის გამო მრავალ საზრუნავს იჩენენ და დიდ ფასსაც აღებენ, თვითონვე გარდაიქცევა და წარწყმდება იგი. ამგვარი თვალსაზრისისა და მათში დაცული ღვთაებრივი ბუნების მეოხებით ისინი წარმატებით ფლობდნენ ყოველსავე, რაიც წვრილად აღწუხებთ ზემოთ. გარნა, როცა მოკვდავ ბუნებას—

თან ხშირ-ხშირად და მრავალგზის აღრევის გამო ღვთაების წილი მათში ბოლოს და ბოლოს მიინავლა, ხოლო კაცობრივმა ბუნებამ იმძლავრა, მაშინ წაირყვნენ თავიანთი ქეშმარიტი ბედნიერების ტვირთის ვერშემძლენი, და ის, ვისაც ამის განსხვავება ძალუძს, მათ ბიწიერ ხალხად მიიჩნევდა უკვე, რამეთუ უძვირფასეს სიკეთეთაგან სწორედ ყველაზე მშვენიერი გაემეტებინათ; ხოლო იმის თვალსაზრისით, ვისაც ქეშმარიტად ნეტარი ცხოვრების პირობები ვერ გამოუჩრჩევია სხვათაგან, ისინი სწორედ ამ დროს იყვნენ სავსებით უბიწონი და სვებელნიერნი, როცა ანგარებისა და ძალმომრეობის ხენეში სული დაემკვიდრა მათში.

ხოლო ღმერთთა ღმერთმა ზევსმა, რომელიც კანონთა თანახმად მეუფებს როგორც არსება, რომელსაც ძალუძს ამის გამოჩრჩევა, გულისხმავო, რომ ნათესავი წრფელი ბედითს ყოფაში ჩაეარდნილიყო. მაშინ გადაწყვიტა დაესაჯა, რათა მასგონი მოეცა და მოკრძალება დაბრუნებოდა. ყველა ღვთაება შეყარა ზევსმა მათს პატივსადებ საუფლოში, მთელი სამყაროს შუაგულში რომ ჰგეის და ყოველსავე მზერად გადახსნის, რასაც კი დაბადების ხედრი ჰქონია, და, რა შეყარა, რქვა...“

აქ წყდება პლატონის დიალოგი „კრიტიასი“, ასე რომ არავინ უწყის, რა უთბრა ზევსმა შეკრებილ ღვთაებათ, ან შემდგომ რა მოხდა. მხოლოდ ის შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ თავყრილობაზე გადაწყვეტილა ატლანტისის შემუსვრა, რასაც შედეგად მოჰყოლია დედამიწაზე კაცთა მოდგმის არსებობისას მომხდართაგან უსაზარლესი კატასტროფა.

არც ის ვიცით, გაასრულა თუ არა პლატონმა ეს თავისი ნაშრომი. ერთნი ამტკიცებენ — ალბათ მოქანცაო ამ სამუშაომ, ეს ბოლო ფრაზების სტილითაც იგრძნობაო. ოღონდ, კაცმა რომ თქვას, ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ავტორს დაწყებული ფრაზის შუაში შეეწყვიტოს გუშაობა. სხვანი იმ აზრს აღგანან — პლატონმა თავისი ნაშრომი გაასრულა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ამ ლეგენდას ერთობ მერყევი საფუძველი ჰქონდა, და ამიტომ თავადვე მოსპოო ნაშრომი. ოღონდ, თუკი ასეა, მხოლოდ დასასრული რატომ აკლია თხზულებას? ის ვარაუდიც უსაფუძვლოა, რომლის თანახმადაც პლატონმა „კრიტიასის“ დასრულება იმიტომ ვეღარ მოასწრო, რომ სი-

ცოცხლის მიწურულს წერდა ამ დიალოგს. „კრიტიასი“ ხომ პლატონის უკანასკნელი ნაშრომი არ ყოფილა, — სიკვდილის წინ დაწერილად „კანონები“ არის მიჩნეული. ისეთი ხალხიც მოიძებნება, რომელიც ამტკიცებს — პლატონმა არამცთუ დააშთავრა „კრიტიასი“, მომდევნო დიალოგიც კი დაწერაო, „პერმოკრატე“, რომელიც ტიმეოსისა და კრიტიასის მოხსენებებზე დამსწრებ სოკრატეს მოწაფეთაგან მესამეს ეძღვნებოდაო. ყველაზე სარწმუნო ის მოსაზრება უნდა იყოს, რომ დიალოგის ბოლო ნაწილი შემდგომშია დაკარგული, ისევე როგორც ძველ ბერძენ ავტორთა მრავალი თხზულება, რომელთა არსებობაც ან ყურმოკვრით ვიცით, ან კიდევ სხვა ნაშრომებში მოტანილ ციტატათა მეოხებით. ამჟერად ღიად დავტოვოთ ეს საკითხიცა და პლატონის მიერ მოთხრობილი ამბის უტყუარობაც (ამას კვლავაც დავუბრუნდებით) და, პირველი დიალოგის მსგავსად, ზოგიერთი განმარტება ჩავურთოთ.

ატლანტისის „აღგილსამყოფელი“ მეორე დიალოგში უფრო დაწვრილებით არის აღწერილი, ვიდრე „ტიმეოსში“. როგორც ჩანს, პლატონს უეჭველად ატლანტის ოკეანე უნდა ჰქონდეს მხედველობაში. თავად კუნძულის სახელწოდების ახსნა ფორმალურად თანხვდება საყოველთაო შეხედულებას — ატლასიდან უნდა მოდიოდესო, ოღონდ აქ არ იგულისხმება არც ატლასის მთები და არც ბერძენთა ტიტანი ატლასი, იაპეტისა და კლიმენეს ძე, პრომეთეს ძმა. ამ შემთხვევაში ატლასი არის პოსეიდონისა და პირმშვენიერ კლიტოს ვაჟი. X

„კრიტიასში“ პლატონი ხელახლა იმეორებს — ამჟამად ოკეანე ხომალდთათვის შეუვალაია კუნძულს დამტყდარი კატასტროფის შედეგად, კუნძული ჩაიძირა და „გაუვალაი შლამი დატოვა, ისე რომ მენავენი აქედან გარე ზღვამდე ვეღარ აღწევენ“. ეჭვი არაა, აქ პერაკლეს სვეტების გაღმა მდებარე ზღვა იგულისხმება. მაგრამ სწორედ ეს ნაწყვეტი იწვევს დიდ დავას და ზოგიერთი კომენტატორისთვის იმის სერიოზული არგუმენტი, რომ პლატონის მიერ მოთხრობილი მთელი ამბავი ზღაპრად დასახოს. იმიტომ რომ ოკეანის ამ ნაწილში არავითარი წყალმარჩხობა არ არის შენიშნული. თუმცა ძველად ამტკიცებდნენ — ატლანტის ოკეანე სანაოსნოდ უვარგისია შლამის გამო, რომელიც ზომალდებს აბრკოლებსო. ამგვარი


მტკიცებანი უფრო მოგვიანო ხანაში გაისმოდა, ოღონდ ცნობილია, რომ ამ ხმებს განზრახ ყრიდნენ და ატლანტისთან მათ სულაც არ ჰქონდათ კავშირი. ამ ხმებით ფინიკიელი ზღვაოსანნი სარგებლობდნენ, რათა ჰერაკლეს სვეტებს გადალმა ხმელეთს დიდ მანძილზე დაცილებით ღია ზღვაში გასვლის ხალისი დაეკარგათ თავიანთი კონკურენტებისთვის. სწორედ აქ გადიოდა გზა კალის საბადოებით მდიდარი ბრიტანეთის კუნძულებისკენ, აფრიკის სამხრეთ სანაპიროებისკენ და, შესაძლოა, ისეთი კუნძულებისკენაც, მხოლოდ თავად ფინიკიელ მეზღვაურთათვის რომ იყო ცნობილი.

გარდა ამისა, აწინდელი წყალუმარჩხობა ჯერ კიდევ არ არის იმის საბუთი, რომ წყალმარჩხობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო 2500 წლის წინათ, სოლონიის დროს. აგრე ფიქრობს საბჭოთა ატლანტოლოგი ნ. ფ. ჟიროვი. ატლანტის ოკეანეში ისტორიულ ხანაშიაც მომხდარა მიწისძვრები (მაგალითად, 1755 წელს). ყოველი მიწისძვრის შემდეგ შესაძლო იყო ზღვის ფსკერის შემდგომი დაწევა და წყალმარჩხობაც შეიძლებოდა უკვალოდ გამქრალიყო. ხომ ახლაც იცვლება დროდადრო სტრუქტურა ატლანტის ოკეანის ფსკერისა.

მაგალითად, 1957 წელს აზორის არქიპელაგთან, კუნძულ ფაიალის მახლობლად ოკეანიდან ვულკანის წვერი ამოიზიდა. რამდენიმე კვირის შემდეგ მცირე კუნძულის ფართობი უკვე 6 კმ²-ს შეადგენდა, ხოლო ფერფლის ჯერაც მფრქვეველი ვულკანის სიმაღლემ 200 მეტრს მიაღწია. კუნძულმა 30 დღეს იარსება მხოლოდ და მერმე ზღვის უფსკრულში გაუჩინარდა.

პლატონი ლიბიასა და მცირე აზიასთან შედარებით განსაზღვრავს კუნძულ ატლანტისის სიდიდეს. მისი მოსახლეობა, მონათხრობის მიხედვით, ეტყობა, რამდენსამე მილიონ კაცს შეადგენდა. ჰავა კანარის კუნძულებისას უფრო მიაგავდა, ვიდრე აზორისას: ატლანტები წლის განმავლობაში ორ მოსაველს იწვედნენ — ერთს წვიმების, სეზონის, ხოლო მეორეს ხელოვნური მორწყვის შემდეგ.

მრავალი თანამედროვე ავტორი მიაქცევს ყურადღებას, თუ რაოდენ უჩვეულოდ უტყუარი წარმოდგენა ჰქონდა პლატონს საბერძნეთის გეოლოგიურ ისტორიაზე. პლატონის ნაშრომთა პოლონურად მთარგმნელი ვლადისლავ ვიტვიცკი „ტი-



Атлантика по Дюпелю.

ატლანტისი ღონელის მიხედვით

მეოხის“ კომენტარებში წერს: „ათენის რაიონში მიდამოს რელიეფი მართლაც ერთ ლამეში არ შეცვლილა ალბათ, მაგრამ ძირითადად ეს ცვლილებები ერთობ სარწმუნოდ არის აღწერილი“. გეოლოგები იმ აზრს იზიარებენ, რომ ნიადაგის გარეცხვის პროცესი, რასაც დენუდაცია ეწოდება და დღემდე შეინიშნება დედამიწაზე, პლატონის მონათხრობში რეალურად არის წარმოდგენილი და ეს პროცესი შესაძლოა შედარებით ცოტა ხნის წინათაც მომხდარიყო, თვით კაცთა მოღვმის თვალწინ. საეჭვო არაა, რომ გამყინვარების ეპოქაში, როდესაც ყინულს წყლის უზარმაზარი მასები ჰქონდა შთანთქმული ევროპის, აზიისა და ამერიკის ჩრდილო ნაწილში, წყლის დონე ზმელთაშუა ზღვაში დაახლოებით 90 მეტრით დაბლა გადიოდა, ვიდრე ახლანდელი. ევროპის კონტინენტის ამ ნაწილის სანაპირო ხაზი (ოდინდელი და ახლანდელი) აქ დართულ რუკაზე არის ნაჩვენები.

პლატონისდროინდელმა ხალხმა, რაღა თქმა უნდა, არც იცოდა ის ამბავი, რომ ოდესღაც გამყინვარების პერიოდი არსებულა დედამიწაზე. ამიტომ არის განსაცვიფრებელი, როდენ ემთხვევა პლატონისეული აღწერა ღღესდღეობით ცნობილ ფაქტებს. პოეტი ვალერი ბრიუსოვი წერდა: „ეს მონათხრობი პლატონის ფანტაზიის ნაყოფად რომ მიგვეჩნია მხოლოდ, ჩვენ მოგვიხდებოდა მისთვის მიგვეწერა ნამდვილად ზეკაცური გენიალობა; რომლის მეოხებითაც მან ათასწლეულთა შემდეგ მომხდარ მეცნიერულ აღმოჩენათა გამოცნობა შეძლო“.

გარდა ამისა, ბრიუსოვი შენიშნავს — შორეულ წარსულში არსებული იდეალური საზოგადოებრივი წყობილების აღსაწერად პლატონს სულაც არ დასჭირებოდა მითიური მატერიკის გამოგონება; აღწერილ ამბავთა ადგილად მისთვის ნაცნობი ქვეყნიერების ნებისმიერი რაიონი შეეძლო შეერჩიაო. ✕

ეტყობა, პლატონს მართლაც ჰქონია ხელთ რაღაც ცნობები, და ისინი დაუდგია თავისი მონათხრობის საფუძვლად. საფიქრებელია, რომ ეს უძველესი ეგვიპტური ჩანაწერები ყოფილიყო. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ კრატისის სიტყვები: „ეს ჩანაწერები ჰქონდა პაპაჩემს და მეც შემომრჩა დღემდე“.

ატლანტისის პირველ მეფეთაგან ერთ-ერთის სახელი — გა-

დირი — ჩვენს დრომდეც შემორჩა გადირის ოლქის სახელწოდებით. გადერა არის ფინიკიელთა სოფელი გადირი, აწინდელი კადისი (კადიქსი), სამხრეთ ესპანეთში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარე საპორტო ქალაქი. ამ სახელწოდებამ მცირეოდენი აღრევაც გამოიწვია, რადგან ცალკეულ ატლანტოლოგებს საბაბი მისცა ეფიქრათ — მთელი ატლანტისი პირენეს ნახევარკუნძულზე, მდინარე გვადალკვივირის შესართავთან მდებარეობდაო.

ძნელი დასადგენია, რომელ ლითონს გულისხმობდა პლატონი ორიქალკოსის ხსენებისას. ყოვლად უსაფუძვლოა მოსაზრება, რომლის თანახმადაც რომელიღაც ძვირფას ლითონს ან დღემდე უცნობ ელემენტს შეეხება საუბარი. ამ საკითხის ირგვლივ დიდხანს იჭმნებოდა უფანტასტიურესი ვარაუდები. ზოგიერთი ფიქრობდა — ორიქალკოსი ოქროსა და ვერცხლის, ვერცხლისა და სპილენძის, სპილენძისა და კალის ან სპილენძისა და ალუმინის შენადნობს ეწოდებოდა. საბჭოთა ატლანტოლოგი, განათლებით ქიმიკოსი ნ. ფ. უიროვი იმ აზრისაა, რომ ეს იყო თითბერი, რომელსაც დებულობდნენ აურიქალციტისგან — სპილენძისა და თუთიის შემცველი იშვიათი მინერალისგან. თითბრის ნაკეთობანი აღმოჩნდა ერთ-ერთ ეგვიპტურ აკლდამაში, რომელიც განეკუთვნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე თუ მეოთხე ათასწლეულს, ესე იგი ისეთ ხანას, როდესაც ეგვიპტეში ბრინჯაო ჯერაც არ ყოფილა ცნობილი. სახელწოდება ორიქალკოსი წარმოდგება ბერძნული სიტყვებისაგან „ოროს“ (მთები) და „ქალკოს“ (სპილენძი, წითელი მეტალი).

ატლანტისის ფლორის აღწერილობაც საგულისხმოა.

მრავალნაირი ვარაუდი აღიძრა პლატონის მიერ ნახსენებ „რბილ ნაყოფთან“ დაკავშირებით. ზოგჯერ მიაჩნიათ — ამ შემთხვევაში ბანანი არისო ნაგულისხმევი.

ბანანი აფრიკაში, სამხრეთ აზიაში, ოკეანეთის კუნძულებსა და ამერიკის სუბტროპიკულ ზონებში ხარობს. ზოგიერთ ქვეყანაში ბანანი ძირითადი საკვებია. ამ კულტურის მოსავალი დიდად სჭარბობს მარცვლოვანთა მოსავალს. ატლანტისის ჰავა შეესატყვისება ბანანის გასახარებლად აუცილებელ პირობებს. თუკი აფრიკის დასავლეთსა და ამერიკის აღმოსავლეთ

სანაპიროებზე იზრდება ეს მცენარე, სავსებით შესაძლო იქნებოდა ამგვარი ხეხილი ამ ორ კონტინენტს შორის მდებარე კუნძულზეც გავრცელებულიყო. სწორედ ამას ემყარება ზემოაღნიშნული თეორია.

ამ ცოტა ხნის წინათ ბრაზილიაში, ესე იგი ატლანტთა კულტურის გავლენის საფარგლებში, აღმოაჩინეს ველური ბანანის ჯიში, სახელად *pacoba*. ატლანტოლოგებს მიაჩნიათ — ბანანის კულტურული ჯიში ამ ველური ხილიდან გამოიყვანეს ატლანტისზე და მერე ნერგები კოლონიებში დაიგზავნათ ოკეანის ორსავე მხარეს.

ღიალოგების პოლონურად მთარგმნელი ვლადისლავ ვიტვიცი ფიქრობს — „რბილი ნაყოფი“ პლატონმა „კეთილშობილ ყურძენს“ უწოდაო.

მაგრამ ამგვარ ინტერპრეტაციას უეჭველი არგუმენტი ეწინააღმდეგება: ყურძენი უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი საბერძნეთშიც და მის მეზობელ ქვეყნებშიც, ასე რომ მის მოსახლენებლად პლატონს ესოდენ ბუნდოვანი გამოთქმის ხმარება არ დასჭირდებოდა.

ამავე დროს, საკითხი მცენარისა, „სასმელსაც რომ იძლევა, საქმელსაც და მალამოსაც“, მარტივადაც წყდება. აწნაირი ხე მხოლოდ ქოქოსის პალმა შეიძლება იყოს. ხმელთაშუა ზღვის რაიონში ეს ხე არ ხარობს. მისი სამშობლოა ეკვატორიის გასწვრივ მთელი დედამიწის სფეროს შემომგარსველი ზონა. ქოქოსის პალმა ზღვის სანაპიროებზე იზრდება უმთავრესად, მაგრამ ზოგჯერ ნაპირის დაშორებითაც გვხვდება ხოლმე. ქოქოსის პალმის გავრცელების რაიონს საკმაოდ ფართოა: წყნარი ოკეანის გაღმა-გამოღმა მხარე, ესე იგი აზიისა და ავსტრალიის, აგრეთვე ამერიკის სანაპიროები, ჩრდილო განედის 25°-დან სამხრეთ განედის 25°-მდე; აფრიკის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროებზე კი ქოქოსის პალმა გვხვდება ჩრდილო განედის 6°-დან სამხრეთ განედის 16°-მდე. ქოქოსის პალმა ვერც ჩრდილო აფრიკაში ხარობს, ვერც მცირე აზიაში და არაბეთის ნახევარკუნძულზე. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ პლატონი არ იცნობდა იმ ნაყოფს, „სასმელსაც რომ იძლევა, საქმელსაც და მალამოსაც“, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქოქოსის კაკალი არ ენახოს და არ ეგემოს. შესაძლო იყო, ვაჭრებს ჩა-

მოეტანათ ეს ნაყოფი. თუმცა ქოქოსის პალმის პირველ აღწერილობას ეხედებით პლატონისა და არისტოტელეს მოწაფის თეოფრასტეს შრომაში „მცენარეთა წარმოშობისათვის“.

„ძნელად შესანახ ნაყოფს, კაცთა გასართობად და საამებლად გაჩენილს“ რომ ახსენებდნენ, პლატონს, უფრო სწორად კი სოლონსა და მის ეგვიპტელ დამმოძღვრელთ სხვადასხვაგვარი დაშაქრული ხილი ჰქონდათ ალბათ მხედველობაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პოსეიდონის ტაძრის, აგრეთვე ამ ღვთაების გარეგნობის აღწერილობა. როგორც პლატონი გვამცნობს, „რალაც ბარბაროსული იყო მის გარეგნობაში“. რაკი ეს ქანდაკება ცენტრალური ამერიკის მკვიდრი ატეკებისა და ტოლტეკების ღვთაებათა გამოსახულებებს წააგავდა (ამის თაობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი), აღარც უნდა გვიკვირდეს, ეგვიპტელებსა და ბერძნებს რომ არ მოსწონდათ. ყოველ ჩვენგანს ამგვარივე შთაბეჭდილება აღეძვრის ალბათ მექსიკურ ღვთაებათა გამოსახულებების ხილვისას, მაშინ როცა ბერძნული ქანდაკებები სილამაზის ნიმუშად არის მიჩნეული ახლა. პლატონის ეს შენიშვნა, ისევე როგორც რიგი სხვა ანალოგიებისა, გვაიძულებს ვიფიქროთ ატლანტისსა და ამერიკას შორის რალაცგვარი კავშირის საკითხის გამო. ეს ამბავი, ცხადია, არ შეიძლებოდა სცოდნოდა პლატონს, ამიტომ უნებურად სურვილი გვებადება ერთხელ კიდევ გავიმეოროთ ბრიუსოვის სიტყვები: „ეს მონათხრობი პლატონის ფანტაზიის ნაყოფად რომ მიგვეჩნია მხოლოდ, ჩვენ მოგვიხდებოდა მისთვის მიგვეწერა ნამდვილად ზეკაცური გენიალობა“.

„კრიტიკის“ შემორჩენილი ტექსტის ბოლო სტრიქონები ატლანტისის პრობლემისთვის განსაკუთრებული ღირებულების მქონე ცნობას შეიცავს.

ზევსმა „ყველა ღვთაება შეყარა მათს პატივსადებ. საუფლოში, მთელი სამყაროს შუაგულში რომ ჰგეის“, სადაც მათ მსჯავრი უნდა გამოეტანათ.

ცნობილია, რომ ბერძენთა რწმენის თანახმად, ღვთაებათა ადგილსამყოფელი იყო ოლიმპო — საბერძნეთში მდებარე წმიდა მთა. გარნა პლატონის ეპოქაში საბერძნეთი უკვე აღარ მიიჩნეოდა მთელი მსოფლიოს ცენტრად. ამგვარად შეეძლოთ ემსჯელათ სოლონისა და ჰეროდოტეს დროს, მაგრამ როდესაც

ამგვარ რასმე ამბობს პლატონი, მოძღვარი დიდი არისტოტელესი (რომლის საგეოგრაფიო შრომები მომდევნო ათას ხუთასი წლის განმავლობაში დიდად ფასდებოდა), ეს უკვე ანაქრონიზმად ეღერს. პლატონს მთელი ეს ამბავი თავის პოლიტიკურ შეხედულებათა ფონად რომ შეეთხზა მხოლოდ, უეჭველია, ღეთაებთ თავის თანადროული წარმოდგენებისა და მეცნიერული ცოდნის მაშინდელი დონის შესატყვის ადგილას „დასახლებდა“. ამიტომ ძნელია არ მივსდიოთ შთაბეჭდილებას, რომ ამ შემთხვევაში პლატონს მართლაც გაუმეორებია სოლონის სიტყვები, კრიტიკის მიერ სოკრატეს სახლში გამართული შეკრების დროს თქმული.

მაგრამ დაუბრუნდეთ „ტიმეოსში“ ხაზგასმულ ტექსტს: „...შესართავს იქით, თქვენ რომ თქვენებურად პერაქლეს სვეტებს უწოდებთ, კუნძული მდებარეობდა. ის კუნძული ლიბიისა და აზიის, ერთად აღებულის, უდიდესი იყო და მისგან მეზღვაურთ გზა ჰქონდათ ხსნილი სხვა კუნძულებისკენ, ხოლო იმ კუნძულთაგან — მთელი გაღმა მდებარე მატერიკისკენ, რომელიც იმ ჰემსარიტ პონტოს შემოსაზღვრავდა... ხოლო იმას (რაც გარე მხრითაა) უკვე ნამდვილი ზღვა შეიძლება ეწოდოს, ისევე როგორც მის შემომსაზღვრელ მიწას — ჰემსარიტი და სრული მატერიკი“.

ამ აღწერილობით ჩვენს წინაშე წარმოისახება ამერიკის მოხაზულობა ლაბრადორიდან ვიდრე დღევანდელი ბრაზილიის ყველაზე აღმოსავლეთით წამოწეულ ნაწილამდე, რომელიც ატლანტის ოკეანის ცენტრალურ ნაწილს არის შემორკალული. მეზღვაურთ რომ გზა ჰქონდათ ხსნილი კუნძულებისკენ, ხოლო იმ კუნძულთაგან — მთელი გაღმა მატერიკისკენ, ეს ანტილის დიდი და მცირე კუნძულებია.

მაგრამ არსებობა მატერიკისა, „რომელიც იმ ჰემსარიტ პონტოს შემოსაზღვრავდა“, ეწინააღმდეგება ხმელეთისა და ზღვათა განლაგების შესახებ პლატონის დროს არსებულ შეხედულებებს. იმდროინდელი გეოგრაფები ამტკიცებდნენ — დედამიწის სფეროს ფარავს ოკეანე, რომელზეც კუნძულთა არქიპელაგის სახით ევროპის, აფრიკისა და აზიის მატერიკები არისო განლაგებული. პლატონის სიკვდილიდან ას ორმოცდაათი წლის შემდეგაც ამგვარ თვალსაზრისს ადგა თავის „გეო-

გრაფიაში“ ცნობილი ალექსანდრიელი სწავლული ერატოსთენე. მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვით მეორე საუკუნის შუა ხანებში კლავდიოს პტოლემეაიოსმა წამოაყენა სხვაგვარი თეორია, „მატერიკულად“ წოდებული, რომელიც წინარქსგან, „ოკეანურისგან“ განსხვავებით, ამტკიცებს, რომ დედამიწის სფეროს ზედაპირი ძირითადად შედგება ხმელეთისგან, რომელზეც, მსგავსად წვიმის შემდეგ დამდგარი გუბეებისა, განლაგებულია ზღვები და ოკეანეები. მრავალი საუკუნის განმავლობაში, თვით ამერიკის აღმოჩენამდე, ორსავე თეორიას ჰყავდა თავ-თავისი მომხრეები. პლატონის დროს კიდევ შეიძლებაოდა წარმოედგინათ — სადღაც ოკეანეში კუნძული ატლანტისი არსებობსო, მაგრამ იმის მტკიცება, რომ ოკეანეს გარკვეული საზღვარი აქვს, ესე იგი ოკეანეს რაღაც მატერიკი შემოსაზღვრავსო, იმდროინდელ გეოგრაფიულ შეხედულებათა შეუსაბამო იქნებოდა.

პლატონის ორივე ზემოთ მოტანილი დიალოგის მკითხველნი, ჩვეულებრივ, სინანულს გამოთქვამენ ხოლმე იმ „ბოლო ფურცლის“ დაკლების გამო. „კრიტიკის“ დაბოლოების შემდგომ ბედთან დაკავშირებით გამოთქმულ ვარაუდებს ერთიც შეიძლება დაემატოს.

საინელი ქურუმის სიტყვები: „მრავალი სხვადასხვაგვარი კატასტროფა დასტყდომიანთ თავს და კვლავაც დაატყდებათ კაცთა... თქვენც ხომ გაქვთ თქმულება, თითქოს ოდესმე ფაეტონს, მზის ძეს, მამამისის ეტლი მიეშვას ცაზე, გარნა მამამისისავე გზით ეტლის წარმართვის ვერშემძლებელს. ქვეყნიერებაზე ყოველივე გადაებუგოს და თავადაც . დაღუპულიყოს ელვათაგან ვნებული. რაღა თქმა უნდა, ეს მითვის სახითაა მოთხრობილი, მაგრამ მითში ის ჭეშმარიტებაა დაფარული, რომ ცათა შინა და დედამიწის ირგვლივ მბრუნავნი მნათობნი გზას ასცდებიან ხოლმე და, გრძელი ეამი რომ გამოხდება, ძლიერი ცეცხლი ქვეყნად ყოველსავე გადაბუგავს“, — იმას მოწმობს, რომ „დედამიწაზე“ მომხდარ კატასტროფას ამავე დროს „ცაში“ მომხდარი რაღაც უჩვეულო მოვლენაც ახლდა. ხოლო ამ ამბის აღწერა პლატონის შესაძლებლობებს აღემატებოდა, უეჭველია.

პლატონი ვერაფერიშვილი ასტრონომი გახლდათ. ამას

ცხადყოფს წარმოდგენა სამყაროს აგებულების შესახებ ტიმე-
ოსის მოხსენებაში. ის ისეთ საქმეს შეეჭიდა, მის ძალას რომ
აღემატებოდა, ამასთან, ეს ისეთი სფეროა, რომელშიც მას საკ-
მაო ცოდნა არ ჰქონია. ამიტომ სულაც არ არის საკვირველი,
რომ, თუკი ატლანტისის დაღუპვის მიზეზი მართლაც „მთვა-
რის მიტაცება“ იყო (თანაბმად ჰერბიგერის თეორიისა), პლა-
ტონმა ვერ შეძლო ამის აღწერა — სათანადოდ ვერ გადმოსცა
ტიმეოსის პირით.

„კრიტიკის“ ბოლო ფურცელთა დანაკლისი ვერაფრის დი-
დებით ვერ გამოღვება იმის დასამტკიცებლად, თითქოს პლა-
ტონმა „თავის წარმოსახვაში“ შექმნა ატლანტისი, მაგრამ, მო-
ნათხრობის აბსურდულობა რა შენიშნა, იქ შეწყვიტა ამბავი,
სადაც ატლანტისის დაღუპვის უეჭველი მიზეზები უნდა წარ-
მოეჩინაო. ჭკუასთან უფრო ახლოს სწორედ საპირისპირო ვი-
თარებაა. სავსებით შესაძლოა, რომ პლატონს არ სურდა რაიმე
ისეთი ეთქვა, რაიც სინამდვილეს არ შეესატყვისებოდა, ხოლო
სიმართლის დაწერა ვერ შეძლო და ხელნაწერის ეს ნაწილი
ამოიღო, რათა რედაქცია შეეცვალა. ასე და ამრიგად, დაბო-
ლოება მის დაკარგულ ნაშრომთა შორის აღმოჩნდა.

**ეს რომ იხილა, ღმერთთა ღმერთთა
ზეუსსა თქვა:
„აღვსოსო კასი პირისაგან ქვეყნისა“**

პლატონის პირველი ოპონენტი, როგორც ჩანს, მისივე მოწაფე არისტოტელე სტაგირელი უნდა ყოფილიყო.

მან პლატონის სიცოცხლეშივე განაცხადა — დაღუპული კონტინენტის მთელი ამბავი ჩემმა მოძღვარმა თავადვე შეთხზა, რათა მის ფონზე უფრო მოხერხებულად ექილაგაო თავისი პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებები. დაუკვირდით ამ ბრალდების უჩვეულოდ მკვეთრ ფორმულირებას: ის კი არ თქმულა — გაგონილი მითი თავისი იდეების გამოსახატავად გამოიყენაო, არამედ — შეთხზაო. ამრიგად, არისტოტელემ არა მარტო აღნიშნა ატლანტისის ამბის სიყალბე, არამედ, ამასთანავე, პლატონს ბრალად დასდო უკადრისი სიცრუის მოგონება. თუკი არისტოტელეს ნათქვამს ჭეშმარიტებად მივიჩნევთ, მაშინ პლატონს მართლაც ბოროტად გამოუყენებია თავისი ნათესავისა და მეგობრის — კრიტიასის სახელი, რომლის პირითაც მოგვიტხრო მთელი ამბავი ჩვენთვის ცნობილ დიალოგებში. გარდა ამისა, მას ბოროტად გამოუყენებია აგრეთვე „შვიდთა ბრძენთაგან ბრძენთა ბრძენის“, ყველა ბერძენის სიქადულის სოლონის სახელიც.

როგორ მოხდა, რომ პლატონის უსაჩინოესი მოწაფე, ოც წელიწადს მისი უახლოესი მეგობარი ათენის აკადემიაში და

სიკვდილამდე მისგან განუშორებელი კაცი ასეთი - საშინელი ბრალდებით წარუდგა თავის მოძღვარს? ამ ბრალდებას ხომ უნდა შეერყია (და კიდევ შეარყია) ის ნდობა, რომლითაც მანამდე ნიადაგ იყო გარემოსილი ეს დიდი მოაზროვნე!

ზუსტი მეცნიერებები (თუმცა პლატონი უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევდა მათ), როგორც ჩანს, მისი სტიქიონი არ ყოფილა. გარნა თვისთა თანამედროვეთა უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა და სიცრუის თქმა არავის დაეყვებინა მისთვის მანამდე. ამ ბრალდებამ შეძრა პლატონი, მით უმეტეს, რომ ეს ამბავი მისი სიცოცხლის ბოლო წლებში მოხდა. ჩვენ არ ვიცით, როგორ უპასუხა პლატონმა ამ ბრალდებას. იქნებ „კრიტიკის“ დაუმთავრებლობა ამ ამბავთანაც იყო რაღაცით დაკავშირებული?

ერთი სიტყვით, ატლანტიისის გამო კამათი დიალოგების ავტორის სიცოცხლეშივე დაიწყო და დღემდე გრძელდება. დამადასტურებელი საბუთიც მრავლად იქნა წამოყენებული და საწინააღმდეგოც. მეცნიერების განვითარების კვალობაზე ზოგიერთი მათგანი უარსაყოფი შეიქნა, როგორც ცოდნის დღევანდელი დონის შეუსაბამო, მათს ადგილს სულ ახალ-ახალი საბუთები იკავებს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, კამათი მაინც არ ცხრება. ოღონდ იმ ზომამდე სერიოზული ბრალდება, როგორც არისტოტელესი იყო, დღემდე არავის წამოუყენებია ატლანტიისის ამბის თანამედროვე მოწინააღმდეგენიც კი სიცრუეს როდი აბრალებენ პლატონს, ოღონდ ისაა — არისტოტელეს სიტყვებს გაიმეორებენ და მათს ავტორს დაიმოწმებენ ხოლმე.

პლატონისა და არისტოტელეს დავის ასეთსა თუ ისეთ გადაწყვეტას ჭერაც არ დაუკარგავს პრინციპული მნიშვნელობა მრავალსაუკუნოვანი მეცნიერული საიდუმლოს ამოსახსნელად. რამდენადაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა წიაღში წარმოებულ კვლევა-ძიებას დღემდე ვერ მოუტია ამ კითხვის ზუსტი პასუხი, მიუხედავად იმისა — ფანტაზიის ნაყოფი ხომ არ არის ატლანტიისის შესახებ მოთხრობილი ამბავი?

საიმისოდ, რათა დღეს, აგერ თითქმის ორნახევარი ათასი წლის შემდეგ, რაღაც გარკვეული პოზიცია გვექონდეს პლატონ-არისტოტელეს კამათის მიმართ, გვმართებს ზოგადად

მანც გავერკვეთ მოწათისა და მოძღვრის ურთიერთობებში.

პლატონის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. არისტოტელესი ის ვიცით, რომ ძველი მსოფლიოს ერთი უგამოჩენილესი სწავლული იყო. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 384 წელს დაბადებულა სტაგირაში და 322 წელს გარდაცვლილა კუნძულ ევბეაზე. მისი ნიჭი ცოდნის მრავალ დარგში გამოემჟღავნა — ლოგიკა იქნებოდა, მათემატიკა და ფიზიკა, თუ გეოგრაფია, ასტრონომია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ეთიკა და ეკონომიკა. მრავალი ნაშრომი ჰქონდა, ზოგიერთის აზრით — რამდენიმე ასეული, ზოგის მტკიცებით კი — ათასიო; ამ ნაშრომთა ნაწილმა ჩვენამდეც მოაღწია. არისტოტელეს ავტორიტეტი ურყევი იყო მრავალი საუკუნის მანძილზე. მის მოძღვრებას ეკლესიაც კი სცნობდა და ქრისტიანულ უნივერსიტეტშიც ისწავლებოდა ეს მოძღვრება მისი სიკვდილიდან ორი ათასი წლის შემდეგ. გეოგრაფიისა და ასტრონომიის დარგში თვით კოპერნიკის მოწინააღმდეგენიც კი იმოწმებდნენ ხოლმე არისტოტელეს.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა არისტოტელეს შეხედულებები მატერიკთა და ზღვათა წარმოშობის თაობაზე. როგორც აღინიშნა, დედამიწის სფეროსებურობის მისეულ დამატკიცებელ საბუთებს დღემდე არ დაუქარგავთ მნიშვნელობა და მათ სასკოლო სახელმძღვანელოებშიც წარმოდგენენ ხოლმე. ისიც უნდა დავსძინოთ, რომ მან თითქოს წინასწარ იაზრა ამერიკის აღმოჩენა, რადგან ამტკიცებდა — ინდოეთსა (ესე იგი დედამიწის მისთვის ცნობილ აღმოსავლეთ იდესა) და ჰერაკლეს სვეტებს შორის შესაძლოა რაღაც მატერიაკი აღმოჩნდესო.

ოც წელიწადს ერთობლივი მუშაობის მანძილზე მოძღვრისა და მოწათის ურთიერთობა მრავალმხრივ გაშწავებულა. იქნებ ასაკის სხვაობა იყო ამის მიზეზი. ჩვიდმეტი წლის არისტოტელე აკადემიაში რომ შედიოდა, პლატონს სამოცი შესრულებოდა უკვე.

ხასიათიცა და ტემპერამენტიც სხვადასხვაგვარი ჰქონდათ. არისტოტელეს მშობლები ადრე დაეხოცნენ, მკაცრმა ცხოვრებისეულმა პირობებმა მას ბავშვობიდანვე განუფითარეს შრომისმოყვარეობა, ოღონდ, ამასთან ერთად, სწრაფვაც — რაღაც უნდა დასჯდომოდა, დაწინაურებულყო. არისტოტე-

ლეს ეწადა, საკუთარი შარავანდედით გაბრწყინებულიყო და მრავალი წლის მანძილზე მისი დამჩრდილავი მოძღვრისთვის ეჯობნა. ექვი არაა, მას აღძვრია შური და სურვილი — თავისი მოძღვრისთვის გაესწრო, ან კიდევ ჩრდილში მოექცია იგი. თვალსაზრისთა სხვაობის დროს უფრო ადვილია ამის გაკეთება: მათ შორის წარმოქმნილ გაუგებრობათ ჯერ კიდევ ძველი კომენტატორები აღნიშნავდნენ.

წარმოშობითაც განსხვავდებოდნენ მოძღვარი და მოწაფე. პლატონი ძველი გვარის შთამომავალი იყო, არისტოკრატი და, უწინარეს ყოვლისა, ათენელი. არისტოტელეს სამშობლო სტაგირა მაკედონიას ეკუთვნოდა. მამამისი კარის ექიმი გახლდათ მაკედონიის მეფისა. ეტყობა, არისტოტელეს მაკედონიისკენ უფრო მიუწევდა გული, ვიდრე ათენის რესპუბლიკისკენ. სხვათა შორის, ცნობილია, რომ პლატონის სიკვდილის შემდეგ ცოტა ხანში არისტოტელემ მაკედონია ირჩია საცხოვრებლად და მომავალი მეფის — ალექსანდრე მაკედონელის აღზრდას შეუდგა იქ. გარნა ათენს ბინადრობის მთელი ხნის მანძილზე (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 335 წელს ლიკეუმის დასაარსებლად ჩამობრუნდა) ათენის მოქალაქეობა მაინც არ მიუღია.

ამბობენ, მოძღვარსა და მოწაფეს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების მიზეზი ფილოსოფიურ შეხედულებათა სხვაობა იყო, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკურ რწმენათა სხვაობასაც არ შეუსრულებია მცირე როლი. ხომ ცნობილია, რომ ათენის რესპუბლიკის დამხობის შემდეგ არისტოტელე ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაახლოებულ პირთა წრეს ეკუთვნოდა; ხოლო ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ ათენმა დამოუკიდებლობა რომ აღიდგინა, გაქცეულმა არისტოტელემ კუნძულ ევბეას შეაფარა თავი.

ამ უთანხმოებათა შედეგად არისტოტელე აუმხედრდა პლატონის იდეალისტურ შეხედულებებს და მის მიერ ნაქმ პოლიტიკურ სისტემას, რომლის მიზანიც იყო ელადის სახელმწიფოთა შორის ცენტრალურ ადგილას ათენის დაყენება. აუმხედრდა, კერძოდ, ძველ ათენში ათი ათასი წლის წინათ არსებულ პოლიტიკურ ურთიერთობათა ხოტბას და ათენელთა ძველთა საგმირო საქმეთათვის მონათხრობ ამბავს. არც ისაა გამორიცხული, რომ თავის მიერ მოთხრობილი ამბის ამ ნაწილში პლა-

ტონმა, ცოტა არ იყო, „გადაამლაშა“, ერთობ ხაზგასმულად წარმოსახა იდეალიზებული პოლიტიკური სისტემის გავლენა ატლანტისისთანა ძლევამოსილ მოწინააღმდეგესთან ბრძოლის მსვლელობაზე. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ არისტოტელემაც ერთობ მკვეთრი არგუმენტი მოიშველია, როცა პლატონს ბრალი დასდო — მთელი ამბავი (და არა მხოლოდ ნაწილი მისი) შეთხზული არისო, თანაც სოლონის ან ეგვიპტელ ქურუმთა მიერ შეთხზული კი არა, საკუთრივ პლატონის მიერ მოჭორილიო.

ცოდნის თითქმის ყველა დარგში არისტოტელეს დიდი ავტორიტეტის მეოხებით ატლანტისის შესახებ მისმა თვალსაზრისმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ძველი დროის მრავალ კომენტატორზე, რომელთაც უკვე ეპვეით შეხედეს პლატონის მონათხრობს. შესაძლოა ამგვარი უნდობლობა ექცა მიზეზად ატლანტისთან დაკავშირებული ზოგიერთი მასალის დაკარგვას, რადგან ღირებულად აღარ მიიჩნიეს ეს მასალები.

ჩვენს დრომდე მოაღწია არისტოტელეს სიტყვებმა, ანდაზად რომ იყენებენ ხოლმე ხშირად: *amicus plato, sed magis amica veritas* (მეგობარია პლატონი, გარნა უფრო ძვირფასია პეშმარტება). ამ ფორმით შეპორჩა ანდაზა რომაელთა ენაზე, ოლონდ არისტოტელეს ცოტათი სხვაგვარად უთქვამს. თავის შრომაში „დამოუკიდებელი საბერძნეთი“ ტადეუშ ზელინსკი ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „პლატონის სიცოცხლეში არისტოტელე მის მოწაფედ რჩებოდა, და იმის შემდეგაც კი, რაც ფილოსოფიის საკითხებში დამორღნენ ერთიმეორეს, პლატონისადმი ღრმა პატივისცემა ჰქონდა შერჩენილი. „თუმცადა ჩემთვის პლატონიც ძვირფასია და სიმართლეც, გარნა წმიდა მოვალეობა მაიძულებს, სიმართლეს მივანიჭო უპირატესობა“, — ამბობს არისტოტელე ერთ ადგილას და ეს ჩინებული ფრაზა თავისი შეკუმშული ფორმით ანდაზად გადაგვექცა“. ვითომ ამგვარად განიმარტებოდა ეს ფრაზა, პლატონი რომ უფრო ახალგაზრდა ყოფილიყო საიმდროოდ, როცა მოძღვრისა და მოწაფის თვალსაზრისთა სხვაობა ის-ის იყო ვლინდებოდა, ოთხმოც წელს არ ყოფილიყო მიტანებული და წაყენებული ბრალდებისთვის პასუხის გაცემის უნარი შერჩენილი რომ ჰქონოდა?

შემდგომში პლატონის მრავალრიცხოვანი ოპონენტები ნიადაგ იმას მიაქცევდნენ ყურადღებას, რომ ატლანტისის ამბავი არც ერთი ბერძნული ან რომელიმე სხვა ლეგენდით არ ღასტურდება, ზეპირ თქმულებად გადმოცემული თუ ჩაწერილი ლეგენდით. ერთი სიტყვითაც არსად მოიხსენიება, რომ კიდევ, ვისმე ეხილოს სოლონის ჩანაწერები, თუმცა ისინი კრიტიკას ეკუთვნოდნენ თითქოს. ეგვიპტურ ჩანაწერებშიც დღემდე ვერ მიუკვლევიან პოსეიდონის კუნძულთან დაკავშირებული ცოტად თუ ბევრად სანდო ცნობებისთვის. თვით პლატონის დიალოგებითაც კი არ ვიცით, თუ რა თქვა სოკრატემ, როცა სოლონის მონათხრობი მოისმინა ბოლომდე. ან იქნებ პლატონმა მართლაც თავად შეთხზა მთელი ეს ამბავი, უმცროსი და უფროსი კრიტიკაები, დროიდე და სოლონი ავტორებად დასახა, ტიპეოსი და პერმოკრატე მოწმეებად, და მხოლოდ თავისი მოძღვარი სოკრატე დაზოგა?

ამ კითხვის პასუხი ძნელი მისაკვლევია არაა, თუმცაღა ოპონენტებს ვერ აჯერებს ამგვარი პასუხი. წერილობით წყაროთა დღესდღეობით არარსებობა სულაც არ ნიშნავს, რომ ამგვარი წყაროები არც წარსულში არსებულებიყოს. არის ცნობები (მათ შერსახებ ქვემოთ გვექნება საუბარი), რომ პლატონის სიკვდილიდან თითქმის ასი წლის შემდეგ ატლანტისთან დაკავშირებული ეგვიპტური ჩანაწერები საისში, ქალღმერთ ნეითის ტაძარში უნახავს ბერძენ კრანტორ სოლეუს. მართალია, ამ ამბავს პლატონის სიკვდილიდან რვაასი წლის შემდეგღა გვამცნობს ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსი პროკლე (410—485 წლების ახლო ხანები), მაგრამ განა გვაქვს უფლება, უარი ვთქვათ ამ მოწმობაზე?

უფრო ადრინდელი ბერძნული წყაროები პლატონის მონათხრობს არ ადასტურებენ. ამას თავად პლატონიც აღნიშნავს კრიტიკის პირით. ამგვარი წყაროები რომ არსებულებიყო, „შვილთა ბრძენთაგან ბრძენთაბრძენი“ სოლონი აღარც განცვიფრდებოდა საისში ამ ამბის მოსმენისას. ქურუმნი ყოველკაცს როდი ანახებდნენ იმ ჩანაწერებს; ბერძენთაგან პირველი სოლონი იყო, მეორე, როგორც ჩანს, კრანტორი, სოლონის სიკვდილიდან სამასი წლის შემდეგ.

ეგვიპტური პაპირუსები ხშირმა ხანძრებმა გაანადგურა.

ალექსანდრიაში თავმოყრილ პაპირუსთა ნაწილი, სადაც ატლანტიისის საისური ამბის ასლიც შეიძლებოდა არსებულყო, იულიოს კეისრის მიერ ამ ქალაქის ალყაშემორტყმის დროს დაიწვა. პროკლე რომ კრანტორის მონათხრობს გვაუწყებდა, ალექსანდრიის სახელგანთქმული ბიბლიოთეკა აღარ არსებობდა უკვე. მისი დიდი ნაწილი 415 წელს მოსპო ეპისკოპოს კირილეს მიერ წაქეზებულ ფანატიკოსთა გროვამ. რომის ბატონობის დროს ეგვიპტური ბიბლიოთეკები საბრძოლო ნადავლის სახით გადაზიდეს იტალიაში, სადაც შემდგომ ცეცხლს მისცეს ეს ბიბლიოთეკები. ქვებზე არსებული წარწერებილა შემორჩა.

პლატონიდან ასი წლის შემდეგ ეგვიპტელი ისტორიკოსი—ქურუმი მანეთონ სებენიტელი იხსენიებს „სირიატულ სვეტებს“, რომლებზეც ატლანტიისის დროინდელი წარწერები ყოფილა თითქოს. ოღონდ ჩანაწერები არც ამ ქურუმისა შემორჩენილა, ამ ცნობის გადმოცემისას ჩვენ ვემყარებით უფრო გვიანდელ, ქრისტიანობის დროინდელ ისტორიკოსებს—იოსებ ფლავიოსსა და „ეკლესიის მამას“ ევსევი კესარიელს. უფრო დაწვრილებით ამის თაობაზე ქვემოთ არის საუბარი.

ქვებზე ამოკვეთილ სხვა წარწერებს შეიძლებოდა იგივე ბედი სწეოდა, რაიც ეგვიპტურ საძვალეთა და ტაძართა მარმა, რილოს ფილებს ეწია: ისინი სამშენებლო მასალად გამოიყენეს არაბებმა. შესაძლოა ოდესმე აღმოჩნდეს ის წარწერები და უცილობელ საბუთთა მაგიერობა გაგვიწიოს. გავიხსენოთ, რომ შლიმანის მიერ ტროას ნანგრევთა აღმოჩენამდე ტროას ომის ამბავიც ჰომეროსის ფანტაზიის ნაყოფად მიაჩნდათ. ოღონდ ჰომეროსს არ ჰყოლია თავისი არისტოტელე, რომელიც ბრალს დასდებდა — ეს ამბავი პოლიტიკური მოსაზრებებით გამოიგონათ...

ჩვენ კიდევ მივუბრუნდებით მრავალრიცხოვან ოპონენტებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ატლანტიისის მითი სხვა ლეგენდებით არ დასტურდება. მართლა ასეა თუ არა? არა, რაღა თქმა უნდა!

თითქმის მთელი მსოფლიოს ხალხები იცნობენ მრავალთქმულებას, რომლებშიც პოსეიდონის დაღუპული კუნძულის სახელწოდება კი არ იხსენიება, მაგრამ არაპირდაპირი გზით

თითქოს დასტურდება, რომ ამგვარი მატერიკი — კუნძული ოკეანეში — მართლაც უნდა არსებულებოდა, ამასთან, თვით კატასტროფაც არის ხოლმე აღწერილი. ამგვარი მოთხრობები გვხვდება ინდიელთა, აფრიკისა და აზიის ხალხთა, წყნარი ოკეანის კუნძულების მკვიდრთა შორის, აგრეთვე ბერძნულ მითებსა და მცირე აზიის ხალხთა თქმულებებში.

არსებობს აგრეთვე ექვშეუტანელი წერილობითი წყაროები, ამასთან ეს წყაროები ნამდვილად პლატონამდე არის აღმოცენებული. ამ მონათხრობთა უმეტესობა, ყოველ შემთხვევაში შუამდინარეთის ბინადართაგან ლურსმულად ჩაწერილნი, ან კიდევ ამერიკის ხალხებში თაობიდან თაობას გადმოცემულნი, პლატონისთვის ცნობილი ვერ იქნებოდა. აზრდაც კი ვერ მოუვიდოდა მათი არსებობა. მართალია, ამ ლეგენდებში არაფერია ნათქვამი ატლანტებთან ათენელთა ომის თუ მათი საბრძოლო გმირობის გამო, არც დაღუპული კონტინენტის მკვიდრთა წყობილება და ცხოვრება აღწერილი, მაგრამ, თუკი გულდასმით შევისწავლით, უეჭველად შევნიშნავთ საისეულ ქურუმთა მონათხრობთან მათს საოცარ შესატყვისობას. თვით იმ მატერიკის სახელწოდებაც კი ამერიკელ ინდიელთა თქმულებებში თავისი ხმეირებით მოგვაგონებს სიტყვას Allantia.

ვცადოთ ნანგრევთა შორის გადარჩენილი აგურების ამოკრება და თანდათანობით აღვადგინოთ თერთმეტი ათასზე მეტი წლის წინათ მომხდარი ამბები. სხვადასხვა ეპოქებისა და კულტურების კუთვნილ, სხვადასხვაგვარი დამწერლობის მშვეობით სხვადასხვა ენაზე ჩაწერილ ფრაგმენტთა თავმოყრა მეტად სარისკო საქმეა და უდიდეს სიფრთხილეს მოითხოვს, იქნებ უფრო მეტსაც, ვიდრე საძირკველთა და ნანგრევთა ნაშთებისგან ბაბილონურ სასახლეთა რეკონსტრუქციისას იქნებოდა საჭირო. ნანგრევები და საძირკვლები ხომ ამ შენობის ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო ჩვენ რომ ნაგებობის აღდგენას ვაპირებთ, ის მთელ ქვეყნიერებაზე მიმოფანტულ და სხვა ეპოქების ნალექებში ალუფხულ ნამსხვრევთაგან შედგება. არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ნამსხვრევები ერთ მთლიანობას შეადგენს, და ისევე როგორც ცალკეულ ნაწილთა მოჩვენებითი მსგავსება შესაძლოა მხოლოდ და მხოლოდ ილუზია გამოდგეს, ასევე მითებში

არსებული წვრილმანი შეუსაბამობანი შესაძლოა იმის საბაზად გვექცეს, რომ დაუფიქრებლად გამოვრიცხოთ ზოგიერთი მათგანი. ლეგენდების, მითებისა და ჩანაწერების ანალიზი მოგვაგონებს სასამართლოში საქმის გარჩევას არაპირდაპირ სამხილთა საფუძველზე, როცა პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები არ მოეპოვებათ ხოლმე. ატლანტისის საკითხშიც ხომ სამხილები გვაქვს მხოლოდ. დამამტკიცებელი საბუთები ძირფესვიანად განსხვავდება არაპირდაპირ სამხილთაგან. დამამტკიცებელ საბუთთა წარმოდგენისას ყოველგვარი ეპვი ქარწყლდება და ყოველგვარ დისკუსიას ბოლო ედება, ხოლო ნებისმიერი სამხილი ახსნა-განმარტებას საჭიროებს. ასე აღიძვრის ხოლმე დავა, რომლის დროსაც წარმატება დიდად არის დამოკიდებული ამა თუ იმ მხარის უნარზე — თავის სასარგებლოდ გამოიყენოს არგუმენტები. სუბიექტური განმარტებანი ხშირად იქცევიან სასამართლოს შეცდომათა მიზეზად. მსგავს შემთხვევებში განაჩენი ემყარება დანაშაულის ალბათობას და არა მის სრულ სიცხადეს. ეს ალბათობა მით უფრო სარწმუნო ხდება, რაც უფრო მეტია სამხილთა რაოდენობა.

უამრავი თქმულებიდან, რომლებიც ჩვენ ატლანტისის დაღუპვის დამამოწმებელ სამხილებად მიგვაჩნია, თავდაპირველად შევაჯეროთ საოცრად შესატყვისი ორი ამბავი. პირველია ჩვენთვის კარგად ნაცნობი ბოლო სიტყვები დიალოგ „კრიტიკისა“, რომელიც იმ ადგილას წყდება, სადაც კატასტროფის მიზეზები უნდა განმარტებულიყო: „ხოლო ღმერთთა ღმერთმა ზევსმა... როგორც არსებამ, რომელსაც ძალუძს ამის გამორჩევა... გადაწყვიტა დაესაჯა... ყველა ღვთაება შეყარა მათს პატივსადებ საუფლოში... და, რა შეყარა, რქვა...“

და მეორე ამბავი:

„ხოლო იხილა რა უფალმან ღმერთმან, ვითარმედ განმრავლდეს უშჯულოებანი კაცთანი ქვეყანასა ზედა... და შეიგონა ღმერთმან, რამეთუ შექმნა კაცი ქვეყანასა ზედა, და შეინანა.

და თქვა ღმერთმან: აღვზოცო კაცი, რომელი შევქმენ, პირისაგან ქვეყნისა, კაცთაგან მიპირუტყვთამდე და ქვეწარმავალთაგან მფრინველთამდე ცისათა, რამეთუ შევინანე, რამეთუ შევქმენ იგინი“.

ეს მეორე ნაწყვეტი არის მოსეს პირველი წიგნის, „შესაქ-

შეთა წიგნის“ VI თავის მე-5-7 მუხლები, რომლებითაც იწყება წარღვნის ამბავი ბიბლიაში. ეს ნაწყვეტი თითქოს უპასუხებს კითხვას, ყოველ ჩვენთაგანს რომ აღეძვრის „კრიტიკის“ წაკითხვის შემდეგ: მაინც რა რქვა ღმერთთა ღმერთმა ზევსმა? ის ამბავი, თუ როგორ აღსრულდა ზევსის ქაღილი, ბიბლიის მომდევნო სტრიქონებით არის მოთხრობილი.

ძნელია იმის უარყოფა, რომ სხვადასხვა წყაროდან ზემოთ მოტანილი ციტატები ერთიმეორესთან მჭიდრო კავშირშია; ისიც სავსებით უეჭველია, რომ ორივეგან ერთი და იგივე მოვლენაა აღწერილი.

ძველი აღთქმის მცოდნეთ შესაძლოა გაუკვირდეთ, რომ ბიბლიის უფალი აქ გაიგივებულია ბერძენთა ღმერთთა ღმერთ ზევსთან, რაც იუდეველთა მონოთეისტურ რელიგიას არ შესატყვისება. ამიტომ აუცილებლად საჭიროა განვმარტოთ, რომ წარღვნის თქმულება გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე ერთი ღმერთის აღიარება იუდეველთაგან. ამ თქმულების პირვანდელი სახეობა, თაობიდან თაობას გადმოცემული, უეჭველია იუდეველთა მრავალი ღვთაებიდან ერთ-ერთის, ბერძენული ზევსის შესატყვისის, სახელს ახსენებდა. ამ სახელის უფლით თუ ღმერთით შეცვლა თავისებური „რედაქციული ჩასწორებაა“, რაც აუცილებელი შეიქნა მონოთეისტური რელიგიის შემოღების შემდეგ, ამასთან, ეს უკვე იმ დროს მოხდა, როცა იუდეველებს თავიანთი დამწერლობა ჰქონდათ.

იმ სახით, როგორითაც ამჟამად არის ცნობილი, მოსეს წიგნები შექმნილია ეგვიპტიდან იუდეველთა ლტოლვის მრავალი წლის შემდეგ. გინდაც ვირწმუნოთ, რომ თავად მოსე იყო ამ წიგნთა ავტორი, რის წინააღმდეგაც ილაშქრებს ზოგიერთი ღვთისმეტყველი (ეს წიგნები ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეში არისო შექმნილი), უნდა მიგვეჩნია, რომ ისინი ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIV საუკუნეში აღმოცენდნენ. ხოლო ერთღმერთობის დაწესებამდე იუდეველთა რელიგია, როგორც ჩანს, დიდად არ განსხვავდებოდა მეზობელ ხალხთა სარწმუნოებისგან. ცნობილია, რომ იუდეველთა შორის გავრცელებული იყო ქალღმერთ ანათის კულტი, რომელსაც მცირე აზიისა და ეფრატის აუზის სხვა ხალხებიც სცემდნენ თავყვანს. ეგვიპტელნი მას ნეითს უწოდებდნენ, ხოლო ბერძენნი — ათე-

ნას, რის შესახებაც წინა თავში უკვე გვქონდა საუბარი. ისიც ვიცით, რომ იუდეველნი ანათს იაჰვეს დად ან ცოლადაც კი მიიჩნევდნენ ზოგჯერ. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ მოსემდელი პერიოდის იუდეველთა ღვთაება იაჰვე და ბერძენთა ზევსი ერთიდაიგივე პიროვნება იყოს. რელიგიის რეფორმის შემდეგ სხვა ღმერთთა სახელის ხსენება აიკრძალა („სახელი ღმერთთა უცხოთა არა მოიხსენოთ, არცა ისმეს პირისაგან თქვენისა“) და აქედან მიეცა დასაბამი რედაქციულ ცვლილებებს წარღვნის აღწერისას.

ინგლისელი ატლანტოლოგი ჯ. ბირნი „შესაქმეთა წიგნისა“ და „კრიტიკისი“ დაბოლოების მოტანილ ციტატთა მსგავსების გაანალიზებისას¹ ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ ბიბლიის აღმსაარებელთა (და, მაშასადამე, ჩვენთვის ცნობილი რედაქციის ავტორთა) თვალსაზრისზე თუ დაედგებით, ძნელი მისახვედრია, ვის მიმართავს ღმერთი, როდესაც ამბობს: „აღვზოცო კაცი, რომელი შექმენ, პირისაგან ქვეყნისა...“ ეს სხვაგვარად გამოჩნდება, თუკი მოტანილ სტრიქონებს განვიხილავთ, როგორც მოსეს წინარე დროიდან ტრადიციით გადმოცემულ სიტყვებს (მცირეოდენი რედაქციული ცვლილებით). ამგვარად, ღმერთთა ღმერთმა იაჰვე-ზევსმა, რომელსაც ეწყალებოდა მის მიერ შექმნილი კაცი, მაგრამ იძულებული იყო დაესაჯა ჩადენილი დანაშაულის გამო, ყველა ღვთაება შეყარა „მათს პატივსადებ საუფლოში“ და, რა შეყარა, რქვა: „აღვზოცო კაცი პირისაგან ქვეყნისა!..“

წარღვნის თემაზე მრავალი დისკუსია გამართულა. თანადროული მეცნიერება არ უარყოფს „წარღვნის“ შესაძლო სინამდვილეს, ოღონდ იმ აზრს არ იზიარებს, თითქოს ამ წარღვნას დედამიწის პირი ერთიანად მოეცვას. პოლონელ მეცნიერთაგან ამგვარ დასკვნამდე პირველი მივიდა ჰუგო კოლონტი (1750—1812), რომელიც ცდილობდა მეცნიერულად აეხსნა ეს მოვლენა. მის დროს ორი მიმართულება ებრძოდა ერთმანეთს: ერთი მათგანის მომხრენი, ბიბლიის თვალსაზრისის მკაცრად დამცველნი, მიიჩნევდნენ, რომ წარღვნა ღმერთის ნებით იქნა მოვლენილი, ხოლო თავისუფლად მოაზროვნე ვოლ-

¹ „Atlantis“, t 11, № 2, 1958.

ტერი (1694—1778) ამტკიცებდა — ბუნებაში წარღვნა შეუძლებელიაო. კოლონტიმ თავისებური საშუალო პოზიცია დაიკავა: მეცნიერული თვალსაზრისით წარღვნა შესაძლოა კიდევ მომხდარიყო, ოღონდ უფრო შეზღუდული მასშტაბით.

განსვენებული პოლონელი გეოფიზიკოსი პროფესორი ედუარდ სტენცი თავის შესანიშნავ წიგნში „დედამიწა“ მთელ თავს უძღვნის „წარღვნის“ პრობლემას. ოღონდ, მისი აზრით, „წარღვნის“ ამბავი არ უნდა დაეუკავშიროთ ატლანტისის კატასტროფას, რომელიც გაცილებით უფრო ადრე მოხდაო. სტენცი იზიარებს სხვა გეოფიზიკოსთა მიერაც გამოთქმულ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც „წარღვნა“ ადგილობრივი მოვლენა იყო სპარსეთის ყურის რაიონში. ამგვარი „წარღვნა“ ალბათ ორი მიზეზით აიხსნებაო: ტენიანი ტროპიკული ზღვის ჰაერის მოდენის შედეგად აღძრული კატასტროფული თავსხმა წვიმებითა და სპარსეთის ყურის მხრიდან ვეება ზღვის ტალღის დატყდომით, რაც ციკლონით ან მიწისძვრით იქნებოდაო გამოწვეული. ძნელი სათქმელია, რა დონემდე შეიძლებოდა აეწია წყალს. სტენცს ჩვენს დროში მომხდარი ორი „წარღვნა“ მოაქვს მაგალითად. 1900 წელს გრივალმა დააქცია ქალაქი გალვესტონი ტეხასში, მექსიკის ყურის ნაპირას. მაშინ წყლის დონემ 5 მეტრით აიწია. 1876 წელს ინდოეთში, მდინარე ბრამაპუტრას შესართავთან, ციკლონის დროს ზღვის წყალმა 13 მეტრით აიწია და ქალაქი დატბორა. ამ კატასტროფის დროს ასი ათასზე მეტი კაცი დაღუპულა.

არსებობს შეხედულება, რომლის თანახმადაც ბიბლიური წარღვნა უნდა მომხდარიყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე სამი ათასი წლის წინათ ან „უფრო ადრეულ პერიოდში“. ეს უკანასკნელი ფორმულირება ფრიად მნიშვნელოვანია.

„საყოველთაო წარღვნის“ თქმულებას მეზობელ ხალხთა მრავალ ლეგენდაში მოეძებნება ანალოგია, ამის თაობაზე ქვემოთაც ითქმის. ბერძნულ მითოლოგიაში მას ჩამოჰგავს მოთხრობა „დევეკალიონის წარღვნისა“. კითხვა აღიძვრის: ხომ არ არიან ბიბლიური ამბის წყარო ეგვიპტეში, საისის ტაძარში არსებული ჩანაწერი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 570 წელს სოლონს უნახავს და რომლის გაცნობაც იუდეველ ქურუმებს გაცილებით ადრე შეეძლოთ? სწორედ ამ კითხვის პა-

სუხს მიაკვლია მეცნიერებამ. ამჯერად არქეოლოგთა აღმოჩენებმა შეასრულეს დიდი როლი.

ჯერ კიდევ 1872 წელს ინგლისელმა არქეოლოგმა ჯორჯ სმიტმა ლურსმულ წარწერებიანი თიხის ფირფიტების გაწყობისას ბრიტანეთის მუზეუმში მიაკვლია ნინევიის მეფე აშურბანიპალის ბიბლიოთეკის ფირფიტებს, რომლებზეც ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში ჩაუწერიათ ეგრეთწოდებული „გილგამეშის ეპოსი“. თორმეტ ქებათაგან ერთ-ერთი წარღვნის აღწერას შეიცავს. რამდენიმე ხნის შემდეგ გათხრების დროს ამავე ამბის შემცველი უფრო აღრინდელი (ჩვენს წელთაღრიცხვამდე XII საუკუნის, მეფე ამიზადუგას ხანის) ფირფიტებიც იპოვნეს. ბოლოს კიდევ უფრო ძველი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე XXI საუკუნის ფირფიტებიც აღმოჩნდა შუმერის ქალაქ ნიპურში. შუმერები ტიგროსისა და ეფრატის ველზე მკვიდრობდნენ ბაბილონელთა და ასურელთა იქ შექცამდე.

წარღვნის ამბავს ბერძნულ ენაზე მოგვითხრობს თავის „ქალღვის ისტორიაში“ არისტოტელეს თანამედროვე ბაბილონელი ისტორიკოსი და ქურუმი ბეროსი (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 330-260 წლები): გადმოცემის თანახმად, ჩემს ქვეყანაში ძველ დროს დიდი წარღვნა ყოფილა.

რამდენადაც ძველ ქვეყნიერებაში უფრო შორეული ხანის წერილობითი საბუთები დღემდე არ აღმოჩენილა, ფიქრობენ, რომ შუმერული აღწერილობა უძველესია, ხოლო სხვა დანარჩენები, მათ შორის ბიბლიის ამბავიც, მისი ასლი ან ანარეკლი არისო. ცნობილია, რომ შუამდინარეთის უძველესი კულტურა მრავალი საუკუნის მანძილზე ახდენდა დიდ გავლენას მეზობელ ხალხებზე, მაშინაც კი, როცა ბაბილონსაც და ასურეთსაც კარგა ხნის შეწყვეტილი ჰქონდათ არსებობა.

და მხოლოდ არქეოლოგთა მომდევნო, ამ ოცდაათიოდე წლის წინანდელი აღმოჩენები იქცა მოსაბრუნ პუნქტად წარღვნის საკითხისადმი მიდგომის საქმეში და გილგამეშის პოემის ლეგენდამ რეალობად იწყო გამოკვეთა.

იმ გათხრების დროს, რომლებსაც 1927-1928 წლებში ინგლისელი არქეოლოგი ვულეი აწარმოებდა უძველეს ქალაქ ურში (სპარსეთის ყურეში ეფრატის შესართავის სიახლოვეს), დიდი სანაგვე აღმოჩნდა. ეს იყო 14 მეტრის სისქე ფენა, წარ-

მოქმნილი სამშენებლო ნაყარნუყართ, თიხის კურკლის ნამტ-
ვრევებითა და ყოველგვარი ნარჩენებით, რასაც მოქალაქენი
გადაუძახებდნენ ხოლმე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.
ვუღეიმ ეს „ნაგავი“ გაჩხრიკა, თხრა განაგრძო და კიდევ ერთ
ფენას — წინარეშუმერული ხანის სასაფლაოს მიაკვლია. იმის
ქვემოთ აღმოჩნდა კიდევ უფრო ძველი სანაგვე, დაახლოებით
ჩვენს წელთაღრიცხვამდე ოთხი ათასი წლის წინანდელი. ხო-
ლო მის ქვეშ მდინარის შლამილა იყო, ადამიანის ბინადრობის
ნასახიც აღარ ჩანდა. კაცმა რომ თქვას, ამით შეიძლებოდა დას-
რულებულიყო გათხრები, რომლებიც ქალაქ ურის ისტორიას
ასახავდა მისი დაფუძნების დროიდან. მდინარის შლამის ფენა
ზომ იმის უქვევლი ნიშანი იყო, რომ აქ ევფრატის კალაპოტი
გაედინებოდა ოდესღაც. მაგრამ ვუღეიმ გადაწყვიტა მუშაობა
განეგრძო და 2,5 მეტრის სისქის შლამქვეშ კვლავ აღმოჩნდა
ადამიანის ბინადრობის კვალი: სამშენებლო ნარჩენები, თიხის
ნამტვრევები, კოცონის დანანთები ადგილები. აქ ნაპოვნი ნიე-
თები ზედა ფენებში ნაპოვნისგან განსხვავდებოდა, რაც იმის
მაუწყებელი იყო, რომ ისინი სხვა, უფრო ძველ კულტურას
ეკუთვნოდნენ.

ოღონდ მდინარის შლამის ფენა საიდანღა გაჩნდა? პასუხი
მხოლოდ ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო: ეს რაიონი წყლის
ქვეშ მოქცეულა დროებით. მაშასადამე, წარღვნა უნდა მომხდ-
არიყო. დაბლობში მოქცეული ვრცელი ტერიტორია მთლიანად
წყალს დაუტბორავს, ხალხიცა და ცხოველებიც დამხრჩვალან,
ნაკადებს მთელი საცხოვრებელი წაუღეკავთ. ხანი რომ გამოხ-
და, წყალმა დაიკლო, ტიგროსისა და ევფრატის ველზე ახალმო-
სულნი დაესახლენ — წარღვნას გადაარჩენილი მალლობთა ძვე-
ლი მკვიდრნი, რომელთაც ახალ სანაგვეზე თავიანთი კულტუ-
რის კვალი დატოვეს. რაღა თქმა უნდა, ამ ხალხს აზრად არასო-
დეს მოუვიდოდა, რომ ხუთი თუ ექვსი ათასი წლის შემდეგ მა-
თი სანაგვე ესოდენ დაფასდებოდა მეცნიერთაგან.

ვუღეის აღმოჩენა ადასტურებს წარღვნის ამბავს იმ სახით,
როგორც „გილგამეშის ეპოსშია“ წარმოდგენილი. თქმულების
თანახმად, გილგამეში მეფობდა ქალაქ ურუქში, რომელიც ევფ-
რატის ნაპირას იყო გაშენებული ურის სიახლოვეს. გილგამეშს
ძმობილი ჰყავდა — ენქიდუ, ნახევრად ველური, ტრამალეების

ბინადარი, რომელსაც მხოლოდ გილგამეშმა შესძინა „ცივილიზებული“ არსების თვისება. გილგამეშმა მრავალი საგმირო საქმე მოიმოქმედა ენქიდუსთან ერთად — ნაირგვარ ურჩხულებს ერკინებოდა ხოლმე, მოშულარ ღვთაებათა მიერ წარმოგზავნილთ. ერთ-ერთი გამარჯვების შემდეგ ღვთაებათა ნებით ენქიდუ მოკვდა ლხინის დროს. სიკვდილის გარღვევალობის გამო დაფიქრებულ გილგამეშს მოაგონდა ამბავი თავისი წინაპართაგანის — უთანაფიშთისა, საყოველთაო წარღვნას რომ გადაურჩა და უკვდავად იქცა. გადაწყვიტა მოეძებნა უთანაფიშთი და რჩევა ეთხოვა მისთვის. ხანგრძლივი მოგზაურობისა და მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ გილგამეში თავის წინაპარს ბედნიერების კუნძულზე შეხვდა.

აქ შეიტყო მან უთანაფიშთის ამბავი. ოდესღაც ღვთაებებს კაცთა მოდგმის ამოწყვეტა განუზრახავთ. უთანაფიშთი მაშინ ქალაქ შერუფაქში ცხოვრობდა თურმე. ერთ-ერთმა ღვთაებამ, მისდამი კეთილად განწყობილმა, ეს განზრახვა შეატყობინა და ურჩია — ხომალდი ააგო. უთანაფიშთიმ თავისი სახლი დაანგრია, მისგან ხომალდი ააგო და „ავზიდე მასზე, რაც კი გამაჩნდა, ავზიდე მასზე, რაც გამაჩნდა ვერცხლი, ავზიდე მასზე, რაც გამაჩნდა ოქრო, ავზიდე მასზე, რაც გამაჩნდა თესლი ყოველი სულდგმულისა, ავსვი ხომალდზე ოჯახი ჩემი და გვარეულობა, ჯოგი გარეული და ჯოგი ველური, ხელოსნები ყველანი ავსვი...

და დადგა დრო იგი: ცერცვის გამომგზავნელმა ბინდისას აწვიმა ხორბლის წვიმა. შევხედე ამინდის სახეს, ამინდი სახილველად შემზარავი იყო...

ერთ დღეს მძვინვარებდა გრიგალი, სწრაფად უბერავდა, მთებს აქცევდა, კაცთა მოდგმას ომივით მოედო. ერთმანეთს ვერ ხედავდნენ...

მეშვიდე დღის დადგომისას შეწყვიტა წარღვნის ქარიშხალმა ომი, ლაშქარივით რომ აწარმოებდა. ზღვა დაწყნარდა, ავმა ქარმა იკლო, წარღვნა შეწყდა...

გავხედე კიდეებს ზღვის საზღვრამდე: თოთხმეტი მხარე ამოზიდული იყო. ნიცირის ქვეყანას მიადგა ხომალდი, და ნიცირის მთამ შეიკავა ხომალდი, არ დაანება მოძრაობა...

ამოვსვი და გავუშვი მტრედი. წავიდა მტრედი და ისევ დაბ-

რუნდა. არ ჩანდა სადგური, უკან მოტრიალდა. ამოვსვი და გავუშვი მერცხალი. წავიდა მერცხალი და მობრუნდა, არ ჩანდა სადგური, უკან მოტრიალდა...

ამოვსვი პირუტყვი და შევწირე მსხვერპლი ოთხივ ქარისაკენ. ვაკმეე საკმეველი მთის მწვერვალზე¹.

მსხვერპლშეწირვის შემდეგ ღვთაებებმა დაინდეს უთანაფიშთი და მარტო სიცოცხლე კი არა, უკვდავებაც მიანიჭეს (ოღონდ ერთხმად არ მომხდარა ეს ამბავი, ზოგიერთი ღვთაება წინააღმდეგი იყო).

ასეთია მოკლედ შინაარსი ამ მშვენიერი პოემისა. მართალია, გილგამეშის შემდგომი თავგადასავალი ამჯერად ჩვენთვის ნაკლებ საგულისხმოა, ოღონდ ის მაინც უნდა მოვიხსენიოთ, თუ რით მთავრდება პოემა. გილგამეში იმის მკვდრებელია — უკვდავების საიდუმლო გამანდო. „აწ ვინ შეგიკრებს შენ ღმერთებს, რომ მოიპოვო სიცოცხლე, ასე რომ ეძიებ? — ეკითხება გმირს უთანაფიშთი. — კარგი, იფხიზლე ექვს დღეს და შეიდ ღამეს“. მაგრამ მისი ვედრებით გულშეძრულმა სხვა, არანაკლებ ფასეული საჩუქარი მიუბოძა — სიცოცხლის დასასრულამდე ჭაბუკად დარჩენა. საამისოდ გილგამეშს ზღვის ფსკერზე მოზარდი ბალახი უნდა მოეწყვიტა. გილგამეშმა ბალახი მოიძღა და დაღწინებული გამოემართა სამშობლოსკენ, გადაწყვეტილი ჰქონდა ეს ბალახი თავისი ქვეყნის ყოველი მკვდრისთვის ეწილადებინა. მაგრამ გზად ბედმა უმტყუნა: გილგამეშის ბანაობის დროს ბალახი გველმა გაიტაცა და შთანთქა.

და მხოლოდ გველმა შეიძინა მარადი სიჭაბუკე. მას აქეთ გველნი ყოველ წელიწადს იცვლიან პერანგს და ხელახლა განჭაბუკდებიან, ხოლო კაცი სიბერედ არის განწირული... — ასეთია შუმერული პოემის ეპილოგი.

ამას შეიძლება დავუმატოთ, რომ წარღვნის ირგვლივ გამართული სჯაბაასი გველივით გრძელ-გრძელია ხოლმე მეტწილად და კანსაც მისებურად იცვლის.

ვულების აღმოჩენის შემდეგ წარღვნის საკითხიც გამოახალ-

¹ ეპოსის ქართული ტექსტი ციტირებულია წიგნიდან: გილგამეშის ეპოსი, აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზ. კიკნაძემ, თ. გამყრელიძის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 75-77. მთარგმნელის შენიშვნა.

გაზრდავდა, მიუხედავად თავისი ასაკის — ხუთი თუ ექვსი ათასი წლისა. ოღონდ მართლა ამდენი ხანი გავიდა თუ არა მას შემდეგ? წარღვნის თარიღის განსაზღვრა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მისი სავარაუდო სურათის აღდგენა; საამისოდ მეცნიერებს დღემდე ვერ მოუპოვებიათ საკმარისად დასაბუთებული მონაცემები. აქ ნახსენები სავარაუდო თარიღი მშვენივრად უკავშირდება ბიბლიურს: როგორც ცნობილია, იუდეველნი დროს „წარღვნის აქეთ“ ანგარიშობენ და მის დასაწყისად ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3761 წელი მიაჩნიათ. ასევე ვერაფერი ბედენაა თარიღად ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2379 წლის მიჩნევა, როგორც ერთმა ასტრონომმა გამოთვალა იმ ვარაუდით, რომ წარღვნა უნდა მომხდარიყო მზის სრული დაბნელების დროს, რასაც ამ დროს ჰქონდაო ადგილი წყუამდინარეთში. ხოლო ზემოთ უკვე მოხსენიებული ბაბილონელი ისტორიკოსის ბეროსის თანახმად, რომელიც ბაბილონის ისტორიას ორ პერიოდად ყოფს, — „წარღვნამდელად“ და „წარღვნის მომდევნოდ“, — წარღვნის შემდეგ უკვე რამდენიმე ათასი წელი უნდა იყოს გასული.

იქნებ სიმართლე „სადღაც ამათ შუა“ იყოს მოქცეული, იქნებ შესაძლო იყოს მიახლოებით უკვე დადგენილი დრო წარღვნისა რამდენიმე ათასი წლით უკან გადაიწიოს და, ამრიგად, დაუახლოვდეს პლატონის შრომებში ნახსენებ თარიღს — ცხრა ათას წელიწადს სოლონის ეგვიპტეში ჩასვლამდე?

ამ საკითხზე გარკვეული მოსაზრებები აღიძვრის მესოპოტამიაში ახლახანს ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრებთან, განსაკუთრებით კი გამოქვაბულ შანიდარში (ჩრდილოეთი ირანი) გაწეულ სამუშაოებთან დაკავშირებით. ამის თაობაზე ერთ-ერთ ბოლო თავში გვექნება საუბარი.

ღმერთები და მათნი თვისკომნი:

ანთესტერიონის თვის ოცდამეათე დღეს, რაც ჩვენს კალენდრით თებერვლის დამლევს შეესატყვისება, ათენში დევკალიონის დროინდელი წარღვნისა და მისთა მსხვერპლთა აღსანიშნავად გლოვის დღესასწაული იმართებოდა ხოლმე. ეს დღესასწაულები ჰიდროფორიების, ესე იგი „წყლის დღესასწაულების“ სახელით იყო ცნობილი.

ჰიდროფორიების უმთავრესი დღესასწაული ეწყობოდა ათენის ტაძარ ოლიმპეიონში, რომელიც აკროპოლსა და ილისის ნაპირს შორის მდებარეობდა. ძველი საბერძნეთის ეს უდიდესი ტაძარი ზევს ოლიმპიელის სახელზე იყო აგებული უძველესდროს, გადმოცემის თანახმად, თავად დევკალიონს უნდა დაეფუძნებინა. ტაძრის იატაკი ქვის ფილებით იყო დაგებული, ოღონდ იატაკის ნაწილი პირვანდელი სახით დაეტოვებინათ, უქვისსაფარველოდ, არ ამოევისოთ კლდის ბუნებრივი ნაპრალები, რომლებშიც წარღვნისას წყალი ჩაინთქრეოდა. ჰიდროფორიების დროს ნაპრალებში წყალს ასხამდნენ წარღვნის ხსოვნის აღსანიშნავად (ან იქნებ წვიმის წყლის ჩასადენის შესამოწმებლადაც). წყალში თაფლის კვერებს ისროდნენ, ეტყობა, ეს მიწისქვეშეთის სტიქიონებისადმი მიძღვნილ საბოძვარს წარმოადგენდა, რათა წარღვნა აღარასოდეს განმეორებულყო.

დევკალიონი გახლდათ ძე პრომეთესი — კაცობრიობის მამისა, როგორც ზოგჯერ უწოდებდნენ ხოლმე. მამამისის მშობ-

ლები (მითის ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით) იყვნენ ტიტანი იაპეტი და ოკეანიდა კლიმენე. შეგახსენებთ, რომ ტიტანები არიან უძველესი ღვთაებანი, ცის ღმერთის ურანოსისა და მიწის დედის — გეას შვილნი. ოკეანიდებს უწოდებდნენ მომდევნო თაობას, ტიტან ოკეანისა და ტიტანიდა ტეთიდას შთამომავალთ.

დევეკალიონის დედის საკითხი არც ისე მარტივია. ზოგიერთი წყაროს თანახმად, დედამისი უნდა ყოფილიყო ოკეანიდა კლიმენე. ახლა ძნელია დაბეჭითებით იმის თქმა — მართლა პრომეთესა და მისივე საკუთარი დედის ძე იყო დევკალიონი, თუ სხვა რომელიმე კლიმენე ექცა დევკალიონს დედად — სახელი კლიმენე ძალზე გავრცელებული იყო ნიმფთა და მოკვდავ ქალთა შორის. შესაძლოა დევკალიონის დედა კლიმენე უბრალო მოკვდავი ყოფილიყო, რადგან დევკალიონი ღვთაებად არ ყოფილა მიჩნეული.

ამრიგად, დევკალიონი მოკვდავ კაცთაგანი იყო. მას ცოლად ჰყავდა ბიძამისის — პრომეთეს ძმის — ეპიმეთესა და ჰეფესტოს მიერ თავისი მამის ზევსის ბრძანებით თიხისგან გამოძერწილი პირველი დედაკაცის — პანდორეს ქალიშვილი. პირა, აგრეთვე მოკვდავი ქალი. ამ ამბავს დევკალიონისა და პირასთვის ხელი არ შეუშლია, რათა სანიმუშო ცოლ-ქმარი ყოფილიყვნენ. მაგრამ ერთ ღღეს...

იმ ხანას, როდესაც აქ მონათხრობი ამბავი ხდებოდა, უმფოთველი ვერასგზით ვერ დაერქმევა. სწორედ მაშინ დამთავრდა ღვთაებათა შორის ატეხილი სასტიკი ომი, რომელშიც გაიმარჯვა ზევსმა, ტიტანების — კრონოსისა და რეას ძემ. ჭაბუკი ღმერთის ძალაუფლება ცათა შინა და ქვეყანასა ზედა ჭერაც საკმარისად არ განმტკიცებულაყო და ახალი მბრძანებელი იძულებული შეიქნა მოკავშირენი ეძებნა როგორც ღვთაებათა, ისე კაცთა შორის. ხოლო დედამიწაზე, როგორც ყოველი ომის შემდეგ ხდება ხოლმე, საშინელი სილატაკე სუფევდა. ხალხი გამოქვაბულებსა თუ ქაობებში ბინადრობდა. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნულ მითოსში ზუსტად არ არის დადგენილი, თუ საიდან წარმოიშვენ ადამიანები. ზოგიერთი ლეგენდა კაცის წარმოშობას ბუნებას მიაწერს, სხვათა თანახმად, ამ საქმეში ღმერთების ხელი უნდა ერიოს. ისეთი თქმულებებიც არსებობს;

რომლებიც სწორედ პრომეთეს ასახელებს პირველ ადამიანთა შემქმნელად, ასე რომ პირველი ადამიანები, პირმშვენიერ პანდორეს მსგავსად, თიხისგან უნდა ყოფილიყვნენ შექმნილნი.

როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, სილატაკეს ძალადობა და კაცისკვლა სდევდა თან. ამ ამბის გამოძახილი ოლიმპოსაც აღწევდა და ღვთაებათა გულისწყრომას იწვევდა. ზოგიერთი ღვთაება ჩიოდა კიდევ — დედამიწაზე შეურაცხვეყოფენო, და ზევსს მოუწოდებდა კაცთა შორის წესრიგი დაემყარებინა. ზევსმა, რომელსაც, როგორც ეტყობა, თავის ემისართა მიერ მოტანილი ამბები სარწმუნოდ არ მიაჩნდა, გადაწყვიტა თავადვე გასცნობოდა ვითარებას, ოლიმპოდან გარდამოვიდა და ერთ დღეს უბრალო მგზავრის სახით გადააბიჯა არკადიის მეფის ლიკაონის სასახლის ზღურბლს. უნდა აღინიშნოს, რომ არკადია პელოპონესის ნახევარკუნძულზე მდებარე ქვეყანა და, ბერძნული მითების თანახმად, საბერძნეთის უძველესი დასახლებული ნაწილი იყო. ამ ქვეყნის მკვიდრთ ავტოქთონებს, ესე იგი კაცთა მოდგმის არსებობის დღიდან აქ მობინადრეებს უწოდებდნენ.

ლიკაონის სახლში ზევსი სასტიკად შეურაცხვევს — კაცის ხორცი მიართვეს ვახშმად. გამძვინვარებულმა ღმერთმა ელვათა ტყდომით მოსრა სასახლე მობინადრეებიანად, ლიკაონი კი მგლად აქცია, რათა ამიერიდან თავად გამხდარიყო კაცის ხორცის მჭამელი. ოლიმპოზე დაბრუნებულმა ზევსმა ღვთაებანი ბჭობად შეყარა და მათ ერთხმად დაასკვნეს კაცთა მოდგმის აღხოცვა.

ზევსის ბრძანებით დედამიწას თავს დაატყდა საზარელი ქაროშხალი მიწისძვრებითა და კოკისპირული წვიმებითურთ. ზევსის ძმამ პოსეიდონმა, ზღვათა მეუფემ (ხოლო პლატონის მონათხრობის მიხედვით — ატლანტისის მბრძანებელმა) ტალღებს მიწის პირის წალეკვა უბრძანა. მალე მთელი დედამიწა წყლით დაიფარა და ყოველივე ცოცხალი — ადამიანები, ცხოველები, მცენარეები — მოისრა.

წყლიდან მხოლოდ პარნასი — ფოკიდის უმაღლესი მწვერვალი ამომართულიყო. სწორედ ამ მთას მოადგა წარღვნის მეთავე დღეს ხომალდი, რომელზეც იყო კაცთა ერთადერთი გადარჩენილი წყვილი — თესალიის მეფე დეკალიონი და მისი მეუღლე პირა.

დევეკალიონმა პრომეთეს რჩევით წარღვნამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო ხომალდის — კილოზნის აგება და ამ კილოზანში დაიუნჯა ყოველივე, რაც მსგავს შემთხვევებში არის ხოლმე საჭირო. თავდახსნის ადგილს — პარნასის მთას — რაც შეეხება, ამ საკითხში აზრთა მცირეოდენი სხვაობაა. ზოგიერთი ფიქრობს, ეს იყო ათონის მთა, სხვანი ოფრისის მთას (თესალიაში) ან ეტნასაც კი ასახელებენ. შესაძლოა ოფრისი უფრო ახლოსაც მდებარეობდა. იმ ადგილიდან, სადაც დევეკალიონი და პირა სახლობდნენ, ოლონდ პარნასი უფრო მაღალი იყო.

დევეკალიონი და პირა მარტონი დარჩნენ. მარტო ხალხს არ გაეძლება ქვეყნად. მალე, წყლის უკუქცევისთანავე, გამოჩნდა მიწა, რომლის დასამუშავებლადაც მრავალი ხელი იყო საჭირო. მოხუცმა ცოლ-ქმარმა დელფოს ორაკულს მიმართა. და, რაკი ღმერთებმაც მათი სახით გულმართალი წყვილი იხილეს, დაეხმარნენ კიდევ. მათი მითითებისამებრ (ზოგიერთი ამტკიცებს — პრომეთეს ამჯერადაც არ დაუმაღლებიაო მათთვის გზიანი რჩევის მიწოდება) დევეკალიონი და პირა ქვეითად გაუყვნენ გზას ზურგსუკან ქვათა მსროლელნი. დევეკალიონის ხელით ნასროლი ქვები კაცებად იქცეოდა, ხოლო პირას ხელით ნასროლი — ქალებად. მალე ქვეყანა დასახლდა კაცთა ახალი მოდგმით, ქვასავით მაგარი რომ იყო და მძიმე შრომას არ უდრკებოდა.

ქვათა სასწაულს ზოგნი საკმაოდ მარტივადაც ხსნიან. ბერძნულად სიტყვა „ლას“ ნიშნავს „ქვას“, ხოლო „ლას“ — „ხალხს“. სიტყვათა წინასწარგანზრახული თუ შემთხვევითი თამაშის შედეგად კაცთა მოდგმა ქვისგან გამოიყვანესო. სიტყვამ მოიტანა და შეგახსენებთ, რომ დევეკალიონი და პირა თავიანთი ქვეყნის დასახლების ამ სასწაულებრივ ხერხს როდი დასჯერდნენ: ხანდაზმულობის მიუხედავად მათ ეყოლათ რამდენიმე შვილი, რომელთაგან უგამოჩენილესი ყოფილა ჰელენე — ბერძენთა მამამთავარი; სახელწოდება „ელინნი“ სწორედ აქედან წარმოდგება.

ბერძენ გმირთა სახელებს რაიმე გარკვეული მნიშვნელობა აქვთ მუდამ, ადამიანის დამახასიათებელ თვისებას თუ მის წარმომავლობას აღნიშნავენ ხოლმე. გარნა სახელ დევეკალიონის მნიშვნელობა ძნელი ასახსნელია. ჩვეულებრივ ფიქრობენ, ეს სახელი წარმოდგებაო სიტყვისაგან „დევეკოს“, რაც „მაჭარს“

ნიშნავს ბერძნულად. ეს რომ უსაფუძვლო მოსაზრებზე არაა, იმიტაც დასტურდება, რომ დევკალიონიცა და მისნი შთამომავალნიც ამ კეთილშობილი სასმელის მოტრფიალენი გახლდნენ. მისი ერთ-ერთი ვაჟიშვილი — ამფიქტიონი თავად დიონისეს — ბახუსსაც კი გამასპინძლებია ღვინით. ამფიქტიონი იმიტაც არის ცნობილი, რომ პირველად მან გაურია ღვინოს წყალი, ხოლო, როგორც ცნობილია, ზნეკეთილი ბერძენნი შუმ ღვინოს ერიდებოდნენ — მეტისმეტად აღმგზნები სასმელიაო. დევკალიონის მეორე ვაჟიშვილს — ორესტეს სახელი იმით გაუთქვამს, რომ ჩინებული ზვრების მფლობელი ყოფილა.

გარნა არც ის არის გამორიცხული, რომ სახელი დევკალიონი დაუკავშირდეს სიტყვას „დევ-კალია“ — „ღვთის სახლი“. ეს შესაძლოა დადასტურება ყოფილიყო იმ ამბისა, რომ დევკალიონმა ტაძარი დააფუძნა — გადმოცემის თანახმად ხომ მას აღუმართავს პირველი საკურთხეველი იმ ადგილას, სადაც შემდგომში აიგო ზევსის ტაძარი — ოლიმპეიონი.

არც მესამე ვერსიის უგულვებელყოფა შეიძლება: სიტყვა „დეუო“ ბერძნულად „სისველეს“ ნიშნავს. ამრიგად, ჩვენი გმირის სახელი „წარღვნაგამოვლილი“ იქნებოდა.

დევკალიონის სახელის სამივე განმარტება მას ამსგავსებს ბიბლიურ ნოეს, რომელიც აგრეთვე არც ღვინისადმი გახლდათ გულგრილი (თუმცა წყალს კი არ ურევდა ღვინოში), წარღვნასაც გადაურჩა და წარღვნის შემდეგ თავდახსნის ადგილას საკურთხეველიც აღმართა.

სახელი პირა „ალისფერ წითელს“ ნიშნავს. ასე ეწოდებოდა ძველ საბერძნეთში ერთი ხარისხის წითელ ღვინოს.

მკითხველისთვის მიგვიჩვენია წარღვნას გადარჩენილ ადამიანთა სახელების ამა თუ იმ მნიშვნელობის არჩევანი. შესაძლოა ზოგნი იმ დასკვნამდეც მივიდნენ — არავითარი წარღვნა არ ყოფილა, უბრალოდ, ნოემაც, დევკალიონმაც და პირამაც ღვინოში „იბანავესო“. ბერძნულ მითოლოგიაში ატლანტისის კვალის შემდგომი ძიებისას მიუზბრუნდეთ ამ თავის დასაწყისში მოხსენიებულ ოკეანიდა კლიმენეს.

მისი ქმარი იაპეტი ხანში რომ შევიდა, მშვენიერმა ოკეანიდამ მზერა მიაპყრო თავის ბიძაშვილს, მზის ღვთაებას ჰელიოსს. ამ სასიყვარულო კავშირის საკითხი მთლად გარკვეული-

არაა, რადგან ამ სახელს მრავალი ქალი ატარებდა, როგორც დევკალიონის გენეალოგიის დადგენისას ითქვა უკვე. ზოგიერთი იმასაც ამტკიცებს — ოკეანიდა კლიმენე ჰელიოსს არ უნდა დაეუკავშიროთ, მით უმეტეს, რომ ჰელიოსის კანონიერი მეუღლე იყო კლიმენეს ღვიძლი დაი ოკეანიდა პერსეა. ერთი კია, რომ ბერძნულ ღვთაებათა ოჯახში რა არ ხდებოდა. ისტორია გვეუბნება და ჩვენც ვიმეორებთ, რომ ჰელიოსისა და კლიმენეს კავშირის შედეგად რამდენიმე შვილი გაჩენილა — ჰელიადებად (ესე იგი, ჰელიოსის ასულებად) წოდებული გოგონები და ფაეტონად („სხივმოსილად“) წოდებული ვაჟი.

ფაეტონმა იცოდა, ჰელიოსის ძე რომ იყო. მამამისს ვერ ხვდებოდა, რადგან ჰელიოსი პირადად ვერ მონაწილეობდა ვაჟიშვილის აღზრდაში (თუმცა კი ზრუნავდა მის გამო), მუდმივი მოვალეობა აბრკოლებდა: ცისმარე დღეს ეტლით უნდა გადაევილო ზეცა, მის ეტლში ცეცხლოვანი რაშები იყო შებმული. დილით შეუყვებოდა ხოლმე ცარგვალს აღმოსავლეთის მხრიდან და, ზენიტს რა ააღწევდა, ოკეანისკენ დაქანდებოდა დედაშიწის მეორე მხარეს, ატლასის ასულთა — ჰესპერიდების ქვეყანაში, სადაც მათ ღიდმშვენიერი სასახლე ედგათ.

ფაეტონს ღედისგან სმენოდა — მამაშენი თანახმაა უგულითადესი სურვილი აგისრულოსო. მან სთხოვა ჰელიოსს — ნება მიბოძე, ერთხელ მაინც წარემართოო ცარგვალის გადამსერავი შენი ეტლი. ეს თხოვნა მაინცდამაინც გონივრული იყო, არაფრით არ ითქმის. თავმოთენობის ბრალი გახლდათ ყველაფერი: ფაეტონს უნდოდა ტოლ-სწორებში თავი მოეწონებინა, რადგან ამათ მისი ღვთაებრივი წარმოშობა ეეჭვებოდათ. ამჟამად უარობდა ჰელიოსი — ამგვარი გასეირნება დიდად სახიფათო რამ არისო. ფაეტონი დანაპირების აღსრულებას ჭიუტად მოითხოვდა და ბოლოს დაიყოლია კიდევ მზის ღვთაება. ვიდრე ვაჟიშვილს მოსართავენს გადასცემდა, მამა გულდასმით უხსნიდა ფაეტონს, როგორ უნდა ემართა ეტლი. სამწუხაროდ, ფაეტონმა ვერ დაუდო გულისყური ამ ახსნა-განმარტებას თუ ცეცხლოვანნი ცხენნი არ დაემორჩილენ გამოუცდელ მეეტლეს, ჰაბუკმა ჩვეული მარშრუტით ეტლის მიმართვა ვერ შეძლო, გზას გადასცდა, და ამან ბუნებაში არსებული წესრიგის საბედისწერო აღრევა გამოიწვია. მაღალ მწვერვალებზე თოვლ-



ფაეტონი — ბერძნული გამზა

მა დრობა იწყო, ტყეებს ხანძარი მოედვა, ბობოქარ მდინარეებს
ყინულის საფარველი გადაეკრა, ხოლო ქურქებში გამოხვეუ-
ლი შორეული ჩრდილოეთის ბანადარნი უჩვეულო სიცხემ შე-
აწუნა. დედამიწას დაღუპვის საფრთხე ემუქრებოდა. შემაშ-
ფოთებელი ხმები ღვთაებათა საუფლოსაც მისწვდა და კატას-
ტროფის თავიდან ასაცილებლად ზევსი იძულებული შეიქნა
საქმეში ჩარეულიყო: მან ელვის დატეხით განგმირა უბედური
ფაეტონი. ელვათა გვარიანი მარაგი კი ზევსს მუდამ ჰქონდა
შემონახული. მკვდარი ჭაბუკი მდინარე ერიდანში ჩავარდა.
ფაეტონის დები — ჰელიადები, რომლებიც ძმას ცხენების შებ-
მაში ეშველებოდნენ, სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. ზევსმა
ისინი შეიწყალა და ალვის ხეებად აქცია. მას აქეთია, ალვის
ხეები ქარვის ცრემლებს აფრქვევენო.

ბერძენ ავტორთა მიერ მოთხრობილი ეს პოეტური ამბავი,
რომელიც, სხვათა შორის, მრავალი დრამატული ნაწარმოების,
რომანის, ლექსისა და თვით ოპერის მშვენიერ თემად გამოდ-

გა, ასახავს კოსმოსური მასშტაბის საზარელ კატასტროფას, დედამიწაზე კლიმატი რომ შეუცვლია და რომელიღაც ციური სხეულის მეშვეობით არნახული ნგრევა გამოუწვევია. ამ ლეგენდას ანალოგიები მოეძებნება სხვა ხალხთა, განსაკუთრებით სამხრეთ ამერიკელ ინდიელთა თქმულებებში. მასვე მიმართავენ ხოლმე ატლანტისის „კოსმოსური კატასტროფის“ მომხრენი.

ოლონდ შესამოწმებელია ერთი რამ: შეიძლება თუ არა „ფაეტონის კატასტროფა“ და „საყოველთაო წარღვნა“ თუ „დეკალიონის წარღვნა“ ერთი და იმავე მოვლენად მივიჩნიოთ?

ეჭვი არ არის, სწორედ ასეა საქმე: წარღვნის როგორც ბერძნული, ისე ბიბლიური აღწერა ძალზე თანხვედრა ერთმეორეს თვით ისეთი მცირე დეტალებითაც კი, როგორიცაა მთავარ მოქმედ პირთა მხრივ ღვინის სიყვარული. წარღვნის კავშირი ფაეტონთან, სამწუხაროდ, შესაძლოა მხოლოდ დასკვნის საფუძველზე გაკეთდეს, მითოსურ გმირთა გენეალოგიური ნუსხის მეშვეობით. ალბათ აუცილებელი არ უნდა იყოს მკითხველის გაფრთხილება, რომ, როდესაც დასკვნები ისეთ სათუო მონაცემებს ემყარება, როგორიცაა პოეტების მიერ დამუშავებული ბერძნული მითები, უდიდესი წინდახედულება გვმართებს. ეს მითები თითქოს არ უნდა იყოს არალოგიკური, მაგრამ ზოგჯერ იმდენად მიაბიტიურია და იმდენი შეცდომის შემცველი, რომ მათზე დამყარებან დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა. და მაინც ეს უფლებას არ გვაძლევს სულ ხელი ავიღოთ მათზე, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ყოველ ნაჭორავშიც კი მოიძებნება ჭეშმარიტების ნატამალი. ამ შემთხვევაში მაგალითად გამოგვადგება ჰომეროსის მიერ მოთხრობილი ტროას ომის ამბავი.

ამრიგად, ვთქვათ, რომ ოკეანიდა კლომენემ ჰელიოსი შეიყვარა და ფაეტონის დედად იქცა, ხოლო იაპეტის ცოლობისას დეკალიონისა და პირას ბებია იყო იგი. ამჯერად ნუ ვიღავებთ იმის გამო, ფიქტიური პიროვნებანი არიან ისინი თუ რეალურნი, უბრალოდ შევნიშნოთ — გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ დეკალიონსა და ფაეტონს ერთ დროს ეცნოვრათ.

გარნა, მეორე მხრივ, აქ ერთგვარი წინააღმდეგობაც იჩენს თავს. ზევსმა წარღვნა კაცთა მოღვმის დასასჯელად მოავლინა. ხოლო ფაეტონისთვის იძულებული იყო სიცოცხლე მოესწრაფა დალუპვისგან ქვეყნიერების სახსნელად. აგრე იმიტომ მოიქცა, რომ ყურად იღო დედამიწიდან ოლიმპოს ღმერთთა საუფლომდე აწვდენილი ვედრება და განწირულების დაღადება. ეს გვაფიქრებინებს შემდეგს: ფაეტონის ამბავი მაშინ უნდა მომხდარიყო, როდესაც კაცი იმ ზომამდე ჯერ კიდევ არ ჩაფლულიყვნენ გარყვნილებაში, რომ საჭიროდ მიეჩნიათ მათი დასჯა.

როგორც ჩანს, მიზანშეუწონელი იქნებოდა ამ წინააღმდეგობის ახსნა მითების ანალიზზე დამყარებით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს დრომდე შემორჩენილი მითები ამოკრებილია საბერძნეთის ისტორიული პერიოდის ლიტერატურულ ნაწარმოებთაგან, ესე იგი ატლანტისის დალუპვის სავარაუდო დროიდან რამდენიმე ათასი წლის შემდეგ არის წარმოქმნილი. ისინი შეიცავენ უამრავ იგავს, ღვთაებათა და გმირთა თავგადასავლის მომთხრობელს, რელიგიის საფუძვლად დადებულ მრავალ თქმულებას, გარნა ისტორიის აღსადგენად საჭირო ფაქტი ერთობ ცოტა მოიპოვება ამ პოეტურ სტრიქონებში. და თუ ჩვენ მათ მაინც ვაანალიზებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ გმირთა სახელები სოლონის პირით მეორდება პლატონის მონათხრობში; სოლონი იმოწმებს აგრეთვე ფორონევსსა და ნიობეს. ესენი ოკეანიდების მეორე შტოს ეკუთვნიან, ინაქესა (კლიმენეს შმისა) და ნიმფა მელიასგან წარმომდგარს. ინაქე „სველ“ ღვთაებად იყო მიჩნეული, რადგან არგოლიდაში არსებული ამავე სახელწოდების მდინარის პატრონი გახლდათ; პრომეთეს მსგავსად, მასაც კაცთა მოღვმის მამად მიიჩნევდნენ. მას ზოგჯერ ეგვიპტელს უწოდებდნენ ხოლმე, ეს ამბავი კი თავისთავად უკვე საინტერესოა ბერძენთა და ეგვიპტელთა კავშირის დადგენის თვალსაზრისით. ინაქეს, სულ ცოტა, ოთხი შვილი მაინც ჰყავდა, რომელთაგან უფრორე ცნობილნი არიან მისი ძე ფორონევსი და ასული იო, ჰერას (ზევისის მეუღლის) ტაძრის ქურუმი და ზევსისავე საყვარელი.

ფორონევსის გამო ამბობენ — არგოლიდაში პირველი ქა-

ლაქები და ბაზრები მან დააფუძნაო. გადმოცემის თანახმად, სწორედ მას უსწავლებია კაცთათვის მანამდე პრომეთეს მიერ მოტაცებული ცეცხლის ხმარება. მრავალი შვილი ჰყავდა, მათ შორის — ქალიშვილი ნიობე, რომლის დედა ნიმფა ლოდოკე (ზოგიერთის აზრით — კერდა) იყო. ეს ქალიშვილი არ უნდა გავუიგივოთ სხვა, შესაძლოა უფრო მეტად ცნობილ ნიობეს, ტანტალოსის ასულს, ტრაგიკულად დაღუპულ შვილთა სვედამწვარ დედას, რომელიც, სხვათა შორის, გაცილებით გვიან ცხოვრობდა. „ჩვენს“ ნიობეს ორი შვილი ჰყოლია ზევსისგან. მათგან უმცროსი, პელასგი, გახლდათ მამა არკადიის ბედნავსი მეფის ლიკაონისა, სწორედ იმისი, ზევსს რომ კაცის ხორცით გაუმასპინძლდა.

ფორონეესი და ნიობე ლიკაონის წარლენამდე ცხოვრობდნენ, უეჭველია. ამ წარლენის დროს ლიკაონის ყველა შთამომავალი დაღუპულა, თუმცა ზოგნი ამტკიცებენ — მისი ერთ-ერთი ვაჟიშვილი, ნიქტიმე, თავად ქალღმერთმა გეამ გადაარჩინაო.

ფორონეესი წარლენის ტიპიური გმირია. მამამისი იყო „სველი“ ინაქე, ხოლო დედამისის სახელი — მელია (ბერძნულად — „იფანი“) შესაძლოა იმ მასალასაც მიუთითებდეს, რომლისგანაც ხომალდი თუ კიდობანი დაუმზადებიათ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნის მიწურულისა და მეხუთის დამდეგის დროინდელი ისტორიკოსი აქუსილადე არგოსელი წერს — ფორონეესის დროს მოხდა წარლენა, რომლის გმირი იყო ოგიგე. ზოგიერთი მას დევკალიონთან აიგივებს.

ოლონდ აქ „ისტორიული სიზუსტის“ დასაცავად იმის აღნიშვნა გვმართებს, რომ არც დევკალიონი და პირა, არც ოგიგე ის ერთადერთი ადამიანები არ ყოფილან, რომელთაც წარლენისგან თავის დახსნა ეწერათ. ფორონეესის დაი — პირმშვენიერი იოც გადარჩენია წარლენას.

როგორც უკვე ითქვა, იო ზევსის მეუღლის პერას ტაძრის ქურუმი იყო. ალბათ ამის წყალობით მას საშუალება ჰქონდა ღვთაებათა მეუფეს შეხვედროდა ხოლმე და კიდევ მოეხიბლა იგი. ამ რომანის შემდგომი მსვლელობა კარგად არ არის გარკვეული, რამეთუ ზევსი, იმის შიშით — ცოლი შემიტყობ-

სო, სამიჯნურო თავგადასავალს სასტიკ საიდუმლოდ ინახავდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ჰერამ შეყვარებულნი in flagranti¹ შეისწრო. ზევსი თავს იმართლებდა და გულმხურვალედ ეფიცებოდა — არაფერი ბრალი არ მიმიძღვისო, მაგრამ იკვნეული მეუღლე ამან ვერ მოაღმობიერა და ყოველი შემთხვევისთვის თავიდან მოიშორა ნამეტნავად თვალადი მსახური — ძროხად აქცია იგი. ამასაც არ დასჯერდა: ასთვალა არგუსი მიუჩინა იოს მეთვალყურედ, ხოლო როცა არგუსი ზევსის ძის ჰერმესის ხელით დაიღუპა, სხვა მდევარი შეუჩინა იოს — აბეზარი ბუზი, რომლისგანაც ლტოლვილმა იომ (ჯერაც ძროხის სახით მორბენალმა) ბოლოს და ბოლოს ეთიოპიას თუ ეგვიპტეს შეაფარა თავი. აქ ზევსის წყალობით კვლავ ადამიანის სახე დაიბრუნა და ვაჟიშვილი ეპაფე გააჩინა.

ამ ამბავს ცოტათი სხვაგვარად აგვიწერს ჰეროდოტე თავისი „ისტორიის“ პირველ წიგნში. ჰეროდოტე სპარსელთა მონათხრობს ემყარება. ამ მონათხრობის მიხედვით, იო ფინიკიელებს გაუტაცნიათ და მეტი არაფერი. ამასთან, ეპაფე ზევსის ძე კი არ ყოფილა, არამედ ფინიკიელთა ხომალდის კაპიტანისა.

ბერძნულ მითებში ეპაფე ეგვიპტის მეფედ წარმოგვიდგება. მისი მეუღლე ყოფილა მემფისი, ასული ნილოსის, ინაქესდაგვარად „სველი“ ღვთაებისა. ამ შეუღლების შედეგად შობილა მათი ასული ლიბია, რომელსაც ზევსის ძმის პოსეიდონისგან ორი ვაჟი შესძენია: ფინიკიელთა მეფე აგენორი და ეგვიპტის მეფე ბელე.

აქ ბერძნული მითოსის პერსონაჟები უცნაურად შეერწყმიან ეგვიპტურისას. ეპაფე გაიგივებულია წმიდა ხართან, აპისთან (ხაპი), რომლის კულტიც გავრცელებული იყო ეგვიპტეში, ხოლო ღედამისი იო — ეგვიპტურ ქალღმერთ იზიდასთან, რომელსაც ეგვიპტის ქალაქ მემფისში სცემდნენ თაყვანს უმთავრესად. სურათებზე მას ძროხის რქების მატარებლად გამოსახავდნენ. მათნი შთამომავალნი ეგვიპტესა და სხვადასხვა ბერძნულ სახელმწიფოებში, ლიბიასა და, შესაძლოა, ეტრურიაშიც გამეფებულან.

ბერძნული მითოსის კომენტატორნი ჩივიან — იოსდროინ-

¹ დანაშაულის ადგილას (ლათ.).

დელი ისტორია ერთობ რთული და აბურდულიაო. მხოლოდ ერთ შემთხვევაშია; რომ ეს ისტორია არავითარ ექვს არ იწვევს და საოცრად თანხვედბა ეგვიპტურ გადმოცემებს — ეგვიპტეში წარღვნა არ ყოფილა. ზემოაღწერილ წარღვნათა ყველა გმირი ან კიდობანში პოულობდა თავშესაფარს, ან კიდევ მათა მწვერვალებზე. იომ კი აფრიკის კონტინენტზე, გავაკებულ ადგილას იხსნა თავი. ეგვიპტე წარღვნას რომ გადარჩენია, ამას პლატონიც ამბობს „ტიმეოსში“.

ბერძნული მითოსი წარღვნის კიდევ ერთ გმირს ასახელებს. ეს არის დარდანი — ზევისა და ერთ-ერთი პლეადის ელექტრას ძე. პლეადები იაპეტისა და კლიმენეს ვაჟის ატლასის ასულნი იყვნენ, ჰიადები და ჰესპერიდები კი დებად ეკუთვნოდნენ მათ. ჰესპერიდებს დიდებული სასახლე ედგათ სადღაც, დედამიწის დასავლეთ კიდეზე. ტიტანი ატლასიც უკავშირდება ოკეანის გაღმა მდებარე ქვეყანას. ამგვარად, ჩვენის აზრით, დარდანიც ენათესავება შორეულ დასავლეთში არსებული რომელიღაც უცნობი მატერიკის მკვიდრთ, შესაძლოა, ატლანტისის მცხოვრებლებს. რაღა თქმა უნდა, ეს ვარაუდია მხოლოდ.

დარდანმა დასაბამი მისცა დარდანიდების დინასტიას, რომელსაც ტროელი მეფენი ეკუთვნოდნენ. პირველი მეფე შეიქნა მისი ვაჟიშვილი (სხვა ცნობებით—შვილიშვილი) ილოსი, რომლის სახელიც დაერქვა სატახტო ქალაქ ილიონს, ისევე როგორც დარდანისგან წარმოდგა დარდანელის სრუტის სახელი. მისი მომდევნო შთამომავალი იყვნენ პრიაპე და პარისი, სწორედ ის, მენელაოსის ცოლი — მშვენიერი ელენე რომ მოიტაცა და ამით ტროას ომი გამოიწვია. გარნა ეს ყველაფერი ჩვენთვის საინტერესო ამბავთა მრავალი წლის შემდეგ მოხდა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულის დამლევს.

დარდანის ერთ-ერთი შთამომავალი იყო აგრეთვე ენეასი, რომელმაც შეძლო ცეცხლმოდებულ ტროას მშვიდობით განრიდებოდა და ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ (რაც ესოდენ წარმტაცად აღწერა ვერგილიუსმა „ენეიდაში“) ჩაელწია იტალიას, სადაც ლათინთა სახელმწიფო დააარსა.

დარდანის თავგადასავალი სხვადასხვაგვარად გადმოიცემა ზოლმე: თავდაპირველად ვითომ არკადიაში უცხოვრია თავის

მეუღლესთან—ქრისასთან ერთად. ძმის სიკვდილის გამო (სხვა-თა შორის, ეს სიკვდილი დარდანსვე ბრალდებოდა ექვით) იძულებული შეიქნა არკადია დაეტოვებინა და კუნძულ სამოთრაკზე დამკვიდრებულიყო. წარღვნამ სწორედ იქ უწია და თავის გადასარჩენად მცირე აზიაში გაიქცაო. სხვა ვერსიის მიხედვით, არკადია მას სწორედ დეკალიონის წარღვნის დროს მიუტოვებია. ასეა თუ ისე, მითოლოგიაში დარდანი ერთ იმ ილბლიან კაცად არის მიჩნეული, ვისაც საზარელი კატასტროფისგან გადაარჩენა ეწერა. გამოჩენილი ატლანტოლოგი ბელამი ფიქრობს — დარდანისდროინდელი წარღვნა დეკალიონის წარღვნაზე გვიან უნდა მომხდარიყო.

ზოგიერთი „ადგილობრივი“ ბერძნული მითი წარღვნის სხვა ვარიანტებსაც ასახელებს. ბეოტიაში ამგვარი გმირი იყო ზემოთ უკვე მოხსენიებული ოგიგე, მეგარიდაში — მეგარევესი, ზეესის ძე, წეროების მიერ გადარჩენილი (წეროებს გაუღვიძებიათ და გერანეას მთის წვერზე მიუყვანიათ). კიდეც სხვა გმირი — კერამბე პელიონელი ნიმფებმა იმით იხსნეს, რომ ხოჭოდ აქციეს. ამ სახით პარნასის მთის თხემზე გადაფრენილა, პარნასის მთას კი წარღვნის წყალი არ ასწვდენია. უნდა აღინიშნოს, რომ ხოჭო ეგვიპტურ მითოსში უკვდავების სიმბოლოდ არის შეჩაბილი, რადგან ნილოსის აღიდების დროს არ იღუპება ხოლმე.

მართლაც ძნელი დასადგენია, ერთი „საყოველთაო“ წარღვნის გამოა ლაპარაკი მოტანილ აღწერილობებში, თუ ორი, სამი ან თუგინდ ოთხი „ადგილობრივი“ და „რიგითი“ წარღვნა იგულისხმება. წინააღმდეგ ბელამის შეხედულებისა, დარდანი კიდეც შეიძლებოდა გვეხსენებინა. მაგრამ ფორონევესის, ლიკაონისა და ფაეტონის აქ ხსენება უადგილო იქნებოდა.

სხვა რომ არაფერი, ფორონევესი ლიკაონის პაპის მამა გახლდათ. მართალია, ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ თავისი გადაგვარებული შთამომავლის საქციელით აღძრულ წარღვნას მოსწრებოდა. აკუსილაე არგოსელი გვამცნობს, რომ „ფორონევესის დროს მოხდა წარღვნა, რომლის გმირიც ოგიგე იყო“, და კრინტსაც არ ძრავს ფორონევესის ასაკის გამო. ამრიგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ყველა მონათხრობი, ცხადია, ფაეტონის ამბის გარდა, ერთადერთ წარღვნას უკავშირდება.

შესაძლოა სოლონმა სწორედ ამგვარად წარმოუსახა საქმის ვითარება საიხელ ქურუმებს, როცა „საბერძნეთის წარსულს გადასწვდა, ეგრეთ წოდებული პირველი ფორონევისა და ნიობეს შესახებ ჩამოუგდო სიტყვა, მერე წარღვნის მომდევნო ამბები გაიხსენა, დევკალიონი და პირა, მათი გადარჩენა, მათს შთამომავლობას ჩამოჰყვა და დროის თვალის გამდევნებელი ცდილობდა განესაზღვრა — რამდენი წელი გავიდოდაო მას შემდეგ“; ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ფაეტონი სულ არ უხსენებია. ფაეტონის ამბავი მას, ისევე როგორც ყოველ ბერძენს, უნდა სცოდნოდა, მაგრამ საჩუმუნოდ არ მიაჩნდა, ეტყობა. ამიტომაც განცვიფრდა, რა მოისმინა — ფაეტონის მითში ის ქეშმარიტება იფარებაო, რომ „ცათა შინა და დედამიწის ირგვლივ მბრუნავნი მნათობნი გზას ასცდებიან ხოლმე და, გრძელი ჟამი რომ გამოხდება, ძლიერი ცეცხლი ქვეყნად ყოველსავე გადაბუგავს“, შემდეგ — ცდება, ვისაც ჰგონია — მხოლოდ ერთი წარღვნა იყო, რადგან სინამდვილეში დევკალიონის წარღვნამდეც ღმერთებს დედამიწა არაერთხელ დაუტბორიათ განსაწმენდად, და მაშინ მათა ბინადარი მწყემსნი შველოდნენ თავს, თქვენი ქალაქების მკვიდრთ კი წყლის ნაკადები ზღვაში ჩაღეკავდაო.

უკანასკნელი ანუ უდიდესი წარღვნის (ესე იგი ატლანტიის დაღუპვის მიზეზად ქცეული წარღვნის) მერე გასული დრო უხუცესმა საიხელმა ქურუმმა ცხრა ათასი წელიწადით განსაზღვრა. მხოლოდ დამწერლობის მეოხებით შეძლეს ეგვიპტელებმა ამ ამბის დამახსოვრებაო. ხოლო ჩანაწერები თითქოს საკუთარი თვალთ უნდა ენახოს სოლონს. რაკი ეს ჩანაწერები ჩვენს დრომდე არ შემონახულა, სხვა აღარაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ მითოსის მოშველიებით აღვადგინოთ ამ ცხრა ათასი წლის ისტორია. რაღა თქმა უნდა, ამგვარ ისტორიას არავითარი მეცნიერული ღირებულება არ ექნება, რადგან ვარაუდებს უნდა დაემყაროს მხოლოდ.

პირველი აღამიანები არკადიაში ცხოვრობდნენო. საიდან გაჩნდა ეს ხალხი არკადიაში? მიწიდან ხომ არ აღმოაცენეს ნაყოფის სახით, ან იქნებ მდინარეთაგან, ქვათაგან აღმოაცენეს, თუ თიხისგან გამოძერწეს? ამ საკითხის მითოსის საფუძველზე შესწავლა დროის ფუჭი დაკარგვა იქნებოდა. მეცნიერულ გა-

მოკვლევებს სულ სხვა დასკვნებამდე მივყავართ—კაცთა მოდგმა მანამდეც არსებობდა რამდენიმე ასეული ათასი წლის განმავლობაში, ამასთან, მარტო საბერძნეთში კი არა, სხვაგანაც. „არკადიის უძველესი მკვიდრნი“ მხოლოდ იმიტომ ვახსენეთ, ბერძენთა შეხედულებას რომ გავცნობოდით.

ბერძნებს მიაჩნდათ, რომ კაცობრიობის ისტორიაში ოთხი პერიოდი უნდა ყოფილიყო — ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის საუკუნენი. ფორმალურად ეს თითქმის მოგვაგონებს პალეოლითს, მეზოლითსა და უფრო მოგვიანო პერიოდებს, რომლებსაც თანადროული მეცნიერებაც ასახელებს. ოღონდ მეცნიერნი ამტკიცებენ — კაცი უფრო და უფრო სრულყოფილი ხდებოდაო, ბერძენთა თვალსაზრისით კი პირიქით იყო საქმე. ოქროს ხანის პირველი ადამიანები ლამის ისევე სრულქმნილნი იყვნენ, როგორც ღვთაებანი. ველური ნაყოფითა და თაფლით საზრდოობდნენ, საზრუნავი არაფერი ჰქონდათ, სიბერე და ავადმყოფობა რა იყო, არ იცოდნენო. ვერცხლის ხანის ადამიანები უკვე პურს იყენებდნენ საზრდელად. მათ ღმერთების ურჩობა დაუწყყიათ და ამის გამო კიდევ დასჯილან წარღვნით. ბრინჯაოს ხანაში იარაღი გამოუგონიათ, ამას ომები მოჰყოლია. ხალხმა ხორცის ჭამას მიჰყო ხელი, ავადმყოფობებიც გაჩნდაო — კაცთა მოდგმა უფრო და უფრო შორდებოდა თავის იდეალურ წინაპარს. გარნა ამ პერიოდის მიწურულს (ბრინჯაოს ხანას ზოგნი ორ პერიოდად ყოფენ) გაჩნდნენ გმირნი, რომელთა ხსოვნა პოეტთა ნაწარმოებებში შემორჩა ჩვენს დრომდე: ესენი იყვნენ არგონავტები და ტროას ომის გმირები. მომდევნო პერიოდია რკინის ხანა, უსამართლობისა და გულმხეცობის, გამორჩენისა და მუხანათობის ხანა, რომელიც ღღესაც გრძელდებაო.

ამგვარ საფუძველზე წარღვნის თარიღის დადგენა საძნელო იქნებოდა. ერთადერთი, რაც აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, ის არის, რომ წარღვნა ვერცხლისა და ბრინჯაოს საუკუნეთა მიჯნაზე მომხდარა. გენეალოგიურ ნუსხას თუ ვერწმუნებით, „კაცობრიობის წინაპრებს“ — ფორონესს, ეპაფეს, დევკალიონს ტროას ომამდე ათასი წლის წინ, ანუ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ათას ხუთასი წლის ახლო ხანებშილა უცხოვრიათ, მანამდე კი არა.

მაგრამ წარღვნის თარიღი შეგვეძლება გაცილებით უკან გადაწვიოთ, თუკი მითოსის პერიოდის ქრონოლოგიაში რამდენსამე „შესწორებას“ შევიტანთ. საამისოდ ბერძნულ ღვთაებათა წარმოშობასთან დაკავშირებული ზოგიერთი თეორია უნდა განვიხილოთ. ერთნი მითოსურ სახეებში ისეთ ადამიანებს ხედავენ, რომლებიც მათ-მათ დამსახურებათა აღსანიშნავად მიუჩნევიან უკვდავად. სხვანი ღვთაებათ ალეგორიულ მნიშვნელობას მიაწერენ: ზევსი გონების ან ზეცის განსახიერებად არის მიჩნეული და ასე შემდეგ. კიდევ სხვანი ღვთაებებში ბუნების, განსაკუთრებით — ასტრონომიულ მოვლენათა ანარეკლს, ციურ სხეულთა თუ თანავარსკვლავედთა განსახიერებას ეძიებენ. ყველა ამ თეორიის გაანალიზებას ჩვენ ნუ შევუდგებით, მხოლოდ ერთ მათგანზე შევაჩეროთ ყურადღება.

მკითხველი ყურადღებას მიაქცევდა ღმერთთა ღმერთ ზევსის მრავალ საქორწინო თუ უქორწინებელ კავშირს. იმის დადგენაც კი ძნელია, თუ რამდენი იყო ამგვარი კავშირი. ზევსის კანონიერ მეუღლეებად ქორწინების დროსდა მიხედვით მიჩნეულნი არიან მეტიდა, თემიდა, დიონე, მნემოსინე, ევრინომე, დემეტრა, ლეტო და პერა (რომელიც ყველაზე მეტხანს ჰყოლია თანამეცხედრედ) — სულ რვა, ესე იგი იმაზე მეტი, ვიდრე ზევსის მიწიერ კოლეგას, ინგლისის მეფეს ჰენრიხ მერვეს ჰყავდა (ეჭვსი მხოლოდ). აქ დავსძინოთ, რომ ზევსის სამი უკანასკნელი ცოლიდან სამივე ღვიძლი დაი იყო მისი. რაც შეეხება საყვარლად დასმულ მოკვდავ ქალთა თუ ღმერთქალთა ნუსხას, იმსიგრძე გამოვიდოდა, მის აქ მოტანას აზრიც არა აქვს. ზოგიერთი მათგანი ვახსენეთ უკვე. მოკვდავ ქალთაგან პირველი ნიობე იყო, ბოლო — ალკმენე, პერაკლეს დედა. ამაში უჩვეულო არაფერი იქნებოდა, ერთი გარემოება რომ არა: ეს კავშირები ასეულ, ზოგჯერ კი ათასეულ წლებსაც გრძელდებოდა, ესე იგი ისეთი პერიოდის განმავლობაში, როგორიც ერთი ადამიანისთვის წარმოუდგენელია. პერაკლეს დედა ალკმენე გახლდათ შვილიშვილი დანაესი (აგრეთვე ზევსის საყვარლისა), ეს კი, თავის მხრივ, — შვილთაშვილი — ბელეს, ეგვიპტის მეფისა, რომელიც ზევსისა და პირმშვენიერ იოს შვილთაშვილი იყო. ამას უნდა დავუმატოთ, რომ ბელე ყოფილა ვაჟი ზევსის ძმის პოსეიდონისა.

ოლიმპოელ ღვთაებათა ეს მრავალრიცხოვანი „კავშირნი“ უნდა მიუთითებდნენ საბერძნეთის ავტოქთონთა სისხლის შერევას სხვა, „უმჯობესი“ რასის წარმომადგენლებთან, რომლებსაც ოდესღაც დაუპყრიათ ბერძენთა და ეგვიპტელთა მიწა-წყალი. ამრიგად, ზევსის შვილებზე რომ ჩამოვარდება სიტყვა, ისინი ავტოქთონი ქალისა და „მბრძანებელთა ერის“ წარმომადგენლის შვილებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამგვარი ახსნა შეეწყობოდა აგრეთვე ჰეროდოტეს მონათხრობს იოსა და ფინიკიელთა ხომალდის კაპიტანის შესახებ. ეგვიპტის მეფე ეპაფეს ასულის — ლიბიის პოსეიდონთან დაქორწინება შეიძლებოდა ახსნილიყო, როგორც ეგვიპტური სისხლის ატლანტთა სისხლთან შერევა, თუკი პოსეიდონს ატლანტისის მეფედ მივიჩნევდით. ამგვარადვე აიხსნებოდა ჰერაკლეს. წარმომავლობა და ზევსის სხვა „ემპაკობანი“, ნიობედან ვიდრე ალკმენემდე.

ეს „თეორია“ სოლონის მიერ საისში ქურუმთაგან მოსმენილს არ ეწინააღმდეგება. საბერძნეთისა და ეგვიპტის სახელმწიფოები ხომ ზევსის ქალიშვილმა ათენამ დააფუძნა მათივე: სიტყვისამებრ: „თქვენი (ქალაქი) ათასი წლით ადრე გეასა და ჰეფესტოს თესლით დაამკვიდრა, ხოლო ჩვენი — შემდგომში“.

ასე რომ გენეალოგიურ ნუსხას უფრო „ლიბერალურად“ თუ მივუღებოთ და ნახსენებ გმირთაგან ზოგიერთს მაინც მთელ დინასტიად მივიჩნევთ, ფორონესიდან ტროას ომამდე პერიოდი გარმონივით შეგვიძლება გავწილოთ რამდენიმე ათას წლად. ზოგიერთი კომენტატორი სწორედ ამგვარად ხსნის იმ ექვსდღეს, რომელთა განმავლობაშიც შეიქმნა სამყარო ძველი აღთქმის თანახმად.

საინტერესო ცნობები მოუწოდებია არისტოტელეს ერთ ნაშრომში, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენს დრომდე აღარ შემონახულა. ამას არისტოტელედან ასი წლის შემდეგ მცხოვრებ აპოლონიოს როდოსელისგან ვტყობილობთ. არისტოტელე თურმე ამტკიცებდა — პელასგებს მეტი უფლება ჰქონდათო არკადიის მიმართ, ვიდრე გვიან მოსულ ელინებს, რადგან პელასგები უკვე მაშინ ცხოვრობდნენ არკადიაში, „როდესაც ყველა ციური სხეული ჯერაც არ ბრუნავდა ცარგვალზე, დანაელთა რასა ჯერაც ცნობილი არ ყოფილა, ხოლო პელასგთა ქვეყანას დევკალიონის შვილნი ჯერაც არ განაგებდნენ. როგორც ამბო-

ბენ, მაშინ იქ მხოლოდ აბიელ არკადიელებს უცხოვრიათ ქვეყნის მთიან მხარეში, რკოს ხმარობდნენ თურმე საზრდელად, მსგავსად იმ დროისა, როცა მთვარე ჯერაც არ იყო ცაზე“.

ამას პლუტარქეც იმეორებს და დასძენს — არკადიის ერთ-ერთ მეფეს უწოდებდნენ პროსელენეს, რაც „მთვარის უხნესს“ ნიშნავს, არკადიის მაშინდელ მკვიდრთ კი პროსელენიდებად იხსენიებდნენო.

ვინ იყვნენ ეს აბიელი არკადიელები? სიტყვა apis (ცხადია, ეს სიტყვა არ უნდა გავუიგივოთ ოზირისის კულტთან დაკავშირებულ ეგვიპტურ წმინდა ხარს აპისს) წარმოდგება სიტყვისგან apios — დაშორებული. არკადიის მიმართ მას კიდევ ერთი მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთი ბერძენი ავტორი (მაგალითად, ესქილე) არკადიას და მთელ პელოპონესსაც კი, რომლის ნაწილსაც იგი შეადგენდა, უწოდებდა აპიას, რაც „მსხლის ქვეყანას“ ნიშნავს. მსხლის ხე იქ კულტის საგანი იყო და ღვთაებათა გამოსაქანდაკებელ მასალად გამოიყენებოდა. ველურ მსხალს არკადიაში „მთვარის ხელ“ მიიჩნევდნენ, შესაძლოა იმიტომაც, რომ მისთა ყვავილთა შეფერილობა მთვარის შუქს ჩამოჰგავს. აქ ჩვენ შეგვიძლია ოდენ აღვნიშნოთ არკადიის რალაცევარი კავშირი მთვარესთან.

აპისი ერქვა აგრეთვე ნიობეს ძმას, ფორონევის ძეს, არგოლიდის პირველ ქალაქთა დამფუძნებელსა და პელასგთა მამამთავარს. მაშასადამე, „აბიელი“ შესაძლოა „ერთ პირველ არკადიელთაგანს“ ნიშნავდეს.

გარნა ბელამი („The Atlantis Myth“) „აბიელის“ განსაზღვრას სკვითებს უკავშირებს, დუნაისა და შავი ზღვის ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხს. სკვითების ენაზე აბი სახელია მიწის ქალღმერთისა, რომელიც ბერძენთა გეას შეესატყვისება.

ისიც გასარკვევია, თუ ვის გულისხმობდა არისტოტელე დანაელთა ხსენებისას. დანაელებს არგოსის მეფის დანაოსის (ეგვიპტის მეფის ბელუსა და იოს ძის) ორმოცდაათ ასულს უწოდებენ ხოლმე ჩვეულებრივ. დანაიდები მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ მიათხოვეს ეგვიპტელი მეფის — ეგვიპტოსის, დანაოსის ძმის, ვაჟიშვილებს, და მამის ბრძანებისამებრ ყოველმა მათგანმა (ჰიპერმნესტრეს გარდა) მოკლა თავისი ქმარი. ეს მითი ბერძენთა და ეგვიპტელთა ძველისძველ ნათესაობას მიგვა-

ნიშნებს, მაგრამ პროსელენიდთა ლეგენდაში ამის თაობაზე რო-
დია საუბარი. ისიც შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამ შემთხვევა-
ში ნაგულისხმევი არიან ზევსის საყვარლის დანაეს შთამომავ-
ალნი. ეს ის დანაეა, რომელმაც პერსევსი შვა და რომლის
გვარსაც ეკუთვნოდა პერაკლე. შუმერთა რელიგიაში დანაეს
შეესატყვისებოდა მთვარის ქალღმერთი დამ-ქინა, ხოლო იუდე-
ველთა რელიგიაში — დინაჰი. გარნა ბელამი გვამცნობს, რომ
ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ტერმინი „დანაელები“
„მშრალ ხალხს“ ნიშნავს „ზღვის ხალხისგან“ — პელასგების-
გან განსხვავებით. „სველთა“ და „მშრალთა“ ეს დაპირისპირება
წარღვნასთან კავშირს მეტყველებს. პირველნი წარღვნამდე სახ-
ლობდნენ არკადიაში, მეორენი — წარღვნის შემდეგ.

„პროსელენიდები“ ზოგიერთ სხვა ბერძნულ მითშიც იხსე-
ნიებიან. ბეოტიურ თქმულებათა თანახმად, კაცი პრომეთეს
როდი შეუქმნია. ხალხი სტიქიურად ამოიზრდებოდა მიწიდან,
როგორც მისი უსრულქმნილესი ნაყოფი. პირველი კაცი ალალ-
კომენე იყო. კოპაიდის ტბის სანახებში გაჩნდა მაშინ, „როცა
მთვარე ჭერაც არ ყოფილა“, ზევსის მრჩეველი იყო პერასთან
მისი წაქიდებისას, აგრეთვე ზევსის ასულის ჯთენას, იმხანად
ჭერაც პატარა გოგონას მეურვეო.

პროსელენიდების საკითხი ამას წინათ ხელახლა წამოიჭრა
ატლანტოლოგიაში „დედამიწის მიერ მთვარის მიტაცების“ თე-
ორიასთან დაკავშირებით. ამ თეორიის თანახმად, მთვარე წინათ
ერთ-ერთი პლანეტა იყო და მზის გარშემო ბრუნავდა. დედამი-
წასთან მის დაახლოებას ქვეყნიერებაზე მანამდე არნახული
მოქცევები გამოუწვევია, ხოლო მთვარის „მიტაცებას“, ესე
იგი მისი ორბიტის იმგვარად შეცვლას, რომ მან ბრუნვა დედა-
მიწის გარშემო დაიწყო, ჩვენი პლანეტის ზედაპირზე მატერი-
კებისა და ზღვების კონფიგურაციის შეცვლა მოჰყოლია, რის
შედეგადაც ატლანტისი წყალში დანთქმულა. აქ უადგილო არ
იქნება გავიხსენოთ ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში
მცხოვრები ბერძენი მათემატიკოსისა და ასტრონომის ანაქსა-
გორეს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც დედამიწა მთვარე-
ზე ადრე უნდა წარმოქმნილიყო. ახლა ძნელი დასადგენია, რას
ემყარებოდა ამ შეხედულების ავტორი. იქნებ სწორედ პროსე-
ლენიდების შესახებ არსებულ ლეგენდებს? თუმცა ისიც ცნო-

ბილია, რომ მითებისადმი კრიტიკულად იყო განწყობილი. ანაქსაგორემ გაბედა განეცხადებინა (წინააღმდეგ მოარული შეხედულებისა) — მზე ღმერთი კი არა, გავარეარებული ქვა არისო, რის გამოც ათენში რჯულისგან განდგომილად შერაცხეს და საპყრობილეშიც კი ჩასვეს.

ამ თავის დასასრულს უნდა მოვიხსენიოთ კიდევ პლატონის მიერ დასახელებული ლეგენდარული გმირები: კეკროპსი, ერეხთევსი, ერისთონეა, ერისიხთონი და თეზევსი. ესენი მეფის სახლეულს ეკუთვნოდნენ და დევკალიონის წარღვნის შემდეგ განმგებლებად იყვნენ ათენში.

**კლასიკურ თქმულებათა
გამოქაზილნი**

გილგამეშის ეპოსი, ბიბლიის თქმულება საყოველთაო წარ-
ღვნისა, ბერძნული მითები — ეს ყოველივე ისეთი ამბებია,
რომლებიც ლიტერატურაში მრავალგზის იხსენიება და ამის მე-
ოხებით ბავშვობიდანვე ნაცნობიცაა ყველასთვის. პლატონის
„ტიმეოსსა“ და „კრიტიასთან“ ერთად, ჩვენ მათ კლასიკურ
თქმულებათა რიცხვს ვაკუთვნებთ. ოღონდ მათ გარდა ცნობი-
ლია აგრეთვე რამდენიმე ასეული მსგავსი თქმულება, რომლე-
ბიც უხსოვარი დროიდან მოყოლებული თაობიდან თაობას გა-
დაეცემა სულ სხვადასხვა რასის ხალხებში.

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერება არ უარყოფს არცთუ:
შორეულ წარსულში მომხდარი წარღვნის სინამდვილეს, რომ-
ლის გამოქაზილსაც წარმოადგენს ხსენებული ლეგენდები, თუმ-
ცაღა მიაჩნია, რომ ამ ლეგენდებში ადგილობრივი მასშტაბის
ამბები უნდა იყოს ასახული. ამასთან, სწავლულნი გადაჭრით-
ეწინააღმდეგებიან საყოველთაო წარღვნის თეორიას, ესე იგი
ისეთი წარღვნისას, რომლის დროსაც „მაღალი მთები წყალს და-
უფარავს“: ატმოსფეროსა და ოკეანეებში წყალი ერთობ ცოტა
არის საიმისოდ, რომ ყველა მატერიკი დატბოროსო. დედა-
მიწის ატმოსფეროში წყლის ორთქლის სახით არის დაახლოე-
ბით 13 000 კმ³ წყალი. ეს ორთქლი მთლიანად წყლად რომ
ქცეულიყო და წვიმად მოსულიყო, დედამიწის მთელ ზედაპირს,

რომლის ფართობიც 500 მილიონ კმ² უდრის, რაღაც 25 მმ წყლის ფენა დაფარავდა. გაცილებით მეტ წყალს შეიცავს მყინვარები — 21 მილიონ კმ³. მყინვარები ერთიანად რომ დამდნარიყო, ოკეანეებში წყლის დონე 60 მეტრით მაინც აიწევდა. რაღა თქმა უნდა, მრავალი სანაპირო რაიონი წყლით დაიფარებოდა, ოღონდ ოკეანის ნაპირებიდან შორს მდებარე მხარეები კი არა.

ამ გამოთვლებით მხედველობაში არ არის მიღებული მიწის ქერქის სტრუქტურის ცვლილებანი, რომელთაც შეეძლოთ მატერიკების სანაპირო მოხაზულობა ძირფესვიანად შეეცვალათ. მხედველობაში არ არის მიღებული აგრეთვე დედამიწის ბრუნვის ღერძის შესაძლო გადაადგილებანი ან დედამიწასთან სხვა, უფრო დიდი ციური სხეულის მოახლოება, რასაც შეეძლო მიწყვივ თუ დროებით ემოქმედნა დედამიწის მატერიკებისა და ზღვების კონფიგურაციაზე.

ეკლესიის ძლიერი ზეგავლენის ქვეშ მოქცეული შუა საუკუნეთა-მეცნიერება ძველი აღთქმის ქეშმარიტებად მიჩნევის წინააღმდეგ არაფერს ამბობდა. ბუნებისმეტყველების განვითარებასთან ერთად ბიბლიურმა ლეგენდებმა, მათ შორის წარღვნის თქმულებამაც, თანდათანობით დაკარგეს „აბსოლუტური ქეშმარიტების“ პირვანდელი ხასიათი. დაიწყო მათი კომენტირება, განმარტება. კერძოდ, ეს იმ „ექვს დღესაც“ ეხება, რომელთა განმავლობაშიც შეიქმნა სამყარო. ეს ექვსი დღე დროის ექვს ვრცელ პერიოდად იქნა მიჩნეული. ამასთან დაკავშირებით შეიცვალა თარიღი მრავალი ბიბლიური ამბის, მათ შორის—წარღვნისაც. მას აქეთ გავრცელებულია აზრი, რომ ნოეს წარღვნას, თუკი მართლაც მომხდარა ეს წარღვნა, ადგილი ჰქონია სულ რამდენიმე (და არა რამდენიმე ათეული!) ათასი წლის წინ. წარღვნის ადგილად მხოლოდ იმ რაიონებს ასახელებენ, რომლებიც თავის დროს იუდეველებით იყო დასახლებული.

ლურსმული წარწერებისა და გილგამეშის ეპოსის გაშიფვრას არც უარუყვია და არც დაუდასტურებია ბიბლიის სისწორე. აღიარებულ იქნა, რომ ბიბლია მეორეული წყარო უნდა იყოს და ტიგროსისა და ეფრატის შესართავთან მდებარე ქვეყანა-

ში აღმოცენებულ უფრო ადრინდელ თქმულებას უნდა იმეორებდეს. „გილგამეშის წარღვნად“ სახელდებული კატასტროფის თარიღთან დაკავშირებით თითქმის არაფერი გარკვეულა.

წარღვნის ის ლეგენდები, რომლებიც გავრცელებულია ბაბილონისა და პალესტინის მეზობლად მცხოვრებ ხალხებში, „კლასიკურ“ თქმულებათა გამოძახილად შეგვეძლო მიგვეჩნია. გარნა ეს თეორია მიუღებელია იმ ხალხთა თქმულებებისთვის, რომელთაც ისტორიულ ხანაში კავშირი არ ჰქონიათ ეგრეთ წოდებულ ძველ ქვეყნიერებასთან. ირკვევა, რომ წარღვნის თქმულებები ყველაზე ფართოდ გავრცელებული და უძველესია კაცობრიობის ლეგენდათაგან. ამ თქმულებებს ყველგან ვხვდებით, ლამის ყველა ხალხში, განსაკუთრებით მთელ ამერიკასა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე. ეს თქმულებები ზოგჯერ დიდად განსხვავებულია, მაგრამ მხოლოდ იმ სიუჟეტური დეტალებით, რომლებიც განსხვავებული რელიგიური საფუძვლიდან გამომდინარეობს. ყველა ლეგენდაში მოიხსენიება წყლის ვეება მასა, ზღვიდან თუ ციდან თავს დამტყდარი, რომელსაც კაცნი და ცხოველნი მოუშთია და მიწა დაუფარავს. და ამ უბედურებას მხოლოდ „ადამიანთა ერთი წყვილი“ გადაურჩება ხოლმე მუდამ.

ზოგიერთ მითში წარღვნის აღწერა რელიგიური ხასიათისაა და მაშინ იხსენიება ღვთაებათა მიერ მოვლენილი სასჯელი ან კიდევ დემონთა მხრივ შურისგება. სხვა თქმულებებში დედამისთვის თავს დამტყდარ კატასტროფას თან ახლავს რალაც ციური სხეულის, მეტწილად მთვარის, გამოჩენა, ამ თქმულებებით განსაკუთრებით ის ატლანტოლოგები ინტერესდებიან, რომლებიც კატასტროფის „კოსმოსურ“ მიზეზთა ჰიპოთეზას უჭერენ მხარს.

ამ მითებიდან მრავალი უკავშირდება სამყაროს შექმნისა და პირველ ადამიანთა შესახებ არსებულ ლეგენდებს. ატლანტოლოგნი ამას ამგვარად ხსნიან: პირველ ადამიანებად ის მცირეოდენი ხალხი უნდა მივიჩნიოთ, ვინც კატასტროფას გადაურჩაო. სწორედ ამ დროიდან დაიწყებოდა მათთვის ახალი, გარჯითა და საზრუნავით აღსავსე ძნელი ცხოვრება; გარდასული დროის ამბები, ისევე როგორც ძველად არსებული მატერიალური კულტურის ნაშთები, დავიწყებას მიეცემოდა, კატას-



- ≡ ნაკლენის ღეკუნდები
- ⋯ მყინვარები და ყინვაშოიხსენიება
- ⊕ ვულკანი თუ პირობისპირა შოიხსენიება
- ★ უკვეულო აღმოსდერული ჰოქლეუნა შოიხსენიება
- ⊙ ზღვის ვაღმიდან მოსული ყაყი შოიხსენიება
- გაპყინვარების საზღვარი ჩრდილოთ ნახუვაბსდერაში

ტროფის ხსოვნა შემორჩებოდაო მხოლოდ. ახალ პირობებში ცხოვრების განვითარებასთან, მისი ფორმების სრულქმნასთან და არსებობის პირობების გაუმჯობესებასთან ერთად ეს ხსოვნაც თანდათანობით წარიხოცებოდა, შემორჩებოდა მხოლოდ დაუქერებელი თქმულებები, რომლებშიც ნამდვილად მომხდა-



წარღვნისა და კოსმოსური კატასტროფის მითების გავრცელება.

რი და გამონაგონი დღესდღეობით უკვე ძნელი გასარჩევიაო. თუმცა რალა დღესდღეობით. დეკალიონის ამბავს ძველი ბერძნებივე მიიჩნევდნენ ლეგენდად. სამაგიეროდ იუდეველნი წარღვნის ლეგენდას, ეტყობა, უფრო გულდაჭერებით ეკიდებოდნენ, რაკი წელთაღრიცხვის საფუძვლად წარღვნის თარიღი ჰქონდათ მიღებული. წარღვნის დროის საკითხს ერთ-ერთი მომდევნო თავი მიეძღვნება.

ძველი მითების გაანალიზებისას გათვალისწინებული უნდა გვქონდეს, რომ მათგან მხოლოდ ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე უტყუარი ვერსიის სახით, რომლის ასაკიც შესაძლოა რამდენსა-მე ათას წელიწადს უდრიდეს. ეს წერილობითი სახით შემორ-

ჩენილი ლეგენდებია. დანარჩენები მხოლოდ ზეპირი ფორმით არის ცნობილი. მართალია, ამგვარი ფორმა მონათხრობის უკეთ შენარჩუნებას უწყობდა ხელს, მაგრამ, ამავე დროს, მთხრობელთაგან უფრო იოლადაც შეირყვნებოდა ხოლმე განზრახ თუ შემთხვევით. ჩვენს დროში მოგზაურთა, ეთნოგრაფთა და, განსაკუთრებით, მისიონერთა ერთობლივი მეცადინეობის მეოხებით, ზეპირი გადმოცემები ჩაწერილია. მაგრამ სწორედ აქ იმალება უდიდესი საფრთხე: ხშირად გულდაჯერებულნი ვერც ვიტყვით, რომ მისიონერთა გადმოცემით ეს მონათხრობები ბიბლიურ ვერსიებს არ დამსგავსებია ნოეს წარღვნის უტყუარობის დადასტურებისა და ბიბლიისადმი რწმენის განმტკიცების მიზნით. ასე რომ „სამყაროს შექმნის, წარღვნისა და პირველ ადამიანთა“ მითების ანალიზს ადვილ საქმედ ვერ დავსახავთ.

წიგნს დართულ რუკაზე ნაჩვენებია წარღვნის შესახებ არსებული მითების გავრცელება. როგორც ვხედავთ, აფრიკა და აზია (მისი სამხრეთი ნაწილის გარდა) „დაჩაგრულ“ მხარეებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ. სამაგიეროდ ყურადღებას იპყრობენ ჩრდილო ევროპა და ამერიკა, სადაც მითები შედარებით ფართოდ არის გავრცელებული, თუმცა ატლანტისის დაღუპვის პერიოდში ეს რაიონები დასახლებული არ ყოფილა — ყინულის სქელი საფარველის ქვეშ იყო მოქცეული. როგორც ვიტყობა, ეს მითები მაშინ უნდა აღმოცენებულიყო, როდესაც ჩრდილოეთის მომავალი ბინადარნი მარადი ყინულის მაშინდელი საზღვრის სამხრეთით სახლობდნენ, უფრო თბილი ჰავის მქონე მხარეებში.

მითების მიმოხილვას ძველი ქვეყნიერებით, ესე იგი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის მიმდებარე ქვეყნებით დავიწყებთ.

„კლასიკური“ მითების გავრცელების სფეროთა უახლოესი მეზობელი ეგვიპტე იყო. ფიქრობენ, რომ ისტორიული პერიოდის დასაწყის ხანაში, ესე იგი იმ დროს, როცა ეგვიპტურ ჩანაწერთა უძველესი ნიმუშები და შუამდინარეთის ლურსმული დამწერლობის ძეგლები იქმნებოდა, ამ მეზობელ ხალხებს შორის (რადიოს არარსებობის მიუხედავად) აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა წარმოებდაო. ამიტომ სავსებით შესაძლოა, ეგ-

ვიბტელებს სცოდნოდათ გილგამეშის ეპოსის შინაარსიც და ნოეს ამბავიც, და შეეძლოთ ეს ამბები თავიანთ ლეგენდებში რალაცკვარად აერეკლათო. გარნა ჩვენთვის ცნობილ ეგვიპტურ ჩანაწერებში ამ ვერსიის პირდაპირს დადასტურებას ვერ ვპოულობთ.

ეგვიპტელთა უძველესი კლასიკური მითი მათი ნოეს — ათმუს ამბავს მოგვითხრობს. ათმუ „ადგილობრივი“ ღვთაება იყო ნილოსის დელტაზე გაშენებულ ქალაქ ჰელიოპოლისში. ათმუს ზოგჯერ ათუმსა და თუმს უწოდებდნენ. ის იყო მამა იმ ღვთაებისა, შუ რომ ეწოდებოდა და თავისი მხრებით ცარგვალს (თუ ირმის ნახტომს) რომ იქერდა, რითაც ბერძენთა ატლასს ჩამოკვავდა. ათმუ იმ ღვთაებათა დასს ეკუთვნოდა, რომლებიც ეგვიპტელთა უძველეს რელიგიაში მოიხსენიებიან. მზის ღმერთი გახლდათ. შემდგომში მას შეენაცვლა ღვთაება რა, ხოლო ათმუ ჩამავალი მზის სიმბოლოდ იქცა. ერთხელ ათმუს ბრძანებით ოკეანეს მთელი დედამიწა წაუღეკავს. მხოლოდ ისინი გადარჩენილან, ვინც მასთან ერთად ნავში იმყოფებოდა. ბაბილონურ მითებთან გარკვეულ კავშირს, თავდახსნის ხერხის — კიდობნის გარდა, აქ ეგვიპტური წარღვნის გმირის სახელიც მიუთითებს: ბაბილონელებს ჰყავდათ ქალღმერთი თიამათი, ზღვის მლაშე წყლის მფარველი. სხვათა შორის, ასურელებსაც ჰყავდათ ამგვარი ქალღმერთი, სახელად თიამათი თუ თიავათი, რომელსაც ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ერთი ლურსმულწარწერებიანი ფირფიტა იხსენიებს.

სხვა მითის გმირს, ღვთაება რას, თვისთა ქვეშევრდომთა ურჩობით განრისხებულს, მათი დასჯა გადაუწყვეტია და ქალღმერთებისთვის — ხატორისა და სოხმეთისთვის უბრძანებია ამ განაჩენის აღსრულება. ხატორი, იზიდას მსგავსად, ძროხისთავიანად გამოისახებოდა, სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი იყო. მას ზოგჯერ სოხმეთთან აიგივებდნენ ხოლმე, ოღონდ უმართებულოდ, რადგან სოხმეთს ლომის თავი ედგა და ცეცხლის მფარველი გახლდათ, რაც იმის მაუწყებელიცაა, რომ ამ სტიქიონს რაღაც როლი უნდა შეესრულებინა ღვთაებათა შურისგებისას. ქალღმერთნი რომ თავიანთ საქმეს შეუდგნენ მუხლებამდე სისხლში ჩამდგარნი, რას გული შეეძრა. გარნა ქალღმერთთა შეჩერება მას აღარ შეეძლო. მაშინ აზრად მოუვიდა

დედამიწაზე ლუდი დაეფრქვია. ეს სასმელი რომ იხილეს, ქალ-
ღმერთნი იმდენად გაერთენ მისით, თავიანთი მისია დაავიწყ-
დათ კიდევ.

ორივე მოტანილი ამბავი ეგვიპტელთა უძველეს მითებს
ეკუთვნის. მათში, ისევე როგორც დევკალიონისა და ნოეს
თქმულებებსა და გილგამეშის ეპოსში, ლაპარაკია საყოველთაო
წარღვნაზე, რომელიც ღმერთს ხალხის დასასჯელად მოუვლენ-
ნია. ოღონდ ამ ლეგენდებში არც ერთი ისეთი გეოგრაფიული
სახელწოდება არ არის ნახსენები, ეგვიპტეში რომ გვხვდებო-
დეს. ასე რომ დაბეჯითებით ვერც ვიტყვი — ეს წარღვნა სწო-
რედ ეგვიპტეს დაატყდარ თავს. ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქ-
ტია, რადგან საიხელი ქურუმნი სოლონთან საუბრისას ამტკი-
ცებდნენ — ეგვიპტეში წარღვნა არ ყოფილა.

არსებობს კიდევ ორი ეგვიპტური მითი, რომლებიც საკმაოდ
განსხვავდება „კლასიკურთაგან“. პირველი ეგვიპტეში ოზირი-
სის მისვლას ეძღვნება. მანამდე ეგვიპტელნი კაციჭამიანი იყ-
ვნენ, არც კანონები ჰქონიათ და არც ღმერთი იცოდნენ. ოზი-
რისი ნავით მოცურებულა თავის სახლეულითურთ, რომელშიც
იზიდა და სეთიც შედიოდნენ. მას უსწავლებია ეგვიპტელთათ-
ვის მიწის დამუშავება და მისი ნაყოფით თავის გამოკვება, ხი-
ლის მოსთვლა და ვაზის მოვლა-პატრონობა, ყურძნის ღვინის
დაყენება და ქერის ლუდის გამოხდა. მასვე შეუქმნია ბრძნული
კანონები და ღვთაებათა თაყვანისცემა უსწავლებია თავისი
ხალხისთვის. ამით უნნეფერის ანუ პირველი ღმერთის სახელი
მოუხვეჭია: სიკვდილის შემდეგ ღვთაებათა დასს მიაკუთვნეს,
მათ შორის პირველ ღმერთად შერაცხეს და ღმერთთა ღმერთი
უწოდეს. ოზირისი ძმის ხელით მოკვდა, ძმამ დაახრჩოთ. მისი
სხეული ნაწილებად დაჭრეს და ნაწილები მთელ ეგვიპტეში
მიმოფანტესო.

ამ ლეგენდაში ხალხისთვის მოვლენილი რაიმე სასჯელის ან
წარღვნის გამო არაფერია თქმული; შეგვიძლია მხოლოდ ვივა-
რაუდოთ, რომ ოზირისს თავისი სახლეულითურთ მის სამშობ-
ლოში მომხდარი კატასტროფის შემდეგ ეგვიპტისთვის შეუფა-
რებია თავი. მრავალი სხვა მითი მიუთითებს ოზირისის კავშირს
დასავლეთ მხარესთან, საიდანაც გამოჩენილა იგი თავდაპირვე-
ლად და საითაც წასულა გარდაცვალების შემდეგ. უნდა ვიფიქ-

რომ, ოზირისი იყო წინარეისტორიული პერიოდის ერთ-ერთი ეგვიპტელი მეფე, წარმოშობით არაეგვიპტელი. როგორც ეგვიპტელთა მოძღვარი და კეთილისმყოფელი, იგი პრომეთეს ან ფორონევის, აგრეთვე ინდიელთა მითების გმირებს მოგვაგონებს.

გველის კუნძულის თქმულება XII დინასტიის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 2000 წლის ახლო ხანაში მეფობდა) დროინდელ პაპირუსზე არის აღბეჭდილი. ამჟამად ლენინგრადის ერმიტაჟში ინახება. ეს არის ერთადერთი გადარჩენილი ეგზემპლარი, როგორც ჩანს, ფრაგმენტი დიდი ნაწარმოებისა, რომელიც ეკუთვნის „ხელმარჯვე გადამწერს“ — ამენის ძეს აშენოს.

ძნელი დასადგენია, როდის ხდებოდა აქ აღწერილი ამბები. თქმულების გმირია კაპიტანი ხომალდისა, რომლის სიგრძე 120, ხოლო სიგანე 40 წყრათს შეადგენდა და რომელსაც 120 მეზღვაური ჰყავდა ეკიპაჟად. სპილენძის საბადოების მხრიდან მობრუნებული ხომალდი ქარიშხალს ჩაუძირავს. ამ ექსპედიციის უფროსი გადარჩენილა მხოლოდ. მისი სახელი ჩვენ არ ვიცით. რობინზონის მსგავსად, მასაც უკაცური კუნძულისთვის შეუფარებია თავი. ეგვიპტოლოგთა აზრით, აქ ლაპარაკი უნდა იყოს სინას ნახევარკუნძულზე არსებულ სპილენძის საბადოთა შესახებ, იქითკენ მიმავალი უმოკლესი გზა მეწამულ ზღვაზე გადის. ცნობილია, რომ ამ გზით სპილენძს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე ათასწლეულში ეზიდებოდნენ. ოღონდ გამორიცხული არ არის, რომ თქმულება უფრო ძველი იყოს წარმოშობით; მაშინ შეგვეძლება მეწამულ ზღვაში კი არა, ხელთაშუა ზღვაში ან სულაც ატლანტის ოკეანეში ცურვა ვიგულისხმოთ. მაგრამ დავუბრუნდეთ თავად თქმულებას.

გადარჩენილი, უწინარეს ყოვლისა, საზრდელის მოსაძევედ გაეშურა. ეს მაინცდამაინც საძნელო საქმე არ ყოფილა, რადგან კუნძულზე ჩინებული ხილი; თევზი და გარეული ფრინველიც მრავლად აღმოჩნდა. კაცმა ცეცხლი დაავზნო, დანაყრდა და ღვთაებათ მსხვერპლი შესწირა.

„მაგრამ უეცრად გრგვინებისებური ხმა შემომესმა. ვიფიქრე — დიდი მწვანე ზღვა თავისი ზვირთებით კვლავ კუნძულს დაატყდა-მეთქი თავს, და შიშმორეულმა სახეზე ხელები ავი-

ფარე. ირგვლივ ხეები ლაწუნობდა და ფეხქვეშ მინა მერყეოდა.

რომ ავიხედე, დავინახე, რომ ეს იყო ოცდაათი წყრთის სიგრძე გველი, რომელსაც ორი წყრთის სიგრძე წვერი ჰქონდა. მისი სხეულის რგოლები ოქროით იყო დაფერილი. ჩემსკენ მოიგრაგნებოდა გველი.

მუცლით განვეერთხე მის წინაშე, ხოლო მან ბაგენი აღახვნა და მარქვა:

— აქ ვინ მოგილო? აქ ვინ მოგილო, არარაობავ? თუ პასუხს დააყოვნებ და არ მეტყვი, ვინ მოგილო ამ კუნძულზე, მყისვე დაგფერფლავ და ამას უმაღ შეიცინობ, ვიდრე არარად იქცეოდე“.

მაგრამ გველს მუქარა არ შეუსრულებია და, რადგან კაცმა თავს გარდახდომილი მოუთხრო, სანაცვლო თავაზის ნიშნად თვითონაც აუწყა თავისი ამბავი.

„— ყური მომაპყარ, გიამბობ, რა უბედურებაც დაატყდა ამ კუნძულს. აქ ვბინადრობდი მე ჩემი სახლეულითა და შვილებითურთ, სულ სამოცდათხუთმეტი გველი ვიყავით. ერთი ასულიც იყო ჩვენთან, უბრალო მოკვდავის ქალიშვილი, გარნა მას აღარ მივათვლი. ერთხელ ცით ვარსკვლავი ჩამოიჭრა და ყველანი ცეცხლმა მოიკვა. იმხანად მათთან არ ვყოფილვარ. ყველანი ამოიბუგენ, ოდენ მე დავშთი ცოცხალი, მაგრამ გორად მდგარი მათი დამწვარი სხეულები რომ ვიხილე, ლამის მეც გავთავდი ჭავრით...“

გველის წინაშე მუცელზე განრთხმული შუბლით მიწას შევეხე და ვარქვი:

— მე ფარაონს ვაუწყებ შენი ძლევამოსილების ამბავს, შენი დიდების ამბავს ვამცნობ მას. მე ვბრძანებ ნელსურნელებანი მოგართვან... ჩემს ქალაქში ხოტბას შეგასხამ მთელი სახელმწიფოს დიდებულთა საბჭოს წინაშე...“

ოთხი თვის შემდეგ ეგვიპტიდან ხომალდი მოსულა და დალუპვას გადარჩენილი კაცი ორ თვეში სამშობლოს დაბრუნებია.

ოლონდ ამოა იქნებოდა, რუკაზე გველის კუნძულის ძებნა რომ დაგვეწყო. კაცმა რომ თქვას, ის კუნძული აღარც უნდა არსებობდეს, თუკი აღსრულდა გველის სიტყვები:

„...ამ კუნძულს რომ დააგდებ, კვლავად ველარ იხილავ მას, რამეთუ ეს არემარე ზვირთებში დაინთქმის“.

აღიძვრის ექვი — მართლა მეწამული ზღვა და სინას ნახევარკუნძული იგულისხმება თუ არა ამ მონათხრობში? ამ ექვსს სამშობლოში კაცის დაბრუნებისას ორ თვეს ცურვა იწვევს. ეს ერთობ დიდი ვადაა ამ გზის გასავლელად, რომლის სიგრძე ზღვით 200 კილომეტრს, ხოლო ხმელეთით 150 კილომეტრს არ აღემატება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ ამდენ ხანს გაგრძელდა ამერიკისკენ კოლუმბის პირველი მოგზაურობა, ამასთან, ამ დროის ნახევარი კანარის კუნძულებზე ზომალდების შეკეთებას მოუხდა. ხოლო ზღვაოსნობის ტექნიკა ეგვიპტელთა დროიდან კოლუმბის ხანამდე მაინცდამაინც დიდად არ შეცვლილა.

პუნტად წოდებული ქვეყანა, რომლის მბრძანებელიც გველი იყო, ჩვენთვის უცნობი რომელიღაც მხარეა, საიდანაც ეგვიპტელნი ოქროსა და სპილოს ძვალს ეზიდებოდნენ. გველმა რომ გადარჩენილ კაცს ძვირფასი ტვირთის წაღების უფლება მისცა, იმ შენაძენს შეადგენდა „ნელსურნელებანი ხეკენუ, იუღენები, ხესაიტი, ტიშეპსესი, მირრა, თვალის შავი საცხი, ყირაფის კუდები... არომატული ფისი და საკმეველი... სპილოს ძვალი, მონადირე ძაღლები, მაიმუნები, ბაბუინები და მრავალი სხვა იშვიათობა“.

სავარაუდოა, რომ გველის კუნძული ჩაძირული ატლანტისის ნაშთთაგანი იყოს. ეს ნაწებები ნელ-ნელა წყლით იფარებოდა ალბათ.

ვინ იყო ის გველი, რომლის წინაშეც წარჩინებული ეგვიპტელი, ექსპედიციის უფროსი, თვით ფარაონის მიერ თავის „ამხანაგად“ მიჩნეული კაცი ქვედაემხო და შემდეგში იმასაც იქადოდა — „არარაობა“ მიწოდო გველმა?

ამ კითხვის პასუხი გაცილებით უფრო იოლი მისაკვლევი იქნება მას შემდეგ. რაც სხვა ლეგენდებსაც; განსაკუთრებით — ცენტრალურ ამერიკაში მდებარე დიდი გველის სამეფოს მცხოვრებთა თქმულებებს გავეცნობით.

მანამდე კი შეგვიძლია ის აღვნიშნოთ, რომ ზემოთ მოტანილი თქმულების გველი ერთ იმათთაგანს მოგვაგონებს, ვინც გადაურჩა კატასტროფას მდიდარი კუნძულისა, რაღაც ციური

სხეულის ჩამოვარდნით რომ დაქცეულა და მერე ნელ-ნელა წყალში დანთქმულა

ატლანტისის შესახებ არსებულ ეგვიპტურ თქმულებებს გვაცნობს აგრეთვე ეგვიპტელი ისტორიკოსი, ჰელიოპოლისის ტაძრის ქურუმის მანეთონ სებენიტელი, რომელიც ეგვიპტის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ალექსანდრიაში ცხოვრობდა. მანეთონი იმით არის ცნობილი, რომ ბერძნულად დაწერა ეგვიპტის ისტორია „უხსოვარი დროიდან“ ალექსანდრე მაკედონელის ეპოქამდე. ამ ნაშრომისა ნაწყვეტებილა შემორჩა, ისიც უფრო მოგვიანო ავტორთა ციტატებში. მანეთონი ეგვიპტის მბრძანებლებს 30 დინასტიად ყოფს. ეს კლასიფიკაცია დღემდე შენარჩუნებულია ეგვიპტოლოგიაში. ხსენებულ ციტატებში არის რამდენიმე ცნობა, რომ მანეთონის დროს ატლანტისისა და წარღვნის შესახებ წერილობითი წყაროები არსებულა.

ერთ-ერთი „ეკლესიის მამა“ ევსევი კესარიელი (268-338) თავის „მატიანეში“ წერს:

„...პტოლემეაიოს ფილადელფოსის დროინდელი წარმართული ტაძრის მთავარი ქურუმის მანეთონ სებენიტელის თხზულებათაგან. ის ნაწყვეტები, როგორც თავადვე გვაუწყებს, სირიატის ქვეყანაში თოთის მიერ წარღვნამდე აღმართულ სვეტებზე არსებულ წარწერათაგან ამოუკრებიან...“

სხვა ავტორი, ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის იუდეველი ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსი, ეგვიპტელი ღვთაებების შთამომავალთა გამო წერს: ისინი „...სვებედნიერად ცხოვრობდნენ... და დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდნენ ციური სხეულებისა და მათი ურთიერთგანლაგების შემსწავლელ მეცნიერებას. იმის შიშით, მომავალში ხალხმა. ეს ცოდნა არ დაიჭიწყოს და ჩვენი ღვაწლი არ გაცუდდესო; მათ ორი სვეტი აღმართეს — ერთი აგურის, მეორე ქვისა — და ზედ დააწერეს თავიანთი მინაკვლევი. აგურის სვეტს წყალი თუ შემუსრავდა, ქვის სვეტი გადარჩებოდა და ზედ წარწერილ ტექსტს შემოინახავდა... ის სვეტები ახლაც დგას სირიატის ქვეყანაში“.

გარნა, ჩვენის აზრით, არც ევსევისა და არც იოსებ ფლავიოსის ის სვეტები თავისი თვალთ არ უნდა ჰქონოდათ ნანახი. ოღონდ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს სვეტები საერთოდ არ

არსებულის. ყოველ შემთხვევაში, მანეთონს თუ ვერწმუნებთ, მის დროს კი უნდა მდგარიყო ის სვეტები. დღესდღეობით მათი კვალიც აღარსადაა დარჩენილი.

შესაძლოა „სირიატის ქვეყნის“ უფრო გვიანდელ მკვიდრთ სახლების დადგმისას საშენ მასალადაც გამოეყენებინოთ სვეტები და მათი ნამუსრევი ახლა სილის სქელი ფენის ქვეშ იყოს სადმე დამარხული... ძიება „სირიატის ქვეყნის“ ადგილმდებარეობით უნდა დაგვეწყოს. მაგრამ, ვაგლახ, მინიშნებულები კი არავის აქვს, სად არის საძებნი ეს ქვეყანა. ამ ქვეყანაში თითქოს უნდა არსებულებო ზღვისა თუ დიდი ტბის პირას გაშენებული ქალაქი, რომლის მახლობლადაც ორი მოქმედი ვულკანი ყოფილა. ეს არის და ეს. როგორც ცნობილია, არც ეგვიპტეში და არც მის მეზობლად სადმე ვულკანები არ მოიძებნება. გარდა ამისა, ეგვიპტელებს, როგორც ამ საქმეში ნაკლებად გარკვეულ ხალხს, ვულკანების მოქმედებასთან დაკავშირებულ ამბავთა ფრაგმენტებიც კი ერთობ ბუნდოვნად გადმოუციათ. იმას თუ მიხვდება კაცი, რომ ის ქვეყანა, სადაც ღმერთები მკვიდრობდნენ ეგვიპტეში მოსვლამდე, ეგვიპტის „დასავლეთით“ არსებულა.

„სირიატის ქვეყანაში“ ვულკანთა მოხსენიება ქალღმერთ სობხმეთის ასოციაციას იწვევს, სწორედ იმ ქალღმერთისა, წყურვილს ლუდით რომ იკლავდა. წარღვნასა და ცეცხლს შორის არსებული ასეთივე კავშირი შესაძლოა დავინახოთ ფრინველ ვენიუს (გვიანდელ ნაწარმოებებში ფენიქსად წოდებულის) ლეგენდაშიც. მისი სამშობლო არაბეთი იყო. უამიდან უამზე, 500 წელიწადში ერთხელ, ვენიუს ეგვიპტის ქალაქ ჰელიოპოლისში ჩაფრინდებოდა და მზის ღვთაების ტაძარში ბუდეს იკეთებდა ხოლმე. შემდეგ ეს ფრინველი ცეცხლით იღუპებოდა და ფერფლისგან კვლავ აღდგებოდა, რათა მომდევნო ხუთას წელიწადს კიდევ ეტოცხლა. საინტერესო ისაა, რომ ვენიუს გამომსახველი იეროგლიფი სამ პარალელურ ტალღოვან ხაზს შეიცავს, წყლის აღმნიშვნელ ხაზებს. ეს სიმბოლო გვაფიქრებინებს, რომ ვენიუს წარღვნასთან უნდა ჰქონდეს გარკვეული კავშირი.

ამ იღუმალეებით მოცულ სვეტებს პლატონის კომენტატორი ნეოპლატონიკოსი პროკლე (412-485) იხსენიებს. პროკლე

წერს — სოლონიდან 300 წლის შემდეგ (ესე იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 260 წელს) ვინმე კრანტორი ეგვიპტეში ჩავიდა და საისში, ქალღმერთ ნეითის ტაძარში იეროგლიფებით დაფარული სვეტები ნახაო. იეროგლიფურ წარწერებში მოთხრობილი ყოფილა ატლანტისის დალუპვის ამბავი, და ეს ამბავი პლატონის მონათხრობს მთლიანად თანხვედობდაო.

კრანტორის, უფრო სწორად — პროკლეს, ცნობების ირგვლივ დღემდეც კამათობენ. პლატონის მონათხრობის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ — კრანტორი მოგონილი პიროვნება არისო. მომხრენი კი ამ ამბავს მონათხრობის სინამდვილის საბუთად მიიჩნევენ: პროკლეს მხედველობაში ჰყავსო კრანტორ სოლელი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნის დამლევისა და მესამის დამდეგის დროინდელი ბერძენი ფილოსოფოსი, ქსენოკრატესა და პოლემონის მოწაფე. ისევე როგორც შემდგომში პროკლე, ისიც პლატონის კომენტატორი იყო, მოიწადინა ან დაედასტურებინა, ან კიდევ გაებათილებინა მისი მონათხრობი და ამ მიზნით ეგვიპტეში იმოგზაურაო. რაკი კრანტორის შრომები დაკარგულია, დღესდღეობით ვერ შევამოწმებთ — მართლა დაუწერია თუ არა რაიმე ამ თემაზე. ჩვენ ის ვიცით მხოლოდ, რომ კრანტორი პლატონის ეთიკის პრობლემებით ყოფილა დაინტერესებული. კრანტორის შრომებს ორასი წლიზ შემდეგ მცხოვრები გამოჩენილი რომაელი ორატორი ციცერონი იცნობდა. საეჭვოა, ეს სწორედ ის სვეტები იყოს, მანეთონ სებენიტელი რომ ახსენებს, გადმოცემის თანახმად, თავად ღვთაება თოთის მიერ აღმართული სვეტები; ისიც საეჭვოა, რამდენად შეეძლო კრანტორს „თავისი თვალით“ ამოეკითხა წარწერები და დარწმუნებულიყო — მათი შინაარსი პლატონის მონათხრობს თანხვედბაო, — კრანტორმა ხომ არ იცოდა ეგვიპტური იეროგლიფების კითხვა.

თუკი კრანტორის მიერ ნანახი ნამდვილად ის სვეტები არ ყოფილა, რომლებიც „ღვთაება თოთმა სირიატის ქვეყანაში აღმართა“, შესაძლოა მათი ასლები მაინც ყოფილიყო. ევსევი კესარიელი გვამცნობს — ნამდვილ სვეტთაგან ტექსტი იმ წიგნებში გადმოწერეს, ეგვიპტის სხვადასხვა ტაძრებში რომ ინახებო. შესაძლოა ყველა წიგნი არ დალუპულიყოს და ოდესმე იმ ტექსტსაც მიაკვლიონ.

ახლა ტიგროსსა და ევფრატს შორის მდებარე ქვეყანას მო-
ვუბრუნდეთ და თანესის ლეგენდას მივაპყროთ ყური. სამყა-
როს, შექმნის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, რომ შუამდინა-
რეთში უცნობი კაცი გამოჩნდაო, — მოგვითხრობს ეს ლეგენ-
და. ზღვის გაღმიდან მოსულა ის კაცი, მისი ენა არავის ესმოდა
თურმე. ეს იყო მძლეეთამძლე თანესი. შუამდინარეთში მაშინ ვე-
ლური ხალხი სახლობდა. თანესმა მათ სხვადასხვაგვარი იარა-
ღის ხმარება, ქალაქთა და ტაძართა შენება, მიწის დამუშავება
და ნაყოფთა მოსთელა ასწავლაო. მაგრამ მათი საზრდელით
საზრდობა თანესს არ შეეძლო. თავისი მისიის აღსრულების
შემდეგ ოკეანის სიღრმეში მოთავსებულ სასახლეს დაბრუნე-
ბია, მის შემდეგ ამ ქვეყანას ექვსი ღვთაება სწვევია და ყოველ
მათგანს რაღაც მიუბოძებია მცხოვრებთათვის.

ბაბილონელთა წარმოდგენით თანესი სიბრძნის ღმერთი
იყო. ქალდეველი ისტორიკოსი ბეროსი (ჩვენს წელთაღრიცხ-
ვამდე III საუკუნეში მცხოვრები, ბერძნულ ენაზე მწერალი
ქურუმი) სანახევროდ კაცად და სანახევროდ თევზად წარმოგ-
ვიდგენს მას. შესაძლოა სწორედ ამგვარად ესახებოდა ხალხს
უცხო მხრიდან მოსული საკვირველი კაცი, რომლის სამშობ-
ლოც ოკეანეში მდებარე შორეული მატერიკი უნდა ყოფილი-
ყო. ეს ამბავი თითქოს უნდა ადასტურებდეს, რომ შუამდინარე-
თის ქვეყნები ოდესღაც დაუპყრია იმ ხალხს, რომლის მაღალ-
განვითარებულმა ცივილიზაციამაც კეთილისმყოფელი გავლენა
მოახდინა ადგილობრივ მცხოვრებლებზე. ამბის გმირი მძლეეთა-
მძლე თანესი მოგვაგონებს ასევე ზღვის გაღმიდან მოსულ ოზი-
რისს და აგრეთვე მექსიკური მითების გმირს — კეცალკოატლს.

ზოგიერთი ლეგენდის მიხედვით, ბაბილონის დედოფალი
სემირამიდა, თავისი მშვენიერი კიდული ბალებით განთქმული,
თანესის ასული უნდა ყოფილიყო. სხვა ლეგენდებში სემირამი-
და გვევლინება ასულად თევზთა მფარველი სირიული ქალ-
ღმერთის ათარგატისისა, რომელიც თანესის ცოლი თუ საყვა-
რელი ყოფილა. ამრიგად, მამამისსაც და დედამისსაც ზღვასთან
ჰქონდათ კავშირი. სემირამიდას, როგორც ისტორიული პიროვ-
ნების, ამბავიც მხოლოდ ბერძნული წყაროებით ვიცით. მისი ვი-
თომც ღვთაებრივი წარმოშობა, როგორც ჩანს, იმდროინდელ
პოლიტიკოსთა ფანტაზიის ნაყოფია — ისინი ესწრაფვოდნენ

ავტორიტეტი აემალლებინათ ბაბილონის მეფის ცოლისთვის (ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებს — სემირამიდა უსახელო მშობელთა ასული იყო). თუმცა სავსებით შესაძლოა ორი სემირამიდაც არსებულებოდა და კიდულ ბაღთა შემქმნელი დედოფალი ზღაპრული დროისას არ უნდა გავუთავოთ.

კლასიკური მითების შემქმნელთა უახლოესი მეზობლები აღმოსავლეთით სპარსელები და ინდოეთის მკვიდრნი იყვნენ. მათს წიგნებში მრავალი რამ არის მოთხრობილი სამყაროს შექმნისა და ღვთაებათა შესახებ. ერთი მათგანი, ძველ სპარსელთა საღვთო წიგნი „ავესტა“, წარღვნას ისეთი დეტალებით აღწერს, რომლებიც კლასიკურ ლეგენდებს მოგვაგონებს. ნოეს როლს აქ ასრულებს იიმა, რომელსაც ვედების წიგნში იამა ეწოდება, ხოლო ჩინურ წიგნებში მას იენ-ვანი შეესატყვისება. აპურამაზდამ, ზარატუსტრას რელიგიის უმთავრესმა ღვთაებამ, იიმა გააფრთხილა — ხალხი წარღვნით უნდა აღვხოცო პირისაგან მიწისა, და უბრძანა სპარსეთის ერთ-ერთ მწვერვალზე თავისთვის გამოქვაბული გაემზადებინა. იიმამ გამოქვაბულში ყოველივე საჭირო მოიმარაგა და ამის მეოხებით წარღვნას გადაურჩა. უფრო მოგვიანო ლეგენდების მიხედვით, იიმას გამოქვაბულში განძიც დაუმალავს, და იმ განძისთვის დღემდე ვერავის მიუკვლევიაო.

ახლა ინდურ თქმულებას მოვუხსმინოთ. ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის წინ მომხდარა. ამ ქვეყნად პირველი ბიჭი მოსავალს დარაჯობდა და დაინახა, რომ ყანაში არჩვი შემოსულიყო და თავთავებს თელავდა. ბიჭი მშვილდისრით მოსაკლავად ჩაუსაფრდა არჩვს, მაგრამ მოულოდნელად კაცის ხმა შემოესმა: ნუ მესვრი, რაღაც დიდი ამბავი უნდა გამცნოო. ეს იყო ხმა მზის ღვთაებისა, რომელიც არჩვის მუცელში დაფარულიყო. ბიჭმა აღარ ესროლა და ხმა ხელახლა შემოესმა: „რვა დღე რომ გაივლის, ქვეყნიერების აღსასრული დადგება, წყალი წალეკავს ყოველივეს. ხისგან ნავი გამოითალე, საგზალიც და რაც რამე დაგჭირდება — ყოველივე მოიმარაგე და შენ და შენი დაი იმ ნავში ჩასხედით“. ბიჭი შინისკენ გაიქცა და დედას უამბო — ასე და ასეო. მაგრამ დედამისმა ნაამბობს არ დაუჯერა და კიდევ დასაჯა — ყანა რატომ მიატოვეო.

ყმაწვილმა მაინც მოახერხა დის დახმარებით ნავი გაეკეთე-

ბინა და, წყალმა რომ მიწის დატბორვა დაიწყო, ორივემ იმ ნავს შეაფარა თავი. ნავი დიდხანს დაცურავდა ზვირთებზე. ბოლოს მარტოხედ მდგარ ლელვს წააწყდნენ. იქიდან მოყოლებული წყალმა დაიკლო და მალე მიწაც გამოჩნდა. წყალი მალე აორთქლდა. გაუძლისი ხვატი იდგა — ცაზე შვიდი მზე ვარვარებდა, ხეები და მცენარეები ერთიანად გადამხმარიყო.

მაშინ მაშველად მთვარე მოველინა ქვეყნიერებას. წითელი საღებავით პირი შეიღბა, მზესთან მიიზბინა და უთხრა: ნახე, ჩემი შვილები დავკამეო! ამის გამგონე მზემაც თავისი ექვსი ძმა გადაყლაბა. მიწამ შეებით ამოისუნთქა, ოღონდ, რა დაღამდა, მთვარის შვილნი — ვარსკვლავნი კვლავინდებურად აკიფდნენ ცაზე. მზე კი ძალზე გამწყრალი დარჩა — ძმები აღარ ჰყავდა, რომ გამოეჩინა.

გველის კუნძულის შესახებ არსებული ეგვიპტური თქმულების მსგავსად, ამ ლეგენდაშიც ცეცხლი მოქმედებს. ოღონდ ეს ცეცხლი ვულკანური წარმოშობისა კი არ არის, როგორც ქალღმერთ სოხმეის ამბავში იყო, არამედ ზეცისმიერია. ამრიგად, კატასტროფა რაღაც ციურ მოვლენას უკავშირდება, ხოლო მთვარეს კეთილისმყოფელი როლი აქვს მიკუთვნებული.

შვიდი მზის ხსენება მთვარეზე უფრო კაშკაშა ციური სხეულის გამოჩენას უნდა მოწმობდეს. თუმცა სხვაგვარი ახსნიც არის შესაძლებელი. მთვარე ღამეული ციხ ყველაზე მოკიფე მნათობი იყო. ხოლო კატასტროფა შეიძლებოდა დღისითაც მომხდარიყო, მზის სხივთა ელვარებისას. უეცრად ცაზე მზესავით მბრწყინავი ობიექტი ჩნდება და რამდენიმე ცეცხლოვანენად ნაწევრდება.

გამორიცხული არ არის, რომ ეს იგივე ობიექტი იყო, რომელიც ამერიკელ ინდიელთა თქმულებებში იხსენიება (ამის თაობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი). სამხრეთ აზიაში მზე ჰორიზონტზე რომ იდგა, ამერიკაში ღამე იქნებოდა. ალბათ ასე გაჩნდა ხსენება იდუმალი ციური ობიექტისა, „რომელიც მთვარესავით შექმნეს ცაზე ღმერთებმა“.

ბიჭი და გოგო, ისევე როგორც სხვა მითების უმეტესობაში, დაღუპვას გადაჩინილ აღამიანთა ერთადერთ წყვილს წარმოადგენენ. სისხლისმიერ ნათესაობას მათთვის ბელი არ შეუშ-

ლია კაცთა მოღვმისთვის მიეცათ დასაბამი. ამიტომაც ეწოდება უმაწვილს „ამ ქვეყნად პირველი ბიჭი“.

ჩინური ლეგენდის თანახმად, წარღვნა დრაკონ კუნ-კუნს გამოუწვევია. მას ცის თალისთვის თავი უხლია, რისგანაც თალის დაჰქერი სვეტები წაქცეულა, ზეცა დედამიწას ჩამომხობია და წყლით წაულეკავს. ჩინურ თქმულებებში დრაკონი მიწისძვრისა და ქარიშხლის სიმბოლო იყო, ასე რომ შეგვიძლია ვივარაუდოთ: ამ კატასტროფამდე რაღაც სეისმურ მოვლენებს ჰქონია ადგილი.

ამ ლეგენდის ერთი ვარიანტი კუნ-კუნი დამარცხებულ მხედართმთავრად არის წარმოდგენილი. თავის მოკვლის მოსურნე სასოწარკვეთილი კუნ-კუნი თავს ახლის ბამბუკის ვეება, უმსხოსსა და უმტკიცეს სვეტებს, რომლებსაც ცარგვალი ემყარება. მაგრამ მხედრის თავი ბამბუკის უმაგრესი გამოდგა. თავის რტყმევით მას ერთი სვეტი მოუტყვევია, ცას ხვრელი გასჩენია და იმ ხვრელიდან დედამიწაზე იმდენი წყალი ჩამონთქრეულა, წარღვნა გამოუწვევია.

იაპონურ თქმულებათა თანახმად, იმპერატორის სახლობა კაცთა იმ მოღვმას ეკუთვნის, წარღვნამდე რომ უცხოვრია. ამას მოგვითხრობს ძალზე ძველი იაპონური წიგნი „კოიი-კი“. მართალია, ეს წიგნი 712 წელზე ადრე არ შექმნილა, გარნა, ამბობენ, სავსებით სარწმუნო საბუთებს ემყარებაო (თუკი შეიძლება ასეთებად მივიჩნიოთ თაობიდან თაობას გადმოცემული ზეპირი თქმულებები). იაპონიის კუნძულთა პირველი მყარობელი, ნათქვამია. ამ წიგნში, მზის ქალღმერთის ამა-ტერასუს ვაჟი იყო. თავად ამა-ტერასუ პირველი ცოლ-ქმარის — იზანაგისა და იზანამის ასული ყოფილა. ისინი წარღვნის შემდეგ დასახლებულან იაპონიის კუნძულებზე, როგორც კი წყალს კლება დაუწყია და ოკეანის ზვირთებიდან კუნძულები გამოჩენილა. იაპონელი მონარქები თავდაპირველად არქიპელაგის ყველაზე სამხრეთით მდებარე კუნძულს — კიუსიუს განაგებდნენ, მერე და მერე კი დანარჩენ კუნძულებსაც დაეპატრონენ. ეს იმას ნიშნავს, რომ იაპონელნი ამ კუნძულთა მკვიდრნი კი არ ყოფილან, სხვა ხალხით დასახლებული კუნძულები დაუპყრიათ.

მზის ქალღმერთს ამა-ტერასუს და-ძმებიც ჰყოლია. ერთი

ძმა — სუსა-ნო-ო, ზღვათა მბრძანებელი, ბერძენთა პოსეიდონს მოგვაგონებს. მისი სახელი „ფიცხს“ ნიშნავს. სუსა-ნო-ო მღელვარე ზღვისა და შტორმის სიმბოლოა, თუმცა ზოგჯერ მთვარე-ღვთაებასთანაც აიგივებენ ხოლმე. ერთი მითი მოკვი-თხრობს — ერთხელ სუსა-ნო-ომ თავისი დაი ამა-ტერასუ აიძულა „ზეციურ გამოქვაბულში“ მიმალულიყო და ამის შედეგად დედამიწა რამდენსამე ხანს წყვდიაღმა მოიცვაო. ესეც რაღაც უჩვეულო კოსმოსურ მოვლენას მიგვანიშნებს. ამა-ტე-რასუს დანარჩენ ძმათაგან ერთია ცეცხლის ღვთაება კაგუ-ცუ-ხი, მეორე — მთვარის ღვთაება ცუკი-იუმი.

ხოკაიდოზე, სახალისსა და კურილის კუნძულებზე დღემდე ცხოვრობს ხალხი (ოცი ათასამდე სული იქნება), აზიის არც ერთ ხალხს რომ არ ჰგავს და სულ სხვა ენაზე რომ ლაპარაკობს. აინებს უწოდებენ ამ ხალხს. „აინუ“ მათს ენაზე უბრალოდ „ადამიანებს“ ნიშნავს. აინებს ფაჩენიერი ხალხიც შეარქვეს სახეზე ბალნის სიუხვის გამო. კარგა ხანია მათს ასაველ-დასაველს იკვლევს მეცნიერება. ფიქრობენ — იაპონიის თავდაპირველი მკვიდრნი უნდა იყვნენ, რომელნიც გვიან მოსულებმა აიძულეს ჩრდილოეთით გადასახლებულიყვნენო. აინები მონღოლური რასის ადამიანთაგან განსხვავდებიან; იქნებ მათი ბრტყელი და ფართო სახე ამჟღავნებდეს მსგავსებას. ისე კი თეთრი რასის ხალხს უფრო ჰგვანან. ეთნოგრაფთა ნაწილი მათ ავსტრალიელთა ნათესავებად მიიჩნევს, სხვანი წყნარი ოკეანის კუნძულთა მცხოვრებლებსაც ამსგავსებენ.

ისტორიული მასალებისა და იაპონური მითების შეპირის-პირების შედეგად შესაძლოა აინები იმ ხალხის უკანასკნელ წარმომადგენლებად მივიჩნიოთ, რომელიც წარღვნამდე ესახლა იაპონიაში. ოკეანეთის სხვა ხალხებთან მათი მსგავსება იმ ჰიპოთეზის სასარგებლოდ მეტყველებს, რომლის თანახმადაც წყნარ ოკეანეში უნდა არსებულიყო დიდი მატერიკი, რომლისგანაც საცოდავი ნამუსრევებიღა შემორჩენილა ვეება სივრცე-ში მიმოფანტულ კუნძულთა სახით.

ახალი ქაყნიარების ლეგენდები

ამ ლეგენდებს პირველად ესპანელები გაეცნენ ამერიკის დაპყრობის შემდეგ. პირველი ჩანაწერებიც ამავე ხანას განეკუთვნება. ძველი ქვეყნიერების ლეგენდებთან მათი საერთო მოტივია საყოველთაო წარღვნის ამბავი. მათში არის აგრეთვე „ადგილობრივი“ ელემენტები, რომელთაგანაც ყველაზე საინტერესოა ხშირი მტკიცება — პირველი ადამიანები ამერიკაში აღმოსავლეთიდან, ზღვის გაღმვიდან მოვიდნენო.

ეს მტკიცება ნაწილობრივ თუ თანხვედბა თანაზროულ მეცნიერულ შეხედულებებს. მეცნიერნი (ყოველ შემთხვევაში მათი ნაწილი მაინც) ფიქრობენ — თუმცა ამერიკის მკვიდრთა წინაპარნი ზღვის გაღმიდან კი მოსულან ძრავალი საუკუნის წინათ, მაგრამ ეს დასავლეთის მხრიდან მოხდა, აზიიდან, როგორც ჩანს, ალასკიდან, რომელიც ოდესღაც შეერთებული იყო ჩუკოტის ნახევარკუნძულთან — აზიის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილთან, ახლა ბერინგის სრუტით რომ არის ამერიკისგან გამოყოფილი. უძველეს დროს ამ გზის გავლა ხმელეთითაც შეიძლებოდა. გარნა ინდიელთა ლეგენდები იმას დაადასტურებენ — მომსვლელნი ამერიკის კონტინენტზე აღმოსავლეთიდან გამოჩნდნენ, ატლანტის ოკეანის მხრიდანო.

ეს თქმულებები განსაკუთრებით ღირებული იმათთვის არის, ვინც პოსეიდონის კუნძულს ატლანტის ოკეანეში დაედებს. რადგან ამ თქმულებებით დასტურდება ზოგიერთი ფრაგ-

მენტე პლატონის მიერ მონაზრობი აზბისა ატლანტისის დასავლეთით არსებული მატერიკის თაობაზე.

ახალი ქვეყნიერების კლასიკურ ლეგენდებს შეიძლება მივაკუთვნოთ მექსიკაში კეცალკოატლის მისვლის ამბავი. მისი შინაარსი ჩვენ ორი წყაროდან ამოვკრიბეთ — „ტელერიანო-რემენსისის“ კოდექსიდან, რომელიც რემისში ინახება, არქიეპისკოპატის ბიბლიოთეკაში, და „რიოსის კოდექსიდან“, რომელიც ვატიკანის ბიბლიოთეკის კუთვნილებაა. ეს ხელნაწერები ატყეკების ენაზე ლათინური ანბანით არის შესრულებული. ისინი ესპანელთა მიერ მექსიკის დაპყრობის ეპოქას განეკუთვნებიან და აწ უკვალოდ გაუჩინარებული ძველი ტექსტის ასლებს წარმოადგენენ. ორსავე ხელნაწერს აკლია რამდენიმე ფურცელი, — პირველ ესპანელ პატრონებს მათდამი მაინცდამაინც დიდი პატივისცემა ვერ გამოუჩენიათ, — მაგრამ, ამინდა მიუხედავად, ისინი ჩინებულად ავსებენ ერთიმეორეს. მათში უამრავი უაღრესად საგულისხმო ცნობა იპოვება მექსიკური კალენდრის შესახებ. გარდა ამისა, „კოდექსი“ სამყაროსა და ღვთაებათა შექმნის სურათსაც წარმოგვიდგენს („თავდაპირველად ომე ტეუკლი იყო მხოლოდ“), მოიხსენიებს აგრეთვე აღამიანთა პირველ წყვილს — ციპაკტონალსა და შუნიოს, ბუმბერაზთა ძღვეამოძილი რასისთვის დასაბამის მიმცემთ. აი, ამ საინტერესო ხელნაწერის ნაწყვეტი:

„დადგა დღე, როდესაც კაცობრიობას სიკვდილი ეუფლა. მაშინ ასაკოვანნი მისტლანის ქვეყანაში გადაიხვეწნენ, ხოლო ჩვილნი ჯადოსნურ ხეს შეეხიზნენ. ამ ხემ თავისი რძით ბალები ისე გამოზარდა, თითქოს დედა ყოფილიყოს. ასე წარმოიქმნა ბუმბერაზთა ახალი რასა, რომელმაც 4008 წელიწადს იარსება. ამის შემდეგ მათით გულნაკლულმა ღმერთებმა დედამიწას წარლენა მოუვლინეს. ყოველი კაცი თევზად გადაიქცა, გარდა ახუენხუეტეს ხის ტოტებში მიმალული ერთი წყვილისა. კატასტროფა ატლის მეათე დღეს მოხდა.

წარლენა რომ დასრულდა და კაცობრიობა კვლავ აღორძინდა, ახალი რასა წარმოიქმნა. ამ რასამ 4010 წელიწადს იარსება, ვიდრე სეიტკუიტლის დღეს ზეცით გარდამოსულმა არნახული ძალის გრივალმა კაცნი და ხენი არ მოსრა ერთიანად. მაშინ კაცნი მაიმუნებად გადაიქცნენ, მაიმუნები კი, თა-

ვის მხრივ, ქუფრი ზეციდან მოვლენილ იაგუართა მსხვერპლ-
ნი შეიქნენ. ამჟერადაც ქვებში მიმალული კაცთა მხოლოდ
ერთი წყვილი გადაურჩა დაღუპვას.

კიდევ ერთი შავი ღლე დაუდგა კაცობრიობას. ქვის კაც-
თა შთამომავალნი 4801 წელიწადს არსებობდნენ. ამჟერად
ცეცხლმა მოსრა კაცნი და კვლავინდებურად კაცთა მხოლოდ
ერთი წყვილი გადარჩა — ნავში მიიმალა და ზღვაში შეცურა.
მათ დასაბამი მისცეს კაცობრიობის მეოთხე რასას, რომელიც
უკვე თანამედროვეს ჩამოჰგავდა. ისინი ცხოვრებას შეჰხარო-
დნენ, რადგან ცხოვრება მაშინ მშვენიერი იყო. მთელი ქვეყ-
ნიერება ხარობდა. და სწორედ მაშინ იშვა ძე ქალწულისა —
ღმერთი კეცალკოათლი“.

აქ ჩვენ მოგვიხდება ღროებით შევწყვიტოთ ეს საინტერე-
სო ამბავი, რათა განვმარტოთ ღვთაების პიროვნებასთან დაკავ-
შირებული ზოგიერთი წინააღმდეგობა. რიგ მექსიკურ მითში
კეცალკოათლი წარმოდგება ძედ აცტეკთა ნადირობის ღვთა-
ების მიშკოათლის (რომელიც ზოგჯერ კემაშტლის სახით არის
ცნობილი) და აცტეკთა ყვავილებისა და ხელოსნობის ღვთა-
ების შოჩიკეცალისა (რომელიც სიმინდის ღვთაების სინტეოტ-
ლის ცოლი იყო და რომელსაც ქვეყნიერებაზე არსებულ პირ-
ველ ქალს უწოდებდნენ). სხვა ვერსიათა მიხედვით, კეცალკო-
ათლი მექსიკაში შორიდან მოსულა... მაგრამ ამის თაობაზე
შემდეგ. დავუბრუნდეთ „კოდექსთა“ ტექსტებს.

„კეცალკოათლი უსაბნოესი ქურუმნი იყო, მკაცრი ზნეობის
წმიდა კაცი. მან საკუთარი სისხლი მსხვერპლად შესწირა და
ამით მოალმობიერა კაცთა მოდგმაზე გულდამძიმებული
ღვთაებანი. იგი ხალხის საყვარელი მოძღვარი იყო. გარნა მას
ჰყავდა მძლავრი მტერი — თავად ტეცკატლიოპოკა.¹ ტეცკატ-
ლიოპოკამ ყოველივე მოიმოქმედა, რათა კეცალკოათლისთვის
ევნო, და ბოლოს მისი გაქრობაც განიზრახა. ერთხელ იმდენი
მოახერხა, კეცალკოათლი დაიყოლია და მაგარი სასმელი შეა-
სვა. გონს რომ მოეგო, კეცალკოათლმა თავის მიერვე დათქმუ-
ლი წესის მოშლისთვის საკუთარ თავს სასტიკი განაჩენი — გა-
ძევება — გამოუტანა. მალე დატოვა კიდევ საყვარელი ქვეყა-

¹ აცტეკების ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება, დღის მეთე ეჰმის
მფარველი, მაშინ როცა კეცალკოათლი მეცხრე ეჰმის მფარველი იყო.

ნა, გველის ტყავის ტივით ზღვაში შეცურდა. წასვლის წინ თავის ხალხს დაუბარა — ომე აკატლის წელს დავბრუნდები, რათა ტეცკატლიოპოკას ჩემთა პატივთათვის შური მივაგო და სიხარულის საუფლო კვლავ დაგიბრუნოთ. ნაპირს რომ მოშორდა, ტივი აღეგზნო და მასთან ერთად დაიწვა, ხოლო მისი გული ზეცად აღვიდა და დღემდე იქ სუფევს განთიადის ვარსკვლავის სახით. გამგზავრებამდე კეცალკოატლმა თავისი სამეფო ნიშნები ტაძარში დაასვენა“.

მართლაც, მექსიკის დაპყრობის დროს ესპანელებმა ჩოლუას ტაძარში ნახეს ორი ძვირფასი ქვა, რომელთა შესახებაც ამბობენ — ეს სამეფო ნიშნებია, კეცალკოატლისგან შესანახად მობარებულიო.

„კეცალკოატლი რომ გაუჩინარდა, სამყაროს ბოროტი სული დაეუფლა. ოდესმე, ნაული ოლინის დღეს, ქვეყნიერების აღსასრული დადგება. ყოველივე ცოცხალი მიწისძვრით მოიხპობა. ეს იქნება კაცობრიობის მეოთხე ამოწყვეტა. გარნა არავინ უწყის, ამჯერადაც შეძლებენ თუ ვერა კაცნი შთამომავლობის გადარჩენას...“

როდის დადგება ნაული ოლინის დღე, კაცობრიობის აღსასრულის დღე? მკითხველთა პანიკა რომ არ გამოვიწვიოთ, მექსიკურ კალენდარს ჩვენსას აღარ შევუდარებთ და რამდენსამე განმარტებას დავჯერდებით. მექსიკური კალენდარი ერთობ რთულია და, ამასთან, ძალზე ზუსტიც. დროის აღნუსხვის მეცნიერება იქ უჩვეულოდ მაღალ დონეზე იდგა, გაცილებით წინ უსწრებდა ბაბილონელთა და ეგვიპტელთა მიერ ამ დარგში მიღწეულ ცოდნას. არსებობდა დროის გამოთვლის სამი პარალელური სისტემა. 365-დღიანი, წელიწადი, 360-დღიანი პერიოდი და 260 დღისაგან შემდგარი პერიოდი. ყოველი მათგანი ოც-ოცდღიან პერიოდებად იყოფოდა, თვის მაგვარი რაღაც იყო. ყოველი დღე რიცხვითაც აღინიშნებოდა და ამ ოცდღიანი პერიოდის სახელწოდებითაც. ამგვარად ჩვენც აღვნიშნავთ თარიღებს, მაგალითად: სამშაბათი, 24 ნოემბერი. გარნა 24 ნოემბერი ყოველ წელიწადს როდია სამშაბათი დღე. ოღონდ ჩვენში ამგვარი აღნიშვნები რამდენიმე წლის შემდეგ მეორდება ხოლმე, მექსიკურ კალენდარში კი ზოგი 52 წელიწადში მეორდება, ზოგიც ათას წელიწადში ერთხელ. ასე რომ წელი-

წადთა ნუმერაციის გარეშეც ხერხდებოდა ძალიან ზუსტად აღნიშნულიყო ამა თუ იმ ამბის თარიღი წარსულსა თუ მომავალში. მექსიკური კალენდრის „გასაღები“ რომ გვექონოდა, სულ არ გაჭირდებოდა იმის დადგენა, თუ როდის დაატყდა კაცობრიობას ის ერთიმეორის მომდევნო კატასტროფები. სამწუხაროდ, ამ ციხე-დარბაზის „გასაღები“ მრავალგზის შეცვლილა და სწორედ ის არის უცნობი, რომელიც გამოგვადგებოდა დიდი ხნის წინათ დავიწყებული წარსულის თარიღთა დასადგენად. ამავე დროს, ჩვენ ვიცით გაშიფვრის მეთოდი იმ მექსიკური კალენდრისა, რომლითაც უკანასკნელ ათასწლეულებში სარგებლობდნენ, რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ცენტრალური ამერიკის ისტორიული პერიოდის თარიღები.

კეცალკოატლის ჩამოსვლისა და გამგზავრების ირგვლივ რამდენიმე მითი არსებობს, ოღონდ, სამწუხაროდ, ეს მითები დეტალებით განსხვავდება ერთმანეთისგან. ვითომ აღმოსავლეთიდან, ესე იგი ატლანტის ოკეანის გაღმა მხრიდან ჩასულა მექსიკაში და თავისი მისიის აღსრულების შემდეგ იქითკენვე აულია გეზი. ის იყო წარმომადგენელი ხალხისა, რომლის კულტურაც გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე მექსიკის მკვიდრთა — მაიას, ატუეკებისა და ტოლტეკების კულტურა. ზოგიერთი ლეგენდის თანახმად, მას თეთრი პირისკანი და გრძელი წვერი ჰქონია. სწორედ ეს ნიშნები აღიბეჭდა ინდიელთა მეხსიერებაში: როგორც ცნობილია, ინდიელებს სახეზე ბალანი თითქმის არც კი ამოხდით. კეცალკოატლი მექსიკაში მკირერიცხოვან ხალხთან ერთად ჩასულა ოკეანის აღმოსავლეთით მდებარე ტოლანის ქვეყნიდან. მას ზოგჯერ ჰაერის, წყლისა და ქართა ღვთაებად მიიჩნევდნენ და ფრთოსან გველად წარმოიდგენდნენ ხოლმე, მაიას ხალხმა კი მისი პატივისცემის ნიშნად კეცალკოატლი წმიდა ფრინველად შერაცხა. სახელი კეცალკოატლი ნიშნავს: „ფრინველ კეცალის ნაკრტენთა მქონე გველი“.

კეცალკოატლის თეთრმა პირისკანმა და წვერმა ზოგიერთს აფიქრებინა — ეს იყო ერთი პირველი ქრისტიანი მისიონერთაგანი, კოლუმბის აღმოჩენამდე დიდი ხნით ადრე ჩასული ამერიკაში. თომა მოციქულსაც კი ასახელებენ ზოგჯერ. სხვათა ვარაუდით, ეს უძველეს დროს ჩასული ფინიკიელი იქნებოდა.

სხვანი კიდევ ზღვის გაღმადან ჩასულ ამ კაცს ატლანტიისს მკვიდრად მიიჩნევენ.

სხვათა შორის, ამ ლეგენდამ კორტესის მცირერიცხოვან არმიას ძალიან გაუადვილა მექსიკის სწრაფად და შედარებით იოლად დაპყრობა. თეთრი პირისკანის მქონე წვეროსანი ხალხი რა იხილეს, წითელკანიანებმა ისინი აღნათქვამის თანაზმად მობრუნებულ ლეგენდარულ ღვთაებად მიიღეს და წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ მათთვის. ამ ფაქტს ყველა იმდროინდელი ესპანელი მემატყიანე აღნიშნავს. ამბობენ, ლეგენდას მექსიკის იმპერატორი მონტესუმაც ერწმუნაო; სათანადო საბუთად ის მოაქვთ, რომ მონტესუმას უხვად დაუსაჩუქრებია ესპანელი დამპყრობნი, განსაკუთრებით კორტესი. საჩუქრებს შორის ოქროს ნაკეთობაც მრავლად იყო, რამაც ცეცხლი შეუწოთ დამპყრობთა სიხარბეს. კერძოდ, მონტესუმას კორტესისთვის ის რეგალიები გადაუცია, რომლებსაც მექსიკელთა ქურუმთუხუცესი ატარებდა რელიგიური ცერემონიის დროს ღვთაების როლის განსახიერებისას. ინდიელთა რწმენას ღმერთის წარმოგზავნილთა მოვლენისადმი ისიც აძლიერებდა, რომ მომხედურთ ცეცხლმსროლელი იარაღი ჰქონდათ და აგრეთვე ჰყავდათ ამერიკაში მანამდე უცნობი „ჯადოსნური ცხოველები“ — ცხენები. ინდიელები რომ მიხვდნენ — გულმხეც და დაუნდობელ მძარცველებთან გვაქვსო საქმე, ერთობ გვიან იყო უკვებრძოლა მონტესუმას სიკვდილით და ქვეყნის დაპყრობით დამთავრდა.

აქ გვმართებს ყურადღება შევაჩეროთ აგრეთვე იმ საკითხის ირგვლივ, თუ რამდენად სანდოა იმ ძველ, აწ უკვე გაუჩინარებულ ხელნაწერში, უფრო სწორად კი — მის ორსავე ასლში მოთხრობილი ამბავი. საქმე იმას ეხება, მართლა ევროპელთა გამოჩენამდე წარმოიქმნა თუ არა „კოდექსებში“ გადმოცემული ლეგენდები? იქნებ ესპანელმა ავტორებმა შეთხზეს ან კიდევ „შეაქსეს“ ისინი? ამ თვალსაზრისით ექვს ის აღძრავს, რომ მათში კეცალკოატლი წარმოგვიდგება ქალწულის ძედ, რომელმაც საკუთარი სისხლის ფასად მოინანია ხალხის ცოდვა. სწორედ ეს დეტალი გვაფიქრებინებს, რომ მოტანილ ლეგენდაში ქრისტიან მისიონერთა ხელიც უნდა ერიოს. გარნა ამგვარ ექვს ხშირად აქარწყლებენ ხოლმე: თეთრკანიანი ღმერთის

ლეგენდები ამერიკაში ესპანელთა მისვლამდეც უნდა არსებულყო.

ამ ცოტა ხნის წინათ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები გვიდასტურებენ ძველ „კოლექსებში“ მოთხრობილ ამბებს. ჩიჩენ-იცას ტაძრის ნანგრევებში აღმოჩნდა ნახატები, რომლებზეც კაც-მაიმუნთა შთანთქმელი იაგუარები არის გამოსახული. „კოლექსის“ თანახმად, ეს მომხდარა სე ინცუინტლის დღეს, კაცობრიობის მეორე პერიოდის (4010 წელიწადს რომ გასტანა) დამლევს. ექსპერტები ამტკიცებენ — ეს ნახატები XI საუკუნეში, ესე იგი ამერიკის აღმოჩენამდე დიდი ხნით ადრე არისო შექმნილი.

დაუკვირდით კეცალკოატლის — ფრთოსანი გველის სახელსაც. ხომ მოგვაგონებს გველის კუნძულის შესახებ არსებული ეგვიპტური ამბის გმირს?

ყურადღების ღირსია აგრეთვე ლეგენდა აცტლანის ქვეყანაში მომხდარი წარღვნისა, რომლის მიხედვითაც პირველმა აცტეკებმა შვიდი გამოქვაბულის მღვიმედან — ჩისომოსტოკიდან გამოსვლის შემდეგ იხილეს ქვეყნიერება. ამ მღვიმესთვის შეუფარებიათ მათ თავი რაღაც უდიდესი კატასტროფის დროს. ის გამოქვაბულები აცტლანის ქვეყანაში იყო. დღემდე ვერ მოხერხდა იმის გარკვევა, თუ რა ქვეყანაა ეს აცტლანი. ცნობილია მხოლოდ, რომ იმ ქვეყნიდან ნაგებობით მოცურებულან მექსიკაში.

სხვა მითებში ჩიბოლას შვიდი ქალაქი იხსენიება. ის გარემოება, რომ აცტეკებს ნამდვილი წერილობითი ძეგლები აღარ გააჩნიათ (მექსიკის დაპყრობისდროინდელი ასლები არის მხოლოდ ცნობილი), საშუალებას არ გვაძლევს დავადგინოთ — იქ მოხსენებული ქვეყნები აცტლანი და მისტლანი, რომელთა შესახებაც იყო ლაპარაკი ზემოთ მოტანილ მონათხრობებში, მართლა არის თუ არა კიჩეს ტომის ინდიელთა თქმულებებში დასახელებული ქვეყანა ტულან-ზუივა. ეს სახელწოდებები ერთიმეორეს ჩამოჰგავს და თავისი ელერადობით საოცრად მოგვაგონებს ჩვენს ატლანტისს!

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თქმულებები ცენტრალური ამერიკის იმ ნაწილისა (სამხრეთ მექსიკიდან მოყოლებული დღევანდელი გვატიმალასა და ჰონდურასის გა-

დავლით ვიდრე ნიკარაგუამდე), სადაც ევროპელთა გამოჩენამდე რამდენიმე საუკუნით ადრე ბრწყინვალე ცივილიზაცია აღმოცენებულა. ამ კულტურის ფესვები შორეულ წარსულში იკარგება და ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ეს ერთ-ერთი უძველესი კულტურაა დედამიწის ზურგზე.

ამერიკის აღმოჩენისას („აღმოჩენად“ ევროპელთა იქ მისვლა იგულისხმება ამ შემთხვევაში) ეს კულტურა, მანამდე ცოტათი ადრე მომზადარ ამბავთა შედეგად, დაქვეითების გზას აღდა: მაიას ქვეყანა ჩრდილოეთიდან მოსულმა ხალხებმა — ტოლტეკებმა, შემდეგ კი აცტეკებმა დაიპყრეს. პირველი ევროპელი დიდებულმა არქიტექტურამ, ხელოვნების ქმნილებებმა, ინდიელთა ჩვეულებებმა დიდად განაცვიფრეს. მაიას ხალხს ჩვენს მიერ უკვე ხსენებული კალენდარი ჰქონდა, ციურ სხეულთა მოძრაობის ასავალ-დასავალი იცოდა, ინდუსებსა და არაბებზე მრავალი საუკუნით ადრე მათ ოცობითი თვლის საგულისხმო სისტემა შეიმუშავეს, ციფრებს (მათ შორის ნულსაც) იყენებდნენ. მაიას ხალხს დამწერლობაც ჰქონდა. სამწუხაროდ, ესპანელებთან ერთად ჩასულმა ქრისტიანულმა სამღვდლოებამ ხელოვნების ეს ძეგლები ეშმაკის ნახელავად შეარაცხა და მაიას კულტურის ხელიერთპირად წარხოცვას შეუდგა. თითქმის ყველა ხელნაწერი და ქვებზე ამოჭრილ წარწერათა უმეტესობა მოისპო.

მაიას დამწერლობა უკვე დაიწყებულა. ყოველდღიურ ცხოვრებაში მაიას ხალხი ახლაც იყენებს თავის ძველ ენას, მაგრამ ამაოდ გავირგებით, თუ ოთხასი წლის წინანდელ ძეგლთა კედლებზე ამოკვეთილი წარწერების შინაარსის განმარტებას მოვთხოვთ მათ. ამ წარწერათა ამოკითხვას მეცნიერთა მცირერიცხოვანი ჯგუფი. თუ ახერხებს, ისიც ნაწილობრივ. ამ მხრივ რამდენადმე უნდა ვუმაღლოდეთ ეპისკოპოს ლანდას, რომელსაც თავის მემუარებში ნიშანთა ნაწილი გადაუხატავს და იქვე განუმარტავს მათი მნიშვნელობა. ოლონდ იმავე დიეგო დე ლანდას, როგორც მისიის წინამდგომს, გამძვინვარებით მოუხპია „ეშმაკეულ წიგნთა“ ხელნაწერები. ასე რომ ჩვენთვის ცნობილთაგან უძველესი დამწერლობის წარხოცვაში მეტი წვლილი შეიტანა ამ ეპისკოპოსმა, ვიდრე მის გადაჩენაში...

ამ რამდენიმე წლის წინ საბჭოთა მეცნიერმა ი. კნოროხოვ-

ქა ლანდას ძუნწ ცნობებზე დამყარებით გარკვეულ შედეგს მიაღწია. მაიას დამწერლობა ეგვიპტურის მსგავსი აღმოჩნდა, ეს ამბავი დავიმახსოვროთ.

მაიას დამწერლობის გადარჩენილ დედანთაგან ძნელდება იმ მითების საერთო სურათის შედგენა, რომლებიც მათი ქვეყნის წინარეისტორიული პერიოდის ამსახველად მოგვევლინებოდნენ. ამ შემთხვევაში დიდად გვეხმარება მექსიკის დაპყრობის დროინდელი ესპანური ჩანაწერები. ყოველ შემთხვევაში, შევვიძლია ვთქვათ, რომ მაიას მითები პრინციპულად ცოტა რამით განსხვავდება ატტეკებისა და ცენტრალური ამერიკის სხვა ხალხთა თქმულებებისგან.

სამი გადარჩენილი „კოდექსიდან“ ერთ-ერთი, ამჟამად მადრიდის ბიბლიოთეკაში რომ ინახება, შეიცავს საინტერესო აღწერას, რომელიც პლატონის მონათხრობს მოგვაგონებს. ეს არის განთქმული „ტროანოს კოდექსი“, რომელიც ცნობილია აგრეთვე სახელწოდებით „ტრო-კორტესის კოდექსი“ ან „ტროს კოდექსი“. მექსიკის დამპყრობმა კორტესმა ჩამოიტანა ესპანეთში. ამჟერადაც საგულისხმო წინაუკმობასთან გვაქვს საქმე: იმავე კორტესმა, ვინც მექსიკა დააქცია, უძველესი მექსიკური დოკუმენტი გადაგვირჩინა.

„ტროანოს კოდექსი“ დიდხანს იყო მივიწყებული და მხოლოდ 1866 წელს წააწყდნენ შემთხვევით. „კოდექსი“ მაიას იდეოგრაფიული დამწერლობით არის შესრულებული. არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ეს არის კოლუმბამდე შედგენილი დედანი.

ამ დოკუმენტის აღმომჩენი ბრასერ დე ბურბური განაცვიფრა ხელნაწერისა და მაიას ნაგებობათა ნანგრევებზე შერჩენილი წარწერების მსგავსებამ და შეეცადა გაეშიფრა მისი შინაარსი. სწორედ მან გამოთქვა პირველად მოსაზრება — ამ დოკუმენტში წარღვნის აღწერა უნდა იყოს. მისი გამოკვლევები მკაცრად გააკრიტიკეს, მაგრამ ამ ამბავმა ფრანგ ოგიუსტუს პლონჯონს მუშაობის გაგრძელებაზე ხელი ვერ ააღებინა. ამ მუშაობის შედეგი იყო 1900 წელს გამოქვეყნებული ფრანგული თარგმანი ტექსტისა. აი, მისი შინაარსი:

„კანის 6 წელი, საკის თვის მულუკის მეთერთმეტე დღეს დაიწყო საზარელი მიწისძვრები, რომლებიც ჩუენის მეცამეტე

დღემდე განუწყვეტლად გრძელდებოდა. მათი მსხვერპლი გახდა ჭაობიან გორაკთა ქვეყანა, მუს ქვეყანა. იგი ორჯერ ამოიწიდა და მერე ერთ ღამეში გაქრა. წყლისქვეშა ვულკანთა განუწყვეტელი მოქმედებისგან მატერიკი მრავალგზის ამოიშრებოდა და ისევ უჩინარდებოდა. ბოლოს მიწა გაირღვა და ნაწილ-ნაწილ დაპობილი ათი ქვეყანა შეიმუსრა. ეს ქვეყნები გაცამტვერდა თავ-თავის მოსახლეობიანად, 64 მილიონ სულს რომ შეადგენდა, ამ წიგნის დაწერამდე 8060 წლის წინათ“.

იმათ საყურადღებოდ, ვინც მაიას კალენდრის საიდუმლოებათ არ გასცნობია, განვმარტოთ, რომ მულუკის მეთერთმეტე დღიდან ჩუენის მეცამეტე დღემდე ნიშნავს — სამი დღის განმავლობაშიო.

არავინ უწყის, როდის დაიწერა ეს წიგნი. შეიძლება ექსპერტიზის ჩატარება ამ ცოტა ხნის წინ შემუშავებული მეტოდიით, რომლის დროსაც ხელნაწერის წლოვანება მასში ჩარჩენილი რადიოაქტიური ნახშირბადის რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება (ეგრეთწოდებული C¹⁴-ის მეთოდი), მაგრამ ამგვარ ექსპერტიზას თვით ეს ფასდაუდებელი ინკუნაბულა შეეწირებოდა. ასე რომ უნდა დაველოდოთ, ვიდრე რაიმე სხვა მეთოდს გამოიგონებდნენ.

ისე, კაცმა რომ თქვას, „ტროანოს კოდექსის“ მადრიდული ეგზემპლარის ასაკის დადგენას არც აქვს დიდი მნიშვნელობა. სავსებით შესაძლოა, რომ ეს კატასტროფის წერილობითი სახით შემონახული პირველი მოწმობა კი არ იყოს, არამედ მისი გვიანდელი ასლი, მართალია, კოლუმბამდელი პერიოდისა. დიდი მნიშვნელობა მხოლოდ იმას ექნებოდა, მისი პირველი რედაქციის აღმოცენების დრო რომ დაზუსტებულიყო, რათა შემდეგ წარღვნის თარიღი დაგვედგინა მასში მოცემული ცნობის თანახმად — ამ წიგნის დაწერიდან 8060 წლის წინათო.

გარნა „ტროანოს კოდექსის“ შექმნის დროდ ჩვენი წელთაღრიცხვის 1500 წელიც რომ მიგვეჩნია, წარღვნის თარიღად გამოგვივიდოდა $8060 - 1500 = 6560$ წელი (ჩვენს წელთაღრიცხვამდე), ხოლო ეს ორი-სამი ათასი წლით მაინც უსწრებს ბიბლიური წარღვნის საყოველთაოდ მიღებულ თარიღს.

მაიას იეროგლიფთა ამოხსნის უკვე ხსენებულ სიძნელეებ-

თან დაკავშირებით ერთი კითხვა აღიძვრის კიდევ: სანდოა თუ არა, შენსატყვისება თუ არა დედანს მოტანილი ტექსტი?

„მუს ქვეყნად“ პლონჟონი გულისხმობდა ლემურიას, აზიასა და ავსტრალიას შორის ჰიპოთეტურად არსებულ მატერიკს. ლემურიის არსებობის ჰიპოთეზა ამ ასი წლის წინ წამოაყენა ინგლისელმა ნატურალისტმა ფილიპ სკლეიტერმა, რომელმაც ყურადღება მიაქცია ინდოეთის ოკეანის კუნძულთა (მადაგასკარიდან ვიდრე მალაის კუნძულებამდე) და აზიის მატერიკის ფლორისა და ფაუნის საკვირველ მსგავსებას, განსაკუთრებით — ლემურებად წოდებული მაიმუნების ერთ სახეობას. ეს მან იმით ახსნა, რომ ძველად აქ უფრო ვრცელი კონტინენტი ან დღევანდელ კუნძულთა შემაერთებელი სახმელეთო ხიდი უნდა არსებულებოდა.

ოდონდ ჰიპოთეტური ლემურია იმდენად დაშორებულია მექსიკას, რომ წყალში მისი დანთქმა ცენტრალური ამერიკის მცხოვრებთა ლეგენდებში ვერ უნდა ასახულიყო. მეორე მხრივ, პლონჟონის ვერსიით წარმოდგენილი აღწერა წარღვნისა სოცრად ჰგავს პლატონის მონათხრობს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ორსავე შემთხვევაში ერთსა და იმავე ამბავს ეხება საქმე. განსაკუთრებით „ათი ქვეყნის“ ხსენება იქცევს ყურადღებას.

ატლანტიისის მომხრენი მადრიდელი ხელნაწერის ტექსტს პლატონის მონათხრობის დამადასტურებლად მიიჩნევენ. მოწინააღმდეგენი კი საეჭვოდ აცხადებენ პლონჟონისეულ თარგმანს — „მოჭარბებული სწრაფვა“ ეტყობა იმისა, რომ ეს ორი ტექსტი ერთიმეორეს დაამსგავსოსო.

ავტორს არ სურს საკუთარი შეხედულება თავს მოახვიოს მკითხველს, რის გამოც ამ თემაზე მსჯელობისგან ამჯერად თავს იკავებს.

იდეოგრაფიული დამწერლობით შესრულებულ ძეგლთა გარდა არსებობს კიდევ ხელნაწერები, რომლებიც მაიას ენაზე, ოდონდ ლათინური შრიტტით არის შედგენილი ესპანელთა მიერ მექსიკის დაპყრობის შემდეგ. ეს გახლავთ ეგრეთ წოდებული „ჩილამ ბალამის“ წიგნები. რაკი მაიას თითქმის ყველა ნამდვილი მანუსკრიპტი მოსპობილ იქნა, „ჩილამ ბალამის“ ხელნაწერები (ესპანელთა კონკისტისდროინდელ მონათხრო-

ბებთან ერთად) წარმოადგენს უღარესად ფასეულ დოკუმენტებს, რომლებიც ცხადყოფს, კულტურის რაოდენ მაღალი დონისთვის მიუღწევიათ ცენტრალური ამერიკის მკვიდრთ.

ახლა მოვიტანოთ „ჩილამ ბალამის“ მეხუთე წიგნის შემოკლებული ნაწყვეტი (ვსარგებლობთ გერმანული თარგმანით ო. მუკის წიგნიდან „Atlantis“):

„...ეს მაშინ მოხდა, მიწა რომ აღორძინებას იწყებდა. არავინ უწყობდა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო კიდევ. ცეცხლის წვიმა მოდიოდა, მიწა ფერფლით დაიფარა, ქვები და ხეები წამოიქცა. ქვები და ხეები დაიმუხრა... ზეცას დიდი გველი მოსწყდა და მისი ტყავი და მისი ძვლების ნამსხვრევები დაცვივდა მიწაზე... ხოლო ისრები ესობოდა ქვრივ-ობლებსა და ბერიკაცებს, კიდევ ცოცხალნი რომ ბოგინებდნენ, თუმცა სასიცოცხლო პირი აღარ ჰქონდათ. და მათ ზღვის სილიან სანაპიროზე პოვეს სამარე. მაშინ მოსკდა საზარელი ზვირთები. დიდ გველთან ერთად ზეცაც მიწას ჩამოემხო და წალეკა...“

ამ აღწერაში ოტო მუკი ისეთი კატასტროფის სურათს ხედავს, უჩვეულო მეტეორიტის ჩამოვარდნას რომ უნდა გამოეწვია. ეს აღწერა მცირედ განსხვავდება არცთუ ისე დიდი ხნის წინათ პოლონეთში მეტეორიტების ჩამოვარდნის მომსწრეთა მონათხრობისგან (მეტეორიტები ჩამოვარდა 1866 წლის 30 იანვარს პულტუსკის რაიონში და 1935 წლის 12 მარტს ლოვიჩის რაიონში). იგივე „ცეცხლის წვიმა“, იგივე „ქვათა ცვენა“, ზოგიერთს სტვენა ან აფეთქების ხმა გაუგონია. ოღონდ ეს შედარებით მცირე სხეულები იყო. ჩვენს დროში ერთ-ერთ უდიდესად მიჩნეულია ცნობილი ტუნგუსის მეტეორიტი, რომელიც 1908 წლის 30 ივნისს ჩამოვარდა ციმბირში. საბედნიეროდ, ამას ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია, რადგან ჩამოვარდნის რაიონი დასახლებული პუნქტებიდან შორს მდებარეობდა. ცეცხლის კაშკაშა სვეტი 500 კილომეტრზე იხილვებოდა, ხოლო აფეთქების ხმა 1400 კილომეტრზე გაისმა.

მუკის აზრით, „ჩილამ ბალამის“ წიგნში აღწერილი ამბავი უკავშირდება მეტეორიტის ჩამოვარდნას, რომლის კვალსაც შეერთებული შტატების სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსკენ მიეყავართ. წინარეისტორიულ ხანაში აწინდელი არიზონას შტატის მიდამოში უნდა ჩამოვარდნილიყო ერთი უდიდესი მე-

ტიორიტი, რომელსაც წარუშლელი კვალი დაუტოვებია ვეება კრატერის სახით, რომლის დიამეტრი 1200 მეტრს აჭარბებს, ხოლო სიღრმე 114 მეტრამდეა. ნავაჰოს ტომის ინდიელთა შორის გავრცელებულია თქმულება, რომ ამ ადგილას ზეცით ღმერთი გარდამოსულა ცეცხლოვანი სვეტის სახით, ირგვლივ ყოველივე გაუცამტვერებია და ყურთასმენის წამლები გრიალით მიწაში შთამხდარა.

ახლა კი გვატემალაში გადავიდეთ და ხელი მივყოთ „პოპოლ-ვუხს“ — კიჩეს ტომის საღვთო წერილს. ესეც „კლასიკურად“ უნდა მივიჩნიოთ იმ ნაწარმოებთაგან, რომლებიც კაცთა მოდგმის წარმოშობის, წარღვნისა და მისგან თავდახსნის ხალხის ამბებს მოგვითხრობენ.

კიჩე მაიას ტომია, ამჟამად ნახევარ მილიონამდე სულს შეადგენს. ყოველდღიურ ცხოვრებაში (გვატემალაში ოფიციალური ენა ესპანურია) თავიანთ წინაპართა ენაზე მეტყველებენ, ეს ენა მაიას ენათა ოჯახს ეკუთვნის. ძველი იდეოგრაფიული დამწერლობა, ცხადია, აღარავის ახსოვს, ახალიც — ლათინური — ბევრმა როდი იცის. ცხოვრების დონე მათში ძალზე დაბალია, უმთავრესად დაქირავებულ მუშებად არიან ბანანისა და ყავის პლანტაციებში. მათი ძველი ღვთაებაა ატიტლანის ადგილას, მშვენიერი მღებარეობის ტბის — ატიტლანის მახლობლად, ახლა გაშენებულია ესპანელთა მიერ დაარსებული ქალაქი სანტა კრუს დელ კიჩე. ტბის სახელწოდება ესპანელთა მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგაც შემორჩა. მისი წარმოთქმისას შეუძლებელია ატიტლანის არ გაგვახსენდეს!

„პოპოლ-ვუხსი“ იმ სახით, როგორითაც ვიცნობთ მრავალი გამოცემის მიხედვით (კიჩეს ენაზეც და ევროპულ ენებზე თარგმნილი ტექსტითაც), ერთ ადგილობრივ მცხოვრებს დაუწერია ცენტრალური ამერიკის დაპყრობიდან ცოტა ხნის შემდეგ. ჩვენს დრომდე იმის წყალობით შემოინახა, რომ ავტორმა ლათინური ანბანი გამოიყენა მის ჩასაწერად და სწორედ ამით გადაარჩინა უქველ დაღუპვას ეს საგულისხმო ძეგლი. ძნელია დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ეს ამერიკაში ესპანელთა შეჭრამდე შექმნილი ხელნაწერის ზუსტი ასლი იყოს, ან ის, რომ თაობიდან თაობაში გადმოცემულ თქმულებებს უცდომლად გვაწვდიდეს. თუმცა ცენტრალური ამერიკის მითების

შემსწავლელნი იმ აზრის არიან — ამ თქმულებებს ქრისტიანთა გავლენა არ განუცდიათო.

„პოპოლ-ვუხი“ მოგვითხრობს კიჩეს ტომის ისტორიას, „მზის პირველი ამოსვლის“ დროინდელს, და ამ მონათხრობში ჩართულია ღვთაებათა და გმირთა შესახებ შექმნილი მითები. წიგნი სამი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი გადმოგვცემს კაცთა შექმნის ამბავს და ღვთაებათა მიერ მათს დასჯას წარღვნითა და ცეცხლით. მაშინ ძრწოლის ღვთაება ჰურაკანი (მისი სახელიდან მოდის ევროპულ ენებში სიტყვები ურაკანი და ორკანი), რომელიც ცათა სულადაც იწოდებოდა, განურისხნდა პირველქმნილ ხალხს და თავს დაატეხა წყლის ვეება ზვირთები და ცეცხლის წვიმები, რისგანაც ყოველივე ცოცხალი განქარდაო.

„პოპოლ-ვუხის“ მეორე ნაწილი ეძღვნება ღვთაებათა და გმირთა ბრძოლას შიბალბას ქვეყანაში, რომელიც მიწის ზედაპირის ქვეშ მდებარეობდა სადღაც. ეს აცტეკთა მითების გამოქვაბულებს, ატლანის ქვეყანაში შვიდთა გამოქვაბულთა მღვიმეებს მოგვაგონებს. ეტყობა, ეს იმდროინდელი ამბავი უნდა იყოს, როდესაც ინდიელებს, ჩვენთვის უცნობი რაღაც მიწების გამო, გამოქვაბულებში მოუხდათ თავშესაფრის ძებნა. მტერთაგან თავდასაფარად? ან იქნებ ყინვისგან? არც ისე დიდი ხანი გასულა მას შემდეგ, რაც ასევე გამოქვაბულებში, უფრო სწორად — კარგად შენიღბულ შესასვლელიან ორმოებში იმალებოდნენ აღდგომის კუნძულის. მცხოვრებნი ამ კუნძულზე პირველ ევროპელ მეზღვაურთა გადასახდომისას.

მესამე ნაწილში საკუთრივ კიჩეს ისტორიაა გადმოცემული. ამ ისტორიის თანახმად, ისინი წარმოდგებიან პირველ კაცთაგან, რომელნიც სამყაროს შექმნისთანავე გაჩენილან და ტულან-ზუივას ქვეყანაში დამკვიდრებულან. ამ ქვეყნის სახელწოდება აცტეკთა ღვთაების კეცალკოატლის სამშობლოს — ტოლანს მოგვაგონებს. კიჩეს ტომსაც ჰყავდა თავისი პრომეთე — ღვთაება ტოხილი, რომელმაც ცეცხლის მოპოვება ააწავლა მათ. ეს თავისი სანდლების მეშვეობით გაუკეთებია. კიჩეს ტომისგან სხვა ინდიელებსაც უსწავლიათ ცეცხლის დაგზნება. ტულან-ზუივას ქვეყანა სადღაც აღმოსავლეთით მდებარეობდა თურქე. მექსიკიდან ამ ქვეყანაში ზღვის გზით ჩაისვლებოდაო.

„ამასთან, ცნობილი არ არის, როდის გადმოცურეს მათ ეს ზღვა, — ვკითხულობთ „პოპოლ-ვუხში“. — ზღვა ისე გადმოულახავთ, თითქოს სულაც არ ყოფილიყოს. ქვებზე გადმოსულან, სანაპიროს ქვიშრობზე რომ ყოფილა გამწკრივებული. მათი გადმოსვლის დროს წყალი თითქოს უკუქეულა მათ წინაშე“. ეს ამბავი გვატემალის ნაპირებთან მომხდარა.

და სწორედ მაშინ ამოსულა პირველად მზე.

ნუთუ ეს პოეტური მეტაფორაა მხოლოდ? ბელამი ამტკიცებს — აქ მზე კი არ არისო ნაგულისხმევი, არამედ მთვარე. როგორც უკვე აღინიშნა, ატლანტისის კატასტროფის ასახსნელად ბელამი „მთვარის“ თეორიას უჭერს მხარს. ამ ამბავს იმიტომაც ვიხსენიებთ, რომ ჩვენ არ დაგვეკისროს პასუხისმგებლობა ძველი ლეგენდის ამ სარისკო, თუმცა, შესაძლოა, სავსებით მართებული კორექტირებისთვის. ბელამის თანახმად, ეს ამბები არკადიაში პროსელენიდების დროს უნდა მომხდარიყო.

„გამწკრივებულ ქვებს“ რაც შეეხება, ინდიელთა კულტურის ჩინებული მცოდნე ფრანგი მეცნიერი მარსელ ოჟე ფიქრობს, რომ აქ ნაგულისხმევი უნდა იყოს ის კუნძულები, ცენტრალური ამერიკის ნაპირებთან მიახლოებისას რომ გადაეხსნება მოგზაურის მზერას. შესაძლოა ეს იყოსო დიდი და მცირე ანტილის კუნძულები (მექსიკის ყურეში). რომლებიც გზად შემოხვდებოდნენ ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილიდან გადმოხვეწილთ. სწორედ ასევე მიაღწია პირველად 1502 წელს მატერაის ნაპირებს კოლუმბმა, რომელიც ჯერ ჰონდურასის ყურეში მცირე კუნძულ გუანახაზე შეჩერდა. კიჩეს ტომის ინდიელებს აცტეკთა მსგავსად თავიანთი ფრთოსანი გველი კეცალკოატლი ჰყოლიათ — გუკუმაცი. გუკუმაცი შიშტეკის ტომის ინდიელთა მითებშიც მოიხსენიება როგორც ისეთი გმირი, რომელსაც წარღვნის შემდეგ წყლის უკუქცევა და ხმელეთის გამოჩენა გამოუწვევია. ამ მითში იხსენიება ცხრა გამოქვაბული. გამოქვაბულებში დაბინავების ამბავი საკმაოდ ხშირად მეორდება ინდიელთა ლეგენდებში.

ტულან-ზუივას ინდიელებს დამწერლობაც ჰქონიათ. ნაკშიტის წინამძღოლობით მათ სასტიკ ბრძოლაში დაუმარცხებიათ

გვატემალის მკვიდრნი და იქ აუშენებიათ ქვის ქალაქი, საიდანაც მეზობელ ქვეყნებში მიმოფანტულან.

„ტულან-ზუივასი ყოფნისას ჩვენ ყველანი ერთ ენაზე ვმეტყველებდით. მაგრამ შემდეგში სხვადასხვა ენაზე დავიწყეთ ლაპარაკი, — ვკითხულობთ „პოპოლ-ვუხის“ წიგნში. — ისეთი ხალხიც იყო, მზის აღმოსავლის მხარეს რომ მიისწრაფოდა, მაგრამ უმრავლესობა მაინც აქ დაესახლა“.

ჩაკი „ტულან-ზუივას ქვეყნისა“ და „ტოლანის ქვეყნის“ მსგავსება ვახსენეთ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთი მექსიკურა ლეგენდა მოგვითხრობს კოშკოშის ამბავს. იგი წარღვნას ხომალდზე გადარჩენია, რომელიღაც ნაპირამდე მიუღწევია და მისთვის ანტლანი დაურქმევია, ეტყობა, როგორც ბელაში ფიქრობს, იმ ქვეყნის მოსაგონრად, საიდანაც იყო წამოსული. მსგავს ვითარებაში მის მიერ აღმოჩენილ კუნძულს კოლუმბმა ისპანიოლა უწოდა.

გვატემალადან მექსიკას მივუბრუნდეთ და კოიოტისა და ფირუზისფერი ქალის ლეგენდას მოვუხსენიოთ.

კოიოტი (Coyote) მექსიკელ ინდიელთა ენაზე პრერიის მგელს კი არ ეწოდება მხოლოდ, არამედ ერთ-ერთ გმარსაც, ყველაზე ხშირად რომ იხსენიება მითებში. კალიფორნიის ინდიელთა (აჩომავის, აშოშიმის, მაიდუს, ტულეიონის, იოკუტის ტომების) თქმულებების მიხედვით, კოიოტი ნოესდაჯვარად გადარჩენია წარღვნას. იგი გამორჩეულ ბრძენკაცად იყო მიჩნეული, რითაც ეგვიპტელთა ღვთაებას თოთს ჩამოჰკავდა ნაწილობრავ. ზოგიერთი მითის თანახმად, მას ცეცხლის მეშვეობით მოუსპია ქვეყნიერება. კოიოტი სხვადასხვა სახელწოდებით წარმოგვიდგება ხოლმე, რის გამოც ლეგენდებში ზოგჯერ ძნელი გამოსარჩევია სხვა პერსონაჟთაგან. ერთი კი ვიციტ ბეჯითად — კოიოტს იმ დროს უცხოვრია, როცა დედამიწას დიდი უბედურება დასტყდომია თავს ცეცხლისა და წყლის სტიქიონებით.

ნავაპოს ტომის ინდიელებს, შეერთებული შტატებისა და მექსიკის მომიჯნავე რაიონში რომ სახლობენ და აპაჩების მონათესავენი არიან, ერთი ძველი მითი აქვთ ადამიანის წარმოშობის თაობაზე. ამ მითის თანახმად, ყველა ადამიანის დედა ყოფილა ესტსან-მახ-ტლახი ანუ ფირუზისფერი ქალი. ის ქალი

დასავლეთ ოკეანეში (წყნარი ოკეანე!) მდებარე კუნძულზე ცხოვრობდაო. იქ ხალხს რაღაც ურჩხულები ემტერებოდნენ თურმე, მაგრამ ის ურჩხულები ფირუზისფერი ქალის ორ ვა-ეიშვილს — მაიენესგანისა და ტობაჩინის მოუკლავთ. მათს დედას ფქვილისა და ზღვის წყლისგან მრავალი ადამიანი შეუქ-მნია (იქნებ მიწისმხვნელთა და მეთევზეთა გაერთიანებას ნიშ-ნავს ეს ამბავი?). ეს ხალხი ვითომც აღმოსავლეთისკენ დაძ-რულა, მატერიკზე დასახლებულა, შემდეგში კი ტომებად და-ყოფილა. ნავაპოს ინდიელები ერთ-ერთი ამ ტომის შთამომა-ვალნი არიანო. ამ ხალხის განმგებელი ვიღაც მომღერალი იყო, რომელიც გაუგებარ რასმე მღეროდა და ირწმუნებოდა — ღმერთმა წვიმის მოყვანის ნიჭით დამაჯილდოვაო. მისი მემკვი-დრე ნადირთა დიდი შემპყრობელი ყოფილა. ამან ნავაპოს ხალხს მრავალი სასიკეთო რამე ასწავლა და მათი ტომის ორი ქალიშვილი ცოლად შეირთოო.

ეს მითი სხვადასხვა ვერსიით მეორდება, ამასთან, ტომის ბელადად ზოგჯერ კოიოტი არის ხოლმე გამოყვანილი, ხოლო ნავაპოს ქვეყანას კოიოტის ქვეყანა ეწოდება. ყველა მითში კოიოტი ბრძენკაცად არის მიჩნეული.

ის მომღერალი, რომლის სიმღერაც კაცს არ გაეგებოდა, სხვა ქვეყნიდან არ ყოფილა მოსული. მითები საგანგებოდ აღ-ნიშნავენ — იპავე ბებიას შთამომავალი იყო, რომლისგანაც ნავაპოს ტომი წარმოდგა — ესტან-მახ-ტლესის, ფირუზისფე-რი ქალის შთამომავალიო.

აქ რაღაც საერთო შეიძლება მოინახოს მექსიკის „კლასი-კურ“ მითებთან, ოღონდ ერთ არსებითს სხვაობას კი უნდა მიექცეს ყურადღება: ეცალკეობა აღმოსავლეთიდან მოვი-და, ატლანტის ოკეანიდან, ხოლო ფირუზისფერი ქალის შვი-ლიშვილები — დასავლეთიდან.

ამ წინააღმდეგობის ახსნა შესაძლო იქნება, თუ ვივარაუ-დებთ, რომ ნავაპოს წინაპარნიც, ისევე როგორც ეცალკეობ-ლი და მისნი თვისტომნი, აღმოსავლეთიდან, ატლანტის ოკეა-ნიდან მოსულან, ოღონდ ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე ან კალიფორნიის ნახევარკუნძულზე დასახლებულან, იქიდან კი მექსიკაში დასავლეთის მხრიდან, ზღვის გზით მოხვედრილან. ამ ჰიპოთეზას ზოგიერთი ფაქტიც ადასტურებს. უკვე ისტორიულ

ხანაში კალიფორნია დასახლებული იყო ეთნიკური და ენობრივი თვალსაზრისით ერთმანეთისგან ერთობ განსხვავებული ინდიელთა ტომებით, ხოლო აპაჩებსა და ნავაჰოს ბევრი რამ აქეთ საერთო ათაბასკის ინდიელებთან, რომელნიც კანადაში და ალასკაზე სახლობენ. და, რაკი მათი სადგომები რამდენიმე ათასი კილომეტრით არის ერთიმეორეს დაშორებული და ძნელად გადასალახავი კორდილიერებით გამიჭნულა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათ ეს გზა ზღვით გაუვლიათ, ნაპირ-ნაპირ ცურვით.

კალიფორნიელი ინდიელებიც მრავალ რასმე მოგვითხრობენ ცეცხლით გამოწვეული რალაც უდიდესი კატასტროფისას, რომელსაც თითქოს მოუშთია კაცთა მოღვმა. ასე, კატოს ტომის ინდიელთა გადმოცემით, ცეცხლი მათა მწვერვალებიდან მოვლენილა და ელვათა მეუფე ღვთაებას ამგვარად დაუჩია დაბლობთა მცხოვრებნი. ვაშოს ტომის ინდიელები ავვიწერენ მიწისძვრას, რომლის შედეგადაც მთებს ისეთი ხანძარი მოედვა, მისი ალი ვარსკვლავებს ასწვდა და ვარსკვლავნი ცეცხლოვან ცრემლებად გარდამოცვივდნენო დედამიწაზე. ამას წარდენა მოჰყოლია და ხალხს წინასწარ აკებული გოდოლებისთვის შეუფარებია თავი. ეს ახალი, აქამდე უცნობი საშუალებაა წარდენისგან თავის დახსნისა.

ვინტუნის ტომის კალიფორნიელი ინდიელნი, მათივე გადმოცემის თანახმად, ცეცხლით დასჯილან იმის გამო, რომ ღვთაება კატკოგილისთვის ჯადოსნური ფლეიტა მოუპარავთ. მერე ცეცხლი წყალმა ჩააქროო.

ახლა მივმართოთ ჩრდილოეთ კანადას, სადაც ალასკასა და ჰუძონის ყურეს შორის ცხოვრობენ ათაბასკების ჯგუფის ინდიელები, რომლებიც, როგორც უკვე ითქვა, ცენტრალური ამერიკის ბინადარ აპაჩებსა და ნავაჰოს ენათესავენთან.

ათი ათასი წლის წინათ ამ მხარეს, დღევანდელი გრენლანდიის თუ ანტარქტიდის მსგავსად, ყინულის სქელი ფენა ფარავდა. საიმდროოდ ამ მხარეში თეთრ დათევებზე მონადირენი თუ შემოეხეტებოდნენ ალბათ. ათაბასკები აქ ყინულის უკან დახევის შემდეგლა დაესახლენ, უკვე ისტორიულ ხანაში, როცა კანადის ამ ნაწილის ჰავა ციმბირისას დაემსგავსა. და ათა-

ბასკების მითებში იხსენიება ზოლჰე ის ღრო, როცა ეს მხარე ყინულითა და თოვლით იყო დაფარული.

აი, როგორ გადმოგვცემს ამ ლეგენდების ჩანაწერებს ლაიფციგის უნივერსიტეტის პროფესორი იული ლიპსი (იგი კანადური მითების ე. პტიტოს მიერ შედგენილსა და 1886 წელს გამოცემულ კრებულს ემყარება):

ნამეტნავად მკაცრი ზამთარი რომ იდგა, მაშინ ჯერაც თანხმობით მცხოვრები კაცნი და მხეცნი შეეცადნენ, რაც გაეწყობოდათ, ცას მიახლოებოდნენ გასათბობად. ეს ამბავი თურმე არაფრად ექაშნიკა ცის განმგებელს — დათვს; მან მთელი სითბო მოკრიბა და ერთ ღიღ გუდაში ჩასტიაო. მაგრამ ცხოველებს ერთობლივი მეცადინეობით მოუხერხებიათ თავმოკრული გუდა დათვისთვის მოეპარათ და მიწაზე ჩამოეტანათ.

ერთ საღამოს, ცხოველები ღამის სათევად რომ ეწყობოდნენ, თავუნამ, რომელსაც მგზავრობისას ფეხთსამოსი გასცვეთოდა, მის დასაკერებლად სითბოთი სავსე გუდას ტყავის პაწაწინა ნაკუწი ააჭრა. ამ თავქარიან საქციელს დიდი უბედურება გამოუწვევია. იმ ნახვრეტში სითბო ისეთი ძალით გამოჭრილა, რამდენსამე წაშში მიწაზე დაზვიანული თოვლი ერთიანად დამდნარა. ამას საზარელი წყალღიღობა მოჰყოლია. წყალი მალლა-მალლა იწვედა და მალე უმალლეს მათა მწვერვლებიც კი დაუფარავს. ოღონდ მანამდე, ჯერ კიდევ თოვლის გადნობამდე წარღვნის წინასწარ მცნობელ ერთ ბერიკაცს თვისტომნი გაუფრთხილებია — დიდი ნავი ავაგოთ, რათა ყველამ გადავირჩინოთო თავი. ბერიკაცი სასაცილოდ აუგდიათ და, წარღვნა რომ დაიწყო, ყველანი დაღუპულან, გარდა იმ ბერიკაცისა (სახელად ეტსის), რომელსაც „თითო წყვილი ყოველი სულიერიც“ თან წაუყვანია.

ეტსისთვის ნავში თავს გარდახდომილი ბიბლიურ ნოეს ამბავს ისეთი დეტალებითაც კი ჰგავს, როგორიცაა მტრედის გაგზავნა და შემდეგ ნისკარტში სოკის რტოით მისი დაბრუნება. შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ეს მითი რამდენადმე უნდა „შეეცსოთ“ ქრისტიანობის ხანაში, ამიტომ სრული სახით მას აქ აღარ მოვიტანთ, ოღონდ ბიბლიური ამბისა და ათაბასკების მითის ძირეული სხვაობაც აღსანიშნავია: ინდიელთა თქმულებაში ლაპარაკია უჩვეულოდ მკაცრი ზამთრისა და დაგროვილი

სითბოს გამოთავისუფლებით აღძრული წყალდიდობის შესახებ. გეოფიზიკოსთა აზრით, მყინვართა დნობის დაწყებისას ჰავა მართლაც ერთბაშად უნდა შეცვლილიყო. ამ აზრს ყველა მეცნიერი იზიარებს, ოღონდ ტემპერატურის მომატების მიზეზებზე რომ მიღგება საქმე, სხვადასხვა თვალსაზრისი ჩნდება. თუმცა ერთში კი ყველანი შეთანხმებული არიან — ეს ამხელა ამბავი მართო თავუნას ბრალი არ უნდა იყოსო.

ათაბასკების სხვა თქმულებებში იხსენიება იეტლი — ცეცხლოვანი თვლების მქონე დიდი ყორანი, რომელიც წარღვნის დროს მიწაზე გარდამოსულა, წყალი ამოუშვრია და ძლევამოსილი ტომის მამამთავარი შექნილა, თანაც თავისი ხალხისთვის ცეცხლის გამოყენება უსწავლებია.

„ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა მთელი დედამიწა წყლით იყო დაფარული. კაცნი, სულთა მსგავსად, ჰაერში მიმოიძროდნენ. მთელ დედამიწას გადაუქროლეს სიგარძე-სიგანეზე, მაგრამ ხმელეთის ნასახიც ვერსად პოვეს. უსიხარულო იყო მათი ცხოვრება. უეცრად წყლიდან კლდე ამოიშართა. ჯერ დიდძალი ცეცხლი ამოაფრქვია, შემდეგ კი აფეთქდა და მთელი წყალი ცას შეაქცია. მაშინ მიწაც გამოჩნდა და ზედ მცენარეულობა და ხეები ამოიზარდა. მაშინ სულნი მშრალ მიწაზე გარდამოვიდნენ და ხორცი შეისხეს“.

ეს არის ერთ-ერთი ლეგენდა წარღვნის შესახებ არსებულ მრავალრიცხოვან თქმულებათაგან, რომლებიც დაკოტას ჯგუფის ინდიელებს ანუ სიუქსებს შორის არის გავრცელებული. ესენი შეერთებული შტატების ცენტრალურ ნაწილში ესახლენ ფართო ზოლად მდინარე მისურის ორივე ნაპირის გასწვრივ. უფრო ზუსტად რომ ითქვას, ამ თქმულებას ომაჰას ტომის ინდიელნი მოგვითხრობენ. წარღვნის სხვა თქმულებები დეტალებით თუ განსხვავდება აქ მოტანილისაგან, ასე რომ ეს ლეგენდა „ტიპიურად“ ანუ „კლასიკურად“ შეგვიძლია მივიჩნიოთ ჩრდილოამერიკელ ინდიელთათვის: ცეცხლისმფრქვეველი მთა, მერმე წარღვნა და, ბოლოს, პირველი ადამიანები. წარღვნა ხან კეთილი სულის — კიჩე მანიტუს მიერ ცოდვათა მოჭარბების გამო მოვლენილი სასჯელია, ხანაც ბოროტი სულის — მატჩე მანიტუს მიერ აღძრული კატასტროფა.

შეერთებული შტატების სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვ-

რებ ჩეროკის ტომის ინდიელებსაც აქვთ ლეგენდა თავიანთი კილოზნისა, ხოლო კრაიის ტომის ფლორიდაელი ინდიელები მოგვითხრობენ — ჩვენთა წინაპართ წარღვნის დროს უეცრად ამოზიდული მთის ნუნე ჩახას მწვერვალზე გადატარწინათო თავი. ამ თქმულებებში არ იხსენება ცეცხლი, რომელიც, საერთოდ, ესოდენ ხშირად გვხვდება ინდიელთა წარღვნის მი-
თებში.

ცეცხლს, როგორც კატასტროფის დროს მოვლენილ ძირითად სტიქიონურ ძალას, ხშირად ახსენებენ ალგონკინთა ჯგუფის ინდიელები, რომელნიც ჩრდილოეთ ამერიკის ლამის მთელ ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში სახლობენ, ლაბრადორიდან ვიდრე ფლორიდამდე. მათი ლეგენდები ძალზე მოგვაგონებენ ბიბლიური წარღვნის აღწერას. მათი ნოე არის მონიბოსო, რომელსაც მაღალი მთისთვის შეუფარებია თავი და ყოჩაღიც გაუგზავნია იმავე მიზნით, რა მიზნითაც ნოემ მტრედი გამოაფრინა.

პანის მოდგმის ინდიელები (დაკოტა-სიუქსების ჯგუფიდან) მოგვითხრობენ — წარღვნის დროს ჩვენი წინაპრები გამოქცე-
ბულებში შეიმაღლნენო. სულ ორნი ყოფილან — „ჩიბუხიანი კაცი და ქალი“. მათ უკვე სცოდნიათ ცეცხლის ხმარება (აბა სხვაგვარად როგორ შეძლებდა ის კაცი ჩიბუხის გაჩაღებას?) და მიწის დამუშავება, გოგრა და სიმინდი დაუთესიათ. მათნი თვისტომნი დაღუპულან — თავდაპირველად მათი ნაწილი ცეცხლს გაუწყვია, შემდეგ სხვებიც წარღვნას უმსხვერპლია ღვთაება ატიუს-ტირავას ნებით. როგორც ეტყობა, ეს ღვთაე-
ბა გამოჩენილი ასტრონომი უნდა ყოფილიყო, რაკი, როგორც თქმულებები გვაუწყებენ, იმის ძალი შესწევდა, რომ პლანე-
ტებისა და ვარსკვლავებისთვის რთული მოძრაობის შესრულე-
ბა ებრძანებინა. იგი წარღვნამდე მცხოვრებ ბერძენ გმირებს მოგვაგონებს.

ათაბასკთა მოდგმის ტლინკიტები, წყნარი ოკეანის სანაპი-
როზე, კანადისა და ალასკის საზღვართან მცხოვრებნი, დასძე-
წენ — დიდი ავბუდობის დროს ყველა ადამიანი (როგორც ყო-
ველთვის, ერთი წყვილის გამოკლებით) ქვად იქცაო.

ეს რაღაც ახალი ამბავია — კაცნი იქცნენ ქვებად და არა პირიქით, როგორც დევკალიონისა და პირას დროს მოხდა!

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ტლინკიტები იმ რაიონში ცხოვრობენ, რომელიც რამდენიმე ათეული ათასი წლის წინათ ყინულებქვეშ იყო მოქცეული. ყინულებისგან თავისუფალი იყო მხოლოდ ალასკის დასავლეთი ნაწილი ბერინგის სრუტის მიდამოებში და მდინარე იუკონის გასწვრივ. ალბათ სწორედ იქ ესახლენ ტლინკიტები. ზაფხულობით, მყინვართა დნობის პერიოდში, იუკონს წყლის უდიდესი მასა ემატებოდა, წყალი დიდ სივრცეებს დატბორავდა და მტკნარ ზღვად დადგებოდა ხოლმე, ზამთრობით კი იყინებოდა. ეტყობა, ტლინკიტებს ერთხელ ადრეულმა ზამთარმა მოუშზადებლებს მოუსწრო და, ვინც უფრო თბილ მხარეში ვერ მოასწრო გახიზვნა, ისინი დაიღუპნენ.

ამ ლეგენდას ძალიან ჰგავს მოპიკანთა მეზობლების, შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ლენაპუს მოდგმის ინდიელთა ერთი თქმულება. ინდიელთა ნოემ—ტალიმ წარღვნის შემდეგ ისინი გაყინული მიწის გადავლით გველის ქვეყანაში ჩაიყვანა. აქ მათ ადგილობრივი მკვიდრნი გაურეკიათ და თვითონ დასახლებულან.

ჩიიენტა ტომის ინდიელებს შორის (შეერთებული შტატების ჩრდილოეთი რაიონები) გავრცელებულია ძველი ლეგენდა პირველი ადამიანებისა. სამ რასად იყოფოდნენ თურმე ისინი: ერთნი ფაჩენიერნი ყოფილან, მეორეთ თეთრი კანი ჰქონიათ, დანარჩენებს — წითელი. ამათ ყველას ერთად უცხოვრიათ მარადი გაზაფხულის ქვეყანაში. შემდგომში წითელკანიანები სხვებს გამოეყვნენ და იქითკენ წამოვიდნენ, სადაც დღემდე სახლობენო.

ამერიკის ჩრდილო ნაწილის ინდიელთა მითები მექსიკურთაგან რამდენადმე განსხვავდება — აშკარად შეიმჩნევა ჰავის ზეგავლენა. მაგრამ ეს არ უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ცენტრალურ ამერიკაში იხსენიება ინდიელების წინაპართა ოკეანის გაღმა მდებარე შორი ქვეყნიდან მოსვლა, კანადაში კი მხოლოდ გამყინვარების პერიოდი შემორჩა ხსოვნას. უნდა ვიფიქროთ, რომ ზღვის გაღმიდან, შესაძლოა ატლანტიისიდან, გადმოხვეწილნი ცივ ჰავას ერიდებოდნენ და ესოდენ შორეულ მხარეებს არ მიმართავდნენ. ამიტომ ადგილობრივმა, „მკვიდრ-

მა ინდიელებმა“ ატლანტისისა არაფერი იციან. თუმცა გამო-
ნაკლისი აქაც არის.

წყნარ ოკეანეში ჩამდინარე კოლუმბიის შესართავთან, შეერ-
თებული შტატებისა და კანადის საზღვარზე პენუტის ჯგუფის
ინდიელები ცხოვრობენ. ეს ჯგუფი რამდენიმე ტომისგან შედ-
გება, და მათ ირგვლივ მოსახლე ათაბასკების, ალგონკინებისა
და შოშინებისგან განსხვავებული ენა აქვთ. ერთ-ერთ ტომს,
ჩინუკის (ამათ „თავბრტყელებსაც“ უწოდებდნენ, რადგან
ჩვეულებად ჰქონდათ თავის ქალის ფორმა ხელოვნურად შე-
ეცვალათ ხოლმე) შემორჩა ძველი მითი, რომლის მთავარი
გმირია იტალაპასი, მეტსახელად ლურჯი კაჭკაჭი.

ჩინუკის ინდიელთა მითები ლურჯი კაჭკაჭის — იტალაპა-
სის საარაკო თავგადასავალს ეძღვნება უმთავრესად, ზოგიერთ
მთვანში ვარსკვლავიან ცაზე მომხდარი რაღაც ამბავია ნახსე-
ნები. ერთ-ერთი გმირი, სახელად აკვას შენა შენასი, ვითომ
ისე მალა ასულა, რომ ცისთვის იმ ადგილას მიუღწევია, სა-
დაც სალამოს ვარსკვლავის სამყოფელია. იქ მისი ქალიშვილი—
მთვარე შეუერთავს ცოლად და, სალამოს ვარსკვლავის ოჯახის
წევრი რომ გამხდარა, მას მიმხრობია დილის ვარსკვლავისა და
მისი ასულის — მზის (ამჯერად მშვენიერი სქესის წარმომად-
გენლის) წინააღმდეგ ბრძოლაში. აკვას შენა შენასისა და მთვა-
რეს ორი შვილი შესძენიათ, სიამის ტყუპებივით შეზრდილი,
რომლებიც ლურჯ კაჭკაჭს მარჯვედ გაუცალკევებია ერთმანე-
თისგან.

ლურჯი კაჭკაჭი ხან კაცური სახით წარმოგვიდგება იტალა-
პასად, ხანაც კოიოტის — პრერიის მგლის სახით, რითაც კალი-
ფორნიელ ინდიელთა კოიოტს მოგვაგონებს. იტალაპასის თავ-
გადასავალი მოგვაგონებს აგრეთვე გვატემალელ ინდიელთა
წიგნის „პოპოლ-ვუხის“ ზოგიერთ თქმულებას. აქ ისიც უნდა
ითქვას, რომ ჩინუკის ტომის ხალხი კალიფორნიას 1500 კილო-
მეტრითაა დაშორებული, ხოლო გვატემალას — 5000-ზე მეტი
კილომეტრით. ოღონდ, მეზობელთაგან ამ ხალხის ენობრივი
თვალსაზრისით განსხვავებას თუ გავითვალისწინებთ, უნდა
ვიფიქროთ, რომ ძველად მას რაღაც კავშირი ჰქონია ცენტრა-
ლური ამერიკის ინდიელებთან.

სამხრეთ ამერიკის ინდიელთა მითები მრავალმხრივ მოგვა-

გონებს ცენტრალური ამერიკის „კლასიკურ“ მითებს. ამის მიზეზი, უეკველია, მექსიკის მაღალგანვითარებული კულტურის გავლენა უნდა იყოს. ხოლო ამერიკის კონტინენტის ამ ორი ნაწილის შემაერთებელ რგოლს წარმოადგენენ ჩიბჩას ტომის ინდიელები, რომლებიც მუისკას სახელწოდებითაც არიან ცნობილნი და დღევანდელი კოლუმბიისა და პანამის ტერიტორიაზე სახლობენ. კონკისტის ხანისთვის ჩიბჩას კულტურამ საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია, მაგრამ მათი ძველი ქალაქებისგან ახლა ნანგრევებიღაა შემორჩენილი.

ურაბას ყურეში, კოლუმბიისა და პანამის საზღვარზე, კოლუმბის დროს მდებარეობდა ქალაქი ატლანი. ეს სახელწოდება კვლავ მოგვაგონებს აცტეკების თქმულებას აცტლანის ქვეყნიდან თუ კუნძულიდან გამოსულ წინაპართა შესახებ, მოგვაგონებს აგრეთვე ტულან-ზუივასა და ტოლანის ქვეყანას. მაგრამ ყველაზე უფრო ეს ჰგავს ზემოთ ნახსენებ თქმულებას მექსიკელთა ნოეს — კოშკოშისას, რომელიც წარღვნის დროს მატერიკთან მიტოვებულა და მისთვის ანტლანი უწოდებია...

ჩიბჩას ენა აგერ ასი წელიწადი იქნება უკვე, მკვდარ ენებს ეკუთვნის. კოლუმბიელ ინდიელთა მითები ესპანურ ენაზე — კოლუმბიის „ოფიციალურ“ ენაზეღა შემორჩენილა. ეს მითები რამდენადმე აბნეულია, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ცალკეულ გმირთა და გმირ ქალთა „ნათესაობას“ ეხება საქმე.

უძველეს დროს ქალღმერთ ჩიას რაღაც მანქანებით ისე საარაკოდ აუდიდებია მდინარე, რომ მართო მისი ქვეყანა კი არა, მთელი დედამიწა წყალს დაუფარავს. მხოლოდ მცირედნი გადაჩინილან, ვინც მათათა მწვერვალებს შეხიზვნია.

ჩია მთვარის ქალღმერთი იყო. ოღონდ ეს „აღზევება“ ცოტათი გვიან მომხდარა (ჩვენ მალე შევიტყობთ — რა გზით და რანაირად). თავდაპირველად კი ქალთა ქალღმერთი ყოფილა ჩია. როგორც ეტყობა, კაცებს შაინცდამაინც არ სწყალობდა, რადგან, ვინც მის წყრომას დაიმსახურებდა, მყისვე ქალის ტანსაცმლით შემოსილი აღმოჩნდებოდა ზოლმე.

ზოგიერთი თქმულებით ჩია გაიგივებულია ხუნტაკასთან, ჩიბჩას ტომის ინდიელთა ეროვნული გმირის ბოჩიკას ცოლთან. ბოჩიკას ინდიელთათვის სახლების აგება და მიწის დამუშავება უსწავლებია, დროის ანგარიში შემოუღია და სამართლიანი,

კეთილი კანონები დაუწესებია. მის სიცოცხლეში დიდი მიწის-
ძვრა მომხდარა, მაგრამ ბოჩიკას ხალხი გადაურჩენია ამ კატას-
ტროფისგან. თქმულების თანახმად, ბოჩიკას გრძელი წვერი და
თეთრი პირისკანი ჰქონია. იგი „აღმოსავლის მხრიდან“ მოვლენ-
ია ადგილობრივ ხალხს, თან აქლემის მსგავს ცხოველზე
ამხედრებული ქალი ხლებია.

თუ კოლუმბიელ ინდიელთა მითების გმირთა გენეალოგიის
გამო სიტყვის ჩამოგდებისას კიდევ რაღაც ეჭვი აღიძვრის,
ამჯერად დაბეჭდებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ ლეგენდარუ-
ლი ბოჩიკასა და მექსიკელთა ღვთაების ეცალოკოატლის დიდ
მსგავსებაზე. ორთავეს თეთრი პირისკანი და წვერი ჰქონდა.

წარღვნა ქალღმერთმა ჩიამანუ ხუნტაკამ გამოიწვიაო, —
მოგვითხრობს სხვა ლეგენდა. ეს ამბავი ჯერ კიდევ მაშინ მომხ-
დარა, როდესაც ცაზე მთვარე არ ყოფილა. წარღვნას გადარ-
ჩენიან მხოლოდ ბოჩიკა (ალბათ-ცოლთან ერთად), აგრეთვე
ნემკეტჩა და სუა (სხვა მითები მათ ბოჩიკასთან აიგივეებენ).
გულბოროტი ქალღმერთი ქმარს სასტიკად დაუსჯია — ცაზე
შეუტყორცნია, სადაც მთვარის სახით დღემდე ბრუნავსო დე-
დამიწის ირგვლივ.

ატლანტოლოგნი ამ მითს ხალხით იშველიებენ იმის საბუ-
თად, რომ სწორედ მთვარე უნდა ყოფილიყო იმ უდიდესი კა-
ტასტროფის მიზეზი.

სამხრეთ ამერიკაში წარღვნისა თუ კატასტროფული ხანძ-
რის აუარებელი მითია შექმნილი. აქ, ისევე როგორც ჩრდილო
ამერიკაში, ის მოვლენა შეინიშნება, რომ, მექსიკის ყურედან
დაშორებისდა კვალობაზე, მითებში უფრო და უფრო ნაკლებ
მოიხსენიება ასტრონომიული მოვლენები. აქედან შეგვიძლია
დავასკვნათ, რომ კატასტროფის გამომწვევი მეტეორიტი მექ-
სიკის ყურის მიდამოებში ჩამოვარდნილა და ეს მოვლენა მხო-
ლოდ 1000 თუ 2000 კილომეტრის მანძილზე შეინიშნებოდა
(თუმცა თავისი შედეგები მან მთელ დედამიწას დააჩნია).

უნდა ითქვას სიმართლე, რომ წინააღმდეგობა აქაც არის.
ზოგიერთი მითი მეტეორიტს მიგვანიშნებს, ზოგჯერ — მთვარეს.
აქედან იღებს სათავეს, მეტი რომ არ ვთქვათ, ორი „თეორია“
ატლანტისის კატასტროფისა. გარნა სამხრეთ ამერიკელ ინდი-
ელთა მითებს მივუბრუნდეთ.

ვენესუელასა და გვიანაში მოსახლე არავაკებს ჰყავთ თავიანთი „წარღვნამდელი“ გმირი, სახელად მაკონენი, მათი მოდგმის მამამთავარი, რომელსაც, ერთი ვერსიის თანახმად, ქვეყნიერების განადგურება მოუწადინებია. ჯერ ხანძარი აღუძრავს, მერე წარღვნა. მხოლოდ ისინი გადაარჩენილან, ვინც თავდაპირველად გამოქვაბულებში იხსნა თავი ცეცხლისგან, შემდეგ კი ნავში — წარღვნისგან. ამათ ქვები დაუთესათ და იმ ქვებიდან ხალხი წარმოქმნილა.

ამგვარსავე ამბავს მოგვითხრობენ მცირე ანტილის კუნძულთა მცხოვრები კარიბები: „პირველი მამაკაცი და პირველი ქალნი იმ ქვებიდან აღმოცენდნენ, ქალმერთმა მამა ნონომ რომ დათესა...“

წარღვნისგან თავის დახსნის ადგილად გამოქვაბულები და ხეთა წვეროკინები ტუპისა და გესის ტომის ინდიელთა მრავალ თქმულებაში გვხვდება. ესენი ბრაზილიაში მოსახლეობენ, ამ ქვეყნის სამხრეთ საზღვრებამდე.

ტუპის ტომის ინდიელნი, ბერძენთა მგავსად, მრავალ ღვთაებას ზოგიერთ ვარსკვლავს თუ თანავარსკვლავედს უიგივებდნენ ხოლმე. ტუპი-გუარანის მოდგმის ინდიელებს ერთი საკვირველი თქმულებაც აქვთ: მთვარის მიერ აღძრული უბედურება ღროის გარკვეული. მონაკვეთის შემდეგ ხელახლა მეორდება ხოლმეო. ეს ამბავი საიხელი ქურუმის მიერ სოლონისთვის ნათქვამს მოგვაგონებს: „ცათა შინა და დედამიწის ირგვლივ მბრუნავნი მნათობნი გზას ასცდებიან ხოლმე და, გრძელი ეამი რომ გამოზდება, ძლიერი ცეცხლი ქვეყნად ყოველსავე გადაბუგავს“.

მექსიკა და პერუ „კოლუმბამდელი“ ახალი ქვეყნიერების ბრწყინვალე კულტურის ორი ცენტრია. მიცვალებულთა დაბალწამებისა და პირამიდების აგების მათი ჩვეულება, რაც ეგვიპტის კულტურისთვისაა ნიშანდობლივი, იმის უცილობელ საბუთად არის მიჩნეული, რომ მართლაც უნდა არსებულებო ატლანტისი, ატლანტის ოკეანის კუნძული, საიდანაც ხსენებული ჩვეულება „დიდი წყლის“ ორსავე მხარეს გავრცელებულა. გარნა მატერიალური კულტურის ძეგლები და წეს-ჩვეულებათა მსგავსება ამ თეზისს თუ ადასტურებენ, ინკების მითები ზედმეტად ხლართავენ საქმეს. ამგვარი მითი აურაცხელია, მათ

შესახებ უამრავი ნაშრომი არის დაწერილი, მათი ნაწყვეტები ციტატებად არის მოხმობილი განსხვავებული, ხშირად სულაც წინაუქმო ვარიანტების სახით, რომლებშიც ცხადად გამოსკვივის გვიანდელი ვერსიები და „კოლუმბის შემდგომი ხანის“ დამატებები.

ერთადერთია, რაც თითქმის არავითარ ეჭვს არ იწვევს: ინკების ტომი პერუში მხოლოდ XV საუკუნეში ყოფილა გაბატონებული. ის საკითხი, თუ სად უნდა ეცხოვრათ მათ წინათ, სადაოდ არის ქცეული. დანამდვილებით პერუს წინანდელი მოსახლეობისაც არაფერი ვიცით. ყოველ შემთხვევაში, ინკების მითოსს აჩნია კვალი უფრო ძველი პერუული ლეგენდების, კერძოდ, ტიაჰუანაკოს ძველი კულტურისა, რომელიც, ეტყობა, შეისისხლბორცეს ინკებმა. ინკების მითები, ბერძენთა და რომაელთა მითების მსგავსად, მათს რელიგიას დასდებია საფუძვლად. მათში მოქმედი ღვთაებანი გამეფებულ ოჯახთა წინაპრებად იყვნენ მიჩნეულნი.

ინკების ოფიციალური წინაპარნი იყვნენ ინთი (მზე) და მისი ცოლი — მამა კილა (მთვარე). თუმცაღა უშთავრეს ღვთაებად სამყაროს შემოქმედი ვირა კოჩა ითვლებოდა. გარდა ამისა, ნაკლებ პატივდებული ღვთაებანი იყვნენ მამა პაჩა (დედამიწა) და მამა კოჩა (ზღვა). მზისა და მთვარის შვილი — ცოლ-ქმარი მანკო კაპაკ და მამა ოკლო იყვნენ წინაპარნი ძმის — ინკასი (მეუფე) და დის — კოიასი (დედოფალი).

ვირა კოჩამ ქვისგან კაცნი გამოკვეთა, მათ სიცოცხლე მიუბოძა და ტიტიაკას ტბის სანახებში დაასახლა, რის შემდეგაც მზე და მთვარე შექმნა. ესენი ტბის წიაღიდან ამოვიდნენ და მას შემდეგ ცაზე იძვრიანო. შემოქმედსა და მის ხალხს შორის რაღაც დიდი უთანხმოება ჩამოვარდნილა, რის გამოც ვირა კოჩას ქვეყნად წარღვნა მოუვლენია, ხოლო კაცნი ისევ უძრავ ქვებად უქცევია. მას აქეთ საკუთარი თვალათ შეიძლება მათი ხილვა ტიაჰუანაკოში.

ოლონდ წარღვნისას ყველანი როდი დაღუპულან. ამბობენ, ერთმა წყვილმა აქაც მოახერხა გადარჩენა — ხის ყუთს შეაჯარაო თავი. სწორედ ისინი არიან მიჩნეულნი ტიაჰუანაკოელი ხალხის მამამთავრებად. ერთი ვერსიის თანახმად, წარღვნის შემდეგ ვირა კოჩას კაცთა სხვა მოდგმა შეუქმნია თიხისაგან.

ისეთი ვერსიაც არსებობს, რომლის მიხედვითაც წარღვნას ოთხი ძმა გადარჩენია (ალბათ ცოლებთან ერთად) პაკარი ტამპოს გამოქვაბულებში. ესენი უნდა ყოფილიყვნენ: პაჩა კამაკი, მეორის სახელი უცნობია, მესამე — ვირა კოჩა და უკანასკნელი — მანკო კაპაკი. ოთხივენი ჩვენს მიერ უკვე მოხსენებულ ქალღმერთ მამა პაჩას ძენი ყოფილან. ოღონდ, იმ თქმულების მიხედვით, მამა პაჩა იყო ვირა კოჩას მიერ შექმნილი მზისა და მთვარის ასული, აქ კი თავადვე არის ვირა კოჩას დედა. მრავალი მითის თანახმად, ვირა კოჩას თეთრი პირისკანი და გრძელი შავი წვერი ჰქონია.

ეს მითები გარკვეული მიზნით იქმნებოდა — პერუში გაშეფებული ინკების დინასტია ღვთაებათა შთამომავლად უნდა წარმოესახა. ამიტომ მათი უტყუარობა ერთობ საეჭვოა საიმი-სოდ, რომ ატლანტისთან დაკავშირებით მათს განხილვას მიე-ყოთ ხელი. ჩვენთვის უფრო საგულისხმოა ისეთი დეტალები, რომლებიც ამერიკის ყველა მოტანილი მითისთვის არის საერთო და ატლანტისის მომავლობელი კატასტროფის გამოძახი-ლებს უკავშირდება.

თუ ერთი მითის მიხედვით ვირა კოჩას ციხეცხლი ჩამოუტანია, მეორე მითის თანახმად, მიწა ყინულითა და თოვ-ლით დაუფარავს, ხოლო სხვა მითების მტკიცებით — წარღვნა აღუძრავს და კაცნი ქვებად უქცევია. ხალხს პაკარი ტამპოს გამოქვაბულებისთვის თუ ხის ყუთისთვის შეუფარებია თავი. კიდევ ერთი ვერსიის თანახმად, წარღვნის შემდეგ პირველი აღამიანები ზღვის გაღმადან მოსულან, კარიბის ზღვის სანაპი-როზე გადმომსხდარან დღევანდელ ვენესუელაში, იქიდან კი შემდეგ მთელ სამხრეთ ამერიკაში მიმოფანტულან.

ყურადღებას ის ფაქტიც იმსახურებს, რომ ყველა ამ თქმუ-ლებაში ცის სხეულები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

ზოგიერთი დეტალი ტიამპუანაკოს ნანგრევთა მეოხებითაც შეგვიძლია გამოვიძიოთ. უკანასკნელ თავში ჩვენ შივეცდებით ამოვხსნათ საიდუმლო ამ ქალაქისა, რომელიც პერუში ინკების გამეფების დროისთვის უკვე დაქცეული იყო. პირველ ესპა-ნელთა გამოჩენისას ამ ქალაქის დიდებულ ნაგებობათა შემქმნე-ლი ხუროთმოძღვრები აღარავის ახსოვდა. საფუძველი გვაქვს ვიფარაუდოთ, რომ ეს შენობები, კერძოდ, განთქმული „მზის

კარიბზე“, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მრავალი ათასი წლის წინათ, შესაძლოა წარღვნამდეც კი იყოს შექმნილი.

„წარღვნას გადარჩენილ“ ხალხებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ იაგანთა ტომის ინდიელები, რომლებიც ახლა რამდენსამე ათას სულს შეადგენენ. ისინი უღარესად პრიმიტიულ პირობებში ცხოვრობენ ამერიკის ყველაზე სამხრეთ რაიონში — ცეცხლოვანი მიწის არქიპელაგზე. კარგა ხანია, რაც იაგანები ქრისტიან მისიონერთა გავლენის ქვეშ იმყოფებიან, რის გამოც შესაძლოა მათს თქმულებებში ბიბლიის რაღაც ელემენტები იყოს შეყული. თუმცა ამ მოსაზრების წინააღმდეგია ლუკას ბრიჯი, ავტორი წიგნისა „The Uttermost Parts of the Earth“. აი, როგორ გადმოგვცემს იგი იაგანთა წარღვნის თქმულებების ერთ ამბავს.

„...მრავალი საუკუნის წინათ მთვარე ზღვაში ჩავარდნილა. ზღვის ტალღები ისე აზიდულა, როგორც კასრში ამოვარდება წყალი შიგ დიდი ქვის ჩაგდებისას. ამას წარღვნა მოჰყოლია და მას ზღვის ფსკერს მოწყვეტილი და ტალღებზე მცურავი ამ კუნძულის ბედნიერი მცხოვრებნი გადარჩენიან მხოლოდ. მატერიკზე კი მთებიც წყალს დაუფარავს... მთვარე რომ ზღვის უფსკრულიდან ხელახლა ამოსულა და წყალს კლება დაუწყია, ეს კუნძული თავის ძველ ადგილს დაბრუნებია. მერე აქედან მიმოფანტულა ხალხი მთელ ქვეყნიერებაზე“.

იაგანები არქიპელაგის მთავარი კუნძულის სამხრეთით ცხოვრობენ, პატარ-პატარა კუნძულებზე. საკუთრივ მთავარი კუნძული ალაკალუფებისა და ონას ტომებით არის დასახლებული. უკანასკნელნი სისხლისმიერი ნათესავნი არიან ტეხუელჩების — მაგელანის. სრუტის გამოღმა მატერიკზე მობინადრე ინდიელებისა.

იაგანთა ენაც განსხვავდება მათი მეზობლების ენისგან. იაგანები ამტკიცებენ — წარღვნას მხოლოდ ჩვენ გადავურჩითო, ოღონდ ვერ აუხსნიათ ეს ამბავი და ვერც ის გაუარკვევიათ — ალაკალუფებისა და ონას მოდგმა საიდანღა გაჩნდა.

ზღვის უფსკრულში მთვარის ჩავარდნა სიტყვასიტყვით არ უნდა გავიგოთ. ამ კუნძულის მკვიდრთ ეგონათ — მთვარეც და მზეც ცისმარე დღეს ოკეანის დასავლეთ მხარეში დაინთქმიან და მერე აღმოსავლეთიდან ამოდიანო. კატასტროფის დღეს

ზღვის უჩვეულოდ მაღალი მოქცევა იმ დროს დაიწყო ალბათ, როცა მთვარე პორიზონტს იყო მოფარებული. ეს ამბავი დღისით უნდა მომხდარიყო, რადგან ხალხს დაუნახავს, როგორ ინთქებოდა წყალში ახლომდებარე კუნძულები. ხოლო 12 საათის შემდეგ, როცა მთვარე ხელახლა გამოჩნდა პორიზონტზე, წყლის დონე კლებას დაიწყოება.

ასე რომ დადგა ის „ერთი დღე და ავბედითი ღამე“ — როგორც კრიტიკოსის ნაამბობშია პლატონის დიალოგის მიხედვით.

ზღვის მოქცევა რეგულარულად მეორდება ყოველ 12 საათში ერთხელ (უფრო სწორად—24 საათისა და 50 წუთის განმავლობაში ორჯერ). უმაღლეს დონეს მოქცევა სავსე მთვარისა და ახალი მთვარის დროს აღწევს. მოქცეული ტალღის სიმაღლე სხვადასხვა არის ხოლმე, ოღონდ ამ მხრივ მაგელანის სრუტე ვამორჩეულია: მოქცევის დროს წყლის დონე აქ 13,5 მეტრს აღწევს. რაღა თქმა უნდა, ეს არ კმარა საიმისოდ, რათა ცეცხლოვანი მიწა — მთაგორიანი, მაღალი ქვეყანა დაფაროს. უმაღლესი მთის მწვერვალი იქ 2100 მეტრს აღწევს. როგორც ეტყობა, რაღაც „ზეტალდა“ მომსკდარა მაშინ, ან, შესაძლოა, რაღაც სხვა დამატებითს შიზეზსაც აეზვირთებინოს ის ტალღა.

ზონდის სრუტეში კრაკატაუს ვულკანის ამოფრქვევისას (1883 წ.) იმოდენა ტალღა აზვირთდა, კუნძულ იავაზე მდებარე ქალაქი ანიერი გაატიალა. მისი სიმაღლე იქ 35 მეტრს აღწევდა. ამ საზარელი ტალღის ექო ათასეულ კილომეტრებს იქით, ამერიკის ნაპირებთანაც კი შენიშნეს. გარდა ამისა, ტალღა დასავლეთითაც დაიძრა, ინდოეთის ოკეანე გადალახა, მერე აფრიკას სამხრეთით ჩაუარა და ატლანტის ოკეანის წიაღ-აღმოსავლეთიდანაც მისწვდა ამერიკის სანაპიროს, ამასთან, იქაც კი მისი სიმაღლე 0,5 მეტრს აღწევდა ჯერაც.

ამგვარი ტალღა ზღვაში დიდი მეტეორიტის ჩავარდნას უნდა აღეძრა. მაშინ წყალი მართლაც ისე აიზიდებოდა, „როგორც კასრში დიდი ქვის ჩაგდებისას“.

ამით დაეასრულოთ მიმოხილვა ახალი ქვეყნიერების მითებისა. მომდევნო თავებში მათ კვლავაც მივუბრუნდებით.

ოკეანეთისა და აზიის
ხალხთა შერთაბი

წყნარი ოკეანის კუნძულებს რაღა ვუყოთ — ძველ ქვეყნიე-
რებას მივაკუთვნოთ თუ ახალს?

ეს კითხვა არც იმდენად მიაშიტურია, როგორცაღაღ შესაძ-
ლოა ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს. ძველი და ახალი ქვეყნიე-
რების შითების არ იყოს, ამ კუნძულების მკვიდრთა თქმულე-
ბებშიც მოიხსენიება საყოველთაო წარღვნა. მეორე მხრივ, თა-
ნადროულ მეცნიერულ წარმოდგენათა თანახმად, ამ კუნძულე-
ბის აწინდელი მცხოვრებნი აქ შეღარებით გვიან უნღა იყვნენ
მოსულნი — ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგ ხანაში — სამხრეთ
აღმოსავლეთ აზიიდან. უკანასკნელ წლებში ნორვეგიელმა ტურ
ჰეიერღალმა, მთელ მსოფლიოში ცნობილი „კონ-ტიკით მოგზა-
ურობისა“ და „აკუ-აკუს“ ავტორმა, წამოაყენა თეორია, რომ-
ლის თანახმადაც წყნარი ოკეანის კუნძულებზე ამ რამდენიმე
საუკუნის წინ დასახლებულა პერუდან ლტოლვილი ხალხი, რომ-
ელსაც სამხრეთ ამერიკის ინდიელთა კულტურა და წეს-ჩვე-
ულებები გაუვრცელებია აქ. ორივე თეორიიდან ის გამომდინა-
რეობს, რომ ოკეანეთის ხალხთა თქმულეებები წარღვნის შესა-
ხებ თანაბრად შეიძლება შეიცავდეს როგორც ძველი, ისე ახა-
ლი ქვეყნიერებისთვის დამახასიათებელ ელემენტებს.

ზოგიერთ თქმულებაში მოიხსენიება „შორიდან მოსული კა-

ცი“, რომელიც ეგვიპტური, მექსიკური და პერუელი მითების მსგავს პერსონაჟებს მოგვაგონებს, ოღონდ ისიც შესაძლოა, რომ ეს იყოს მოგონება პერუდან ლტოლვილი ხალხის გამოჩენისა. ძნელია ამ თქმულებებში მოთხრობილ ამბავთა რაიმე თარიღის დადგენა, იმის თქმაც კი ძნელია — რამდენიმე ათასი წლის წინათ მომხდარა ის ამბები, თუ რამდენიმე ასეული წლის წინათ. შესაძლოა ამ ლეგენდებით ქვეყნიერების ამ მხარის უძველეს ბინადართა რაღაც მოგონებები იყოს შემონახული... ასე რომ ყოფილიყო, მათში გადმოცემული ცნობები ყველაზე ძველი იქნებოდა. მათს მიმოხილვამდე იმ ამბავს უნდა გაესვას ხაზი, რომ ჩვენ დარწმუნებულნი არა ვართ — მართლა ატლანტისის კატასტროფას უკავშირდებიან თუ არა ისინი. ხომ არსებობს შეხედულება — ოდესღაც წყნარ ოკეანეშიც იყო ატლანტისისნაირად დაღუპული მატერიკი.

ასე, მაგალითად, წყნარი ოკეანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე აღდგომის კუნძულის. მცხოვრებნი თავიანთ ქვეყანას რაპა-ნუის უწოდებენ, რაც „დიდ სივრცეს“ ნიშნავს. ეს ამბავი, ცოტა არ იყოს, კომიკურად ჟღერს — მთელი კუნძულის ტერიტორია დიდი ვარშავის მესამედიც არ იქნება. როგორც ჩანს, ეს სახელწოდება არც ისე დიდი ხნის წინათ დამკვიდრებულა, ძველად კი ამ კუნძულს ერქვა ტე პიტო ო ტე ხენუა, ესე იგი „დედამიწის უბე“. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს მხოლოდ მეგალომანია იყოს. კუუასთან უფრო ახლოს იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ ეს კუნძული ოდესღაც ყოფილა უმაღლესი ადგილი დიდი მატერიკისა, რომელიც კაცობრიობის ხსოვნის ხანაში ზღვას დაუფარავს, და ეს ამბავი მისი სახელწოდებითაც არის ასახული.

ამ ჰიპოთეზას ისტორიული ეპოქის ერთი მონათხრობიც ადასტურებს უეჭველად. ეს კუნძული ჰოლანდიელმა როგვენმა აღმოაჩინა 1722 წელს, აღდგომა დღეს (აქედან წარმოდგა მისი სახელწოდება), ოღონდ ჯერ კიდევ 1687 წელს სხვა მოგზაურს, ინგლისელ ედვარდ დევისს ამ მიდამოში გაცურვისას გემის ეურნალში ჩაუწერია, რომ ამ კუნძულის გარდა იქ რამდენიმე სხვა პატარ-პატარა კუნძულიც იყო. ხოლო დღესდღეობით რაპა-ნუის ახლომახლო ერთი კუნძულიც არსად იპოვება. ასე რომ, თუკი დევისის დაკვირვებები მცდარი არ ყოფილა, გამო-

დეს, რომ ქვეყნიერების ამ ნაწილში კუნძულები ლამის ჩვენს თვალწინ ინთქება ზღვაში.

აღდგომის კუნძულის ყველაზე საინტერესო ღირსშესანიშნაობად ერთიანი ლოდებისგან გამოკვეთილი ვეებერთელა ქანდაკებები უნდა მივიჩნიოთ. ჰეიერდალმა თითქოს ამოხსნა მათი წარმოშობის საიდუმლო. კუნძულის მცხოვრებლებს არც-ისე დიდი ხნის წინათ უნდა გაეკეთებინათ ეს ქანდაკებები. ალბათ იმავე ხანაში უნდა წარმოქმნილიყო დამწერლობა „რონგო-რონგოს“ მეშვეობით შესრულებული და დღემდე გაუშიფრავი „ხის წიგნები“.

რაპა-ნუის მკვიდარი ამჟამად ქრისტიანები არიან, ოლონდ, ჰაბედნიეროდ, მოხერხდა ჩაწერა მათი ძველისძველი თქმულებების და ლეგენდებისა, რომლებშიც წარღვნის ამბებია მოხსენიებული. პირვანდელი სარწმუნოება ოკეანეთის სხვა კუნძულების რელიგიებისგან დიდად არ განსხვავდებოდა. უმთავრესი ღვთაება აქ იყო მეკე-მეკე, რომელიც სხვა პოლინეზიელთა ღმერთს ტანგაროას მოგვაგონებს.

ტანგაროა და მისი ძმა რონგო კუკის არქიპელაგის ერთ-ერთი კუნძულის მბრძანებლის შვილნი ყოფილან. უფროსი ვაჟი-შვილი ტანგაროა, დედამისისა და ძმის მიერ ტახტმიტაცებული, გადახვეწილა და იმავე არქიპელაგის კუნძულ რაროტონგაზე დამკვიდრებულა. მას მიწის დამუშავება სცოდნია და თავისი ცოდნა სხვებისთვისაც გაუზიარებია.

რამდენიმე ხნის მერე წარღვნა მომხდარა. ხმელეთის მეტი ნაწილი წყალს დაუფარავს. მაშინ ვინმე რანგის თავი ღვთაებად და მეფედ გამოუცხადებია — მე რონგოს შვილიშვილი ვარო. რანგის ორი ძმა ჰყოლია და მათთან ერთად განმგებლობდა თურმე. ამის შემდეგ მომხდარ ამბებს სხვადასხვა კუნძულზე სხვადასხვაგვარად მოგვითხრობენ. ამბობენ, ტანგაროა ურჩობას ვერ ითმენდა, ამიტომ გადაწყვიტა დასასჯელად ხალხისთვის მუსრი გაეწლო და იმდენი წყალი დაატეხა მათ თავს, მთელი ხმელეთი წყლით დაიფარაო. წყალში დაუნთქმელი რამდენიმე მწვერვალიდა დარჩენილა — აწინდელი კუნძულები. წყალს რომ ცოტათი დაუკლია, როგორც ამხანაგობის კუნძულთა მცხოვრებნი გადმოგვცემენ, აქ ვილაც უცნობი კაცი მოცურე-

ბულა ნავით, ნაპირზე გადმოსულა და თავისი ღვთაების სადი-
ღებლად საკურთხეველი აღუმართავს.

გადმოცემის თანახმად, ტაიტის მკვიდრნი იმ წყვილისგან
წარმოდგებიან, პიტოხიტოს მთის მწვერვალზე რომ გადარჩე-
ნია წარღვნას. წყალი რომ უკუქცეულა, აქ დაუწყიათ მათ ახა-
ლი ცხოვრება თავიანთი ორი შვილით — ქალ-ვაჟითურთ, რომ-
ლებიც ყველა ტაიტელის წინაპრებად არიან მიჩნეულნი.

გილბერტის კუნძულებზე, რომლებიც მიკრონეზიის კუნ-
ძულთა ჯგუფს განეკუთვნება, კატასტროფა რაღაც უჩვეულოდ
მომხდარა: წარღვნის დაწყებამდე მოულოდნელად წყვდიადი
ჩამოწოლილა. ამ ამბის უკვდავსაყოფად წარღვნის საგანგებო
ღვთაებაც კი გაჩენილა.

პალაუს კუნძულზე (მიკრონეზიის დასავლეთი ნაწილი, ფი-
ლიპინების სიახლოვეს) მოგვითხრობენ — ერთხელ (ძალიან
დიდი ხნის წინათ) კუნძულის მკვიდრთ ვიღაც უცხონი მოველი-
ნენო. კუნძულელნი მათ მაინცდამაინც გულგაშლილად არ შე-
გებებიან. გამონაკლისი იყო ერთადერთი ქალი, რომელსაც
მადლიერმა სტუმრებმა საიდუმლოდ გაანდეს — ჩვენ ღვთაება-
ნი ვართ და მთვარის გავსების ჟამს დანაშაულისთვის ხალხი
წარღვნით უნდა დავსაჯოთო.

დანარჩენი ადვილი წარმოსადგენია: წარღვნის შემდეგ იმ
ქალის მეტი აღარავინ გადარჩენილა. ცოცხალი. მართალია, ლე-
გენდა იმის თაობაზე აღარაფერს გვეუბნება, თუ ხელახლა რო-
გორღა გაჩნდა ხალხი ამ კუნძულზე, მაგრამ ესეც არ არის ძნე-
ლი მისახვედრი.

2500 კილომეტრზე დასავლეთით, კაროლინის კუნძულთა
შორის, მდებარეობს კუნძული პონაპე, რომელიც აღსვლის
კუნძულის სახელწოდებითაც არის ცნობილი. ძველთა ნაგე-
ბობათა ნაშთები მოწმობს, რომ ოდესღაც აქ მრავალთმრავალ
ხალხს უცხოვრია, დღესდღეობით კი მოსახლეთა რიცხვი 3000
კაცსღა შეადგენს. ამ კუნძულზე არსად იპოვება ისეთი მასალა,
როგორითაც ხსენებულ დიდ-დიდ ნაგებობათა აშენება შეიძლე-
ბოდეს, ამიტომ შთაბეჭდილება გვექმნება, რომ პონაპე უფრო
დიდი მატერიკის ნაშთი უნდა იყოს. ძველი თქმულება გვაუწყ-
ებს — იმ ხანად, როცა მზე ფლობდა ამ ქვეყანას, ზღვის გალ-
მიდან მოსულლებმა სასტიკი ბრძოლით დაიპყრესო იგი.

მსგავსი მითები ოკეანეთის სხვა კუნძულებზე, კერძოდ, ჰავაის კუნძულზეც არის შემორჩენილი. მათში გარკვევით მოიხსენიება ვრცელი ქვეყანა კა-ხუ-ო-კანე (ღვთაება კანეს სამეფო), რომელიც შორს იყო განფენილი წყნარი ოკეანის შუაგულში და წარღვნის შედეგად დაიღუპაო.

უძველეს პოლინეზიურ ღვთაებებს განეკუთვნება მზის ღმერთი მაუი. მას ჰყოლია დაი — სინა, მთვარის ქალღმერთი. საინტერესო დამთხვევაა: ბაბილონელთა მთვარის ღვთაებასაც სინ ერქვა.

მაუი და სინა რამდენსამე მითში მოიხსენიებიან. ამ მითებში ლაპარაკია სასჯელად მოვლენილი წარღვნის, ცეცხლის, სხვადასხვაგვარი უბედურების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ გადაურჩა წარღვნას ხომალდზე მყოფი ერთი ოჯახი. წარღვნის შემდეგ ცისარტყელა გამოჩენილა, ისევე როგორც ნოესა და გილგამეშის წარღვნის შემდეგ.

პოლინეზიური მითების მაუი ბერძენთა პრომეთეს მოგვაგონებს. კუნძულ რაიატეაზე (ამხანაგობის არქიპელაგი) მაუი არის მზის ღვთაების — რას (საოცრად ემთხვევა ეგვიპტელთა მზის ღვთაების — რას სახელს) და პირმშვენიერი კუნძულელი ასულის უახის თუ უის ძე. აქ კვლავ ჩნდება ტანგაროა თავის ძმასთან — რონგოსთან და სხვა დაძმებთან ერთად. ესენი ყველანი ღვთაება რას (ზეცა) და ქალღმერთ პაპას (მიწა) შვილნი არიან. ნახევრად ღმერთთა და ნახევრად კაცთა (ზეცისა და მიწის შვილთა) ეს უმცროსი თაობა ბერძნული მითოსის ტიტანებს მოგვაგონებს.

სხვა ვერსიის თანახმად, მაუისა და სინას მამა ატალანა ყოფილა.

ავსტრალიელთა მითები უალრესად პრიმიტიულია, რამდენიმე გმირის მეტი მათ არც ჰყავთ. ამ მითებში ისეთები არ აღმოჩენილა, მარტოოდენ წარღვნასთან რომ იყოს დაკავშირებული.

ახლა კი აფრიკას მივმართოთ. არსებობს დასაბუთებული შეხედულება — „საყოველთაო წარღვნა“ აფრიკაში საერთოდ არ ყოფილაო. ბუნებრივია, ისეთი ადგილობრივი წარღვნა არ იგულისხმება, როგორცაა მდინარეთა ადიღება, რაც აქ ზოგი-

ერთ რაიონში ყოველწლიურად ხდება ხოლმე. ნილოსის ასეთ-სავე აღიღებას ეგვიპტისთვის უბედურებად კი არა, სიკეთედ მიიჩნევენ. წარღვნასთან დაკავშირებული მითოსით აფრიკა არც ისე მდიდარიაო, როცა ვამბობთ, ეს ეგვიპტეს როდი შეეხება. მართალია, ეგვიპტე აფრიკის კონტინენტზე მდებარეობს, მაგრამ კულტურის თვალსაზრისით იგი, უწინარეს ყოვლისა, „ანტიკური სამყაროს“ ქვეყნებს უნდა მიეკუთვნოს; ბაბილონთან ან თვით საბერძნეთთანაც კი უფრო ახლოსაა ეგვიპტე, ვიდრე ზანგებით დასახლებულ „შავ მატერიკთან“. გარდა ამისა, ეგვიპტურ თქმულებებში გამოკვეთილად არსად იხსენიება ეგვიპტის ტერიტორიაზე წარღვნის აღძვრის ამბავი. უფრო პირიქითაა საქმე. საიხელმა ქურუმმა სოლონს უთხრა: „გარნა ამ ქვეყანაში არც მაშინ და არც რომელსამე სხვა დროს წყალი ველებს ზემოდან არ გადმოედინება, პირიქით, ჩვეულებრივ ქვემოდან ეძალება ხოლმე“. ეგვიპტური თქმულებები სხვა მხარეებში მომხდარ ამბებს უფრო ასახავს. ამგვარივე აზრი გვებადება ქვემოთ მოტანილ, მართალია, ცოტათი გაურკვეველ მონათხრობთა კითხვის დროსაც.

დავიწყოთ სამხრეთ აფრიკით. ატლანტის ოკეანის ნაპირას ცხოვრობს რამდენიმე ათასი ბუშმენი, როგორც მათ ევროპელებმა შეარქვეს. თავად ისინი თავისთავს საანს უწოდებენ, რაც მათს ენაზე ნიშნავს — „ადგილობრივნი“. თვითონ ბუშმენები კი არა მხოლოდ, მეცნიერი ეთნოგრაფებიც აფრიკის მკვიდრ მოსახლეებად მიიჩნევენ მათ. ბუშმენები პოტენტოტებს ენათესავენ, ოღონდ ფიზიკური იერიითა და ენით თვალსაჩინოდაც განსხვავდებიან კიდევ ამ თავიანთ ზანგ მეზობელთაგან. ზოგიერთი ანთროპოლოგის აზრით, ბუშმენები ჯერაც ქვის ხანაში არიან, ან განვითარების კიდევ უფრო ადრეულ სტადიაზეც კი იმყოფებიან.

რალა თქმა უნდა, ბუშმენებს წერილობით გადმოცემულ ისტორია არ მოეპოვებათ. მათი ლეგენდების ნაწყვეტები არის მხოლოდ ცნობილი. ამ ლეგენდებში წარღვნის გამო არაფერია თქმული, მაგრამ მათს საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ყოველივე კეთილისა თუ ბოროტისათვის ბუშმენები მთვარეს აკისრებენ პასუხისმგებლობას. საგულისხმოა, რომ მზე არავითარ როლს არ ასრულებს მათს თქმულებებში.

ერთ ბუშმენურ ლეგენდაში მთვარის სიკვდილისა და მერე მისი ხელახლა მოვლინების ამბავია მოთხრობილი.

ეს თქმულებები შესაძლოა ერთობ გულუბრყვილოდ მოგვეჩვენოს საიმისოდ, რათა მათს საფუძველზე რაიმე დასკვნა გაგვეკეთებინა. გარნა წინარეისტორიული კლდის ნახატები, გამოქვაბულებში რომ გვხვდება, უფლებას გვაძლევენ ვივარაუდოთ, რომ ოდესღაც ამ ქვეყნის განვითარების დონე შედარებით მაღალი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა ბუშმენთა აწინდელი თქმულებები შორეული ექო იყოს უფრო ძველი თქმულებებისა, რაც მათ მემკვიდრეობად გადმოეცათ იმ წინაპართაგან, რომელნიც უდიდესი კატასტროფის დროს სახლობდნენ ამ მხარეში, ან კიდევ ატლანტისის ოდინდელ ბინადართა შთამომავალნი იყვნენ.

ჰიპერბორეელთა მითები

„ჰიპერბორეელთა გამო არც სკვითნი გვაუწყებენ რასმე, არც სხვანი იქაურ მკვიდრთაგან, გარდა ისეღონთა. თუმცა, ვფიქრობ, არც ისინი იტყვიან ჰიპერბორეელთა ამბავს, ასე რომ არა, ამ ამბავს სკვითებიც იტყოდნენ, როგორც ცალთვალეებისას მოჰყვებიან ხოლმე...“

ასე წერდა 2400 წლის წინათ ჰეროდოტე. იმ ხალხთა შესახებ, ვინც კარპატების ჩრდილოეთით სახლობდა ევროპაში. როგორც ჩანს, შეგვიძლია დღესდღეობით იგივე ვთქვათ ჩვენთა წინაპართა უძველესი მითების გამო. მართალია, ჩვენ ქრისტიანობის მიღების შემდეგ ჩაწერილ ლეგენდებსღა ვიცნობთ, უმთავრესად გარდასულ სარწმუნოებათა ამსახველთ. გარნა ხანდახან მათშიც გვხვდება ისეთი ამბების აღწერა, საყოველთაო წარღვნას რომ მოგვაგონებს. ეს ამბები ატლანტისის მსხვერპლად შემწირველი უდიდესი კატასტროფის შესახებ არსებულ გადმოცემებს ეხმაურება. ამგვარი ამბები უპირატესად იპოვება ძველ გერმანულ, ფინურ-ესტონურსა და კელტურ საგებში.

ძველი გერმანული მითების წყაროდ მიჩნეულია „ედა“, რომელიც ზებირ გადმოცემათა საფუძველზე XI საუკუნეში უნდა შექმნილიყო გერმანებით დასახლებულ ისლანდიაში. უძველესი გადმოცემები პოეტური ფორმით მოგვითხრობენ გერმანელ ღვთაებათა და გმირთა ამბავს. ეს თქმულებები გაცილებით

უფრო ფასეულია, ვიდრე პროზად დაწერილი მოგვიანო მითები, რომლებსაც ქრისტიანობის აშკარა კვალი ემჩნევათ.

საყოველთაო წარღვნის ამბავს შეესატყვისება „რაგნაროკი“, „ღვთაებათა დაღუპვის“ სახელწოდებით რომ არის უფრო მეტად ცნობილი. ფორმის მიხედვით ეს ქადაგებას ჩამოჰგავს, მაგრამ მასში წარმოსახულია სურათი ძველი კატასტროფისა, რომლის მსხვერპლად ოდინის (ან ვოტანის) თვისნი ქცეულან. ოდინი მიწისა და ზეცის მეუფე ყოფილა, ვალგალაში უცხოვრია. მას შეუქმნია დამწერლობა, ყველა მეცნიერება და კანონი და ძლიერი სახელმწიფო დაუარსებია. ღვთაებათა შორის ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ „ქვეყნიერების აღსასრული“ დგება. ნახსენებია უსასტიკესი ზამთარი, რომელმაც სამ წელიწადს გასტანა გამოუზაფხულებლად, მიწისძვრები და მათთან დაკავშირებული ციოთ ვარსკვლავთა ცვენა, მზისა და მთვარის შთანთქმა გიგანტური მგლის მიერ. ეს უკანასკნელი მოვლენა ვულკანური მტვრით ატმოსფეროს გაჭერებით შეიძლება აიხსნას. ხეები ძირეულად ამოგლეჯილა, მთები გაუჩინარებულა, ზღვის ტალღებს მთელი ქვეყნიერება წაუღეკავს. აქვე მოიხსენიებიან ცეცხლისმფრქვეველი მგლები, რაც ვულკანურ ამოფრქვევებს შეგვიძლია დავუკავშიროთ.

ამგვარად, აქაც ვხვდებით ცეცხლს, წყალს, ციურ მოვლენებს, — ერთი სიტყვით, ყოველსავე, რაიც კოსმოსური მასშტაბის უდიდეს კატასტროფას უნდა ხლებოდა.

ხანძარსა და წარღვნას აღორძინება მოჰყვება. ხეები და პუარის ყანები კვლავ აღმოცენდება, ხალხი კვლავაც ბედნიერია, უწინდელზე ბედნიერიც კი არის.

მსგავსი მოტივები გვხვდება ფინურ ნაციონალურ ეპოს „კალევალაში“. ეს ნაწარმოები შედგება რამდენიმე ათეული ქეზისგან, ეგრეთწოდებული „რუნებისგან“, რომლებიც თაობებს გადმოეცემოდა წარმართობის დროიდანვე. ძნელი დასადგენია, როდის და რაგვარად შეიქმნა ეს ეპოსი. პირველად 1835 წელს გამოიცა ფინელი პატრიოტის ელიას ლენროტის მეცადინეობით, უდიდესი ინტერესი გამოიწვია და მრავალ ენაზეც ითარგმნა. განსაკუთრებული პოპულარობა მოიხვეჭა ესტონეთში, სადაც მსგავსი შინაარსის ამბებს მანამდეც ჰყვებოდნენ და მღეროდნენ.

„კალევალაში“ ნახევრად ღმერთთა და ნახევრად კაცთა მსგავსი პერსონაჟები გვხვდებიან. კოსმოსური კატასტროფაც იხსენიება, მთვარის მიერ აღძრული, რაც ზღვის საზარელი მოქცევისა და მიწისძვრის მიზეზი შექნილა. ეს დეტალები ყურადღების ღირსია, რადგან ბალტიისპირეთში ზღვის მოქცევის სიმაღლე ერთობ უმნიშვნელოა, სულ რამდენსამე სანტიმეტრს აღწევს, და საეჭვოა, რომ იმხანად ფინელებსა და ესტონელებს მისი არსებობა სცოდნოდათ. მით უფრო ძნელი წარმოსადგენია, რომ მათ შეცნობილი ჰქონოდათ ამ მოვლენის საფუძველი — მთვარის მიერ ზღვის ზვირთების მიზიდვა. აგერ XVII საუკუნეშიც კი დიდ ასტრონომს იოჰან კეპლერს სიცილი დააყარეს, როცა ეს აზრი გამოთქვა.

წარღვნა იხსენიება აგრეთვე ირლანდიელთა თქმულებებში, რომლებიც ძველი კელტური ლეგენდების ელემენტებს შეიცავს.

წარღვნის ირლანდიელი გმირები არიან ბიტი, მისი ცოლი ბირენი და მათი ასული ცესარა. ეს ფინტაანს გაჰყოლია ცოლად, ხოლო მის ვაჟიშვილს ლარს ცოლად შეურთავს ბალმა. წარღვნის დროს მთელი ოჯახი ხომალდზე ასულა და ამის მეოხებით თავი გადაურჩენია, რომელიღაც კუნძულს შეჰკედლებია, ალბათ ერთ-ერთს არანის სამი კუნძულიდან, ირლანდიის დასავლეთ ნაპირთან რომ არის განლაგებული. ამათგან უდიდესზე, აინიშმორის კუნძულზე; კელტებისდროინდელი მრავალი ძეგლი დღემდისაც არის შემორჩენილი. აქედან, როგორც ამბობენ, კარგი დარი როცა დგას, თურმე მოჩანს ლეგენდარული კუნძული ჰაი ბრიზეილი, რომელიც ირლანდიელებს სამოთხედ მიაჩნიათ.

წარღვნის შემდეგ მალე ახალი კატასტროფა მომხდარა. ღრუბელთა საბურველმოსხმული მეწამული მთვარე ამოსულა, მერე ის ღრუბლები მიმოფანტულა, დედამიწაზე ჩამოცვენილა და დაუქცევია ყოველივე. ამჯერად ბიტის ოჯახიც დაიღუპა და ქვეყანა უხალხოდ დარჩაო.

ირლანდიის მეზობელ უელსში ამბობენ — ჯუჯა ეიდენსმა (თუ ეივენსმა ან ეივესმა). ტბა ისე გადმოატბორა, მისი ტალღებით მთელი ქვეყნიერება წაილეკაო. დიუეივენი და მისი ცოლი დიუეივიჩილა გადარჩენილან, თავი შეუფარებიათ კიდობ-

ნისთვის, რომელშიც სურსათის გარდა „ყოველი სულიერის თითო წყვილი“ მოუთავსებიათ. ეს ამბავი იმდენად ჰგავს ბიბლიურს, შეუძლებელია ძველი აღთქმის გავლენა არ გაგვიჩნდეს ეჭვად.

ახლა კუნძულ ჰაი ბრიზიელს მივუბრუნდეთ. ამ კუნძულს ჰაი ბრიზიელს, ო' ბრაზილსა და ბრაზილსაც უწოდებდნენ ხოლმე. ეს საიდუმლო კუნძული ირლანდიაში მომხდარ ზოგიერთ ამბავსაც უკავშირდება; ოღონდ დღესდღეობით ძნელი დასადგენია, როდის მომხდარა ეს ამბავი.

ირლანდიაში დასახლების მოსურნე ხალხები ვითომ ერთიმეორეს ეომებოდნენო. თავის დროს ირლანდიის მფლობელი გადამთიელნი დაუმარცხებია და ამოუწყვეტია პირენეს ნახევარკუნძულიდან მოვლენილ ხალხს, რომელსაც იბერიის ხელმწიფის მილესის ძენი მოუძღოდნენ თურმე. მცირედნილა გადარჩნენ — ხომალდზე ასვლა მოასწრეს და დასავლეთისკენ გაემართნენ, იქითკენ, საიდანაც იყვნენო მოსულნი. მათი სამშობლო ყოფილა ოთხი კუნძული, რომელთაგან ერთს ბრაზილი 'რქმევია. ირლანდიაში მათ აურაცხელი განძი ჩამოჰყოლიათ, მათ შორის — განთქმული „ბედის ქვა“. ეს ის ქვა გახლავთ ვითომც, დღემდისაც რომ ინგლისის ტახტის ბურჯად არის მიჩნეული და ვესტმინსტერის სააბატოში მეფედ კურთხევის დროს რომ იყენებენ ხოლმე.

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ბრაზილის კუნძული თავდაპირველად ირლანდიის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს აღინიშნებოდა რუკებზე, მერე და მერე კი, ატლანტის ოკეანის შესწავლისდა კვალობაზე, სულ უფრო დასავლეთით თუ სამხრეთით ათავსებდნენ ასეთივე ლეგენდარული კუნძულების — წმიდა ბრენდანის, შვიდი ქალაქისა და აგრეთვე ანტილის კუნძულის სიახლოვეს.

ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ბრაზილია უწოდეს პორტუგალიის კოლონიას, დღევანდელ ბრაზილიის შეერთებულ შტატებს.

1869 წელს ლევენვარდენის (ჩრდილო ჰოლანდიაშია) ბიბლიოთეკამ შეიძინა ძალზე ძველი ხელნაწერი, უფრო სწორად — ძველ ფრიზულ ენაზე შესრულებული ხელნაწერის ფრაგმენტები. ეს გერმანული დიალექტი ანგლოსაქსურ ენებს უახლოვ-

დება და XVI საუკუნიდან მკვდარ ენად არის მიჩნეული; აწინ-
დელი ფრიზული დიალექტი მას ძლივსღა ჩამოჰგავს.

ხსენებული ხელნაწერის მფლობელი მანამდე ყოფილა კორ-
ნელი ოვერ დე ლინდენი. მის ოჯახში ხელნაწერი „უხსოვარი
დროიდან“ ინახებოდაო. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ
ხელნაწერი 1256 წლიდან ყოფილა ლინდენის ოჯახის საკუთ-
რება. თავისი ფორმით ეს არის სხვადასხვა ავტორთა მინაწე-
რებდართული ამბავი. ამ წიგნში გამოყენებული დამწერლობა
ბერძნულის ნაირსახეობას წარმოადგენს.

„ურა ლინდა ბუკ“ — ოვერ დე ლინდენის ოჯახის წიგნი —
გაცხოველებული კამათის საგანი შეიქნა. მასში წარმოდგენილ
ცნობათა სარწმუნოების საკითხს თუ დავეხსნებით, უნდა აღვ-
ნიშნოთ, რომ ეს დოკუმენტი უტყუარად და XIII საუკუნეში
შექმნილად მიიჩნეეს. ეს არის ფრიზების (ოვერ დე ლინდენის
ოჯახსაც ფრიზებს მიაკუთვნებენ) თავისებური ისტორია. მასში
მოთხრობილი ამბები ძალიან დიდი ხნის წინათ მომხდარა. თა-
რილიც კი არის აღნიშნული: „ატლანდის ქვეყნის ჩაძირვიდან.
3449 წელს...“

რომის იმპერიის ეპოქაში ფრიზები ჩრდილო-დასავლეთ-
გერმანიაში ცხოვრობდნენ, ჩრდილოეთის ზღვის ნაპირას. რო-
მაელი ისტორიკოსი ტაციტუსი მათ რამდენჯერმე იხსენიებს
მიწისმოქმედ და ზღვაოსან ხალხად. „ურა ლინდა ბუკში“ მოხ-
სენიებულია თეთრ პირისკანიანი და ცისფერთვალა ხალხი, რო-
მელიც ერთ ღმერთს სცემდა თაყვანს; მათ შორის მატრიარქატი
ყოფილა გაბატონებული და დიდ როლს ასრულებდა ქურუმთ
ქალი ბურგტმაადი, აგრეთვე მინ-ერვად წოდებული. იგი იყო
ქალთა ორდენის წინამძღვარი. აქვე ვხვდებით ფრიზების მეფის
სახელს — მინოს. მინ-ერვა რომაელთა ქალღმერთს მინერვას
მოგვაგონებს, ხოლო მინო — კრიტოსის მეფეს მინოსს, ბერძ-
ნული მითოლოგიით კარგად ცნობილს. ფრიზებისა და ფინიკი-
ელების სავაჭრო ურთიერთობათა გამოც არის ჩამოგდებული
სიტყვა, იხსენიებიან აგრეთვე ზღვაოსანი მოგზაური, სახელად
ნეფ-ტუნა, და მისი ნათესავი ინკა.

აი, ამ წიგნის ნაწყვეტი:

„მზე მთელ ზაფხულს ღრუბლებს ეფარებოდა, თითქოს
აღარ სურდა კვლავაც ემზირა მიწისთვის. დედამიწაზე მუღმი-

ვი მდუმარება სუფევდა და ნოტიო ბურუსი სველი იალქანივით აწვა სახლებსა და ველებს. ჰაერი მძიმე იყო და დამთრგუნველი, ხალხს სიხარული დაეიწყებოდა. მაშინ დაიწყო თითქოსდა ქვეყნიერების აღსასრულის მომასწავებელი მიწისძვრა. მთანი ცეცხლს აფრქვევდნენ, ხან წიაღში ინთქებოდნენ და ხანაც უფრო მალლა აიზიდებოდნენ.

აღდღანი, რომელსაც ზღვაოსანნი ატლანს უწოდებენ, გაუჩინარდა, ხოლო გაავებული ზვირთები ისე შეიმართნენ მათა უმაღლეს, რომ ისინი, ვინც ცეცხლს გადარჩენოდა, ზღვის უფსკრულმა შთანთქა.

მხოლოდ ფინდას ქვეყანაში კი არა, ტვისკლანდშიც¹ იწვოდა მიწა. ტყეები აალებული იყო, ხოლო როცა ქარი ტყეთა მხრიდან დაბერავდა, მთელ ქვეყანას ფერფლი ფარავდა. მდინარეებმა კალაპოტი შეიცვალეს, მათს შესართავეებში ახალი კუნძულები გაჩნდა სილისა და ნარიყისაგან. სამ წელიწადს ასე გრძელდებოდა, მერმე სიმშვიდე დამკვიდრდა და ტყეებმა ისევ იხარა...

მრავალი ქვეყანა წყალქვეშ გაუჩინარდა, ალაგ-ალაგ ახალი მატერიკები გაჩნდა, ტვისკლანდში ტყეების ნახევარი მოისპო. ფინდას ხალხი უკაცურ მიწებზე დაესახლა, ადგილობრივი მკვიდრნი ან ამოწყვიტეს, ან კიდევ მონებად აქციეს...

კადიკის² ნავსადგურში ინკას ხომალდები ნეეფ-ტუნას ფლოტილიას მოსწყდა და ოკეანის დასავლეთისკენ გაემართა. მეზღვაურნი იმედოვნებდნენ — იქნებ მივაკვლიოთ ატლანის ქვეყნის მთიან მხარეს, წყალში დანთქმას გადარჩენილს, და იქნებ იქ შევძლოთო დასახლება...

ხოლო ნეეფ-ტუნა შუა ზღვისკენ³ გაემართა, მაგრამ ინკასა და მისთა მსლებელთა ამბავი მეტი აღარ სმენიათ..."

ხელნაწერი ამგვარად მთავრდება:

„მე, ჰიდო ტონომატ ოვირა ლინდა ვაკი, გმოძღვრავ ჩემს ძეს — ოკას: ამ წიგნს თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდე. მასში მთელი ჩვენი ხალხის თავგადასავალია მოთხრობილი.

¹ გერმანიაში.

² ალბათ კადიქსის.

³ ხმელთაშუა ზღვისკენ?

შარშან წყალდიდობისას შენთან და დედაშენთან ერთად გადავარჩინე ეს წიგნი. ჩემდა სავალალოდ, წიგნი დამისველდა და ხელახლა გადაწერა მომიხდა... ეს წიგნი შექმნილია ლიუდვერ-დში ატლანდის ქვეყნის ჩაძირვიდან 3449 წელს“.

ამას მოსდევს უფრო მოგვიანო ავტორთა რამდენიმე მინაწერი, რომელთა შორის გვხვდება კიკო ოვირა ლინდას მიერ ხელმოწერილი სავედრებელი: „ათასგზის გემუდარებით, ეს ძველი ნაწერები ბერებს არ ჩაუგდოთ ხელში. ბერები ძალზე ვერაგნი არიან და ყოველივეს მოსპობა სწადიათ, რაიც ჩვენ, ფრიზებს მოგვეპოვება“.

ამით ვამთავრებთ ამ საგულისხმო ხელნაწერის ციტატთა ამოწერას. თარიღი — „ატლანდის ქვეყნის ჩაძირვიდან 3449 წელს“ — ზოგიერთ ექვს აღძრავს. თუ ვივარაუდებთ, რომ ატლანტისის კატასტროფა სოლონის საისში ჩასვლამდე 9000 წლის წინათ, ესე იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 9560 წლის ახლო ხანებში მომხდარა, მაშინ გამოდის, რომ პირველი ვარიანტი, რომლის ასლსაც „ურა ლინდა ბუკ“ წარმოადგენს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 6111 წელს უნდა შექმნილიყო. სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება საიმისო ცნობები, რომ იმ დროისთვის ევროპაში დამწერლობა არსებულებოდა.

იქნებ „3449 წელი“ იმ ასლის შექმნის თარიღი იყოს, რომელიც ჰიდო ტონომატ ოვირა ლინდას 1256 წელს გადაუწერია? ამას ადასტურებს ხელნაწერის შექმნის ადგილი — ლიუდვერდი (დღევანდელი გამოთქმით — ლეევეარდენი). მაშინ ატლანტისის დაღუპვის თარიღად ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2193 წელი გამოვა. მაგრამ ეს ხომ ეგვიპტეში VII დინასტიის მეფობის, ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოთა აღმოცენების ხანაა, ხოლო ატლანტისის დაღუპვა გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო. გარნა ამ თარიღს კარგად ეხამება ხელნაწერში მოხსენიებული ისეთი ამბები, როგორიცაა ფრიზების ურთიერთკავშირი ფინიკიელებთან და კრეტელებთან, აგრეთვე კადიკის ნავსადგურის ხსენება (ალბათ ნაგულისხმევია ფინიკიელთა ქალაქი გადირი, რომელსაც პლატონი გადვირად იხსენიებს და ატლანტთა სახელმწიფოს კუთვნილებად მიიჩნევს).

საიმედროდ დამწერლობა უკვე არსებობდა. ლინდენტა

ოჯახის ხელნაწერის დედანი შეიძლებოდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში ფინიკიური ანბანით შექმნილიყო ძველ ფრიზულ ენაზე. მომდევნო სამნახევარი ათასი წლის მანძილზე ენისა და დაწერილობის გაჩარხვის მიზნით ხელნაწერი შესაძლო იყო რამდენჯერმე გადაეწერათ და შიგ „რედაქციული შესწორებებიც“ შეეტანათ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნეეფ-ტუნას ნათესავი გულადი ზღვაოსანი ინკა, რომლის ამბავიც მეტი აღარავის სმენია. გარნა ჩვენ ხომ მრავალი რამ გვსმენია ინკებისა! ამიტომ შემთხვევით ვისარგებლოთ და გავიხსენოთ ისინი.

ხომ არ იყო ინკა სწორედ ის „თეთრი პირისკანის მქონე და შავწვერა“ უცხოელი ვირა კოჩა, რომლის ამბავსაც პერუელი ინკები ჰყვებოდნენ? აქ უნდა ითქვას, რომ „ურა ლინდა ბუკიც“ გვაუწყებს — ფრიზებს თეთრი პირისკანი და ცისფერი თვალები ჰქონდათო. წვერს რაც შეეხება, მის გამო, მართალია, არაფერია თქმული, მაგრამ, როგორც ცნობილია, ძველთაგანვე გავრცელებული ჩვეულების მიმდევარი მეზღვაურნი წვერს ატარებენ ხოლმე...

ისიც შევნიშნოთ, რომ ჩვენთვის ნაცნობი ფრიზული ხელნაწერის შექმნის ხანაში, ესე იგი XIII საუკუნეში, ევროპაში არამც თუ ინკების, ამერიკისაც არაფერი სმენოდათ. დისკუსიის თავიდან ასაცილებლად ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ხელახლა, რომ ხელნაწერი „ურა ლინდა ბუკ“, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, XIII საუკუნეშია გადაწერილი, ასე რომ ამ ამბის გმირისა და პერუს განმგებელთა სახელის თანხვედრა მრავალ რასმე მეთყველებს.

სიტყვა „ინკა“ ინდიელთა ლექსიკონში არ იპოვება: ევროპელი ავტორები ამ სიტყვას „მბრძანებლად“ ან „ბატონად“ თარგმნიან, გარნა ეს განსჯის შედეგია, რადგან ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა ესპანელების მიერ პერუს დაპყრობის დროს იხმარებოდა. ხოლო ცნობილია, რომ ინკები პერუს ავტოქტონები არ ყოფილან. ინდიელთა კულტურის მკვლევარი რ. ჰ. ნოცონი წერს: „ჩვენ დაბეჯითებით არაფერი ვიცით, საიდან არიან ინკები მოსულნი. არქეოლოგიური გათხრებით ეს საკითხი

ჯერჯერობით ვერ გადაწყდა და არც არის იმის იმედო, რომ ეს პრობლემა წარმატებით გადაიჭრას ოდესმე¹.

აქ ჩვენ გადავაწყდით ახალ გამოცანას, რომელიც ვარაუდებისა და ფანტაზიისთვის ვრცელ ასპარეზს გადაგვიშლის.

ისიც საგულისხმოა, რომ ზოგიერთი მონაცემი, განსაკუთრებით კეჩუას ტომის ინდიელთა მიერ ქვეყნის დაპყრობის ხანაში შესრულებული ინკების გამოსახულებები, იმას მეტყველებს, რომ ინკები ჩამოკვადნენ თეთრი რასის კავკასიური და სემიტური მოდგმის ხალხებს, რომლებსაც დამახასიათებელი „არწივისებური“ ცხვირი აქვთ.

ამრიგად, მრავალი მონაცემი გვიდასტურებს, რომ ფრიზული ხელნაწერის ინკა შესაძლოა ამერიკის „კოლუმბამდელი“ აღმომჩენი ყოფილიყო. ეს საკითხი იმად ღირს, რომ ცოტაოდენი ყურადღება კიდევ დავეთმოთ.

უწინარეს ყოვლისა ის ვიკითხოთ — როდის უნდა მომხდარიყო ეს ამბავი?

ჩვენ უკვე ვახსენეთ ატლანტისის კატასტროფის ორი თარიღი: „პლატონისეული“ — ჩვენს წელთაღრიცხვამდე 9560 წლის ახლო ხანები, და დაზუსტებული (პილო ლინდას ნათქვამის მიხედვით) — ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2193 წელი.

გარნა ამ თარიღებიდან არც ერთი არ თანხვედება პერუში ინკების განმგებლობის დასაწყისს, რაც, როგორც დადგინდა, XV საუკუნეში, ევროპელთა იქ გამოჩენამდე ცოტა ხნით ადრე მომხდარა. მართალია, ზოგიერთი ავტორი სახელმწიფოს საბოლოოდ დამხობამდე მეფედ ნამყოფ 13 განმგებელს ასახელებს, გარნა არც ერთი ისტორიკოსი არ ფიქრობს, რომ ამათგან პირველი ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეზე ადრე მქდარიყოს ტახტზე. ამიტომ უფლება არ გვაქვს ხელნაწერის ინკას ჩასვლა პერუელი ინკების ჰეგემონიის დასაწყის ხანას გავუიგივოთ.

ოღონდ ვერავენ აგვიკრძალავს წარმოსახვას ცოტათი სადავე მივუშვათ და ვივარაუდოთ, რომ ის ინკა პერუში ინკების მიერ ძალაუფლების ხელში აღებაამდე რამდენიმე ათასი წლის წინ შეიძლებოდა ჩასულიყო. ვიდრე ინდიელნი უცხოებს შეერე-

¹ R. H. Nocon, Drieje, Kultura i upadek Inków, ossolineum, Wrocław, 1958, str. 134-135.

ოღნენ, დიდი დრო გავიდოდა და ხალხის ხსოვნაში შორეული მოგონებალა შემორჩებოდა „თეთრი პირისკანის მქონე შავწვე-როსანი კაცის“ სახელისა.

ამგვარად, „ურა ლინდა ბუკის“ ამბის სარწმუნოდ მიმჩნე-ვი გავბედავთ ვივარაუდოთ, რომ ინკას პირველს უნდა აღმოე-ჩინა ამერიკა. ეს ამბავი ატლანტისის დალუპვიდან ცოტა ხნის გავლის შემდეგ მომხდარა.

მსგავსად ყველა იმდროინდელი ფრიზისა, ინკა ჩინებული მეზღვაური ყოფილა. მას ატლანტის ოკეანე გადაუცურავს (კო-ლუმბზე უფრო სამხრეთით აღებული კურსით) და სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთ ნაპირს მისდგომია. ოღონდ, რაკი პერუ ამ კონტინენტის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, წყნარი ოკე-ანის სანაპიროს ჩასწვრივ, დანარჩენი გზა ინკას ან ხმელეთის გავლით უნდა გადაელახა, ან კიდევ ზღვა-ზღვა ცურვით ამერი-კისთვის სამხრეთიდან უნდა შემოეველო, როგორც მაგელანმა გააკეთა მრავალი წლის შემდეგ.

წარმოვიდგინოთ, რომ ინკამ მეორე გზა ირჩია. მართალია, ეს გზა უფრო გრძელია, მაგრამ უფრო იოლიცაა, მით უმე-ტეს — ხომალდის მქონე კაცისთვის. სახმელეთო გზა, განსა-კუთრებით ამაზონის ზემოწელთან, დღესაც არაა მაინცდამაინც უხიფათო.

სამხრეთ ამერიკის ნაპირ-ნაპირ ცურვისას ინკა ალბათ შე-ჩერდებოდა დასასვენებლად გუანაბარას თვალწარმტაც ყურე-ში. ეს სახელწოდება ინდიელთა ენაზე მიმალულ ყურეს ნიშ-ნავს. დიდი ხნის შემდეგ ეს ყურე პორტუგალელმა ზღვაოსანმა ანდრეს გონსალვესმა აღმოაჩინა და, რაკი ეს ადგილი მდინარის შესართავი ეგონა, სახელიც შესაფერისი დაარქვა — იანვრის მდინარე (!502 წლის 1 იანვრის აღსანიშნავად), პორტუგალუ-რად — რიო-დე-ჟანეირო. ახლა იქ, როგორც იტყვიან, დედამი-წის ულამაზესი ქალაქია გაშენებული, მაგრამ ინკას დროს კი, შესაძლოა, იმ არემარეზე კაცის ქაჭანების კვალიც არსად იყო. თუმცა...

ყურის მისასვლელთან კლდოვანი მთებია აღმართული. იქ, სადაც შემდგომში ქალაქი რიო-დე-ჟანეირო დაეფუძნა, კონუ-სისებური კლდე დგას, ეგრეთ წოდებული შაქრის თავი, ხოლო დღევანდელი ქალაქის გვერდით, მისგან სამხრეთ-დასავლეთ

მხარეს, ჰავეად წოდებული კიდეც რამდენიმე კლდეა. მათგან უმაღლესი ზღვის დონიდან 840 მეტრს აღწევს. ნაპირიდან რამდენიმე კილომეტრზე ამ კლდეთა კონტურები ნახევრად წამოწოლილი კაცის სხეულს მოგაგონებთ, რის გამოც ადგილობრივმა ინდიელებმა მძინარე გოლიათი შეარქვეს მათ.

ამ კლდეთაგან ერთ-ერთზე 1836 წელს რაღაც საიდუმლო ნიშნები აღმოაჩინეს — ნახატები თუ ამოუხსნელი წარწერები. ისინი გაშიფრა ბრაზილიელმა არქეოლოგმა ბერნადო და სილვა რამოსმა¹.

ფინიკიურ ენაზე ფინიკიურივე ასოებით შესრულებულ წარწერაში იკითხებაო: „ბადეზირი ფინიკიის ტირიდან, ეტ-ვა-ალის პირმო ძე“.

¹ A. Braghine, L'enigme de l'Atlantide, Paris, 1939, p. 180.

სათნო პაპისა და ოინბაზი
 ზვილიშვილის აგბაპი

1912 წლის 20 ოქტომბერს ამერიკულ გაზეთ „ნიუ-იორკ ამერიკენში“ დაიბეჭდა სენსაციური სტატია, რომელსაც დოქტორი პაულ შლიმანი აწერდა ხელს. ავტორის გვარი კარგად იყო ცნობილი — ამ გვარისა გახლდათ გასული საუკუნის გამოჩენილი არქეოლოგი ჰენრიხ შლიმანი (1822-1890). მისი ბავშვობის დროს ჰომეროსის მიერ მოთხრობილი ტროას ომის ამბავი გამონაგონად მიაჩნდათ და ყმაწვილების მეტს არც არავის სჯეროდა ამ ამბის სინამდვილე. 1829 წლის შობა დღეს შვიდი წლის ჰენრიხმა საჩუქრად მიიღო ერერის ილუსტრირებული „ყრმათა საკითხავი მსოფლიოს ისტორია“; - ეს წიგნი სულმოუთქმელად ჩააბულბულა, ჰომეროსის ამბის სიმართლე მანაც ირწმუნა და სავსებით სერიოზულად განაცხადა: დიდი რომ გავიზრდები, ქალაქ ტროას და მეფე პრიამეს საგანძურს მივაგნებო. მართლაც, შლიმანს მთელი ცხოვრების მანძილზე სწამდა ტროასა და იქაურ გმირთა შესახებ არსებული მითის სინამდვილე, სწამდა ჰერაკლესა და ელადის ძველთა განმგებელთა ლეგენდები, სჯეროდა ანტიკურ ქალაქთა და სასახლეთა არსებობის ამბავი. ხოლო როცა ბოლოს ბედმა გაულიმა და ტროას სასახლეთა ნანგრევები გათხარა, იქაურ დარბაზებში მიმომავალი წარმოიდგენდა — როგორც თვითონვე წერს მემუარებში — ჰომეროსის პოემის გმირებს შევეყარეო.

ჰომეროსის „მითოსურ“ ქალაქთა მიკვლევის ამბითა და მათი აღმომჩენი კაცის — ჰენრიხ შლიმანის ცხოვრებით ვინც დაინტერესდება, ჩვენ ვურჩევდით წაეკითხა კ. კერამის წიგნი „ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები“ და ზ. კოსიდოვსკის „როდესაც მზე ღმერთი იყო“ — აქ იმასლა დავსძენთ, რომ 47 წლის შლიმანმა ცოლად შეირთო ბერძნის ქალი სოფიო ენგასტრომენოსი, რომელიც არქეოლოგიურ მუშაობაში მისი ერთგული თანაშემწე შეიქნა. ძველი საბერძნეთით მათს გატაცებას მათი შვილების სახელებიც მოწმობს — ანდრომაქე და აგამემნონი.

შლიმანი 1890 წელს გარდაიცვალა. იმ დროისთვის მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერი იყო უკვე. მის დაკრძალვას სამეცნიერო და დიპლომატიური წრეების წარმომადგენელნი დაესწრნენ, თვით საბერძნეთის მეფეც აქ იყო თავისი ოჯახითურთ. შლიმანის გვარი მის სიკვდილთან ერთად არ დავიწყებულიათ. მრავალი წლის განმავლობაში ეს იყო სიმბოლო მუყაითობის, მიზნისკენ თავგამოდებული სწრაფვის და ბალღურ ოცნებათა ახდენის რწმენისა. ხოლო ატლანტოლოგთათვის შლიმანის ცხოვრება ატლანტისის ძიებასთან დაკავშირებული საქმიანობის სტიმული შეიქნა.

ატლანტისის პრობლემით თუ ყოფილა დაინტერესებული შლიმანი?

ამ კითხვის პასუხი წარმოდგენილია მისი უახლოესი თანამშრომლის, არქეოლოგიის ათენელი პროფესორის, დოქტორ ვილჰელმ დორნფელდის წერილში, რომელითაც ირკვევა, რომ შლიმანი მის ავტორს ზოგჯერ ესაუბრებოდა ხოლმე ატლანტისის თაობაზე და, შესაძლოა, სათანადო მასალასაც კი აგროვებდა დროდადრო. მაგრამ დაბეჯითებით ვერავის უთქვამს, რომ შლიმანი ოდესმე უფრო სერიოზულად მოჰკიდებოდეს ამ საკითხზე მუშაობას. ოღონდ აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ შლიმანს შეეძლო უახლოეს ადამიანთათვისაც კი დაეფარა თავისი ზოგიერთი საიდუმლო.

ეს ყოველივე შლიმანის სიკვდილიდან ოცდაორი წლის შემდეგ „ნიუ-იორკ ამერიკენში“ დაბეჭდილ ზემოხსენებულ სტატიასთან დაკავშირებით გახმაურდა მხოლოდ.

სტატიის ავტორი დოქტორი პაულ შლიმანი ჰენრიხ შლიმა-

ნის შვილიშვილი — მისი ვაჟის აგამემნონის ძე გახლდათ. სტატიამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია, რადგან ფრიად სენსაციურ ცნობებს შეიცავდა და ახალ, არანაკლებ სენსაციურ ცნობათა გამომზეურებას აღუთქვამდა მკითხველს. გარნა, სამწუხაროდ, ეს დანაპირები აღარ შესრულებულა. უარესი ამბავიც მოხდა — მისი ავტორი საკმაოდ იღუმალ ვითარებაში აღესრულა პირველი მსოფლიო ომის დროს. ქვემოთ მცირედი შემოკლებით მოტანილი სტატია, საერთო აღიარების თანახმად, უბრალო მისტიფიკაცია გამოდგა.

„როგორ მივაპყვლიე დაკარგულ ატლანტისს, ყველა ცივილიზაციის სათავეს!

ბაბუაჩემმა, დოქტორმა ჰენრიხ შლიმანმა გარდაცვალებამდე (ნეაპოლში აღესრულა 1890 წელს) რამდენიმე დღით ადრე ერთ თავის უკუვლითადეს მეგობარს გადასცა დაბეჭდილი კონვერტი, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: „ოჯახის წევრთაგან მხოლოდ იმას ეძლევა ამ კონვერტის გახსნის უფლება, ვინც ფიცს დადებს, რომ აქ ნახსენებ ძიებას მოახმარა მთელს თავის ცხოვრებას“.

გარდაცვალებამდე ერთი საათის წინ ბაბუამ ქალაღი და თანქარი მოითხოვა და მთრთოლვარე ხელით დაწერა: „საიდუმლო მინაწერი დაბეჭდილი კონვერტისთვის. ბუსთავიანი ეახა უნდა ვაჭეხო. ნახე, რა არის შიგ. ეს ატლანტიის ესება. საისში ტაძრის აღმოსავლეთი ნაწილი და შაკუნის სასაფლაო გათხარე. დიდი ამბავია. ჩემი თეორიის დამამტკიცებელ საბუთებს იქ იპოვნი. ლამე მიახლოვდება — მშვიდობით“.

ბაბუამ ბრძანა — ეს წერილი ჩემს მეგობარს გადაეცითო, იმან კი საფრანგეთის ერთ-ერთ ბანკს მიაბარა შესანახად. რუსეთში, გერმანიასა და აღმოსავლეთში რამდენსაშე წელიწადს სწავლის შემდეგ მე გადაეწყვიტე სახელგანთქმული ბაბუაჩემის საქმე გამეგრძელებინა. 1906 წელს ფიცო დავდევი და ბეჭედი ავხსენი. კონვერტში ფოტოსურათები და მრავალი დოკუმენტი აღმოჩნდა. აი, პირველი მათგანის შინაარსი:

„ვინც ამას გახსნის, საზეიმო ფიცი უნდა დადოს, რომ ჩემს მიერ დაუმ-

¹ How I found lost Atlantis, the source of all civilisation, „New York Amerikan“, Oktober 20, 1912.

² შლიმანს სიკვდილის წინ ცნობიერება არ დაუკარგავს, ნაგრამ ნაწილობრივი დამბლის გამო მეტყველების უნარი წაერთვა.

თავრებელ სამუშაოს განაგრძობს. მე იმ დასკვნამდე მივდი, რომ ატლანტისი არა მარტო დიდი მატერიკი იყო ამერიკასა და აფრიკა-ევროპის დასავლეთ სანაპიროს შორის, არამედ მთელი ჩვენი კულტურის აკეანიც. სპეციალისტებმა უკვე საკმაოდ იღავეს ამ საკითხის ირგვლივ. ერთნი იმ აზრის არიან — ატლანტისის ამბავი უბრალო მონაჭორია, ქრისტეს შობამდე რამდენიმე ათასი წლის წინ მომხდარი საყოველთაო წარღვნის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობებზე დამყარებულიო. სხვანი ამ ამბავს ისტორიულ ფაქტად მიიჩნევენ, ოღონდ ვერ დაუმტკიცებიათ ეს ამბავი. ამ წერილისთვის დართულ მასალებში არის დოკუმენტები, ჩანაწერები და გამოკვლევები, აგრეთვე სხვადასხვა დამამტკიცებელი მასალა, რომლებიც, ჩემის აზრით, გასათვალისწინებელია. ეისაც სურს ეს ყოველივე უკეთ გაიცნოს, ჩემი გამოკვლევების განგრძობა უნდა იტვირთოს, რათა შეძლებისდაგვარად მიზანსაც მიაღწიოს; მან, ჯერ ერთი, უნდა გამოიყენოს ჩემს მიერ მიწოდებული უაქტები და, მეორეც, არ უნდა მიჩქმალოს ის ამბავი, რომ ჩემია ეს აღმოჩენა. საფრანგეთის ბანკი ჩემი ხელმოწერის წარდგენისთანავე გაცემს შესაბამის მთარებულ თანხას, რომელიც საჯებიტ საკმარისი იქნება საკვლევ სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად. უფალმა აკურთხოს ეს დიდი საქმეი კენრიხ შლიმანი“.

ერთ-ერთ სხვა დოკუმენტში ეწერა:

„1873 წელს პისარლიკში ტროას ნანგრევთა გათხრის დროს მეორე ფენაში „პრიაშეს განძს“ რომ მივაკვლიე, მასში უჩვეულო შესახედი ბრინჯაოს ვაზა აღმოჩნდა. ვაზაში თიხის ნამტვრევები, წერილ-წერილი ოქროს ნაკეთობები, მონეტები და გაქვავებული ძვლისგან ნაკეთები საგნები იყო. ზოგიერთ მათგანს და ბრინჯაოს ვაზასაც ეგვიპტური იეროგლიფებით ამოტვიფრული წარწერა აქონდა: „ატლანტისის მეფის ქრონოსისაგან“.

კიდევ სხვა დოკუმენტიდან, რომელიც B ასოთი იყო აღნიშნული, შევიტყე შემდეგი:

„1883 წელს ლუერში მივაკვლიე საგნებს, რომლებიც ცენტრალურ ამერიკაში, ტიაჟუნაკოში¹ გათხრებისას მოუპოვებიათ. მათ შორის ენახე იმავე ფორმის თიხის ნამტვრევები, იმავე მასალისგან ნაკეთები, აგრეთვე გაქვავებული ძვლის ზუსტიდ ისეთივე საგნები, როგორიც „პრიაშეს განძის“ ბრინჯაოს ვაზაში იყო. ეს მსგავსება შემთხვევითი არ ყოფილა. ცენტრალურ ამერიკაში ნაპოვნი ვაზები ფინიკიურს არ ჰგავდა, არც რაიმე წარწერა აქონიათ. ერთხელ კიდევ შეეამოწმე ჩემს ხელთ არსებული საგნები და დავრწმუნდი, რომ მათზე ამოკვეთილი წარწერები უფრო გვიანნი ხანისა უნდა ყოფილიყო.

1 აქ დაშვებულია „მცირე“ უზუსტობა, რომელიც მკითხველმა ალბათ უკვე შენიშნა კიდევ: ტიაჟუნაკო ტიტიაკას ტბის პირას მდებარეობს, სამხრეთ ამერიკაში. საეჟვოა, პენრიხ შლიმანს ამგვარი შეცდომა მოსელოდეს. პაულ შლიმანის დადანიშაულებაც ძნელია — განათლებული გაცი მყო. იქნებ გაზეთის რედაქციას მიუძღოღეს ბრალი. სტატიის ავტორმა ტეოტიუაკანი ახსენა ალბათ. ეს ადგილი მექსიკაშია და პირამიდისებური მოყვანილობის მრავალი საეურთხეველათ არის ცნობილი.

შევეცადე ხელთ შეგდო ტიაპუანაკოში ნაპოენი საგნები, ქიმიურად შევისწავლე და შიკროსკოპქვეშაც გავსინჯე ისინი. ამან დაადასტურა, რომ, თუმცა ორივე ვაზა — ცენტრალურ ამერიკაში აღმოჩენილიც და ტროაში მიკვლეულიც — ერთი და იმავე თიხისგან ყოფილა დამზადებული, მაგრამ ეს მასალა არც ძველ ფინიკიაში იყო მოპოვებული და არც ცენტრალურ ამერიკაში. ლითონის საყანთა ანალიზმა ცხადყო, რომ ისინი შედგებოდნენ პლატინის, ალუმინისა და სპილენძისგან. ესე იგი, ასეთი შენადნობისგან, რომელიც ძველი კულტურის ნივთთა შორის მანამდე არავის შეხვედროდა და რომელიც დღესაც უცნობია. ასე რომ ერთიმეორისგან დიდი მანძილით დაშორიშორებულ ორ ქვეყანაში აღმოჩნდა ერთი და იმავე მასალისგან ნაკეთები და, რაც სრულიად უეჭველია, ერთი წარმოშობის საგნები. ეს საგნები არც ფინიკიური ნაკეთობისა იყო და არც ცენტრალური ამერიკისა.

რა უნდა დავასკვნათ?

ეს საგნები სხვადასხვა ქვეყანაში ერთი და იმავე ადგილიდან მოსვედრილა. ხოლო ჩემს კუთვნილ საგნებზე ამოტვიფრული წარწერა ამ ადგილსაც მიგვიითთებს — ატლანტისს! ამ საოცარმა აღმოჩენამ მაიძულა შეცადინეომა გამეორკვეებინა. პეტერბურგის მუზეუმში პაპირუსის ძველ გრაგნილს მივაგენი, მეორე დინასტიის ფარაონ სენტის მეფობის დროინდელს, ქრისტეს შობამდე 4571 წელს გადაწერილს. ამ პაპირუსში აღწერილია ფარაონის ექსპედიცია „დასავლეთით“, „ატლანტისის ქვეყნის“ კვალის საძებრად. იქიდან მოსულან ეგვიპტელთა წინაპარი მანამდე 3350 წლით ადრე. ექსპედიცია ექვსი წლის შემდეგ დაბრუნებულა. ვერც ვერავითარი მატერიკი უნახავთ და ჯერც რაიმე კვალი, რომელიც გაუჩინარებული ქვეყნის ასავალ-დასავალს ამცნობდა მათ. იმავე მუზეუმის სხვა პაპირუსში, რომელიც ეგვიპტელი ისტორიკოსის მანეთონის კალამს ეკუთვნის, აღნიშნულია პერიოდი 13 900 წელიწადი, რაც ატლანტისელ ბრძენთა მეფობის ხანას უსწრებდა წინ. ამრიგად, პაპირუსი აზუსტებს, რომ ეგვიპტის ისტორია 16 000 წლის წინ დაწყებულა. მიკენის ლომის კარიბჭეზე ჩემს მიერ აღმოჩენილი წარწერა გვაუწყებს, რომ მისორი, რომლისგანაც წარმოდგებიან ეგვიპტელნი, იყო ძე ეგვიპტელთა ღვთაების ათთისა, ხოლო თოთი, თავის მხრივ — ძე ატლანტისელი ქურუმისა, რომელიც მეფე ქრონოსის ასულზე იყო გამიჯნურებული, ამასთან დაკავშირებით ატლანტისიდან გამოქცევა მოუსდა და ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ეგვიპტეს ჩავიდა. სწორედ მას აუკია სა.ს.ში პირველი ტაძარი და მშობლიურ ქვეყანაში შექმნილი ცოდნა აღამიანთათვის გაუზიარებია. ამ წარწერას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, და დღემდე საიდუმლოდ ვინახავდი. მას II ასოთი აღნიშნულ დოკუმენტებში, მიაგნებ“.

მინდა ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის დასასრულიც მოვიტანო:

„ჩემს მიერ ტროაში ნაპოენი ერთი ნუსხა შეიცავს ეგვიპტელ ქურუმთა ტრაქტატს მედიცინის დარგში, რომელიც კატარაქტისა და შიგანის სიმსივნის ქირურგიულ ამოკვეთას ეძღვნება. მეურნალობის ამავე ზერსს წააფყდი ერთ ესპანურ ხელნაწერშიც (ბერლინში), რომლის ავტორსაც

ეს ზერხი მექსიკაში რომელიდაც ატტეველი ქურუმისგან სმენია. ეს ცოდნა ქურუმს ძველი სელნაწერის საფუძველზე გადმოუცია.

გარდა ამისა, იმ დასკვნამდე მივედი, რომ არც ეგვიპტელნი და არც ცენტრალური ამერიკის ატტეკებამდელი კულტურის შემქმნელნი — მაიას ხალხი — რიგიანი ზღვაოსანნი არასოდეს ყოფილან და არც ისეთი ხომალდები ჰქონიათ ოდესმე, რომლებითაც ატლანტის ოკეანის გადაცურვას შეძლებდნენ. ისიც დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ აგრეთვე, რომ არც ფინიკიელებს ძალეღვათ ორი ნახევარსფეროს ქვეყნებს შორის კავშირის დამყარება. გარნა ეგვიპტური კულტურა და მაიას კულტურა ისე ძალიან ჰგავს ერთმეორეს, რომ ეს მსგავსება შემთხვევით ამბად ვერ შიიხნევა. ამგვარი შემთხვევითობები არ ხდება ხოლმე. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ოდესღაც, როგორც ლევენდები გვამცნობენ, არსებულყოფი ვეება კონტინენტი, ვგრეთ წოდებული ახალი ქვეყნიერების ძველთან დამაკავშირებელი. ეს იყო ატლანტისი. მის მცხოვრებლებს ეგვიპტესა და ცენტრალურ ამერიკაში თავისი კოლონიები დაუარსებიათ.

სხვა ჩანაწერები და დამამტკიცებელი საბუთებიც ენახე, მაგრამ ჯერ გაუუქმებელი იყო პირდაპირი მოთხოვნა — ყოველივე ეს საიდუმლოდ შემენახა, ვიდრე პაპაჩემის ინსტრუქციებს ბოლომდე არ შევასრულებდი და გამოკვლევებს არ დაეამთავრებდი.

ექვსი წლის განმავლობაში დაუღალავად ვმუშაობდი ეგვიპტეში, ცენტრალურ ამერიკასა და მსოფლიოს სხვადასხვა არქეოლოგიურ მუზეუმებში. მე აღმოვაჩინე ატლანტისი, მოვიძიე ისეთი ფაქტები, რომლებიც უეჭველად ადასტურებდნენ ისტორიული ხანის ყველა ცივილიზაციისთვის დასაბამის შიმცემი ამ მძლავრი სახელმწიფოს არსებობას.

მინდა გაუწყოთ, თუ რა მოხდა კიდევ, როცა პენრიხ შლიმანის დოკუმენტები წაეკითხე.

უწინარეს ყოვლისა, პარიხს გავემგზავრე, რათა ის საიდუმლოდ შენახული კოლექცია მენახა. ბუსთავიანი ვაზა არაჩვეულებრივი იყო, ერთი შეხედვითვე მიხვდებოდი — ძალიან ძველი ნაკეთობააო; ზედ ამოვიკითხე ფინიკიური ასოებით წარწერილი: „ატლანტისის მეფის ქრონოსისაგან“. რამდენსამე დღეს ვყოყმანობდი — უნდა გავტეხო-მეთქი თუ არა, რადგან იმასაც ვითვალისწინებდი, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში, როცა იმ წერილს წერდა, ბაბუაჩემს შესაძლოა არც ჰქონოდა სრული ცნობიერება. გარნა ბოლოს და ბოლოს გავტეხე ვაზა და სულ არ გამკვირვებია, მის ფსკერზე მოვერცხლისფრო მეტალის ოთხკუთხედი ფირფიტა რომ აღმოჩნდა; ეტყობოდა, მონეტა იყო, ზედ ამოტვიფრული ჰქონდა უცნაური გამოსახულებები და ნიშნები, რომლებიც ჩვეულებრივს იეროგლიფებს თუ დამწერლობას არ ჰგავდა. ეს ერთ მხარეს იყო, მეორე მხარეს კი ძველი ფინიკიური შრიფტით წაეწერათ: „გაცემულია ჰეირვალ კედელთა ტაძარში“. როგორ უნდა მოხედრილიყო ეს მეტალის ნივთი ვაზაში? ვაზის ყელი ერთობ ვიწროა საიმისოდ, რათა ის ფირფიტა შიგ ზემოდან ჩაეცლოთ.

თუკი ვაზა ატლანტისში იყო გაკეთებული, მონეტაც იქაური უნდა ყოფილიყო. გამოკვლევის შედეგად დაეადგინე, რომ წარწერა გამოსახუ-

ლებების გამოყვანის შემდეგ უნდა ამოეტიფრათ ფირფიტის ზედა მხარეზე. ჩემთვის ახლაც გამოცანაა, როგორ მიხერხდა ეს ამბავი.

გარდა ამისა, კოლექციაში სხვა საგნებიც ვიპოვნე. ბაბუაჩემის მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს საგნებიც ატლანტისში უნდა ყოფილიყო ნაკეთები. მათ შორის იყო იმავე საკვირველი მეტალის ბეჭედი, რითაც მონეტები მოჭრაო. აქვე იყო გაქვავებული ძელის იშვიათი სპილო, ძველი ვაზა და სხვა. ვაზაში ის გვემა აღმოჩნდა, რომლის მიხედვითაც ეგვიპტელი კაპიტანი ატლანტისის ძიებას შესდგომოდა. დანარჩენი ნივთების გამო აღარაფერს ვიტყვი, რადგან ასეთი იყო პაპაჩემის სურვილი.

ბუსთავიან ვაზას, ძველ ვაზას, ბრინჯაოს ვაზასა და ბეჭედს ფინიკიურად წარწერები ჰქონდა, სპილოსა და მონეტებზე კი არ ყოფილა ამგვარი წარწერები.

ეგვიპტეს გავემზავრე და საიის ნანგრევთა გათხრას შეეუდექი. დიდხანს ამოდ ვმუშაობდი. მერამ ერთხელ ეგვიპტელი მსროლელი გავიცანი და იმან პირველი დინასტიის დროინდელი ქურუმის აკლამაში ნაოფნი ძველი მონეტების კოლექცია მიჩვენა. უზომო იყო ჩემი გაოცება, როცა ამ კოლექციაში ორი ისეთი მონეტა აღმოჩნდა, რომლებიც თითქმის არ განსხვავდებოდა ტროაში ნაოფნი ვაზის მონეტებისგან. ეს ხომ გამარჯვებას ნიშნავდა! ამრიგად, მე ხელთ მქონდა მონეტა ტროაში ნაოფნი ვაზისა, რომელიც, თუკი პაპაჩემი არ ცდებოდა, ატლანტისში უნდა ყოფილიყო მოჭრილი, გარდა ამისა — ორი ასეთივე მონეტა საიის ტაძრის ქურუმის სარკოფაგიდან, ამ ტაძარში კი დაცული იყო ცნობები ატლანტისის შესახებ (ეს ცნობები გაანდეს ქურუმებმა სოლონს). საქმის შესამოწმებლად ორ ცნობილ ფრანგ გეოლოგს მივმართე და მათთან ერთად შევისწავლე აფრიკის დასავლეთი სანაპირო. ჩვენ დავადგინეთ, რომ მთელი ნაპირი ეულკანური წარმოშობის ქანებით არის დაფარული. მრავალი მიწის სიგრძეზე ისეთი შთაბეჭდილება გვექმნებოდა, რომ ეულკანური მოქმედების შედეგად რომელიღაც მატერიკი თითქოს ძალად მოეხლიჩათ ამ ნაპირისთვის. აქ წაეაწყდი ბავშვის თავის სკულპტურულ გამოსახსულებას, იმავე მეტალისგან გამოქანდაკებულს, რითაც ბეჭედი და მონეტები იყო გაკეთებული. ნაქანდაკარი ძველი ეულკანური ფერფლის გაქვავებულ შრეში იყო გარჩენილი.

პარიზს მივბრუნდი, რათა ცენტრალურ ამერიკაში ნაოფნი, ბაბუას მიერ მოხსენიებული კოლექციის პატრონი მომეძებნა. ის კაცი ჩემი გამოკვლევების ხათრით დამთანხმდა თავისი ვაზის გატყენვას. მასშიც იმავე სიდიდისა და ფორმის, იმავე მეტალისგან ჩამოსხმული მონეტა აღმოჩნდა, როგორც მანამდე ჩემს ხელთ ნაქონი სამი მონეტა იყო. მხოლოდ იეროგლიფების განლაგებით განსხვავდებოდა ის მონეტები!

ამრიგად, ხელთ ჯაჭვის სუთი რგოლი მეპყრა: ბაბუაჩემის საილუმო კოლექციის მონეტები, ატლანტისური ვაზის ჰონეტები, ეგვიპტური სარკოფაგის მონეტები, ცენტრალურ ამერიკაში ნაოფნი ვაზის მონეტა და მაროკოს სანაპიროზე მიკვლეული ბავშვის თავის ქანდაკება.

მაშინვე ცენტრალურ ამერიკას, მექსიკასა და პერუს მივაშურე. სასაფლაოებს ვისრეკდი და ქალაქებში ვათხრებს ვაწარმოებდი. ბოლოს ტეოტიჰუაკანის (მექსიკა) პირამიდაში მოვიძიე იმავე შენადნობის მონეტები, ოღონდ წარწერები სხვაარა იქონდა.

მაქვს იმის საფუძველი, ვამტკიცო, რომ 40 000 წლის წინათ ამ უჩვეულო მონეტებს ატლანტისში ფულად იყენებდნენ. ეს ვარაუდი საკუთრივ ჩემს გამოკვლევებს კი არ ემყარება მხოლოდ, არამედ ბაბუაჩემის ზოგიერთ ნაშრომსაც, რომლებიც ჯერ არ მისხენებია. ადვილის სიმცირის გამო ამჯერად არაფერს ვიტყვი იეროგლიფებისა და ჩემს მიერ მიკვლეული სხვა დამამტკიცებელი საბუთების გამო, რომლებიც დაბეჯითებით მარწმუნებენ, რომ ეგვიპტის, მიკენის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის კულტურებს, ისევე როგორც სმელთაშუა ზღვის კულტურებსაც, საერთო სათავე აქვთ. მაგალითისთვის აქ მოვიტან მაიას ერთ ხელნაწერს, ნაწყვეტს Troano-ს განთქმული ხელნაწერიდან, პლონეონის მიერ თარგმნილს. ამ ხელნაწერის ნახვა ბრიტანეთის მუზეუმში შეიძლება. აი, მისი თარგმანი!...

ლასის უძველესი ბუდისტური ტაძრის დოკუმენტთა შორის ინახება ძველი ქალღეური ხელნაწერი, რომელიც ქრისტეს შობამდე ორი ათასი წლის წინ შეუქმნიათ. აი, მისი შინაარსი:

„ოდეს ბაალის ვარსკვლავი იქ შთამოიჭრა, სადაც აწ ზეცა და ზღვა არის მხოლოდ დარჩენილი, როგორც ქარიშხლის დროს ხის ფოთლები, ისე შეირხა და ათრიოლდა შეიდი ქალაქი ოქროს კარიბჭეებითა და ქვირეალი ტაძრებითურთ. და ტაძრებიდან ცეცხლისა და კვამლის მდინარე გამოიჭრა. ხალხის განწირულმა გმინვამ და ძახილმა შეძრა პაერი. ხალხი ტაძრებსა და ციხეებში ეძებდა თავშესაფარს. ხოლო ბრძენი მუ, ქურუმთუხუცესი რა-მუ გამოვიდა და ასე ბრძანა: „ხომ გამცნეო წინასწარ ესე ამბავი!“ მაშინ მდიდრად მოკაზმული, ძვირფასი ქვების მფლობელი კაცი და ქალნი ატირდნენ: „გეისხენი, მუ!“ ხოლო მუმ მიუგო: „ყველანი მოიშთობით თქვენ-თქვენი მონებითა და სამკვიდრებლითურთ, ხოლო თქვენი ფერფლიდან ახალნი ქალაქნი აღმოცენდებიან. გარნა თუკი მათ დაივიწყეს, რომ მართებთ აღემატონ არა მხოლოდ იმას, რაიც შეუქმნიათ, არამედ იმასაც, რაიც დაუკარგავთ, — მათაც ეს ხვედრი მოეღიოს!“ მუს სიტყვები სმაურსა და გრვეინვაში იკარებოდა. ქვეყანა და მისნი მკვიდრნი ნაფლეთებად იქცნენ და მალე ზვირთებში დაინთქენ“.

რას ნიშნავს ეს ორი ამბავი — ერთი ტიბეტში, ხოლო მეორე ცენტრალურ ამერიკაში შემორჩენილი, ორივე რომ ერთსა და იმავე კატასტროფას შეეხება და მუს ქვეყანას უკაჟშირდება? ეს საიდუმლო მაშინ გაცხადდება, როცა ჩემთვის ცნობილ დანარჩენ ფაქტებსაც წარმოვადგენ“.

1 პლონეონის მიერ შესრულებული თარგმანი ამ წიგნის მე-5 თავში არის წარმოდგენილი „ტროანოს კოდექსის“ ხელნაწერის ფოტოასლითურთ. ოღონდ პაულ შლიმანის შენიშვნა — ამ ხელნაწერის ნახვა ბრიტანეთის მუზეუმში შეიძლება, სიმართლეს არ შეეფერება. „ტროანოს კოდექსი“ მადრიდის მუზეუმში ინახება.

სამწუხაროდ, პაულ შლიმანს დანაპირები ფაქტები აღარ წარმოუდგენია.

მთელი ეს ამბავი მეტად წარმტაცია საიმისოდ, რათა ნამდვილი იყოს. მასში მოტანილი ფაქტები და „ნივთიეტი საბუთები“ არასოდეს დადასტურებულა. არც ბუსთავიანი ვაზა უნახავს ვისმე, არც 40 ათასი წლის წინანდელი მონეტები, არც თვით ჰენრიხ შლიმანის ანდერძის წერილი. იქნებ ეს ყოველივე ბანკის საიდუმლო სეიფს შეაფარეს ხელახლა? თუმცა უფრო სარწმუნოა იმის ვარაუდი, რომ ეს ამბავი ოინბაზი შვილიშვილის ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს.

შლიმანის მიერ მოთხრობილი ამბის უტყუარობის საკითხი უკვე გადაწყვეტილია. დღეს, მისი გამოქვეყნებიდან 50 წლის შემდეგ, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მისტიფიკაციაა. გარნა ამ სენსაციური სტატიის დაბეჭდვის შემდეგ ერთხანს შეიძლებოდა იმედი ჰქონოდათ — მეცნიერებაში ესოდენ პატივდებული გვარის მატარებელი კაცი სხვა საოცარი ცნობების მფლობელიც იქნებაო.

პაულ შლიმანის სტატიას მრავალი კომენტარი მოჰყვა. მის წერილში მოტანილი ფაქტები არც ისე დაუჯერებელია. მაიას კულტურასა და ძველი ქვეყნიერების კულტურებს შორის იმდენი ანალოგია არსებობს, რომ მათს საფუძველზე ამერიკელმა ატლანტოლოგმა იგნატიუს დონელიმ ჯერ კიდევ 1882 წელს თავის თეორიაში ატლანტისის დასახა „ბუნებრივ ხილად ძველსა და ახალ ქვეყნიერებას შორის“, ეგვიპტესა და მექსიკას შორის. დონელის აზრით, ეს ქვეყნები ატლანტისის კოლონიები იყო.

კაცმა რომ თქვას, არც დონელი ყოფილა პირველი. ეს ჰიპოთეზა კადემ უკვე 1785 წლის ახლო ხანებში წამოაყენა. დონელის თეორია ფართოდ ცნობილი იმის მეოხებით შეიქნა, რომ მისმა წიგნმა „Atlantis, the Antediluvian World“ (ლონდონი, 1882) დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თანაც შლიმანის წერილის გამოქვეყნებამდე რამდენიმე თვით ადრე ეს წიგნი გერმანულად თარგმნილი გამოვიდა (Atlantis, die vorsintflutliche Welt). დონელის ნაშრომი დღემდეც სამაგიდო წიგნია ატლანტოლოგებისთვის და შლიმანის წერილის საწინააღმდეგო ყველაზე საფუძვლიანი არგუმენტი ის გამოდგა, რომ მან ერთობ

ბევრი თითქოს სპეციალურად შერჩეული საბუთი მოიტანა კადე-დონელის თეორიის სასარგებლოდ.

შლიმანების „ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს“ რაც შეეხება, კომენტატორნი გვამცნობენ, რომ როგორც ამერიკაში, ისე საბერძნეთსა და მცირე აზიაში ვაზებზე მართლაც გვხვდება ბუსთავიანი ორნამენტი. გარნა ზოგიერთ უზუსტობასაც აღნიშნავენ ხოლმე, კერძოდ, ფინიკიური „იეროგლიფების“ ამბავს.. ფინიკიელებს იეროგლიფები არ ჰქონიათ, ასოებისგან შედგენილ დამწერლობას ხმარობდნენ, ამასთან, ეს დამწერლობა იმაზე გვიან არის წარმოქმნილი, ვიდრე პაულ შლიმანის წერილიდან გამოდის.

პაულ შლიმანის, „აღმოჩენების“ ამბავს ერთგვარი შუქი ეფინება აგრეთვე მის მიერ ნახსენებ და შესამოწმებლად ხელმისაწვდომ დოკუმენტთა ანალიზის შედეგად. ორ ეგვიპტურ პაპირუსს იმოწმებს შლიმანი, ერთს — ფარაონ სენტის (მეორე დინასტია) მეფობისდროინდელს და მეორეს — მანეთონის მიერ დაწერილს. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა ატლანტოლოგმა ნ. ფ. ყიროვმა ამ რამდენიმე წლის წინ ცნობილ ეგვიპტოლოგს, ლენინგრადის ერმიტაჟის თანამშრომელს ი. მ. ლურიეს მიმართა და ამგვარი განმარტება მიიღო: ისტორიკოსები არ იცნობენ არც ფარაონ სენტს მეორე დინასტიიდან და არც იმდროინდელ პაპირუსებს, მათ შორის მანეთონის ტექსტიანსო. მანეთონის ცნობებს რაც შეეხება, მეცნიერებას ხელთ აქვს ის მონაცემები, რომლებიც უფრო მოგვიანო ხანის ბერძენ ავტორებს მოჰყავთო. შლიმანის მიერ ნახსენები პაპირუსებიც ერმიტაჟში არასოდეს ყოფილაო.

ი. მ. ლურიეს არგუმენტს გამანადგურებელი ძალა აქვს — პაულ შლიმანის მიერ დამოწმებული ჩანაწერები არასოდეს არსებულაო. თუმცა ამ საკითხის ირგვლივ კამათიც შეიძლება.

კ. კერამის უკვე მოხსენიებული წიგნის („ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები“) პოლონურ გამოცემაში მოთავსებულია ეგვიპტელ მეფეთა სია, რომელიც მეორე დინასტიის განმგებელთა შორის წარმოგვიდგენს ერთ ფარაონს, სახელად სენდის თუ სეტენესს. ეგვიპტურ სახელთა ტრანსკრიპციის გარკვეული სხვადასხვაობის ვითარებაში ისეთმა უმნიშვნელო დამორებად, როგორიცაა სენტი და სენდი წინასწარ საეჭვოდ არ უნ-

და აქციოს ამბის სინამდვილე. მანეთონის საქმეც ასეა დაახლოებით. მანეთონს მრავალი ეგვიპტოლოგი იმოწმებს, თუმცა იმასაც აღიარებენ — მისი ნაწერები ჩვენთვის უფრო მოგვიანო დროის ავტორთა ციტატებით არის ცნობილი. ოღონდ არც შლიმანს უთქვამს — პეტერბურგს ნაპოვნი ხელნაწერი მანეთონის ხელით შესრულებული ნაშრომიაო. ამასთან, ოქტომბრის რევოლუციამდე ერმიტაჟის გარდა პაპირუსების კერძო კოლექციებიც არსებობდა (გოლენიშჩევის, ლიხაჩოვის, ტურაევის და წერეთლისა) და პეტერბურგში ყოფნისას შლიმანს ამ კოლექციებითაც შეეძლო ესარგებლა.

წერილმანებში ჩაღრმავება ახლა იქნებ აღარც ღირდეს, რაკი ყველანი (მათ შორის დონელის ჰიპოთეზის ენთუზიასტებიც) იმ აზრს ეთანხმებიან, რომ „ნიუ-იორკ ამერიკენში“ დაბეჭდილი ამბავი ჩვეულებრივი ჟურნალისტური მონაჭორიაო. ოღონდ იმის გამო კი ღირს დაფიქრება — რა ამოქმედებდა ამ წერილის ავტორს, დანარჩენი დეტალები რატომ აღარ გვამცნო და ამ საკითხზეც რატომ აღარაფერი დაუბეჭდავს?

გამდიდრების წყურვილი არ უხდა ყოფილიყო მისთვის ბიძგის მიმცემი, რადგან ბაბუამ დიდძალი ქონება დაუტოვა შვილიშვილს. ვითომ იმის სურვილი — რამე ოჯახის ჯიბრით გავაკეთო? ვერც რაიმე პოლიტიკური მოტივების მიღევნებას დაეწამებთ ავტორს (რაც, სიტყვამ მოიტანა და გავიხსენოთ, პლატონს დასდეს ბრალად ატლანტისის საკითხთან დაკავშირებით).

იქნებ კაბუკური ანგლობა იყოს ეს ამბავი? ბაბუამისის ცხოვრების სხვადასხვა თარიღის შედარებით (1822 წელს დაბადებულმა ცოლი 1869 წელს შეირთო) ირკვევა, რომ 1912 წელს, ესე იგი როცა იწერებოდა ხსენებული სტატია, პაული ოცდაჯუთზე მეტის ვერ იქნებოდა. თუნდაც ამიტომ საეჭვოა, მას დრო ჰყოფნოდა საიმისოდ, რათა ექვს წელიწადს დაუცადებლად ემუშავა ეგვიპტეში, ცენტრალურ ამერიკასა და სხვადასხვა არქეოლოგიურ მუზეუმებში, მათ შორის პეტერბურგისაში, და, გარდა ამისა, დოქტორის ხარისხი მოეპოვებინა და ცოლიც შეერთო.

თუმცა მაინც შესაძლოა, რომ ამ იდუმალებით მოცულ ამბავში პოლიტიკურ მოსაზრებებსაც შეესრულებინა რაღაც რო-

ლი. პაულ შლიმანი დედის მხრივ ნახევრად ბერძენი იყო, მამის მხრივ კი ნახევრად გერმანელი. ცოლად ბერძნის ქალი შეირთო, მაგრამ, ამბობენ, გერმანელების მიმართ დიდი სიმპათიები ჰქონდაო. 1914 წლის ომის დაწყებიდან ვითომ გერმანელთა დაზვერვაშიც უთანამშრომლია. სიკვდილითაც ომის დროს მომკვდარა, ერთი ვერსიის თანახმად — რუსეთში, მეორე ვერსიის მიხედვით კი მოკავშირეებს დაუხვრეტიათ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. იქნებ „ნიუ-იორკ ამერიკენში“ დაბეჭდილი სტატია მისი ხელიდან არც გამოსულა და რაიმე პოლიტიკურ მაქინაციასთან დაკავშირებით შეითხზა...

ნიშანდობლივი ამბავია, რომ პაულ შლიმანის სახლეულთაგან დღემდე არავის დასცდენია სიტყვა ამ საკითხის გამო. მისი ქვრივი ცოლად გაჰყვა ბერძენ ცალდარისს (შემდგომში პრემიერ-მინისტრი რომ შეიქნა), ახლა სამოცდაათ წელს უნდა იყოს მიტანებული.

ნაწილი მეორე

ატლანტისი და გეობრუგია

Venient annis saecula seris
Quibus Oceanus vincula rerum
Laxet, et ingens pateat tellus
Tethysque novos detegat orbes
Nec sit terris ultima Thule.

Seneca, Medea

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ვინს ამ წყაროს წყალს იკვამებს, სიხილით მოკვდება

ატლანტის ოკეანე...

ჩვენი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნის შუა წლებში ლუციუს ანიუს სენეკა (უმცროსი) ტრაგედია „მედეას“ მეორე მოქმედებაში ატლანტის ოკეანის გამო ასე წერდა:

გარდავლენ წელნი, საუკუნეთ მრავალთა შემდგომ
საგანთა ხუნდებს ოკეანე შემუსრავს მიწაერი,
მზერას ვეება დედამიწა გადაეხსნება,
ახალ-ახალ ზღვებს გააცხადებს ქალღმერთი ტიფის!
და ფულას აღარ დასახავენ საზღვრად მიწისა.

ამ ნაწყვეტის ლათინური ტექსტი წინა გვერდზეა წარმოდგენილი ეპიგრაფად. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ეს სიტყვები საოცარი სიზუსტის წინასწარმეტყველებად არის მიჩნეული. ოლონდ სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა.

სენეკას მომავლის ხატი კი არ შეუქმნია, ეტყობა, წარსულის სურათი დაუხატავს. მისი სიტყვები წინასწარმეტყველურად მაშინ შეიძლებოდა მიგვეჩნია, პირველს მას რომ ეთქვა ამგვარი რამ და ჰერაკლეს სვეტებს გაღმა მდებარე დიდი მატერიკი მანამდე არ ყოფილიყო ნახსენები, იმდროინდელ ავტორი-

¹ ზღვის ქალღმერთი.

ტეტულ მეცნიერთა განსჯის საგნად რომ არ წარმომდგარიყო ის კონტინენტი.

სენეკას ნაშრომთაგან ცალკეული ფრაგმენტებილა შემორჩენილა, მიუხედავად იმისა, რომ საოცრად ნაყოფიერი ავტორი იყო როგორც პოეზიის, ისე ფილოსოფიის დარგში. ბუნებისმეტყველების პრობლემებსაც სწავლობდა. გეოგრაფიული ხასიათის აღწერილობებში სხვა ავტორთა მიერ წარმოდგენილ ცნობებსა და შეხედულებებს იყენებდა ხოლმე, პლატონის შრომებიც სცოდნია. ვითომც წინასწარმეტყველური სურათის წექმნის სტიმულად მას, შესაძლოა, ექცა სიტყვები მამამისის — ლუციუს ანიუს სენეკასი (უფროსის), რიტორიკის მასწავლებლისა, რომელიც ერთ თავის ნაშრომში („Suasoria“) წერდა:

„ყოველივეს საზღვარი დაუწესა ბუნებამ, რისთვისაც გარკვეული ფორმა მიუნიჭებია. ზღვარდაუდებელი არაფერია ქვეყნად, თავად ოკეანეც კი. ოკეანეში ნაყოფიერი მიწები რომ არის განფენილი, ოკეანის გაღმა რომ სხვა ნაპირები და სხვა ქვეყნიერება ამოზიდულა, ბუნების კანონები რომ არსად მთავრდება, არამედ ახალი სახით მოგვევლინება ხოლმე იქაც კი, სადაც, იტყოდით, ძალა აქვსო დაკარგული, — ეს ყოველივე ადვილი წარმოსადგენია...“

მამა-შვილის სიტყვები ერთიმეორეს ავსებს და თითქოს განამტკიცებს კიდევ რწმენას საიმდროოდ ცნობილი ქვეყნიერების ფარგლებს გარეთ სიცოცხლის არსებობისა, რაც ბევრს ეეჭვებოდა ალბათ. მათს სიტყვებს იმ აზრამდე მივყავართ, რომ ორთავეს სჯეროდა პლატონისეული ატლანტისის ამბავი და შესაძლოდ მიაჩნდა ატლანტისის ნაშთთა არსებობა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში დიდი ცოდნა არ ჰქონია სენეკას, ისე რომ მისი პირადი თვალსაზრისისთვის შეიძლებოდა არც გაგვეწია ანგარიში, მაგრამ საქმე ის არის, რომ იგი იმდროინდელ გეოგრაფთა შეხედულებებსაც იცნობდა. ამას ჩინებულად ადასტურებს „მედეას“ უკვე მოტანილი ციტატი, რომელიც, ზოგიერთის აზრით, ახალ მატერიკთა აღმოჩენის წინასწარმეტყველებას შეიცავს, სინამდვილეში კი იმ კონტინენტს იხსენიებს, რომლის გამო მანამდეც ამბობდნენ — ოდესღაც არსებობდაო.

პირველი ცნობები რაღაც იდუმალებით მოცულ კუნძულთა

შესახებ ბერძნულ ლიტერატურაში ჰომეროსთან და ჰესიოდესთან ჩნდება. ეს არის კუნძულ ერიტეაზე (იგივე ერიფია, ერიტრეა თუ ერიტორია) გერიონის ხართათვის, ხოლო ჰესპერიდების წალკოტებში — ჯადოსნურ ვაშლათათვის ჰერაკლეს მოგზაურობის მითები. აგრეთვე არგონავტებისა და ოდისეუსის თავგადასავალი. ამ „მოგზაურობათა“ ატლანტისის არსებობასთან მისასადაგებლად ის ფაქტიც ხელს შეგვიწყობს, რომ ძნელი დასადგენია, თუ როდის ხდებოდა ეს ამბები. მხოლოდ ოდისეუსის მიმოსვლის თარიღი შეიძლება განისაზღვროს ასე თუ ისე ზუსტად, რამდენადაც მისი მოგზაურობა დაიწყო ტროას დაცემის შემდეგ, ესე იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 1185 წლის მომდევნო ხანს, ჰომეროსის მიერ ამ ამბავთა აღწერამდე სამი საუკუნით ადრე.

ამაღვარ მოსაზრებებს ატლანტოლოგიურ ლიტერატურაში გვარიანი ადგილი ეთმობა ხოლმე. მსგავს გამოკვლევათა მიზანია დადგინდეს — ატლანტისის რაღაცნაირი ნაშთი ან კვალი ხომ არ არის მითებში ნახსენები სხვადასხვა კუნძულები თუ ქვეყნები, სადამდისაც მარტოოდენ ზღვის გზით მიისვლებოდა. პლატონის წინააღმდეგ მიმართული ძირითადი საბუთი ხომ ის იყო — გაუჩინარებული მატერიკი მანამდე არსად იხსენიებოდა.

არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ ტროა ნამდვილად არსებულა, რომ ტროას ომი ისტორიული ფაქტი ყოფილა, ხოლო ჰომეროსის მიერ ქალაქ ტროას აღწერილობა თურმე დეტალებითაც კი შეესატყვისება სინამდვილეს. ამრიგად, მოსალოდნელი იყო, რომ „ოდისეის“ მთავარი გმირის მოგზაურობაც უტყუარად იქნებოდა გადმოცემული. სამწუხაროდ, ჰომეროსის მიერ მოხსენიებულ ადგილებს ახლა ვეღარ ვაგნებთ რუკაზე.

ამას ძველადვე ჩიოდნენ. მიზეზი ის გახლავთ, რომ ჰომეროსისეული სახელწოდებანი ერთობ მოძველდნენ და არც ხმელთაშუა ზღვის აუზის, არც შავი ზღვის რაიონისა თუ ატლანტის ოკეანის სანაპიროს უფრო მოგვიანო ხანის ტოპონიმიკასთან მათი გაიგივება აღარ ხერხდება. ზოგიერთ ვისმე კი დიდად ეწადა ოდისეუსის მოგზაურობის მარშრუტები მიეჩნია ატლანტისისკენ შორეულ საზღვაო ლაშქრობად, ან იქნებ იმ მხარეთა ანარეკლადაც, მხოლოდ ფინიკიელთა მიერ მოთხრობილი ამბებით

რომ არის ცნობილი, ან კიდევ იმ დროის მოგონებად, როდესაც „შიდა“ და „გარე“ ზღვებში ატლანტთა ხომალდები მიმოვი-
ლოდა...

ოლონდ ჩვენ ასე გვგონია, ჰომეროსის გმირთა სავალი გზე-
ბი გამოჩენილი ბერძენი გეოგრაფის ერატოსთენეს (ჩვენს
წელთაღრიცხვამდე 276-194 წწ.) ნათქვამით მოინიშნა ყველაზე
უკეთ. მან განაცხადა — ჰომეროსს „არ სურდა“, რომ თავისი
მოგზაურობისას ოდისეუსს ცნობილი ადგილები მოეხილა, და
ამიტომ ამბობდაო: „ოდისეუსის გზა მაშინლა გაცხადდება, ოდეს
მიაკვლევენ ქართა გუდის მომგვირისტებელ ბადალს“. აქ ნაგუ-
ლისხმევია „ოდისეის“ ერთი თქმულება, რომლის თანახმადაც
ქართა მეუფემ ეოლოსმა ოდისეუსს ყოველი მხრის ქარებით
სავსე გუდა უძღვნა, მაგრამ ოდისეუსის ამხანაგებმა იფიქრეს—
ამ გუდაში განძი უნდა იყოსო, თავი მოხსნეს, და ყოველნი ქარ-
ნი იქით გაქროლდნენ, სადაც მართებთ მიწყივ ყოფნა, ესე იგი
ცისქვეშეთის სივრცეებში, ხოლო ხომალდები უცნობი მხარე-
ებისკენ გაემართნენ.

იმ საკითხის გარკვევაში—განზრახ წარმოგვიდგინა სწორედ
ამგვარად ჰომეროსმა თავისი გმირების მიმოსვლა, თუ მისი გე-
ოგრაფიული ცოდნით მეტი დაზუსტება ვეღარ ხერხდებოდა,
ჰეროდოტე მოგვეშველება ერთგვარად: „... სასაცილო სანახა-
ვია, მიწის აღმწერთაგან როგორ ვერც ერთმა ვერ შეძლო გო-
ნივრულად წარმოესახა დედამიწის პირი. მათი ნახაზის მიხედ-
ვით მიწას ოკეანე გარშემოედინება...“ „ვინც ოკეანის გამო მეტ-
ყველებს, ის უცნობ საგნებს ახლართავს განმარტებას, ამიტომ
მისი თვალსაზრისი განსჯადაც არ ღირს. მდინარე ოკეანე არ
არსებობს. მე მგონია, ჰომეროსმა თუ ძველი დროის პოეტთაგან
ვინმე სხვამ ეს სახელწოდება გამოიგონა და პოეზიაში დანერ-
გა“.

უნდა ვიფიქროთ, ერატოსთენესა და ჰეროდოტეს შეხედუ-
ლება საიმისოდ სავსებით საკმარისია, რათა უარი ვთქვათ ძვე-
ლი ქვეყნიერების ფარგლებს გარეთ მდებარე მატერიკების შე-
სახებ არსებულ ცნობათა ისეთ წყაროზე, როგორიცაა ბერძენ
პოეტთა ნაწერები. შემდგომში ჩვენ ბერძენ და ლათინ გეოგ-
რაფთა და ისტორიკოსთა თხზულებებს მივმართავთ მხოლოდ.
თუმცა მითოსის გავლენას არც ისინი ასცდენიან.

ერთი სიტყვით, ჰესპერიდების ქვეყანა...

ის ადგილი, სადაც ზევსმა და ჰერამ ჭორწინების პირველი თვეები გაატარეს... ჰესპერიდების წალკოტს უწოდებდნენ მას, ხანაც ჰესპერიდების კუნძულს. სადღაც ძალიან შორს მდებარეობდა, ქვეყნის კიდეზე, იქ, სადაც ჰელიოსი თავის დღიურ გზას ამთავრებდა და ოკეანის ტალღებში უჩინარდებოდა. სწორედ იქ დარგო ჰერამ გეას მიერ ნაჩუქარი ჯადოსნური ვაშლის ხე, ოქროს ნაყოფს რომ ისხამდა. ოქროს ვაშლთათვის გამგზავრება ერთ-ერთია ჰერაკლეს საგმირო საქმეთაგან.

ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში პლინიუს უფროსი თავის „ბუნებრივ ისტორიაში“ წერდა: აფრიკაში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე რომის კოლონიებს შორის მდებარეობს „კეისარ კლავდიუსის მიერ დაარსებული კოლონია ლიქსოსი. ძველად მრავალი თქმულება არსებობდა ამ მხარის შესახებ. აქ იყო ანთეოსის სასახლე, ჰესპერიდების წალკოტი, იქ შეერკინა ანთეოსი ჰერკულესს. იქ ზღვა კლაკნილ ხანად არტყია ნაპირს და, როგორც ახლა ფიქრობენ, იმ ხაზით მოდარაჯე დრაკონი გამოისახება. ზღვა ყოველი მხრიდან ადგას კუნძულს, რომელიც უფრო მაღლაა აზიდული და ტალღებით არ იფარება. კუნძულზე არის ჰერკულესის სამსხვერპლო, და ველური ზეთისხილის გარდა აღარაფერი გადარჩენილა იმ მტრიდან, ოქროს ნაყოფს რომ ისხამდა ნაამბობის თანახმად. ჰემშარტად, ნაკლებ გაგაოცებს ბერძენთა მიერ მოთხრობილი საკვირველი ამბები... როცა იფიქრებ, რომ ჩვენი მწერალნი ახლაც არანაკლებ საარაკო ამბებს ჰყვებიან ხოლმე: ვითომ იქ ძლიერი ქალაქი იყოს, თვით კართაგენის უდიდესი, და თითქოს კართაგენის საპირისპირო მხარეს მდებარეობდეს ტინგიდან ლამის განუზომელ მანძილზე. კორნელიუს ნეპოტს ესეც და სხვა ამგვარი ამბებიც გულით სჯეროდა...”

ლიქსოსი და ტინგი, აწინდელი ლარაში და ტანქერი (ჩრდილო მაროკოში, ატლანტის ოკეანის ნაპირას), ფინიკიელთა ყოფილი კოლონიებია. აქ ნახსენები კუნძული აფრიკიდან არც თუ ისე შორს მდებარეობს.

წმიდა თუ კურთხეული, ან კიდევ ბედნიერი კუნძულებიც იხსენებოდა. ეს კუნძულები იმათი საოცნებო იყო, ვისაც დღენიადაგ საზრუნავით აღსაესე ცხოვრება მოსძაგებოდა და ვისაც

ეწადა უშფოთველად დაელია ღღენი. მათთვის ოცნებობდა აგრეთვე სერტორიუსი — პირენეს ნახევარკუნძულზე რომაელთა საწინააღმდეგო ამბოხების ბელადი სულას დროს. რომიდან ესპანეთს ლტოლვილი ზღვაოსნებს შეეყარა და მათგან შეიტყო ასავალ-დასავალი ატლანტის ოკეანეში მდებარე კუნძულებისა, „სადაც ნაზი ნიავეი ელამუნებოდა მიდამოს, სადაც არავინ იცოდა, თუ რა იყო საზრუნავი და მონობა“.

კურთხეულ კუნძულებს არისტოტელეც ახსენებს და წერს — ეს კუნძულები კართაგენელებმა აღმოაჩინესო ჰერაკლეს სვეტებს მიღმა. მიწა იქ დიდად ნაყოფიერი ყოფილა და ჩასულებს იმდენად მოსწონებიათ, რომ კართაგენის ხელისუფლება იძულებული გამხდარა სიკვდილით დასჯის მუქარით აეკრძალა იქ დასახლება. შიში გასჩენიათ — ყველა კართაგენელი იმ კუნძულებზე გადასახლდება და ქვეყანა უხალხოდ დარჩებაო.

„De mirabilibus auscultationibus-ში“ არისტოტელე გვამცნობს — ჰერაკლეს სვეტებს იქით ოთხი დღის სავალზე ოკეანეში არის წყალმცენარეებით დაფარული ადგილი, მათი ფესვები ზღვის ზედაპირქვეშეა განფენილი და მოქცევის დროს წყალში უჩინარდებაო. არისტოტელე იმ ადგილს მეტად აღარ აზუსტებს, ამიტომ ზოგნი ფიქრობენ, რომ ეს უნდა იყოს სარგასის ზღვა — წყალმცენარეებით მოფენილი ვეება სივრცე ატლანტის ოკეანისა. შესაძლოა არისტოტელესეული აღწერილობა ფინიკიელ ზღვაოსანთა მონათხრობს ემყარებოდეს: კონკურენტთა გაჩენის შიშით ისინი განზრახ თხზავდნენ ზღაპრებს იმის თაობაზე, თუ რა საფრთხე ემუქრებოდათ მოგზაურთ ოკეანეში.

ატლანტისის ყველაზე ადრინდელ, პლატონის უწინარეს აღწერად შესაძლო იქნებოდა მიგვეჩნია „ეთიოპიის ისტორიის“ ავტორის მარცელუსის მიერ მონათხრობილი ამბავი, მაგრამ ამ საქმეში დაბრკოლებას ის გვიქმნის, რომ მისი წიგნი დაკარგულია. დარჩა მხოლოდ მისი ხსენება ზემოთ უკვე დამოწმებული ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის პროკლეს შრომაში. პროკლეს თუ ვერწმუნებით, მარცელუსი წერდა, რომ „ატლანტის ოკეანეში მდებარე ზოგიერთი კუნძულის მცხოვრებთ ხსოვნაში შემორჩენიათ თავიანთ წინაპართა მიერ მონათხრობი ამბები უჩინარად“.

ვეულოდ დიდი კუნძულის — ატლანტისის შესახებ; ეს კუნძული პოსეიდონს ეკუთვნოდა და იქ მდებარე ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში ფლობდა ოკეანის ყველა დანარჩენ კუნძულს“. გარნა მარცელუსის ციტატები პროკლეს მოჰქონდა ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნეში და ამის გამო მის მოწმობას ფასი ეკარგება.

თითქოს უფრო სანდო უნდა ყოფილიყო პლატონის თანამედროვე ბერძენი ისტორიკოსის თეოპომპე ქიოსელის (ძველი წელთაღრიცხვით 376-305 წლები) მონათხრობი. მაგრამ მასაც მეორეული წყაროს მეშვეობით ვიცნობთ. მისეულ ამბებს თავის „ნაირფერ ისტორიებში“ გადმოგვცემს ჩვენი წელთაღრიცხვის II-III საუკუნეთა მიჯნაზე მცხოვრები რიტორიკის მოძღვარი კლავდიუს ელიანუსი.

„თეოპომპე, — ასე იწყებს თხრობას ელიანუსი, — მოიხსენიებს ფრიგიელი მიდასის საუბარს სილენთან“.

სილენი ნიმფას შვილი გახლდათ, ესე იგი თავისი ბუნებით ღვთაების უდარესი, ოღონდ კაცის უმჯობესი კი იყო; გარდა ამისა, მას უკვდავებაც ჰქონდა მიმადლებული. სხვა ამბავთა გარდა მან შემდეგიც მოუთხრო მიდასს:

„ევროპა, აზია და ლიბია ოკეანით გარშემორტყმული კუნძულები იყო ოდესღაც. ერთადერთი მატერიკი ამ ქვეყნიერების გარე მდებარეობდა. ერთობ დიდი იყო ის მატერიკი და ვეება ცხოველები ბუდობდნენ იქ. ადგილობრივი მოსახლენიც ჩვენი მიწაწყლის ხალხს სიდიდით ორჯერ აღემატებოდნენ. იმ ქვეყანაში ბევრი დიდი ქალაქი იყო, სულ სხვა კანონები და ადათ-წესები ჰქონდათ, ჩვენსას არ ჰგავდა. თავისი სიდიდით ორი ქალაქი გამოირჩეოდა განსაკუთრებით, თუმცა სიდიდის გარდა არაფერი ჰქონდათ საერთო იმ ქალაქებს. ერთ მათგანს „საბრძოლო“ ეწოდებოდა, მეორეს — „სამშვიდობო“. მეორე ქალაქის მოსახლეობა უშფოთველად და შეძლებულად ცხოვრობდა. მიწის ნაყოფს უგუთნოდ და უხარებოდ, უხვნელ-უთესველად მოისთვლიდნენ. ავადმყოფობა რა იყო, არ იცოდნენ, და მთელი შათი ცხოვრება ერთი გაბმული დალხინება იყო და სიხარული. დანაშაულს და ცოდვას არ ჩადიოდნენ და ღმერთები დიდად უფასებდნენ ამ ამბავს. პირველი, საბრძოლო ქალაქის მკვიდრნი, პირიქით, შფოთისთვის იყვნენ განწყობილნი, იარაღის

ამარება იცოდნენ, სულ მუდამ იმის ცდაში იყვნენ, როგორმე მეზობლები დაემორჩილებინათ, რათა მათი ქალაქი მრავალ ხალხს გაბატონებოდა. ორ მილიონამდე სული ბინადრობდა ამ ქალაქში. იშვიათად კი, მაგრამ ზოგიერთები ომში მიღებულ ჭრილობებს მაინც ეწირებოდნენ, ოღონდ რკინა ვერას ვნებდა მათ, ქვითა და ჯოხით თუ მოიწყვლებოდნენ. ოქრო და ვერცხლი სამყოფად ჰქონდათ და იმაზე ნაკლებად აფასებდნენ, ვიდრე ჩვენ ვაფასებთ რკინას. ოდესღაც, — ჰყვებოდა სილენი, — მათ მოიწადინეს ჩვენს კუნძულებსაც დასხმოდნენ თავს, ოკეანის გამოღმა ათი მილიონი კაცი გადმოსხეს და ჰიპერბორეელთა მიწებს უწიეს. გარნა რა დარწმუნდნენ — ეს ხალხი სვებედნიერი კი არის, ოღონდ ღარიბია და სილატაკეში ცხოვრობსო, იმდენად შეიზიზღეს, რომ უარი თქვეს ლაშქრობის გაგრძელებაზე...“

ამის შემდეგ სილენის მიერ მოთხრობილი ამბავი კიდევ უფრო საარაკოა. მათს ქალაქებში მეროპებად წოდებული ხალხი ბინადრობსო. სამფლობელოს საზღვარზე ერთი ადგილი არის, ანოსტოს ჰქვია, ისეთ ხერელს ჰგავს, სინათლევ რომ არ უწევს და არც სიბნელეა, მრუმე მეწამული ჰაერით არისო ავსებული. იმ ადგილს ორი წყალი ჩამოუდის თურმე. ერთს სიხარულის მდინარეს უწოდებენ, მეორეს — მწუხარებისას. ამ მდინარეთა პირას დიდრონი ხეხილი ხარობს. ვინც მწუხარების მდინარესთან აღმოცენებულ ხეთა ნაყოფს გაუსინჯავს გემოს, ცრემლად დაიღვრება და სიკვდილამდე მტირალი იქნება. ხოლო სიხარულის მდინარის პირას მდგარ ხეთა ნაყოფს სულ სხვა თვისებები აქვს — მათი მგემებელი სენთაგან მყისვე განიკურნება, ყოველსავე დაივიწყებს, რაც კი მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა, და გაახალგაზრდავებანს დაიწყებს, ვიდრე ბავშვის ასაკს არ მიადწევს — ბერიკაცი მოწიფულ კაცად იქცევა, მერე ჰაბუკად, ყრმად, ბალლად და თავისთა ღღეთა ზღვარს მიატანსო. ვისაც ნებავს, სინამდვილედ მიიჩნიოს თეოპომპეს ეს მონათხრობი, „ჩემის აზრით კი ამ ამბითაც და სხვა ქმნილებებითაც იმას გვიმტკიცებს, რომ კარგ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის“, — დაასკვნის ელიანუსი.

გარნა ატლანტოლოგნი თეოპომპეს (უფრო სწორად — ელიანუსის) მონათხრობს არგუმენტად იყენებენ იმათ წინააღმდეგ,

ვინც ამტკიცებს — არც პლატონის დროს, არც მანამდე ატლანტიდის ამბავი არავის სმენოდაო.

თეოპომპეს მონათხრობის ცალკეული ფრაგმენტები მოგვავინებს ნაწყვეტს რომელი გეოგრაფის პომპონიუს მელას წიგნისა „De situ orbis“ („დელამიწის აღნაგობისათვის“), რომელიც მას ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის პირველ ნახევარში დაუწერია. ამ წიგნს XVI საუკუნეშიც, ესე იგი ამერიკის აღმოჩენის შემდეგაც კი, ქვეყნიერების შესახებ არსებული ცოდნის წყაროდ მიიჩნევდნენ. ბედნიერ თუ ნეტარ კუნძულთა აღწერისას იქაც არის ნახსენები ორი ჯაღოსნური წყარო.

„სანაპიროს მზით გადაბუგული ნაწილის პირდაპირ არის კუნძულები, რომლებიც, გადმოცემის თანახმად, ჰესპერიდებს ეკუთვნით. სილიან სივრცეში ატლანტის მთა წამომართულა. ყოველმხრივ გამოშვერილი კლდენი მიუვალს ხდიან ამ მთას, ზედა ნაწილი წაწვეტილი აქვს, მისი მწვერვალი არ იხილვება, ღრუბლებს არის აშორებული. ამბობენ, არათუ სწვდება ცასა და ვარსკვლავებს, მათ საყრდენადაც არისო შედგმული.

ამ მთის მოპირისპირე მხარეს ნეტართა კუნძულებია. იქ თავისით ამოიზრდება ერთიმეორის მომყოლი ნაყოფი, რომელსაც საზრდოდ ხმარობენ კუნძულთა მოსახლენი. იმ ხალხს საზრუნავი არ აწუხებს და დიდებულ ქალაქთა ბინადრებზე უკეთ ცხოვრობს. ერთი კუნძულთაგანი იმით არის შესანიშნავი, რომ ორი საკვირველი წყარო გამოედინება: პირველის მგემებელს სიცილი აუტყდება და შეიძლება სიცილით მოკვდეს კიდევ. საკმარისია მეორე წყაროს წყალი შესვას, რომ სიცილმა გადაუაროს“.

წმიდა კუნძულებს ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნის რომაელი პოეტი რუფუს ფესტუს ავიენუსიც იხსენიებს. ძველ ბერძენ ავტორთა ნაშრომებს დამყარებულ თავის წიგნში „ზღვის სანაპიროს აღწერა“ იგი მოგვითხრობს ბრიტანეთის კუნძულთა ნაპირებისკენ კართაგენელთა გალაშქრებას ჰიმილკონის წინამდგომობით. ამ დოკუმენტს დღეს დიდი ღირსება აქვს. ავიენუსი წერს:

„აქედან წმიდა კუნძულამდე — ასე ეწოდა მას ძველად — ზომალდით ორი დღის სავალია. ის კუნძული განივრად არის ამოზიდული წყლიდან და მასზე გიერნთა ტომი ცხოვრობს. მის

მახლობლად ალბიონთა ტომის კუნძულია გადაშლილი. ტარტე-
სის მკვიდრთ ჩვეულებად ჰქონდათ ესტრიმინიდის ფარგლებში
ევაჭრათ. ხოლო კართაგენის მცხოვრებნიცა და ჰერაკლეს სვე-
ტებთან მოსახლენიც არაერთხელ შეცურებულან ამ ზღვებში.
პუნიელი ჰიმილკონი, რომელიც გვაუწყებს — ეს ყოველივე
თავადვე გამოვცადე, როცა იქამდე გაჭირვებით ჩავალწიეო, ამ-
ბობს — ოთხ თვეში თუ შეიძლება ამ გზის გავლა, ქარი არ
ქრის, რომ ხომალდი მისით იძვროდეს, წყლის ლუბრმა ზედაპი-
რი უძრავად დგასო. ამას უნდა დაემატოს შემდეგი: მორევთა
წიად მრავლად იზრდებიან წყალმცენარენი და ტყეში აშლილი
შამბნარივით ხომალდის ძვრას აბრკოლებენ ხოლმე. ამასთან,
მისივე თქმით, იქ ზღვაც არ არის ღრმა და თხელი წყალი მიწას
ძლივს ფარავს. ზღვის ცხოველთა გუნდებიც ხშირად გვხვდება
იქ და ტაატრით მიმავალ ხომალდთა შორის ზღვის ურჩხულები
მიმოიძვრიან“.

თავის ნაშრომში „Moralia“ იდუმალ მატერიკს ბრიტანეთის
კუნძულებიდან დასავლეთით ხუთი დღის სავალზე ათავსებს
ბერძენი პლუტარქე (ჩვენი წელთაღრიცხვის 46-120 წლები).
პლუტარქეს თანახმად, ეს იყო ერთი ტიტანთაგანის, ზევსისა
და პოსეიდონის მამის — კრონოსის კუნძული. ეს არ ეწინააღ-
მდეგება პლატონის მონათხრობს, რომლის მიხედვითაც ატლან-
ტისი პოსეიდონს ეკუთვნოდა. პლუტარქეს ცნობა ღვთაებათა
შორის სამყაროს განაწილების უწინარეს პერიოდს ეხება, რა-
საც მომდევნო სტრიქონები ცხადყოფს: „სადაც იქ უნდა ყო-
ფილიყო კუნძული ოგიგია, სადაც თავის დროზე ზევსს კრო-
ნოსი ჰყოლია პყრობილი. ხანი რომ გასულა, მძლეველი ზევსი
ძლეულ კრონოსს დაზავებია და მაშინ კრონოსი ბედნიერ კუნ-
ძულებზე დამკვიდრებულა სამუდამოდ“.

ჰომეროსიც ახსენებს კუნძულ ოგიგიას. ოდისევსის ხომალ-
დი მის ნაპირას დამსხვრეულა და ნიმფა კალიპსოს იქ უნახავს
ოდისევსი. გარნა ჩვენ უკვე ვთქვიო — ჰომეროსს აღარ მივუბ-
რუნდებითო...

ატლანტოლოგიათავის განსაკუთრებით ღირებულია იული-
ოს კეისრის დროინდელი რომაელი ისტორიკოსის დიოდორე
სიცილიელის ნაშრომი „ბიბლიოთეკა“. ეს ნაშრომი ორმოცამ-
დე წიგნისგან შედგებოდა, ჩვენს დრომდე მათი ნახევარიღა

შემორჩენილა. მრავალი სხვა ავტორის მსგავსად, დიოდორე სიცილიელსაც გამოუყენებია ადრინდელი შრომები, ოღონდ, სხვათაგან განსხვავებით, ის არ ასახელებს თავის წყაროებს. მისი ნაშრომები გეოგრაფიული ხასიათის მრავალ ცნობას შეიცავს, თუმცაღა ეს არის მსოფლიო ისტორია „ქვეყნის დასაბამიდგნ“ იულიოს კეისრის ხანამდე.

მიუხედავად იმისა, რომ „ბიბლიოთეკა“ ორიგინალური ნაშრომი არ არის (ან იქნებ სწორედ ამიტომაც), მაინც მიზანშეწონილია მისი შეტანა ატლანტისის მომხსენიებელ ანტიკურ ავტორთა ნაწარმოებების სიაში.

ჩვენს დრომდე მოღწეულ მესამე წიგნში დიდი ადგილი უჭირავს ამორძალების ამბავს; ამათ დაულაშქრავთ ატლანტები — ბარაქიან მიწაზე მოსახლე და დიდ-დიდ ქალაქთა მქონე უაღრესად უწყინარი ხალხი.

ხოლო „ბიბლიოთეკის“ მეხუთე წიგნში ამგვარ აღწერას ვხვდებით:

„ჭერაკლეს სვეტებს გამოღმა მდებარე კუნძულების გაცნობის შემდეგ ოკეანის კუნძულებზე გადავიდეთ. ლიბიის დასავლეთით, აფრიკასთან უფრო ახლოს, ოკეანის სივრცეში უდიდესი კუნძული არის განფენილი. იქაური მიწა ნაყოფიერია, თუმცა მთავორიანი კი არის ის მხარე, სანაოსნო მდინარეებით რომ ირწყვება. ტყიან ადგილას სხვადასხვაგვარი ხეები ხარობს უხვად, ხოლო აურაცხელი წალკოტი ნაყოფსავსება. სოფლებიც აგრეთვე მდიდრულად არის გაშენებული...“

ამ ქვეყნის მთიან მხარეში მრავლად არის ტყეები, რომლებშიც ნაირგვარი მსხმოიარე ხე შეგხვდებათ... კუნძულზე ბევრი წყაროა, რომელთა წყალი წყურვილს კი არ კლავს მხოლოდ, ჯანმრთელობისთვისაც მოსახდენია. ნადირიც მრავლადაა მოსანადირებლად და მათი ხვერიელობა სიხალისისა და სიმდიდრის ელფერიით ამშვენებს ხოლმე ლხინს. კუნძულის ირგვლივ ზღვა თევზით არის სავსე... ჰავა ფრიად კეთილია... ბოლოს, იმ კუნძულზე იმდენად მშვენიერია ცხოვრება, რომ იტყვიot — იქ კაცნი კი არა, ღვთაებანი უნდა სახლობდნენო.

დანარჩენი ქვეყნიერებისგან დაშორების გამო წინათ ის კუნძული ცნობილი არ ყოფილა. შემთხვევით წააწყდნენ. ფინიკიელი ვაჭრები ძველთაგანვე ზღვით მიმოდრიოდნენ ხოლმე.

ამიტომ მხოლოდ აფრიკაში კი არა, ევროპის დასავლეთით მდებარე მხარეებშიც დაესახლენ ისინი. რაკი ხელიც მოემართათ. ჰერაკლეს სვეტებსაც გასცდნენ და ოკეანედ წოდებულ ზღვაში შეეცურეს. მანამდე კი სვეტების ახლოს, სოუტესთან, ევროპის ნახევარკუნძულზე ქალაქი გაღირი (კადიქსი) დააფუძნეს და იმ ქალაქში ჰერაკლეს სახელზე ააგეს დიდებული ტაძარი, სადაც მსხვერპლს სწირავდნენ ხოლმე ფინიკიელთა ჩვეულებისამებრ. ის ტაძარი კვლავინდებურად წმიდა ადგილად არის მიჩნეული, ისე რომ თვით წარჩინებულნი რომაელებიც დიდთა საქმეთათვის ხელის მიყოფამდე იმ ტაძარში აღთქმას დებდნენ ხოლმე და, საქმის კეთილად დაგვირგვინების შემდგომ, აღთქმასაც აღასრულებდნენ. ერთხელ აფრიკის გასწვრივ მცურავი ფინიკიელი ქარიშხალმა შორს გაიტაცა ოკეანეში და გზააბნეულნი ბოლოს იმ კუნძულს მიაღგნენ. იმ მხარის დოვლათიანობის ამბავი რომ შეიტყვეს, სხვებსაც ამცნეს ეს ყოველივე. ამიტომ ზღვაოსანმა ტირენელებმაც¹ განიზრახეს იქ დამკვიდრება. მაგრამ მათ წინააღმდეგნენ კართაგენელები, რომელებიც იმას უფრთხოდნენ, რომ იმ კუნძულზე უზრუნველად ცხოვრების იმედით ცდუნებული მათი მოქალაქენი იქ არ გადასახლებულიყვნენ, და, გარდა ამისა, კართაგენელებს სურდათ, ვინცობაა მოულოდნელი საშიშროება დასტეხოდათ, მზა თავშესაფარი ჰქონოდათ მარჯაფად. იმედოვნებდნენ — თუკი ხომალდები გვექნა, მტერთათვის უცნობ კუნძულზე გახვეწას ყველანი შევძლებთო“.

კიდევ მრავალი სხვა ციტატიც შეგვეძლო მოგვეტანა ბერძენ და რომაელ ავტორთა თხზულებებიდან, რომლებშიც ოკეანესთან ხმელთაშუა ზღვის შემაერთებელი სრუტის გაღმა მდებარე რაღაც საკვირველი ქვეყნები თუ კუნძულები არის ნახსენები.

მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას ავიენუსის, პომპონიუს მელასა და დიოდორეს ცნობები იმსახურებს. მათი მტკიცებით, აფრიკიდან რამდენიმე დღის სავალზე ძველთაგანვე დასახლებული რაღაც კუნძული უნდა მდებარეობდეს. მათს რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე პლინიუსი, რომელიც მოგვითხრობს — ჰესპერიდების ქვეყანა დასავლეთ აფრიკაში

¹ ეტრუსკებმა. — მთარგმნელის შენიშვნა.

მდებარეობსო. დასახელებულ ავტორებს თავიანთი სიცოცხლის ნაწილი ან ესპანეთში, ან კიდევ დასავლეთ აფრიკაში (იმხანად რომის კოლონიებში) გაუტარებიათ, რის გამოც მათ მიერ მოთხრობილი ამბები გინდაც „პირველწყაროდან“ იყოს აღებული, თითქოს „მოწმენი“ მოგვითხრობდნენ ამ ამბებს. ამჟერად მათი მისამართით ვერ გავიმეორებთ პოლონურ ანდაზას — მოწმესავით ტყუისო, რადგან „წმიდა კუნძულთათვის“ მონათხრობი ამბები ნალდი სიმართლეა (თუკი, რალა თქმა უნდა, არად ჩავაგდებთ კუნძულისა თუ კუნძულთა სახელწოდებებს, როგორც არაარსებითს დეტალს). აფრიკიდან იმ მანძილზე ატლანტის ოკეანეში მართლაც მდებარეობს კუნძულები: ეს არის კანარის არქიპელაგის კუნძულები, ცოტათი ჩრდილოეთით — კუნძული მადეირა, ხოლო კიდევ უფრო ჩრდილოეთით, პერაკლეს სვეტების საპირისპირო მხარეს, თითქმის იქვე, სადაც, პლატონის თქმისამებრ, ატლანტისი იყო განფენილი, — აზორის კუნძულები. კანარის კუნძულთა სამხრეთით, აფრიკიდან მცირე მანძილზე, სულ „რამდენიმე დღის სავალზე“ კიდევ ერთი არქიპელაგი გვხვდება — მწვანე კონცხის კუნძულები. მათი არსებობის ამბავი ბერძენმა და რომაელმა გეოგრაფებმა უცხოელ ზღვაოსანთა მონათხრობით თუ იცოდნენ, რამდენადაც, ერატოსთენეს ნათქვამის არ იყოს („გეოგრაფიაში“), „ძველად ხალხი სამეკობროდ ან სავაჭროდ ამგზავრებისას შეცურდებოდა ხოლმე ზღვაში, ოღონდ ღია ზღვაში კი არა, მხოლოდ მატერიკის ნაპირ-ნაპირ მიმოვიდოდნენ“. ღია ზღვას ფინიკიელი მეზღვაურნი თუ შებედავდნენ და იქიდან მობრუნებულნი მხოლოდ იმას ჰყვებოდნენ, რაიც მათს საკუთარ ინტერესებს შეესაბამებოდა.

დიოდორეს ნაშრომში პირველად მოიხსენიებიან ატლანტეები, როგორც ოკეანეში მდებარე კუნძულთა მცხოვრებნი. ოღონდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ დიოდორე პლატონიდან 300 წლის შემდეგ ცხოვრობდა და სწორედ მისივე დიალოგებიდან შეეძლო გადმოეღო სახელწოდება იმ კუნძულზე მოსახლე ხალხისა, რომლის არსებობაც მან სხვა წყაროებით იცოდა.

ატლანტისს ჰეროდოტეც ახსენებს ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის მცხოვრებლების ამბავთა გადმოცემისას.

„უშუალოდ ბორცვებს იქით არის მთა, სახელად ატლანტი.

ვიწრო და ყოველმხრივ მომრგვალებულია ის მთა; ამბობენ, იმ ზომამდე მაღალია, წვერი არც უჩანს, რადგან მუდამ, ზამთარ-ზაფხულ დაფარული არისო. გადამთიელთა თქმით, ეს ის სვეტია, რომელსაც ზეცა ემყარება. მთის სახელის მიხედვით იქაური მკვიდრნი ატლანტებად იწოდებიან. ამბობენ, ისინი სულიერს არაფერს ჰამენ და არც სიზმრებს ხედავენო.

ატლანტებამდე ქვიშიან არეზე მცხოვრები ხალხები შემოიძლია სახელდებით მოვიხსენიო, ხოლო იმის იქით მოსახლეთა არაფერი ვიცი. ქვიშიანი თხემი ჰერაკლეს სვეტებამდე უწევს და მათ გადაღმაც გრძელდება. ამ თხემზე ატლანტებიდან ათი დღის სავალზე მარილის მალარობია და იქვე ხალხიც ბინადრობს. ყველა მათგანს მარილის ლოდებით აქვს აგებული სადგომი“.

ამას პომპონიუს მელაც იმეორებს ხუთასი წლის შემდეგ:

„იმ მხარეთა გადაღმა, რომლებსაც ლიბიის ზღვა აქვთ გარემომდგარი, ლიბიელი ეგვიპტელნი, ლეეკო-ეთიოპები და გეტულები სახლობენ. გეტულები ხალხმრავალნი არიან. ამას აკრავს ვრცელი და დაუსახლებელი მხარე. შემდეგ, თანახმად ჩვენს ხელთ არსებული ცნობებისა, გარამანტებით, ავგილებით, ტროგლოდიტებითა და ატლანტებით დასახლებული ტერიტორიებია (ეს ჩამოთვლა ყველაზე აღმოსავლეთით მცხოვრები ხალხით დავიწყეთ და უკიდურეს დასავლეთში მოსახლეებით დავასრულეთ)“.

და სხვა ადგილას:

„ამბობენ, უდაბნოს იქით ატლანტთა ტომი ცხოვრობსო. მზის ყოველ ჩასვლა-ამოსვლაზე ატლანტები მას წყევლიან, რადგან მზე უამიანობას უქადის ხალხსაც და მათს ყანებსაც. ატლანტთაგან ცალკეულ პირთ სახელი არ ჰქვიათ, ხორცს არ ეკარებიან და, ყველა სხვა მოკვდავისგან განსხვავებით, სიზმართა ხილვის ნიჭი არა აქვთ მიმადლებული“.

მელას თანამედროვე პლინიუს უფროსიც თითქმის ამასვე წერს:

„...მათს სიახლოვეს ატლანტები, ნახევრად ველური ეგიპტები, ბლემიელნი, გამფასანტები, სატირები და გიმანტოპოდები ცხოვრობენ. მწერლებს თუ ვერწმუნებით, ატლანტებს ადამიანური ჩვევები არ უნდა გააჩნდეთ: ერთიმეორეს სახელით

არ მიმართავენ, მზის ჩასვლა-ამოსვლას თავიანთი თავისა და თავიანთი ყანების დამაქცეველ ამბად მიიჩნევენ, მზეს საშინლად წყევლიან და ძილში იმასვე ვერ ხედავენ, რასაც დანარჩენი მოკვდავნი“.

რასაკვირველია, ჩრდილო აფრიკელი ატლანტები პლატონისა და დიოდორეს ატლანტები არ არიან. და ეს ციტატებიც იმიტომ მოგვაქვს, რათა მკითხველმა თავად განსაჯოს, თუ რა ფასი აქვს ძველ მწერალთა მიერ მონათხრობ ამბებს, რომლებიც ერთიმეორის ზუსტი ასლებია. მათი კითხვისას გინდაც ლაბირინთის ტალანებში დავბოროილებდეთ წინასწარ დარწმუნებულინი, რომ რამდენიმეგზის გვიწევს ერთსა და იმავე ადგილას გავლა.

ოლონდ ზოგიერთ ატლანტოლოგს მაინც ჰგონია — ამ ლაბირინთში ისეთ გზას დავადექით, რომელიც ატლანტისთან მიგვიყვანსო.

მაგალითად, ბორჰარდტი („Platos Insel Atlantis“ 1927) ამტკიცებს — ატლანტისი აწინდელი ტუნისის ტერიტორიაზე მდებარეობდაო. მის სამხრეთ ნაწილში ამჟამად ორი ტბა არის. და ეს ტბები, მეცნიერულ გამოკვლევათა თანახმად, ძველი ზღვის ნაშთს წარმოადგენს. ამ ტბასა თუ ზღვაში უნდა ყოფილიყო კუნძული. მის გამო ჰეროდოტე ასე წერდა:

„ლოტოფაგებს ზღვის ნაპირის გასწვრივ მახლის ტომი მოსდევს. ესენიც ლოტოსს ხმარობენ საზრდელად, ოლონდ ზემოხსენებულ ხალხზე ნაკლები რაოდენობით. ისინი სახლობენ დიდ მდინარემდე, ტრიტონი რომ ეწოდება და დიდ ტბას — ტრიტონიდას რომ ერთვის. ტბაზე ფლად წოდებული კუნძულია“.

ამჟამად ის ტბები, ანუ როგორც მათ უწოდებენ, „შოტები“, — შოტ მელეგირი და შოტ ჯერიდი, — თხელი, მლაშე ქაობებია, ადრეულ ისტორიულ ხანაში კი ორივე სანაოსნო იყო.

ატლანტისის სწორედ ამ მხარეში დამებნის მხარდამქერ არგუმენტად ბორჰარდტს მოაქვს ცნობა დიოდორესი, რომელიც ატლანტებით დასახლებული კუნძულის კატასტროფის გამო არას ამბობს (თუმცა ამორძალებთან მათს ბრძოლას დაწვრილებით აღწერს), მაგრამ ტბაზე მდებარე კუნძულისთვის თავს

დამტყდარ უბედურებას კი იხსენიებს: „ტრიტონიდის ტბა, როგორც ამბობენ, მიწისძვრის შედეგად გაუჩინარებულა...“

ბორჰარდტს სხვა არგუმენტებიც აქვს. მისი ატლანტისიცი, ისევე როგორც პლატონისეული, ჰერაკლეს სვეტებს მიღმა მდებარეობს. ოღონდ აქ სხვა სვეტების თაობაზეა ლაპარაკი. ჰეროდოტეს ცნობით, კუნძულ ფლაზე ათენას განთქმული ტაძარი მდგარა. ბორჰარდტი ამტკიცებს — ეს ტაძარი იმ ადგილას იყო აგებული, სადაც ჰესპერიდების ქვეყნისკენ გამგზავრებული ჰერაკლე შეჩერდა და თავადვე აღმართაო იმ ტაძრის სვეტები. მაშასადამე, „ჰერაკლეს სვეტები“ მართლაც სვეტებად არსებულა და ჰერაკლეს პატივსაცემად მათ სხვა ტაძრებშიც აღმართავდნენო.

ბორჰარდტის თეორიას მრავალი მომხრე ჰყავს, თუმცა მისი უარყოფა არაა ძნელი. შესაძლოა ის ტბა ატლანტისთან ერთად არსებულიყო. ხოლო ისეთ კატასტროფას, ოკეანეში მდებარე კუნძული რომ ჩაძირა და საბერძნეთსა თუ სხვა ქვეყნებში მიწისძვრები გამოიწვია, აფრიკის ამ რაიონშიც შეეძლო გარემოსთვის სახის შეცვლა. ბორჰარდტის თეორია თითქოს სავსებით შეესატყვისება დიოდორეს მონათხრობს ატლანტთა და ამორძალთა ომის თაობაზე, რადგან დიოდორე ამორძალთა ქვეყანას ჩრდილო აფრიკაში ათავსებს. გარნა ზოგიერთს ეს ამბავი დიდ შეცდომად მიაჩნია. ბერძნული მითების მიხედვით ხომ ამორძალებს მცირე აზიაში უნდა ეცხოვრათ, შავ ზღვაში ჩამდინარე თერმოდონის ნაპირებზე.

თუმცა ამ შემთხვევაშიც ანტიკური გეოგრაფია ისეთ ძაფს გვაძლევს ხელთ, რომლის მიყოლითაც შევეცდებით ლაბირინთიდან გამოსასვლელის პოვნას: თერმოდონის სახელწოდებით თურმე ორი მდინარე არსებულა — ერთი მცირე აზიაში, ხოლო მეორე საბერძნეთში, ბეოტიაში. ისეთი მდინარეც ყოფილა იქვე, ტრიტონი რომ რქმევია! ასე რომ შესაძლოა ამორძალთა ქვეყანა ბეოტიის ნაწილიც ყოფილიყო. იქნებ ატლანტისიცი ამ მხარეში უნდა გვეძებნა?

გარნა ლაბირინთიდან გამოსასვლელ გზებს თითქოს სხვადასხვა მიმართულებით მივყავართ. სად არ დასახეს ატლანტისის ადგილსამყოფელი! ატლანტისის „მიაკვლიეს“ მცირე აზიაში, კუნძულ კრეტაზე, კავკასიაში, პალესტინაში, სკანდინავიის

ნახევარკუნძულსა და შპიცბერგენზე, ამ უკანასკნელ ხანს კი— 1952 წელს — გერმანელმა პასტორმა იურგენ შპანუტმა მისი აღმოჩენა კუნძულ ჰელჰოლანდზეც შეძლო. თანაც ყოველი ცალკეული ცდა სავსებით თანხვედბოდა ანტიკურ გეოგრაფიასა და ძველ ისტორიკოსთა აღწერილობებს და პლატონისეულ ამბავსაც შეესატყვისებოდა! რაღა თქმა უნდა, ეს შესატყვისობა მოჩვენებითი გახლდათ, რადგან პლატონმა სავსებით გარკვეულად მიგვანიშნა: იმ ოკეანეში, რომელსაც ახლა ატლანტის ოკეანე ჰქვია (სრულიად საფუძველიანად), და ჰერაკლეს სვეტებს გადადმო.

1675 წელს შვედი ატლანტოლოგი ოლაუს რუდბეკი ჰომეროსისა და პლუტარქეს თხზულებებზე დამყარებით ამტკიცებდა — ატლანტისი შვეციის გარდა სხვაგან ვერაფრის დიდებით ვერ იქნებოდა და მისი სატახტო ქალაქი იყო უფსალა. ავტორი იმოწმებდა პლუტარქეს შრომას „De facie in orbe Lunae“.

„ოგიგია აქედან ახლოს მდებარეობს ღია ზღვაში... ბრიტანეთიდან ხუთი დღის სავალზე, მეორეც, მეოთხისზე¹ არანაკლები სიდიდის ყურესთან, მესამეც, იქ, სადაც მზე წელიწადში ოცდაათ დღეს თვალს არ ეფარება, მხოლოდ ერთი საათით გაუჩინარდება ხოლმე...“

სხვა ადგილას რუდბეკმა ამოიკითხა — ატლანტისი იქ არის, სადაც დიდი დათვის თანავარსკვლავედი მიწყვიტ პორიზონტს აღვას თავზე და არასოდეს მას არ უახლოვდებაო. ამას ჰომეროსი წერდა. ცნობილია, რომ, რაც უფრო სამხრეთით მივდივართ, დიდი დათვის მით უფრო მეტი ვარსკვლავი ეფარება პორიზონტს; ასე რომ პომეროსის მიერ მითითებული ადგილი 55-ე პარალელის ახლოს ან მის ჩრდილოეთითაც უნდა იყოს. რუდბეკმა ასე განსაჯა — ეს ევროპის ჩრდილო ნაწილი შეიძლება იყოსო მხოლოდ, სკანდინავიის ნახევარკუნძული, ფინეთი და რუსეთის ჩრდილოეთი. რაკი ზაფხულის მზებუდობის დროს იქ მზე 23 საათს პორიზონტს ზემოთაა, ეტყობა, პოლარული წრის ახლოს უნდა იყოს, ხოლო პოლარული წრე სკანდინავიის ჩრდილო ნაწილზე გადისო. რუდბეკის ყველა გამოთვლას აქ ნულარ მოვიტანთ, ისღა დავსძინოთ, რომ მომდევნო დროის მკვლევა-

¹ მეოთხისი—აწინდელი აზოვის ზღვა.

რებმა მთელი მისი თეორია ფანტაზიად შერაცხეს. ეს თეორია მათს შრომებში დაცინვის კილოთი თუ მოიხსენიება ხოლმე და იმის ნიშნად არის დასახული, თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს წრესგადასულმა ეროვნულმა სიამაყემ. რუდბეკი თავად შევედი რომ არ ყოფილიყო, მის თეორიას იქნებ მეტი ნდობითაც მოჰკიდებოდნენ.

ამასთან, უნდა ვაღიაროთ, რომ რუდბეკის მსჯელობა საფუძველს მოკლებული როდია. შესაძლოა მისი სუსტი მხარე იყოს ატლანტისის გაიგივება ჰომეროსის ოგიგიასთან, მაგრამ მისი კოსმოგრაფიული გამოკვლევები გარკვეულ ინტერესს აღგვიძრავს. ატლანტისის „კოსმოსური კატასტროფის“ თვალსაზრისს თუ გავიზიარებთ (ამის თაობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი), რუდბეკის დასკვნები სავსებით გამოსადეგი აღმოჩნდება საიმისოდ, რათა ატლანტისის ადგილსამყოფელად აზორის კუნძულების რაიონი მივიჩნიოთ.

„კოსმოსური“ ჰიპოთეზის თანახმად, რომელიც ციურ სხეულთან შეჯახებას დედამიწის ღერძის 30°-ით გადაადგილება უნდა მოჰყოლოდა. ამრიგად, კატასტროფამდე ჩრდილო გეოგრაფიული პოლუსი ლაბრადორის ნახევარკუნძულის სიახლოვეს იქნებოდა, ხოლო ეკვატორი კი აწინდელი ბრაზილიის სამხრეთ საზღვრიდან წმინდა ელენეს კუნძულის წიად მდინარე კონგოს შესართავამდე გადასერავდა ატლანტის ოკეანეს. ასეთ ვითარებაში აზორის კუნძულთა გეოგრაფიული განედი 38° კი აღარ იქნებოდა ახლანდელივით, არამედ 55°-მდე, ესე იგი იმდენივე, რამდენიც არის დღევანდელ ქალაქ უფსალას განედი.

თუკი აწინდელ აზორის კუნძულებს ძველი მატერიკის ნაშთად მივიჩნევთ, იმ მატერიკის ჩრდილო კიდე შეიძლებოდა დამეზობლებოდა პოლარულ წრეს, რომელიც, ცხადია, მაშინდელი პოლუსის ირგვლივ იქნებოდა განფენილი, ისე რომ მზე უეჭველად ჰორიზონტს ზემოთ ადგებოდა მთელი დღე-ღამის განმავლობაში. დიდი დათვიც ჰორიზონტს ვერ მიუახლოვდებოდა. და იქიდან ბრიტანეთის კუნძულებიც ხუთი დღის სავალზე იქნებოდა.

თ ა ვ ი მ ა ო რ ი

მინა, რომელსაც ჭეშმარიტი და სრული ვაჭარიკი შეიძლება ეწოდოს

შუა საუკუნეებს ატლანტისის საკითხისთვის ახალი ფაქტიურად არაფერი შეუმატებია. თავისებურ სიახლედ იმას თუ მივიჩნევდით, რომ ამ საკითხისადმი ინტერესი დაიკარგა კიდეც. უკანასკნელი ანტიკური ავტორი, რომელსაც ატლანტოლოგები დღესაც იმოწმებენ ხოლმე, ნეტარი ავგუსტინე (354-430) იყო. ავგუსტინე ტაგასტში დაიბადა, ნუმიდიაში (აფრიკა), ფილოსოფია შეისწავლა, ნეობლატონიკოსთა გავლენას განიცდიდა, გარნა შემდგომ ქრისტიანობა მიიღო და მღვდლად ეკურთხა. მას ეკუთვნის მრავალი საღვთისმეტყველო ნაწარმოები, რომლებმაც ეკლესიის მამის სახელი დაუმკვიდრეს. ერთ-ერთ მათგანში — „De civitate Dei“ („სასუფეველისათვის ღვთისა“) არკადიის უძველეს მოსახლეობასა და პროსელენიდებს ახსენებს. თანამედროვე ატლანტოლოგები სწორედ ამ ნაწყვეტს იმოწმებენ ხშირად.

ატლანტისის პრობლემისადმი ინტერესის დაკარგვას უეჭველად ხელი შეუწყო არისტოტელემ, რომლის ნააზრვეი XVI საუკუნემდეც კი დიდ გავლენას ახდენდა მეცნიერების სხვადასხვა დარგის, მათ შორის გეოგრაფიის, ძირითად დებულებათა ჩამოყალიბებაზე.

ბედნიერი თუ ნეტარი კუნძულები დავიწყებას მიეცა. თუმცა ის კი ახსოვდათ, რომ ატლანტის ოკეანე წყალმცენარეთა

სიმრავლის გამო სანაოსნოდ გამოუსადეგარი იყო. ეს ამბავი ქრისტეფორე კოლუმბსაც სმენოდა.

საიმდროოდ უკვე დაღუპული იყო მნიშვნელოვანი ნაწილი ძველთა ავტორთა ნაშრომებისა, რომლებშიც ალბათ დაცული იქნებოდა რაიმე ცნობები პლატონის მონათხრობის სინამდვილის დასადგენად. უდიდესი დანაკარგი ეგვიპტური დოკუმენტების განადგურება იყო უეჭველად. დაიწვა ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში, პტოლემეაიოს I სოტერის მეფობისას დაარსებული ალექსანდრიის განთქმული ბიბლიოთეკა, რომლის ფონდებშიც, როგორც ვარაუდობენ, ნახევარ მილიონზე მეტი პაპირუსი იყო შეკრებილი სხვადასხვა ბიბლიოთეკებიდან. ამ წიგნთსაცავს რამდენჯერმე გაუჩნდა ხანძარი. პირველად — იულიოს კეისრის სპათა მიერ ქალაქის ალყაშემორტყმისას. მართალია, მალე ანტონიოსმა ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრას კომპენსაციის სახით გადასცა პერგამის ბიბლიოთეკის პაპირუსთა დიდებული კრებული, რომელიც, ამბობენ, 200 ათას გრაგნილს შეიცავდაო; მაგრამ ეს ანაზღაურება მხოლოდ რაოდენობრივი იყო. ყველაზე მეტად ქრისტიანებმა გაატიალეს ალექსანდრიის ბიბლიოთეკა: 415 წელს პატრიარქ კირილე ალექსანდრიელის მიერ წაქეზებულმა ფანატიკოსთა ბრბომ ცეცხლი წაუკიდა მას. საბოლოოდ კი არაბებმა მოუღეს ბოლო 641 წელს, ხალიფ ომარის დროს. იგივე ბედი ეწია პაპირუსთა სხვა საცავებსაც, მათ შორის — ქალღმერთ ნეითის ტაძრის (საისში) ბიბლიოთეკას, სადაც, პლატონის მონათხრობის თანახმად, სოლონის მიერ ნანახი დოკუმენტები ინახებოდა. ევსევი კესარიელისა და იოსებ ფლავიოსის, აგრეთვე კრანტორის დამამოწმებელ პროკლეს ცნობებს თუ ვერწმუნებით, იქ ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნეშიც ხომ უნდა დაცული ყოფილიყო ის ჩანაწერები.

მომდევნო საუკუნეებს მრავალი გეოგრაფიული აღმოჩენა მოჰყვა. უკვე შეისწავლეს ევროპის ჩრდილო რაიონები, აზია, აფრიკის ნაწილი და მათი გარემომდებარე კუნძულები. ამ აღმოჩენათაგან ზოგიერთი იდუმალებით მოცულ კუნძულებთან დაკავშირებულ ლეგენდებს მოაგონებდა ხოლმე ხალხს.

პირველი, ვინც ოკეანეში რაღაც კუნძული აღმოაჩინა, გადმოცემის თანახმად, იყო ირლანდიელი ბერი წმიდა ბრანდანი


(484-577). ბრანდანს წმიდა მამათა თანხლებით მშობელი ქვეყანა დაუგდია და სადღაც დასავლეთით, ატლანტის ოკეანეში მდებარე კუნძულზე დასახლებულა. კუნძულისთვის მისი აღმომჩენის სახელი უწოდებიათ — წმიდა ბრანდანის კუნძული. დღესდღეობით ძნელი გასარკვევია ამ ლეგენდის წარმოშობის ხანა თუ უტყუარობა. მისი უძველესი ჩვენთვის ცნობილი ტექსტი არის XI საუკუნის ლათინური ხელნაწერი „Navigatio Brendani“ („ბრანდანის ნაოსნობა“).

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს — ირლანდიელი ბერის ეს ამბავი რაღაცით უკავშირდებაო ამერიკის კონტინენტზე ევროპელთა პირველ გამოჩენას. მათი აზრით, ბრანდანს 546 წელს უნდა მიეღწია ნახევარკუნძულ ლაბრადორამდე, რომელიც აგერ უკვე 1000 წელს ხელახლა აღმოაჩინეს ნორმანებმა. კუნძულზე ხუთ წელიწადს ნაცხოვრები ბერი აზორის კუნძულებით ირლანდიას დაბრუნდა, შემდგომ ამისა მეორედ გაემგზავრა დასავლეთით, სადაც კვლავ რამდენიმე წელი დაყო და კვლავ სამშობლოსკენ მოიქცაო.

ამ თქმულების წყაროთა ძიებისას გაირკვა, რომ IX საუკუნეში ირლანდიის მონასტრებში ანტიკურ ლიტერატურას სწავლობდნენ, რათა მიეკვლიათ ადგილსამყოფელი „წმიდა კუნძულებისა“, სადაც სოფლიურ ვნებთაგან განდგომასა და თავისთავის ღმერთისთვის გასაკუთრებას შეიძლებდნენ. სწორედ ამ ხანაში დაესახლენ ფარერის კუნძულებზე და ისლანდიაში ირლანდიელი ბერები. გარნა ცხოვრების საძნელო პირობები ბერმონაზვნებს აიძულებდა უფრო კეთილად შეზავებული ჰავის მქონე კუნძულები ეძებნათ დასამკვიდრებლად და ამიტომაც მიჰყვეს ხელი ანტიკურ ავტორთა ნაშრომების გამოწვლილვით შესწავლას. ამ ხასიათის სათანადოდ შელამაზებულმა ცნობებმა დიდი კვალი დააჩნიეს წმიდა ბრანდანის მიმოსვლათა ლეგენდას.

ეს ლეგენდა დასავლეთ ევროპაში გავრცელდა და XI-XII საუკუნეებში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თემა იყო როგორც პროზის, ისე პოეზიისთვის.

ამ ლეგენდით მოთხრობილი ამბის უტყუარობისადმი დიდ რწმენას ის ფაქტიც მოწმობს, რომ ირლანდიელ ბერს მრავალი მიმდევარი აღმოსჩენია. ისინი აღთქმული ქვეყნის საძებრად



ატლანტის ოკეანე მარტინ ბეხაიმის გლობუსზე (1492 წ.)

მიემგზავრებოდნენ იმის მეოცნებენი, რომ იქ თავისუფალსა და სვებელნიერ ცხოვრებას დაიმკვიდრებდნენ შუა საუკუნეთა ევროპისთვის ესოდენ ჩვეულ საბრძოლო საქმეებსა და გულმხეცობას განშორებულნი.

ვილაც-ვილაციებს ოკეანეში დიდხანს ზეტიალის შემდეგ ვითომ წილად ხვდომიათ ბედნიერება შორიდან მაინც მოეკრათ თვალი „ბრანდანის კუნძულისთვის“. დღესდღეობით შეუძლებელია იმის გარკვევა, აზორის კუნძულები იყო ეს, მადეირა, კანარის კუნძულები თუ ამერიკის ნაპირებთან ახლომდებარე არქიპელაგები, ან, იქნებ, მირაჟი იყო სულაც. ფაქტი ისაა, რომ

ბრანდანის კუნძული მრავალგზის იყო აღნიშნული ატლანტის ოკეანის რუკებზე, ოღონდ ყოველთვის სხვადასხვა ადგილას. დღეს მას „მოხეტიალე კუნძულთა“ რიცხვს მივაკუთვნებთ. მისი ძვრა ირლანდიის ახლოს დაწყებულია, XIV საუკუნეში ეს კუნძული მადეირის ახლოს „მდებარეობდა“. ხოლო XV საუკუნეში მცხოვრები ცნობილი გეოგრაფის მარტინ ბეხაიმის გლობუსსა და იტალიელი ასტრონომისა და გეოგრაფის პაოლო ტოსკანელის რუკაზე ბრანდანის კუნძული უკვე ეკვატორის სიახლოვესაა, ატლანტის ოკეანის ცენტრში, ესე იგი აფრიკის დასავლეთ სანაპიროსა და „ჩიპანგუს ქვეყნის“ (როგორც მაშინ იაპონიას უწოდებდნენ) შუა გზაზე. ალბათ ამ რუკებით სარგებლობდა კოლუმბი ამერიკისკენ პირველად გამგზავრებისას. ბრანდანის კუნძულის გარდა ამ რუკებზე ანტილის კუნძულიც იყო აღნიშნული.

სხვადასხვა ესპანურ და პორტუგალურ რუკებზე აღნიშნული ეს კუნძულები, შუა საუკუნეების ზღვაოსანთა მიერ აღმოჩენილი მადეირის, აზორისა და კანარის კუნძულების მსგავსად, ატლანტისის ნაშთებად მიაჩნდათ ზოგჯერ. ამგვარად, ოკეანეში კუნძულთა მართლაც აღმოჩენამ და წმიდა ბრანდანის ლეგენდამ კელავ გააღვივა ინტერესი ატლანტისისა და მისი მოძხენიებელი შრომებისადმი.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კოლუმბს სჯეროდა ჩაძირული ატლანტისის ნაშთების არსებობა, თუმცა ამის თაობაზე არც მის ჩანაწერებსა და არც მის ბიოგრაფთა შრომებში არაფერია ნათქვამი. მრავალი წლის განმავლობაში, ვიდრე ესპანეთის მეფეს „ინდოეთს“ გასამგზავრებლად მომზადებაზე დაიყოლიებდა, კოლუმბი გულდასძით სწავლობდა ძველი დროის ნაწერებს, სადაც შეუძლებელია არ წაწყდომოდა ატლანტისისა და მითიურ კუნძულთა ხსენებას. მარტინ ბეხაიმს პირადად იცნობდა კოლუმბი და მისთვისაც არ ყოფილა უცხო ბეხაიმის თვალსაზრისი ატლანტის ოკეანის ირგვლივ მატერიკთა განლაგების თაობაზე. ტოსკანელის რუკა, ისევე როგორც იმდროინდელი სხვა რუკებიც, კოლუმბს ზეპირად უნდა სცოდნოდა, რადგან პორტუგალიაში რამდენსამე წელს თავს იმით ირჩენდა, რომ იმ რუკებს იხაზავდა და მეზღვაურებში ასაღებდა ხოლმე. ხოლო იმ რუკებზე ბრანდანის, შვიდი ქალაქის, ბრაზილისა და ანტი-

ლის კუნძულებიც იყო აღნიშნული. ჩიპანგუს, კატაისა (ჩინეთისა) და ინდოეთისკენ გამგზავრებულს ამ კუნძულების სიახლოვეს უნდა ჩაეგლო...

უეკველია, კოლუმბს წაკითხული ექნებოდა წინა თავში მოხმობილი ციტატები ძველ გეოგრაფთა შრომებისა. ორიგინალით თუ არა, კარდინალ პირ დელის. 1410 წელს გამოსული წიგნით („Imago mundi“ — „ქვეყნიერების სურათი“) მაინც გაეცნობოდა მათ. შემორჩენილია ამ წიგნის კოლუმბისეული ეგზემპლარი და მის კიდევბზე მიწერილი მრავალი შენიშვნით ირკვევა, რომ ეს ნაშრომი ცნობათა წყაროს წარმოადგენდა ამერიკის მომავალი აღმომჩენისთვის. კოლუმბმა სენეკას „მედეაში“ არსებული „წინასწარმეტყველება“ იცოდა და იმ სტრიქონებს, ეტყობა, დიდი გავლენა მოუხდენია მასზე. კოლუმბის თანამედროვე ბიოგრაფები ამტკიცებენ — მას მთელი იმდროინდელი გეოგრაფია კი არ შეუსწავლია საფუძვლიანად, მხოლოდ თავისი იდეის დამადასტურებელ ცნობებს ეძიებდაო. ამ იდეის თანახმად, ინდოეთის გზა ატლანტის ოკეანით უფრო მოკლე უნდა ყოფილიყო.

გარნა კოლუმბი ლიტერატურით მოპოვებულ ცნობებს არ სჯერდებოდა, ზღვაოსანთა მიერ მოთხრობილ ამბებსაც კრებდა და იწერდა გულდასმით. მართალია, ისიც ვიცით, თუ რას წარმოადგენს ამგვარი მონათხრობები — მეზღვაურნი იმათ რიცხვს როდი ეკუთვნიან, ვინც თავისი თავგადასავლის მოთხრობისას გაზვიადებას ერიდება ხოლმე. ამ თვითმხილველთა მიერ გამოცემულ მრავალ ნამდვილ ამბავს სიმართლეს დიდად დაშორებულებიც ერია ალბათ. თუმცა ისეთებიც იყო, დღეს რომ სარწმუნოდ გვეჩვენება. მაგალითად, აზორის კუნძულებიდან მობრუნებული მეზღვაურები ჰყვებოდნენ — ევროპაში უცნობი ხისგან ნაკეთებ ბარელიეფთა ნამტვრევებს, ერთობ მსხვილი ბამბუკის ნაჭრებსა და უცნობი ჯიშის მთელ-მთელ ფიჭვებსაც ეპოულობდითო ზღვაში. ერთხელ კი ორი დამხრჩვალ კაცის გვამიც ამოუთრევიათ, — საიმდროოდ ცნობილი რასების ხალხს სულ არ ჰგავდნენო.

ამგვარი „ნადავლი“ ლეგენდარულ კუნძულთა არსებობის დამამტკიცებლად თუ არ მიაჩნდა კოლუმბს, მხოლოდ იმიტომ ალბათ, რომ ხელს არ აძლევდა ეს ამბავი. მას ეწადა აზიის მა-

ტერიკის სიახლოვის საბუთად გაესაღებინა ეს ყოველივე. ის რომ ეთქვა — „წმიდა კუნძულების“ თუ გაუჩინარებული მატერიკის — ატლანტისის ნაშთთა მიკვლევას ვესწრაფვიო, პორტუგალიისა თუ ესპანეთის გვირგვინოსანთაგან დახმარების მიღებას ვერასოდეს ეღირსებოდა. ამათვის პოსეიდონის მეფეთა მითიურ საგანძურზე გაცილებით მეტად ფასობდა ინდოეთის სიმდიდრე, რომლის არსებობაც დანამდვილებით იცოდნენ. ამ სიმდიდრის ამბავს ხომ ხშირად ჰყვებოდნენ უფრო გრძელი სახმელეთო გზით ან აფრიკის შემოვლით ინდოეთს თუ ჩინეთს ნამყოფი მოგზაურნი.

კოლუმბს რომ თავისი აზრებისა და ცოდნის საიდუმლოდ შენახვა შეეძლო, ეს იქიდან ვიცით თუნდაც, რომ მას არ გაუხმაურებია თავისი მიმოწერა ფლორენციელ ასტრონომსა და გეოგრაფთან ტოსკანელისთან, რომელმაც რწმენა განუშტკიცა — დასავლეთით გამგზავრებული აღამიანი ბოლოს ინდოეთს ჩააღწევსო.

ყველაზე მეტად შემაცბუნებელი მაინც ის ფაქტია, რომ, როგორც კოლუმბის ბიოგრაფები ერთხმად აღნიშნავენ, თავად კოლუმბმა არც კი იცოდა, რომ ქვეყნიერების ახალი ნაწილი აღმოაჩინა, და ისე მიიცვალა (1506 წელს, ესე იგი პირველი მოგზაურობიდან 14 წლის შემდეგ), დარწმუნებული იყო — აზიის აღმოსავლეთ ნაპირს მივატანეო.

მაგრამ ისეთნიც მოიძებნებოდნენ, ვისაც აეჭვებდა ეს ამბავი. ამერიკის აღმოჩენის პირველი აღმწერი პედრო მარტირი კოლუმბის მოგზაურობიდან ერთი წლის შემდეგ — 1493 წელს წერდა: „ვინმე კოლონი, მისივე რწმენით, დასავლეთ ანტიპოდებამდე, ინდოეთის ნაპირამდე მიტურებულა... ამ საკითხის გამოდავას ვერ წამოვიწყებ, თუმცალა ვგონებ, დედამიწის სფეროს სიდიდეს სხვაგვარ დასკვნამდე მივყავართ. გარნა არიან აღამიანები, რომელთაც მიაჩნიათ — ინდოეთის ნაპირი ესპანეთიდან შორს არ არისო...“

მართლა არც კი ეეჭვებოდა კოლუმბს, ახალი მატერიკი რომ აღმოაჩინა? ნუთუ არ ჩაჰკვირვებია იმ ამბავს, რომ მის მიერ აღმოჩენილ კუნძულთა მკვიდრნი აღწერის მიხედვით ცნობილ ჩინელებსა და იაპონელებს სულ არ ჰგავდნენ, რომ მათი ენა ცნობილ აზიურ ენებს ოდნავადაც არ უახლოვდებოდა?

რამდენიც მოგვესურება, იმდენი შეგვიძლია აღვძრათ ამ-
ნაირი კითხვა, ოღონდ მსგავს კითხვათა პასუხს ვერასოდეს მი-
ვაკვლევთ ალბათ. მეორე მხრივ, ისიც ვიცით, რომ კოლუმბის
ცხოვრებიდან მრავალი რამ ჯერაც გაურკვეველია. თითქოს
ისეთი ჩინებული ნაშრომიც კი, როგორადაც მისივე ჯაჟიშვი-
ლის — ფერნანდო კოლუმბის მიერ ხელმოწერილსა და 1571
წელს გამოქვეყნებულ ბიოგრაფიას მიიჩნევდნენ, იმდენად ნაკ-
ლებს სანდო აღმოჩნდა, რომ ბევრს ეჭვიც ეპარება — მართლა
ამერიკის აღმოჩენის შვილის კალამს ეკუთვნის თუ არაო? თა-
ვად კოლუმბის ცნობებიც იმდენ წინაუკმობას შეიცავს, ყო-
ველთვის როდია სანდო. კოლუმბის პირადი ჩანაწერების მი-
ხედვით მისი დაბადების თარიღის დადგენაც კი ვერ მოხერხდა
დღემდე. „ოცი წლისა გახლდით, ოდეს თქვენთა ხელმწიფურ
უდიდებულესობათა სამსახურში ჩავდექი...“, — წერდა კოლუმ-
ბი 1494 წელს, რაც იმის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო, რომ
დაახლოებით 1456 წელს დაბადებულა. სხვა მონაცემებით კი
ისე გამოდის, მისი დაბადების თარიღად 1446 ან 1435 წელი
უნდა მივიჩნიოთ. ეს ამბავი საკვირველი არ იქნებოდა, კოლუმ-
ბი ქალი რომ ყოფილიყო.

ამერიკის აღმოჩენიდან თითქმის 150 წლის შემდეგ, 1638
წელს, ინგლისელი სწავლულისა და პოლიტიკოსის ფრენსის
ბეკონ ვერულამელის წიგნში „Nova Atlantis“ რამდენადმე
აღეგორიული ფორმით ამერიკა, უფრო სწორად კი ბრაზილია,
ატლანტისთან არის გაიგივებული. ცოტა ხნის შემდეგ, 1689
წელს, ატლანტისი რუკაზეც გაჩნდა.

გამოქვეყნდა ახალი, ფრანგი გეოგრაფის სანსონის მიერ
შედგენილი ატლასი (ამერიკის რუკიანად), რომელშიც ბრაზი-
ლიის ტერიტორიაზე პოსეიდონის ძეთა პროვინციებიც კი იყო
აღნიშნული. ასეთივე ატლასი გამოსცა 1762 წელს რობერტ
ვოგუდიმ.

ამბობენ, ამ რუკების დანახვაზე ვოლტერი სიცილით კვდებო-
დაო.

ბეკონს მეტი მიმბაძველი გამოუჩნდა. კერძოდ, მათს რიცხვს
ეკუთვნის გასული საუკუნის ცნობილი გერმანელი მკვლევარი
ალექსანდრ ჰუმბოლდტი. თუმცა ის კი თქვა — ატლანტისის ამ-
ბები ზღაპრად მიმაჩნიაო, მაინც ამერიკისა და ძველი ქვეყნიე-

რების მატერიალური კულტურის ძეგლთა საოცარი მსგავსებით შეცბუნებული ამტკიცებდა — ეგვიპტელებს ამერიკის ამბები უნდა სცოდნოდათ და ეს შეიძლებოდა ყოფილიყო სოლონისა და პლატონის მიერ მოწოდებულ ცნობათა წყარო.

მსგავს აზრებს სხვა ავტორებიც გამოთქვამდნენ — ფინიკიელი მეზღვაურები სამხრეთ ამერიკის ნაპირებს აღწევდნენ ხოლმეო. ამის საბუთად იმოწმებენ რიო-დე-ჟანეიროს ახლოს ჰავეას აღდგენ არსებულ ფინიკიურ წარწერას, რის თაობაზეც უკვე გვქონდა საუბარი.

გარნა პირველი მეცნიერი, ვინც ახლად აღმოჩენილი ამერიკა პლატონის ატლანტისს დაუკავშირა, იყო ფრანცისკო ლოპეს დე გომარა, 1553 წელს გამოქვეყნებული „ინდოეთის ისტორიის“ ავტორი. გომარამ იმ ამბავს მიაპყრო ყურადღება, რომ პლატონის მონათხრობი საოცრად შეესაბამებოდა ატლანტის ოკეანის დასავლეთი ნაწილის ტოპოგრაფიას. ეს მოხდა 15 წლის შემდეგ იმ დღიდან, რაც ფლამანდიელი გეოგრაფის მერკატორის მიერ შესრულებული პირველი უტყუარი რუკა გამოქვეყნდა. ეს რუკა იმითაც არის ცნობილი, რომ სახელწოდება „ამერიკა“ პირველად იქნა გამოყენებული მთელი ახლად აღმოჩენილი კონტინენტის აღსანიშნავად, მაშინ როცა მანამდე ვალდემიულერის წინადადებით (1507 წ.), ამერიკას მატერიკის სამხრეთ ნაწილს უწოდებდნენ მხოლოდ. მერკატორის რუკაზე ამერიკის აღმოსავლეთი სანაპირო უსწორო რკალად არის მოხაზული, რაც საკმაოდ ზუსტად შეესაბამება სინამდვილეს. ამ რკალის შიგნით მოქცეულია ჯერ კიდევ კოლუმბის დროს აღმოჩენილი კუნძულები. რკალის ცენტრი ჰიბრალტარის სრუტის (ოდინდელი ჰერაკლეს სვეტების) ზუსტად დასავლეთით არის მოქცეული.

რუკის გამოსახულება გომარამ შეუპირისპირა პლატონისეულ აღწერილობას, რაც მითად იყო მიჩნეული.

„სხვა კუნძულებისკენ ხსნილი გზა“ (პლატონი) არის გზადიდი და მცირე ანტილის კუნძულების არქიპელაგისკენ. ამ კუნძულებს უკვე მოხსენიებული პედრო მარტირის წინადადებით შეარქვეს ეს სახელი მითიური ანტილის უკვდავსაყოფად.

სწორედ ასევე ბრაზილია სამხრეთ ამერიკის ქვეყანას უწოდეს, ხოლო სამხრეთ ამერიკის უდიდესი მდინარე ამაზონად მო-

ნათლეს ბერძნული მითოსის მეომარი ქალების — ამორძალების (ამაზონების) პატივსაცემად. ამ სახელწოდებას ერთ-ერთი ესპანელი კონკისტადორის — ფრანსისკო ორელიანოს თავგადასავალს უნდა ვუმაღლოდეთ. იგი მთელ სიგრძეზე აპყოლია მდინარეს, ხოლო დაბრუნებულს სხვებისთვის მოუყოლია — გზად შემმართებელ მეომარ ქალებს გადავეყარე, მამაკაცების სახსენებელიც რომ მოუძაგებიათო. ეს ამბავი ორელიანოს ერთ ამხანაგს — კარვაჰალს ჩაუწერია. და, თუმცა ამორძალები ამის მეტად აღარავის უნახავს, სახელწოდება მაინც შერჩა მდინარეს. ეგვევ სახელი ეწოდა პერუს ერთ დეპარტამენტს, ბრაზილიის შტატსა და ვენესუელის სანახებს.

„...ხოლო იმ კუნძულთაგან (გზა ჰქონდათ ხსნილი) — მთელი... მატერიკისკენ“. მატერიკი მართლაც არსებობს და შემოსაზღვრავს „იმ პონტოს“, ესე იგი ატლანტისის გადაღმა მხარეს, მისგან დასავლეთით მდებარე ზღვას. ატლანტისის აღმოსავლეთით „ის“ კი არა, „ეს“ ზღვა იქნებოდა, „შიდა მხარეს“ მდებარე. პლატონის მიხედვით, ეს არის „ვიწრო გასასვლელის“ მსგავსი ყურე. მაშასადამე, ატლანტისი ევროპასთან უფრო ახლოს უნდა ყოფილიყო, ვიდრე ამერიკასთან, რადგან „იმ“ ზღვას პლატონი „ჰემმარიტს“ უწოდებს.

გომარას შედარებამ ატლანტოლოგიაში ახალ ერას მისცა დასაბამი. პლატონის ცნობათა ნაწილი, ორი ათას ხუთასი წლის წინათ სოლონისთვის წაკითხულ თუ ნაჩვენებ ეგვიპტურ ჩანაწერებს რომ ემყარებოდა, უტყუარი გამოდგა. ეს შეუცნობლად დადასტურა ქრისტეფორე კოლუმბმა, როცა გზა გადახსნა ატლანტისის „გაღმა მდებარე მატერიკისკენ“, რომელსაც, პლატონისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჰემმარიტი და სრული მატერიკი შეიძლება ეწოდოს“.

**ჩაქირული მაგარიკი ამომზავლება
ოქეანის ზვირთთაგან**

წინა თავებში ჩვენ სიტყვასიტყვით ან შემოკლებული სახით წარმოვადგინეთ თითქმის ყოველივე, რასაც ძველი დროის ლიტერატურა გვამცნობს ატლანტისის შესახებ. პლატონის მონათხრობის სრული ტექსტი 25 ნაბეჭდ გვერდს არ აღემატება. ანტიკურ ისტორიკოსთა და გეოგრაფთა გამონათქვამებიც ერთად რომ შეგვეკრიბა, ბევრით მეტ ადგილს არ დაიჭერდა, ამასთან, ეს გამონათქვამები სხვადასხვა ავტორებთან მეორდება ხოლმე.

ატლანტოლოგიური ლიტერატურის ნიაღვარი წინა თავში ნახსენები ფრანცისკო ლოპეს დე გომარადან დაიწყო. სულ ახალსა და ახალ ჰიპოთეზას ქმნიდნენ მისნი მიმდევარნი, რომელნიც გაოგნებულნი იყვნენ იმ დასკვნის უტყუარობით, რომ ამერიკის ატლანტის სანაპიროს ტოპოგრაფია ზუსტად შეესაბამება პლატონისეულ აღწერილობას, გაოგნებულნი იყვნენ აგრეთვე ძველი და ახალი ქვეყნიერების კულტურათა მოგვიანებით შენიშნული ანალოგიებითაც.

რაღა თქმა უნდა, ზოგჯერ თებმა განაცხადეს — პლატონის მონათხრობი ნამდვილ ამბად არ უნდა მივიჩნიოთ. ჯერ კიდევ არისტოტელეს მიერ წარმოდგენილ არგუმენტთა გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვა საბუთებიც მოჰქონდათ. ამასთან, თავად ატლანტოლოგიც ერთსულოვანნი როდი იყვნენ, განსა-

კუთრებით — ატლანტიის ადგილსამყოფელს როცა შეეხებოდა საქმე.

წინა თავში ვახსენეთ ბეკონ ვერულამელის „თეორია“, რომლის მიხედვითაც გაუჩინარებული მატერიკი ბრაზილიასთან იყო გაიგივებული. მის კვალს გაჰყვნენ სანსონი (1689), ჰერლი, ბირხეროდი და XVIII საუკუნის დამლევის ცნობილი ფრანგი ნატურალისტი ბუფონი, რომლის აზრითაც ამერიკა, ირლანდია და აზორის კუნძულები ძველი მატერიკის ნაშთები უნდა ყოფილიყო. სხვა მეცნიერნი ატლანტიის ადგილსამყოფელს პოულობდნენ ევროპის, აფრიკისა და აზიის სულ სხვადასხვა მხარეებში, ან კიდევ იმხანად უკვე მიკვლეულ კუნძულებზე. ესე იგი ყოველგან, ოღონდ იმ ადგილას კი არა, რომელსაც ცხადად მიუთითებდა პლატონი: ატლანტის ოკეანეში, პერაკლეს სვეტების მოპირდაპირე მხარესო.

ასე რომ ატლანტიის საკითხი ორკოფულად წყდებოდა ხოლმე: ერთი მხრივ, პლატონის მონათხრობსაც სარწმუნოდ მიიჩნევდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, მის მიერ მითითებულ ადგილსამყოფელს ატლანტიისას უარყოფდნენ — იმხელა მატერიკი იქ როგორ ჩაიძირებოდა, სადაც ზღვის სიღრმე 3000 მეტრს აღწევსო.

1665 წელს, ფრანცისკო ლოპეს დე გომარას შრომის გამოსვლიდან თითქმის ასი წლის შემდეგ, გამოქვეყნდა საინტერესო წიგნი „Mundus subterraneus“ („მიწისქვეშეთი“), რომლის ავტორიც იყო გერმანელი იეზუიტი ათანასე კირხერი. ყოველმხრივ განათლებული ეს მეცნიერი რამდენიმე უნივერსიტეტის პროფესორი და ფილოსოფიის, მათემატიკის, ძველებრაული და ასურული ენების, თეოლოგიისა და ისტორიის მასწავლებელი გახლდათ. კირხერს ფიზიკა და ტექნიკაც აინტერესებდა, ამათგან — განსაკუთრებით ოპტიკა (კერძოდ, ეგრეთ წოდებული „ჯადოსნური ფანარი“ მისი გამოგონილია). სიცოცხლის ბოლო წლები მან არქეოლოგიისა და ეგვიპტური იეროგლიფების შესწავლას შეაღია თითქმის მთლიანად. ზემოთ დასახელებულ ნაშრომში კირხერმა ის მოსაზრება გაიმეორა, რომ ატლანტიის მართლაც არსებობდა, ამასთან, იმ ადგილას, რომელიც პლატონმა მიუთითაო; ეს იყო ვეება კუნძული, აწინდელ აზორისა და კანარის კუნძულებს, აგრეთვე მწვანე კონცხის კუნძულებს

რომ მოიცავდაო. კირხერის აზრით, ეს კუნძულები სხვა არაფე-
რია, თუ არ ჩაძირული პატერიკის მათა მწვერვალები, რომ-
ლებიც წარღვნას გადარჩენიან, რათა ატლანტისის ამბავი
გვამცნონო.

კირხერს სავსებით სარწმუნოდ მიაჩნდა პლატონის მონათხ-
რობი — კატასტროფის დასახელებული მიზეზიც, ოკეანეში იმ
პატერიკის ადგილსამყოფელიც და იქ მოსახლე ხალხის აღწერი-
ლობაც. ამასაც არ დასჯერდა, ატლანტის ოკეანის რუკა შეად-
გინა იქ მდებარე კუნძულის მოხაზულობითურთ. დღემდე გა-
მოცანად რჩება, რა გზით შეძლო ყოველივე ამის დადგენა,
ოღონდ საგულისხმოა ის ამბავი, რომ იმ რუკაზე წარმოდგენი-
ლი მოხაზულობა საკმაოდ ზუსტად შეესაბამება კირხერის
დროს ჟერაც უცნობ ოკეანის სიღრმის ხაზებს. თუკი ინტუი-
ციას ემყარებოდა მხოლოდ, ამ ინტუიციას არ მოუტყუებია.
ეგვიპტურ იეროგლიფთა ამოხსნაში კი ნამდვილად ხელი მოე-
ცარა: იეროგლიფების შესახებ დაწერილ თავის ოთხტომიან
შრომაში უამრავი თარგმანი წარმოადგინა და ამ თარგმანები-
დან ერთიც არ შეესატყვისება სინამდვილეს თუნდაც მიახლო-
ებით.

უქანასკნელ საუკუნეთა ატლანტოლოგიური ლიტერატურის
სრულად მიმოხილვა შეუძლებელია. ჩვენ მხოლოდ უმნიშვნე-
ლოვანეს თხზულებებს მოვიხსენიებთ და, ამასთან, ისეთებს
დავჯერდებით, რომლებშიც ატლანტისის ადგილსამყოფელად
სწორედ ატლანტის ოკეანე არის დასახული.

XVIII საუკუნეში, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ზედ
კვირახალში, ფრანგმა კადემ გამოაქვეყნა შრომა, რომელშიც
კირხერის იდეა გაიმეორა — ატლანტის ოკეანის კუნძულები გა-
უჩინარებული პატერიკის ნაშთებიაო. ასი წელიც გამოხდა და
1882 წელს დაიბეჭდა უკვე მოხსენიებული წიგნი — „Atlantis,
the Antediluvian World“ („ატლანტისი, წარღვნამდელი ქვეყ-
ნიერება“), ატლანტოლოგთა „ბიბლიას“ რომ წარმოადგენს
დღემდე. ამ საინტერესო წიგნის უქანასკნელი გამოცემა 1950
წელს დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე ცნობილი ინგლისელი ატ-
ლანტოლოგის ეჭერტონ საიქსის დამატებებითა და რედაქცი-
ით. წიგნის ავტორი იგნატიუს დონელი ოკეანოგრაფიისა და
ეთნოგრაფიის დარგში საიმედროოდ (80 წლის წინათ) უახლეს

მეცნიერულ მონაპოვრებსა და ოკეანის სიღრმის გაზომვათა მონაცემებს ემყარებოდა და დაასკვნიდა — სწორედ იქ, ატლანტისში იყო ბიბლიური სამოთხე, აგრეთვე ოლიმპო — ბერძნების ღვთაებათა ადგილსამყოფელი, ჰესპერიდების წალკოტი, ის იყო ყველა ხალხის ლეგენდებში აღწერილი მარადი ბედნიერების ქვეყანა. დონელის აზრით, იქვე აღმოცენდა მზის კულტი და იქიდან გადაიწერა ეგვიპტის, პერუსა და მექსიკის რელიგიებში. მითოლოგიური ღვთაებანი ატლანტისის მბრძანებელი და გმირნი იყვნენო.

XX საუკუნეს ახალი აღმოჩენები მოჰყვა თან, გამოვლინდა ძველ და ახალ ქვეყნიერებათა ბუნების ახალი, დონელის ჰიპოთეზის მხარდამჭერი ანალოგიები. ფრანგმა ლუი ჟერმენმა წარმოაჩინა ატლანტის ოკეანის კუნძულების, აფრიკის, სამხრეთ ევროპისა და ამერიკის მცენარეული სამყაროს მსგავსება, რაც დღესდღეობითაც შეინიშნება და მესამეული პერიოდისთვისაც ყოფილა დამახასიათებელი. ედგარ დაკემ გეოლოგიური საბუთები წარმოადგინა იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომლის თანახმადაც ოდესღაც უნდა არსებულიყო ამერიკისა და ევროპის შემაერთებელ თავისებურ ხიდად ნაგულვები და მიწისძვრის შედეგად დაღუპული მატერიკი. მანვე ახსნა ანტიკურ ავტორთა მიერ მრავალგზის ნახსენებ საფლობთა ამბავი, რომლის მიხედვითაც ადრეისტორიულ ხანაში ატლანტის ოკეანეში თითქოს გაძნელებული უნდა ყოფილიყო ნაოსნობა.

ინგლისელმა ლუის სპენსმა 1928 წელს წამოაყენა საინტერესო ჰიპოთეზა, რომელიც გულისხმობს, რომ ატლანტისი ორი კუნძულისგან შედგებოდა: ერთი ევროპისა და აფრიკის სიახლოვეს მდებარეობდა და მისგან აზორისა და კანარის კუნძულებიდა დარჩენილა, ხოლო მეორის ნაშთი ანტილის კუნძულები არისო. ხოლო გერმანელი ი. კარსტი ამტკიცებს — ერთსა და იმავე დროს ორი მატერიკი, ასე ვთქვათ — ორი ატლანტისი არსებობდაო: ერთი ატლანტის, მეორე კი წყნარ ოკეანეში.

ატლანტისის, როგორც ატლანტის ოკეანეში მდებარე კუნძულის, თეორია, უწინარეს ყოვლისა, იმითაა პოპულარული, რომ პლატონის მონათხრობსაც შეესატყვისება და, ამასთან, მისი დასაბუთება ძველი და ახალი ქვეყნიერების კულტურათა ანალოგიის მეშვეობითაც არის შესაძლებელი.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას განსაკუთრებით პირამიდები იპყრობენ. პირამიდების ქვეყნად ეგვიპტის მოხსენიებამ აზრი დაკარგა მას შემდეგ, რაც მექსიკასა და პერუშიც აღმოჩნდა პირამიდები.

მექსიკის პირამიდები მონუმენტური ნაგებობებია და ნილოსისპირა ქმნილებებს არ ჩამოუვარდება სიდიდით. ერთი მათგანი, ტეოტიჰუაკანში ანაგები მზის პირამიდა, 60 მეტრის სიმაღლისაა, ხოლო საფუძველთან 200 მეტრი აქვს სიგანე. ჩოლჯლაში დარჩენილია ნანგრევები პირამიდისა, რომელსაც უფრო დიდი ფართობი სქერია, ვიდრე უდიდეს ეგვიპტურ პირამიდას — ხეოპსისას.

ამ ნაგებობათა უმეტესობა მიწის ფენითა და ქვებით იყო დაფარული. ეტყობა, ეს სპეციალურად გაუკეთებიათ მაიას ქვეყნის ძველ მცხოვრებლებს, რომლებიც მეზობელთა მოძალების გამო ოდესღაც იძულებულნი შექნილან მშობლიურ მხარეებს გასცლოდნენ; წასვლამდე მათ დაუმარხავთ თავიანთი უძვირფასესი განძი — პირამიდები, რათა განადგურებას გადაერჩინათ ისინი. ავტორი წიგნისა „ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები“ კ. კერამი პირამიდების გადასარჩენად გაწეულ ამ მუშაობას ისეთივე განსაცვიფრებელ საქმედ მიიჩნევს, როგორც აგებას მათსას, — საკმარისია მათი სიმაღლე გავიხსენოთ. ყველა დამარხული პირამიდა როდია მიკვლეული დღემდე. საამისო სამუშაოები ჩვენს საუკუნეშილა დაიწყო. შესაძლოა, პირამიდების ნაწილი დღევანდელ ქალაქთა ქვეშაც კი აღმოჩნდეს, ნაწილს ტანაყრილი ტროპიკული მცენარეულობა იფარავს ცნობისმოყვარე თვალთაგან, უმეტესობა თეთრკანიანმა დამპყრობლებმა დააქციეს და მათი ნამუსრევები თავიანთ შენობათა ასაგებად მოიხმარეს.

თავდაპირველად ეგონათ — მექსიკური პირამიდები ოდენ დიდრონი საკურთხევლებია, რომელთა წვერზე საზეიმო ლოცვა და ზორვა აღესრულებოდაო. ამგვარ აზრს ეგვიპტური პირამიდებისგან რამდენადმე განსხვავებული მათი ფორმაც ბადებდა. ზედა ნაწილი ამათ წაკვეთილივით ჰქონდათ და ამნაირად გაჩენილ ბანზე აღმართული იყო ხოლმე ტაძარი, რომლისკენაც განიერი კიბე მიუყვებოდა საძირკვლიდან. სწორედ ფორმისა და დანიშნულების ამ სხვაობას იყენებდნენ საბუთად ატ-

ლანტისის მოწინააღმდეგენი. მათი აზრით, პირამიდების მსგავსება გარეგნულია მხოლოდ. ზოგიერთი იმასაც ფიქრობს — პირამიდები, როგორც ნაგებობის უმარტივესი ფორმა, იქაც და აქაც შეიძლებოდა გაჩენილიყო ერთმანეთზე სრულიად დამოუკიდებლად. ეს დიდად დამაჯერებელი არგუმენტია და ამასწინანდელი არქეოლოგიური გათხრები რომ არა, მისი უარყოფა არც ისე ადვილი იქნებოდა.

1948-1952 წლებში პალენკში (მექსიკა) არსებული ეგრეთ-წოდებული „წარწერათა ტაძრიანი პირამიდის“ შიდა ნაწილი გამოიკვლიეს. ეს სახელწოდება, როგორც ადვილი მისახვედრია, პირამიდის თხემზე აღმართული ტაძრის შიგნით და გარეთ არსებულ მრავალ წარწერას უკავშირდება. სწორედ ტაძარში მიაგნეს პირამიდის სიღრმეში ჩასასვლელ საიღუმლო კიბეს. ეს კიბე იმ ზომამდე იყო დახერგილი ნამსხვრევებით, რომ მის გაწმენდას კარგა ოთხი წელიწადი დასჭირდა. გარნა ეს ძნელი სამუშაო სენსაციური აღმოჩენით დაგვირგვინდა: კიბე ჩაუყვებოდა სადგომისკენ, სადაც ქვის დიდ სარკოფაგში ხუთი ახალგაზრდა ინდიელის ჩონჩხი იპოვნეს. გვერდით აღმოჩნდა მეორე ვრცელი ოთახი, ქვის ვეება ბლოკიანი, რომელიც თავდაპირველად საკურთხეველი ეგონათ, სინამდვილეში კი ისიც სარკოფაგი გამოდგა. შიგ ვილაც დიდკაცი, ეტყობა, მმართველი ან ქურუმი, ჩაესვენებინათ და მისი ნეშტი ოქროითა და იასპით შემემკოთ (იასპს, როგორც ჩანს, ოქროზე ძვირად აფასებდა მაიას ხალხი). აქვე იპოვნეს იასპის პატარ-პატარა ნატეხებით ჩინებულად შესრულებული ნიღაბი მიცვალებულისა. სხეული და სამოსელი ერთიანად დაშლილიყო, ძვლებილა ნახეს და წითელი საღებავის ნარჩენები (ინდიელებს წესად ჰქონდათ გვამის საღებავით დაფარვა). თვით სარკოფაგი ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეს განეკუთვნება. მაიას პირამიდები ეგვიპტურის უმრწემესია ძირითადად, რის გამოც ზოგნი მზად არიან მაიას ხალხი ეგვიპტელთა შეგირდებად დასახონ.

ანალოგიის საფუძველს იძლევა აგრეთვე მექსიკაში ნაპოვნი და ეგვიპტურის მსგავსი ობელისკები, ტიპობრივად ახლოს მდგომი ორნამენტაცია და კერამიკა, ცხედართა დაბალზამების მსგავსი, ზოგჯერ კი სავსებით ერთნაირი წესი და, ბოლოს,

მსგავსივე (თუნდაც მხოლოდ გარეგნულად) იეროგლიფური დამწერლობა.

ამას დაეუმატოთ ერთნაირი წეს-ჩვეულებები — ქურუმთა გამოცალკევებული კასტა ეგვიპტესა და მექსიკაში, მზის კულტი, ღროის ანგარიშის მსგავსი სისტემები, ასტრონომიით გატაცება... მაშინ ძნელი იქნება იმ შთაბეჭდილების უარყოფა, რომ კულტურის ეს ორივე უძველესი კერა, ოკეანის მიერ დაშორიშორების მიუხედავად, რაღაცით გაერთიანებული უნდა ყოფილიყო.

კიდევ ერთხელ უნდა მივაპყროთ ყურადღება პირამიდების ფორმას. მათს სხვაობას ხაზი თუ გავსვა, შესაძლოა მცდარი. დასკვნა გამოვიტანოთ — მაიასა და ეგვიპტელთა ნაგებობებს საერთო არაფერი აქვთო. საქმე ის არის, რომ ეგვიპტური პირამიდების ტიპიური ფორმა შედარებით მოგვიანო ხანაში დადგინდა. ხოლო ცნობილ ეგვიპტურ პირამიდათაგან უძველესნი — ჯოსერის (მესამე დინასტიის დამფუძნებლის) პირამიდა საკარში, აგრეთვე სნოფრუს (მეოთხე დინასტიის ფარაონის) პირამიდა მედუმში — მექსიკურთაგან მცირედ თუ განსხვავდებიან. ამათგან პირველი საოცრად მოგვაგონებს იუკატანის ქალაქ ჩიჩენ-იცაში მდგარ ფრთოსანი გველის პირამიდას.

შთაბეჭდილება ისეთია, რომ როგორც ეგვიპტური, ისე მექსიკური პირამიდებისთვის არსებულა რაღაც საერთო ნიმუშები, რომელთა კვალისთვის დღემდე ვერ მიგვიგნია.

ატლანტისის მოწინააღმდეგეებსაც მრავალი არგუმენტი მოაქვთ, რალა თქმა უნდა. ყოველგვარი მსგავსება ზედაპირულიაო, ამბობენ ისინი, ხოლო უფრო ჩაღრმავებული ანალიზი ცხადყოფს, რომ ორსავე კულტურას სავსებით დამოუკიდებლად განვითარება შეეძლოო. ძეგლებზე ორნამენტის საფუძველს მცენარეული, ცხოველური თუ გეომეტრიული მოტივები წარმოადგენს ორსავე შემთხვევაში. გარნა ეგვიპტურ ორნამენტში თუ ლოტოსი ან პაპირუსი მეორდება ხოლმე, ამერიკაში — სიმინდი ან კარტოფილი, ეგვიპტეში — ყაჯირი, მექსიკაში — იქაური ფრინველი კეცალი. გეომეტრიულ ფიგურებს რაც შეეხება, — კვადრატებს, წრეებს, სამკუთხედებს, — ეს მთელი მსოფლიოსთვის საერთო ელემენტებიანო. კი, მართალია, ხშირად ანალოგიები შემთხვევითი მსგავსებით ძნელი ასახსნელიცაა. მაგ-

რამ კულტურის საერთო წყაროს არსებობა რომც ვაღიაროთ, რა აუცილებელია „ძველი და ახალი ქვეყნიერების დამაკავშირებელი ხიდი“ გავდოთ, დონელის არ იყოს? საკმარისია გავიხსენოთ, რომ პირველყოფილი ადამიანი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა, საცხოვრისს იცვლიდა ხოლმე, უფრო ხანგრძლივად იქ ყოვნდებოდა, სადაც მიაკვლევდა ცხოვრების უკეთეს პირობებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, კლიმატზე არის დამოკიდებული. რამდენადაც ამ რამდენიმე ათასი წლის წინათ მყინვარების დნობასთან დაკავშირებით კლიმატური პირობები დიდად შეიცვალა, ხალხთა მასობრივი გადასახლებებიც უნდა მომხდარიყო.

საცხოვრებელი პირობები წელიწადის დროსთან ერთადაც იცვლება, რაც ცივი და ზომიერი ჰავის მხარეებში შეინიშნება განსაკუთრებით. წლიური ციკლის დადგენა პირველი ნაბიჯი იყო ასტრონომიისა და დროის ანგარიშის განვითარების გზაზე. ხალხი ანგარიშობდა იმ დღეებს, რომელთა მანძილზეც ბუნების მოვლენათა განმეორების ციკლი გასრულდებოდა ხოლმე, აქედან — მზის დაკვირვება და მზის კულტი.

დროთა განმავლობაში ხალხმა მომთაბარეობა ერთ ადგილას დამკვიდრებული ცხოვრებით შეცვალა, თავდაპირველად მესაქონლეობას მიჰყო ხელი, მერე და მერე — მიწისმოქმედებასაც. ოღონდ დროდადრო იძულებული შეიქნებოდა ხოლმე მუდმივი სამკვიდრებლიდან აყრილიყო და სხვაგან ეძებნა ბინა. ამის მიზეზი კლიმატის შეცვლაც შეიძლებოდა ყოფილიყო და მეზობლებთან უთანხმოებაც. არქეოლოგია გვიმოწმებს, რომ გადასახლებათა ამგვარი ტალღები მრავალი ყოფილა. ერთ-ერთ მათგანს შედეგად მოჰყვა აზიელთა ევროპაში და, მრავალი მეცნიერის აზრით, აგრეთვე ეგვიპტეში დასახლება. საცხოვრისის გამოცვლისას მიწათმოქმედი ხალხები შინაურ ცხოველებსა და კულტურულ მცენარეებსაც წაიტანებდნენ ხოლმე. ასე გაჩნდა ევროპაში მარცვლოვნები, რომელთა სამშობლოც სინამდვილეში აზიააო.

ამრიგად, თუკი ხალხი ევროპასა და ამერიკაში ატლანტისიდან წავიდ-წამოვიდა (როგორც ენთუზიასტი ატლანტოლოგები ამტკიცებენ), ქვეყნიერების ორსავე ამ მხარეშიც და ეგვიპტეშიც ერთნაირი კულტურული მცენარეები და შინაური ცხოვე-

ლები უნდა გვხვდებოდეს. სინამდვილეში კი ამერიკის კულტურულ მცენარეთა სია ჩვენისგან სრულიად განსხვავდება. ხორბალი, ჭვავი, ქერი, ბრინჯი და „ჩვენი“ მრავალგვარი ბოსტნეული კოლუმბამდელ ამერიკაში ცნობილი არ ყოფილა. ხოლო ამერიკაში ძირითადი კულტურა იყო ჩვენი კონტინენტისთვის საიმდროოდ სავსებით უცხო „ინდიელთა პური“ — სიმინდი. ინდიელთა მენიუში შედიოდა აგრეთვე კარტოფილი, მიწის თხილი და ლობიოს ჩვენთვის უცნობი ჯიშები. ნატურალისტები ამტკიცებენ — კოლუმბამდელ ამერიკაში აღმოსავლეთ ნახევარსფეროსთვის ცნობილი არც ერთი კულტურული მცენარე არ იპოვებოდა.

ოლონდ ბანანის საკითხი კი აღძრავს გარკვეულ ეჭვს. ორსავე ნახევარსფეროში ბანანის არსებობა, კაცმა რომ თქვას, არავის გააკვირვებდა, ისევე როგორც არავის ეჩოთირება, მაგალითად, ის ამბავი, რომ ამერიკაშიც, აზიაშიც და აფრიკაშიც უხსოვარი დროიდან ხარობდა ქოქოსის პალმა. ატლანტოლოგთა შორის ბანანის გამო დისკუსიები მაშინ დაიწყო, როცა ჰიპოთეზა წამოაყენეს — ეს მცენარე ხელოვნურად არისო გამოყვანილი (ზემოთ ეს ითქვა უკვე).

შინაური ცხოველების ამბავიც ასეა. ამერიკაში ცხენი არ იცოდნენ. მექსიკის მცხოვრებლებმა ეს ცხოველი პირველად მაშინ იხილეს, როცა ესპანელები გადასხდნენ იქ კორტესის წინამძღოლობით. ინდიელები პანიკამ მოიცვა, ესპანელთა ცხენებმა მთელი ომის ბედი გადაწყვიტეს, იგივე როლი შეასრულეს, რაც ტანკებმა და თვითმფრინავებმა ჩვენს საუკუნეში.

მხოლოდ ადამიანის ერთგული მეგობარი ძაღლი იყო, უხსოვარი დროიდან მუდამ რომ ცხოვრობდა ორსავე ნახევარსფეროზე. მაგრამ ამ ფაქტის ანხნაც შეიძლება ატლანტისის ჰიპოთეზის გარეშე: უბრალოდ, ძაღლი ამერიკაში ადამიანთა პირველ ჯგუფებს ჩაჰყავაო.

მეცნიერთა საკმაოდ ერთსულოვანი თვალსაზრისის თანახმად, პირველი ადამიანები ამერიკაში აზიიდან უნდა გადასულიყვნენ. საფიქრებელია, რომ „კაცობრიობის აკვანი“ იყო ცენტრალური აზია — ჩინეთი ან თურქესტანი. გამყინვარების პერიოდის დამლევს აზიელთა ჯგუფი, როგორც ჩანს, ხმელეთით გადასულა ამერიკაში; ციმბირისა და ალასკის გავლით, რომლებ-

საც მაშინ ჯერ კიდევ არ თიშავდა აწინდელი ბერინგის სრუტე. ორივე ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის აზიური წარმოშობის სასარგებლოდ ანთროპოლოგიური ხასიათის საბუთებიც მეტყველებს: აღნაგობით, თავის ქალის, განსაკუთრებით — პირსახისა და ცხვირის მოყვანილობით, აგრეთვე თმითაც, ინდიელნი აზიის მცხოვრებლებს მოგვაგონებენ. ამერიკის ჩრდილო რაიონებში მობინადრე ესკიმოსები მონღოლებს ჰგვანან, ხოლო ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის მკვიდრნი — სამხრეთ აზიის მოსახლეობას. თუმცა ენათა მსგავსების მიხედვით ამ თეორიას დასაბუთება უფრო საძნელო შეიქნებოდა: მარტოდენ ესკიმოსები მეტყველებენ ისეთ ენაზე, რომლის საერთო ჯგუფისთვის მიკუთვნებაც ხერხდება; სხვა ინდიელთა ენები, მეცნიერთა აზრით, მსოფლიოს ყველა დანარჩენი ენისგან განსხვავდება.

ინდიელთა წარმოშობის თეორია XVII საუკუნის შუა წლებში გეოგრაფმა ი. ოგილბიმ წამოაყენა პირველად, ხოლო მეცნიერულად ფრანგმა ნატურალისტმა ჟორჟ კიუვემ დაასაბუთა 1812 წელს. ამ თეორიის დამადასტურებელი ძირითადი საბუთი ის იყო, რომ ამერიკის ტერიტორიაზე წინა გეოლოგიურ ეპოქებში ადამიანის არსებობის კვალი თითქოს არსად ჩანდა. მაგრამ უკანასკნელი წლების აღმოჩენებმა ვგონებ რამდენაღმე საფუძველი გამოაცალეს ამ თეორიას. ტეხასის შტატში ექვსი მეტრის სიღრმეზე კერიის ნაშთები, ბიზონის, ირმის, მგლის, კოიოტის, ბოცვერისა და ფრინველის ძვლები, ლოკოკინის ნიჟარები და კენკროვანთა დანახშირებული თესლიც კი იპოვნეს. ამ ადგილის სიახლოვეს სპილოს, აქლემის, ცხენისა (ისტორიულ ხანაში ამერიკაში თითქმის არარსებული ცხოველების) და სხვა ძუძუმწოვართა ძვლებიც აღმოჩნდა. ხოლო მათ შორის ისართა ქვის წვეტებს მიაკვლიეს. ქალაქ ლუისვილის მახლობლად რამდენიმე კერიის ნაშთს წააწყდნენ, სულ ცოტა, 37 ათასი წლის წინანდელს (დადგენილია რადიონახშირბადის მეთოდით)¹.

სხვათა შორის, გამოირკვა, რომ სწორედ ამერიკა ყოფილა ცხენის სამშობლო. ეტყობა, უფრო ადრე თუ არა, გამყინვარე-

¹ „Science“, № 3239, 1957.


ბის ეპოქაში გადაშენებულა იქ ცხენი. სამხრეთ ამერიკაშიც გვხვდება ცხენის ძვლები. მარსელ ომემ¹, რომლის ნაშრომთა დამოწმება ჩვენ ქვემოთაც დაგვკირდება, პედრა პინტადას კლდეზე (ბრაზილიისა და ვენესუელის საზღვართან) უძველესი ნახატი აღმოაჩინა — ცხენოსანის გამოსახულება. ჩულინის მღვიმეშიც (არგენტინა) ნახეს ცხენოსანთა გამოსახულებები, ტროას ნანგრევებში ნაპოვნს რომ ჰგავს საოცრად. ამერიკის სამხრეთით, მაგელანის სრუტის სიახლოვეს, პალი აიკეს მღვიმეში, ადამიანის ჩონჩხთან ერთად ცხენის ძვლებიც აღმოჩნდა. გამოკვლევამ ცხადყო, რომ ის ძვლები 9000 წლის წინანდელი ყოფილა.

საექვო ღირებულების, ოლონდ „ატლანტიის ენთუზიასტთა“ მიერ მაინც ხშირად გამოყენებულ საბუთებს უნდა მივათვალოთ მსგავსება იმ ნახატებისა, რომლებიც ქვეყნიერების ორსავე ნაწილში, დიდი წყლის გაღმა-გამოღმა მოსახლე ადამიანებს შეუსრულელებიათ წინარეისტორიულ ხანაში. ეს ნახატები ბავშვის ნამუშევარს ჰგავს და პრიმიტიული ტექნიკის მომარჯვებით არის შექმნილი. მთელ მსოფლიოში ყველა ბავში სწორედ ასევე ხატავს ხოლმე ცხოველებს; ამიტომ დიდად სარისკო იქნებოდა, მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით რაიმე სერიოზული დასკვნები გამოგვეტანა. ოლონდ ერთი კი უეჭველია: წინარეისტორიული ხანის ადამიანს ამერიკაშიც ჰყოლია ცხენი.

ზოგიერთი მკვლევარი დიდად ამსგავსებს ინდიელთა, შუმერთა, ეგვიპტელთა, ევროპის ძველ მოსახლეთა და თვით წყნარი ოკეანის კუნძულების მკვიდრთა დამწერლობას (უფრო სწორად — იდეოგრაფებს). სხვანი კანარის კუნძულელი გუანჩების დამწერლობისა და კრეტულის მსგავსებას აღნიშნავენ. ამ უკანასკნელ ხანს კრეტული დამწერლობა ნაწილობრივ გაშიფრეს კიდეც, მაგრამ გუანჩების დაწერილობის წაკითხვას ამით ვერაფერი ეშველა. ნიშანთა მსგავსება ეჭვს არ იწვევს, მაგრამ გარეგნულია მხოლოდ.

მაიას დამწერლობისა და ეგვიპტური იეროგლიფების მსგავსების საკითხი ამ უკანასკნელ წლებშიდა გაირკვა ვგონებ. ფიქრობდნენ, რომ ერთი შეხედვით საოცარი მსგავსებისდა მიუხე-

¹ M. Homet. Die Söhne der sonne, oltten, 1958.




ცხენოსანთა გამოსახულებანი სამსრეთ ამერიკაში პედრა პინტადას ლოდზე (მარცხნივ) და არგენტინაში, ჩულინის მღვიმეში (მარჯვნივ).

დავად, ნიშანთა რაობა ორსავე შემთხვევაში სხვადასხვა არისო. სადღეისოდ ეგვიპტური დამწერლობა სრულად არის შესწავლილი და ყველა ეგვიპტური წარწერის ამოკითხვა ძალგვიძს. ამავე დროს, მაიას დამწერლობა გამოცანად რჩებოდა. მაიას დამწერლობის გასაშიფრავად „ეგვიპტური“ მეთოდის მომარგვების ყველა ცდა მარცხით დამთავრდა. ეს ერთობ მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო მაიას ხალხისა და ეგვიპტელთა კულტურების ანალოგიის მომხრეთა წინააღმდეგ. ეს უკანასკნელნი ხომ ორსავე ხსენებულ ხალხს ატლანტთა შთამომავლებად თუ შეგირდებად მიიჩნევდნენ.

მაიას დამწერლობის საიდუმლო სულ ამ რამდენიმე წლის წინ ამოხსნა საბჭოთა მეცნიერმა ი. ვ. კნოროზოვმა. მან დაამტკიცა, რომ ეს დამწერლობა ნიშანთა სამი სახეობისგან შედგება: იდეოგრამებისგან (ესე იგი მთელი ცნებების აღმნიშვნელ ნიშანთაგან), ფონეტიკურ (მარცვალთა მიმთითებელ) ნიშანთაგან და ეგრეთ წოდებული დეტერმინატივებისგან (ეს ისეთი ნიშნებია, რომლებიც არ წარმოითქმის და წინა ნიშანთა უფრო ზუსტად დახასიათებისთვის იხმარება მხოლოდ). ასეთივე პრინციპია გამოყენებული ეგვიპტური იეროგლიფურ დამწერლობაში.

ნასკეური დამწერლობაც უნდა მოვიხსენიოთ აქ. ეს არის



კორეული ნასკეური დამწერლობა.

დამწერლობის განსაკუთრებული სახეობა, უძველესი კულტურების ორ დაშორიშორებულ ცენტრში რომ გვხვდება — პერუსა და აღმოსავლეთ აზიაში, აგრეთვე ოკეანეთის კუნძულებზე. ამ დამწერლობას პერუში კიპუ ჰქვია, ხოლო მის გამომყენებელთ კიპუ-კამაიოკს უწოდებდნენ. ეს დამწერლობა ძალზე ძველია, ჯერ კიდევ ისკებამდელი ეპოქისა. კიპუს „წიგნი“ შედგება გრძელი მაგარი ბაწრისგან, რომელსაც უცნაურად დანაკვეული პატარ-პატარა თოკები ეკონწიალება. ამნაირად კეთდებოდა გამარჯვების თუ მოსავლის ამბავთა მომთხრობელი, გადასახადის დამწესებელი თუ მოსახლეობის აღწერის აღმნიშვნელი ჩანაწერები.

ჩინეთში ნასკვეური დამწერლობის არსებობის ამბავს ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში მოიხსენიებს ტაო-ტე-კინის წიგნი, მაგრამ მისი კვალი ჩინეთის ტერიტორიაზე ჯერჯერობით არსად აღმოჩენილა. ცნობილია მხოლოდ რიუჟიუს კუნძულებზე და კორეაში ნაპოვნი ნიმუშები. სილას დინასტიის (ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგი) ერთ-ერთი ხელმწიფის საძვალეში ამგვარი დამწერლობის მშვენიერ ეგზემპლარს წააწყდნენ. თავდაპირველად გაწყობილი ჭამარი ეგონათ. სიგრძით 109 სანტიმეტრია და, პერუული კიპუს მსგავსად, მაგარი ბაწრისა და ზედ მოკონწიალე პატარ-პატარა თოკებისგან შედგება; ამ თოკებზე სხვადასხვა სიდიდისა და მოყვანილობის ოქროს „სამშვენიებში“ არის ასხმული. ა. ეკარდტის შეხედულებით, ეს ნიშნები მეფე კიმ-ნულჯის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ამბებს უნდა მოგვითხრობდნენ. ეკარდტი იმასაც აღნიშნავს — ნასკვეური დამწერლობა სანსკრიტს ჩამოჰგავსო¹.

ეს ანალოგიები ყველა ხალხის კულტურათა დროის მიხედვით დიდად დაშორებულ კავშირს უნდა მიუთითებდეს, ხოლო ზოგიერთი ატლანტოლოგისტის ეს იმის საბუთია, რომ ათასეული წლების წინათ არსებულა დიდად განვითარებული კულტურა, რომლის ცენტრიც ატლანტისი იყო. აქედან ამ კულტურის შემქმნელნი მთელი მსოფლიოს დასაპყრობად გაემართნენ და გადაადგილების სხვადასხვა საშუალებები, თვითმფრინავებიც კი გამოიყენესო. საპარის უდაბნოში აღმოჩნდა სილით წა-

¹ „Forschungen und Fortschritte“. № 11, 1958

ფარული იღუპალებით მოცული ფილები, რომლებიც ნამეტნავად თავგადაკლულ ატლანტომანებს წინარეისტორიული აეროდრომის ნაშთად მიაჩნიათ მაინცდამაინც.

გარდასული დროის კულტურის მრავალი სხვადასხვა ძეგლიდან ყველაზე მეტი გამოკვლევა ეგვიპტურ პირამიდებს მიძღვნიდა ალბათ. ჩვენც მათ დაუფთმოთ ამ წიგნის მომდევნო თავი.

პირამიდები და მისი მნიშვნელობა

ეგვიპტური პირამიდების კოლოსალური სიდიდე და ილუმინაციებით მოცული დანიშნულება ძველთაგანვე ინტერესს აღძვრავდა. ნუთუ მხოლოდ ფარაონთა დასაკრძალავად იქმნებოდა უდიდესი გარჯისა და ხარჯის ფასად აგებული ფანტასტიური ზომის ნაგებობები?

მეცნიერება პირველად ნაპოლეონის დროს დაინტერესდა ეგვიპტური პირამიდებით. ნაპოლეონმა მრავალათასიან არმიასთან ერთად მეცნიერთა დიდი ჯგუფიც ჩაიყვანა ეგვიპტეში. სწორედ იმავე ხანაში, გასული საუკუნის დამდეგს, რამდენიმე თეორია წარმოიშვა პირამიდების დანიშნულების, განსაკუთრებით — მათი ზომისა და სიდიდის ასტრონომიასთან კავშირის შესახებ.

და, თუმცა მრავალ გამოჩენილ თანამედროვე მეცნიერს მიაჩნია — პირამიდების მოცულობაში რაიმე ფარული აზრის ძიება ფუჭი საქმეა¹, ამ ციფრების შეპირისპირება იმდენად საინტერესო რამ გამოდის, მასზე უარს ვერ ვიტყვით ამჟერად.

1837 წელს ინგლისელმა მეცნიერმა პოლკოვნიკმა პოვარდ

¹ ამგვარი აზრი გამოთქვა, მაგალითად, ლუდვიგ ბორჰარდტმა. იხილეთ „Gegen die Zahlenmystie an der Grossen Pyramide bei Gizeh“ („გიზის დიდი პირამიდის ირგვლივ შექმნილი ციფრების მისტიკის წინააღმდეგ“), 1922.

ვაიზმა საგულდაგულოდ გაზომა ხეოპსის დიდი პირამიდა. კერძოდ, მან განსაზღვრა ყოველი გვერდითი წახნაგისა და საფუძვლის სიბრტყის კუთხეები. ეს კუთხე, ვაიზის გაზომვათა მიხედვით, $51^{\circ}51'$ -ს შეადგენს. გაზომვის შედეგებით დაეჭვება და საერთოდ, ამ საკითხის გამო დაფიქრება აზრადაც არავის მოუვიდოდა, მაგრამ გამოიჩინა, რომ ასეთივე კუთხით არის აყვანილი კიდევ რამდენიმე პირამიდის, მათ შორის ერთ-ერთი უძველესის — ფარაონ სნოფრუს (ეგვიპტელ მონარქთა მეოთხე დინასტიის დამწყების) სამარხის გვერდითი წახნაგები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დინასტიის ფარაონებს ყველაზე დიდი პირამიდები აუგიათ, ხოლო ამათში უდიდესია სნოფრუს ძის — ხეოპსის პირამიდა. მათი მემკვიდრენი უფრო ხელმომჭირნედ და, რაც უმთავრესია, გაცილებით უხეიროდ აშენებდნენ თავიანთ სამარხებს. ზოგიერთი მათგანი იმდენად დაუდევრად ამოუყვანიათ, რომ მათგან ნანგრევთა გროვალა შემორჩენილა და ამ ხვავში პირვანდელი დიდებული ფორმა ველარ იჩილვება. ჩვენს ხანას ოთხმოცამდე პირამიდამ მოატანა. მათ დღესაც ალტაცებაში მოპყავთ არქიტექტორები და ტურისტები, თუმცადა ოდინდელი მშვენებით ველარ ბრწყინავენ. კერძოდ, მათი მოსაპირკეთებელი მასალა მეჩეთებისა და საცხოვრებელი სახლების ასაგებად მოიხმარეს მაჰმადიანებმა.

გარდა ამისა, იმ „ორმოცი საუკუნის“ მანძილზე, მამელუკების მხედრობასთან შერკინების წინ ნაპოლეონ ბონაპარტემ რომ ახსენა, ხეოპსის პირამიდამ წვერიც დაკარგა, რაც აძნელებს მისი სიმაღლის ზუსტად განსაზღვრას. მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, 146-148 მეტრი უნდა ყოფილიყო. საბედნიეროდ, პირამიდის ძირის კუთხის კარნიზებზე ჯერაც შენახულა პირნაკეთობა, რომელიც ახლომდებარე უდაბნოდან მონაბერ ქარებს წაუსილიათ, და ეს გვეხმარება პირამიდის ოდინდელი ფორმის აღდგენის საქმეში.

ვაიზის შემდეგ კიდევ მრავალგზის გაზომეს პირამიდები. 1848 წელს ეს გააკეთა შოტლანდიის „სამეფო“ ასტრონომმა ჩარლზ პიაცი სმიტმა, 1883 წელს — ერთ-ერთმა უგამოჩენილესმა ეგვიპტოლოგმა უილიამ პეტრიმ, რომელმაც ეგვიპტის შესწავლას თავისი ცხოვრების 46 წელი შესწირა. პირამიდებს სწავლობდნენ გამოჩენილი ასტრონომები ჯონ გერშელი, ოპოლ-

ცერი, ბაუშინგერი და ნიუკომბი, მათემატიკოსი შარლ ლაგრანჟი და სხვა ეგვიპტოლოგები. ამ გაზომვათა შედეგები ყოველთვის როდი თანხვდებოდა სათანადოდ. პიაცი სმიტი ჩივის — დიდი პირამიდის სამეფო სარკოფაგი ოცდახუთმა გეომეტრმა გაზომა და არც ერთი გაზომვის შედეგები დანარჩენ ოცდაოთხს არ თანხვდებოდა!

მაგრამ გვერდით სიბრტყეთა პორიზონტალურისადმი დახრის კუთხეთა სხვაობა გაზომვების შედეგად ერთ მიწუტს არ აღემატება. ერთნი $51^{\circ}51'$ -ს ახგარიშობენ, სხვანი — $51^{\circ}52'$ -ს. თავად პიაცი სმიტმა გაზომვისას $51^{\circ}51'3''$ მიიღო. 1880 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში „Our inheritance in the Great Pyramid“ („ჩვენი მემკვიდრეობა დიდ პირამიდაში“) პიაცი სმიტმა ბევრ შემთხვევაში საშუალო სიდიდეები გამოიყვანა, ხოლო ხსენებული კუთხის სიდიდედ მიიჩნია $51^{\circ}51'14''$. ამ შემთხვევაში პირამიდის პერიმეტრის სიგრძე მის საფუძველთან, პირამიდის გაორკეცებულ სიმაღლეზე გაყოფილი, იძლევა 3,14159-ს, ესე იგი რიცხვ π -ს, რომელიც გამოხატავს წრეხაზის სიგრძის დამოკიდებულებას დიამეტრისადმი.

ხეოპსის პირამიდის მოცულობაში ამ რიცხვის აღმოჩენამ სენსაცია გამოიწვია. ძველი საბერძნეთის დიდმა მათემატიკოსებმაც კი (როგორც, ვთქვათ, არქიმედი იყო) ეს რიცხვი მხოლოდ მიახლოებით იცოდნენ. მისი ნამდვილი სიდიდე ნულს შემდეგ ოცდათხუთმეტი ნიშნის სიზუსტით მხოლოდ XVI საუკუნის მიწურულს გაიანგარიშა მათემატიკოსმა ლუდოლფ ვან ცაილენმა (მის პატივსაცემად ხსენებულ რიცხვს ლუდოლფის რიცხვი ეწოდა).

რიცხვი π პირამიდაში იმას ნიშნავს, რომ, თუ შემოვხაზავთ პირამიდის სიმაღლის ტოლი რადიუსის მქონე წრეხაზს, მაშინ მისი სიგრძე პირამიდის კვადრატული საფუძვლის პერიმეტრის ტოლი იქნება. ამგვარი წრეხაზი გვარიანი სიდიდისაა — მისი რადიუსი 147,8 მეტრს შეადგენს, ხოლო პირამიდის მხარის სიგრძე — 232,16 მეტრს.

ეგვიპტელთა მხრივ მათემატიკის, განსაკუთრებით კი გეომეტრიის სიყვარულის ამბავი რომ ვიცით, იმასაც უნდა ვერწმუნოთ, რომ პირამიდების ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავებაში უგამოჩენილესი მათემატიკოსები მიიღებდნენ მონა-

წილებას. ზიცხე -ს პრობლემას ისინი მართლაც რომ ამუ-
შავებდნენ, თუნდაც ეგრეთ წოდებული „რანდის პაპირუსით“
ვიციტ ეს ამბავი (პაპირუსი ა. ხ. რინდმა აღმოაჩინა 1858 წელს
და დღესდღეობით ბრიტანეთის მუზეუმში ინახება).

ამ პაპირუსით იმასაც ვტყობილობთ, რომ პირამიდის სიმალ-
ლეს ეგვიპტეში ეწოდებოდა pr-ni-ws, საიდანაც, ზოგიერთი
მკვლევარის აზრით, ბერძნებს სიტყვა „პირამიდა“ უნდა ეწარ-
მოებინათ. სხვა მკვლევარნი ამტკიცებენ — ბერძნებმა ეგვიპ-
ტის მოზილვამდე დიდი ხნით ადრეც იცოდნენ პირამიდის ფორ-
მის ფუნთუშების გამოცხობა და იმ ფუნთუშებს „პირამიდი-
ონ-ს“ უწოდებდნენ, ხოლო როცა ჩვენს წელთაღრიცხვამდე
VII საუკუნეში ეგვიპტელთა გიგანტური ნაგებობანი პირველად
იხილეს, მათ თავიანთი საყვარელი ფუნთუშების სახელწ შეარ-
ქვესო. ფიქრობენ, თავად ეგვიპტელნი თავიანთ ნაგებობებს
უწოდებდნენო pir-ს, გარნა ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა
დღემდე არ არის დადგენილი. ამ სიტყვას ზოგჯერ ასეც თარგ-
მნიან: „მაღალი რამ“. ქალდეველნი პირამიდებს ვითომ urim-
mid-din-ს უწოდებდნენ, რაც „სინათლესა და ზომას“ ნიშნავს.
ეს ზომა-წონათა ცოდნის მიმნიშნებელი ამბავი იქნებოდა.
ფრანგი მეცნიერის დიუფესის აზრით, ეგვიპტური სიტყვა pir-
mit ნიშნავს „მეათედს“ ანდა „რიცხვთა მეათედ ნაწილებს“;
ამის საფუძველზე მკვლევარი დასკვნის — თავიანთ ნაგებო-
ბებში ეგვიპტელებმა ათეულებად შემცირებული მასშტაბებით
გამონატესო სხვადასხვა სიდიდენი.

საბუთად ის არის მოტანილი, რომ ხეოპსის პირამიდის სი-
მალღე ზუსტად მილიარდჯერ ნაკლებია დედამიწიდან მზემდე
არსებულ მანძილზე.

მიწიდან მზემდე მანძილის განსაზღვრა ერთი იმ პრობლე-
მათაგანია, რომელსაც უძველესი დროიდანვე დასტრიალებდ-
ნენ თავს ასტრონომები. ხეოპსის პირამიდის აგებიდან 2000
წლის შემდეგ ბერძენი ასტრონომები ნამდვილზე ათჯერ (პი-
პარქე) ან ოცჯერ ნაკლებსაც ანგარიშობდნენ ამ მანძილს. პტო-
ლემაიოსის მიერ მიღებული სიდიდე (8 მილიონამდე კილომეტ-
რი) კოპერნიკმაც გაიზიარა თავისი ჰელიოცენტრული სისტემის
შექმნისას. XIX და XX საუკუნეთა ასტრონომებმალა შეძლეს

დაედგინათ, რომ მიწიდან მზემდე მანძილი 149,5 მილიონამდე კილომეტრს შეადგენს.

ამრიგად, პირამიდის სიმაღლე (პიაცი სმითის მიერ გაზომვის შედეგს — 147,8 მეტრს თუ ავიღებთ) წარმოადგენს მილიარდჯერ შემცირებას დედამიწიდან მზემდე არსებულ საშუალო მანძილისა 1%-მდე სიზუსტით, რაც სიზუსტით განუზომლად აღემატება არა მარტო ჰიპარქესა და პტოლემეაიოსის, არამედ აგრეთვე კოპერნიკისა და XIX საუკუნემდე მცხოვრებ სხვა ასტრონომთა გამოთვლებს!

არანაკლები იღუმალეებითაა მოცული „წმიდა წყრთა“, რომელსაც „პირამიდის წყრთას“ ან „პირამიდის მეტრს“ უწოდებენ აგრეთვე. ეს არის პირამიდების აგებისას გამოყენებული სიგრძის ერთეული, 635,66 მილიმეტრს უდრის.

თუ გავითვალისწინებთ, რომ დედამიწის სფეროს რადიუსი ცენტრიდან პოლუსამდე 6357 კილომეტრია; უნდა შევნიშნოთ, რომ „პირამიდის წყრთა“ დედამიწის რადიუსის ერთი მეათმილიონედი ნაწილი ყოფილა. მაგრამ ამითაც არ ამოიწურება ყოველივე. დედამიწის რადიუსის XIX და XX საუკუნეში შესრულებულ გაზომვათა შედეგები სხვადასხვა ავტორების მიხედვით რამდენადმე განსხვავებულია, როგორც ქვემოთ წარმოდგენილი შეპირისპირებითაც ჩანს:

ბესელის მიხედვით (1841 წ.)	6356,08 კმ.
კლარკის მიხედვით (1880 წ.)	6356,52 კმ.
გელმერის მიხედვით (1907 წ.)	6356,82 კმ.
ჰეიფორდის მიხედვით (1909 წ.)	6356,91 კმ.
კრასოვსკის მიხედვით (1946 წ.)	6356,86 კმ.

ამ გაზომვათა საშუალო სიდიდე 6356,64 კილომეტრს შეადგენს, აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ „პირამიდის წყრთის“ სიგრძე — 635,66 მილიმეტრი — წარმოადგენს ერთ მეათმილიონედს რადიუსისა მძიმის შემდეგ უკანასკნელ ნიშნამდე სიზუსტით!

ვინ იცის (ფრანგ მღვდელს, „ციფრთა მისტიკოს“ მოროს კი აქვს ამის იმედი), იქნებ ისიც გამოარკვევს, რომ დედამიწის რადიუსის დღემდე შესრულებული ყველა გაზომვა მცდარი

ყოფილა და ეგვიპტელებს ეს სიდიდე ჩვენზე უკეთ სცოდნიათ. ყოველ შემთხვევაში, ეს უეჭველად შეეხება სიგრძის ჩვენს ძირითად ერთეულს — მეტრს. XVIII საუკუნის დამლევს მეტრული სისტემის შემქმნელებმა მიზნად დაისახეს ეს სიდიდე დაედგინათ როგორც დედამიწის პერიმეტრის ერთი მეორეობილიონედი (პარიზზე გამავალი მერიდიანის მიხედვით). ხანგრძლივ გაზომვათა შედეგად შეიქმნა „მეტრის პროტოტიპი“, რომელიც დღემდე ინახება ზომა-წონის საერთაშორისო ბაუროს საცავში (სევრი, პარიზის ახლოს). გარნა დედამიწის უფრო მოგვიანებით შესრულებულმა გაზომვებმა ცხადყვეს, რომ „არქივის მეტრი“ 0, 19 მილიმეტრით მოკლეა „ნამჯვილ“, უფრო სწორად — თეორიულ მეტრთან შედარებით. მეტიც, მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ — კიდევ დიჯხანს ვერ შევძლებთ დედამიწის ისე ზუსტად გაზომვას, რომ „მეტრი“ სათანადო სიზუსტით დაეადგინოთო. ან. ტომ მათ გეოდეზიურ გაზომვათა საფუძველზე სიგრძის ერთეულის განსაზღვრის ცდები უარყვეს (1889 წ.) და „პროტოტიპის“ სიგრძე მიიჩნაეს ეტალონად. ასე რომ მეცნიერებასა თუ ყოველღლიურ საქმიანობაში ჩვენ „მცდარ“ მეტრს ვიყენებთ, მაშინ როცა ეგვიპტელებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე ათასწლეულში უკვე ისეთი ეტალონი ჰქონდათ, რომელიც მილიმეტრის ერთ მეასედამდე სიზუსტით მიესადაგებოდა „ბუნებრივს“.

ეგვიპტელებს შეეძლოთ თავი მოეწონებინათ სიგრძის თავიანთი ერთეულით. თუმცა ინგლისელებიც იწონებენ თავს, თანაც იმიტომ კი არა მხოლოდ, რომ აღმოჩენაში მათი თანამემამულენი ვაიზი და პიაცი სმიტი მონაწილეობდნენ. სხვა საფუძველიც აქვთ სააპისოდ, უფრო მნიშვნელოვანი. მათ დაადგინეს, რომ „პირამიდის წყრთა“ იყოფა 25 „პირამიდის“ დუიმად, ხოლო ამ დუიმებიდან თითოეული სულ ერთი მეათასედით სწარბობს ინგლისურ დუიმს. პიაცი სმიტი ამტკიცებს — საზომთა ინგლისური სისტემა უძველეს დროს არის შექმნილი და მსოფლიოში საუკეთესოაო. იგი გადაჭრით ილაშქრებს ინგლისში მეტრული სისტემის დანერგვის წინააღმდეგ.

საგულისხმოა კიდევ ერთი „მისტკური“ რიცხვი. ხეოპსის პირამიდის სიგრძე მის საფუძველთან (232,16 მეტრი), „პირამიდის წყრთებად“ გაზომილი, 365,23-ს შეადგენს. ასტრონო-


მიულ წელიწადში ამდენივე დღეა. უფრო ზუსტად — წელიწადში არის 365,242 დღე (ესე იგი 365 დღე და დღე-ღამის მეოთხედზე ცოტათი ნაკლები), მაგრამ ეს ძვირფასი სხვაობა (თანამედროვე ასტრონომთაგან განსაზღვრული და ხეობის პირამიდაში უკვდავოფილი წელიწადის ხანგრძლივობისა) შეიძლება შესაწყნარებლად მივიჩნიოთ და იმ ამბავს მივაწეროთ, რომ თვით პირამიდა უკიდურესი სიზუსტით არ ყოფილა გაზომილი. ამ სხვაობის უკეთ წარმოსადგენად შევნიშნოთ: საკმარისია პირამიდის მხარის სიგრძე 6 მილიმეტრით უფრო გრძლად მივიჩნიოთ, რომ თანაბროული სიზუსტით წარმოღება წელიწადის დღეების მასში „ჩათქმული“ რიცხვი.

ოღონდ რიცხვთა მაგური როკვა ამითაც არ მთავრდება. ხეობის პირამიდა საოცრად ზუსტადაა ორიენტირებული ქვეყნის მხარეთა მიმართ. პირამიდის ის მხარე, რომელშიც შესასვლელია დატანებული, 4'-ის სიზუსტით არის მიმართული ჩრდილოეთისკენ. ეს იმას ნიშნავს, რომ თითქმის 0,25 კილომეტრის სიგრძე მხარის შეცდომა სულ 25 სანტიმეტრს შეადგენს! ამასთან, ეს შემთხვევითი ამბავი როდია. ასეთივე სიზუსტითაა ორიენტირებული მერიდიანის მიხედვით სნოფრუს, ხეფრენის, მენკაჟრისა და სხვა ფარაონთა პირამიდები.

ხეობის პირამიდის უახლოესი ხეფრენის პირამიდა იმგვარადაა აგებული, რომ მათი კვადრატული საფუძვლების დიაგონალები ზუსტად ერთ სწორ ხაზზე გადის.

ხეობის პირამიდაში ჩრდილო კედელში დატანებული ფარული შესასვლელიდან პირამიდის სიღრმისკენ გამავალი დერეფანი პორიზონტალური სიბრტყისადმი $26^{\circ}18'$ -ის კუთხით არის დახრილი. ამ რიცხვსაც თავისი მნიშვნელობა აქვს.

ღიღი პირამიდა იმ ადგილას დგას, რომლის გეოგრაფიული განედი $29^{\circ}59'$ -ს შეადგენს (პიაცი სმიტს მოაქვს რიცხვი $29^{\circ}58'51''$). ზუსტად 30° პარალელზე პირამიდის აგების მოსურნე მშენებლები სულ რაღაც ერთი მინუტით „შემცდარან“. დერეფანი ცის ჩრდილო პოლუსისკენ იქნებოდა ზუსტად მიმართული, მისი დახრილობის კუთხე $29^{\circ}59'$ -ს რომ შეადგენდეს. რაკი $26^{\circ}18'$ -ის დახრილობაა აღებული, დერეფანი იმ წერტილისკენ არის მიმართული, რომელიც პოლუსიდან $3^{\circ}41'$ -ით ქვემოთ მდებარეობს. ნუთუ არაერთგვაროვანი მნიშვნელობა არ მიუ-



სეოპსისა და ხეფრენის პირამიდების ვანლაგება.

ნიჰეზიათ ამ კუთხისთვის პირამიდის მშენებლებს? ან იქნებ მშენებლობის დროს თითქმის 4° -ით შეცდნენ? არათერციო, — ამტკიცებს პიატი სმიტი.

ჩვენს ხანაში ცის პოლუსს აღნიშნავს მცირე დათვის თანავარსკვლავედის ყველაზე მკაფიო ვარსკვლავი, პოლარულ ვარსკვლავად წოდებული. მართალია, ეს ვარსკვლავი პოლუსის წერტილში კი არ იმყოფება, არამედ დღე-ღამის განმავლობაში მის ირგვლივ თითქმის ერთი გრადუსის მანძილზე შემოხაზავს წრეს. პრეცესიის შედეგად პოლარული ვარსკვლავიდან პოლუსამდე არსებული მანძილი სისტემატურად იცვლება. პოლუსთან ყველაზე ახლოს, ნახევარი გრადუსის მანძილზე, იგი 2100 წლის ახლო ხანს იქნება, ხოლო ხეოპსის პირამიდის მშენებ-

ლობის დროს პოლუსს იმ ზომამდე იყო დაშორებული, „პოლარული“ ვარსკვლავად ვერც კი მიიჩნეოდა. იმხანად „პოლარული“ ვარსკვლავის როლს ასრულებდა დრაკონის თანავარსკვლავედის ერთ-ერთი მნათობი, დრაკონის ალფად სახელდებული. ამჟამად იგი თითქმის 25°-ით არის დაშორებული პოლუსს, მაგრამ პირამიდის მშენებლობის დროს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2592 წელს, პოლუჰიდან სწორედ 3° 41'-ზე იმყოფებოდა. პირამიდის ფსკერიდან დერეფნის წიად გამომქვრეტელ კაცს მაშინდელი „პოლარული“ ვარსკვლავი დრაკონის ალფა ღურბინდით მომზირალის მსგავსად შეეძლო დაენახა ამ ვარსკვლავის ქვედა კულმინაციის დროს, ესე იგი ღღე-ღამეში ერთხელ, როცა თავისი სადღელამისო ძვრისას ეს ვარსკვლავი მერიდიანს გადაჰკვეთდა ხოლმე პოლუსს ქვემოთ 3° 41'-ზე.

ოღონდ სწორედ იმ ხანაში აშენდა თუ არა ხეოპსის პირამიდა? მეცნიერთა გაანგარიშებანი იმდენად სხვადასხვაგვარია, რომ მათთან შედარებით პირამიდის გაზომვათა შედეგების სხვაობა სულ უმნიშვნელოდ გვეჩვენება. გასული საუკუნის დაძდეგის ეგვიპტოლოგთა — შამპოლიონის, ლოსუერისა და მარიეტის აზრით, ხეოპსის პირამიდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5000 წლის წინათ აუგიათ; ლეპსიუსი და ბუნზენი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3100 წელს ვარაუდობენ, რაულინსონი — ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2450 წლის ახლო ხანას. ზოგიერთი მკვლევარი კიდევ უფრო „ამცირებს“ ამ პირამიდის ასაკს — ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2150 წლისთვის უნდა აეშენებინათო.

ეგვიპტის ქრონოლოგიის დაზუსტების უახლეს ცდათა თანახმად (მაგალითად, კ. კერამის წიგნში — „ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები“ მოცემულ განსაზღვრათა თანახმად), ხეოპსის პირამიდის აგების ყველაზე სარწმუნო თარიღია ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2600 წელი ასე წლის ფარგლებში აქეთ თუ იქით შესაძლო გადახრის ვარაუდით. ამ თარიღის დადგენას უგამოჩენილეს ეგვიპტოლოგთა და არქეოლოგთა 150 წელიწადს შრომა დასჭირდა. განა უფრო ადვილი არ იქნებოდა, ის დაგვეჩერებინა, რასაც თავად პირამიდა გვაუწყებს? რაც უნდა იყოს, საკუთარი ამბავი თვითონ უკეთ ეცოდინებოდა!

კიდევ მრავალი რამის თქმა შეიძლებოდა პირამიდების გაზომვის შედეგად მიკვლეულ „საიდუმლოებათა“ გამო. მაგალითად, მეფის სარკოფაგის მასა მილიონ მილიარდჯერ (10^{15}) ნაკლებია დედამიწის მასასთან შედარებით. ზოგიერთმა ენთუზიასტმა ისე გაუტია, პირამიდის დერეფნებში აღმოაჩინა, „საიდუმლოდ“ აღბეჭდილი თარიღები უხსოვარ დროს მომხდარი ამბებისა (აღამიდან და ევადან მოყოლებული), აგრეთვე ისეთი ამბებისაც კი, რომლებიც მომავალში უნდა მოხდეს მხოლოდ. გარნა მკითხველნი ალბათ მიუტყეებენ ავტორს, რომ ამ საკითხს აღარ გამოედევნება ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ფსევდომეცნიერებსა და წინასწარმეტყველთ უთმობს ამგვარ გამოკვლევებს და, მეორეც, „ფანტაზტებსა“ და „მისტიკოსებს“ დღემდე ვერ ამოუკითხავთ ატლანტიისის დაღუპვის იქ ჩაწერილი თარიღი. რაც შეეხება იმათ, ვისაც უსიკვდილოდ სურს ჩვენი უახლოესი მომავლის ამბები შეიტყოს, ჩვენ შევახსენებთ ბარბარენის წიგნის სათაურს: „დიდი პირამიდის საიდუმლო ანუ ადამის მოღვმის აღსასრული“ („Le secret de la Grande Pyramide ou la fin du Monde Adamique“, პარიზი, 1947).

ეგვიპტურ პირამიდათა შედარებისას ირკვევა, რომ მათი შემქმნელნი ზრუნავდნენ, რათა საფუძვლის სიგრძის შეფარდება სიმაღლესთან რაც გაეწყობოდა მარტივი წილადით გამოხატულიყო, მაგალითად, 3:4 და ასე შემდეგ. გარნა, თუკი ვაღიარებთ (ხოლო უარყოფა ძნელია), რომ პირამიდებში ასტრონომიული მონაცემები არის აღბეჭდილი, როგორღა უნდა ვუპასუხოთ კითხვას: საიდან ჰქონდათ ეგვიპტელებს ეს ცოდნა? ზომ ცნობილია, რომ ისინი მარტივ ხელსაწყოებს იყენებდნენ და თანაც შთამომავლობისთვის არავითარი ისეთი კოსმოგონიური თეორია ან გამოთვლა არ დაუტოვებიათ, იმის საბუთად გამოდგებოდეს, რომ მათ დედამიწისა და სამყაროს ზომები სცოდნოდეთ. მხოლოდ კალენდარი და მზისა და წყლის საათის ნაშთები შემოგვრჩა მათგან. თუმცა სწორედ ამით წარმოგვიდგნენ სანაქებო ოსტატებად. მათი კალენდარი ნიმუშად დაედვა ჩვენსას. სხვათა შორის, იულიოს კეისრის მიერ შემოღებული კალენდარი ალექსანდრიელ ასტრონომს სეზიგენს შეუქმუშავებია ეგვიპტელი მონარქის პტოლემეაიოს მესამის

(ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნე) მიერ მიკვლეული იღვის საფუძველზე. ეგვიპტური საათის პრინციპს ევროპაში XIV საუკუნის შუა ხანებამდე იყენებდნენ.

ეგვიპტური კალენდრის წარმოქმნისა და 360-დღიანი, ხოლო შემდეგ 365-დღიანი წელიწადის დაწყების თაობაზე ბუნდოვანი ლეგენდები გავრცელებულა. მათ შესახებ ამ წიგნის მომდევნო ნაწილში ვისაუბრებთ.

დროის გამოთვლის შემოღება ღვთაებებს მიეწერებოდათ ხოლმე, განსაკუთრებით — თოთს, რომელსაც, ეტყობა, დიდი ცოდნა უნდა ჰქონოდა ასტრონომიისა და მათემატიკის დარგში, რაკი მისგან უსწავლიათ ეგვიპტელებს. დღისა და ღამის საათებად განწილვა.

ოლონდ, ჩვენის აზრით, მართალია ეგვიპტელმა ქურუმ-ასტრონომებმა წელიწადში დღეთა რიცხვისა და დღე-ღამეში საათების რაოდენობის გამოთვლის „რეცეპტები“ კი იცოდნენ, მათი შემქმნელნი მაინც არ ყოფილან. ამას ის ფაქტიც ცხადყოფს, რომ ოთხი ათასი წლის მანძილზე მათ სულ არ შეუცვლიათ დროის გამოთვლის წესი, თუმცაღა არსებული კალენდარი მრავალ სიძნელეს წარმოქმნიდა.

მათი კალენდარული წელიწადი ზუსტად 365 დღეს შეიცავდა. რა სადავიდარაბოდაც ეს ამბავი აქცევდა საქმეს, ამ წიგნის მესამე ნაწილის მე-2 თავში გამოჩნდება. ამჯერად ისღა აღვნიშნოთ, რომ ამასთან დაკავშირებით აუცილებელი ხდებოდა ნიადგ ეცვალათ დღესასწაულთა (მაგალითად, ნილოსის ყოველწლიური აღიდებისთვის მისადაგებულ დღესასწაულთა) თარიღები და აგრეთვე თესვის დაწყებისა თუ მოსავლის მოწევის ვადები ბუნების მოვლენებისთვის შეეფარდებინათ, რადგან კალენდარულ წელიწადში დღე-ღამის მეოთხედის შეუთანლობას შედეგად ის მოჰყვებოდა, რომ 1460 წლის განმავლობაში კალენდარული ახალი წელი წელიწადის ყოველ დროს უწევდა ხოლმე.

ხსენებული „რეცეპტები“ დღემდე გამოუჩვენებელი მიზეზების გამო შეუვალად იყო მიჩნეული. ის კი არა და ყოველ მონარქს საზეიმო ფიცი უნდა ღაეღვა — „თოთის მიერ დაწესებული“ კალენდრის რეფორმის არავითარ ცდას არ მივმართავთ.

საათების ანგარიშის ამბავიც ასე იყო. ეგვიპტელებს ცალკე დღე და ცალკე ღამე ოც თანაბარ ნაწილად ჰქონდათ დაყოფილი და ამ ნაწილებს უნუტს უწოდებდნენ. დღისა და ღამის ზღვრად მზის ჩასვლა-ამოსვლის მომენტები იყო მიჩნეული. ოღონდ ცნობილია, რომ ზაფხულობით დღე ღამეზე გრძელია ხოლმე, ზამთრობით კი მოკლე. ამიტომ დღის საათებიც ღამეულთაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო. ზაფხულობით დღის უნუტები ღამისაზე გრძელი იყო, ხოლო ზამთრობით — პირიქით, ღამის უნუტები იყო უფრო გრძელი. ამ სისტემას უხსოვარი დროიდან მისდევდნენ ეგვიპტელები. ამ პრინციპის მიხედვით მოქმედ საათებს წელიწადის დროთა შესატყვისი ურთულესი სკალა ჰქონდათ.

გარდა მზის საათისა (რისთვისაც, კერძოდ, განთქმული ობელისკები იყო გამოყენებული), ეგვიპტელებს კლემსიდრად წოდებული წყლის საათიც ჰქონდათ. მის გამომგონებლადაც თოთი ჰყავდათ შერაცხილი.

ოღონდ საგულისხმოა, რომ ყველა ეგვიპტური საათის (როგორც წყლის, ისე მზის საათების) ინსტრუქცია ერთსა და იმავე პრინციპს ემყარებოდა და ეს პრინციპი გეოგრაფიული განედის 15°-ის შესატყვისი იყო მხოლოდ. ჩრდილო გეოგრაფიული განედის 25°-სა და 30°-ს შორის მდებარე ეგვიპტეში სკალის დაყოფის შეუსაბამო პრინციპი მთელი ერთი საათის ხანგრძლივობის შეცდომას იწვევდა. ძნელი მისახვედრია, როგორ ეწყობოდნენ ამ გარემოებას ეგვიპტელი ასტრონომები, რომლებმაც იმდენი მოახერხეს, ქვეყნის მხარეთა მიხედვით ესოდენ ზუსტად განალაგეს პირამიდები და ასტრონომიული წელიწადის ხანგრძლივობაც კი გაიანგარიშეს.

ამ საკითხს მცირელი შუქი მაინც მოეფინება, თუკი იმას ჩავეუკვირდებით. რომ ეგვიპტურ დროის ანგარიშში მიღებული „რეკუპტი“ იმ ადგილის გეოგრაფიულ განედს შეესატყვისება, ეგვიპტის საზღვრიდან სამხრეთით 1000 კილომეტრზე რომ უნდა მდებარეობდეს, ესე იგი მწვანე კონცხის, მცირე ანტილის კუნძულებისა და მაიას ტომებით დასახლებული იუკატანის ნახევარკუნძულის (ცენტრალურ ამერიკაშია) განედს.

აქ უნდა დავსძინოთ, რომ მაიას ტომებსაც „შეუტოლებელი საათები“ ჰქონდათ, დღე-ღამეს ისინიც ნაწილებად ჰყოფ-

დნენ, თუმცაღა ცოტათი სხვაგვარად, ვიდრე ეგვიპტელნი: დღე 13 საათისგან შედგებოდა, ხოლო ღამე — 9 საათისგან. ეგვიპტის მსგავსად, დღის საათები ზაფხულობით უფრო ხანგრძლივი იყო, ვიდრე ზამთრობით. ეგვიპტელთა და მაიას ტომების გარდა, დროს „თანაბარი“ საათებით ანგარიშობდნენ ყველგან¹, მსგავსად „ბაბილონური“ სისტემისა.

ეგვიპტელთა და მაიას კალენდრებიც საოცრად მსგავსია. როგორც ერთის, ისე მეორის წელიწადი თავდაპირველად 360 დღეს ითვლიდა. შემდგომში რეთორმა განხორციელდა და 365-დღიანი წელიწადი დაწესდა — წლის დამლევის ხუთი „ნაკიანი“ დღე დაუმატეს. ეს დღეები ეგვიპტეში „საბედისწეროდ“ მიაჩნდათ. საგანგებო მონანიების ლოცვებიც კი შემოიღეს ამ დღეთა მხრივ ავისმქმნელობისგან ხალხის დასაფარავად. ეს იყო „საარვისო“ დღეები, არც მესორის უკანასკნელ თვეს მიეწერებოდა და არც თორმეტ თვეთაგან პირველს — თოთხს. მაიას ხალხსაც სწორედ ასევე ხუთი ნაკიანი დღე ჰქონდა; „შმა კაბა კინ“ — „უსახელო დღეები“ 18 თვეთაგან უკანასკნელ თვეს მოსდევდა, მის სათვალავში არ შედიოდა და აქაც საბედისწერო დღეებად იყო მიჩნეული. მაიას კალენდარიც რამდენიმე ასეულ წელიწადს უცვლელი იყო (მისი ზოგიერთი ცვლილების ამბავს ერთ-ერთ მომდევნო თავში მოგახსენებთ).

მაიას ასტრონომიულ ხელსაწყოთაგან კვალიც აღარ დარჩენილა, თუ არ ჩავთვლით რამდენსამე ნახატს, რომლებზეც შეუიარაღებელი თვალით ვარსკვლავიანი ცის მქვერებელი „ასტრონომი“ და შურდულის მსგავსი რაღაც ხელსაწყო თუ გაირჩევა. დიდებული კალენდარი რომ არა, აზრადაც არავის მოუფიქროდა, რომ როდისმე ასტრონომიას მისდევდა მაიას ხალხი.

შთაბეჭდილება ისეთი გვექმნება, რომ მაიას ხალხსაც და ეგვიპტელებსაც ჩინებული „რეცეპტები“ ჰქონიათ მხოლოდ. მაიას საათისგანაც აღარაფერი დარჩენილა, ის, რაც დროის მათეული ანგარიშის შესახებ ვიცით, ესპანელთა ჩანაწერებისგან გვაქვს შეტყობილი.

¹ კიდევ ერთი გამონაკლისია დროის იაპონური ანგარიშის წესი.

და მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ რაღაცე ვარ ასტრონომიულ საქმიანობას კი ეწეოდა ეს ხალხი. მაიას სამი გადარჩენილი ხელნაწერიდან ერთ-ერთი — ეგრეთ წოდებული „დრეზდენის კოდექსი“ (დრეზდენის მუზეუმში რომ ინახება) მრავალ ასტრონომიულ ცნობას შეიცავს. ეს იმას მოწმობს, რომ მაიას ხალხმა იცოდა მთვარისა და ცდომილთა ძვრის ამბები, კერძოდ, ვენერას ასავალ-დასავალი, და ყოველსავე ამას საგულდაგულო მნიშვნელობას ანიჭებდა. ხელნაწერი მთვარისა და მზის დაბნელებათა თარიღებსაც შეიცავს აგრეთვე.

ატლანტისთან თუ აქვს ამ ამბავს რაიმე კავშირი? აქვს, რაღა თქმა უნდა. ყოველივე იმას მეტყველებს, რომ არც ეგვიპტელებს და არც მაიას ხალხს ისტორიულ პერიოდში არ ჰქონია საიმისო ასტრონომიული ცოდნა, დამოუკიდებლად შეძლებოდათ დროის ანგარიში, დედამიწიდან მზემდე მანძილის გაზომვის გამო რომ აღარაფერი ვთქვათ. მათ ხელთ ჰქონდათ მხოლოდ და მხოლოდ მზა „რეცეპტები“, სხვადასხვა „ღვთაებათა“ მიერ, ალბათ ატლანტისიდან გამოსულ კოლონისტთა მიერ, ბოძებული. როგორც ჩანს, არც ის კოლონისტები უნდა ყოფილიყვნენ ასტრონომნი, ისევე როგორც, ათასწლეულებმა რომ გაიარა, ევროპელმა კოლონისტებმაც იმე დანერგეს გრიგორისეული კალენდარი დაპყრობილ ქვეყნებში, მისი საფუძვლებისა არაფერი გაეგებოდათ.

სხვათა შორის, მრავალი ჩვენგანი დღესაც არ უფიქრდება იმ ამბავს, რომ გრიგორისეული „ჩვენი“ კალენდარი არის მხოლოდ შედეგი ექვსი ათასი წლის წინანდელი ეგვიპტური კალენდრის მცირედ გაუმჯობესებისა, ხოლო ის ეგვიპტური კალენდარი, თავის მხრივ (თუკი აქ აღძრული თეორია მცდარი არაა), ატლანტისში უნდა იყოს შექმნილი.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ა

მზის შვილთა მიმოსვლა

მეცნიერებას ჯერაც არ გაუცია პასუხი კითხვისთვის, თუ სად უნდა ყოფილიყო კაცობრიობის აკვანი. არც ის არის ცნობილი, იმთავითვე ერთ რომელსამე ადგილას გაჩნდა კაცი, თუ ერთსა და იმავე დროს რამდენსამე ადგილას. მეცნიერების მიერ დადგენილ ფაქტად მხოლოდ ერთი რამ შეიძლება მივიჩინოთ: კაცი ერთბაშად კი არ შექმნილა „ხატად ღვთისად“, არამედ განვითარების გრძელი გზა განვლო.

აღმოჩენილ ჩონჩხთა მრავალრიცხოვანმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ კაცთა მოდგმის წარმომადგენელნი რამდენიმე ჯგუფად იყოფოდნენ. ეგრეთ წოდებული ნეანდერტალელი (ნეანდერტალი დაბაა გერმანიაში, სადაც 1856 წელს ჩონჩხის ნარჩენები და თავის ქალა იპოვნეს) რამდენიმე ათეული ათასი წლის წინათ დასავლეთ, სამხრეთსა და ცენტრალურ ევროპაში, ყირიმში, პალესტინაში, ერაყში, სამხრეთ აფრიკასა და კუნძულ იავაზე სახლობდა. იგი შრომის პრიმიტიულ ქვის იარაღს იყენებდა უკვე.

სამხრეთ-საფრანგეთისა და ესპანეთის გამოქვაბულებში განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგარი ადამიანის კვალს წააწყდნენ. ეს კვალი განეკუთვნება დაახლოებით 20 000 წლის წინანდელ ხანას, როცა მთელი ჩრდილო ევროპა, პოლარული წრის იქით მდებარე დღევანდელ მხარეთა მსგავსად, ყი-

ნულის სქელი საფარველის ქვეშ იყო მოქცეული. ქვის იარაღის გარდა გამოქვაბულებში იმდროინდელ ცხოველთა, ნადირობის, თაფლის ამოღებისა და მისთანათა ამსახველი ნახატები აღმოჩნდა. ამ გამოქვაბულთა მკვიდრი რამდენადმე განსხვავდებოდა ნეანდერტალელისგან — უფრო მაღალი იყო, გრძელფეხა, უფრო მეტად განვითარებული და ტევადი თავის ქალაქკონდა, მეტი გონიერების უქვევლი ნიშანი. ეს უკვე Homo sapiens გახლდათ, — გონიერი ადამიანი, რომელიც განსხვავდებოდა პრიმიტიული ნეანდერტალელისგან (Homo neanderthalensis).

ამავე დროს ატლანტისში (თუკი ატლანტის ოკეანეში დანთქმული კუნძულის არსებობის ჰიპოთეზა მართალია) გაცილებით სრულქმნილ კაცს უცხოვრია უკვე, რაც, უწინარეს ყოვლისა, უფრო კეთილად შეზავებული ჰაერის ზეგავლენით უნდა აიხსნას. ამ კაცს Homo atlanticus ვუწოდოთ.

გამყინვარების ეპოქის „გონიერი“ ადამიანის ამბები საკმაოდ კარგად ვიცით სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში ჩატარებული გათხრების მეოხებით. კულტურის რამდენსამე ტიპსაც კი ვასხვავებთ — ორინიაკულს, მადლენურს, კრომანიონულს (სახელები შეერქვათ იმ დასახლებულ პუნქტების მიხედვით, — ორინიაკი, ლა მადლენი, კრო-მანიონი, — სადაც მათი კვალი აღმოჩნდა). გარნა ყოველივე, რასაც კი Homo atlanticus-ის შესახებ დავწერთ, მხოლოდ ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი იქნება. ამ ტიპის არავითარი არქეოლოგიური მინაგნები არ მოგვეპოვება და ისიც საეჭვოა, რომ როდისმე აღმოვაჩინოთ, რადგან, თუკი მსგავსი რამ არსებობს, ღლეხღლეობით ატლანტის ოკეანის ფსკერზეა ყოველივე.

ამრიგად, Homo atlanticus-მა ატლანტის ოკეანის გაღმა-გამოღმა მდებარე კონტინენტებზე მცხოვრებ ადამიანს რამდენიმე ათასი წლით გაუსწრო, ისევე როგორც ჩვენს ხანაში ევროპელნი უსწრებენ თავიანთი განვითარებით ამაზონის ზემოწელთან მოსახლე ინდიელთა ზოგიერთ ტომს ან კიდევ ავსტრალიელ აბორიგენებს. იმ დროს, როცა ნილოსის თუ ევფრატისპირელნი, პერუს თუ მექსიკის მოსახლენი ქვის პრიმიტიულ იარაღს იყენებდნენ მხოლოდ, ატლანტისში, თუკი ნამდვილად არსებობდა ატლანტისი, დოვლათით გალაღებულ

უფრო მაღალი კულტურის ხალხს დიდ-დიდი ქალაქები უშენებია და მეცნიერებისთვისაც მიუყვია ხელი.

ახალ მიწათა მამიებელი ატლანტისელნი ზღვის გზებით მიმოდოდნენ აქეთ-იქით. სავსებით შესაძლებელია, რომ ამერიკას აღმოსავლეთიდან პირველად კოლუმბი კი არა, ზემოთ უკვე არაერთგზის ხსენებული კეცალკოათლი მისდგომოდეს. ჩვენ ვერასოდეს შევიტყობთ იმათ სახელებს, ვინც პირველად შემოუარა აფრიკას სამხრეთიდან, ვინც პირველად გაკვალა ის გზა, რომელიც ათასეული წლების შემდეგ განვლეს კართაგენელმა პანონმა და ფინიკიელებმა, ხოლო კიდევ უფრო მოგვიანებით — პორტუგალელმა ვასკო და გამამ. ატლანტისელებს ევროპის ნაპირებიც უეჭველად ეცოდინებოდათ, იქნებ მატერიკის სიღრმეშიც შედიოდნენ ხოლმე. ეტყობა, არც ელადა და არც ნილოსისპირა ქვეყანა ყოფილა მათთვის უცხო. ზოგჯერ იმასაც კი ამბობენ — თვით ინდოეთამდე, ჩინეთამდე, იაპონიამდეც უნდა ჩაეღწიათო.

ეს ყოველივე, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ვარაუდია. ამგვარი ვარაუდები ატლანტოლოგთა მიერ უადრესად გულდასმით შეკრებილსა და ხალისით გამოიზიარებულ მონაცემებს ემყარება ხოლმე; ატლანტოლოგები ცდილობენ ატლანტთა მიმოსვლის გზები განსაზღვრონ და ატლანტისის სავარაუდო გავლენის სფეროში შემავალი ქვეყნების წეს-ჩვეულებებს, არქიტექტურასა და მატერიალური კულტურის საგნებს უდარებენ ერთიერთს. წინა თავში ჩვენ ღროის ანგარიშისა და პირამიდების არქიტექტურის მსგავსების თაობაზე ვისაუბრეთ.

მას შემდეგ, რაც მექსიკურ „წარწერათა ტაძარში“ ქვის სარკოფაგიანი საძვალე აღმოჩნდა რომელიღაც განმგებლის უამრავი ძვირფასეულობით შემკული ნეშტითურთ, შეგვიძლია დადგენილად მივიჩნიოთ, რომ მექსიკურა პირამიდებიც იმავე მიზანს ემსახურებოდა, რასაც ეგვიპტური, ესე იგი აკლდამებად იყო გამოყენებული.

ზემოთ უკვე ნახსენები ი. ლიპსი ამტყიცებს — აკლდამების აგებისა თუ გვამების დაწვის ერთ-ერთი მიზეზი იმის შიშია, რომ სიკვდილის მიერ ცოცხალთაგან მიტაცებული კაცი არ დაბრუნდეს და რაიმე ზიანი არ მოგვაყენოსო. ლიპსის ცნობით, აურაცხელი ხერხი შემუშავებულა გარდაცვლილთაგან თავის

დასახსნელად (მაგალითად, მარტო სან-ქრისტობალის კუნძულზე 21 ამგვარი ხერხი სცოდნიათ!) გვამის დაწვით დაწყებული და მათი დაბალზამებით დამთავრებული.

ეს უკანასკნელი ხერხი განსაკუთრებით იმსახურებს ყურადღებას.

გვამის დაბალზამების ჩვეულება ეგვიპტეში იყო გავრცელებული. პეროდოტეს თუ ვერწომუნებით, დაბალზამების სამგვარი საშუალება არსებულა. დაბალზამების ეგვიპტური რეცეპტი დღემდისაც მიუკვლეველია.

მკვდრების დამუმიება მექსიკასა და პერუში, კანარის კუნძულებზე, ესე იგი ამერიკასა და ეგვიპტეს შუა, და აზრთვე ოკეანეთის კუნძულებზეც იცოდნენ. დაბალზამების ამერიკული წესი ჭერაც არ განუსაზღვრავთ ზუსტად. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მუმიები იფარებოდა სხვადასხვაგვარი სამკურნალო ბალახით, კერძოდ, პიტნის მძაფრი სურნელის მქონე ეგრეთ წოდებული „მექსიკური ჩაის“ (Chenopodiaceae-ს ოჯახი) ფოთლებით, ან კიდევ ლიმონის ფოთლებით, რომლებსაც გარკვეული მაკონსერვებელი თვისებები ჰქონია. მუმიებზე დაფენილი ეს ფოთლები მექსიკასა და პერუშიც აღმოჩნდა და გუანჩებით დასახლებულ კანარის კუნძულებზეც.

ეგვიპტური მუმიები მწოლიარედ იყო დასვენებული, გულხელდაკრეფილი ან კიდევ ტანის გასწვრივ ხელგზაშეხებული. ასევე დაასვენებდნენ ხოლმე მიცვალებულს მექსიკაშიც, ხოლო პერუში მუმიებს ჩამჯდარს, უფრო სწორად — ჩაცუცქულს ასაფლავებდნენ.

ამგვარივე წესით (თუმცაღა დაუბალზამებლად) მკვდართა დამარხვა სხვა ქვეყნებშიც არის გავრცელებული. ეროპაში, განსაკუთრებით კუნძულ კრეტაზე, ჩრდილო აფრიკასა და ამერიკის ორსავე ნაწილში ჩატარებული მრავალრიცხოვანი გათხრებით დასტურდება, რომ ეს ორ გზობაზე ხდებოდა. ცხედარს ნოტიო მიწაში ჩაფლავდნენ, ხოლო როცა გაიხრწნებოდა, „ექსჰუმაციას“ ახდენდნენ და ძელებს იმგვარად გამოაცალკევებდნენ, რომ ჩონჩხი უძრავად დარჩენილიყო. მერე ჩონჩხს წითლად შეღებავდნენ და წინასწარ გამზადებულ საძვალეში ჩაცუცქულს ჩაასვენებდნენ. ამ წესს დღემდე მისდევენ სამხრეთ ამერიკის, კერძოდ, სამხრეთ ბრაზილიის ინდიელები. მათ

მცირედი ცვლილება შემოუღიათ მხოლოდ — ნაცვლად იმისა, რომ რამდენიმე ხნით მიწაში ჩაფლან გვამი, ძვლებისგან კუნთოვან ქსოვილთა მოცილების პროცესს იმით აჩქარებენ, რომ ბაღეში გახვეულ ცხედარს ამაზონში დაძირავენ. დანარჩენის გამო ავმუცელა თევზები ზრუნავენ — ერთ დღეში ჩონჩხი უკვე გაწმენდილია.

ძვლებს ურნებში ათავსებდნენ ხოლმე ხშირად, ხოლო ურნებს აკლდამებსა თუ გამოქვაბულებში ინახავდნენ, ან კიდევ მიწაში მარხავდნენ. ამგვარი ურნები ყველგან არის ნაპოვნი ამერიკის ტერიტორიაზე, აგრეთვე ევროპის მრავალ ქვეყანაში — საფრანგეთში, ინგლისში, დანიაში, ესპანეთსა და საბერძნეთში, გარდა ამისა — ეგვიპტეში, ფინიკიაში, სპარსეთში. ურნები ნახატებით იყო ხოლმე შეკული, რომელთაგან განსაკუთრებით უურაღლებამისაქცევია სვასტიკის ნიშანი და მზის გამოსახულება, რომელიც ატლანტოლოგებს ამ ხალხთა საერთო დამახასიათებელ ნიშნად — მზის კულტად მიაჩნიათ.

მრავალი მკვლევარი, კერძოდ, ი. ლიპსიცი ფიქრობს — მზის კულტი ყველა ხალხისთვის არისო ნიშანდობლივი. მათი აზრით, ამ კულტის წყაროა ადამიანის რწმენა ციურ სხეულთა ზებუნებრივი ძალისადმი. ამ სხეულთა შორის კი მზე უდიდესი და უმნიშვნელოვანესი იყო. მართლაც, სიცოცხლედ დედამიწაზე მკიდროდ არის დაკავშირებული მზის სხივთა სინათლესა და სითბოსთან, და შესაძლო იყო ამის შეცნობა საფუძვლად დასდებოდა განსაკუთრებულ კულტს, დედამიწაზე სიცოცხლის შემოქმედ ღმერთთან მზის გაიგივებას. ოღონდ კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ მზის კულტი საყოველთაო მოვლენა როდი ყოფილა. მზის კულტის საყოველთაოობა ეგვიპტური და რომაული მითოსის, აგრეთვე მაიას ხალხთა მითოსის გავლენით წარმოისახა. ხოლო ფაქტიურად მზის კულტი ძველ ეგვიპტეს, სამხრეთ აზიას, ხმელთაშუა ზღვის ნაპირებთან მდებარე ქვეყნებს, ირლანდიას, ცენტრალურ ამერიკას, კანარის კუნძულებსა და პოლინეზიას მოიცავდა მხოლოდ, ესე იგი იმ ხალხებს, რომლებსაც წესად ჰქონდათ მიცვალებულთა ჩაცუქვულად ჩამარხვა, გვამის დაბალწამება ან ჩონჩხის წითლად შეღებვა და პირამიდების აგება. უნდა აღინიშნოს, რომ მზის კულტი ნიშანდობლივია ძველი ხალხებისთვის,


რომლებსაც შედარებით მაღალგანვითარებული კულტურა ჰქონიათ. ვგონებ ეს ფაქტიც იმას მიუთითებს, რომ მზის კულტის სამშობლო ატლანტისი იყო.

ამ თვალსაზრისით საგულისხმო აღმოჩენები გააკეთა ფრანგმა მეცნიერმა მარსელ ომემ, ალჟირის უნივერსიტეტის ყოფილმა პროფესორმა. ამ რამდენიმე წლის წინ მარსელ ომე სათავეში ჩაუდგა ექსპედიციას, რომელსაც ის მხარე უნდა გამოეკვლია, სადაც ბრაზილიის, ვენესუელისა და გვიანის საზღვრები ერთდება. მანამდე ეს მხარე „გამოუყვლევლ ტყიან სანახებად“ აღინიშნებოდა რუკებზე. ამ მიდამოში მოსახლე ინდიელები თამამად შეგვიძლია ველურებად მივიჩნიოთ. შესაძლოა ისინი ჯერაც კაციქამიები იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, სკალპების აძრობას კი მისდევდნ და მოშხაპულ ისრებსაც იყენებენ, ერთი სიტყვით, ისეთსავე ყაიდაზე ცხოვრობენ, როგორითაც ამერიკის აღმოჩენამდე უცხოვრათ. მაგრამ იმის საფუძველიც გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ამ ტერიტორიაზე ერთ დროს მაღალი კულტურის ხალხი უნდა ყოფილიყო დამკვიდრებული!

მდინარე რიო ურარიკუერას პირას შეფენილ უღრან ტყეში ომემ ვიპოვია გამოქვაბულებს, სადაც ურნები აღმოჩნდა, ხოლო ურნებში ადამიანის წითლად შეღებილი ძვლები და ჩაცუტკულად დაკრძალულთა ჩონჩხები ეწყო. კრომანიონელი ადამიანის ტიპის რამდენიმე თავის ქალაც აღმოჩნდა. ურნებზე დამახასიათებელი გამოსახულებებია. ამგვარი ურნები პერუსა და მექსიკაში, აგრეთვე... საფრანგეთში, დანიასა და მცირე აზიაში გვხვდება...

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მინაკვლევია პედრა პინტადა, რაც „მოხატულ ქვას“ ნიშნავს პორტუგალურად. ეს არის უზარმაზარი 100 მეტრი სიგრძის, 80 მეტრი სიგანისა და 30 მეტრი სიმაღლის მქონე კვერცხისებური ლოდი. რომლის ნაწილი, 600 კვადრატული მეტრი ფართობი, საიდუმლო წარწერებითა და ნახატებით (ომეს აზრით — ეგვიპტურის მინაგვანით) არის დაფარული. პედრა პინტადას ნახატები გამოსახვენ ადამიანის სახეებს და ცხოველებსაც — ცხენებსა და გვე-

¹ M. Homet. Die Söhne der Sonne, Olten, 1958.



პელრა პინტადა

ლებს, აგრეთვე ბორბლიან ეტლებს, ორნამენტებსა და იერო-გლიფებს, რომელთა შორის სვასტიკისა და მზის ნიშნებიც გვხვდება. დამწერლობა ფინიკიურს, ძველბერძნულს, კრეტულს ან ძველევგვიპტურს მოგვაგონებს. განსაკუთრებით საყურადღებოა მზის ნიშანი. ეს არის რადიალურად განფენილ „ყლორტებიანი“ წრე, ოღონდ ის „ყლორტები“ სწორი კი არაა, საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით არის გახრილი. ომეს „მოგზაური მზის“ სიმბოლოდ მიაჩნია ეს ნიშანი და ყურადღებას იმ ამბავზე ამახვილებს, რომ ამგვარივე სიმბოლოები ნეოლითის დროინდელი სამარხების — დოლმენების შესამკობად არის. ხოლმე გამოყენებული ბრეტანში, ინგლისსა და სკანდინავიაში.

საღებავათ შესრულებულ თუ ქვაზე ამოკვეთილ ამგვარ ნახატებს ხსენებული მიდამოს არაერთ გამოქვაბულსა და კლდეზე მიაკვლიეს. ზოგიერთს საკმაოდ კარგად შერჩენია ფერები. საღებავების გასახსნელი ფილი და ფილთაქვაც კი იპოვნეს. საგულისხმოა, რომ ცხოველთა სურათებს შორის „ირმის“ გამოსახულებაც გვხვდება. არის აგრეთვე ნატურალური ზომის გამოსახულებანი ადამიანის თითებწყკრილი ხელისგულისა, რომელნიც თავიანთი შესრულებით იმ ნახატებს მოგვაგონებენ,

საფრანგეთში, ლა მადლენის მღვიმეში რომ აღმოჩნდა და და-
ახლოებით 15 000 წლის წინანდელი რომ უნდა იყოს. ევრო-
პის სხვა წინარეისტორიული ნახატების მსგავსად, აქაც გვხვ-
დება წელიწადის ოთხი დროის სიმბოლოდ მიჩნეული გამოსა-
ხულება — ორი ურთიერთპერპენდიკულარული სწორით და-
ყოფილი წრე. ამგვარ დაყოფას აზრი ექნებოდა ევროპაში,
მაგრამ ამაზონის აუზში წელიწადის ოთხი დრო კი არ არის,
არამედ ორი — მშრალი და წვიმიანი. მაშასადამეო, დაასკვნის
ომე, წელიწადის ოთხი დროის სიმბოლო აქ ზომიერი ჰავის
მქონე ქვეყნიდან უნდა გადმოეღოთ — ატლანტისიდან! ამაზონ-
ის აუზის ძველ მცხოვრებლებს წელიწადის დროთა აღნიშვნა
დაყოფილი წრის მეშვეობით რომ მოესურვებინათ, საამისოდ
ერთ სწორ ხაზს გაავლებდნენ და მშრალ პერიოდს წვიმიანის-
გან ამით განასხვავებდნენ. ხოლო რაკი იგივე გამოსახულება
გამოუყენებიათ, რაც კრომანიონელებმა იხმარეს ევროპაში,
როგორც ჩანს, თავიანთ მასწავლებელთა „რეცეპტი“ მოუმარჯ-
ვებიათ, იმათი, ვინც ხატვა ასწავლა, დამწერლობა დაუნერგა,
ცხედართა ჩაცუცქულად დამარხვის წესი, მზის კულტი და
„მოგზაური მზის“ სიმბოლო მოუტანაო. ხოლო ამაზონის ხეო-
ბაში მღებარე ქვეყანას ვინ უნდა სწვეოდნენ ათი ათასზე მე-
ტი წლის წინათ, თუ არ „მზის მიმოძვალაი შვილნი“?

**მზის შვილიშვილთა
სახსოვრისი**

რომის სახელმწიფოს წარმოქმნის ხანაში აპენინის ნახევარკუნძულზე შთამომავლობითა და ეთნიკური კუთვნილებით განსხვავებული მრავალი ტომი ბინადრობდა. ნახევარკუნძულის ცენტრალურსა და სამხრეთ ნაწილში ლათინთა და ილირიელთა ტომები სახლობდნენ. მათი ენა რამდენაღმე განსხვავდებოდა, ოღონდ ორივე ტომი ინდოევროპული ჯგუფისა იყო. ხოლო ჩრდილო ნაწილში ის ხალხი მკვიდრობდა, რომლის ვინაობაც დღემდე დაუდგენელია: ბერძნები მათ ეტრუსკებს უწოდებდნენ, რომაელები — ტირენებს. ფიქრობენ, რომ ინდოევროპელები აქ ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულის დამდეგს უნდა გამოჩენილიყვნენ და ადგილობრივ მკვიდრთ უნდა შერეოდნენ — ან მათთვის მიეღებინებინათ თავიანთი ენა და წეს-ჩვეულებები, ან კიდევ მათი ენა და კულტურა შეეთვისებინათ.

საიდან მოხვდნენ აპენინის ნახევარკუნძულზე ეტრუსკები? რამდენიმე თეორია არსებობს: ერთნი ეტრუსკებს მიიჩნევენ მცირე აზიიდან, სხვანი — კავკასიონის მთებიდან მოსულ ხალხად. ზოგნი იმას ფიქრობენ — ეტრუსკები ადგილობრივი მკვიდრნი არიან, ოდითგანვე აქ უცხოვრიათო. ოღონდ ყველა ისტორიკოსი და ეთნოგრაფი ერთს კი აღიარებს: ეტრუსკების წარმომავლობის დადგენა შეუძლებელიაო.

ისიც უეჭველია, რომ თავდაპირველად ეტრუსკები კულტურის მხრივ გაცილებით მაღლა იდგნენ, ვიდრე მათი მეზობელი ხალხები და გვიან მოსული ლათინნი. დღეს უკვე შესაძლოა ამის დადგენა როგორც გათხრებზე, ისე რომაელ ისტორიკოსთა საგულისხმო ცნობებზე დამყარებით. ეტრუსკებმა დიდი გავლენა მოახდინეს რომის კულტურის განვითარებაზე. ეს გავლენა თავს იჩენდა იმპერიის თითქმის მთელი არსებობის განმავლობაში, თვით ქრისტიანობის ეპოქამდე.

უნდა მოვიხსენიოთ ის ამბავი, რომ ეტრუსკებს ჩვეულებად ჰქონდათ საქონლის შიგნეულზე მკითხაობა. ამას პატივისცემით განმსჭვალული ტაციტუსიც გვამცნობს: „ეტრუსკთაგან უკეთესნი თავიანთი ნებით თუ რომის სენატის მოწოდებით დღესაც ფლობენ ამ ცოდნას და ოჯახებშიც აქვთ იგი დანერგილი. გარნა დღესდღეობით, სასარგებლო ხელოვნებათაღმი საერთო გულგრილობის მიზეზით და უცხო ცრურწმენათა მოძალების შედეგად, ისინი ნაკლებად მისდევენ ამ საქმეს“. ეს ცნობაც (სხვა მრავალთან ერთად) იმას მოწმობს, რომ ეტრუსკულ კულტურას ძველისძველი ფესვები ჰქონია. ექვი არაა, ამ კულტურას ბევრი რამ აქვს საერთო ბერძნულთანაც და ხმელთაშუა ზღვის აუზის ძველ ხალხთა კულტურასთანაც, მაგრამ ამ მსგავსების საფუძველზე ის როდღი უნდა დავასკვნათ, თითქოს მათი ეთნიკური წარმომავლობაც საერთო იყოს; ხსენებული მსგავსება რომის ისტორიის აღრეულ ხანაში გარკვეულ კავშირთა არსებობას მოწმობს მხოლოდ.

ეტრუსკების წარმომავლობას ყველაზე მეტად მათივე ენა მოგვითხრობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ გადაულახავ სიძნელეს ვაწყდებით. ჩვენ არ გვესმის მათი ენა, თუმცა უკვე ცხრა ათასამდე წარწერაა მიკვლეული. ეს წარწერები მეტწილად ბერძნული ანბანით არის შესრულებული. ორენოვანი წარწერებიც მრავლად იპოვება — ეტრუსკულსა და ბერძნულ, ან ეტრუსკულსა და ლათინურ ენაზე. ეს მეტწილად არის საფლავის ქვებზე წარწერილი სახელები და სიკვდილის თარიღები. ოღონდ, დღემდე გაწეული დიდი მეცადინეობისა და მიუხედავად, ჯერჯერობით იძულებულნი ვართ დიონისე ჰალიკარნასელის აზრს დავეყბულდეთ — ჩემთვის ცნობილ არც ერთ ენას ეტრუსკული არ ჰგავსო.

ჰეროდოტე და ტაციტუსი გვაუწყებენ, რომ ტირენია ანუ ეტრურია დაუარსებია ტირენს, ლიდის (მცირე აზიის სახელმწიფო) მეფის ატისის ძეს. ატისის განმგებლობის დროს ლიდიაში მოუსაველიანი წლები მიჰყოლია ერთმანეთს. 18 წლის საშინელი შიმშილობის შემდეგ ატისს გადაუწყვეტია თავისი ხალხის ნახევარი სხვა მხარეში გადაესახლებინა. მანამდე კი ლიდიელნი ცდილობდნენ „გაეცურებინათ“ შიმშილობის წლები — საზრდელს დღეგამოშვებით ღებულობდნენ, ხოლო მარხულობის დღეები ბურთის თამაშში გაჰყავდათ (ეტყობა, ბურთი სულაც ამ მიზნით უნდა გამოეგონებინათ). ლიდის მოსახლეობა კენჭისყრით ორად გაუყვიათ. ნახევარი სამშობლოში დარჩენილა, ხოლო მეორე ნახევარი ატისის ძის ტირენის წინამძღოლობით ზღვით გამგზავრებულა ახალი სამკვიდრებლის საქებნელად. ჰეროდოტე გვაუწყებს: უმბრებს მიმართეს, იქ ქალაქები დააფუძნეს და დღემდისაც იქ სახლობენო. უმბრები ლათინთა ერთ-ერთი ტომია, რომელიც, დღევანდელ მონაცემთა თანახმად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულის დამდეგ ხანაში უნდა გამოჩენილიყო აპენინის ნახევარკუნძულზე. ცხადია, ჰეროდოტეს „ისტორიიდან“ მოთხრობილი ამ აპენინის საფუძველზე ის არ უნდა დავასკვნათ, თითქოს ტირენები იქ უმბრებზე გვიან ჩასულიყვნენ. ჰეროდოტე აპენინის ნახევარკუნძულზე მდებარე ადგილს მიგვანიშნებს მხოლოდ: მის დროს ეტრურიის მეზობლად უმბრების ქვეყანა მდებარეობდა.

საიშისოდ, რათა მიახლოებით მაინც განვსაზღვროთ ეტრუსკი კომ-ტიკის ექსპედიციის თარიღი, თავად მის ამბავს და, რაც უმთავრესია, მის წარმომავლობასა და ნათესაურ კავშირებსაც გავადევნოთ თვალი.

ტირენი (თუ ტირსენი), რომლის სახელიც „ქვის ქალაქელ კაცს“ ნიშნავს, ჰეროდოტეს თანახმად, ატისის ძე, ესე იგი თავად ზევსის შთამომავლის, ლიდიელთა უძველესი მეფის მანესის შვილიშვილი ყოფილა. სხვა წყაროთა მიხედვით, ატისი იყო ჰერაკლესა და ომფალეს ვაჟი. ხოლო რაკი ჰერაკლე ზევსის შვილი გახლდათ, ამ შემთხვევაში ორივე ვერსია თანხვედრა — ატისი ღვთაებრივი წარმოშობის კაცად გვევლინება. ზოგნი იმასაც ამტკიცებენ — ატისი კი არა, თავად ტირენი იყო

ჰერაკლესა და ომფალეს ვაჟი. როგორც ცნობილია, ჰერაკლეს ცხოვრებაში იყო ისეთი პერიოდი, როცა იგი ჰერმესმა მონად მიჰყიდა ლიდიის დედოფალს ომფალეს, მეფე ტმოლის (ღმერთ არესის ძის) ქვრივსა და სვედამწვარი ნიობეს მამის, განთქმული ტანტალოსის დედას. აშობენ, ომფალემ არ იცოდა, ვინ ჰყავდა ხელში მოგდებული, და თავის მონას საძაგლად ექცეოდა, აიძულებდა ქალის სამოსით გამოწყობილიყო და საქსოვს მისჯდომოდა, სახეში ურტყამდა, მრავალ სხვა მძიმესა და დამამცირებელ სამუშაოსაც აკეთებინებდაო. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ჰერაკლე ერთ წელიწადს იყო ამ მონობაში, სხვა წყაროთა თანახმად, სამ წელიწადს. ამის შედეგად ოთხი ვაჟი-შვილი მოეგლინა ქვეყანას და მათგან უმცროსი ჩვენი ტირენი გახლდათ.

ასეა თუ ისე, ამ ნათესაობიდან გამოდის, რომ ტირენს ჰერაკლესობას უცხოვრია და ტანტალოსის ან ნიობეს კბილა ყოფილა თითქმის, ესე იგი ისეთ დროს გაზრდილა, როცა ღმერთები ქვეყნად მიმოდრიოდნენ და მოკვდავთაგან შვილებსაც იჩენდნენ. ეს ძალიან დიდი ხნის ამბავია, წარღვნადელი, ანუ რომ ტირენისა და ეტრუსკების წარმომავლობის დამდგენი თეორიებიდან არც ერთი არაა მაინცდამაინც სარწმუნო. შესაძლოა სიმართლესთან ყველაზე ახლოს ისევე დიონისე პალიკარნაელი იყოს: ეტრუსკები აპენინის ნახევარკუნძულის ავტოქთონები იყვნენ და ლიდიიდან არასოდეს წამოსულანო.

მაგრამ ისტორიულ საფუძველზე თუ ვერ ვახერხებთ ეტრუსკების წარმომავლობის გარკვევას, იქნებ წარმოსახვას მივუშვათ სადავე და ატლანტთა შთამომავლებად დავსახოთ ისინი? ტირენის მამის სახელი — ატისი ერთ საფიქრალს აღგვიძრავს. ამ ჰიპოთეზას ვგონებ ეტრუსკული ენის გამოკვლევაც უნდა უჭერდეს მხარს.

ისტორიულ პერიოდში ეტრუსკები ბერძნულ დამწერლობას იყენებდნენ. ტაციტუსი ამტკიცებს — ეს დამწერლობა მათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეშია მიუბოძაო რომაელთა ერთ-ერთი მეფის — დამარატის მამამ. მაგრამ ლივიუსი სხვას გვაუწყებს: მე იმის საბუთი მაქვს, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნის დამლევეს ახალგაზრდა რომაელები არანაკლებ გულმოდგინედ სწავლობდნენ ეტრუსკულ დამწერ-

ლობას, ვიდრე ჩემი თანამედროვენი ბერძნულს სწავლობენო. დღემდე ეტრუსკული დამწერლობის კვალსაც არსად წაწყდომიან. ოღონდ თვით ბერძნული დამწერლობაც, ტაციტუსის თანახმად, ეგვიპტური წარმოშობისაა, ბერძნებს იგი მითოსურმა კადმოსმა (ფინიკიელთა მეფის აგენორის ძემ) გააცნო. შესაძლოა ეტრუსკები უფრო ადრეც, „ტირენის დროსვე“ იცნობდნენ ამ დამწერლობას.

როგორც უკვე ითქვა, მწირ, თუმცაღა მრავალრიცხოვან წარწერათა მეშვეობით ეტრუსკული ენის შესწავლა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ამ ბოლო დრომდე ყველაზე პოპულარული ის ჰიპოთეზა იყო, რომლის თანახმადაც ეტრუსკული ლიდიურს ან კავკასიურ ენებს ემსგავსება (ეტრუსკების ურარტელებთან სავარაუდო ნათესაობის გამო). გარნა ეს ჰიპოთეზა არ დადასტურებულა. ისიც სცადეს, რომ ბასკურთან ან გერმანულ ენებთან დაეკავშირებინათ რაშენაირად ეტრუსკული, მაგრამ წარმატებით არც ეს ცდები დაგვირგვინებულა. ბოლოს მოიქებნა გამოსავალი: ეტრუსკული „განკერძოებულ“ ენად შერაცხეს.

ზოგიერთი მკვლევარი ეტრუსკულსა და ორივე ნახევარსფეროს სხვადასხვა ენებს შორის ანალოგიების არსებობას მიუთითებს. მაგალითად, ი. კარსტს „Origines mediterraneae-ში“ (1931) ამგვარი ანალოგიები მოაქვს: T'ien — ჩინურად „ცა“ — შეესატყვისება ეტრუსკულ სიტყვას Tinia — „ზევის“; ეტრუსკული მდინარის სახელს Minicius დაკოტას ტომის ინდიელთა ენაში შეესატყვისება Mini — „წყალი“, საიდანაც წარმოდგება მდინარის სახელწოდება მინი-სოტა ან მინი-სოსე, აწინდელი მისური; თვით ინდიელთა ღვთაების სახელწოდებას — Mantu-ს ეტრუსკულში შეესატყვისება Mantus-manen, სომხურში -- Manuk, ძველ ესპანურში — Manutanus, ირანულში — Mandans, ინდურში — Manu, პოლინეზიურში — Mana, ეგვიპტურში — Maneto.

ამგვარი ენობრივი შესატყვისობა ცოტაა და ამიტომ მსგავსება შემთხვევითად შეიძლება ჩაითვალოს. ყველაზე მეტი ანალოგია ეტრუსკულთან ლათინურს მოუდის, ოღონდ — საკუთარი სახელებით. საფლავის ქვების წარწერების მიხედვით გაირკვა, რომ ეტრუსკებს სიტყვის შუაში მოქცეულ ხმოვანთა

„გადაყლაპვა“ ჰქონიათ ჩვეულებად: Menelaus-ის ნაცვლად ისინი წერდნენ Menle, Hercules-ის ნაცვლად — Hercle, Achilles-ის ნაცვლად Achle და ასე შემდეგ. იქნებ ატისი Atlantis-ის ამგვარადვე შემოკლებული ფორმა იყოს?

ქალაქ გადირს (აწინდელი კადიქსი ესპანეთში) პლატონი ატლანტთა პროვინციად მიიჩნევდა. მის ახლოს მდებარეობდა ძველად ცნობილი სხვა ქალაქი — ტარტესი. ჩვენი აზრით, მისი მცხოვრებნიც წარმოშობით ტირენები ანუ ეტრუსკები უნდა ყოფილიყვნენ. ისინი ამტკიცებდნენ — ჩვენი სახელმწიფო 5000 წლის არისო. ეს სახელმწიფო ძალიან ძველად არსებულა, ოღონდ მისი ასაკი ძნელი დასადგენია, რამდენადაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 500 წლის ახლო ხანებში ტარტესს უკვე ისეთ ქალაქად იხსენიებდნენ, რომელსაც დიდი ხნის წინათ შეუწყვეტია არსებობა. ისიც კი აღარ იცოდნენ, თუ სახელდობრ სად უნდა ეძებნათ ეს ქალაქი, გადირში ურევდნენ მას, ზოგიერთი ამტკიცებდა — არავითარი ტარტესი არ არსებულაო არასოდეს. ქალაქი ტარტესი ისეთივე მითითურად იქცა, როგორადაც ატლანტისი. ზოგიერთი ტარტესს დღესაც ატლანტისთან აიგივებს და ამტკიცებს — ტარტესი კი არსებობდა, ოღონდ ატლანტის ოკეანეში კუნძული ატლანტისი არასოდეს ყოფილაო.

ესპანეთის ჩრდილო ნაწილში, საფრანგეთის საზღვართან, ბისკაის ყურის სანახებში ამჟამად მილიონამდე ბასკი ცხოვრობს. ისინი სხვა ეროვნულ ჯგუფს ეკუთვნიან, ვიდრე მათი მეზობელი ესპანელები და ფრანგები, ხოლო მათი ენა მსოფლიოში ცნობილ არც ერთ ენას არ ჰგავს. ისტორიული კვლევაძიება ცხადყოფს, რომ ბასკები ყოფილან შთამომავალნი ვასკონებისა, ხოლო ესენი წინარეისტორიული დროიდან პირენეს ნახევარკუნძულზე დაშვებულ იბერიელთა ერთ ტომს შეადგენდნენ.

დღესდღეობით არსებობს ბასკური ენის რამდენიმე დიალექტი, მეზობელ ენათა, სხვადასხვაგვარი გავლენით ჩამოყალიბებული. ნასესხებმა სიტყვებმა და ფორმებმა (რაც ბასკური ენის თანადროული ლექსიკონის ორ მესამედს შეადგენს) ძირითადი ენის კანონთა შესატყვისად იცვალეს სახე. ამ დიალექტთა საერთო თვისებაა ხმოვანთა სიუხვე (ცამეტი ხმოვანი) და

არარსებობდა ისეთი სიტყვებისა, რომლებშიც რამდენიმე თანხმოვანი ერთად მოიყრიდა თავს. საინტერესოა წესი, რომ არც ერთი სიტყვა რ ბგერით არ უნდა იწყებოდეს. ამ ენისთვის დამახასიათებელია გრამატიკულ ფორმათა წარმოება მრავალი თავსართისა და სუფიქსის მეშვეობით, რითაც ბასკური იაპონურ ენას ჩამოჰგავს. თუმცა იაპონურთან ისიც აქვს საერთო, რომ ამ ენაში არსებითს სახელებს მრავლობითი რიცხვი და სქესი არ მოეპოვებათ. ბასკურის შემსწავლელთათვის ეს დიდი შელავათია. მაგრამ თავისებურებაც ნიშანდობლივია: ბასკური ენა იაპონურისგანაც და ყველა სხვა ენისგანაც ზმნათა უღვლილებით გამოირჩევა. ზმნას სქესის ორი ფორმა აქვს: არა მარტო მთქმელის სქესი აღინიშნება, არამედ იმ ადამიანისაც, ვისაც მთქმელი მიმართავს! ზმნას ერთი დაბოლოება აქვს, როცა მთქმელი თავის სწორს მიმართავს, და სულ სხვა, როცა ასაკით თავისზე უფროსს ან, საერთოდ, პატივსაცემ პირს მიმართავს. დაქვემდებარებულ პირებსა და უმცროსებსაც სულ სხვაგვარად შეესიტყვებიან ხოლმე. ლექსიკური ფონდის სიღარიბესთან ერთად ფორმათა ამგვარი სიუხვე მხოლოდ ინდიელთა ენებში შეინიშნება. უღვლილების ფორმები მიმლეობის ფორმათა დამხმარე ზმნების („ყოფნა“ და „ქონება“) ფორმებთან რთული კომბინაციების მეშვეობით წარმოიქმნება.

თავიანთ ენას ბასკები უწოდებენ ესკურას (ან ესკუარას, ეუსკარას, ეუკსარას, უსკარას), რაც „სიტყვანათელს“ უნდა ნიშნავდეს.

ბასკური ენის საგულისხმო თავისებაა რიცხვით სახელთა წარმოქმნის წესი. ერთიდან ათამდე რიცხვითი სახელები ამგვარია: *bat, bi, hiru, lau, botz* (ან *bast*), *sei zazpi, zortzi, bederatzi* და *hamar*. თერთმეტი არის *hamabatr*, თოთხმეტი — *hamalaur* და ასე შემდეგ. ოცი — *hogoi*. მაგრამ ყველაზე საინტერესო შემდეგია: 30 — *hogoi-ta hamar*, ესე იგი ოცი და ათიო; 34 — *hogoi ta hamalur*, ესე იგი ოცი და თოთხმეტიო; 40 — *berrogoi*, ესე იგი ორი ოციო, და ასე შემდეგ.

მაშასადამე, ბასკები ოცობითი თვლის სისტემას იყენებენ. ამ სისტემის ნაშთი შემორჩენილია აგრეთვე ფრანგულ ენაში: *quatre-vingts* ოთხ ოცს, ესე იგი ოთხმოცს ნიშნავს სიტყვა-

სიტყვით. *Qualre-vingts-onze* სიტყვასიტყვით ნიშნავს ოთხ ოცსა და თერთმეტს, ესე იგი ოთხმოცდათერთმეტს. დანიელნიც ასევე ითვლიან. ეჭვი არ არის, რომ ბასკებს, ფრანგებსა და დანიელებს ერთი წყაროდან აუღიათ მაგალითი. ამ ხალხების მეტი ოცობითს სისტემას სხვა არავინ იყენებს, გარდა ცენტრალური ამერიკის ძველი მკვიდრების — მაიას და აცტეკებისა. ოცობითი სისტემის კვალს ვპოულობთ სხვა ინდიელ ხალხებშიც. აგრეთვე პოლინეზიაში. ამ საკითხის ირკვლივ კიდევ მოგვიწევს საუბარი.

მეცნიერნი დიდი ხანია ამოდ ცდილობენ რომელსამე ენობრივ ჯგუფს მიაკუთვნონ ბასკების ენა. გარნა ყველაზე ხშირად ამ ენას „განკერძობულთა“ თუ „იზოლირებულთა“ ჯგუფს აკუთვნებენ ხოლმე, რითაც მის თვითმყოფადობას გაესმის ზაზი. ისიც სცადეს, ბასკური კავკასიურ ენათა ჯგუფში ჩაერიცხათ ქართულთან მისი სავარაუდო მსგავსების გამო. მაგრამ სერიოზული მკვლევარნი (კერძოდ, ი. ჩეკანოვსკი) გადაჭრით წინააღმდეგნი არიან ბასკური ენის კავკასიურ ენათა ჯგუფში შეტანისა — ბასკური ჩრდილო აფრიკის ენებს უფრო ჰგავსო.

ბასკების ქართველებთან ნათესაობის აზრი, როგორც ჩანს, იმის შედეგად აღიძვრის, რომ ძველი ავტორები პირენეს ნახევარკუნძულის იბერიასთან ერთად კავკასიის იბერიასაც ახსენებენ ხოლმე. კავკასიაში მდებარე ქვეყნის სახელწოდებად იბერია პირველად სტრაბონმა (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 63 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით 25 წ.) იხმარა თავის „გეოგრაფიაში“ მაგრამ უფრო მოგვიანო ავტორებიც, მაგალითად, ტაციტუსი (ჩვენი წელთაღრიცხვით 55-120 წწ.), იბერიასა და იბერიელებს ახსენებენ როგორც კავკასიელთა, ისე ესპანეთის რომაული პროვინციის მცხოვრებთა ვინაობის აღმნიშვნელ სახელად.

სტრაბონის დროს იბერიად პირენეს ნახევარკუნძულის მხოლოდ ნაწილი, მდინარე იბერუსის (დღევანდელი ებროს) შესართავის მიმდგომი მხარე იწოდებოდა. რომაელებმა ამ ქვეყანას ესპანეთი შეარქვეს.

არქეოლოგიურ მონაცემთა თანახმად, ესპანეთისა და საფრანგეთის ტერიტორიაზე, აგრეთვე ჩრდილო აფრიკაშიც, ხალხს იმ ხანაშივე უცხოვრია, როცა ჩრდილო ევროპა მყინვა-

რებით იყო დაფარული. ზოგიერთის აზრით, ისინი აფრიკიდან უნდა გადმოსახლებულიყვნენ. აფრიკაში ნაპოვნი არქეოლოგიური საგნები ევროპულზე ადრინდელია. პირენეს ნახევარკუნძულის მოსახლეობას მაშინვე მიუღწევია ქვის დამუშავების სრულყოფისათვის. აქ ადგილობრივ საბადოებში მოპოვებული სპილენძის ნივთები მზადდებოდა. სწორედ აქედან გავრცელდა სპილენძი ძველი ევროპის ქვეყნებში.

გათხრების დროს სხვა საგნებს შორის აქ იპოვნეს რომის სახელმწიფოს წინააღმდეგელი მრავალი მონეტა, რომლებზეც ფინიკიურთან და ძველ ეგვიპტურთან მიახლოებული ტიპის წარწერები აღმოჩნდა. ამ მხარის მკვიდრთა შესახებ სტრაბონი წერს: „ისინი მიჩნეულნი არიან იბერიელთაგან ყველაზე კულტურულ ხალხად. მათ აქვთ დამწერლობა და თხზულებები, რომლებიც მათი ტომის ისტორიას ეძღვნება, პოემები და სჯულდებანი, ლექსად დაწერილნი (როგორც თავად ამბობენ, 6000 წლის წინანდელი)“.

როგორი შესახედავნი იყვნენ იბერიელები? „იულიუს აგრიკოლას ცხოვრებაში“ ტაციტუსი წერს: „სილურთა (ბრიტანეთის კუნძულების მცხოვრებთა. — ავტ. შენიშვნა) შავკვრემანი სახეები, მეტწილად ხვეული თმა და ესპანეთის წინააღმდეგ მათი განწყობა საფიქრებელს ხდის, რომ ძველი იბერიელები აქ ზღვით გადმოსულან და ეს მხარე დაუკავებიათ“. ტაციტუსი ამტკიცებდა — იბერიელებს ოდესღაც ბრიტანეთის კუნძულების კოლონიზაცია მოუხდენიათო. ამას დღევანდელი არქეოლოგები და ისტორიკოსებიც ამოწმებენ. გასული საუკუნის დასაწყისის უგამოჩენილესი ლინჯვისტი ალექსანდრე ჰუმბოლდტი იმ აზრისა იყო, რომ იბერაული ენა ოდესღაც ბატონობდაო დასავლეთ ევროპის მთელ ტერიტორიაზე, სიცილიის, სარდინიისა და კორსიკის კუნძულთა ჩათვლით.

ამავე დროს, შესაძლოა მოიძებნოს გარკვეული ანალოგიები ბასკებისა ევროპის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ხალხებთან. ჩრდილო აფრიკის ხალხებთან ბასკების კავშირის ამბავი უკვე მოგახსენეთ. ხოლო ინგლისელი რ. ლ. კოლინგტონი, განათლებით ისტორიკოსი და ანთროპოლოგი, ამტკიცებს—გვატემალელ ინდიელთა ენა ბასკურს ძალიან ჩამოჰგავსო.

იგივე კოლინგტონს მოაქვს ციტატი¹ იაპონელი ეთნოგრაფის დოქტორ იოშიტომასი, რომელიც ტიპიურ ბასკთა და იაპონელთა ფიზიკური აღნაგობისა და მათი ენების გარკვეულ მსგავსებაზე ამახვილებს ყურადღებას.


არაატლანტოლოგ ლინგვისტთა აზრით, ზაპონური ენა მსოფლიოს არც ერთ ენას არ უნდა ჰგავდეს, მსგავსი დამწერლობის გარდა მას არაფერი აერთიანებს ჩინურ ენასთან. ისევე, როგორც ბასკური და ეტრუსკული, ისიც „იზოლირებულ“ ენად არის მიჩნეული.

ბასკურისა და იაპონურის მსგავსებას რომ ვიტყვი, ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი უნდა მოვიხსენიოთ უეჭველად. საქმე ის არის, რომ იაპონიის ერთ-ერთი უდიდესი საპორტო ქალაქის — იოკოჰამას სახელწოდება თითქოს მთლიანად ბასკურიდან აღებული ჩანს: „იოკოჰამა“ ბასკურად „ზღვისპირა ქალაქს“ ნიშნავს!

ერთი რამ კიდევ: იაპონიის გერბად გამოყენებულია სტილიზებული ქრიზანთემა. ასე ფიქრობენ თავად იაპონელნი, ოღონდ, მათი აზრი რომ არ გეცოდნოდა, ეს ნიშანი სტილიზებული მზის ნიშანთან უფრო უნდა გაგვეიგივებინა. იაპონიის გერბი ყვავილის სიმეტრიულად განლაგებული თექვსმეტი ფურცლისგან შედგება. ამგვარსავე ნიშანს — იმავე თექვსმეტი ფურცელს, ასევე განლაგებულს — ვხვდებით ფინიკიურ ვერცხლის ვაზასა (რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულს განეკუთვნება) და კვიპროსულ ლარნაკზეც. მსგავსი ნიშნები, აგრეთვე თექვსმეტიფურცლოვანი, აღმოჩნდა ბრაზილიის უდრან ტყეებში მიკვლეულ „მზის ქვებზე“, კანარის კუნძულებზე, ხოლო ერთობ მინაგვანი, ოღონდ რვაფურცლოვანი — დასავლეთ აფრიკაში.

მაგრამ კიდევ უფრო საკვირველია დოქტორ კოლინგტონის მოსაზრებები ამერიკისა და ძველი ქვეყნიერების გეოგრაფიულ სახელწოდებათა მსგავსების თაობაზე. ეს სახელწოდებები იმ ხანას განეკუთვნება, როცა ამერიკა ჯერ კიდევ არ ყოფილა აღმოჩენილი (ნაწილი ახალ დროშია შერქმეული და მათთვის დამახასიათებელია ესპანური ელერალობა). ეს სახელ-

¹ „Atlantean Research“, London, vol I. issue 4.



მზის გამოსახულება. მარცხნიდან მარჯვნივ — იაპონიის ეერბი, აფრიკული ნახატი (ბენინიდან), კოსური ვაზის ფრაგმენტი, კეიპროსის ფინიკიურა ვაზა, გუანუების pintaderas.

წოდებანი რაიმე მნიშვნელობის მქონენი არიან ხოლმე მუდამ. ერთი გამონაკლისთაგანია მექსიკის ყურესთან მდებარე პროვინციის სახელწოდება — თაბასკო. მისი წარმოშობა ვერავის აუხსნია, რასაც, სხვათა შორის, ბრიტანული ენციკლოპედიაც აღნიშნავს. გარნა კოლინგტონმა ამ სახელწოდებას ახსნა მოუძებნა: ძველ ეგვიპტურ ენაზე ta-basku „ბასკების ქვეყანას“ ნიშნავსო.

ამავე ავტორის მიხედვით, სახელწოდება გვატემალა (Guatemala) წარმოდგება ეგვიპტური Wa-Tem-Ra-დან, რაც „ჩამავალი მზის გზას“ უნდა ნიშნავდეს. ცნობილია, რომ ესპანელები ua-ს არ წარმოთქვამენ (wa ინგლისურში ua-ღ წარმოითქმის) და მას ესპანური gua-თი ცვლიან. გარდა ამისა, ესპანელები r-ს l-დ აქცევენ ხოლმე.

სახელწოდება ნიკარაგუა (Nicaragua), კოლინგტონის აზ-

რით, უნდა წარმომდგარიყო ეგვიპტურიდან — Nkh-Ra-wa, ესე იგი — „ჩამავალი მზე“. მეორე ამერიკული რესპუბლიკის სახელწოდება — ჰონდურასი (Honduras) — „წმინდა წყლის ბასკური“ არისო, რადგან ბასკურად hondu ნიშნავს დანთქმას, უფსკრულს ჩაეარდნას. ეს სახელწოდება შეიძლება ითარგმნოს, როგორც „რას უფსკრულად დანთქმა“ ანუ „მზის ჩასვლა“, რადგან რა მზის ღვთაების სახელი არისო. ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოთა ყველა ხსენებულ სახელწოდებას საერთო ნიშანი ახასიათებს — ისინი დასავლეთს აღნიშნავენ. ისიც უნდა დავუძინოთ, რომ იაპონიის კუნძულთაგან უდიდესს ჰონდო ეწოდება.

თაბასკოს აღმოსავლეთის მხრივ აკრავს მეზობელი შტატი კამპეჩე, რომელიც ამავე სახელწოდების ყურის პირას მდებარეობს, ხოლო მის დედაქალაქს სან ფრანცისკო დე კამპეჩე ჰქვია. ქალაქი (საპორტოა), შტატი და ყურე, უწინარეს ყოვლისა, იმით არის ცნობილი, რომ აქ ხარობს კამპეჩეს ხე (Haematoxylon campechianum), რომლისგანაც მიკროსკოპქვეშ კვლევის წარმოებისას ბიოლოგიური პრეპარატების შესაფერადებელ საღებავს ჰემატოქსილინს ღებულობენ. ოღონდ სახელწოდება კამპეჩე კი არ წარმოდგება ხის სახელისგან, არამედ პირუტყუ. მაშ სახელწოდება „კამპეჩე“ საიდანღა წარმოდგა? ეგვიპტელნი თავიანთ ქვეყანას ხემს, ჭებმსა თუ ქამს უწოდებდნენ. „პეჩ“ ეგვიპტურ ენაზე „ყურეს“ ნიშნავს. აქედან, კოლინგტონის აზრით, „კამპეჩე“ „ეგვიპტის ყურეს“ უნდა ნიშნავდეს!

დოქტორი რენდელ ჰარისი, რამდენიმე უნივერსიტეტის პროფესორი და მრავალი ენის მცოდნე, ამერიკისა და ძველი ქვეყნიერების ცალკეულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ამოსავლად ეგვიპტურ ენას მიიჩნევს. მათი აქ მოტანა ამ წიგნის ფარგლებს გადაგვაშორებდა, ამიტომ მხოლოდ ყველაზე საინტერესოებით დაკმაყოფილდეთ. მაშასადამე, მისი აზრით, მდინარე მისურის სახელწოდება „მზის შვილებს“ ნიშნავს, მასაჩუსეტსი — „მეწამულის შვილებს“, ტენესი — „იზიდას ქვეყანას“. აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოსაც კი ეგვიპტელთა მიერ შერქმეული სახელი ჰქვია თურმე: „ბაქო“ „ზეთს“, ესე იგი „ნავთობს“ ნიშნავსო!

ცხადია, სხვადასხვა ენაზე არსებულ სახელწოდებათა ხშირ-რებაზე დამყარებით დასკვნების გამოტანა დიდად სახიფათო საქმეა. ჩვენც ეს რამდენიმე მაგალითი იმისთვის კი არ მოგვიტანია, რომ მკითხველი შევაჯეროთ — ამერიკის გეოგრაფიული სახელწოდებები ეგვიპტური წარმოშობის არისო. ჩვენ უბრალოდ ატლანტოლოგთა იმ არგუმენტების კონსტატაციას ვახდენთ, რომელთა მეშვეობითაც ცდილობენ ისინი მზის წვილთა ატლანტისიდან მიმოსვლას გაადევნონ თვალი. ამგვარ საფუძველზე ისიც კი დამტკიცდებოდა, რომ ქალაქ რადომის სახელწოდება ეგვიპტურია და „ღვთაება რას სახლს“ ნიშნავსო!

გარნა არსებობს გარკვეულ თანხვედრათა რიგი, რომელთაც შემთხვევითად ვერ მივიჩნევთ. ასეთია, კერძოდ, ნეპტუნის (პოსეიდონის) სამთითას საკითხი. ეს არის ზღვათა მეუფის, ზევსის ძმის ატრიბუტი, რომელიც მის ყოველ გამოსახულებასა და სკულპტურას ახლავს. კაცმა რომ თქვას, ძნელი მისახვედრიცაა, მუდამ რატომ უპყრია ხელთ პოსეიდონს ეს დიდი ფიწალი? ერთნი მას ელვათა კონის სიმბოლოდ მიიჩნევენ. სწვანი — სათევზაო მოწყობილობაღ. ოღონდ ატლანტოლოგებს სხვა აზრი აქვთ ამ საკითხის გამო.

ატლანტისი პოსეიდონის სამფლობელო იყო. აქ ააგო მან თავისი დიდებული სასახლე, რომლის ამბავსაც ბერძნული მითები გვაძენობენ: სასახლე ოკეანის ფსკერზე დგას. სახურავი ნიჟარებისა აქვს, სარკმლები — ქარვისა, კედლები კი ცოცხალი ყვავილებით ამოზრდილაო; მარჯნის ხეებით არის გარემოცული, მარჯნებს შორის კი თევზები და მანათობელი ზღვის ურჩხულები დაცურავენო; ეს სასახლე მხოლოდ ზღვის უკუქცევის დროს მოჩანს, მაშინ ნიჟარები იხსნება და შიგნით ჩაჰვრეტაც შეიძლებაო.

ასეთია ის სასახლე „ამჟამად“, ესე იგი მითების აღმოცენების დროისთვის. მაგრამ ვიდრე ოკეანის წყალი ატლანტისს დანთქამდა, მანამდე სასახლე, პლატონის ცნობის თანახმად, კუნძულზე აზიდულიყო, ერთ-ერთი მთის მწვერვალზე. ეს

1 რადომი ქალაქია პოლონეთში, ვარშავის ახლოს. ავტორის კალამბური ამგვარ სახუმარო ანალიზს ემყარება: „რადომ“ — ქალაქის სახელწოდება, „რა“ — ეგვიპტელთა ღმერთი, „დომ“ — სახლი. — მთარგმნელის შენიშვნა.







უმადლესი მთა არ ყოფილა, როგორც გვაუწყებს პლატონი. სხვათა უმადლესი ის მწვერვალები იყო, რომელთა ნაშთი აზორის კუნძულების სახით არის დღესდღეობით შემორჩენილი. გეოლოგები ამტკიცებენ — ეს კუნძულები ვულკანური წარმოშობისაა, რადგან ლავის სქელი ფენა ფარავსო. XV საუკუნეში პორტუგალელი ამ კუნძულებზე რომ გადასხდნენ, ქორთა სიმრავლემ გააკვირვა. უმთავრესად ბოცვერის ზორცით საზრდოობდნენ ქორები. პორტუგალელთა მიერ აზორის კუნძულების „აღმოჩენის“ ხანაში იქ თავგებიც ყოფილან, ვირთხებიც და სინდიოფალებიც. ლოკოკინებიც აღმოჩნდნენ და საფიქრებელია, რომ თავისით ვერც ესენი გადაცურავდნენ ატლანტის ოკეანეს. ფლორის წარმომადგენელთაგან გავრცელებული იყო ისეთივე გვიმრა, როგორიც კანარის კუნძულებზე, ირლანდიასა და ვენესუელაში, აგრეთვე მარწყვის ხედ წოდებული მცენარე, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებსა და სამხრეთ ამერიკაში ცნობილი. ეს ფაქტები თითქოს იმის საბუთი უნდა ყოფილიყო, რომ აწინდელი აზორის კუნძულები ოდესღაც უშუალოდ ყოფილა დაკავშირებული ძველსა და ახალ ქვეყნიერებასთან.

ატლანტის ოკეანის იმ რაიონში, სადაც აზორის კუნძულებია ამოზიდული, წყლის სიღრმე 2000-3000 მეტრს აღწევს. არქიპელაგი ცხრა კუნძულისა და წყალქვეშა კლდეებისგან შედგება. მისი ცენტრალური ნაწილია ხუთი მთავორიანი კუნძული. უმადლესი მთებია კალდეირო (1021 მ.) ფაიალის კუნძულზე, პიკო ალტო (2320 მ.) პიკუს კუნძულზე და კალდეირო დე სანტა ბარბარა (1047 მ.) კუნძულ ტერსეირაზე. ამათგან ყველაზე მაღალი — პიკო ალტო — შუაში აღმართულა, ორი დანარჩენი, სიმაღლით თითქმის თანატოლი, მას აქეთიქით ამოსდგომია, ერთი აღმოსავლეთის, მეორე დასავლეთის მხრიდან, და მათ შორის მანძილი 12 კილომეტრია. ძველად, როცა წყლის დონე 2000 მეტრით დაბლა იყო, აქ ერთი დიდი კუნძული განიფინებოდა და მასზე ერთი მთა აზიდულიყო, სამთავიანი, „სამთითას“ მსგავსი, მისი შუა ნაწილი დღევანდელ სიმაღლეს 2000 მეტრით აღემატებოდა და მთელი მთა ზღვის დონიდან 4000 მეტრს აღწევდა. ეს სამთითა შორიდანვე ჩანდა და ჩინებულ ორიენტირს წარმოადგენდა ოკეანეში მიმომავალი გემებისთვის. სწორედ ის იქცა ატლანტისის სიმბოლოდ.

ათასეული წლები რომ გამოხდა, ეს სიმბოლო პოსეიდონის ცნობილ „სამითად“ იქცა და მისი ნამდვილი მნიშვნელობა აღარც ბერძნებს ესმოდათ, აღარც, მით უმეტეს, რომაელებს.

გარნა ატლანტიისის სიმბოლოს ანარეკლს ოდენ ბერძნულსა და რომაულ მითოსში როდი ვპოულობთ. ჩინურსა და იაპონურ დამწერლობაში ცნება „მთა“ ისეთი ნიშნით გამოისახება, რომელიც ძალზე მოგვაგონებს პოსეიდონის სამითას!

როგორც ცნობილია, იაპონური (უფრო სწორად — ჩინური) ანბანი იდეოგრაფიული დამწერლობიდან არის წარმოქმნილი. ძველად ამ დამწერლობაში მთა ტალღოვანი ხაზით გა-

დამწერლობა	ნიშანი და მისი კანკითარება	მნიშვნელობა
ჩინურ-იაპონური		მთა-შან (ჩინურად), სან (იაპონურად)
ლურსმული (ბაბილონური)		მთა - შად, კკეყანა - შაფ.
ლურსმული (უგარიფიცი)		მ
ეგვიპტური იეროგლიფები		კკეყანა - დეურბინაფიცი, რომელიც არ წარმოითქმნება
ეგვიპტური იერაფული		ს
არაბული		ს
ფინიკიური		მ
ძველებრათული		მ
ბერძნული		ს
რომაული		ს
რუსული		' მ

პოსეიდონის სამითა სხვადასხვა დამწერლობაში.

მოისახებოდა, ესე იგი მთის პირველსახეს წარმოადგენდა სამთავიანი მწვერვალი, რომლის შუაში უფრო მაღალი პიკი აზიდულიყო, ხოლო აქეთ-იქით შედარებით დაბალი ორი მთა ედგა. სწორედ ამ ნახატიდან წარმოიქმნა მთის ნიშანი, ჩინურად „შან“, იაპონურად — „სან“.

ოლონდ სიტყვა „სანს“ იაპონურ ენაში ორი მნიშვნელობა კიდევ აქვს: რიცხვითს სახელს „სამს“ მიუთითებს და აგრეთვე „ბატონს“; რაღა თქმა უნდა, დაწერილობით ეს სიტყვები სხვადასხვაგვარად გამოისახება. ექვი აღიძვრის, რომ ეს უბრალო შემთხვეველობა არ უნდა იყოს. იმას ხომ არ უნდა ნიშნავდეს ეს ამბავი, რომ ყველა ამგვარი ცნება სათავეს იღებს ატლანტიკაში, „აზიდული მთის“ ქვეყანაში, სადაც „სამთავა“ მწვერვალი იდგა და „ბატონთა“ მოდგმა სახლობდა?

სამთითას ნიშანი ტიგროსისა და ევფრატის შუამდინარეთში ძველად მცხოვრები ხალხის ლურსმულ წარწერებშიც მეორდება. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე ათასწლეულში იქაური დამწერლობა მთას სამი ნახევარწრით გამოსახავდა, მესამე ათასწლეულში — სამი სამკუთხედით, ხოლო ასურელთა და ბაბილონელთა გაჩარხული ლურსმული — სამი „სოლით“. ისევ „სამთითა“! ხმიერებაც იაპონურს წააგავდა: აქაურ ენაში მთას ჰქვია „შად“.

ამგვარსავე ნიშანს — „ს“ და „შ“ ასობეს — ძველ ებრაულ დამწერლობაშიც ვხვდებით. იმის უარყოფაც ძნელია, რომ თითქმის იდენტური ასო რუსულ ანბანშიც იპოვება და ესეც არის ასო „შ“ (Ш).

ნიშანი „მთა“ ლურსმულში გამოიყენებოდა აგრეთვე როგორც ნიშანი „ქვეყანა“, ბაბილონურად — „მატ“.

როგორც ნახაზიდან ჩანს, ლათინური ანბანის S ასოც „სამთითას“ ნიშნიდან წარმოქმნილა.

გუანჯუის ნარმოშობის საიდუმლო

აწინდელი ესპანეთის დასავლეთ აფრიკის ნაპირები კანარის კუნძულებიდან უახლოესს 100 კილომეტრზე ნაკლები მანძილით არის დაშორებული. მთელი არქიპელაგი შვიდი მოზრდილი დასახლებული კუნძულისა და ხუთი უკაცრიელი პატარა-პატარა კლდოვანი კუნძულისგან შედგება. გეოლოგებს მიაჩნიათ, რომ, აზორის კუნძულების მსგავსად, კანარის კუნძულებიც ვულკანური წარმოშობისაა. არქიპელაგი მთავორიანია, ხოლო კუნძულ ტენერიფეზე წამომართული უმაღლესი მწვერვალი 3700 მეტრს აჭარბებს. კუნძულის ირგვლივ ატლანტის ოკეანის სიღრმე 2000 მეტრზე მეტი არაა. ასე რომ, წყლის დონე 2000 მეტრით რომ დაწეულიყო, კუნძულები აფრიკის კონტინენტის ნაწილად იქცეოდა.

კანარის კუნძულებს ძველად კრეტელი და ფინიკიელი ზღვაოსნები ეწვეოდნენ ხოლმე, შუა საუკუნეებში აქ არაბები, პორტუგალელები, ესპანელები და გენუელი მეზღვაურები მოდიოდნენ.

1344 წელს პორტუგალელმა ლუის დე ლა სერდამ თავის-თავი კანარის კუნძულების ხელმწიფედ გამოაცხადა, მაგრამ თავისი ტერიტორიების დაუფლებას ვერც კი ელირსა — ესპანელებმა დაასწრეს. კუნძულები ახლაც მათს მფლობელობაშია.

ესპანელთა მისვლისას კუნძულელნი ისეთ პირობებში ცხოვრობდნენ, დაახლოებით ქვის ხანას რომ შეეფერება. ქვის

ცულებსა და ხერხებს ხმარობდნენ, მიწას ქვის ან ცხოველთა ძვლისგან გაკეთებული თოხებით ამუშავებდნენ; ევროპელები განსაკუთრებით იმ იარაღით დაინტერესდნენ, ტაბონა რომ ერქვა. ეს არის ქვის ანატექიებიდან გაკეთებული დანის მაკვარი რამ, ზის დასამუშავებლად ან იქნებ საბრძოლო მიზნებითაც გამოსაყენებელი.

ისე, კაცმა რომ თქვას, საბრძოლო და სამომარი არც არავინ ჰყოლიათ. კუნძულელებმა ერთმანეთისა არაფერი იცოდნენ, თუმცა ახლომდებარე კუნძულები შეუიარაღებელი თვალითაც გაიჩიოდა. არც კი ცდილობდნენ მეზობლებთან რაიმე კონტაქტი დაემყარებინათ (შესაძლოა ამიტომაც არ მოსდიოდათ შეხლა-შემოხლა). ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მათ ზღვაოსნობისა არაფერი გაეგებოდათ, ხომალდის აგება არც იცოდნენ. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა შედარებით მცირე სივრცეზე მოსახლე და წყლით გარემოცული ზღვისპირელი ხალხი წინაპართათვის ნაცნობ ქვეყნიერებას დასჭერდა და იქით გაზღვა აღარ ისურვა. ეს უცნაური მოვლენა ორგვერად შეიძლება აიხსნას.

შესაძლოა კანარის კუნძულების მკვიდრთა წინაპარნი ზღვაოსან ხალხთა რიცხვს არ ეკუთვნოდნენ. შესაძლოა ისინი მონებავით ძალით ჩარეკეს კუნძულების დასასახლებლად ჯერ კიდევ კართაგენის დროს, ან უფრო ადრეც კი. ასეთ შემთხვევაში ისინი ევროპელნი ან ჩრდილო აფრიკელნი იქნებოდნენ ალბათ. მეცნიერთა უმრავლესობას სწორედ ამგვარად სურს ახსნას კანარის კუნძულების მკვიდრთა წარმოშობა, მით უმეტეს, რომ ამათ ბევრი რამ აქვთ საერთო ჩრდილო აფრიკის ძველ მკვიდრ მოსახლეობასთან — ბერბერებთან. და მაინც დღემდე გამოცანად რჩება ის ამბავი, თუ რატომ არ იცოდა ამ ხალხმა ზღვაოსნობა. ხომალდების ასაგებად საჭირო ძირითადი მასალა — მერქანი ამ კუნძულებზე საკმაოდ მოიპოვება. როგორც ჩანს, რაღაც სხვა მიზეზის გამო არ ცდილობდნენ კანარის კუნძულების ბინადარნი თავიანთ ადგილსამყოფელის მოშორებას.

ზოგიერთნი ამ ამბის ახსნას რელიგიური რწმენის თუ ცრურწმენის საფუძველზე ცდილობენ — ამგვარი რწმენა აღამიანს წმინდა სტიქიონის ღამორჩილებას თუ უკრძალავდაო. ან იქნებ

კუნძულელთა წინაპრებს ზღვის სტიქიონით აღძრული რაღაც გიგანტური კატასტროფა დაატყდათ თავს და ზღვის ღვთაებისთვის მიტევების გამოთხოვის მიზნით საზეიმო აღთქმა დადეს — ზღვის დაურევებას აღარასოდეს შევეცდებითო.

კანარის კუნძულების მცხოვრებნი თავისთავს უწოდებდნენ „გუანჩ“, რაც „მკვიდრს“ ნიშნავს. აქედან მოდის მათი დღევანდელი სახელწოდება — „გუანჩები“. ტანმალალი იყო ეს ხალხი, ღია პირისკანის მქონე, ცისფერთვალა და მეტწილად ქერათმიანი. მართალია, XIV-XV საუკუნეებში ჯერაც „ქვის ხანაში“ ცხოვრობდნენ, მაგრამ ველურები როდი ყოფილან. ქვის იარაღს იმიტომ ხმარობდნენ, რომ კუნძულებზე არავითარი ლითონი არ მოიპოვებოდა (ეს ამბავი საკვირველად აღარ მოგვეჩვენება, ამ კუნძულების ვულკანურ წარმოშობას თუ გავიხსენებთ). ამავე დროს, ეს ხალხი სახლებსა და ქალაქებს აშენებდა; ამბობენ, ერთ იმ ქალაქთაგანში, სახელად ცენდრო რომ ერქვა, ოდესღაც 14000 სახლი მდგარაო. ძირითადი საშენი მასალა იყო პალმის ხე, უდუღაბოდ დაწყობილი ქვები და მიწა. მთებში გამოკვეთილ გამოქვაბულებშიც უცხოვრიათ გუანჩებს. ზოგიერთი მთის ფერდობი ნამდვილ ფიჭას ჰგავს, კლდეშივე ნაკვეთი კიბეებით მისადგომი იმდენი შესასვლელი ჩანს გამოქვაბულებისა.

გუანჩები მიწისმოქმედებას მისდევდნენ, თხები, ცხვრები, ღორები და ქათმები ჰყავდათ მოშენებული. გამწვევი საქონელი და ძროხა არ ჰყოლიათ. შინაურ ცხოველთაგან ძაღლიც ჰყავდათ. სამოსლად პალმის ფოთოლთა ბოჭკოებისა და შალის ქსოვილებს, აგრეთვე ცხოველთა ტყავს ხმარობდნენ. თავზე ფრთებს იკეთებდნენ ხოლმე — ეს ჩვეულება ატლანტის ოკეანისპირა ორსავე კონტინენტზე იყო გავრცელებული, ამერიკაში ინდიელთა, ხოლო აფრიკაში ბერბერთა შორის. იბერიელნიც მისდევდნენ ამ ჩვეულებას ძველ ესპანეთში. ფრთები იმ ბერბერულ პრინციპსაც ეკეთა, რომლის აკლდამაც აღმოჩნდა პოგარში (საპარა).

გუანჩების კულტურის საკმაოდ მაღალ განვითარებასა და მის გამოკერძოებულობას მათი კანონები და ადამ-წესებიც მოწმობს. მაგალითად, საგულისხმოა მათი უცნაური ჩვეულება, რომლის მიხედვითაც მკვლელობისთვის (განსაკუთრებით,

თუკი ვერაგულად, მზაკვრულად იყო ჩადენილი ეს მკვლელობა) თავად მკვლელს კი არ სჯიდნენ სიკვდილით, არამედ მის რომელსაჲმე ახლობელს — ცოლს, მამას ან ვაჟიშვილს. ამგვარად მოქმედნი მართებულად ფიქრობდნენ — ბოროტის მყოფელისთვის ძვირფასი და უდანაშაულო ადამიანის დაკარგვა გაცილებით სამძიმო იქნება, ვიდრე საკუთარი სიკვდილიო.

რალა თქმა უნდა, სხვადასხვა კუნძულებზე წეს-ჩვეულებები რამდენადმე განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მაგალითად, კუნძულ გრან-კანარიაზე მონოგამია იყო გაშვებული, ხოლო კუნძულ ფეროს მკვიდრნი პოლიგამიას მისდევდნენ.

კუნძულელებმა მხოლოდ ისეთი ხელობანი იცოდნენ, რომელთაც ლითონი არ სჭირდებოდა, კერძოდ, ერთი ამგვარი იყო მეჭურჭლეობა. განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს „გეომეტრიულად“ მოხატული, დახვეწილად ჩამონაკეთული ერთი ვაზა. ყველაზე ლამაზი ვაზები კუნძულ გრან-კანარიაზე გვხვდება. ესენი ბერძნულსა და კვიპროსულ ნაკეთობებს მოგვაგონებენ.

გრან-კანარიაზევე აღმოჩნდა საინტერესო საგნები, რომლებსაც შეერქვა ესპანური სახელი pintaderas. ეს არის გამოშვარი თიხით ნაკეთები ბეჭდისმაგვარი საგნები, სიდიდით მონეტისოდენა, სახელურიანი. არავინ იცის, რა მიზნით იყენებდნენ ამ „ბეჭდებს“. ამგვარ ინსტრუმენტებს მექსიკელი და კოლუმბიელი ინდიელნი, აგრეთვე ჩრდილო აფრიკელი ბერბერები ტატუირების დროს იყენებდნენ.

Pintaderas-ებზე ამოტვიფრული გეომეტრიული ორნამენტები ვაზებზე გამოყვანილ გამოსახულებებს მოგვაგონებენ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „ფეხებიანი მზის“ სწორედ ისეთივე გამოსახულებები, როგორიც სამხრეთ ამერიკაში ვხვდებთ, და მზის თექვსმეტფურცლოვანი სიმბოლო, იაპონური გერბის მსგავსი. სხვა მოტივთაგან შეიძლება მოვიხსენიოთ კონცენტრული წრეები, სამკუთხედები, კვადრატები, ჯვრები. მკვლევარნი ღღესაც სხვადასხვა აზრისანი არიან ამ pintaderas-ების დანიშნულების თაობაზე. შესაძლოა რელიგიურ წეს-ჩვეულებათა აღსრულების დროს იყენებდნენ ხოლმე მათ.

გრან-კანარიას ქურუმთუხუცესი ატარებდა ფაიკანის ტიტულს. გარდა ქურუმებისა, იგი მკურნალიც იყო, ზშირად კი

ადმინისტრაციულ ფუნქციებსაც აღასრულებდა. ქურუმთა ინსტიტუტი მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, ასე რომ ეს ამბავი განსაკუთრებულს თითქოს არაფერს უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ გუანჩების კულტურის მკვლევარნი კუნძულ გრან-კანარიას ქურუმთა და ბაბილონელ ქურუმთა უჩვეულო მსგავსებას მიაპყრობენ ყურადღებას. ფაიკანის ტიტულიც კი— ფრანგი ეთნოლოგის ბ. ბონეს თანახმად — ბაბილონურად უღერს: ბაბილონში ფაიკანი სამოქალაქო, სამხედრო და რელიგიურ საქმეთა ერთად მტვირთველ მოხელეს ეწოდებოდა. ბაბილონელ ფაიკანთა და ფინიკიელ მოგვთა მსგავსად, კანარელი ფაიკანები კონუსისებურ თავსარქმელს ატარებდნენ. მსგავსება წეს-ჩვეულებებშიც შეინიშნება: საკურთხეველი გორაკზე აღიმართებოდა, მსხვერპლსაც იქვე სწირავდნენ, ხოლო მიცვალებულებს დაახლოებით ისევე მარხავდნენ, როგორც ჩრდილო აფრიკაში, ამასთან, დაბალზამების წესი XXI დინასტიის ეგვიპტურ წესს თანხვდებოდა. ჩაცუცქულად დამარხვის შემთხვევებიც არის აღნუსხული. ერთ კანარულ მუმის ზუსტად ისეთი სახდლებით ჰქონდა ფეხი შემოსილი, როგორითაც ჩიჩენ-იცაში აღმოჩენილ ქანდაკებას.

კანარის კუნძულებზე ასეული წლების განმავლობაში ესპანელთა ბატონობას შედეგად ის მოჰყვა, რომ ამ კუნძულების მკვიდრმა მოსახლეობამ კონკისტის ეპოქაში დაპყრობილი სხვა ხალხთა ბედი გაიზიარა. კუნძულების დღევანდელი მოსახლეობა ესპანელთა, არაბთა და სხვა გადამთიელთა გუანჩებთან აღრევის პროდუქტია. ისინი ესპანურ ენაზე მეტყველებენ და ქრისტიანობას აღიარებენ.

ყოველივე, რაიც დღესდღეობით ვიცით არქიპელაგის ოდინდელ მოზინადრეთა შესახებ, XV-XVI საუკუნეების რამდენიმე ავტორის მონათხრობიდან და აგრეთვე არქეოლოგიური გათხრების მასალებიდან არის აღებული.

დღეს კანარის კუნძულები ანთროპოლოგთა, ეთნოგრაფთა და ენათმეცნიერთა გულისყურს იპყრობს. მეცნიერთა უმრავლესობა იმ ჰიპოთეზას ემხრობა, რომ გუანჩები იმავე შტოს განეკუთვნებიან, რომელსაც ბერბერები, სხვაგვარად ძნელი ასახსნელი იქნებოდა თეთრკანიანთა გაჩენა ასე ახლოს შავი აფრიკიდან. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით გუანჩები მიე-

კუთვნებიან კრომანიონელთა რასას, სწორედ იმას, რომლის წარმომადგენლებიც ესპანეთისა და ჩრდილო აფრიკის წინარეისტორიულ მდვიმეებში გვხვდებიან.

და კიდევ ერთი დეტალი შეადგენს გუანჩების დიდ საიდუმლოს — დამწერლობა. წინარეისტორიულ ხანაში გუანჩების მაღალგანვითარებულ კულტურას მოწმობს მისი არსებობა. ეს დამწერლობა, ერთი მხრივ, სამხრეთ ამერიკაში მიკვლევულს ჰგავს რამდენადმე, მეორე მხრივ — კრეტულ ანბანს: ზოგიერთი მკვლევარი ეგვიპტურის ელემენტებსაც პოულობს მასში. ეს ყოველივე, როგორც ჩანს, იმას მეტყველებს, რომ გუანჩები ხმელთაშუა ზღვის აუზიდან გადახვეწილნი უნდა იყვნენ. ზოგნი იმასაც ამტკიცებენ — გუანჩები არიან შთამომავალნი ბიბლიურ ქანაანელთა, რომელნიც ისუ ნავეს ძემ ქანაანიდან განდევნაო. ამ შემთხვევაში ნეტარ ავგუსტინეს ავტორიტეტსაც კი იშველიებენ: რომაელთა მიმართ ეპისტოლეში მას ნათქვამი აქვს — კართაგენელი იტყვიან, რომ წარმოშობით ჩვენ ვართო ქანაანელი. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ იუდეველთა მიერ განდევნილი ქანაანელი მთელ ქვეყნიერებაზე მიმოფანტულან და კანარის კუნძულებამდეც კი მიუღწევიათ, ისევე როგორც მრავალი წლის შემდეგ თავად იუდეველებს დაემართათო პალესტინიდან განდევნის გამო.

ეს ყოველივე ვარაუდია მხოლოდ, რომელიც გუანჩებისა და ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე მცხოვრებ ხალხთა დამწერლობისა თუ ენის მსგავსებას ემყარება; ამასთან, ამგვარი ვარაუდი გულისხმობს, რომ გუანჩების მაღალ კულტურას ეგრეთ წოდებულმა ძველმა ქვეყნიერებამ მისცა დასაბამი. ხოლო ატლანტოლოგთა თვალსაზრისით გუანჩები ატლანტისის ძველი მოსახლეობიდან შემორჩენილი ხალხია, რაღა თქმა უნდა. მათი კულტურის სათავე ატლანტისში იყო, ხოლო განვითარებით ეგვიპტის, ბაბილონის, მექსიკისა და პერუს კულტურათა პარალელურად ვითარდებოდაო. რაკი გუანჩების ენა რამდენადმე ჩამოჰგავს ბერბერების ენას (რომელიც ეკუთვნის ქამიტურ-სემიტურ ენათა ოჯახს, ესე იგი იმასვე, რომელსაც ეგვიპტური), ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ისინი ჩრდილო აფრიკიდან წარმოდგებიან; რაკი გუანჩები ეგვიპტური წესით აბალ-ზამებდნენ ცხედრებს, ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ეგვიპ-

ტელთაგან ესწავლოთ ეს საქმე, ისევე როგორც არც მაიას ხალხისგან უსწავლიათ და არც ინკებისგან; ასევე გუმბათოვანი აკლდამების შენება მათ არც მიკენელ ბერძენთაგან უსწავლიათ, არც ესპანეთის იბერიელთაგან, არც ირლანდიის ძველი მოსახლეობისგან. მათი კანის ფერიც კი არ გამოდგება იმის საბუთად, თითქოს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებიდან იყვნენ გადახვეწილნი. საკმარისია დავიმოწმოთ სიტყვები კოლუმბისა, რომელიც გარკვევით წერდა: „თეთრკანიანი ინდიელი კაცებიცა და ქალებიც ვნახე. მათ თმა ისევე აქვთ დავარცხნილი, როგორც ესპანეთში იციან“. კოლუმბს ისეთი ინდიელნიც შეხვედრიან, კანარის კუნძულელ გუანჩებს რომ ჰგავდნენ. თავზე თეთრი აბრეშუმის დოლბანდები ეკეთათო!

იმ ფაქტს, რომ ამერიკაში დოლბანდს (სემიტური მოდგმის ხალხთათვის დამახასიათებელ თავსარქმელს) ატარებდნენ, მ. ომეც განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს. დოლბანდები გვიანაში, ტრინიდადის კუნძულზე და ცენტრალურ ამერიკაში ეხურათ. ჩილის დედაქალაქ სანტ-იაგოს მუზეუმში შეგიძლიათ ნახოთ ინკების თეთრი დოლბანდით მოსილი რომელიღაც ქურუმისა თუ პრინცის IV საუკუნის ქანდაკება. ინკების მრავალი ქანდაკება ინდიელებს ეგრეთ წოდებული „არწივისებური“ ცხვირის მქონეთ გამოსახავს, ამგვარი ცხვირი კი სემიტებისთვისაც არის. ნიშანდობლივი. აქნებ ესეც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მოსეს მემკვიდრის — ისუ ნავეს ძის მიერ მშობელი ქვეყნიდან განდევნილი ქანაანელი პერუში დასახლებულან?

ეს საიდუმლოც უბრალოდ აიხსნება, თუ ვივარაუდებთ, რომ დიდი წყლის როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით მდებარე ქვეყნების მცხოვრებნი ატლანტთა დიადი კულტურის ძლიერ გავლენას განიცდიდნენ. ამგვარი ვარაუდის შეწყნარებისას აღარც იმის მტკიცება მოგვიხდება, რომ გუანჩები ევროპიდან თუ აფრიკიდან არიანო წარმოშობილნი. ისინი კანარის კუნძულებზე ოდითგანვე სახლობენ როგორც *Homo atlanticus*. მათი განვითარება სამშობლო მხარის დაღუპვას დაუბრკოლებია.

დასაანანია, რომ ესოდენ ძნელ საქმედ იქცა გუანჩების დამწერლობის ამოხსნა. მაგრამ; საბედნიეროდ, ჩვენს ხელთაა მათ

მიერვე მოთხოვნილი რამდენიმე ამბავი, ევროპელთაგან ამ რამდენიმე ასეული წლის წინათ ჩაწერილი. ერთ-ერთი ესპანელი ისტორიკოსი გვაუწყებს, კითხვას — საიდან ხართ წარმოშობილნი, გუანჩები ამგვარად უპასუხებდნენ:

„ჩვენი მამა-პაპანი იტყოდნენ — ღმერთმა ამ კუნძულზე რომ დაგვასახლა, მერმე დაგვივიწყაო. მაგრამ ერთხელაც იქნება, დაგვიბრუნდება მზესთან ერთად, რომლინათვისაც ყოველ დილით დაბადება აქვს ნაბრძანები და რომელმაც ჩვენც დაგვბადაო“.

ასე რომ, ამ ცნობის თანახმად, გუანჩებიც მზის შვილნი ყოფილან!

ნაწილი მესამე

კობლანტონის დაღუპვის ღრმ და მიწაში

„...ერთ დღესა და ავბედითს
ღამეს...“

პლატონი, „ტიმეოსი“

ორი მონათხრობი და სამი თარიღი

ატლანტისის დაღუპვის დრო ერთიმეორეზე დამოუკიდებელი რამდენიმე გზით შეიძლება განისაზღვროს. ამ გამოთვლათა შედეგები იმ ზომამდე თანხვდება, რომ მყარ არგუმენტად იქცევა პლატონის მიერ მოთხრობილი ამბის სასარგებლოდ.

განვიხილოთ ორი საბუთი, რომლებშიც მიახლოებით აღნიშნულია ატლანტისის კატასტროფის მომენტიდან განვლილი დრო. ეს საბუთებია პლატონის მონათხრობი და ჩვენთვის უკვე ნაცნობი „ტროანოს კოდექსი“.

ამოსავლად მივიღოთ კრიტიკის მიერ შეკრების მეორე დღეს ნათქვამი სიტყვები:

„უწინარეს ყოველთა გავიხსენოთ, რომ ცხრა ათასამდე წელი გასულა მას შემდეგ, რაც ჰერაკლეს სვეტების გაღმა-გამოღმა მცხოვრებთ ომი ჰქონდათ ერთმანეთში“.

სოლონი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 571-561 წლებში ეწვია ეგვიპტეს. ალბათ დიდი შეცდომა არ იქნება, თუ მივიჩნევთ, რომ სოლონისა და ქურუმების საუბარი საისში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 570 წელს შეჰდგარა: ორი-სამი წლის სხვაობა არაფერს ნიშნავს იმ დაეკვებასთან შედარებით, რაც ცხრა ათას წელიწადთან დაკავშირებით აღიძვრის.

ამ მონაცემებზე დამყარებით მრავალი მკვლევარი ატლან-

ტისის კატასტროფის თარიღად ჩვენს წელთაღრიცხვამდე 9570 წელს მიიჩნევს.

ოლონდ უნდა შევნიშნოთ, რომ „ცხრა ათასი“ დამრგვალებული რიცხვია. ძნელი წარმოსადგენია, რომ სოლონი მაინც-დამაინც კატასტროფის მეცხრათასე წლისთავზე ჩასულაყო საიხს. სხვათა შორის, ამას პლატონის ტექსტიც გამორცხავს, გარკვევით არის ნათქვამი — ცხრა ათასამდე წელი გავიდაო. ეს „მდე“ ბევრს რასმე გულისხმობს: რიცხვს „ცხრა ათასი“ მთელ ათასებად დამრგვალებულად თუ მივიჩნევთ, მაშინ ნამდვილი რიცხვი ცხრა ათასზე მეტი კი არა, ნაკლები გამოვა.

ოლონდ კატასტროფის თარიღს კი ასახელებს აქ პლატონი?

არა. საქმე იმ დროს შეეხება მხოლოდ, რომელიც ატლანტთა წინააღმდეგ ომის მომენტიდან უნდა გასულიყო. ჩვენ არც იმის თაობაზე გვაქვს რაიმე წარმოდგენა, თუ რამდენ წელიწადს გრძელდებოდა ატლანტებთან ომი, და არც იმის თაობაზე, თუ მისი დამთავრებიდან რამდენი ხნის შემდეგ დადგა ის „ერთი დღე და ავბედითი ღამე“, როცა ათენის მხედრობაც დაიღუპა და მთელი ატლანტიისი. ოდენ მოკლედ არის ნათქვამი — ამის შემდეგ „მალე“ კატასტროფა მოხდაო.

არც ის ვიცით, თუ რანაირად განუსაზღვრავთ ეგვიპტელებს იმ „ცხრა ათასი წლის“ ხანგრძლივობა. ცნობილია, რომ 365-დღიანი წელიწადი ეგვიპტეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4240 წლის ახლო ხანებში შემოიღეს მხოლოდ. მანამდე 360-დღიანი წელიწადი ჰქონდათ, ოლონდ არავინ უწყის — რა დროიდან. მაგალითად, ბაბილონელნი მთვარისა და მზის კალენდარს იყენებდნენ, ბერძნები და იუდეველნიც ასევე იქცეოდნენ. შესაძლოა ნეითის ტაძრის წმიდა ჩანაწერებში უკვე შეტანილიც ყოფილიყო სათანადო შესწორებები და სოლონისთვის 365-დღიან წელიწადებზე გადაანგარიშებით ემცნოთ წელთა რაოდენობა, მაგრამ საიმისო გარანტიაც არ მოგვეპოვება, რომ სწორედ ამგვარად მომხდარა ეს ამბავი. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ეგვიპტელნი რაიმე საწყისი თარიღიდან მოყოლებული კი არ ანგარიშობდნენ დროს (მაგალითად, წინააღმდეგ იუდეველებისა, რომლებიც წლებს „ქვეყნის დაბადებიდან“ ითვლიდნენ), მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ „ცხრა ათასი წელი“ ზუსტ განსაზღვრად სულაც არ უნდა მიგვაჩნდეს.

ამ შითითებების შემდეგ, „შესწორებათა“ მოსახდენად სათანადო ცნობების უქონლობის გამო, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 9570 წელი კატასტროფის სააღბათო თარიღად მივიჩნიოთ. არ უნდა შეგვაცბუნოს იმ ამბავმა, რომ ნამდვილი თარიღი შესაძლოა ათასი ან მეტი წლითაც კი განსხვავდებოდეს ზემოაღნიშნულისგან.

ამის საუკეთესო ილუსტრაციაა, მაგალითად, განსაზღვრა იმ თარიღისა, თუ როდის ავიდა ეგვიპტის ტახტზე პირველი მეფე მენესი. აი, როგორი თარიღი მოაქვთ სხვადასხვა ავტორებს (წლები აღნიშნავს პერიოდს ჩვენს წელთაღრიცხვამდე):

შამპოლიონი	5867
ლესუერი	5770
ბეკი	5702
უნვერი	5613
მარიეტი	5004
ბრუჟი	4455
ლაუტი	4157
შაბა	4000
ლურსიუსი	3892
ბუნზენი	3623
მაიერი	3180
ანჟეიესკი ¹	2850
ვილკინსონი	2320
პალმერი	2224

ეს ციფრები თვალნათლივ გვიჩვენებენ იმ დიაპაზონს, რომლითაც განისაზღვრება ეგვიპტის ისტორიული პერიოდის დამდეგი. ამასთანავე, საქმე ხომ იმ პერიოდს ეხება, როცა უკვე კალენდარიც არსებობდა, დამწერლობაც და ისეთი კონკრეტული ჩანაწერებიც, რომლებიც დღეს თითქმის შეუცდომლად შეგვიძლია ამოვიკითხოთ.

პლატონის თხზულების ქვემოთ მოტანილი ციტატიც სხვადასხვაგვარად შეიძლება აიხსნას: „...უფრორე იმ ქალღმერთის ხატრით, რომლის წილხედომილიცაა თქვენი ქალაქიცა და ჩვენიც, მან დააფუძნა ორივე, ოლონდ თქვენი ათასი წლით აღრე გეასა და ჰეფესტოს თესლით დაამკვიდრა, ხოლო ჩვენი — შემდგომში. აქაური ქალაქის დაფუძნების დროდ ჩვენს საღვთო

¹ უახლეს გამოკვლევათა თანახმად, მენესის მეფობის დასაწყისად ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2900 წელი არის მიჩნეული.

წერილებში რვა ათასი წელია მინიშნებული. ცხრა ათასი წლის წინათ მცხოვრებ შენს თანამემამულეებს რაც შეეხება, განგიმარტავ მათს კანონებსა და უსაჩინოეს მათ მიერ ქმნილ საქმეთაგან“.

აქ, საერთოდ, კატასტროფის თარიღს ან ომს კი არ შეეხება საუბარი, არამედ „ცხრა ათასი წლის წინათ“ მცხოვრებ მოქალაქეთა კანონები მოიხსენიება. აქედან გამოდის, რომ ეგვიპტელთა სახელმწიფო სულ რვა ათასი წლის წინათ დაარსებულა, ხოლო ათენი — ცხრა ათასი წლის წინათ. ატლანტებთან ომი როდისღა მიმდინარეობდა?

ამ საკითხს ოტო მუკი დაწვრილებით განიხილავს ატლანტისის შესახებ დაწერილ ზემოთ უკვე ხსენებულ წიგნში. ავტორი იმ ამბავს აპყრობს ყურადღებას, რომ ათენელთა და ატლანტთა ომის დროს ეგვიპტის სახელმწიფო უკვე არსებობდა, რადგან ატლანტნი „ფლობდნენ ლიბიას ეგვიპტემდე და ევროპას ტირენიამდე“, — როგორც პლატონი წერს. მუკის აზრით, ომი რვა ათასი წლის წინათ უნდა მომხდარიყო.

მუკის მოსაზრება უსაფუძვლო როდია. პლატონის მთელი მონათხრობი ხომ ათენის სახელმწიფო წყობილებასა და ამ ლეგენდარული ქვეყნის ამბებს ეხება უმთავრესად (ამას ატლანტისის მოწინააღმდეგენი ხაზგასმით აღნიშნავენ ხოლმე). ცხადია, ატლანტებთან ომამდე დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებულ წესწყობილებას ეხება საქმე. ათასი წელიწადი იქნებ ცოტა მეტიც იყოს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ამ ციტატით სავსებით ნათელია, რომ ატლანტებთან ომის შემდეგ მთლიანად ცხრა ათას წელზე მეტი არ გასულა. უნდა ვაღიაროთ, რომ ორივე ციტატი — დღალოგ „კრიტიასისაც“ და დღალოგ „ტიმეოსისაც“ — ერთიმეორეს ეწინააღმდეგება ატლანტისის კატასტროფის შემდეგ განვლილი დროის საკითხში.

„ტიმეოსის“ მიხედვით კატასტროფის ყველაზე სარწმუნო თარიღად ჩვენს წელთაღრიცხვამდე 8570 წელი უნდა მივიჩნიოთ.

სიზუსტისთვის ისიც აღვნიშნოთ, რომ მუკი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 8560 წელს დებს, რადგან სოლონი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 560 წელს ეგულება საისში. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ წელს სოლონი ათენში იყო უკვე. ამასთან, ჩვენ ვფიქ-

რობთ, რომ ატლანტისის ამბები მას ეგვიპტეში ყოფნის ბოლო წელს კი არა, უფრო პირველ წელს უნდა შეეტყო. თუმცა საბოლოოდ რამდენიმე წლის სხვაობას ამ შემთხვევაში არცა აქვს დიდი მნიშვნელობა.

მუკის თვალსაზრისს შეიძლება არც დავეთანხმოთ. საინგლისი ქურუმის მიერ ნახსენები „რვა ათასი წელიწადი“ წმიდა წერილების თარიღია, მაგრამ იგი „აქაური ქალაქის დაფუძნებას“ შეეხება. ხოლო ის ქალაქი ატლანტისის დაღუპვის შემდეგაც შეიძლებოდა აღმოცენებულიყო. ცხადია, ეს იმ ფაქტს არ ეწინააღმდეგება, რომ ომის პერიოდში ეგვიპტე უკვე შეიძლებოდა სახელმწიფოდ არსებულიყო, ოღონდ სხვა წყობილება უნდა ჰქონოდა. სწორედ იმიტომ, რომ ეგვიპტელებმა დაინახეს, თუ როგორია ძლიერებისა და სრულქმნილების მიმნიჭებლად ექცა ათენს მისი ღვთაებრივი წესწყობილება (რასაც ესოდენ ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხებაც მოწმობდა), მათ შეეძლოთ კატასტროფის შემდეგაც, ამასთან, მრავალი წლის დაგვიანებით დაენერგათ თავისთან იგივე წესწყობილება.

ამგვარ მსჯელობას იქითკენ მივყავართ, რომ ატლანტისის დაღუპვის თარიღი რამდენადმე უკან დავხიოთ, ოღონდ ათასი წლით კი არა. პლატონის მონათხრობში წინააღმდეგობის დანახვა სულაც არ არის სასურველი, მაგრამ იძულებულნი ვართ ვალიართ, რომ ამ მონათხრობის მიხედვით კატასტროფის ორ სავარაუდო თარიღს ვღებულობთ: „კრიტიასის“ თანახმად — ჩვენს წელთაღრიცხვამდე 9570 წელს, ხოლო „ტიმეოსის“ თანახმად — 8570 წელს.

მუკის აზრით, მეორე თარიღის სასარგებლოდ პეროდოტეს „ისტორიის“ მეორე წიგნის ნაწყვეტი უნდა მეტყველებდეს:

„...ამასთან ქურუმნი განმიმარტავდნენ, რომ ყოველი ნაჩვენები და რიცხვის მითვლილი გამოსახულება (ქურუმნი პეროდოტეს უჩვენებდნენ ქურუმთუხუცესთა ქანდაკებებს, მათს სიცოცხლეშიც რომ იღგმებოდა თებეში. — ავტორის შენიშვნა) არისო თავისი წინამორბედის — მამის ძე; თვლას იმ მღვდელმთავრის გამოსახულებიდან შეუდგნენ, რომელიც ყველაზე გვიან აღესრულა თურმე, და ყოველ მათგანთან მიუყავდი, ვიდრე ყველა გამოსახულება არ მაჩვენეს... თავიანთი გენეალოგია ქურუმებს იმგვარად გამოჰყავდათ, რომ, მათივე სიტყვით, ყო-

ველი კოლოსი პირომისისგან წარმოშობილი პირომისი იყო; ამგვარად, მათ სამას ორმოცდახუთი ქანდაკით უჩვენეს, რომ პირომისი პირომისისგან წარმოდგებოდა, ამასთან, მათ არც გმირს უკავშირებდნენ და არც ღვთაებას. პირომისი ელინურ ენაზე თარგმნილი „უმწიკვლოსა და გულოვანს“ ნიშნავს... შანამდე ეგვიპტეში ღვთაებანი მეფობდნენ, მოკვდავ ხალხთან ერთად ცხოვრობდნენ, და მეუფე ერთი რომელიმე მათგანი იყო მუდამ; ეგვიპტეში ხელმწიფედ მყოფი უკანასკნელი ღვთაება იყო ოზირისის ძე ჰორი“.

ამრიგად, ქურუმებმა ჰეროდოტეს ის 345 ქურუმი გადაუთვალეს, რომლებიც — მუკის თანახმად — ეგვიპტის აღმოცენებიდან იმ დრომდე მეუფებდნენ, როცა ჰეროდოტე ეგვიპტეს ჩავიდა სოლონის ყოფნიდან ორასი წლის შემდეგ. იმ ვარაუდით, რომ ყოველ ქურუმს 20-25 წელიწადს ებყრა ძალაუფლება, მუკს 7000-8600 წელიწადი — საშუალოდ 8000 წლამდე დრო — გამოჰყავს. ამ გზით მართლაც შესაძლოა პლატონის „რვა ათასი წელი“ დავადასტუროთ.

გარნა ეს არის ჰეროდოტეს ტექსტის მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლო გაგება. იმავე წიგნსა და იმავე თავში სხვა ციფრებს ასახელებს ჰეროდოტე! ასე, „...ეგვიპტის პირველი მეფიდან უკანასკნელამდე, რომელიც ჰეფესტოს ქურუმი იყო, კაცთა სამას ორმოცდაერთი თაობა გარდავიდა... ამ დროის განმავლობაში ეგვიპტეს ამდენივე მღვდელმთავარი და მეფე ჰყავდა. კაცთა სამასი თაობა ათი ათას წელიწადს ეტოლება, რადგან სამი თაობა საუკუნეს შეადგენს“.

მაშასადამე, იმ პერიოდის ხანგრძლივობად, მუკი რომ რვა ათას წელს უტოლებს, ჰეროდოტეს გამოუღის 11-340 წელიწადი, რასაც შემდეგი სიტყვებიზაც ამოწმებს: „...ამგვარად, თერთმეტი ათას სამას ორმოცი წლის განმავლობაში, ქურუმთა აქმისამებრ, არც ერთი კაცთა მსგავსი ღვთაება არ ყოფილა...“

სხვათა შორის, ეგვიპტის ასაკს ჰეროდოტე სხვაგანაც განსაზღვრავს ხოლმე. ჰერაკლეს ეგვიპტურ წარმოშობას რომ იხსენიებს, ჰეროდოტე წერს: „ამაზისის გახელმწიფებამდე ჩვირმეტი ათასი წლის წინ რვა ღვთაებისგან წარმოიშვა თორმეტი, რომელთა შორის ისინი ჰერაკლესაც ასახელებენ“. სხვა ადგილას: „... აღრეც მოვიხსენიე, რამდენი წელიწადი გასულა ჰე-

რაკლედან მეფე ამაზისამდე, დიონისედან ნაკლები, და მაინც ამ უკანასკნელიდან ამაზის მეფემდე ისინი თხუთმეტი ათას წელიწადს ანგარიშობენ. ეგვიპტელნი გვარწმუნებენ — ეს ამბავი დაბეჭითებით ვრცით, რადგან წელთაღრიცხვას განუწყვეტლივ ვაწარმოებთ და წლებს ვაწერთო“.

ძველ ისტორიკოსთა მიერ მოხმობილ რიცხვებს ზედმეტად არ უნდა ვენდოთ. ოღონდ ისიც სარისკო იქნება, რომ სხვადასხვაგვარი შეფასების საფუძველზე საკუთარ გაანგარიშებებს მივყოთ ხელი. ერთი და იმავე ციფრიდან (345 ქურუმი, მეფე და თაობა) გამომდინარე მუქი იმ დასკვნამდე მიდის — 7000-დან 8600-მდე წელიწადი გასულაო, ხოლო პეროდოტე—11340 წელიწადიო. პეროდოტეს მიაჩნია, რომ განმგებლობის პერიოდი საშუალოდ 33 წელიწადს უნდა შეადგენდეს (ას წელიწადში სამი თაობა). მუქი იღებს ორ რიცხვს — 20-სა და 25-ს, უფრო ზუსტად, მათს საშუალოს — 22,5-ს.

ისტორიულ პერიოდში ეგვიპტის განმგებელთა ქრონოლოგიურ ნუსხას თუ მივმართავთ, სულ სხვა შედეგს მივიღებთ. ასე, I-VI დინასტიების მეფეთა განმგებლობის საშუალო ხანგრძლივობა ზუსტად 15 წელიწადს შეადგენს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2900-დან 2270 წლამდე 42 მეფე), ხოლო XVII-XXVI დინასტიებისა — 19,5 წელიწადს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1555-დან 525 წლამდე, ესე იგი ამაზისამდე, — 53 მეფე). VII-დან XVII დინასტიამდე პერიოდში მეფობის ხანგრძლივობა ზუსტ ცნობათა უქონლობის გამო ძნელი დასადგენია, მაგრამ სარწმუნოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ეგვიპტელი ფარაონის განმგებლობის საშუალო დრო 17 წელიწადს შეადგენდა, ესე იგი ორჯერ ნაკლებს, ვიდრე პეროდოტეს აქვს ნაგულისხმევი. საეჭვოა, რომ მეფობის დრო წინარეისტორიულ პერიოდში უფრო ხანგრძლივი ყოფილიყო, ალბათ პირიქითაც კი იყო საქმე. ხოლო 17 წელიწადს თუ დავდებთ საშუალო ხანგრძლივობად, იმავე 345 თაობისთვის 5865 წელიწადს მივიღებთ, ესე იგი 2135 წლით ნაკლებს, ვიდრე მუქი ანგარიშობდა.

რაღა თქმა უნდა, ეს რიცხვი ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობასთან დაკავშირებით მოგვაქვს მხოლოდ. ავტორს სულაც არა აქვს იმის პრეტენზია, რომ აღნიშნული თარიღი პლატონის მონათხრობის მიხედვით დაადგინოს. თუმცა ისიც უნდა აღინიშ-

ნოს, რომ მათემატიკური თვალსაზრისით ეს რიცხვიც ისევე სარწმუნოა, როგორც ორი წინა. მათემატიკა ხომ უეჭველ შედეგებს იმ შემთხვევებში გვაძლევს მხოლოდ, როდესაც ამოსავალი მონაცემები თავად არ არის საეჭვო.

წუთით პეროდოტეს დაუბრუნდეთ ისევ. ეგვიპტელ ღვთაებათა ასაკის შესახებ მსჯელობას იგი შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „...ამ ორ გამოთვლას რაც შეეხება, ყოველ თქვენგანს შეუძლია მათგან ის მიიღოს, რომელიც უფრო სარწმუნოდ მოეჩვენება; მათ შესახებ მე უკვე გამოვთქვი ჩემი მოსაზრება...“ იგივე შეგვიძლია ვთქვათ იმ ორი თარიღის გამო, — ჩვენს წელთაღრიცხვამდე 9570 და 8570 წელი, — რომლებიც პლატონის მონათხრობიდან გამომდინარეობს მუკის მიხედვით.

მეორე დოკუმენტი არის ცენტრალურ ამერიკაში შექმნილი „ტროანოს კოდექსი“. ჩვენ უკვე არაერთხელ შევუპირისპირეთ ერთმანეთს ეგვიპტისა და მაიას ქვეყნის კულტურათა საოცარი მსგავსების დამამოწმებელი ფაქტები. საინტერესო თანხვედრად შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე ძველი და ახალი ქვეყნიერების კულტურაში ამ ორი წყაროს შინაარსის მსგავსება. გავიხსენოთ, რა არის ნათქვამი „ტროანოს კოდექსში“:

„...ერთ ღამეში გაქრა... მატერიკი... მოსახლეობიანად... ამ წიგნის დაწერამდე 8060 წლის წინათ“.

ამ ჩანაწერის წარმოშობის თარიღი რომ ვერ დგინდება, ეს უკვე ითქვა ზემოთ. ამ თარიღად ჩვენი წელთაღრიცხვით 1500 წელი თუ მივიჩნიეთ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 6560 წელს მივიღებთ. წინა ორი თარიღისგან განსხვავებით, ამას ვერ დაერქმევა „სარწმუნო“, რაკი სრულიად ნებისმიერ ვარაუდს ემყარება. ამ საკითხს მომდევნო თავშიც დაუბრუნდებით.

თუ იმას ვივარაუდებთ, რომ „ტროანოს კოდექსი“ მაიას სახელმწიფოს „უძველეს“ ისტორიულ პერიოდში შეიქმნა პირველად, მაშინ პლატონის მონათხრობის მიხედვით ნაგულისხმევთან უფრო დაახლოებული თარიღი გამოგვივა. ს. გ. მორლისა და მაიას კულტურის სხვა მკვლევართა ნაშრომების თანახმად, ამ ხალხის ისტორიის „უძველესი“ პერიოდი ზოიციავს ხანას „განუსაზღვრელი დროიდან“ ვიდრე ჩვენი წელთაღრიცხვით 374 წლამდე. ამ „განუსაზღვრელი“ პერიოდის განმავლობაში მაიას ხალხმა შეძლო აეშენებინა მრავალი ქალაქი, რომელთაგან უძ-

ველესი იუკატანის ნახევარკუნძულზე მდებარე უაშაკუტუნი უნდა იყოს. თუ იმას ვივარაუდებთ, რომ „ტროანოს კოდექსი“ „განუსაზღვრელი“ პერიოდის დამლევს შეიქმნა, მაშინ გამოგვივა, რომ ატლანტისის კატასტროფა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 7686 წელს მომხდარა. კიდევ 900 წელია საჭირო, რათა ეს რიცხვი პლატონისეულ თარიღს (მუეის მიხედვით) შეესატყვისებოდეს, და 1900 წელი, რათა „ტროანოს კოდექსი“ პლატონისეული თარიღის მეორე ვერსიას მოერგოს.

ამ უკანასკნელი ვარაუდით გამოვიდოდა, რომ „ტროანოს კოდექსის“ ჩვენთვის ცნობილი ხელნაწერი ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 1500 წელს შექმნილი ორიგინალის ასლი ყოფილა. ამგვარი ვარაუდი არც ისე დაუჯერებელია. მაიას ხალხის დამწერლობა, ისევე როგორც მისი ასტრონომია, ეტყობა, გაცილებით ძველი უნდა იყოს. ამ აზრს მხოლოდ ისტორიკოსები და არქეოლოგები კი არა, ასტრონომებიც იზიარებენ.

რაღა სიტყვა გავაგრძელოთ, არსებობს თარიღიანი წარწერა, რომელიც შედგენილია დროის ანგარიშის მათეული სისტემის მიხედვით. ქვაზე ამოკვეთილი ეს წარწერა პალენკში იპოვნეს. შიგ წერია:

13.0.0.0.4. აჰაუ 8. კუმჰუ.

ეს თარიღი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3374 წლის 10 მარტს შეესატყვისება.

თ ა ვ ი მ ე ო რ ა

უკუელის კალენდრებს ახალი უარსლები

ახლა ბავშვმაც კი იცის, რომ წელიწადში 365 დღეა. ცოტა უფრო მოწიფულთათვის ისიც ცნობილია, რომ წელიწადი 365-სა და ერთ მეოთხედ დღეს შეიცავს, რადგან ყოველი მეოთხე წელიწადი 366-დღიანია. ხოლო სრულსაკონებს, თუკი სკოლაში ნასწავლი არ დავიწყებიათ, გარდა ამისა ისიც ახსოვთ, რომ წლის დასასრულის ეს მეოთხედი დღე, ესე იგი ოთხ წელიწადში ერთი დღე, საჭიროზე ოდნავ უფრო მეტია. ამგვარი სხვაობა იწვევს ასტრონომიული მოვლენებისა და კალენდრის შეუსაბამობას, რაც 128 წლის განმავლობაში უკვე ერთ დღეს შეადგენს.

ხოლო წელიწადის ნამდვილი ხანგრძლივობა 365 დღეს, 5 საათს, 48 წუთსა და 45,975 წამს შეადგენს.

გრიგორისეულად წოდებული ჩვენი კალენდარი პაპ გრიგორი მეცამეტის მიერ შედგენილმა სპეციალურმა კომისიამ XVI საუკუნის დამლევს შექმნა იმ რომაული კალენდრის საფუძველზე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 45 წელს იულიოს კეისარმა რომ შემოიღო. ფაქტიურად კი რომაელი იმპერატორის პატივსაცემად იულიოსისად სახელდებული ამ კალენდრის შემქმნელი იყო ალექსანდრიელი ასტრონომი სოზიგენი, რომელმაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში მცხოვრები ეგვიპტელი მეფის პტოლემეოსის ევერგეტოსის იდეა გამოიყენა.

იულიოსის კალენდარში ყოველი სამი წელიწადი 365-დღიანია, ხოლო მათი მომდევნო მეოთხე წელიწადი — 366-დღიანი. ამრიგად, ამ კალენდრის მიხედვით, წელიწადის საშუალო ხანგრძლივობა 365,25 დღეს შეადგენს. რაკი წელიწადის ნამდვილი ხანგრძლივობა 365,2422 დღეა (დღელამის ხანგრძლივობის ათწილადებით გამოთვლისას), 11 წუთისა და 14 წამის ამ სხვაობამ შედეგად ის მოიტანა, რომ ასტრონომიული მოვლენებისა და კალენდრის შეუსაბამობამ XVI საუკუნეში უკვე 11 დღე შეადგინა. ამჟამად მოქმედ გრიგორისეულ კალენდარშიც სამ ჩვეულებრივ, 365-დღიან წელიწადს ნაკიანი, 366-დღიანი წელიწადი მოსდევს. ოღონდ დაწესდა ამ პრინციპიდან გადახვევა 1700, 1800, 1900 და 2100 წლებისათვის, ესე იგი იმ წლებისთვის. რომელთა შემადგენელი ასეულების ჯამი ოთხზე არ იყოფა. ეს წლები უნაკოდ გამოცხადდა.

ასე რომ გრიგორისეული კალენდრის მიხედვით წელიწადის საშუალო ხანგრძლივობა ასტრონომიული წელიწადის ხანგრძლივობას დაუახლოვდა და 365,2425 დღეს შეადგენს. ესეც ოდნავ მეტია და ასტრონომიულ გამოთვლასთან შეუსაბამობას გამოიწვევს ოდესმე, მაგრამ ეს ამბავი 3360 წლის გასვლის შემდეგლა შეიქნება შესამჩნევი. ამიტომ ჯერჯერობით შეგვიძლია ამ საკითხით არც ძალიან ავიტკიოთ თავი.

ეგვიპტის განმგებელ პტოლემეაიოს ევერგეტოსის იდეა იმის ცდას წარმოადგენდა, რომ ეგვიპტური კალენდრის რეფორმა მოეხდინა. ამ კალენდრით წელიწადში ზუსტად 365 დღე შედიოდა, ნაკიანი წლები არ იყო დაწესებული.

კალენდარულ და ასტრონომიულ წელიწადთა შეუსატყვისობა თანდათანობით იზრდებოდა (ოთხ წელიწადში ერთი დღით). ეს კალენდარი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4240 წლის ახლო ხანს დაწესდა და თითქმის ოთხი ათას წელიწადს, დამოუკიდებლობის მთელი პერიოდის მანძილზე მოქმედებდა ეგვიპტეში. მანამდე დროის ანგარიშის საფუძველს ეგვიპტეში 360-დღიანი წელიწადი შეადგენდა.

პლუტარქე გვაუწყებს — ეს მარტივი და მარჯვე წესი დღევანდლამდე შემორჩებოდა, ღმერთების ხიმანკლობა რომ არაო.

ეგვიპტელთა რწმენის თანახმად, თავდაპირველად წელიწადი მართლაც 360-დღიანი ყოფილა. კალენდარული და ასტრო-

ნომიული გამოანგარიშება, რაღა თქმა უნდა, თანხედებოდა ურთიერთს. წელიწადი თორმეტ თვედ იყოფოდა. თითოეული მათგანი შეიცავდა 30 დღეს, რომელთა განმავლობაშიც მთვარე გარს უვლიდა დედამიწას. ამრიგად, მზის წელიწადი მთვარის თორმეტთვიანი წელიწადის ტოლი იყო.

მაგრამ, აი, მზის ღვთაებას რას შეუნიშნავს, რომ დედამიწის ღვთაება სები და ზეცის ქალღმერთი ნუტი თურმე ფარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს. რას უბრძანებია — ამიერიდან ნუტმა წელიწადის ვერც ერთ თვეში ვერ შეძლოსო შვილის შობა. მაშინ ნუტს ბრძენი ღვთაების თოთისთვის უთხოვნია დახმარება. თოთს მთვარის ქალღმერთთან ზარი უთამაშია და 360-დღიანი წელიწადის ყოველი დღის ერთი სამოცდამეთორმეტედი ნაწილი მოუგია მისთვის. ამ ნაწილთაგან 5 დღე შეუქმნია და ეს დღეები წლის ბოლოს, თვეებისგან გამოცალკევებულად დაუწესებია. ასე იშოვნა ნუტმა 5 დღე და ხუთი შვილიც შეეძინა: ოზირისი, ჰორი, სეთი, იზიდა და ნეფთიდა. ესენიც ღვთაებათა დასს მიეკუთვნენო.

წელიწადი ხუთი დღით გადიდებულა და 365-დღიანი შექმნილა; მაგრამ რაც ერთს შეეძინა, მეორეს უნდა დაჰკარგოდა: მანამდე 360-დღიან მთვარის წელიწადში მას აქეთ 355 დღელა დარჩენილა. მზისა და მთვარის წელიწადთა შესაბამისობა დაირღვაო.

წელიწადის ბოლოს, თვეებისგან გამოცალკევებულად დაწესებული ის ხუთი დღე, რომელთა ღვთაებრივი წარმომავლობა პლუტარქემ ესოდენ პოეტურად აღწერა, ავბედით, უბედურების მომტან დღეებად მიაჩნდათ ეგვიპტეში. მათი სიავისაგან დასაფარავად საგანგებო ლოცვებიც კი ჰქონდათ შეთხზული.

ჩვენთვის მხოლოდ იმ ფაქტს აქვს მნიშვნელობა, რომ კალენდრის ამ პირველ, ისტორიულად დადგენილ რეფორმამდე ეგვიპტეში 360-დღიანი წელიწადი ჰქონიათ. ასევე ანგარიშობდა დროს მაიას ხალხი ძველ მექსიკაში. ძველი მსოფლიოს დანარჩენი ხალხები მთვარის მიხედვით ანგარიშობდნენ დროს — ან დამატებითს მეცამეტე თვეს დაურთავდნენ წელიწადს დროდადრო, ან კიდევ, საჭიროებისდა მიხედვით, თვეში დღეების რიცხვს ცვლიდნენ ხოლმე. მაიას ხალხსაც მოუხდენია თავისი კალენდრის რეფორმა — 365-დღიანი წელიწადი. შემოუღია

(ოღონდ შემავსებელი ნაკიანი წლების გარეშე). ეგვიპტელთა და მაიას კალენდრების ანალოგიურობა ძველი და ახალი ქვეყნიერების კულტურათა მსგავსების ერთი მაგალითია მრავალთაგან.

ჩვენი კალენდრით წლის დასაწყისად 1 იანვრის დღეა მიჩნეული. ამრიგად, წელიწადში ყოველ თვეს აქვს თავისი აღნიშვნა, თავისი რიგითი ნომერი, და თარიღის დადგენას არაფერი ართულებს. ასევეა ეგვიპტურ კალენდარშიც, სადაც დღეთა ანგარიშის დასაწყისად თოთის თვის პირველი დღე ითვლებოდა, და მაიას კალენდარშიც, სადაც თვის დასაწყისი იყო პოპი. წლების ნუმერაციაც იყო შემოღებული. და სწორედ აქ იჩინა თავი ამ სამი კალენდრის სხვაობამ. ჩვენს კალენდარში პირველ წლად მიჩნეულია „რომის დაფუძნებიდან“ 754-ე წელი, ქრისტეს შობის წლად მიჩნეული წელიწადი. „ქრისტეს შობიდან“ ანგარიში რომელი ბერის დიონისე მცირეს (540 წელს ვარდაიცვალა) წინადადებით იქნა შემოღებული. მანამდე, ისევე როგორც ეგვიპტეში, წლებს ცალკეულ რომელ განმგებელთა ტახტზე ასელიდან ანგარიშობდნენ ჩვეულებრივ, რაც დიდ სიძნელეებს წარმოქმნიდა ეგვიპტური ქრონოლოგიის ჩვენი კალენდრისთვის შეფარდებისას. ახალი ერის დადგენის მოწადინე დიონისე იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, რომ უფრო მართებული იქნება ეკლესიის დამფუძნებლის შობიდან ვითვალთოთ წლები და არა „იმ კაცის ხელმწიფებიდან, ვისაც ტირანად სახელდება უფრო შეჭფერის ზოგჯერ, ვიდრე იმპერატორად ხმობა“.

წლების „ქრისტეს შობიდან“ ანგარიში მთელმა ქრისტიანულმა მსოფლიომ სიტყვის შეუბრუნებლად გაიზიარა. სამაგიეროდ, „გრიგორისეული“ რეფორმის საქმე გართულდა, რადგან რელიგიური ომებისა და რეფორმაციის ხანაში იქნა გატარებული. კათოლიკურ ქვეყნებში რეფორმა გამოცხადებისთანავე მიიღეს, 1582 წელს, განსაკუთრებული წინააღმდეგობა არავის გაუწევია თითქმის. მართალია, პოლონეთში 1586 წელსაც კი მეფე სტეფანე ბატორი იძულებული იყო რეფორმის მოწინააღმდეგეებს შებრძოლებოდა, განსაკუთრებით ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში. ოღონდ პროტესტანტულ ქვეყნებში რეფორმის გატარების ცდა რელიგიური ომების გამწვავების მი-

ზეზად იქცა. ყველაზე მეტ პროტესტს იმის აუცილებლობა იწვევდა, რომ საჭირო იყო თარიღის ერთბაშად 11 დღით გადაწევა; 4 ოქტომბერი 15 ოქტომბრად უნდა მიეჩნიათ. ზოგ-ზოგნი პაპს ანტიქრისტიედაც თვლიდნენ და ამტკიცებდნენ — პაპს დროის შეცვლა და 11 დღის მოპარვა სწაღიაო. XVIII საუკუნეშიდა ცნეს პროტესტანტულმა ქვეყნებმა გრიგორისეული კალენდრის უპირატესობა. ძველ კალენდარს ყველაზე დიდხანს ის სახელმწიფოები შერჩნენ, სადაც მართლმადიდებლობა იყო გაბატონებული. რუსეთში „ძველი სტილი“ ოქტომბრის რევოლუციამდე მოქმედებდა.

„ძველი“ და „ახალი“ სტილის სხვაობა უნდა გვახსოვდეს, როცა გვსურს განვსაზღვროთ, მაგალითად, ის ამბები, რომლებიც იულიოსის კალენდრის მოქმედების პერიოდში მომხდარა. გრიგორისეული კალენდრის უპირატესობისდა მიუხედავად, ჩვენ ზოგჯერ იულიოსის კალენდრითაც ვსარგებლობთ ხოლმე; რადგან ეს უკანასკნელი გაცილებით მარტივია: წელიწადი დღეთა მრგვალ რიცხვს შეიცავს, ამიტომ იულიოსის საუკუნე ზუსტად 36525 დღეს ითვლის. ჩვენი კალენდრის ნაკლი ისაა, რომ მისი გამოყენებისას შესაძლოა სერიოზული შეცდომა მოგვივიდეს, როცა ერთობ დაცილებულ ორ მოვლენას შორის განვილილ წელთა გამოთვლას მოვიწადინებთ. რამდენი წელიწადია გასული ატლანტისის კატასტროფის პლატონისეული თარიღიდან, ესე იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 9570 წლიდან 1960 წლამდე? ამ კითხვას ყოველი თქვენგანი დაუფიქრებლად უპასუხებს — 11530 წელიწადიო. ამ რიცხვს წინა რიცხვების (9570 და 1960) შეკრებით მივიღებთ, ზუსტად ისევე, როგორც — 70 გრადუსიდან + 60 გრადუსამდე ტემპერატურის ამპლიტუდის გამოთვლისას. დიახ, ტემპერატურათა სხვაობა მართლაც 130 გრადუსი იქნება. ოღონდ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 9570 წლიდან ჩვენი წელთაღრიცხვის 1960 წლამდე 11530 კი არა, 11529 წელიწადია გასული.

აგრე იმიტომ ხდება, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის 1 წლის წინ უკანასკნელი წელიწადი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1 წელია. „ნული“ წელი არ არსებობს. კაცმა რომ თქვას, ეს ჩვენ კი არ დაგვივიწყებია, არამედ იმათ დაავიწყდათ, ვინც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დროის „ქრისტეს შობიდან“ ანგარიში

წინა წლებზეც გაავრცელა. ეს შეცდომა ასტრონომებმა შენიშნეს და პარიზის ობსერვატორიის დირექტორის კასინის წინადადებით 1740 წელსვე გადაწყდა „ნულ“ წლად „ქრისტეს შობიდან პირველი წლის“ წინა წელი ჩათვლილიყო. ამან ჩვენს წელთაღრიცხვამდე წელთა ნუმერაციის შეცვლა გამოიწვია. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დროის ანგარიშის ორივე წესი სხვადასხვანაირად აღინიშნება. „ასტრონომიული“ გამოთვლისას ნული წლის წინა წლები „მინუსით“ აღინიშნება (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 9570 წ. = — 9569 წ.), ნულს აქვთა წლები, რასაკვირველია, — ჩვეულებრივად.

ჩვენი კალენდარი (როგორც ძველი, იულიოსისეული, ისე ახალი, გრიგორისეული), მთელი თავისი სრულქმნილებისდა მიუხედავად, საკმაოდ რთულია და მრავალ შემთხვევაში შეუძლია გაგვიძნელოს თარიღების განსაზღვრა. ავიღოთ თუნდაც ოქტომბრის რევოლუციის წლისთავი, რომელიც ნოემბერში აღინიშნება ხოლმე. ყველაზე მეტი სიძნელე თებერვალში დღეთა სხვაობას მოსდევს. ასტრონომიულ გაანგარიშებათა დროს ამ უხერხულობის ასაცილებლად შემოღებულ იქნა კიდევ ერთი გამოთვლა, რომელიც ეგრეთ წოდებული „იულიოსისეული პერიოდის“ გამოყენებას გულისხმობს. მისი შემქმნელი ასტრონომი ჟიულ სკალიგერი გახლდათ (1582 წ.). აქ საკითხის თეორიულ მხარეს ნუ ჩავეუღრმავდებით, აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ეს პერიოდი შეიცავს 7980 „იულიოსისეულ“ წელიწადს (რომელიც, როგორც ცნობილია, 365,25-დღიანია), ესე იგი 2 914 695 დღეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოთვლისას წელიწადის ხანგრძლივობა იულიოს კეისრისეული კალენდრის მიხედვით განისაზღვრება, „იულიოსისეულ პერიოდს“ ეს სახელი რომაელი იმპერატორის პატივსაცემად კი არ შერქმევია, არამედ დროის ანგარიშის ამ სისტემის შემქმნელის ჟიულ სკალიგერის (ლათინურად — იულიოს სკალიგერი) სახელის ჯეკვდავსაყოფად.

იულიოსისეული პერიოდის დასაწყისად სკალიგერმა მიიჩნია შემდეგი თარიღი — ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4713 წლის 1 იანვარი, ანუ სხვაგვარად — 4712 წლის 1 იანვარი. ეს თარიღი ნულით აღინიშნა. ეს არის იულიოსისეული პერიოდის დასაწყისი და ამის შემდეგ ყოველ მომდევნო დღეს თავისი რიგი-

თი ნომერი აქვს მიკუთვნებული. 1960 წლის 1 იანვრის დღეს ნომრად აქვს 2 436 935 J. D. ეს იმას ნიშნავს, რომ ამოსავალი თარიღიდან ამდენი დღე გასულა. ასტრონომებს ხელთ აქვთ უმარტივესი ცხრილი, რომლითაც იოლად იძებნება გრიგორიანული თუ იულიოსისეული კალენდრით მოტანილი ნებისმიერი თარიღის შესატყვისი იულიოსისეული პერიოდის დღის ნომერი (იულიოსისეული პერიოდი, როგორც დავინახეთ, აღინიშნება ორი ასოთი — J. D.).

ეს პერიოდი 3267 წელს დასრულდება, და მაშინ (თუკი მოვესწარით) დღეების თვლას ხელახლა ნულიდან, მეორე პერიოდის დასაწყისიდან შევუდგებით.

იულიოსისეული პერიოდის პროექტის წარდგენისას სკალიგერმა მის ერთ-ერთ დადებით მხარედ ის ამბავი მიიჩნია, რომ —4712 წლით დაწყებული ეს პერიოდი თითქმის ყველა ისტორიულ მოვლენას გასწვდება და, რაც მთავარია, ყველა იმ ერის დასაწყისს მოიცავს, რომლებიც სხვადასხვა კალენდარებშია გამრყენებული, ასე რომ ქრონოლოგიის დარგში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიაო.

ოლონდ სკალიგერს არც ატლანტისი გაუთვალისწინებია და არც მაიას კალენდარი, რომლის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

გარნა ტყუილად ხომ არ არიან ცნობილი თავიანთი გამჭრიახობით ასტრონომები. ამის უდიდესი სიძნელეც ბევრი გადაუღახავთ! გამოჩენილ პოლონელ ასტრონომს პროფესორ მიხეილ კამენსკის თავის შრომაში „ცდომილთა განლაგების განსაზღვრის ციკლური მეთოდი ერთობ შორეული დროისთვის“ მოაქვს იულიოსისეულ დღეთა ცხრილი თვით — 10 000 წლამდე. საამისოდ მან უარყოფითი რიცხვები ისევე გამოიყენა, როგორც წლები აღინიშნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ამ ცხრილის მიხედვით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 9570 წლის ძველი სტილით 1 იანვარს შეესატყვისება —1774019 J. D. თუ მოვიწადინებთ გავიგოთ, მაგალითად, რამდენი დღე გასულა მას აქეთ 1960 წლის 1 იანვრამდე ძველი სტილით, გამოანგარიშება სულ არ იქნება ძნელი: $1774019 + 2436935 = 4210954$ დღე.

აქ ჩვენს კალენდარსა და დროის ანგარიშს დიდი ადგილი და ყურადღება დავუთმეთ. ოლონდ ავტორი დარწმუნებული არაა,

შეძლებს თუ ვერა მკითხველი უცდომლად გამოთვლოს დღე-
ებად საკუთარი ასაკი...

ხოლო ათასეული წლების წინათ მცხოვრებ მაიას ხალხს
საკმაოდ ადვილად შეეძლო ამის გაკეთება თარიღების განსაზ-
ღერის არაჩვეულებრივად ზუსტი მეთოდის მეშვეობით. მაიას
თარიღის ჩანაწერის ნიმუში წინა თავის დასასრულს მოვიტა-
ნეთ უკვე; „ტროანოს კოდექსის“ ფრაგმენტშიც შეგვხვდა ამ-
გვარი ჩანაწერი.

მექსიკის დღევანდელი მკვიდრი მოსახლეობის, იუკატანის
ნახევარკუნძულის, გვატემალისა და ჰონდურასის ინდიელთა წი-
ნაპრებმა, იმ ხალხების წინაპრებმა, აწ რომ უპრიმიტიულეს
პირობებში უხდებათ ცხოვრება, ათასეული წლების წინათ
შეძლეს ისეთი კალენდარი შეექმნათ, თავისი სიმარჯვითა და
სიზუსტით თანამედროვე მეცნიერთა აღტაცებას რომ იწვევს!

წლის ხანგრძლივობა თავდაპირველად 360 დღეს შეადგენ-
და. რაკი ამას ყოველდღიურ ცხოვრებაში უხერხულობა ახლდა,
დროის ძველი ანგარიში მხოლოდ განსაკუთრებული მიზნების-
თვის შემოინახეს, ხოლო „სანიადაგოდ“ ბუნებაში არსებულ
ცვლილებათა ციკლს უფრო დაახლოებული გამოთვლა დააწე-
სეს. გარდა 360-დღიანი წელიწადისა, რომელსაც „ტუნ“ ერქვა,
შემოიღეს „ჰააბად“ სახელდებული 365-დღიანი წელიწადი.

ჰააბი ნაკიანი წლებით არ იყო შევსებული და თვრამეტი
თვეს შეიცავდა. ეს თვეები იყო: პოპი, უო, სიპი, სოცი, ცეკი,
შული, იაშ-კინი, მოლი, ჩენი, იაში, საკი, კეხი, მაკი, კან-კინი,
მუანი, პაში, კაიაბი, კუმჰუ და უაიები.

ოღონდ რაღაც გაუგებრობა ხომ არ მომხდარა? თუ შენიშ-
ნეთ, აქ ცხრამეტი სახელწოდებაა წარმოდგენილი! არა, საქმე
ისაა, რომ პირველი თვრამეტი თვიდან თითოეული ოც-ოც
დღეს შეიცავდა, ესე იგი სულ 360 დღეს, ისევე როგორც დრო-
ის ძველი წესით გამოთვლისას. ხოლო ხუთი „შემავსებელი“
დღე, ეგვიპტური კალენდრის მსგავსად, უაიების თვეს მიეთვ-
ლებოდა როგორც „შმა კაბა კინ“ — ავებდითი დღეებო. ამ
დღეებში საგულისხმო საქმეებს თავს არიდებდნენ, სასამართ-
ლოს სხდომებს არ ატარებდნენ, სახლსაც კი არ მიალაგებდნენ
ხოლმე.

დღეები ზუსტად ისევე იყო დანომრილი, როგორც ჩვენს

კალენდარშია, ოღონდ ნუმერაცია ერთიდან კი არა, ნულიდან იწყებოდა. ისე რომ უკანასკნელი, მეოცე დღე „ცხრამეტ რიცხვს“ წარმოადგენდა. უკანასკნელი უაიების თვის დღეებიც ნულიდან ოთხამდე ციფრებით აღინიშნებოდა აგრეთვე.

სხვათა შორის ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ნული არაბებს ან ინდუსებს კი არ გამოუგონიათ, როგორც მათემატიკის ისტორიაში წერენ ხოლმე ჩვეულებრივ. მაიას ხალხი მათზე ბევრად ადრე იყენებდა ნულს, ამასთან, როგორც თვის დღეთა ნუმერაციის, ისე რიცხვთა წერის დროსაც.

რაკი რიცხვებზე ჩამოვარდა სიტყვა, უნდა შეგახსენოთ, რომ მაიას ხალხი ათობით სისტემას კი არ მისდევდა, არამედ ოცობითს, ესე იგი ნაცვლად ათი ციფრისა — 0-დან 9-მდე — ოც ციფრს იყენებდა — 0-დან 19-მდე, და ამ ციფრებს ხაზებისა და წერტილების კომბინაციებით შედგენილი ნიშნების მეშვეობით იწერდა.

ამგვარად, რიცხვი 16, მაგალითად, ერთნიშნა იყო. რიცხვი 20 ორი ციფრისგან შედგებოდა—ერთისა და ნულისგან. რიცხვი 80 — ორი ციფრისგან, ოთხისა და ნულისგან. 93 აგრეთვე ორნიშნა რიცხვი იყო: ოთხისა და ცამეტისგან შედგებოდა. ამჯერად მაიას ნიშანთა ნაცვლად ჩვენი „არაბული“ ციფრები გამოვიყენოთ, ოღონდ შეცდომათა და გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად ყოველი ციფრი წერტილით გავმიჯნოთ:

4 . 0 = 80, 4 . 13 = 93 და ასე შემდეგ.

როგორც უკვე ითქვა, ცენტრალურ ამერიკაში მაიას მიერ გამოყენებულ ციფრების ჩაწერის ამ წესს ფრანგულსა და დანიურ ენებში მოეძებნება ანალოგია.

ატლანტოლოგები ამტკიცებენ — ეს ჩვეულება იმ დროიდან მოდის, როდესაც დასავლეთ ევროპა და ცენტრალური ამერიკა ჯერ კიდევ ატლანტთა კოლონიები იყო.

ლინგვისტებს მიაჩნიათ, რომ ფრანგულ ენაში ოცობითი თვლის სისტემა (მართალია, რუდიმენტული სახით) ბასკურიდან გადავიდაო (ბასკები ხომ ესპანეთ-საფრანგეთის საზღვარზე ცხოვრობენ). ბასკურ ენაში მთლიანად ოცობითი სისტემა მოქმედებს, მიუხედავად იმისა, რომ რიცხვების ჩასაწერად არაბულ ციფრებს იყენებენ. როგორც უკვე ითქვა, ბასკების წარმომავ-

ლობა დღემდე გაურკვეველია. სავსებით შესაძლოა, რომ ბასკები ატლანტთა პირდაპირი შთამომავალნი იყვნენ.

მაიას წელიწადი პოპის თვის ნული დღით იწყება. ეს იგივეა, რაც ჩვენი 1 იანვარი. ამ მხრივაც დაგვასწრო ამ ხალხმა. მართალია, ყოველდღიურ ცხოვრებაში ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, მაგრამ ასტრონომიული თვალსაზრისით ანგარიშის 1 რიცხვით დაწყება უხერხულობებს ქმნის, რის გამოც ჩვენი ასტრონომები წელიწადის დღეთა თვლას 0 იანვრის თარიღით იწყებენ ხოლმე (ამ თარიღად 31 დეკემბერი არის მიჩნეული ნიადაგ).

ჩვენი ახალი წელიწადი მუდამ იმ დღეს არის ხოლმე, როცა ცაში მზე გარკვეულ ადგილს იკავებს ვარსკვლავთა შორის, იმ პერიოდში, როდესაც დღე ყველაზე ხანმოკლეა, ეგრეთ წოდებული ზამთრის მზებუდობიდან რამდენიმე დღის შემდეგ. ნაკიანი წლები სწორედ ამ მიზნით — კალენდარული წელიწადის ასტრონომიულთან (ეკვატორულთან) შესაწყობად შემოიღეს.

მაგრამ მაიას ხალხი, ამ ამბავს აინუნშიაც არ აგდებდა. ნაკიანი წლები, დამატებითი დღეები მხოლოდ ჰარმონიას დაურღვევდნენ დროის ანგარიშისას. რა ვუყოთ, რომ ახალი წლის დღე, პოპის ნული დღე სისტემატურად უკან იხევს მზის მდგომარეობასა და მასზე დამოკიდებულ ბუნების მოვლენებთან მიმართებით! რა ვუყოთ, რომ ეს დღე ზამთარში მოუწევს, 750 წლის შემდეგ — შუა ზაფხულში, ხოლო 1500 წლის მანძილზე წელიწადის ყოველ დროს გაივლის!

ეგვიპტეშიც ამგვარი ვითარება იყო. ეგვიპტური ახალი წელი, 365-დღიანი წელიწადის პირველი დღე, რასაც თოთის თვის პირველი დღე წარმოადგენდა, ასევე მოგზაურობდა წელიწადის ყოველი დროის წიალ, ამასთან, ამ ამბით გამოწვეული უხერხულობანი ეგვიპტელებს მაიას ხალხზე გაცილებით მეტ უსიამოვნებას აყენებდა. ეგვიპტეში ხომ ყოველ წელიწადს ადიდდება ხოლმე ნილოსი ივენისის პირველ რიცხვებში. ამას მოუთმენლად ელოდება გამოგვალული მიწაც და მთელი მოსახლეობაც. უამისოდ ნილოსის გაღმა-გამოღმა ნაპირებიც ისეთივე ურწყულ უდაბნოდ იქცეოდა, როგორც იქვე მეზობლად მდებარე საპარაა. 365-დღიანი კალენდრის დაწესებისას (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4240 წლის ახლო ხანებში) ნილოსი ახალი

წლის დღეს, ესე იგი თოთის თვის პირველ დღეს აღიდებულა. ეს სასიხარულო დღე დღესასწაულად გამოუცხადებიათ. ისეთ დღედ, როცა წმიდა მდინარის მადლიან წყალს ყანებისა და მინდვრებისთვის სიცოცხლე უნდა მიენიჭებინა. მაგრამ ღვთაება თოთის მიერ კალენდრის დაწესებიდან პირველი 120 წლის შემდეგ ახალი წელი 30 დღით რომ „ჩამორჩა“, უფრო სწორად — ეგვიპტის მკვიდრთა წარმოდგენით — ნილოსის აღიდებამ მთელი თვით რომ „დაიგვიანა“, ყველაზე გვაღვიან პერიოდში მოქცეულმა სასიხარულო დღესასწაულმა ყოველგვარი აზრი დაკარგა. ამ უბედურ დღეებს აღარავისთვის აღარ მოუტანია სიხარული. ცხადია, შეიძლებოდა დროის ანგარიში გაეუმჯობესებინათ და წელიწადში მეოთხედი დღე დაემატებინათ, ესე იგი ნაკიანი წლები შემოეღოთ, მაგრამ ჩვენთვის უცნობ მიზეზთა გამო ქურუმებს არ სურდათ ამის გაკეთება. ისიც კი დაწესდა, რომ ყოველ მონარქს ტახტზე ასვლისას ფიცი უნდა დაედვა — ღვთაებათა მიერ დადგენილი კალენდრის შეცვლას არასოდეს შეეცდებო. ეს წესი ეგვიპტეში უქცევლად იყო დაცული დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის მთელი ხნის მანძილზე. ალექსანდრიულ პერიოდშიდა მოშალეს, ბერძენნი რომ დაეუფლენ ეგვიპტეს.

ჩუთუ მხოლოდ და მხოლოდ ქურუმთა გაჩიქება იყო უსწორო კალენდრის მოუშლელიობის მიზეზი? მსგავსი დასკვნის გამოტანა მაშინ შეგვეძლებოდა, ატლანტის ოკეანის გაღმა მხარესაც რომ ამგვარივე ვითარება არ ყოფილიყო. საფიქრებელი უფრო ისაა, რომ დროის ანგარიში აქ იმ ხალხს დაეწესებინოს, ვისაც მანამდე გაცილებით მაღალი კულტურა შეექმნა, და იმ კულტურის ნაყოფით ოდენ სარგებლობდნენ ეგვიპტელები თუ მაიას ტომნი. ისტორიულ პერიოდში ამათ, შესაძლოა, აღარც კი ესმოდათ დროის ანგარიშის ამ სისტემის ნამდვილი აზრი, მაგრამ ძველთაძველ წესს იმოწმებდნენ და ცვლილებებს არ მიმართავდნენ, რათა ტრადიციები არ დაერღვიათ.

ამავე დროს კი ასტრონომია მაღალ დონეზე იდგა ეგვიპტეში. სირიუსის ვარსკვლავს საგულდაგულოდ უთვალთვალებდნენ კალენდრული წელიწადის ხანგრძლივობის გასაკონტროლებლად, პი-რას ტაძარში ციურ საიდუმლოთა დიდი მკვრეტელის სპეციალური თანამდებობაც კი იყო დაწესებული და ეს

თანამდებობა ქურუმთუხუცეს-ასტრონომს ეპყრა. აქ ასტრონომიულ გამოთვლათა შემწეობით აღგენდნენ კალენდარული წელიწადის ასტრონომიულისადმი მიმართებას, რათა ნილოსის აღიდების დღესასწაულის მუდამ ცვალებადი კალენდარული თარიღი გამოეთვალათ ხოლმე. ასე რომ ქურუმთა ავტორიტეტიც სულ არ შელახულა და კალენდარიც გადარჩა.

მაიას ქვეყანაშიც ზუსტად ასეთი ვითარება იყო. ასტრონომები აქაც გულდასმით აკვირდებოდნენ ციურ სხეულთა ძვრას, განსაკუთრებით ცდომილ ვენერას, რომლის ეგრეთ წოდებული სინოდური პერიოდი, ესე იგი მზესთან მის ორ მორიგ თანხვედრას შორის განვლილი დრო, 584 დღეს შეადგენს. ამ პერიოდის შემწეობით, აგრეთვე მთვარის მოძრაობაზე დაკვირვების გზით, მიწისმოქმედებასა და მესაქონლეობასთან დაკავშირებულ დღესასწაულთა თარიღების სიზუსტე განისაზღვრებოდა ხოლმე.

ამ ანალოგიებს ატლანტოლოგიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, რომ ბაბილონელთა, იუდეველთა და ბერძენთა კალენდრებში მსგავსი პრობლემა არ მდგარა, რადგან ესენი სარგებლობდნენ მთვარის, ან კიდევ მთვარისა და მზის კალენდრით, რომელშიც დღეებს კი არა მხოლოდ, მთელ თვეებსაც უმატებდნენ, რათა დროის ანგარიში მზის მოძრაობისთვის შეეხამებინათ.

წელიწადის თანაბარ თვეებად დაყოფის გარდა (დამატებითი ხუთი დღითურთ) მაიას ხალხი კვირების ანგარიშსაც მიმართავდა. ბაბილონელთა მიერ დაწესებული შვიდდღიანი კვირა დროის ჩვენეულ ანგარიშშიც დაინერგა. ეგვიპტელებს ათდღიანი კვირა ანუ დეკადა ჰქონდათ. ყოველ 30-დღიან თვეში სამი ამგვარი დეკადა შედიოდა. მაიას ხალხს კვირაც ოცდღიანი ჰქონდა თვესავით, რაც ოცობითი თვლის მათეულ სისტემას შეესატყვისებოდა. კვირის ყოველ დღეს თავისი სახელი ჰქონდა: იმიში, იკი, აკბალი, კანი, ჩიჩკანი, კიმი, მანიკი, ლამატი, მულუკი, ოკი, ჩუენი, ები, ბენი, იში, მენი, კიბი, კაბანი, ესანაბი, კავაკი და აპაუ.

კვირის დღეები უწყვეტად მოსდევდა ერთიმეორეს, ისევე როგორც ჩვენს კალენდარში, მაგალითად, სამშაბათს ოთხშაბათი მოსდევს ხოლმე, და ასე წლიდან წლამდე. ოღონდ მსგავს

ვითარებაში ოცობითი სისტემა განსაკუთრებით მარჯვე და მოსახერხებელი რამ არის. მაგალითად, თუ წელიწადის პირველი დღე, პოპის თვის ნული დღე, კვირის აკბალი დღე იყო, მაშინ აკბალი ყველა მომდევნო თვესაც პირველ (ნულ) დღედ მოუვიდოდა, მათ შორის — უკანასკნელ, ხუთდღიან უაიების თვესაც. წელიწადის უკანასკნელი დღე, ესე იგი უაიების მეოთხე დღე გამოვიდოდა კვირის დღე მანიკი. ამრიგად, მომდევნო წელიწადი უკვე აკბალით კი არა, ლამაზით დაიწყებოდა. შემდგომ წლებში ახალ წელს ბენისა და ესანაბის დღეები მოუწევდა მიყოლებით, ბოლოს კი ხელახლა აკბალის დღე. მაშასადამე, ახალი წელიწადი კვირის რომელსამე ოთხ დღეს შეიძლებოდა დამთხვეოდა მხოლოდ: აკბალს, ლამატს, ბენს ან ესანაბს.

მაშასადამე, კვირის დღეთა რაოდენობის სხვაობისდა მიუხედავად, თარიღის აღნიშვნა მაიას კალენდრითაც აქამდე ერთიმეორის მსგავსია. აღნიშვნა — აკბალი, 0. პოპი, კანი, 1. პოპი, ჩიჩკანი, 2. პოპი — არის წლის დამდგვიდან თანმიმდევრობით სამი დღე, ზუსტად ისევე, როგორც პარასკევი, 1 იანვარი, შაბათი, 2 იანვარი, კვირა, 3 იანვარი.

გარნა მაიას ხალხს მესამე პერაოდიც ჰქონდა შემოღებული, კვირაში დღეთა ანგარიშის მსგავსი რამ. ეს არის ცამეტდღიანი პერიოდი, რომელშიც ყოველი დღე რიგითი რიცხვით აღინიშნებოდა ერთიდან ცამეტამდე და ერთიმეორეს კვირის დღეთა სახელებივით მოსდევდა, ესე იგი პერიოდი „13“ დღით მთავრდებოდა და მას მოჰყვებოდა დღე „1“.

ასე რომ დღეები ამგვარად აღინიშნებოდა: 12. აკბალი 0. პოპი; 13. კანი 1. პოპი; 1. ჩიჩკანი 2. პოპი და ასე შემდეგ.

რაკი $13 \times 28 = 364$, ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ წელიწადი რიცხვით 1. იწყებოდა, წელიწადის უკანასკნელი დღეც (4. უაიები) აღინიშნებოდა როგორც 1., ესე იგი მომდევნო წელიწადი იწყებოდა რიცხვით 2. აქ უკვე აღარავითარი შეზღუდვა აღარ იყო (ოცდღიანი კვირის დღეთა დასახელებისგან განსხვავებით) და 1-დან 13-მდე რიცხვები მიყოლებით უწევდა წელიწადის პირველ დღეს, რითაც წელთა ნუმერაციას ქმნიდა ცამეტწლიანი ციკლის ფარგლებში.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ახალი წლის დღე ყოველ რიგით წელიწადში შემდგენიარად აღინიშნებოდა: 1. აკბალი. 0.

პოპი; 2. ლამატი 0. პოპი; 3. ბენი 0. პოპი; 4. ესანაბი 0. პოპი; 5. აკბალი 0. პოპი; 6. ლამატი 0. პოპი და ასე შემდეგ 13. აკბალი 0. პოპამდე, რომელსაც უკვე მოსდევდა 1. ლამატი 0. პოპი და ასე შემდეგ. ასეთი სისტემის დროს ყოველი კომბინაცია, მაგალითად, 1. აკბალი 0. პოპი, 52 წლის შემდეგლა მეორდება და ხოლმე.

აქედან ის გამოდის (მაიას ხალხიც სწორედ ამით სარგებლობდა), რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში აუცილებელი აღარაა რიგითი წელიწადი რომელიღაც საწყისი წლიდან დათვლილი ციფრებით აღინიშნოს. როცა დაწერდნენ „6. ბენის წელს“, — ის წელიწადი ჰქონდათ მხედველობაში, რომლის პირველი დღეც 6. ბენი იყო. ამგვარი აღნიშვნა 52 წლის შემდეგლა გამეორდებოდა, ესე იგი ცალკეულ ადამიანს ორჯერ თუ მოუწევდა ცხოვრებაში. ამიტომ აღარც იმის საფრთხე არსებობდა, რომ წელთა ანგარიში შეშლოდათ. ჩვენც სწორედ ამგვარად ვიქცევით ხანდახან, როცა ვამბობთ ხოლმე: მეორე მსოფლიო ომი 39 წელს დაიწყო, ნაპოლეონი მოსკოვს 12 წელს მიადგაო და მისთანანი. ხომ მშვენიერად ვიცით, რომ 1939 თუ 1812 წელს ეხება საქმე. ცხადია, გარკვეული აზრით ეს არის შემოკლება და, ისევე როგორც ყოველგვარი შემოკლება, საქმეში ჩანედულთათვის გასაგებიცაა.

ორი „საკვირიაკე“ პერიოდის შემოღებამ — ოცდლიანისამ (რომელშიც ყოველ დღეს სხვადასხვა სახელი ჰქონდა) და ცამეტდლიანისამ — მაიას ხალხს საშუალება მისცა კიდევ უფრო „სრულქმნილი“ გაეხადა თავისი კალენდარი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ან მხოლოდ დღის სახელი ეხმაროთ და ან მხოლოდ ნომერი მისი, „აკბალის დღეს“ ან „მეთორმეტე დღესო“ — არ იტყოდნენ. ეს ორი პერიოდი ერთიმეორეს უკავშირდებოდა და თარიღი ორივე სიმბოლოთი ერთად აღინიშნებოდა: „დღე 12. აკბალი“ და ასე შემდეგ. ამ ორი ციკლის (1-დან 13-მდე ციფრების ციკლისა და დღეთა ოცი სახელწოდების — იმაშიდან აპაუმდე — ციკლის) გაერთიანებამ წარმოქმნა 260-დლიანი ($13 \times 20 = 260$) ციკლი, რომელშიც ციფრისა და სახელწოდების ყოველი კომბინაცია მხოლოდ ერთხელ მეორდებოდა. ამ პერიოდს „ცოლკინი“ ეწოდებოდა.

ამ სისტემით სარგებლობისას თარიღი ზუსტად განისაზღ-

ვრებოდა ხოლმე. მაგალითად, შეიძლება შეთანხმება — 11. მულუკის დღეს შევხვდეთო. ამ შემთხვევაში ყურადღება მხოლოდ იმას უნდა მიქცეოდა, რომ 11. მულუკის დღე უაიებისთვის არ დამთხვეოდა, იმ ხუთდღიან ავბედით დღეთაგან შემდგართვის, როცა არც ერთი საქმის წამოწყება არ ღირდა უბედურების თავს დატეხის შიშით. თუმცა ამის თავიდან აცილებაც შეეძლო, ვინც კალენდრის საიდუმლოებანი იცოდა.

ცოლკინის ყოველი დღე 260 დღის განმავლობაში ერთხელ მეორდება, ხოლო ჰააბის, 365-დღიანი ციკლისა — 365 დღის განმავლობაში ერთხელ. გარნა ისეთი კომბინაცია, როგორცაა 4. აჰაუ 8. კუმჰუ, ზუსტად ისევე როგორც, მაგალითად, კომბინაცია 6. ბენი 0. პოპი — 52 წელიწადში მხოლოდ ერთხელ მოუწევს ხოლმე, უფრო ზუსტად — 18980 დღეში ერთხელ.

ამ 18980 დღის განმავლობაში 52 ჰააბი ან 73 ცოლკინი გაივლის, რამდენადაც $52 \times 365 = 73 \times 260 = 18980$. ეს დამოკიდებულება არის სწორედ მაიას კალენდრის ჰარმონიის საფუძველი. ნებისმიერი დამატებითი დღეების თუ ნაკიანი წლების შემოღება ამ სიმწყობრეს დაარღვევდა და მაშინ ყოველგვარ აზრსაც დაკარგავდა ეს კალენდარი. ამიტომ რაიმე ცვლილების შეტანის თვით აზრიც კი დანაშაულად ითვლებოდა.

ახლა ძნელია იმის განსაზღვრა, თუ როდის დაწესდა ეს კალენდარი მაიას ქვეყანაში. შემორჩენილი წარწერებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე სამი ათასი წლის წინათ უეჭველად არსებობდა უკვე, ხოლო ზოგიერთი მონაცემი იმასაც გვაფიქრებინებს — ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეთათე ათასწლეულშიც კი ამ კალენდრით სარგებლობდნენო. დღეს მისგან ცალკეულ ჩანაწერთა ნაწყვეტებილა დარჩენილა. ეს ნაწყვეტები ზოგჯერ კიდევ ეწინააღმდეგება ერთიმეორეს, რაც ან იმათ შეცდომებს უნდა მივაწეროთ, ვინც ამ ჩანაწერებს აფორმულებდა, ან კიდევ იმათსას, ვინც დღესდღეობით განმარტავს მათ. ყოველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ესპანელთა გამოჩენამდე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მაიას კალენდარს ზოგიერთი ცვლილება განუცდია. არქეოლოგთა თვალსაზრისით, მაიას ხალხი აწინდელი გვატემალის ტერიტორიაზე იყო გაბატონებული ახლა უკვე ძნელად განსასაზღვრი დროიდან დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის IX საუკუნე-

ნემდე. ამ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მათ დიდად განვითარებული კულტურა შეუქმნიათ, ჩინებული ქალაქები აუშენებიათ ტაძრებითა და პირამიდებითურთ (მაიას და ეგვიპტელთა პირამიდების მსგავსების ამბავი ჩვენ უკვე ვახსენეთ), რომელთა ნანგრევები დღემდისაც შემორჩენილა. „ჩერაც სადავოა ის საკითხი, თუ ვინ შექმნა მექსიკური კულტურის უფრო მეტად განვითარებული ფორმა — მაიას ხალხმა, თუ სადღაც მაიასა და მექსიკის ზეგანს შორის, მობინადრე სხვა ტომებმა“, — წერს გ. ბ. პარკსი „მექსიკის ისტორიაში“. ატლანტოლოგებს მიაჩნიათ, რომ მექსიკური კულტურა ატლანტისის გავლენით განვითარებულა.

და უეცრად ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში, როდესაც მაიას კულტურა უმაღლეს საფეხურს იყო მიღწეული, მოულოდნელად შეწყდა მისი შემდგომი განვითარება. მაიას ხალხმა თავისი ქალაქები მიატოვა და გადასახლდა იუკატანის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე, სადაც ეგრეთ წოდებული ახალი სამეფო დააარსა. დღემდე აუხსნელია, რა მიზეზით გაწირეს მათ ძველი მიწა-წყალი. დაიწყო ახალ ქალაქთა მშენებლობა და მალე მაიას ხალხის მიერ მიღწეული დონე ცენტრალური ამერიკის ინდიელთა განვითარების დონეს აღემატა. ასეთი ვითარება იყო IX საუკუნემდე, როცა მაიას სახელმწიფოს თავს დაესხა მეზობელი ხალხი — ტოლტეკები, რომლებიც, როგორც ჩანს, ნაპუას ტომის ავანგარდს წარმოადგენდნენ. XIV საუკუნეში მექსიკა აგრეთვე ნაპუას მოდგმის აცტეკებმა დაიპყრეს. კულტურული განვითარების მხრივ ისინი მაიას ხალხს გაცილებით ჩამოუვარდებოდნენ — ეს უკანასკნელნი იმათ ბარბაროსებად თვლიდნენ. აცტეკებმა მექსიკის ტერიტორიაზე დააფუძნეს საკუთარი სახელმწიფო, რომელმაც ესპანელთა გამოჩენამდე იარსება. აცტეკებიც ისეთსავე კალენდარს იყენებდნენ, როგორსაც მაიას ხალხი, მისი საფუძველიც 365-დღიანი წელიწადი და 260-დღიანი პერიოდი იყო, ოღონდ დღეთა რიგის აღნიშვნა ჰქონდათ ცოტათი სხვაგვარი. ძირითადი სხვაობა თვის დღეთა ნუმერაციისას: იჩენდა თავს — ამ დღეებს აცტეკები 1-დან 20-მდე და არა 0-დან 19-მდე რიცხვებით აღნიშნავდნენ.

იქვი არაა, აცტეკებისა და ტოლტეკების გავლენით მაიას

ბალხმა თანდათანობით გარყვეული ცვლილებები შეიტანა თავის კალენდარში, კერძოდ, თვის დღეთა აცტეკური ნუმერაცია შემოიღო. ამას მოწმობს XV საუკუნეში, ამერიკის აღმოჩენის წინა ხანს შესრულებული მაიას წარწერები. ეს ამბავი დღეს უდიდეს სიძნელებებს წარმოქმნის მაიას ქრონოლოგიის განსაზღვრისას: ესპანელთა გამოჩენამდე მომხდარი ამა თუ იმ მოვლენის სხვადასხვა ავტორის მიერ დათარიღების სხვაობა 260-მდე წელიწადს აღწევს. ქრონოლოგიის დადგენის სიძნელენი უექველად იმის გამოც მატულობენ, რომ ჩანაწერებიდან ერთობ ცოტა რამ შემორჩენილა, რადგან კონკისტის პერიოდში ევროპელი კოლონიზატორები სისტემატურად ანადგურებდნენ ყოველივეს, რაიც ინდიელთა ხელით იყო შექმნილი.

როგორც უკვე ითქვა, მაიას ახალი წლის დღე, პოპის ნული დღე, „ოცდღიანი“ კვირის ერთი ოთხ დღეთაგანი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ: აკბალი, ლამატი, ბენი ან ესანაბი, რალა თქმა უნდა, „ცამეტდღიანი“ პერიოდის ნებისმიერ ციფრს თანხვედრილი. თვის დღეთა ახალი ნუმერაციის მიხედვით კი ახალი წლის დღე, დღე 1. პოპი, „ოცდღიანი“ ციკლის სხვა დღეებზე მოდიოდა: კანზე, მულუკზე, იშზე ან კავაკზე. როგორც ითქვა, მაიას ისტორიულ თუ ასტრონომიულ ჩანაწერთა შესწავლისას ეს ცვლილება საკმაო სირთულეს გვიქმნის ხოლმე, მაგრამ, რაკი ჩვენ მაიას მთელ კალენდარს ატლანტოლოგიის საჭიროებათათვის ვიხილავთ, ეს გარემოება ჩვენთვის დიდად საგულისხმოცაა, მისი მეოხებით „ტროანოს კოდექსის“ ტექსტის განხილვასაც მივყოფთ ხელს.

„6. კანის წელი, საკის თვის 11. მულუკის დღეს დაიწყო საზარელი მიწისძვრები, რომლებიც 13. ჩუენის დღემდე განუწყვეტლივ გრძელდებოდა...“

„6. კანის წელი“ ის წელიწადია, რომლის პირველი დღეც, ახალი წელი, ცოლკინის პერიოდის 6. კანის დღეს მოდის. მაგრამ, თანახმად დროის ძველი ანგარიშისა, რომელსაც „აცტეკურ“ რეფორმამდე იყენებდნენ დამოუკიდებლობის პერიოდში, 6. კანის დღე წელიწადის პირველი დღე არ შეიძლებოდა ყოფილიყო! ამგვარად, უქცეველი საბუთი გვაქვს იმისა, რომ „ტროანოს კოდექსის“ ჩვენთვის ცნობილი რედაქცია XVI საუკუნეშიდა შექმნილა. შესაძლოა უფრო ადრეული დოკუმენ-

ტის ასლი იყოს ეს რედაქცია და მასში დათარიღების ახალი წესი იყოს გატარებული, მაგრამ აღნიშნული ფაქტის დადგენა იმას მეტყველებს, რომ ამ ცნობას, მით უმეტეს პლონჟონის თარგმანით წარმოდგენილს, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეყიდოთ.

ოლონდ ამ ცნობას რომ ვერწმუნოთ, მისი შემწეობით ატლანტისის კატასტროფის თარიღის განსაზღვრა არც ისე იოლი საქმე აღმოჩნდება. 6. კანის წელი ხომ ყოველ 52 წელიწადში შეიძლება გამეორდეს, და ვინ იცის, რამდენი 52-წლიანი პერიოდი გასულა კატასტროფის შემდეგ? შეიძლებოდა იმასაც ვცდილიყავით, რომ განგვესაზღვრა, როდის მოუწევდა საკის თვეს ცოლკინის 11. მულუკისა და 13. ჩუენის დღეები, მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრა მკითხველისთვის მიგვიჩნდება. დასაძანია, რომ საკის თვის დღის რიცხვი არ არის აღნიშნული, ეს გააიოლებდა საქმეს. თუმცა ცოტაოდენი გამჭირახობა და მონდომება თუ ვინმეს ექნა, უამისოდაც საგულისხმო შედეგების მოპოვებას შეძლებს.

ხოლო ჩვენ სხვა საკითხს მივყოთ ხელი. ჰააბისა და ცოლკინის მეშვეობით თარიღებს ყოველდღიურ ცხოვრებაში აზუსტებდა მაიას ხალხი. დღესასწაულების დროს კი სხვაგვარ ანგარიშს მიმართავდნენ ხოლმე. ეს ანგარიში „ტუნად“ წოდებულ 360-დღიან ციკლს ემყარებოდა.

ეს ოფიციალური სისტემა ჩვენი ასტრონომების მიერ გამოყენებულ იულიოსისეულ პერიოდს მოგვაგონებს. ჩვენ არ ვიცით, რა ერქვა მას მაიას ხალხის ენაზე, ამერიკელმა მკვლევარებმა მას შეარქვეს „Long Count“, რაც „გრძელ ანგარიშს“ ნიშნავს. ამ სისტემის რაობა ის არის, რომ რომელიღაც დღე 4. აჰაუ 9. კუმჰუ, რომელიც, როგორც ცნობილია, ყოველ 52 წელიწადში მეორდება, „ნულ“ თარიღად მიიჩნის და იქიდან მოყოლებული უწყვეტი სისტემით თვალეს და ჩაიწერეს ერთიმეორის მომდევნო დღეები, როგორც იულიოსისეულ კალენდარში ხდება. შესაძლოთაგან 4. აჰაუ 8. კუმჰუს რომელი დღე იქნა დასაბამად მიჩნეული, ამას ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე ის აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ის დღე ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე ათასწლეულის ერთ გარკვეულ თარიღს შეესაბამება.

„გრძელი ანგარიშის“ დროს თარიღი ოცობითი სისტემის მიხედვით იწერებოდა და ეს განასხვავებდა მას ჩვენეული სისტემისგან. იულიოსისეული ანგარიშის დროს 1960 წლის 1 იანვრის დღეს ჩვენ ამგვარად ვწერთ: 2436935 J. D. ეს იმას ნიშნავს, რომ პერიოდის დასაწყისიდან (—4712 წლის 1 იანვარი) 2436935 დღე გასულა. სწორედ ასევე, მაიას ერთ-ერთ გადაჩენილ ნაწარმოებში, ეგრეთ წოდებულ „დრეზდენის კოდექსში“, გვხვდება რაღაც ასტრონომიული დაკვირვების ამსახველი ჩანაწერი, რომელსაც თარიღად უზის 9.16.4.10.8.12. ლამატი 1. მუანი; ეს იმას ნიშნავს, რომ „ნული“ თარიღიდან — 4. აპაუს 8. კუმპუს დღიდან — 1412 848 დღე გასულა (ამის გამოთვლა ძნელი არ იქნება, თუკი ოცობითს სისტემას ათობითზე გადავიყვანთ). ოცობითს სისტემაში ეს ხუთნიშნა რიცხვია, რადგან 16 და 10 ერთნიშნა რიცხვებია იქ. ყოველ ციფრს თავისი სახელწოდება ჰქონდა, რაც მაიას სისტემის თავისებურ უპირატესობად უნდა მივიჩნიოთ.

ოფიციალურ სისტემას, უწინარეს ყოვლისა, ასტრონომიულ დაკვირვებათა და დიდმნიშვნელოვან მოვლენათა ჩაწერისას მიმართავდნენ ხოლმე. ზემოხსენებულ „დრეზდენის კოდექსში“, რომელიც მაიას ასტრონომიის შესასწავლად საჭირო ძირითად მასალებს შეიცავს, ამ სისტემით ჩაწერილ უამრავ თარიღს ვპოულობთ. ამგვარივე თარიღები გვხვდება ვარსკვლავიანი ზეცის ამ თარიღთა შესაბამის გამოსახულებებთან მაიას ხალხის ქვით ნაგებ ძეგლებზე.

აქტივებს „გრძელი ანგარიში“ არ ჰქონიათ. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ უფრო მოგვიანო ხანაში სულ უფრო იშვიათად გვხვდება „ოფიციალური“ წესით ჩაწერილი თარიღები. ნაცვლად ამისა შემოიღეს სისტემა „უ კახლაუ კატუნობი“, რომელსაც ამერიკელი ავტორები Katun Count-ს — „კატუნთა ანგარიშს“ უწოდებენ. ეს არის „გრძელი ანგარიშის“ გამარტივებული სისტემა. მისი არსება ის არის, რომ 4. აპაუს 8. კუმპუს დღეთა სრული რიცხვის მოტანის ნაცვლად ბოლო „კატუნის“ დასაწყისიდან ანგარიშობდნენ დღეთა რიცხვს (1 კატუნნი=20 ტუნს=7200 დღეს). ხოლო კატუნის ნომრის ნაცვლად აღინიშნებოდა მისი სახელწოდება, რასაც მოცემული კატუნის უკანასკნელ დღედ ყოფილი ცოლკინის დღის სახელი შეესაბამებოდა.

ასე ჩაიწერა, მაგალითად, რომ ესპანელებმა ქალაქ მერიდას უწიეს „11. აპაუს კატუნის პირველ ტუნში“.

თითქოს არაფერი იქნებოდა იმაზე მარტივი, რომ მიგვეკვლია იმ კატუნისთვის, რომელიც ცოლკინის 11. აპაუს დღით დამთავრებულა, და, ამრიგად, კატუნების ანგარიში „გრძელი ანგარიშისთვის“ მიგვესადაგებინა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარი შესაბამისობა 260 ტუნის შემდეგ მეორდება, და მერიდაში ესპანელთა მისვლის თარიღი „გრძელი ანგარიშის“ მიხედვით განსაზღვრულ თარიღთაგან, სულ ცოტა, ორ თარიღს შეიძლება შეესაბამებოდეს:

11.17.0.0.0.11. აპაუ 8. პოპი ან

12. 10.0.0.0.11. აპაუ 8. ჩენი.

ხოლო მათ შორის სხვაობა 13 კატუნს ანუ 260 ტუნს შეადგენს.

ეს არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ მაიას ქრონოლოგია დღემდეც საბოლოოდ ვერ შეგვითანხმებია ჩვენი კალენდრისთვის.

უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია მრავალი მეცნიერი ცდილობს ამოხსნას „მაიას კალენდრის კორელაციად“ სახელდებული ამოცანა. კვლევა-ძიების შედეგები ჭერჭერობით რამდენიმე ასეული წლის სხვაობას გვაძლევს. პრობლემა შემდეგ კითხვაზე დაიყვანება: გრიგორისეული კალენდრის რომელ თარიღს შეესატყვისება თარიღი 13.0.0.0.0.4. აპაუ 8. კუმპუ, რომელიც მაიას დროის ანგარიშში „ნულ“ თარიღად იქნა მიჩნეული?

ამ ამოცანის ამოხსნას ის აძნელებს, რომ კონკისტადორებს დოკუმენტები მოუხსპიათ.

„მათი წიგნები და ნაწერებიც მრავლად ვპოვეთ იქ. ცეცხლს მივეცი ისინი, რამეთუ ცრურწმენისა და ეშმაკეული სიბილწის გარდა, სხვა არა იყო რა მათში. ეს ამბავი მათ მწვავედ განიცადეს და დიდად დამწუხრებულნიც დარჩნენ“, — წერდა ამ კამპანიის მონაწილე ეპისკოპოსი დიეგო დე ლანდა, რომელსაც, გარდა წიგნებისა, ქანდაკებებზე, აკლდამებზე, საკურთხევლებზე, ლარნაკებზე არსებული ათასობით წარწერა მოუხსპია. მართალია, წარწერათა ნაწილი მას გადაუხატავს. კიდევ და შეუტანია თავის წიგნში „უწყება იუკატანის საქმეთათვის“, რო-

მელიც, სასწაულებრივად გადარჩენილ სამ კოდექსთან და ქვაზე ამოკვეთილ მცირერიცხოვან წარწერებთან ერთად, ახლა ძირითად შესასწავლ მასალად არის ქცეული. შესაძლოა რამდენადმე პარადოქსულადაც უღერდეს ის ამბავი, რომ მაიას ენის, წეს-ჩვეულებებისა და კალენდრის შესასწავლად იძულებულნი ვართ იმ კაცის ნაშრომს მივმართოთ, რომელმაც მათს განადგურებას ყველაზე მეტად შეუწყო ხელი, მაგრამ ასე ხდება ხოლმე — ამგვარი უსაზმნო პარადოქსი ისტორიამ მრავლად იცის.

ყველაზე უარესი ისაა, რომ მაიას ხალხის ნიშანთა გადაწერისას ლანდას, ეტყობა, რამდენიმე შეცდომა დაუშვია, ან კიდევ არასწორად გაუგია ეს ნიშნები, და „კორელაციის“ სიძნელეებს ეს ამბავი დღესდღეობით კიდევ უფრო ამწვავებს.

ჩვენ განვიხილეთ მაიას კალენდრის აგებულების პრინციპები, რადგან ეს კალენდარი, ჩვენის აზრით, ატლანტისის საიდუმლოს ამოხსნის გასაღებია. ისიც აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხს, უწინარეს ყოვლისა, ასტრონომები დასტრიალებენ იმის იმედით, რომ „დრეზდენის კოდექსში“ აღნუსხულ ასტრონომიულ დაკვირვებათა საიდუმლო ამოიხსნას. ამ ამოცანას ისიც ართულებს, რომ მაიას დამწერლობის საიდუმლო დღემდე ვერ გარკვეულა. ჭერჭერობით სარწმუნოდ ვიცით მხოლოდ ციფრების ნიშნები, კალენდრის ცნებათა შესატყვისი ნიშნები და რამდენიმე სხვა იეროგლიფი.

ამიტომ წვრილმანებს ნულარ გამოვედევნებით და ისლა აღვნიშნოთ, რომ მაიას დროის ანგარიშის ამოსავალი თარიღის — 13.0.0.0.0.4. აპაუს 8. კუმპუს დღის — შესატყვისი თარიღად ჩვენი კალენდრის მიხედვით ათზე მეტი თარიღია დადგენილი დღემდე:

ყველაზე დასაბუთებული შემდეგი შესატყვისობები ჩანს:
13.0.0.0.0.4. აპაუ 8. კუმპუ =

იულიოსისიკული პერიოდი	გრიგორისიკული კალენდარი	ავტორი
— 489 138 I. D.	— 3373, 11 თებერვალი	მაიკემსონი, 1946
— 489 384 I. D.	— 3373, 15 ოქტომბერი	სპინდენი, 1930
— 584 285 I. D.	— 3113, 13 აგვისტო	ტომპსონი, 1935

ამასთან, გარკვეული არათანმიმდევრულობა იქცევს ყურადღებას. „ნული“ თარიღი ის დღე იყო, რომელიც ასე აღინიშნებოდა: 13.0.0.0.4. აპაუ 8. კუმპუ. ხოლო ამ „ნული“ თარიღის შემდეგ პირველი დღე — 0.0.0.0.1.5. იმიში 9. კუმპუ. ამრიგად, მაიას ხალხმა, რომელიც ოცობითი სისტემით სარგებლობდა, ნაცვლად იმისა, რომ თვლა განეგრძო და ბაკტუნად წოდებული პერიოდისთვის (13.0.0.0.0.) მოეყოლებინა პერიოდი 14.0.0.0.0., მეცამეტე ბაკტუნზე ანგარიში შეწყვიტა და ახალი ერა დაიწყო თარიღით 0.0.0.0.4. აპაუ 8. კუმპუ. არავინ იცის, მეცამეტე ბაკტუნის დამთავრების შემდეგ „გრძელი ანგარიში“ რატომ აღარ განაგრძეს და ახალი ციკლი რატომ დაიწყო. ის მოსაზრება, რომლის თანახმადაც მათ „გრძელი პერიოდი“ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე. ათასწლეულშია დაუწყიათ და „ნული“ თარიღი ცამეტი რიცხვით აღუნიშნავთ („ცამეტს“ მაიას ხალხისთვის მაგიური მნიშვნელობა ჰქონდა), კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან პალენკის ტაძრის ნანგრევებში „ნულ“ თარიღზე უფრო ძველი ჩანაწერები აღმოჩნდა, მეთორმეტე ბაკტუნის პერიოდის ჩანაწერები.

ამ ამბავს ერთადერთი ლოგიკური ახსნა მოეძებნება. 4. აპაუს 8. კუმპუს დღე მეცამეტე ბაკტუნის დამამთავრებლად ითვლებოდა. ამგვარად, ეს „ნული“ თარიღი კი არ ყოფილა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არამედ მხოლოდ დამხმარე თარიღი, მსგავსად იმისა, როგორც მოგვიანებით მოხდა „კატუნების ანგარიში“.

მაშასადამე, სინამდვილეში დროის ანგარიში — 3373 წელზე 13 ბაკტუნით ადრე დაწყებულა, ხოლო 13 ბაკტუნი = 1 872000 დღეს = 5125 წელიწადს (სპინდენისა და მაიკემსონისეული კორელაცია). ამ შემთხვევაში მაიას დროის ანგარიშის დასაბამად შემდგომს სამ თარიღს ვღებულობთ (ზემოთ წარმოდგენილთა შესატყვისად):

იულიოსისეული პერიოდი	იულიოსისეული და გრიგორისეული (გრჩხილებში) კალენდარი	ავტორი
—1382 862 I D.	— 8499, 6 დეკემბერი (2 ოქტომბერი)	მაიკემსონი
—1382 616 I. D.	— 8498, 9 აგვისტო (5 ივნისი)	სპინდენი
—1287 715 I D.	— 8238, 6 ივნისი (2 აგვისტო)	ტომპსონი

მაიას დროის ანგარიშის საწყისი თარიღის საკითხს ასტრონომებიც სწავლობენ, კერძოდ, პროფესორი გ. ლუდენდორფი და დოქტორი რ. გენზელინგი. ისინი იმ ამბავს აპყრობენ ყურადღებას, რომ საამთარილოდ ციური სხეულები უჩვეულოდ ყოფილა განლაგებული (ციურ სხეულთა განლაგების სურათი მათ გამოთვლების მიხედვით აღადგინეს, რაღა თქმა უნდა). — 8 498 წელს ცოლკინის ციკლის დასაწყისი, ესე იგი 1. იმიში ზამთრის მზებუდობისა (უმოკლესი დღე) და საესე მთვარის პერიოდს უწევს. გარდა ამისა, მორიგი ჰააბის დასაწყისი გაზაფხულის ბუნიობის პერიოდს თანხვდება. როგორც უკვე ითქვა, 365-დღიანი ანგარიშისას (უნაკიანწლებოდ) კალენდარული წლის დამდგი სისტემატურად დღის ერთი მეოთხედით ჩამორჩება ხოლმე, რის შედეგადაც ასტრონომიულ წელიწადს იგი 1507 წლის შემდგეღა თანხვდება. ეს წელიწადი, ამავე დროს, 52-წლიანი ციკლის დასაწყისიცაა, ხოლო ამ ციკლით ჰააბისა და ცოლკინის ერთი და იგივე კომბინაციები მეორდება.

„გრძელი ანგარიშის“ დასაწყისი, — 8498 წლის 5 ივნისის დღე (გრიგორისეული კალენდრით) იმ პერიოდს თანხვდება, როცა ყველაზე კაშკაშა სამი ციური სხეული — მზე, მთვარე და ვენერა — ერთ სწორზე განლაგებული და ერთიმეორეს უმოკლესი მანძილით დაშორებული იყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთვარე დადგომის ფაზაში იყო; ესე იგი არ ჩანდა, ხოლო ვენერა მზის ბრწყინვალეებას გაეუჩინარებინა.

ცხადია, ამგვარი განლაგება მხოლოდ მიახლოებით არის დადგენილი გენზელინგის ნაშრომში. ამას თავადაც აღნიშნავს.

მაიას დროის ანგარიშის დასაწყისის „ნული“ თარიღის განსაზღვრისას გენზელინგი და ლუდენდორფი დაემყარენ სპინდენის კორელაციას, რომლის თანახმადაც 13.0.0.0.4. აჰაუ 8. კუმპუ — 8498 წლის 15 ოქტომბერს უწევს (გრიგორისეული კალენდრით). მაგრამ 1946 წელს გამოქვეყნდა მ. მაიკემსონის ნაშრომი „The Maya Correlation Problem“, რომელშიც ავტორი სხვადასხვა მკვლევართა 52 „კორელაციური განტოლების“ შეჭერების შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მათი საგრძნობი ნაწილი, მათ შორის სპინდენის კორელაცია, გარკვეულ პირობებს ვერ აკმაყოფილებსო. სხვადასხვაგვარი ვარა-

უღებისა და საგულდაგულო ანალიზის საფუძველზე მაიკემსონმა 4. აპაუ 8. კუმპუ დღედ სპინდენისეულზე 246 დღით აღრინდელი თარიღი მიიჩნია.

ორივე თარიღი — მაიკემსონისა და სპინდენისა — დაახლოებით თანხედება იმ ასტრონომიულ მოვლენებს, გენზელინგი რომ ახსენებს თავის ნაშრომში, ამიტომ ძნელი გადასაწყვეტია, რომელი მათგანია უფრო სწორი.

შეგვეძლო ჰეროდოტეს სიტყვები გაგვემეორებინა: „ამ ორ გამოთვლას რაც შეეხება, ყოველ თქვენგანს შეუძლია მათგან ის მიიღოს, რომელიც უფრო სარწმუნოდ მოეჩვენება; მათ შესახებ მე უკვე გამოვთქვი ჩემი მოსაზრება...“

მესამე — ტომპსონისეული — თარიღი შეგვიძლია მცდარად მივიჩნიოთ, რადგან წინა ორისგან 260 წლით განსხვავდება.

მაიკემსონისა და სპინდენისეული თარიღები (—8499 და —8498 წლები, ესე იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 8500 და 8499 წლები) საოცრად ზუსტად შეესატყვისება ატლანტისის დაღუპვის იმ თარიღს, რომელიც პლატონის „ტიმეოსის“ ანალიზის საფუძველზე იქნა მიღებული, სულ 70 წლით განსხვავდება მისგან.

საბელისნაჲო საათი

ოტო მუკის აზრით, ატლანტიისის კატასტროფა მომხდარა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 8499 წლის 5 ივნისს (გრიგორიანული კალენდრით), 13 საათზე (გრინვიჩის დროით).

განსაცვიფრებელი სიზუსტეა — წელიწადი კი არ არის აღნიშნული მხოლოდ, არამედ დღეცა და საათიც! ოღონდ ამ თვალსაზრისში ყოველივეს თავისი საფუძველი აქვს მოძებნილი და ჩვენც სწორედ ამას ვაქცევთ განხილვის საგნად.

ამრიგად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 8499 წელი, ექვი არაა, გამომდინარეობს მუკის მიერ „ტიმეოსის“ მიხედვით მიღებული თარიღიდან — ჩვენს წელთაღრიცხვამდე 8570 წელი. ახლა გასაგებია, რატომ ენდობა მუკი უფრო მეტად ამ თარიღს და არა „კრიტიასის“ მიხედვით მიღებულს — ჩვენს წელთაღრიცხვამდე 9570 წელს. მაგრამ პლატონისეულ თარიღს თუ ვერწმუნებით, მაიას კალენდრის მიხედვით დადგენილი 8499 წლის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) სასარგებლოდ ფრიად დამაჯერებელი საბუთები ამეტყველდება.


დროის ანგარიშის ჩვენთვის ცნობილი ყველა სისტემის დასაწყისი რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას უკავშირდება. მაგალითად, იუდეველებმა დროის ანგარიში დააწყეს „ქვეყნის დაბადებიდან“. მათი ბრალი ხომ არაა, რამდენიმე მილიარდი წლით რომ შეცდნენ — რადიოაქტიური იზოტოპების მეშვეობით დროის განსაზღვრის მეთოდი იმხანად ჭერაც არ ყოფილა ცნო-

ბილი. ქრისტიანულმა მსოფლიომ ანგარიში „ქრისტეს შობიდან“ დაიწყო, რადგან ეს თარიღი მიიჩნია ეკლესიის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად; მუსლიმანებმა „ჰიჯრიდან“, მექადან მედინაში მაკჰადის გაქცევის დროიდან, ძველმა რომაელებმა — *ab urbe condita* — რომის დაარსებიდან, საფრანგეთის კონვენტმა 1793 წლის ბრძანებებით გაატარა კალენდრის რეფორმა, რომლის თანახმადაც დროის ანგარიში რესპუბლიკის გამოცხადების დღიდან უნდა დაეწყოთ. დროის ანგარიშის დრამნიშვნელოვანი მოვლენიდან დაწყება ყოველ ჩვენთაგანში ღრმად არის გამჭდარი. ადვილად მივმართავთ ხოლმე ისეთ განსაზღვრებებს, როგორცაა „ომის დამთავრების პირველ წელიწადს“ და ასე შემდეგ. ექვი არაა, ატლანტისის კატასტროფის შემდეგ გადარჩენილ ხალხს ეს ამბავი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში უნდა მიეჩნია ახალი ერის დასაწყისად, ხოლო მაიას ხალხს ეს თარიღი თავისი კალენდრის „ნულ“ წლად შეეძლო მიეღო. საიმდროოდ ეს კალენდარი კარგა ხნის შემოღებული უნდა ყოფილიყო.

კატასტროფის თარიღის ესოდენ ზუსტად დადგენაში, ცხადია, შეგვიძლია შევექვდეთ კიდევ. მაგრამ ჩვენ უკვე მივაქციეთ ყურადღება იმ ამბავს, რომ — 8498 წლის 5 ივნისს ასტრონომიაში მზისა და ვენერას შეყრად წოდებულ მოვლენას ჰქონდა ადგილი. მაიას რელიგია ამ მოვლენას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მოვლენათა უჩვეულო დამთხვევად შეგვეძლო მიგვეჩნია ის ამბავი, ეს შეყრა მაინცდამაინც იმ დღეს რომ მომხდარიყო, როდესაც კაცობრიობას მის მიერ გადატანილ კატასტროფათაგან უდიდესი დაატყდა თავს. მაგრამ იქნებ სწორედ ამ მოვლენამ გამოიწვია კატასტროფა? მუკის სწორედ ამგვარ ჰიპოთეზას გვთავაზობს.

ატლანტისის კატასტროფის მიზეზად მუკს მიაჩნია დედამიწის შეჯახება ერთ-ერთ ისეთ მცირე პლანეტა-ასტეროიდთან, როგორის მსგავსიც ათასობით ბრუნავს მზის გარშემო მარსსა და იუპიტერს შორის. ამ მცირე პლანეტას მან „ასტეროიდი A“ შეარქვა.

მუკის აზრით, ეს ასტეროიდი ძალზე წაგრძელებული ელიფსური ორბიტით უვლიდა მზეს ირგვლივ და თავისი პერიპელიუმით მერკურიზე უფრო ახლოს იყო მზესთან. როგორც ცნო-



მაიას ციფრები და თარღის ჩაწერის ნიმუში
("ლრუზღენის კოდექსი")

ბილია, ასტეროიდების ერთი ნაწილი მართლაც მსგავსი ორბიტით ბრუნავს მზის გარშემო, ასე რომ მუქის ვარაუდი ასტრონომიის კანონებს როდი ეწინააღმდეგება. თუკი „ასტეროიდ A-ს“ ორბიტის სიბრტყე დედამიწის ორბიტისადმი მცირე კუთხით იყო დახრილი, ეს ორი სხეული — დიდი და მცირე — დროდადრო ერთიმეორეს უნდა მიახლოებოდა. ბუნებრივია, რომ დედამიწის მიზიდულობის გავლენით ასტეროიდის გზა გარკვეულად შეიცვლებოდა ხოლმე, რაც მით უფრო ძლიერი იქნებოდა, რაც უფრო დაუახლოვდებოდა ასტეროიდი დედამიწას. მცირე მოცულობის (რამდენიმე ასეული მეტრის და ათი ან მეტი კილომეტრის დიამეტრიანი) ასტეროიდი დედამიწაზე შესამჩნევ ცვლილებებს ვერ გამოიწვევდა.

მაგრამ კრიტიკულ — 8498 წელს ორსავე ციურ სხეულს საზარელი საფრთხე დაემუქრა: მზის ირგვლივ მბრუნავი დედამიწა ორი პლანეტის გზაშესაყარზე აღმოჩნდა. მართალია, როგორც მუქის ნაშრომიდან მოტანილ ნახაზზეც ჩანს, მან უკვე მოასწრო სახიფათო გზაჯვარედინის გადალახვა, მაგრამ საფრთხე ვერ აიცილა თავიდან. ამ შემთხვევაში წითელი შუქიც ვერას უშველიდა — კოსმოსურ გზებზე ხომ სულ სხვა კანონები მოქმედებს, ვიდრე დედამიწის გზატკეცილებზე. კოსმოსურ სივრცეში მიზიდულობის ძალა მოქმედებს და უფრო მცირე სხეულს აძულებს თავის გზას გადაუხვიოს ხოლმე.

ნახაზზე „ასტეროიდ A-ს“ გზა შავი ხაზით არის აღნიშნული. მერკურის ორბიტას გამოცილების შემდეგ მას პუნქტორით აღნიშნული ტრაექტორიით უნდა განეგრძო მოძრაობა. გარემოებათა საბედისწერო თანხვედრა რომ არა, შესაძლოა ასტეროიდი მშვიდობიანად გასცლოდა სახიფათო არეს და გზა შეცვლილი ორბიტით განეგრძო. მაგრამ, ეტყობა, ასტეროიდსაც და ატლანტისსაც ავბედითი ეტლი უნდა დასტყდომოდა თავს. ეს ავბედითი ეტლი გახლდათ მზის, ვენერას, მთვარისა და დედამიწის შეყრა, ისინი პრაქტიკულად ერთ სწორ ხაზზე განლაგებულნი აღმოჩნდნენ. ეს ამბავი გამოთვლების მეშვეობით დაადგინეს ასტრონომებმა ლუდენდორფმა და გენზელინგმა, და ამ ვითარებას მუქის ნახაზიც ჩინებულად გვიჩვენებს. დედამიწიდან მზეს რომ გავხედოთ, მის უშუალო სიახლოვეს მთვარე და ვენერა გამოჩნდება. ოთხი ციური სხეული — მზე,

თუ კვერცხისებური ძაბრი, მეტეორული წარმოშობის კრატერებს რომ ჰგავს შესახებდავად. სამი ათასამდე ამგვარი ძაბრი და ამათგან ასიოდე მათგანი კილომეტრნახევარს სკარბობს დიამეტრით! მათ 165 000 კმ² ფართობი უჭირავთ და რკალად არიან განლაგებული, რკალის ცენტრში კი ზღვისპირა ქალაქი ჩარლტონი მდებარეობს. ექვი არაა, ეს მხოლოდ ნაწილია იმ ზედაპირისა, რომელზეც ციური სხეული ჩამოვარდნილა, ხოლო ძირითადი რაიონი არის ატლანტის ოკეანის ფსკერი ბაგამის კუნძულთა აღმოსავლეთით.

კრატერთა რიცხვიდან გამომდინარე, მუკი მთელი ასტეროიდის მასას 1-2 ტრილიონ ტონად (10¹²) ანგარიშობს, ხოლო მოცულობას — დაახლოებით 600 კმ³-ად, რაც 10 კმ. დიამეტრის მქონე სფეროს შეესაბამება. ასტეროიდი გავარვარებისგან ატმოსფეროშივე აფეთქდებოდა და ნამსხვრევებს 1000 კილომეტრამდე რადიუსით მიმოფანტავდა.

ადვილი წარმოსადგენია, როგორი საშინელი ნგრევა უნდა გამოეწვია ესოდენ დიდი „ობიექტის“ ჩამოვარდნას.

ცნობილი პოლონელი ასტრონომი დოქტორი იან გადომსკი უჭრნალ „Urania-ში“ (1959 წლის დეკემბერი) დაბეჭდილ სტატიაში ასახელებს მოცულობას ფართობისა, რომელიც ერთიანად მოოხრდებოდა მეტეორიტის ჩამოვარდნის შედეგად (მისი რადიუსის სიდიდის კვალბაზე):

რადიუსი მ.	ერთიანად მოოხრებული ფართობი კმ ²
65	20
130	160 (დიდი ვარშაის ფართობი)
260	1 300
520	10 000
1 050	78 000 (პოლონეთის ფართობის ერთი-მეოთხედი)
2 100	560 000 (იბერიის ნახევარკუნძულის ფართობი)
4 250	3 600 000 (ევროპის ნახევარი)
8 500	19 000 000 (აზიის კონტინენტის ნახევარი)
17 000	96 000 000 (დედამიწის სფეროს ნახევარი)

საბედნიეროდ, ამგვარი შეჯახებები იშვიათად ხდება. თეორიულად 65 მ. რადიუსის მქონე სხეული 22 000 წელიწადში ერთხელ ეცემა დედამიწას. ისეთ სხეულთან (უფრო სწორად — უკვე ასტეროიდთან) შეხვედრის მოსალოდნელობა, რომლის

რადიუსი არის 130 მეტრი და რომელსაც „მხოლოდ“ ვარშავის გატილება შეეძლო, 120 000 წელიწადში ერთს არ აღემატება. ხოლო 1 კმ. რადიუსიანი ასტეროიდისა — 3 მილიონ წელიწადში ერთს. ისეთი ვეება ასტეროიდის ჩამოვარდნა, რომელიც ნახევარ ვეროპას გააცამტვერებდა, 260 მილიონ წელიწადში ერთხელ შეიძლება მოხდეს, ცხრილში აღნიშნულთაგან მომდევნოსი კი — მილიარდ წელიწადში ერთხელ. ხოლო დედამიწასთან, მაგალითად, პლანეტა ეროსის (რადიუსი — 17 კმ). შეჯახების მოსალოდნელობა სულ უმნიშვნელოა — 4,4 მილიარდ წელიწადში ერთხელ (ეს უკვე დედამიწის ასაკს უდრის დაახლოებით).

დედამიწის ისეთ სხეულთან შეხლა, რომლის ფართობიც მუკის ჰიპოთეზის შესაბამისი იქნებოდა, თეორიულად მილიარდ წელიწადში ერთხელ შეიძლებოდა მომხდარიყო.

კაროლინაში მიკვლევული ძაბრების ფორმის მიხედვით შესაძლოა ის მიმართულებაც განისაზღვროს, საიდანაც ასტეროიდი მოქროდა. ნამსხვრევეები ჩრდილო-დასავლეთიდან ჩამოცვენილა. ასტეროიდის ვარდნა „მოწყვეტილი ვარსკვლავის“ სახით შორიდანაც შესამჩნევი იქნებოდა, მუკის თანახმად, 2000 კილომეტრი რადიუსის სიშორიდანაც, ესე იგი ცენტრალური ამერიკისა და ატლანტისის ტერიტორიიდან; ვეროპაშიც კი შეეძლოთ მისი შემჩნევა. აფეთქების გრიალს მთელ ქვეყნიერებაზე გაიგონებდნენ უეჭველად. რაღა თქმა უნდა, გარდა იმ ხალხისა, ვინც კატასტროფის რაიონში ცხოვრობდა—ესენი გრიალის გაგონებამდე დაილუპებოდნენ!

ხოლო იმათ, ვინც ამ კატასტროფას გადაურჩა, შთამომავლობისთვის გადმოუციათ ამბავი ფაეტონისა, რომელმაც მამამისის — ჰელიოსის ცეცხლოვანი ეტლის ცარგვალზე წარმართვა ვერ შეძლო, ან კიდევ ამბავი საზარელი ჰურაკანისა.

მუკის აზრით, თუკი ვენერასა და მთვარეს „ასტეროიდ A-სთვის“ მართლაც ხელი შეუწყვიათ, რომ დედამიწას დასჯახებოდა, კატასტროფა დღის მიწურულს უნდა მომხდარიყო, არა უადრეს მზის ჩასვლის ხანისა, ოღონდ არც ნაშუალამევს. ყველაზე სარწმუნო უამად მუკს ადგილობრივი დროის 20 საათი მიაჩნია. ხოლო, რაკი ამერიკის კაროლინის სანაპირო გრინვიჩიდან დასავლეთით 75⁰-ის სიშორეზეა, ისიც იოლი დასადგე-

ნია, თუ მსოფლიო დროის მიხედვით (გრინვიჩის მერიდიანის დროის მიხედვით) რომელ საათზე მომხდარა კატასტროფა. მუკი წერს: „ნულ მერიდიანზე ამ მომენტში შვიდი საათით ადრე იქნებოდა. მაშასადამე, შეჯახება მსოფლიო დროის მიხედვით 13 საათის ახლო ხანს მომხდარა“.

გარნა მუკის გამოთვლები ორ შეცდომას შეიცავს. ჯერ ერთი, გეოგრაფიული გრძედის 75°-ის სხვაობა დროის მიხედვით 7 საათის კი არა, 5 საათის განსხვავებას შეესაბამება. მეორეც, ნულ მერიდიანზე „ადრე“ კი არ იქნებოდა, არამედ „გვიან“. აქ 12 საათის შეცდომაა დაშვებული. გრინვიჩის მიხედვით მაშინ ნაშუალამევის 1 საათი იქნებოდა.

ეს მცირე შეცდომა,—12 საათი იმ დროიდან გასული 10460 წლის ნაცვლად, — ცხადია, შეძენით ვერაფერს შესძენს მუკის ჰიპოთეზას. ოღონდ ჩვენს თავს უფლებას მივცემთ „ასტეროიდ A-ს“ დედამიწასთან სავარაუდო შეტაკების თარიღი ოდნავ შევასწოროთ. 5 კი არა, 6 ივნისი —8498 წლისა, უნივერსალური დროის 1 საათი. პოლონეთში მაშინ ღამის 2 საათი იქნებოდა, ხოლო საბერძნეთში, რომელიც აღმოსავლეთ ევროპას ეკუთვნის, — დილის 3 საათი უკვე. საამდროოდ ალბათ ყველას ეძინა, და მხოლოდ მცირედნი (ვისაც უძილობა სჭირდა) შეასწრებდნენ თავს შორით-შორს „მოწყვეტილ ვარსკვლავს“ თუ მისი ჩამოვარდნით არიალებულ ნათელს.

ოღონდ თუ მოვიწადინებდით ეს მოვლენა ფაეტონის ლეგენდასთან დაგვეკავშირებინა, ერთი შესწორება კიდევ დაგვჭირდებოდა დამატებით.

ფაეტონი ალიონზე მოახტა მამამისის ეტლს. ივნისის დამდეგს საბერძნეთში მზე ამოდის ადგილობრივი დროით 4 საათსა და 40 წუთზე, ესე იგი მსოფლიო დროით — 3 საათზე. წარმოვიდგინოთ, რომ ფაეტონი ზუსტად „განრიგის მიხედვით“, ან სულ ცოტაოდენი დაგვიანებით შეუყუა გზას. ისიც წარმოვიდგინოთ, რომ რაშების თავაწყვეტილი ჰენების პირველსავე საათში წაერთვა ჰაბუკს სადავე და კატასტროფა მსოფლიო დროით 4 საათზე გვიან აღარ მომხდარა. ამრიგად, კატასტროფის დრო უფრო ზუსტად განისაზღვრება უკვე: 3-სა და 4 საათს შორის. ასტეროიდის ჩამოვარდნის რაიონში ამ დროს 22 ან 23 საათი იქნებოდა. ასე რომ ეს დრო დააკმაყოფილებდა მუკის

პირობას — კატასტროფა „კაროლინის“ დროით 20 საათსა და შუალამეს შორის შეიძლებოდა მომხდარიყო. მაშასადამე, საბოლოოდ მივიღეთ — 8498 წლის 6 ივნისის 3 საათი და 30 წუთი უნივერსალური დროის მიხედვით.

რაც შეეხება მუჟის ძირითად თეზისს — კატასტროფა „ასტეროიდი A-მ“ გამოიწვიაო, ასტრონომიის თვალსაზრისით ამგვარი შეჯახება შესაძლოცაა და სავსებით შეესატყვისება კიდევ ბუნების კანონებს, ოღონდ ამ ჰიპოთეზას ერთი სერიოზული ნაკლი აქვს: „ასტეროიდი A“ ვერსად მოგვიძებნია და არც არაფერი ვიცით მისი.

მუჟის ჰიპოთეზა სოფიის ობსერვატორიის დირექტორ ნ. ბონევის ჰიპოთეზამ განაპირობა უეჭველად. მისი ნაშრომი 1949 წელს სოფიის უნივერსიტეტმაც გამოსცა და ჟურნალ Atlantis-შიც დაიბეჭდა.

ასტრონომიის პროფესორ ნ. ბონევის აზრით, ატლანტისის კატასტროფა მზის ირგვლივ ელიფსური ორბიტით მბრუნავ ერთ-ერთ მცირე პლანეტას უნდა გამოეწვია. ბონევი ვარაუდობს, რომ ატლანტისისთვის „კრიტიკულ“ დღეს ეს ასტეროიდი ძალიან მოახლოებია დედამიწას, ოღონდ კი არ შეჯახებია, არნახული მოქცევა აღუძრავს ოკეანეებში. ეს ციური სხეული რამდენიმე ასეული კილომეტრის რადიუსის მქონე ერთ-ერთი უდიდესი ასტეროიდი ცერერა რომ ყოფილიყო და მას დედამიწის ექვსი რადიუსის ანუ 40000-მდე კილომეტრის სიშორეზე რომ ჩაექროლა (ეს მანძილი დედამიწაზე ჩამოვარდნის საფრთხეს ააცილებდა), ოკეანეებში ისეთი მოქცევა აღიძვროდა, მთვარისა და მზის მიზიდულობის ძალებით წარმოქმნილ მოქცევას ათჯერ გადაამეტებდა. ბონევის აზრით, ეს მოქცევა სავსებით საკმარისი იქნებოდა საიმისოდ, რათა ოკეანის ნაპირებთან მდებარე მატერიკები და ყოველივე იქ არსებული წაელეკა. ბონევი ასტეროიდისა და დედამიწის შეჯახების შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ატლანტისის კატასტროფა ცერერაზე გაცილებით მცირე სიდიდის ასტეროიდსაც შეეძლო გამოეწვია. ბონევის თეორიის სუსტი მხარე ის არის, რომ პასუხს არ იძლევა კითხვაზე — არსებულთაგან რომელ ასტეროიდს გამოუწვევია ხსენებული კატასტროფა.

გარდა ამისა (ჩვენ ამის ხაზგასმა გვინდა სწორედ), კატასტროფის თარიღს ვერც ბონევის თეორია დაგვადგენინებს და ვერც მუკის ჰიპოთეზა. მუკის რაირილი ასტრონომიულ წანამძღვრებს აბსოლუტურად არ უკავშირდება, მაიას კალენდრის ანალიზიდან გამომდინარეობს.

ციურ სხეულთა ამდაგვარი მდგომარეობა — დედამიწის, მთვარის, ვენერასა და მზის ერთ სწორზე განლაგება — პერიოდულად მეორდება ხოლმე. ვენერასა და მზის შეყრა 584 დღეში ერთხელ ხდება, ხოლო მთვარის და მზისა — ყოველი ახალი მთვარისას. ამგვარად, მაიას კალენდრის „ნული“ თარიღის შესატყვისი ვითარება საკმაოდ ხშირად მეორდება ხოლმე, დაახლოებით 11 წელიწადში ერთხელ, მაგრამ მსგავსი კატასტროფები ხომ არ ხდება! იმდენად მცირეა იმის მოსალოდნელობა, რომ რომელიმე ასტეროიდმა მაინცდამაინც მაშინ ჩამოუქროლოს ახლოს დედამიწას, როცა პლანეტები—8498 წლის 6 ივნისის მსგავსად იქნება განლაგებული, რომ შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ — თუკი ასეთი შემთხვევა დედამიწის არსებობის განმავლობაში ერთხელ უკვე მომხდარა, მეტი აღარასოდეს განმეორდება.

—8498 წლის თარიღს მხარს უჭერს მხოლოდ მისი საოცარი შესატყვისობა პლატონის „ტიმეოსში“ მოწოდებული ცნობისა და აქედან გამომდინარე თარიღისადმი —8570 წ. მაგრამ სხვა თეორიაც განვიხილოთ, აგრეთვე ასტრონომიული თეორია, შესაძლოა „უფრო მეტად ასტრონომიულიც“, რომელიც შეესატყვისება პლატონის მეორე თარიღს („კრიტიასიდან“ გამომდინარეს) — 9570 წელს. ამ თეორიის ასტრონომიულ გამოთვლათა მეშვეობით მიღებული თარიღი კიდევ უფრო მეტად თანხვდება პლატონისეულს, მისგან სულ 28 წლით განსხვავდება!

იქნებ კომეჯა იყო?

„კომეტა არის ცხელი და ხმელი, სქელი და ლიპი ნისლი, ვარსკვლავთა ძალით დედამიწიდან თვით ცეცხლის სფერომდე აზიდული და იქვე აღგზნებული, ჰაერის მესამედთან ერთად მიწის ირგვლივ მსრბოლავი“, — ვკითხულობთ კრაკოვის აკადემიის პროფესორის კასპერ ცეკანოვსკის 1681 წელს გამოქვეყნებულ შრომაში.

დღეს უკვე ვიცით, რომ კომეტის გული წარმოადგენს „ყინულის“ ლოდს, რომელიც შედგება შეყინული წყლის, ნახშირორჟანგა გაზის, ამიაკისა და სხვა ნივთიერებებისგან, დედამიწისთვის ჩვეული ტემპერატურის პირობებში რომ სითხედ ან გაზად გვევლინებიან. ამ შენაყინს უფრო მკვირვ, ძირითადად ქვისებურ ნივთიერებათა უმცირესი მარცვლები, კენჭები და ლოდებიც კი არის შერთული. ამგვარი ბირთვის დიამეტრი შესაძლოა რამდენსავე კილომეტრსაც აღწევდეს.

კომეტა ყოველგვარი ბოროტების დამტეხად იყო მიჩნეული ძველთაგანვე. „კომეტა მონარქთა, ხელმწიფეთა და ბელადთა სიკვდილს მოასწავებს... კომეტა ჟამიანობასა და ომს მოასწავებს. კომეტები სიბოროტეს აფრქვევენ სამზეოს“, — წერს ცეკანოვსკი. არც იმას მალავს, რომ კომეტას სოფლის აღსასრულიც შეუძლია აღძრას, ოღონდ იქვე დასძენს — მე მათე მახარებლის სწავლას მივსდევო, ამიტომ, „თუმცა ზოგზოგნი, ასტროლოგიურ მოძღვრების აღმატების მოსურნენი, კომეტისა

და სხვა ციურთა ბრუნვათა გამოჩენისას განკითხვის დღის წინასწარცნობას ლამობენ, მე ეს საქმე წმიდა ენოქისა და ილიასთვის, აგრეთვე სხვა წინასწარმეტყველთათვის მიმინდვია...”

გარნა ჩვენი დროის სწავლულნი სხვა აზრს ადგანან. კერძოდ, ამერიკელმა გ. იურიმ გამოიანგარიშა, რომ საშუალო მოცულობის (10-კილომეტრიანი რადიუსის მქონე) კომეტის დედამიწასთან შეჯახებისას გამოთავისუფლებული ენერგია ნახევარი მილიონი წყალბადის ბომბის ენერგიას გაუტოლდებოდა. კატასტროფა დედამიწის ზედაპირზე დაცემამდე მოხდებოდა ალბათ. დედამიწის ატმოსფეროში შემოჭრილი კომეტა თავის წინ შეკუმშული და გავარვარებული გაზების ფენას წარმოქმნიდა, ამ ფენაში კომეტის ნივთიერება ნაწილობრივ აორთქლდებოდა და შორიდან ეს სურათი ცეცხლის ზღვას დაემსგავსებოდა. მიწის ზედაპირს მომსკდარი გავარვარებული გაზების ზვირთი ქვებსაც კი გააღებოდა. ამის შემდეგ ერთ წამში თავად კომეტაც აფეთქდებოდა და რამდენიმე ათას გრადუს ტემპერატურამდე გახურებული მისი ბირთვის ნაწილები მიწას თუ ზღვას დაასკდებოდა. წყლისა და ორთქლის დიდ სიმაღლეზე ატყორცნილი სვეტები რამდენიმე ხნის შემდეგ კოკისპირულ წვიმად ჩამოინთქრეოდა. წვიმას შეჯახების დროს ახვეტილი აუარება მტვერი ჩამოჰყვებოდა და წვიმა ლუდივით მრეში ფერისა შეიქნებოდა.

მთელ ქვეყნიერებაზე ამგვარი „ლუდი“ დაინთხოდა, როგორც ზემოხსენებულ ეგვიპტურ ლეგენდაშია — თუ გახსოვთ, ცეცხლის მფარველი ქალღმერთი სოხმეთი და ქალღმერთი ხატორი, ღვთაება რას მიერ დედამიწაზე დაფრქვეული ამ სასმელის მხილველნი, თავიანთ დამაქცევარ საქმიანობას შეეშვნენ.

იურის აზრით, დედამიწისა და კომეტის შეჯახება 50 მილიონ წელიწადში ერთხელ შეიძლება მოხდეს, ესე იგი დედამიწისა და ასტეროიდის შეჯახებასავით იშვიათი შოვლენაა. არსებობს იმის დამამტკიცებელი კონკრეტული საბუთები, რომ დედამიწას უკვე განუცდია ამგვარი შეჯახებები, თანაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ. ამგვარ შეჯახებათა კვალი უნდა იყოს თითქოს ევროპაში, აფრიკასა და წყნარი ოკეანის ნაპირებთან აღმოჩენილი ტექტიტები — იდუმალებით მოცული, გამლღვალი მინის მსგავსი ქვები, რომელთა წარმოშობაც მეცნიერებას

დღემდე ვერ აუხსნია. უკანასკნელ დრომდე ეგონათ, ეს ქვები კოსმოსური წარმოშობის არისო, მაგრამ გამოიჩვენა, რომ მათი შინაგანი აგებულება მეტეორიტების ნივთიერებისგან განსხვავებული ყოფილა. იურიმ სწორედ მათი წარმოშობის ახსნა დაისახა მიზნად. მისი შეხედულებით, ტექტიტები მეტეორიტთან შეჯახებისას აღძრული, სხვა პირობებში გაუგონარი ტემპერატურის დროს გამლღვალი დედამიწისეული ქანები უნდა იყოს¹.

დედამიწისა და კომეტის შეყრას უეჭველად კატასტროფა როდი მოჰყვება. ისტორიულ პერიოდშიც არაერთხელ მომხდარა (უკანასკნელად 1910 წელს მოხდა ალბათ), რომ დედამიწას კომეტა ჰალეის კუდში გაველოს. თავის დროზე ეს ამბავი დიდ შემფოთებას იწვევდა ხოლმე, მაგრამ ასტრონომებმა ხალხი დააშოშმინეს — კომეტის კუდში მატერიის სიმკვრივე იმაზე ნაკლებიც კია, ვიდრე ყველაზე ღრმა ვაკუუმში, რომლის მიღებაც მსოფლიოს საუკეთესო ლაბორატორიებში ხერხდებაო. ასტრონომთა ნათქვამის ქეშმარიტება საკუთარმა გამოცდილებამაც დაგვიდასტურა. ოღონდ ყოველივე სხვაგვარად წარიმართებოდა, კომეტის ბირთვი დედამიწას უშუალოდ რომ მოახლოებოდა.

ასე მოხდა 1908 წლის 30 ივნისს. „ტუნგუსური მეტეორიტის ჩამოვარდნად“ წოდებული კატასტროფა ციმბირს, მდინარე პოდკამენნაია ტუნგუსკას (ენისეის მარჯვენა შენაკადის) რაიონს დაატყდა თავს ადგილობრივი დროით 8 საათსა და 15 წუთზე (უნივერსალური დროით 17 საათსა და 15 წუთზე). ჩამოვარდნის ადგილიდან ასეულობით კილომეტრზე მყოფ შემსწრეთა ცნობების თანახმად, ცაში უჩვეულოდ კაშკაშა სხეული გამოჩენილა. მისი ბრწყინვა მზისას შეედრებოდაო. იმ სხეულს რამდენიმე წუთში გადაუსერავს ცის დიდი ნაწილი დაახლოებით სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ, მერე კი მიწას დასკდომია და აფეთქებულა. აფეთქების ხმა 1200 კილომეტრზეც გაუგონიათ; 500 კილომეტრზე ფანჯრებიდან მინები გამოცვენილა. ატმოსფეროში შეკუმშვის ტალღას ორჯერ

¹ ამ უკანასკნელ წლებში სხვა ზრიც გამოითქვა — ტექტიტები წარმოშობით მთვარეს უკავშირდებიანო.

შემოუვლია დედამიწისთვის, ეს ტალღა ყველა მეტეოროლოგიურ დამკვირვებელ სადგურში აღუნუსხავთ. რაკი საიმდროოდ ის მხარე დასახლებული არ ყოფილა, კატასტროფას მსხვერპლი არ მოპყოლია. შემსწრეთაგან ყველაზე ახლოს, 100 კილომეტრზე მყოფი ტალღას 6 მეტრის სიშორეზე გაუტყორცნია და მას გრძნობა დაუკარგავს, აფეთქების ადგილიდან 335 კილომეტრზე მდგარ ქოხში დედაბერი ღუმელიდან გადმოუსვრია, ხოლო 425 კილომეტრზე გოგო გადმოვარდნილა სკამიდან.

ტუნგუსური მეტეორიტის ჩამოვარდნის ადგილით ოქტომბრის რევოლუციის შემდეგლა დაინტერესდნენ. მრავალმა ექსპედიციამ გაარკვია, როგორ საზარლად დაუქცევია მეტეორიტს ტაიგა. ახლაც კი, ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო რომ გავიდა, კატასტროფის ნაკვალევი 6000 კმ²-ზე შეინიშნება. 2000 კმ² ტერიტორიაზე მილიონობით წაქცეული ხე აგღია. მათი წაქცევის მიმართულება იმ ადგილს მიუთითებს, სადაც კოსმოსიდან მოვლენილი სხეული დედამიწას შესჯახებია. ოლონდ, საგულდაგულო კვლევა-ჩხრეკის მიუხედავად, მეტეორიტის ნამსხვრეეები არსად აღმოჩენილა და ამ ამბავს მრავალი დისკუსია და ფანტასტური ვარაუდებიც კი მოპყვა — ეს სხვა პლანეტიდან წამოსული კოსმოსური ხომალდი იყო, რომელსაც დაშეების დროს საწვავის მარაგი აუფეთქდაო. ყველაზე დიდხანს იმ თეორიას ემხრობოდნენ, რომლის თანახმადაც კატასტროფის მიზეზი უზარმაზარი მეტეორი უნდა ყოფილიყო; მისი მასა ჰაერთან ხახუნის შედეგად წარმოქმნილი მაღალი ტემპერატურით გაქარწყლდებოდაო. საბუთად ის ფაქტი მოაქვთ, რომ სხეულის ჩამოვარდნის შემდეგ რამდენიმე დღის მანძილზე ატმოსფეროს მაღალ ფენებში ნათელი ფერის ღრუბლები შეიმჩნეოდა. და ის ღრუბლები ლოდის აფეთქების შედეგად წარმომდგარი მტვერი იყო ვითომც.

ცის განსაკუთრებული ნათება დასავლეთ ევროპაში შეინიშნებოდა. მრავალ ადგილას ეს ნათება ჩრდილოეთის ციალს ჰგავდა, პოლონეთში კი ისეთი ინტენსივობის იყო, ღამით საგნებს ჩრდილი გასჩენიათ.

ჯერაც ტუნგუსურ მეტეორიტად სახელდებული ციური სხეულის რაობა სხვაგვარად დასახა ამერიკელმა ასტრონომმა

უიპლმა¹. მისი ჰიპოთეზის თანახმად, ეს იყო ბირთვი მტვრის-კუდიანი მცირე ზომის კომეტისა. რაკი ისეთი მხრიდან მოქროდა, რომელიც მზის სიახლოვესაა (პერსპექტივაში), ჩამოვარდნამდე არც იხილვებოდა. კატასტროფის შემდეგ მისგან კუდი-ლა დარჩა და ის კუდი დედამიწის მეორე, მზით გაუნათებელი მხრიდან რამდენიმე მომდევნო დღეს კიდევ ჩანდაო. უიპლისა და სხვა მეცნიერთა აზრით, კომეტის ბირთვი სხვადასხვა ზომის მრავალი ლოდისგან შედგებოდა. ოღონდ უიპლის ჰიპოთეზა ლამეული ზეცის ნათების ფაქტს ხსნიდა მხოლოდ, ხოლო ისევ აუხსნელი რჩებოდა, ნამსხვრევეების კვალს რატომ ვერსად მიაგნეს.

კატასტროფის სრული სურათი მხოლოდ იმ მასალების მიხედვით წარმოისახა, რომლებიც უკანასკნელ ხანებში აკადემიკოს ვ. გ. ფესენკოვის წინამდგომობით გამოაქვეყნეს საბჭოთა მეცნიერებმა².

ციმბირის ტაიგაში ჩამოვარდნილი ციური სხეული იმ მეტეორთა ჯგუფისეული ვერ იქნებოდა, რომლებიც პლანეტების მოძრაობის სიბრტყის სიახლოვეს ბრუნავენ მზის ირგვლივ. ამის წინააღმდეგ მისი სრბოლის მიმართულება მეტყველებს. ის რომ „კოსმოსური მტვრის“ ნაწილი ყოფილიყო (საპლანეტათა-შორისო სივრცის აღმავსებელი ეს მტვერი, საფიქრებელია, იმ პლანეტის გაცამტვერების შედეგად წარმოიქმნა, რომელიც ოდესღაც ბრუნავდა მზის გარშემო მარსსა და იუპიტერს შორის გამავალი ორბიტით), ჩამოვარდნის წინ მისი მოძრაობის მიმართულება დედამიწის მიმართულებას იქნებოდა დაახლოებული. მისი ძვრის სიჩქარე დედამიწისადმი მომართებით დიდი აღარ იქნებოდა. დადგენილია, რომ კატასტროფამდე იგი დედამიწისა და სხვა პლანეტების ორბიტისადმი თითქმის პერპენდიკულარულ სიბრტყეში იძვროდა, ეს ამბავი კი კომეტებისთვის არის ნიშანდობლივი. კომეტის შემთხვევაში საქმე გვაქვს გაცილებით უფრო დიდ ორბიტულ სიჩქარეებთან, აქედან — კომეტის უდიდესი სიჩქარე დედამიწისადმი მომართებით (ფესენკოვის მიხედვით — წამში 60 კილომეტრი), მაშინ როცა

¹ F. I. W. Whipple, The great Siberian Meteor, The Quarterly Journal of the Royal Meteorological Society, 1930, t. 56.

² „Природа“. 1962, № 8.

მეტეორის შეფარდებითი სიჩქარე წამში 15 კილომეტრამდე იქნებოდა.

რალა თქმა უნდა, „პლანეტური“ მეტეორების გარდა „კოს-მოსური“ მეტეორებიც არსებობს, კომეტების ნივთიერების დაშლის შედეგად წარმოქმნილი. მეცნიერებისთვის ცნობილია გარკვეულ კომეტებთან დაკავშირებულ მეტეორთა რამდენიმე ამნაირი ჯგუფი. ამგვარი ჰიპოთეზა თავის დროზე წამოაყენა ტუნგუსური მეტეორიტის პირველმა მკვლევარმა ლ. ა. კულიკმა. იგი კატასტროფას კომეტა პონსა-ვინეკეს უკავშირებდა, მაგრამ ეს ჰიპოთეზა სხვა ასტრონომთა გამოთვლებით იქნა უარყოფილი.

ზემოთ წარმოდგენილი საბუთები „ცაში“ დასტურდება. ფესენკოვი „მიწიერ“ საბუთებსაც იშველიებს, ყურადღებას იმ ამბავზე ამახვილებს, რომ სხეულთა ჩამოვარდნის შედეგად წარმოქმნილი კრატერები თუ კოსმოსური სხეულის ნივთიერების აშკარა ნაშთები არსად აღმოჩენილა. მისი თვალსაზრისით, აუცილებელი არაა კომეტის ნივთიერება მეტეორის მსგავსად დიდრონი ქვის თუ რკინის ლოდებისგან შედგებოდეს. კომეტების ბუნება ჭეკაც არ არის საკმარისად შესწავლილი, მაგრამ ბევრი რამ იმას მოწმობს, რომ მისი ბირთვი გაზების შეყინული ნაწილებისგანაც კი შეიძლება შედგებოდეს. თუ კომეტის ბირთვს 150 მეტრის უდიდესი დიამეტრი ჰქონდა (როგორც საბჭოთა მკვლევარები ვარაუდობენ), ხოლო მის საშუალო სიმკვრივეს წყლის სიმკვრივის ტოლად თუ დავსახავთ, მაშინ კომეტის ბირთვის მასა უზარმაზარ სიდიდეს მოგვცემს — მილიონ ტონას. ხოლო მიწაზე დასაცემად მომსრბოლავი სხეულის კინეტიკური ენერგია დაახლოებით იქნება $100\ 000\ 000\ 000\ 000\ 000$ (ესე იგი 10^{17}) კგმ. მუკის ასტეროიდთან შედარებით (მის კინეტიკურ ენერგიას მუკი ანგარიშობს როგორც $2 \cdot 10^{12}$ კგმ) ეს „ერთი ბეწო“ რამ არის, ამიტომ კატასტროფასაც ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ.

კატასტროფის ფესენკოვისეული აღწერა დაახლოებით თანხედება იურისას. კომეტის ბირთვს წინ უსწრებდა დარტყმის მძლავრი ტალღა, რომელიც თავის გზაზე ყოველივეს აცამტვერებდა და იმის მსგავსი გრიალით მოისწრაფოდა, ზებგერითი სიჩქარის თვითმფრინავის გადაფრენისას რომ მოგვესმის ხოლ-

მე. ამასაც შეეძლო ციმბირის ტაიგაში ნახსენები გატიალეზა გამოეწვია. ოღონდ ამას ცეცხლის ზღვაც უნდა დაემატოს კიდევ. ერთ-ერთი მომსწრე ჰყვებოდა — მე ისე მომეჩვენა, თითქოს მზის ნატეხი ვარდებოდაო. ამ ცოტა ხნის წინათაც კი შეიძლებოდა კენწეროების მხრიდან გატრუსული ხეების ნახვა იმ ადგილას; ხანძარი რომ ყოფილიყო, ხეები ქვემოდან შეიტრუსებოდა. ეს იმას მოწმობს, რომ ტყეს გავარვარებული ჰაერის ზვირთი დასკდომია. ეს რომ კომეტა ჰალეა ყოფილიყო, კატასტროფას კიდევ უფრო დიდი მასშტაბი ექნებოდა. ცხადია, კომეტა ჰალეას ბირთვთან შეჯახება არ იგულისხმება აქ, რადგან ეს კომეტა ახლაც მზის ირგვლივ ბრუნავს; საქმე ეხება კომეტისა და დედამიწის იმ ზომამდე დაახლოებას, ბირთვის ნაწილი რომ ჩამოვარდნილიყო.

ეს ჰიპოთეზა ცნობილ პოლონელ მეცნიერს პროფესორ მ. კამენსკის ეკუთვნის.

ჰალეა ყველაზე კაშკაშა და დიდრონი პერიოდული კომეტების რიცხვს ეკუთვნის და უკვე მრავალი საუკუნეა პანიკას თესავს გამოჩენისას (დაახლოებით 75-77 წელიწადში ერთხელ მოგვევლინება ხოლმე). მატთანებში ხშირად იხსენიება სხვადასხვა კომეტის გამოცხადება; ზოგიერთი მათგანის კომეტა ჰალეასთან გაიგივებაც მოხერხდა. ასტრონომებმა შეძლეს განესაზღვრათ, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 621 წლიდან ჩვენი წელთაღრიცხვით 1910 წლამდე ეს კომეტა 34-ჯერ გამოჩენილა. ეს ამბავი ძნელი დასადგენი გახლდათ, მრავალი რთული გამოთვლა შეიქნა საჭირო, რადგან კომეტის მოქცევის პერიოდი განუწყვეტლივ იცვლება სხვა პლანეტების (განსაკუთრებით — ყველაზე დიდი მასის მქონე იუპიტერისა და სატურნის) მხრივ მიზიდვის შედეგად. კამენსკიმ გაანგარიშებანი ძველ მატთანეთა ჩანაწერებს შეაჯერა და ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2312 წლამდე გადადევნა თვალი ამ კომეტის გამოჩენის პერიოდებს.

კომეტა ჰალეასა და ატლანტისის კატასტროფის დაკავშირების აზრი კამენსკის აქვარილებად და ორიონილებად წოდებულ „ვარსკვლავმორბედთა“ ორმა გუნდმა შთააგონა.

ამ გუნდებს დედამიწა ყოველ წელიწადს ხვდება. ეს არის შენაქუჩი ეგრეთ წოდებული „კოსმოსური მტვერისა“, რომე-

ლიც შედგება ნაირი სიდიდის ნატეხებისა და ნამუსრევებისგან, ქვიშის მარცვლის სიდიდით დაწყებული და რამდენიმეტონიანი ლოდებით დამთავრებული. ამგვარი გროვა უქველად მრავალი ათასია ჩვენს საპლანეტთაშორისო სივრცეში. ისინიც კომეტებისდაგვარად ელიფსური ორბიტით ბრუნავენ მზის გარშემო. ზოგიერთი მათგანი გარკვეულ პერიოდულ კომეტებთან არის დაკავშირებული და მზის ირგვლივ შემოვლის პერიოდიცა და ორბიტაც მათნაირი აქვს. დღემდე ამ გროვებიდან მხოლოდ ზოგიერთი არის კომეტებთან გაიგივებული; ასეთებია, კერძოდ, უკვე მოხსენიებული მეტეორიტული ნაკადები აქვარიდების და ორიონიდებისა, რომლებიც, კომეტა ჰალეას მსგავსად, 76 წლის მანძილზე უვლიან მზეს გარშემო. ნაკადთა შემადგენელი ნივთიერება უქველად იმავე წარმოშობისაა, რაც კომეტის ნივთიერება. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ნაკადი თავად კომეტის შემადგენლობას ეკუთვნოდა.

სტანისლავ ლუბენეცკის მიერ 1667 წელს დაწერილ განთქმულ ნაწარმოებში „Historia Cometarum“, რომელიც შეიცავს ცნობებს „წარღვნიდან ვიდრე ჩვენს დრომდე“ გამოჩენილი კომეტების შესახებ, საგულისხმო რასმე ვკითხულობთ: „78-ე ოლიმპიადის მეორე წელს ცაზე 75 დღის განმავლობაში იხილვებოდა კომეტა, მზიდან მდინარე ეგოსში ქვა ჩამოიქრა, ხოლო ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ პელოპონესის ომი დაიწყო“.

მსგავსი ამბავი აქვს მოთხრობილი XVIII საუკუნის ასტრონომს პინგრეს ნაშრომში „Cometographie“, რომელიც ლუბენეცკის თხზულებასთან ერთად ფუნდამენტურ მასალას წარმოგვიდგენს ძველი კომეტების შესასწავლად: „ბერძენნი მოგვითხრობენ, რომ ანაქსაგორა კლაზომენელს თავისი განსწავლულობის მეოხებით 78-ე ოლიმპიადის მეორე წელს ის დღე უწინასწარმეტყველებია, როდესაც მზიდან ქვა უნდა ჩამოვარდნილიყო. ეს ამბავი დღისით მომხდარა ქალაქ ეგოს-პოტამოსის სიახლოვეს, თრაკიაში. იმ ქვას დღესაც კი გვიჩვენებენ. სიდიდით იმოდენაა, ოთხთვალაში ძლივს ჩაეტევა, ფერი გამოხურვებული ქვის ფერს მიუგავს. მაშინ გამოჩენილა აგრეთვე კომეტა, რომელიც მრავალ დამეს იხილვებოდა“.

ორივე სწავლულის მიერ ერთნაირად მოხსენიებული ქვა

მზიდან ვერ ჩამოვარდებოდა, ცხადია. მისი შეფერილობა უექველს ხდის იმ ამბავს, რომ ის ქვა მეტეორიტული წარმოშობისაა ყოფილა. ხოლო იმასაც თუ დავუმატებთ, რომ, თანახმად რუსი ასტრონომის მ. ვილევის გაანგარიშებისა (ეს გაანგარიშება კამენსკიმაც შეამოწმა), ჩვენს წელთაღრიცხვამდე 466 წელს კომეტა ჰალეას გამოჩენის პერიოდი მოუდიოდა, შეგვიძლია თამამად ვივარაუდოთ, რომ ის ქვა კომეტის ნამსხვრევი იქნებოდა.

თუ კომეტა ჰალეას ბრუნვის პერიოდი უკანასკნელი 2500 წლისთვის დღელამის ნახევრის სიზუსტით არის განსაზღვრული (ეს პერიოდი 76 წელიწადსა და 329 დღეს შეადგენს), უფრო ძველი დროისთვის ეს სიზუსტე გაცილებით მცირდება, ამიტომ ატლანტისის ჰიპოთეზური კატასტროფის თარიღი რამდენიმე წლის სიზუსტით შეიძლება დადგინდეს მხოლოდ.

1961 წელს კამენსკიმ გამოაქვეყნა ქრონოლოგიური ცხრილი, რომელიც შეიცავს ცნობებს კომეტა ჰალეას მიერ თავისი პერიპელიუმის (ესე იგი მისი ორბიტის მზისგან ყველაზე ნაკლებ დაშორებული წერტილის) გადალახვის შესახებ. სულ პერიპელიუმის 149 გადალახვაა აღნუსხული. ცხრილის უკანასკნელ ჩანაწერში, რომელიც კომეტის უძველეს გამოჩენას შეესატყვისება, თარიღად მოტანილია 9541,6 წელი, რაც — 9541 წლის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 9542 წლის) მაისის დამლევს ნიშნავს.

ამ წიგნის ავტორმა კამენსკის მიერ შესრულებული სამუშაო განაგრძო და ჩვენს წელთაღრიცხვამდე 10 000 წლის პერიოდისთვის გაიანგარიშა, რა ძალის უნდა ყოფილიყვნენ დიდდი პლანეტების მიზიდულობით გამოწვეული აღძვრანი კომეტის მოძრაობისა. ამ გამოთვლებიდან ის გამომდინარეობს, რომ არა მარტო მოქცევის პერიოდი, კომეტის ორბიტის ფორმაც კი იცვლება პერიოდულად. ამ პერიოდულ ცვლილებათა შედეგად მანძილი დედამიწასა და კომეტას შორის მისი მოახლოებისას აგრეთვე დიდად მერყეობს ხოლმე.

ნახაზებზე ნაჩვენებია ის პირობები, რომლებშიც არის შესაძლო კომეტის დედამიწასთან დაახლოება. მზე აღნიშნულია S ასოთი, დედამიწის ორბიტა გამოსახულია წრეხაზით, რომლითაც ჩვენი პლანეტა ერთი წლის განმავლობაში მოიქცევა



„ასტეროიდ A-ს“ ჩამოვარდნის სავარაუდო ადგილი. შტრიხით ნაჩვენებია 6000 მეტრზე უფრო ღრმა ფსკერი. შესაძლოა ასტეროიდის ნამსხვრევთა დაცემით წარმოქმნილი კრატერები (მუჯის მიხედვით).

მზის გარშემო. კომეტა ჰალეას ორბიტა დიდად წაგრძელებული ელიფსის ფორმისაა. ამ ელიფსით უვლის იგი მზეს 76,9 წლის განმავლობაში. ორივე ორბიტის სიბრტყეები ერთიმეორეს 180° -იანი კუთხით მიემართება, ამასთან, კომეტა დედამიწის ორბიტის საწინააღმდეგო მიმართულებით იძვრის (მოძრაობის მიმართულება ისრებით არის ნაჩვენები). ორივე სიბრტყე გადაიკვეთება 90° სწორზე, რომელსაც კვანძთა ხაზი ეწოდება. დაახლოება რომ მოხდეს, საამისოდ კომეტამ ეგრეთ წოდებული დაღმავალი 90° კვანძის წიალ სწორედ იმ მომენტში უნდა გაიაროს, როდესაც დედამიწა თავისი ორბიტის კვანძთა ხაზის გადამკვეთ წერტილს გადის. ადვილი მისახვედრია, რომ ეს ამბავი მზესთან კომეტის ყოველი მოახლოებისას არ ხდება ხოლმე, რადგან მისი მოქცევის პერიოდი წელთა ნაკლულ რიცხვს უდრის. მაგრამ ამგვარი დაახლოების ვითარებაშიც კომეტის ორ-

ბიტის ფორმისა და მდგომარეობის პერიოდული ცვლის გამო კომეტასა და დედამიწას შორის მანძილი დიდად მერყევია. ასე, 1910 წელს, როდესაც დაახლოებისთვის ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა, დედამიწიდან კომეტამდე მინიმალური მანძილი 0,15 ასტრონომიულ ერთეულს (ასტრონომიული ერთეული არის დედამიწიდან მზემდე არსებული მანძილი), ესე იგი 20 მილიონ კილომეტრზე ცოტათი მეტს შეადგენდა.

ნახაზზე ნაჩვენებია კომეტის ორბიტის ნაწილი დედამიწის ორბიტის სიახლოვეს კომეტის უკანასკნელად გამოცხადებისას (1910 წ.), აგრეთვე — 9541 წელს მისი გამოჩენისას. ავტორის გაანგარიშებებიდან გამომდინარეობს, რომ — 9541 წელს კომეტის ორბიტის დაღმავალი კვანძი დედამიწის სავალ გზაზე იყო თითქმის, სულ 0,0025 ასტრონომიული ერთეულით, ესე იგი დედამიწიდან მთვარემდე არსებული მანძილით გახლდათ დაშორებული. ასე რომ კომეტა და დედამიწა თავიანთი ორბიტების გადაკვეთის წერტილში ერთსა და იმავე დროს რომ აღმოჩენილიყვნენ, შეჯახება გარდუვალა იქნებოდა!

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ვითარებაში დედამიწის მასის მიზიდულობის ძალა დამატებით ზემოქმედებას მოახდენდა.

გამოთვლათა დღევანდელ პირობებში ძნელი დასადგენია, დროის რა მონაკვეთი ყოფდა ორივე ციური სხეულის π წერტილის წიალ გავლას; შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ, თუკი ეს დრო 10 დღეს არ აღემატებოდა, კომეტის მასის ნაწილი შეიძლებოდა დედამიწას დასცემოდა.

როგორც ნახაზიდან ჩანს, 1910 წელს კომეტის ორბიტის კვანძთა ხაზი დედამიწას 22 მაისს გადაუკვეთია. — 9541 წელს დედამიწას ასეთივე მდგომარეობა 18 დეკემბერს უნდა ჰქონოდა.

მართალია, დედამიწა თავისი ორბიტით ზუსტად ერთ წელიწადს უნდება მოქცევას, მაგრამ 11 ათასი წლის მანძილზე უკვე თავს იჩენს პრეცესია, რომლის რაობასა და ზეგავლენას აქ აღარ გამოვუდგებით. აქედან კიდევ ერთი საგულისხმო დასკვნა გამომდინარეობს — კომეტა ჰალეასა და დედამიწის შეჯახება 18 დეკემბერს ახლო ხანს შეიძლებოდა მომხდარიყო.

ეს თარაღი ერთი დღე-ღამის სიზუსტით არის სწორი. კომეტა ჰალეას მიერ პერიპელიუმიდან (ნახაზზე P_2 ასოთი არის

აღნიშნული) Σ_2 წერტილამდე ძერის დრო 39 დღეს შეადგენს; ამგვარად, კომეტას პერიპელიუმის წიაღ — 9541 წლის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 9542 წლის) 9 ნოემბერს უნდა გაეცლო. ეს თარიღი კამენსკის ცხრილს ნახევარ წლამდე დროით არის აშორებული. თუმცა ასეთ ვითარებაში ძნელია რაიმეს თქმა აშორებისა თუ თანუხვედრელობის გამო, რადგან ესოდენ შორეული ეპოქისთვის ცხრილში თარიღები რამდენიმე წლის სიზუსტით არის განსაზღვრული.

კაცმა რომ თქვას, კომეტა ჰალეას დედამიწასთან შესაძლო შეჯახების თარიღს სკრუპულოზურ დაზუსტებას ატლანტისის პრობლემისთვის არსებითი მნიშვნელობა არც კი აქვს. ამგვარი ჰიპოთეზა საკმაოდ სარწმუნო ჩანს და გამოთვლებითაც დასტურდება. საბჭოთა ასტრონომის ვორონცოვ-ველიამინოვის აზრით, კომეტა ჰალეას ბირთვის დიამეტრი 30 კილომეტრს აჭარბებს (ტუნგუსური მეტეორიტის ბირთვს 150 მეტრის სიდიდისად ვარაუდობენ) და ეს ბირთვი მრავალი ლოდისგან შედგება, ამასთან, ზოგიერთი ლოდის დიამეტრი კილომეტრსაც აღწევს.

კომეტის საერთო მასა 30 000 000 000 000 ტონას უდრის. კომეტის ბირთვის ერთი „ნამუსრევიც“ რომ ჩამოჰრილიყო ატლანტის ოკეანის მიდამოებში, რამდენიმე ათეული ათასი კვადრატული კილომეტრის მქონე ფართობი შეეძლო გაეტიალე-ბინა!

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

ავლანჯისის დალუპვის მოწყენი

დედამიწისა და კოსმოსური სხეულის შეჯახების ჰიპოთეზაზე დამყარებით შეგვიძლია იმის ახსნასაც შევეცადოთ, თუ რა იყო კლიმატის საკვირველი შეცვლის მიზეზი ატლანტიისის სავარაუდო კატასტროფის ეპოქაში.

გეოფიზიკოსთა აზრით, დედამიწაზე, ყოველ შემთხვევაში — მის ჩრდილო ნახევარსფეროზე მაინც, კლიმატის შეცვლას ადგილი ჰქონია დაახლოებით 12 000 წლის წინათ, როდესაც გაურკვეველი მიზეზით, ტემპერატურა ერთბაშად აწეულა. ამის შედეგი იყო ეგრეთ წოდებული „მყინვარების უკუქცევა“; მანამდე მყინვარები სქელ ფენად აწევ აწინდელი კანადის მთელ ტერიტორიას შეერთებული შტატების ჩრდილო რაიონებითურთ (ალასკის გარდა), აგრეთვე ჩრდილო ევროპას კარპატის მთებამდე და ურალამდე.

ოღონდ ეს კლიმატის პირველი შეცვლა არ ყოფილა ჩვენი პლანეტის ისტორიაში. გამოკვლევა ცხადყოფს, რომ უკანასკნელი, ნახევარი მილიონი წლის მანძილზე დედამიწას გამყინვარების, სულ ცოტა, ოთხი პერიოდი მაინც ჰქონია და ამათგან უკანასკნელი ათეულ ათას წლებს გაგრძელებულა. კლიმატის შეცვლის ამხსნელი რამდენიმე თეორია არსებობს. ზოგიერთის აზრით, ამის მიზეზია მატერიკებისა და ზღვების კონფიგურაციის შეცვლა, რაც ზღვის თბილ და ცივ დინებათა (ჩვე-

ნი პლანეტისთვის ცენტრალური გათბობის როლის შემსრულებელთა) მიმართულებაზეც ახდენსო გავლენას. სხვანი უფრო თბილი თუ უფრო ცივი პერიოდების დადგომას იმით ხსნიან, რომ იცვლება მზის გამოსხივების სახით მიღებული სითბოს რაოდენობა. ამასთან, მეცნიერთა ერთი ნაწილი ამ საქმის გამო პასუხისმგებლობას თავად მზესვე აკისრებს -- ხან მეტ ენერჯიას აფრქვევს და ხან ნაკლებსო, მეორე ნაწილი კი (იუგოსლაველი ასტრონომისა და გეოფიზიკოსის მილანკოვიჩის ჩათვლით) ამას ხსნის დედამიწის ორბიტის მოცულობისა და ფორმის რთული მერყეობით, რომლის დროსაც დედამიწის ღერძის ორბიტისადმი დახრილობის კუთხე და მის მიერ გავლილი გზის კონფიგურაცია პერიოდულად იცვლებაო. დაბოლოს, მესამენი ამტკიცებენ -- კლიმატის ცვლას დედამიწის ღერძის დედამიწის მასისადმი თანდათანობითი გადაადგილება ანუ პოლუსების ხაზის გადაადგილება იწვევსო.

მეცნიერებამ დაადგინა, რომ დედამიწის ბრუნვის ღერძს მუდმივი მდგომარეობა არ ჰქონია. ამ მოვლენას დედამიწის ქერქის მასის განაწილებაში მომხდარი გარკვეული გადაადგილებებით ხსნიან, ამასთან, ამგვარ გადაადგილებათა მიზეზი შესაძლოა ზღვის წყალთა პერიოდული ძვრაც კი იყოს თურმე, რასაც ზაფხულობით პოლარულ მხარეებში ყინულთა დნობა იწვევს. ზუსტი ასტრონომიული დაკვირვებები ცხადყოფს, რომ გეოგრაფიულ პოლუსებს ახლაც არ ჰქონიათ მუდმივი მდგომარეობა; 14 თვის განმავლობაში ისინი თურმე წრეს ავლებენ ცენტრალური წერტილის ირგვლივ და იმ წრის რადიუსი ზოგჯერ 10 მეტრსაც კი აღწევს. პოლუსების ამ რხევას (რასაც გეოგრაფიულ განედთა რხევასაც უწოდებენ) ასტრონომები გულმოდგინედ ადევნებენ თვალს, სპეციალური საერთაშორისო კომისიაც კი არის შექმნილი. ეს მცირე რხევა დედამიწის ცხოვრებაზე რაიმე ზეგავლენას ვერ მოახდენს. მაგრამ: გარდასულ გეოლოგიურ პერიოდებში იქნებ უფრო საგრძნობლად იცვლიდნენ ადგილს პოლუსები?

სახელგანთქმულ ფიზიკოსს ალფრედ ვაგენერს, კონტინენტთა გადაადგილების თეორიის შემქმნელს (1912 წ.), მიაჩნდა, რომ უკანასკნელი გამყინვარების დროს ჩრდილო პოლუსი გრენლანდიის ცენტრში მდებარეობდა, ახლანდელიდან 15°

სამხრეთით. უფრო ახალი დროის მკვლევართაგან უნდა მოვიხსენიოთ ის შედეგები, რომლებიც ამერიკელმა მკვლევარმა ალენ ო'კელიმ მიიღო. უკანასკნელი გამყინვარების ვითარებათა ანალიზის შედეგად იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩრდილო პოლუსი მაშინ კუნძულ აკატოკის რაიონში მდებარეობდა, ნახევარკუნძულ ლაბრადორის ბაფინის მიწასთან შემაერთებელ ჰუძონის სრუტეში, იმ წერტილში, რომლის გეოგრაფიული განედიც ახლა 60 გრადუსია.

ამგვარი ვარაუდებით ადვილად აიხსნება ცივი ჰავის ბატონობა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც გრენლანდია და ჩრდილო ამერიკისა და ევროპის ნაწილი ეკუთვნოდა. აწინდელი პოლუსი ამ ტერიტორიის კიდესთან იყო უფრო ახლოს, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ ციმბირის ვერხოიანსკი, ახლანდელი „სიცივის პოლუსი“, დღევანდელზე 3300 კილომეტრით უფრო შორს იყო გეოგრაფიული პოლუსიდან, 5800 კილომეტრით იყო მას დაშორებული და ზომიერი ჰავის სარტყელში მდებარეობდა, გეოგრაფიული განედის 37°-ზე, ესე იგი როგორც ამჟამად ცენტრალური ჩინეთი, თურქეთი ან სიცილიაა.

ჩრდილო-აღმოსავლეთ ციმბირის ტუნდრით დაფარული მხარე, ახლა რომ მუდმივი გაყინულობის ზონას ეკუთვნის, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში გამყინვარების დროს ტანაყრილი მცენარეულობით ყოფილა დაბურული და ათასგვარი ცხოველებით, მათ შორის უზარმაზარი მამონტებითა და მარტორქებით დასახლებული.

ასე იყო ათასეული წლების წინათ...

ოდონდ როგორ უნდა აიხსნას ჰავის ერთბაშად შეცვლა ამ უვრცეს მხარეებში?

წარმოვიდგინოთ, რომ „...ერთ დღესა და ავბედითს ღამეს...“ მოხდა ეს ამბავი. უზარმაზარი კოსმოსური სხეული (მუჟის მიხედვით — „ასტეროიდი A“, კამენსკის მიხედვით — კომეტა ჰალეას ბირთვის ნაწილი) დედამიწას შეეჯახა, რის შედეგადაც დედამიწა 30°-ით გადაქანდა გარეშე ძალის ზემოქმედების მიმართულებით. რაკი სივრცეში პლანეტის ბრუნვის ღერძის მიმართულება მზის სისტემის მიმართ უცვლელი რჩება, ამ შემთხვევაში პოლუსები დედამიწის ზედაპირის სხვა წერტილში მოხვდებოდა. სინამდვილეში დედამიწის ღერძი კი

არ შეიცვლიდა თავის მდგომარეობას დედამიწის სფეროს მიმართ, არამედ თავად დედამიწა გადაადგილდებოდა უძრავი ღერძის მიმართ.

ამგვარი დაშვებით აიხსნება ის ამბავი, თუ რატომ შეიცვალა ერთბაშად ჰავა, რაც ფაეტონის თქმულებაში ისეა გადმოცემული, რომ უმაღლეს მწვერვალებზე თოვლი დამდნარა, იქ, სადაც წინათ მდინარეები ბობოქრობდა, ყინულის სქელი საფარველი გაჩენილა, ხოლო შორეული ჩრდილოეთის ქურქებში გამოხვეული ბინადარნი მოულოდნელსა და უჩვეულო სიციხეს შეუწუხებია.

დედამიწა აბსოლუტურად მყარი სხეული როდია. ბრუნვის ძალთა ზემოქმედების შედეგად მას პოლუსებთან შეჭყლეტილი ელიფსოიდის ფორმა აქვს მიღებული. ბრუნვის ღერძის მდგომარეობის შეცვლას პლანეტის მასის გადაადგილება უნდა გამოეწვიოს. რასაკვირველია, ამნაირი კატასტროფის შემდეგ დედამიწას ახალი ფორმა რომ მიეღო, საამისოდ დიდი დრო უნდა გასულიყო, მაგრამ აზვირთებული ოკეანე კი უმაღვე დაიძვრებოდა. თუკი კატასტროფის წინ ეკვატორი (რომლის არეში დედამიწას უგრძესი რადიუსი აქვს) ატლანტის ოკეანის წიალ დღევანდელზე 30° -ით სამხრეთით გადიოდა, აქედან აზვირთული ტალღა ატლანტიკაში წაიგრაგნებოდა და ჩრდილოეთ რაიონებიდან აღძრულ ტალღას შეასკდებოდა. უბრალო გამოთვლა გვიჩვენებს, რომ დედამიწის რადიუსი (მანძილი დედამიწის ცენტრიდან მის ზედაპირამდე) ეკვატორთან თითქმის 5000 მეტრით უფრო გრძელია, ვიდრე 30° განეხზე. ოკეანის პირველი ტალღა ამ სიმაღლის მაინც იქნებოდა, უფრო დიდი თუ არა. მას შეეძლო მართო ატლანტისი კი არა, ამერიკისა და ევროპის დაბლობი რაიონებიც წაეღეკა, ხოლო გიბრალტარის სრუტეში შემოჭრილი, პლატონის ნაამბობის არ იყოს, ელადის ნაპირებსაც მოსწვდებოდა.

დედამიწის ახალი ელიფსოიდის ფორმირებას მატერიკთა მნიშვნელოვანი ვერტიკალური და ჰორიზონტალური გადაადგილებაც უნდა მოჰყოლოდა, რასაც უმძლავრესი ბიძგები და ვულკანების ამოფრქვევაც თან ახლდებოდა. დედამიწის ატმოსფეროს ვულკანური მტვერი და გაზები აღავსებდა. თუკი 1902 წელს მარტინიკის კუნძულზე მონ-პელეს ვულკანის ამოფრქვე-

ვიდან რამდენიმე თვის შემდეგაც ვარშავაში მზის გამოსხივების 20 პროცენტით შესუსტება შეინიშნებოდა (ვ. გორჩინსკი), კოსმოსიდან ჩამოჭრილ ობიექტთან დედამიწის შეჯახების შემდეგ ვულკანების ამოფრქვევის შედეგების გამო რაღა ითქმის! ცალკეულ ადგილებში შესაძლოა რამდენიმე დღის განმავლობაშიც კი წყვდიადი ყოფილიყო ჩამოწოლილი.

მონ-პელეს ამოფრქვევის შედეგად წარმოქმნილი გაზების ქიმიურმა ანალიზმა წყალბადი, ნახშირორჟანგა გაზი, ნახშირწყალბადა შენაერთები და არგონი გამოავლინა. ამგვარი ღრუბელი ხალხს, ცხოველებსა და მცენარეულობასაც მოაკვდინებდა.

ატმოსფეროში არსებული მტვერი წყლის ორთქლის კონდენსაციას და, მაშასადამე, გაწვიმებას უწყობს ხელს. უეჭველად აქედან იღებს სათავეს ტრადიციული ამბავი თავსხმა წვიმებით აღძრული წარღვნისა. ვულკანურ მტვერთან ერთად წვიმები ცით ლაფსაც ჩამოიტანდნენ. შესაძლოა ასეც გაჩნდა ლიოსის დანალექი ფენები, რომელთა წარმოქმნაც დღემდე გაურკვეველად ითვლება.

მუკის თეორია დედამიწის „ასტეროიდ A-სთან“ შეჯახებისა და კამენსკის ჰიპოთეზა კომეტა ჰალეას ერთი მოზრდილი „ნამუსრევის“ დედამიწაზე დაცემისა ურთიერთსაწინააღმდეგოა, მაგრამ ორივე მათგანის გამოყენება შეიძლება, როცა 12 000 წლის წინანდელი საიდუმლოს ამოხსნას ვცდილობთ. რომელი გავიზიაროთ ამ ორი თვალსაზრისიდან, რომელი უფრო სარწმუნოა?

„ცუდი ის არის, როცა თეორია ფაქტებს ეწინააღმდეგება. სხვა თეორიებთან შეუსაბამობას არა უშავს“, — წერდა „დედამიწის ფიზიკაში“ (1909 წ.) სახელგანთქმული პოლონელი ასტრონომი და გეოფიზიკოსი მ. რუდსკი.

რაკი ორივე თეორია ნაკლებ სარწმუნოა, დაწვრილებით ნუღარ გავაანალიზებთ მათს ურთიერთშეუსაბამო მხარეებს, მით უმეტეს, რომ კომეტა ჰალეასა და დედამიწის შესაძლო შეჯახებასთან დაკავშირებული გამოთვლები ჯერაც არ დამთავრებულა, ხოლო მუკის ჰიპოთეზის დადასტურება ალბათ საერთოდაც ვერ მოხერხდება.

ახლა კი მოვიტანოთ ორი ისეთი ფაქტი, რომლებიც, ჩვენის აზრით, შეჯახების თეორიის სასარგებლოდ მეტყველებენ.

ზემოთ უკვე ნახსენები მეცნიერული თეორიები უკანასკნელი გამყინვარების დასასრულთან და მის წინა გამყინვარებებთან დაკავშირებით ვარაუდობენ — კლიმატი თანდათანობით უნდა შეცვლილიყო. მაგრამ როგორღა უნდა აეხსნათ ჩრდილო-აღმოსავლეთ ციმბირში მამონტების ვეება სასაფლაოს პოვნა, რაც წარღვნამდელ გიგანტთა მოულოდნელ დაღუპვას მოწმობს?

მამონტების გამო ლეგენდები იქმნებოდა. ადგილობრივი მოსახლეობა ამტკიცებდა — მამონტები თხუნელასავით მიწის ქვეშ ცხოვრობენ და მხოლოდ სიკვდილის წინ ამოდიანო მიწის ზედაპირზე. ზოგიერთი იმასაც ჰყვებოდა — ცოცხალ მამონტს შევხვედრივარო. ამგვარი ამბავი ვითომ ციმბირის დამპყრობ ერმაკსაც მოუსმენია (1580 წლის ახლო ხანს). ადგილობრივი მოსახლენი ალბათ ამით ცდილობდნენ აეხსნათ ის ამბავი, რომ დროდადრო მამონტების კარგად შენახულ ტანს — „ხორცის მთას“ წააწყდებოდნენ ხოლმე. აბა აზრად ვის მოუვიდოდა, რომ ის „ხორცი“ 12 000 წელიწადს იყო ნადები მუდმივ ყინულში!

მაშასადამე, მამონტები მანამდე მოხვედრილან „მაცივარში“, ვიდრე მათი გახრწნა დაიწყებოდა (რაც ნორმალურ პირობებში სიკვდილიდან ათი-ოცი საათის მერე იწყება ხოლმე).

იმ ჰიპოთეზის მიხედვით, რომელიც ამტკიცებს — ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში ჰავა თანდათანობით შეიცვალაო, მამონტების დაღუპვის საიდუმლო ძნელი ასახსნელი იქნება. რატომ სამხრეთს არ მიაშურეს ჩრდილოეთიდან მოახლოებულ სიცივისგან თავის დასაღწევად? საფიქრებელია, რომ ვერც კი მოასწრეს გადახვეწა. კატასტროფას ისეთი არავითარი მოვლენა არ უსწრებდა, მისი მოახლოება რომ ეგრძნოთ, კატასტროფა მათ ანაზღიუღად დასტყდომიათ თავს.

მუკის ჰიპოთეზას თუ ვერწმუნებით, ჩრდილო ნახევარსფეროს კლიმატის შეცვლა შეეძლო გამოეწვია ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში პოლარული „ყინულის ქუდის“ გადაადგილებას დაახლოებით 30 გრადუსით, ლაბრადორიდან ენისეის შესართავის მიმართულებით.

ამ ქუდის ცენტრი უნდა ყოფილიყო გეოგრაფიული პოლუსი, რომელმაც ჰუძონის სრუტიდან იმ ადგილას გადაინაცვლა, სადაც ახლა ჩვენს რუკებზე გეოგრაფიული ბადის ყველა მერიდიანი იყრის თავს. პოლუსის გადაადგილება მაშინ გრინვიჩიდან დასავლეთით 70° მერიდიანის გასწვრივ მოხდა. ამ მერიდიანს საწინააღმდეგო მიმართულებით თუ გავყევით რუკაზე, ლაბრადორის ნახევარკუნძულსა და ატლანტის ოკეანის ყველაზე დასავლეთ უბანს გადავკვეთთ და ბოლოს სამხრეთ ამერიკის მატერიკს მივადწევთ. ბაგამის კუნძულთა სიახლოვეს იმ ადგილსაც ჩავივლით, სადაც, მუკის აზრით, „ასტეროიდი A“ დედამიწას შესკდომია ოდესღაც.

დედამიწის ზედაპირის ჩვენთვის ესოდენ საინტერესო ეს სამი წერტილი—აწინდელი ჩრდილოეთის გეოგრაფიული პოლუსი, ჰიპოთეზური პოლუსი და ასტეროიდისა თუ კომეტის ჩამოვარდნის ადგილი — ერთ მერიდიანზე არის განლაგებული. მაშასადამე, კოსმოსური ობიექტი დედამიწაზე ისე უნდა დაცემულიყო, რომ გარეშე ძალის ზემოქმედება ამჟამინდელი 70-გრადუსიანი მერიდიანის შემხებისადმი მიმართულიყო. ასე რომ ოდინდელი პოლუსის შესატყვისი გეოგრაფიული ბადისადმი მიმართებით ასტეროიდი თუ კომეტის ბირთვის ნაწილი ჩრდილო დასავლეთიდან ჩამოჰრილა.

სამხრეთ ნახევარსფეროშიც საგრძნობი ცვლილებები უნდა მომხდარიყო. ჰიპოთეზური სამხრეთის პოლუსი კუნძულ აკატოკის მოპირდაპირე წერტილში მდებარეობდა, ესე იგი ავსტრალიის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირებიდან სულ 25° -ის სიშორეზე. მაშასადამე, „ყინულის ქუდის“ ცენტრიც იქვე უნდა ყოფილიყო. ეს ქუდი ავსტრალიის ნაპირებსაც სწვდებოდა ალბათ, მაშინ როდესაც ამერიკის სამხრეთი კიდე (ფოლკლენდის კუნძულთა ჩათვლით) და დღესდღეობით ქვეყნიერების ყველაზე ცივი ნაწილის — ანტარქტიდის ერთი მხარე სუბტროპიკულ სარტყელში შედიოდა.

ეკვატორიც სხვაგვარად იქნებოდა გადაჭიმული: აფრიკაში მდებარე კონგოს შესართავიდან აბისინიის ზეგანის წიაღ ადენის ყურეს გაივლიდა, ხოლო აზიაში — მდინარე ინდის შესართავიდან ჰიმალაის წიაღ მდინარე იანძის შესართავს მისწვდებოდა. ამჟამად ეკვატორის ჩრდილოეთით მდებარე

კომეტის ორბიტა



კომეტა პალეას ორბიტა.

ფილიპინები, მარიანისა და მარშალის კუნძულები ძველად სამხრეთ ნახევარსფეროში იქნებოდა. შემდეგ ეკვატორი პოლინეზიის არქიპელაგს გადასერავედა, აღდგომის კუნძულს იქვე ჩაუვლიდა და სამხრეთ ამერიკას დაახლოებით ამჟამინდელი 30-ე პარალელით გადაკვეთდა, ხოლო შემდეგ წმინდა ელენეს კუნძულით აფრიკის მატერიკს დაუბრუნდებოდა.

ქვეყნიერების უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა (ევერესტი) იმხანად ზედ ეკვატორის ხაზზე იყო აზიდული! სწორედ ასევე ოდინდელი ეკვატორის ორსავე მხარეს სიმეტრიულად აღმართულიყო სამხრეთ ამერიკის ორი უდიდესი მწვერვალი — ოხოს-დელ-სალადო და აკონკაგუა. აწინდელ რუკაზე თითქოს შემთხვევით მიმოფანტული ეს მთები ჩვენი პლანეტის 12 ათასი წლის წინანდელ მაქსიმალურ რადიუსის ხაზს მიგვანიშნებენ.

ყოველივე, რაც დედამიწის ბრუნვის ღერძის შეცვლასთან დაკავშირებით ითქვა აქამდე, 12 000 წლის განმავლობაში „ყინულის ქუდის“ გადაადგილების გეოფიზიკით დადგენილ ფაქტს ემყარება. მეცნიერების მიერ აღიარებულ თეორიათა თანახმად, ეს გადაადგილება თანდათანობით ხდებოდა. მამონტების ჩაყინულ სხეულთა მიკვლევა გვაფიქრებინებს, რომ გადაადგილება ერთბაშად უნდა მომხდარიყო, ხოლო რაკი ეს ამბავი პლატონის მონათხრობში მითითებულ თარიღს თანხედება, ჩვენს თავს უფლება მივეციტ ატლანტისის დაღუპვის მიზეზად ქცეულ მოვლენებთან დაგვეკავშირებინა იგი. მომავალი გვიჩვენებს, რამდენად სარწმუნოა ჩვენი ჰიპოთეზა ან რა იყო კატასტროფის მიზეზი.

მეორე ფაქტი, რომელიც ატლანტისის დაღუპვის „კოსმოსური“ თეორიის დამამოწმებლად შეიძლება გამოდგეს, ეგვიპტური საათის კონსტრუქციის ანალიზიდან გამომდინარეობს.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ეგვიპტელებს შეუქმნიათ დღე-ღამის 24 საათად დაყოფის განსაკუთრებული მეთოდი, რომელიც ასტრონომიაში დღე-ღამის უთანაბრო საათებად დაყოფის სახელწოდებით შევიდა. თავდაპირველად დღე-ღამე ორ ნაწილად იყოფა — დღედ და ღამედ, რომელთა ზღვარად მზის ამოსვლისა და ჩასვლის მთმენტებია მიჩნეული, შემდეგ, თავის მხრივ, დღე და ღამე ოც-ოც ნაწილად — საათებად იყოფა. ხოლო რაკი წლის განმავლობაში დღისა და ღამის ხანგრძლივობა გამუდმებით იცვლება, ამიტომ ეგვიპტური საათებიც სხვადასხვა ხანგრძლივობისა, გახლდათ: ზაფხულობით დღის საათები ღამისაზე გრძელი იყო, ზამთრობით კი პირუკუ. მართალია, ეგვიპტეში ეს სხვაობა იმდენად მკვეთრი არ ყოფილა, როგორცაა, მაგალითად, პოლონეთში, სადაც ზაფხულობით წელიწადის უგრძესი დღე 16 საათსა და 30 წუთს ითვლის, ხოლო მისი მომდევნო უმოკლესი ღამე — 7 საათსა და 30 წუთს; ამის შესაბამისად ზამთრის უმოკლესი დღე და ზამთრის უმოკლესი ღამე 7 საათსა და 30 წუთს და 16 საათსა და 30 წუთს გრძელდება. დღე-ღამის „უთანაბრო“ საათებად დაყოფა ევროპაში დიდად მოუხერხებელი რამ არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქაც კი XV საუკუნის მიწურულამდე ძალაში იყო ამგვარი დაყოფა, როგორც რომაელთა და ბერძენთაგან დატოვებული მემკვიდრეობა, რაც ამ უკანასკნელთ, თავის მხრივ, ეგვიპტელთა მაგალითისამებრ შემოეღოთ.

„უთანაბრო“ საათების მოუხერხებლობა მით უფრო საგრძნობლად ვლინდება, რაც უფრო ვშორდებით ეკვატორს. ლენინგრადის გეოგრაფიულ განედზე ზაფხულის დღის სიგრძე ღამის სიგრძეს ისე მიემართება, როგორც 19 — 5-ს, ხოლო სკანდინავიის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, პოლარული წრის გადაღმა, ზაფხულობით დღე 24 საათს გრძელდება, ზამთრობით კი ღამე გრძელდება ამდენსავე ხანს. ამ შემთხვევაში დღე-ღამის ეგვიპტურ საათებად დაყოფა ყოველგვარ აზრს მოკლებულია.

მაგრამ ეკვატორზე ამ მეთოდის გამოყენება განუწყვეტლივ შეიძლება მთელი წლის განმავლობაში. დღის ხანგრძლივობა იქ მუდამ ლამისას უდრის.

ჩრდილო ეკვიპტეში, ნილოსის დელტის ახლოს, უგრძესი დღისა და უმოკლესი ღამის, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უგრძესი და უმოკლესი დღის მიმართება 14-ის 10-თან მიმართების ტოლია. ხოლო ფარაონთა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში დღისა და ღამის ხანგრძლივობის სხვაობა კიდევ უფრო მცირეა. უგრძესი და უმოკლესი დღეები შესაბამისად 13 საათსა და 40 წუთს და 10 საათსა და 20 წუთს შეიცავს.

დღისა და ღამის საათების განსასაზღვრად მათში უხსოვარი ხნიდან არსებულ წყლის საათს იყენებდნენ ეკვიპტელნი. პაპირუსების ჩანაწერთა თანახმად, ეს საათი ღვთაება თოთს შეუქმნია. ეკვიპტურ ღვთაებათაგან უბრძნესი ღვთაება განსაკუთრებით დროის ანგარიშით ყოფილა დაინტერესებული, მას კალენდრის დამწესებლად და დღე-ღამის საათებად დამნაწილებლად მიიჩნევდნენ.

სამწუხაროდ, ჩვენს დრომდე წყლის საათის ცალკეული ეგზემპლარებილა შემორჩა, ისიც უმეტესად მოგვიანო ხანისა. ნაპოვნ ნიმუშთაგან უძველესია კარნაკის ტაძრის (ზემო ეკვიპტე) საათი, რომელიც ამენხოტეპ მეორის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1415—1380 წწ.) მეფობის ხანას ეკუთვნის და ამჟამად კაიროს მუზეუმში ინახება. ბედნიერი შემთხვევის წყალობით შემორჩენილა აგრეთვე ამ ტაძრის საათის აღწერილობა, რომელიც მის გამომგონებელს, ამენხოტეპ პირველის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1555—1534 წწ.) კარის ვეზირს უფლისწულ ამენემხეტს თავისი ხელით შეუდგენია. მის მიერ მოხდენილი გაუმჯობესება იმით გამოიხატებოდა, რომ მისი საათი გამუდმებით, მთელი წლის განმავლობაში ზუსტ დროს უჩვენებდა, მიუხედავად იმისა, რომ საათების ხანგრძლივობა წელიწადის დროისდა მიხედვით იცვლებოდა. უფლისწული ამენემხეტი საათის სრულყოფის საქმეში თავის დამსახურებას დიდად აფასებდა და ეს აღწერილობა საფლავშიც თან ჩაუტანია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

აღწერილობა გვამცნობს — ძველი საათი ნაკლებ ზუსტი იყო, წყლიანი კუროკლის ფსკერი ბევრგან უნდა გაეხვრიტათ

და ამ ნახვრეტთაგან მხოლოდ ერთს იყენებდნენ მუდამ, წელიწადის აღებული დროის შესატყვისსო. ხოლო ამენემხეტის საათი საყვავილე ქოთნის ფორმისა ყოფილა და ფსკერზე ერთადერთი ნახვრეტი ჰქონია დატანებული. დრო ჰურკლის შიდა მხარეს მახვილგონივრულად შედგენილ სკალაზე წყლის დონის მიხედვით განისაზღვრებოდა.

ამენემხეტის საათს ამდენ ყურადღებას არ დაუთმობდით, მისი შემქმნელის აკლდამაში ნაპოვნი პაპირუსი უაღრესად საგულისხმო მოკლე ცნობას რომ არ შეიცავდეს.

თავისი საათის მოქმედების პრინციპს რომ აღწერს, ამენემხეტი გვამცნობს — უგრძესი დღისა და უმოკლესი დღის ხანგრძლივობის მიმართება 14 : 12-ის ტოლად დავსახე, ამასთან, ეს ციფრები ეგვიპტური საღვთო წერილიდან ავიღეო.

ამ ჩანაწერების შემცველი პაპირუსები, სამწუხაროდ, ჩვენს დრომდე აღარ შემონახულა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამგვარი მიმართება მრავალი საუკუნის განმავლობაში კანონი იყო ეგვიპტური საათებისთვის. მას მხოლოდ წყლის საათში კი არა, აგრეთვე უთანაბრო საათების აღმნიშვნელ მზის საათშიც იყენებდნენ. 14-ის 12-თან მიმართებას ზაფხულის დღის ხანგრძლივობად 12 საათი და 55 წუთი, ხოლო ზაფხულის ღამისა — 11 საათი და 5 წუთი შეესატყვისება (რად თქმა უნდა, ჩვენი გამოხატულებით). აღვილი გამოსათვლელია, რომ ამგვარი მიმართება ფარაონთა სახელმწიფოს არც ერთ მხარეს არ შეესაბამებოდა (ამ სახელმწიფოს უდიდესი ტერიტორიული აყვავების ეპოქაშიც კი), იგი ნილოსის იმ ნაწილს მიესადაგებოდა მხოლოდ, რომელიც ეგვიპტის სამხრეთ საზღვრიდან კიდევ სამხრეთით მდებარეობს 1000 კილომეტრზე.

ნაშრომში „Die Geschichte der Sternkunde“ (1931 წ). პროფესორი ერნსტ ცინერი დაწვრილებით განიხილავს ეგვიპტური საათის ხსენებული კანონიდან გამომდინარე უზუსტობას. იგი აღნიშნავს, რომ თანაფარდობა 14 : 12 ყველა კონსტრუქციის ეგვიპტური საათისთვის მუდამ ამოსავალი იყო აღექსანდრე მაკედონელის მიერ ეგვიპტის დაპყრობამდე, როცა ეგვიპტური კულტურა ბერძნულის ზეგავლენის ქვეშ მოექცა. ამის შემდეგლა დაიწყეს საათების კონსტრუირება 14 : 10 თა-

ნაფარდობით; რაც ალექსანდრიის გეოგრაფიული განედის შესატყვისიაო.

ოლონდ ძნელი წარმოსადგენია, რომ ეგვიპტელ ასტრონომებს, რომლებსაც შეეძლოთ წელიწადის ხანგრძლივობა დიდი სიზუსტით განესაზღვრათ (თუმცა ყოველდღიური მიზნებისთვის ისინი გამარტივებულ ანგარიშს იყენებდნენ — 365-დღიან წელიწადს), პირამიდების ორიენტაცია ქვეყნის მხარეთა მიხედვით მოეხდინათ და აგრეთვე მზის დაბნელების დღეები ეწინასწარმეტყველებინათ, ძნელი წარმოსადგენია არ სცოდნოდათ, რომ მათი საათი გეოგრაფიული განედის 15°-ს შეეფერებოდა მხოლოდ. როგორც ჩანს, ეგვიპტელმა ქურუმ-ასტრონომებმა ჩინებულად უწყოდნენ, რომ მათი საათის სკალა მცდარ პრინციპს ემყარებოდა, მაგრამ, კალენდრის არ იყოს, რაღაც მიზეზის გამო მისი შეცვლა შეუწყნარებლად მიაჩნდათ. ეს ტრადიციით დატული „წმიდა რიცხვი“ იყო.

საათების ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომში¹ ამ წიგნის ავტორმა ვარაუდი გამოთქვა, რომ, რაკი მე-15 პარალელი, რომლისთვისაც კანონი 14 : 12 სავსებით შესაფერისია, მწვანე კონცხის კუნძულებსა და მიას ქვეყანაზე გადის, სწორედ იქვე უნდა ვეძებოთ მისი წარმოშობის საიდუმლო. ეს კიდევ ერთი ფაქტია იმის დასადასტურებლად, რომ ოკეანით გათიშულ ორ კონტინენტზე უსაჩინოესი ცივილიზაციის შემქმნელი ორი ხალხი რაღაცით დაკავშირებული ყოფილა ერთიმეორესთან. ამ კავშირის სასარგებლოდ მეტყველებს მიას ხალხისა და ეგვიპტელების თითქმის იდენტური კალენდარი, ნაკიანი წლებისა და წელიწადის დამლევს ხუთი „ავბედითი“ დღის შემცველი. ოლონდ ამ ჰიპოთეზის სუსტი მხარე ის გახლავთ, რომ მიას ხალხს თითქოს არავითარი საათი არ ჰქონია. ისიც ცნობილია, რომ მექსიკაში დღე-ღამეს ცოტათი სხვაგვარად ჰყოფდნენ საათებად: დღე ცამეტ საათად განიწვალებოდა, ხოლო ღამე — ცხრა საათად, თუმცა „უთანაბრო“ საათების ბრინციპი აქაც იყო ძალაში. „უთანაბრო“ საათებს იაპონიაშიც იყენებდნენ და, თუკი, რაღა თქმა უნდა, რომაელებს, ბერძნებსა და ამ ნიმუშის მათგან გადამღებ სხვა ხალ-

¹ L. Zajdlér, Dzieje zegara, Warszawa, 1956.

ხებს არ მივათვლით, სხვაგან ამგვარი საათები არსად ყოფილა ცნობილი.

ისენებული ვარაუდი ავტორმა ზემოთაც გაიმეორა, „ციფრების მისტიკის“ თავში, თუმცა მაინცდამაინც ხაზი არ გაუსვია მისთვის. რადგან ატლანტიისის დაღუპვის კოსმოსურ მიზეზთა მომხმობი ჰიპოთეზის შუქზე საქმე ცოტათი სხვაგვარადაა.

თუკი 12 000 წლის წინათ — კლიმატის უდიდეს ცვლილებამდე — ჩრდილოეთის პოლუსი ჰუძონის სრუტეში, კუნძულ აკაატოკის სიახლოვეს მდებარეობდა, ევკატორის ზაზსაც სხვაგან უნდა გაეგლო და არა აწინდელ მიდამოში. ხოლო ამის შესაბამისად შედგენილი გეოგრაფიული ბაღის მიხედვით მე-15 პარალელი, რომლისთვისაც საათის ეგვიპტური კანონი საესებით შესატყვისაა, კარნაკიდან სამხრეთით სულ 75 კილომეტრზე მდებარეობს, კარნაკი კი ის ადგილი გახლავთ, სადაც უძველესი წყლის საათი იპოვნეს. კიდევ უფრო ახლოს, 20 კილომეტრზე, ამჟამად გაშენებულია პატარა არაბული ქალაქები — ედფუ და ელ-ქაბი, სადაც, როგორც ფიქრობენ, „წინარეისტორიულ“ ხანაში, პირველი დინასტიის მბრძანებელთა უკვე დათარიღებულ პერიოდამდე, უნდა არსებებულიყო ზემო ეგვიპტის უძველესი სატახტო ქალაქი — ნეხბეტი.

ამრიგად, თუ ვივარაუდებთ, რომ ჩრდილოეთის გეოგრაფიული პოლუსი საიმდროოდ ჰუძონის სრუტეში უნდა ყოფილიყო, მაშინ ეგვიპტური საათის „კანონი“ სამხრეთ ეგვიპტისთვისთვის დღე-ღამის მართებულ დაყოფას შეესატყვისება. ხოლო თუკი ეს მართლაც ასეა, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ფარაონთა მთელ სახელმწიფოში გავრცელებული პრინციპი ეგვიპტური საათის კონსტრუქციისა სწორედ ეგვიპტეშივე შემუშავებულა ჯერ კიდევ პოლუსების გადაადგილებამდე და კლიმატის შეცვლამდე, ესე იგი ატლანტიისის დაღუპვამდე.

თ ა ვ ი მ ე ი ძ მ ს ა

ან იქნებ მიწისძვრა იყო?

წარღვნის უამრავი მითი და ლეგენდა მიწისძვრასაც იხსენიებს. მოდი, სეისმოლოგიის თვალსაზრისით განვიხილოთ ატლანტისის დაღუპვა.

მიწისძვრების დროს მიწის წიაღში დაფარული ენერჯია ვლინდება. მისი მარაგი სავსებით საკმარისია საიმისოდ, რომ კოსმოსურ სივრცეში არ ვეძიოთ ატლანტისის დაღუპვის მიზეზები.

მუჟის თანახმად, „ასტეროიდ A-ს“ კოსმოსურ ჰურვს $2 \cdot 10^{19}$ კგმ უნდა ჰქონოდა. შესაძარებლად უდიდეს მიწისძვრათა ძალის ზოგიერთი მაჩვენებელი მოვიტანოთ (კგმ-ებად):

- 1755 წლის 1 ოქტომბერი, ლისაბონი — $1,9 \cdot 10^{17}$;
- 1906 წლის 18 აპრილი, კალიფორნია — $1,8 \cdot 10^{16}$;
- 1908 წლის 28 დეკემბერი, კალაბრია — $5,8 \cdot 10^{15}$;
- 1914 წლის 4 მარტი, იაპონია — $5,6 \cdot 10^{14}$.

იმ სტიქიურ უბედურებათაგან, რაც კაცობრიობას შეიძლება დაატყდეს თავს, მიწისძვრა ერთი უსაზარლესია. ვულკანური ამოფრქვევისგან განსხვავებით, მიწისძვრა მოულოდნელად ხდება ზოლმე, ისეთი არაფერი უსწრებს წინ, რაიც ხალხს ხიფათის მოახლოებას ანიშნებდეს. ლისაბონის მიწისძვრის დროს ნახევარმილიონიანი ქალაქის მოსახლეობის ნაწილი

ეკლესიებში იმყოფებოდა — მიწისძვრა უქმე დღეს მოხდა; 50 000 სული დაიღუპა, ამათგან უმრავლესობა ეკლესიათა ნანგრევებმა დაიტანია. რამდენიმე წუთიც და ქალაქს აზვირთებული ზღვა მოასკდა (მიწისძვრა მხოლოდ ხმელეთზე კი არა, ატლანტის ოკეანის ფსკერზეც გავრცელებულიყო). ვინც ქალაქში ნანგრევებქვეშ მოყოლის შიშით ნაპირისკენ გარბოდა, ისინი მომწყდარმა ზვირთებმა ჩალებეს ზღვაში.

ასეულ ათასობით აღამიანის შემწირველი მრავალი ამგვარი მიწისძვრა იცის ისტორიამ. 520 წელს დაინგრა ქალაქი ანტიოქია, რომელშიც 250 000 სული ცხოვრობდა; 1746 წელს მიწისძვრის მსხვერპლი შეიქნა პერუს დედაქალაქი ლიმა, მის ნანგრევებში 120 000 კაცი დასამარდა; 1906 წელს ერთ-ერთი უდიდესი მიწისძვრა კალიფორნიაში მოხდა და ქალაქი სანფრანცისკო დააქცია; აქ მიწის ქერქში 435 კილომეტრის სიგრძე ნაპრალი გაიჩნდა, ნიადაგის ჰორიზონტალური და ვერტიკალური გადახრებები რამდენიმე მეტრის სიღრმეზე ხდებოდა. ამ გადახრებებს რკინა-ბეტონის შენობებიც კი ვერ გაუმაგრდა. მსგავს კატასტროფებს, ჩვეულებრივ, ხანძრებიც ახლავს ხოლმე, რაც მის მასშტაბებს კიდევ უფრო მეტად ზრდის. ასე განადგურდა 1923 წელს ქალაქი ტოკიო. ამ მიწისძვრას, ტოკიოს გარდა იოკოჰამასაც რომ მისწვდა, ასი ათასზე მეტი კაცი ემსხვერპლა.

მიწისქვეშა ძალები განსაკუთრებით დედამიწის ზოგიერთ მხარეს ეტანება, მაშინ როდესაც სხვა რაიონებს თათქოს კეთილი ღვთაებანი მფარველობენ.

რუკაზე წარმოდგენილია ძირითადი სეისმური რაიონები: ერთი მათგანი მატერიკს გასდევს, სამხრეთ ევროპას, მცირე აზიას, ჰიმალაის, ინდოეთსა და ინდონეზიის კუნძულებს მოიცავს; მეორე წყნარ ოკეანეს შემოაკალვია, აზიის აღმოსავლეთ ნაპირებსა და მთელი ამერიკის დასავლეთ სანაპიროს მიუყვება; დაბოლოს, მესამე ატლანტის ოკეანის ცენტრში გადის. მეტიც, ეს რაიონი ისეთ სარტყელს ქმნის, რომელიც ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის სამხრეთ კიდიდან გამოწოლილა და ატლანტის ოკეანის ყველაზე თხელ ადგილებს თანხვედება. მრავალი ატლანტოლოგის აზრით, სწორედ ამ რაიონში უნდა ყოფილიყო განთენილი ატლანტისი.



პოლუსების და ეკვატორის მდებარეობა ატლანტიკის ჰაბიტატურ კატატროფამდე. N — ოდინდელი P — აწინდელი ჩრდილო პოლუსი, S — ოდინდელი სამხრეთ პოლუსი.

მიწისქვეშა ბიძგების ძალის განსასაზღვრად სპეციალური თორმეტბალიანი სკალა არსებობს. ერთი ბალი ბიძგის ისეთი ძალაა, უმგრძნობიარეს ხელსაწყოთა შემწეობით რომ აღიქმება მხოლოდ. ხუთ ბალამდე (ჩათვლით) ძალის მიწისძვრები კაცთათვის სახიფათო არაა. მართალია, ხუთბალიანი მიწისძვრისას აბაჟურები კი აქანავდება ხოლმე, მაგრამ ქუჩაში ბიძგი ძლივს შეინიშნება. ამგვარ ბიძგს ცხოველები უკეთ შეიგრძნობენ, ეტყობა, ამ მხრივ მათი მგრძნობელობა ადამიანისას

სქარბობს. რვაბალიანი მიწისძვრისას ნაკლები სიზქტიციის შენობები ინგრევა, უფრო მაგარნი კი იზზარებთან. ათბალიანი მიწისძვრის დროს კატასტროფა სტიქიური უბედურების მასშტაბებს აღწევს, მით უმეტეს, თუ მკიდროდ დასახლებული რაიონები მოიცვა. ხოლო თერთმეტ და თორმეტბალიანი მიწისძვრები მხოლოდ იმას კი არ აცამტვერებენ, რაც ადამიანის ხელით არის შექმნილი, არამედ თავად ბუნების ქვნილებებსაც: მიწა განიპობა, მთის ფერდობები ჩამოიქცევა და ასე შემდეგამგვარი ბიძგებით გარემო ერთიანად გატიალდება ხოლმე.

მიწისძვრა, რომელსაც ისეთი ნგრევა შეეძლო გამოეწვია, თავისი მასშტაბით ატლანტისის კატასტროფას რომ გაუტოლდებოდა, კიდევ უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო, თუკი სხვა სტიქიური უბედურება, მაგალითად, ვულკანას ამოფრქვევაც არ დაერთვოდა ზედ. მეცნიერება მიწისძვრათა სამ სახეობას განასხვავებს: პირველია მიწისქვეშა გამოქვაბულების ჩამოქცევით აღძრული მიწისძვრები, მეტწილად ადგილობრივი ხასიათისა; მეორე ჭგუფში შედის ტექტონიკური ხასიათის ბიძგები, მიწის წიაღში მომხდარი რღვევის შედეგად წარმოქმნილი. ამ ჭგუფს განეკუთვნება უდიდესი მიწისძვრები, რომლებიც უკანასკნელ ხანებში იაპონიაში მომხდარა, აგრეთვე კალიფორნიის ზემოხსენებული მიწისძვრა; მესამე ჭგუფში ის მიწისძვრები შედის, რომლებიც ვულკანურ ამოფრქვევას ახლავს ხოლმე. მათ ადგილობრივი ხასიათი აქვთ, მაგრამ გიგანტური ნგრევაც შეუძლიათ გამოიწვიონ, ატლანტისის დაქცევის მსგავსი. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ კრაკატაუს ვულკანის ამოფრქვევა 1883 წელს. ეს ვულკანი ამავე სახელწოდების მცირე კუნძულზეა ზონდის სრუტეში, იავასა და სუმატრას შორის. ადგილობრივ ენაზე კრაკატაუ „გაყუჩებულ მთას“ ნიშნავს. მართლაც, 1684 წლის შემდეგ სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობოდა ამ მთას. 1883 წლის აპრილშიდა „გამოცოცხლდა“. გაჩნდა მისი ამოქმედების პირველი ნიშნები — მიწისქვეშა გუგუნნი გაისმა, კრატერიდან კვამლისა და ფერფლის ბოლქვები ამოიმართა. ამოფრქვევა 20 მაისს დაიწყო და 27 აგვისტომდე გრძელდებოდა. კვამლის სვეტი 11 კილომეტრზე ავიდა იმთავითვე, გრიალი თხუთმეტ, ბოლოს კი ოცდაათ კილომეტრზე ისმოდა.

ამოფრქვევის სურათი სამი თვის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა. ოღონდ კუნძულზე სამი ვულკანი იყო — რაკატა, დანანი და პერბუატანი; ორი უკანასკნელი აგვისტოს დამდეგს მოისპო — ზღვაში გაუჩინარდა. 26 აგვისტოს „ნამღვილი“ ამოფრქვევა დაიწყო. კრატერიდან ამოჭრილი ფერფლისა და კვამლის სვეტმა სიმაღლით 33 კილომეტრს აღწია და სუმატრასა და იავას გადაეფრქვია. კუნძულს მტვერი და ფერფლი სქლად წაეფინა. და ლამის სრულმა წყედიადმა მოიცვა. მტვერს შერეული მაკონდენსირებელი წყლის ორთქლი ტალახის წვიმად წამოვიდა.

მომდევნო დღის 10 საათისთვის გამაყრუებელი გრგვინვა გაისმა. კუნძულის ნახევარი პაერში აიტყორცნა. ზღვაში ძაბრი გაჩნდა, იმ ძაბრს დიდძალი წყალი მიასკდა და ამის შედეგად 38 მეტრის სიმაღლე ტალღა აღიძრა. ეს ტალღა მეზობელი კუნძულებისკენ წაიგრავნა და, რაც კი გზად დაუხვდა, ყოველივე წარბოცა — ხალხი, ცხოველები, შენობები. 275 მალაიური სოფელი მიწის პირისაგან აღიგავა და 36 000 კაცი დაიღუპა.

ნეორე დღეს ყოველივე დაცხრა, ვულკანების ამოფრქვევა ამით დამთავრდა. იმ ადგილას, სადაც ოდესმე დანანის კრატერი აღმართულიყო, სამასმეტრიანი ღრმული გაჩნდა! სანაპიროს მოზაზულობა შეიცვალა. ხმელეთის ნაწილი, წინათ რომ 822 მეტრის სიმაღლემდე იყო აზიდული, წყალქვეშ დაინთქა. ამავე დროს, კუნძულის სამხრეთ მხარეს ზღვის ფსკერი ამოიბურცა და ამით კუნძულს განი მოემატა. საერთოდ კი 33,5 კვადრატული კილომეტრი ფართობის მქონე კუნძულისგან მისი მესამედიდა დარჩა. 18 კმ³ ვულკანური პროდუქტი პაერში აიტყორცნა და 500 კილომეტრის რადიუსზე ფერფლის ფენა და უწვრილესი მტვერი წააფინა არემარეს.

გავიხსენოთ პლატონის სიტყვები: „ამიტომაა იქაური ზღვა დღესდღეობით სანაოსნოდ გამოუსადეგარი და გამოუკვლეველი: ნაოსნობას აფერხებს შემდგარი ლაფის სიმრავლე, რაიც ჩაძირული კუნძულის შემდეგ დარჩენილა“.

გრგვინვა ვეება სივრცეს მოეფინა, დედამიწის სფეროს მეთხუთმეტედი ნაწილის ტოლ ფართობს, 4000-მდე კილომეტრის სიშორეს მიადწია, ხოლო პაერის ტალღამ შეიღჯერ შემოუარა დედამიწას ბუნების უჩვეულო მოვლენის მაცნედ. 570

კილომეტრ-საათის სიჩქარით გავრცელებულმა ზღვის ტალღამ წყნარი ოკეანე გადასერა და ამერიკის დასავლეთ სანაპიროს მიეფშვნა. საწინააღმდეგო მიმართულებით — დასავლეთით დაძრულმა ტალღამ ინდოეთის ოკეანე გადაჭრა, მთელი ატლანტიკის ოკეანე განვლო (საფრანგეთის ნაპირებსაც კი მისწვდა) და ამერიკის აღმოსავლეთ ნაპირს მიაღწია. პანამის არხის მშენებლობაზე მომუშავეებს 40 სანტიმეტრის-სიმაღლე ტალღა შეუმჩნევიათ იქ.

კრაკატაუს ვულკანის ამოფრქვევა ამგვარ მოვლენათაგან უძლიერესად არის მიჩნეული. მაგრამ ისტორია გვამცნობს, რომ უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში სხვა მსგავსი ამოფრქვევებიც მომხდარა და, მათი შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი ნაკლებ მძვინვარენი როდი ყოფილან. 1835 წელს ნიკარაგუაში ამოხეთქა ვულკანმა. მიწისქვეშა ბიძგი ვულკანიდან 450 კილომეტრზეც იგრძნობოდა თურქე, ხოლო გრგვინვა 2000 კილომეტრზეც გაისმო. ჰაერში ატყორცნილ პროდუქტთა მოცულობად 50 კმ³-ს ვარაუდობენ, რაც კრაკატაუსას სამჯერ აღემატება. სუმბავას კუნძულზე (მალაის არქიპელაგი) ვულკანის ამოფრქვევას 60 000 კაცი შეეწირა. ეს ამოფრქვევა (1815 წ.) რამდენსამე თვეს გრძელდებოდა და მისი ხმა თითქმის 1600 კილომეტრზე ისმოდა. სულ 150 კმ³ ფერფლი ამოიტყორცნათ.

ვულკანურ პროდუქტთა ამოტყორცნის მოცულობა საშუალებას გვაძლევს კრაკატაუს ამოფრქვევის ძალა გავიანგარიშოთ. ეს $7,2 \cdot 10^{17}$ კგმ-ს უდრის, რაც ძლიერი მიწისძვრის ძალის ბადალია.

ჩვენთვის ცნობილია მიწისძვრათა შედეგები, ვიცით, რომელ მხარეებს უფრო ეტანებიან ისინი, ისიც შეგვიძლია, მათი ძალა გამოვთვალოთ, ოღონდ მიწისძვრათა მიზეზები ჯერაც ვერ აგვიხსნია. ცნობილია, რომ მიწისძვრას წიაღში მომხდარი გადანაცვლებანი იწვევენ, ოღონდ თავად გადანაცვლებებს რაღა იწვევს, ეს დაბეჯითებით არავინ იცის.

მატერიალური დამამტკიცებელი საბუთებიც მოიძებნება იმ ჰიპოთეზის სარწმუნოების მხარდამჭერად, რომლის თანახმადაც ატლანტიკის დამტყდარი კატასტროფა სეისმური ხასიათისა ყოფილა. 1898 წელს ატლანტიკის ოკეანის შუა ადგილას, აზო-

რის კუნძულთაგან ჩრდილოეთით სატელეგრაფო კაბელი გამ-
წყდარა. ოკეანის ზედაპირზე მის ამოქაჩვას რომ ცდილობდნენ,
ფსკერიდან სხვადასხვაგვარი საგნებიც ამოაყოლეს, მათ შო-
რის — ნამტვრევი გაციებული ლავისა, რომელიც საუკუნეთა
განმავლობაში 2000 მეტრზე ღრმა ადგილას იდო ფსკერზე.
სხვა ნადავლთან ერთად ეს ნატეხიც პარიზს ჩაიტანეს და სამ-
თო ინსტიტუტის მუზეუმში მოათავსეს.

ათიოდე წლის შემდეგ ფრანგმა გეოლოგმა პიერ ტერმიემ
ის ნატეხი გააანალიზა და დაადგინა, რომ ეს ვულკანური ლავის
ნატეხი იყო უეჭველად. რაკი ნატეხი ფსკერიდან იქნა ამოღე-
ბული, იმ მიდამოში ოდესღაც მოქმედი ვულკანები უნდა ყო-
ფილიყო. გარნა ნატეხის სტრუქტურამ ცხადყო, რომ ლავის
ციცნლოვან-თხიერი მღვგომარეობიდან მყარად გარდაქმნა
წყალში კი არა, ჰაერზე მომხდარა. მაშასადამე, ლავა რომ ცივ-
დებოდა, ვულკანის კრატერი ზღვის ღონეზე მდლა ყოფილა
მოქცეული.

მოპოვებული ნატეხი საშუალებას იძლევა ის დროც განი-
საზღვროს მიახლოებით, როცა ატლანტის ოკეანის ცენტრში
ვულკანი ამოფრქვეულა. ეს გახლავთ ეგრეთ წოდებული ტაქი-
ლიტი — მინისებური ბაზალტის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც
წყალში სახეს იცვლის ხოლმე.

ტერმიე აღნიშნავს — ტაქილიტის სრული შეცვლის პერიო-
დი 15 000-მდე წელიწადს შეადგენსო. ამრიგად, ვულკანი ამა-
ზე ადრე რომ ამოფრქვეულიყო, იმ ტაქილიტისგან აღარაფერი
დარჩებოდა. მაშასადამე, ამოფრქვევა იმ დროზე ადრე ვერ
მონხდებოდა (ხოლო ტერმიეს აზრით სწორედ იმ დროს მომხ-
დარა), რომელიც ატლანტისის კატასტროფის პლატონის მიერ
აღნიშნულ ჰიპოთეზურ თარიღს შეესატყვისება.

ატლანტის ოკეანის ფსკერი რამდენიმე ექსპედიციამ გამოი-
კვლია. რაღა თქმა უნდა, მათ მიზნად ის არ დაუსახავთ, რომ
გაუჩინარებული ატლანტისი ეძებნათ — მათი ამოცანა უფრო
სიღრმეთა გაზომვა იყო. მაგრამ ისინი ზღვის ფსკერიდან გრუნ-
ტის ნიმუშებს იღებდნენ, წყლის ტემპერატურას ზომავდნენ,
ღინებებს იკვლევდნენ და სეისმოლოგიურ დაკვირვებებს აწარ-
მოებდნენ.

პირველი იყო ინგლისური გემის „ჩელენჯერის“ ექსპედი-

ცია, რომელმაც 1872-1876 წლებში ატლანტის ოკეანის სიღრმე გაზომა გიბრალტარიდან კანარის, მწვანე კონტის, აზორის კუნძულების გავლით ბერმუდის კუნძულებამდე. ექსპედიციამ სულ 8000-მდე მილი გადალახა ოკეანის სიგრძე-სიგანეზე და 370 ადგილას მოახდინა ზონირება. მაშინ მსოფლიომ პირველად შეიტყო, რომ ატლანტის ოკეანის ფსკერზე თურმე მთები ყოფილა.

მომდევნო წლებშიც არაერთხელ მოეწყო ამგვარი ექსპედიციები. ეს იყო ინგლისური ხომალდი „ჰიდრა“, ამერიკული გემები „დოფინი“ და „გეტისბურგი“, აგრეთვე გერმანული „გაზელე“. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე საექსპედიციოდ გაეშარა გერმანული გემი „მეტეორი“, რომელიც თანადროული აღჭურვილობით იყო უზრუნველყოფილი. ფსკერის სიღრმე სულ 10 000-ჯერ გაზომეს ეგრეთ წოდებული ექოლოტის მეშვეობით, რამაც შესაძლო გახადა ატლანტის ოკეანეში მალღობებისა და დაბლობების განლაგების ჩინებული გეგმა შედგენილიყო. კერძოდ, 1938 წელს, როცა ექსპედიცია ჩრდილოეთის განედის 30°-სა და დასავლეთის გრძედის 28° 30′-ზე იმყოფებოდა (აზორის კუნძულების სამხრეთით 800-მდე კილომეტრზე), აღმოაჩინეს არანაკლებ 40 მილის (75 კილომეტრის) სიგრძე მეჩეჩი, რომელსაც მეტეორის დიდი მეჩეჩი ეწოდა. იმ ადგილთან მისვლამდე ექოლოტი 4000-მდე მეტრ სიღრმეს უჩვენებდა. ორ საათს გემის ცურვის შემდეგ ფსკერას სიღრმე 262 მეტრამდე შემცირდა და 40 მილის მანძილზე ასეთივედ დარჩა, რაც იმას ნიშნავდა, რომ იმ ადგილას წყალქვეშა მეჩეჩი იყო. 280 მეტრის სიღრმიდან ამოდებული გრუნტის ნიმუშებში მარჯნები აღმოჩნდა. ეს კი იმას მოწმობდა, რომ აქ ფსკერის დონე დაბლა დაწეულიყო, რადგან მარჯანი 40 მეტრზე უფრო ღრმად ვეღარ ცოცხლობს. ფსკერის დაწევა თუ ზღვის დონის ამალეება ერთბაშად უნდა მომხდარიყო, რადგან თანდათანობითი პროცესის დროს მარჯნები თავიანთ კოლონიას ზემოდან ახალს დააშენებდნენ, როგორც წყნარ ოკეანეში ხდება ეს.

1947-1948 წლებში შვედური ხომალდი „ალბატროსი“ პროფესორ ხ. პეტერსონის სამეცნიერო ხელმძღვანელობით ზომავედა ფსკერს. ტრასა ამგვარი იყო: კანარის კუნძულები —

მწვანე კონცხის კუნძულები — ამალეების კუნძული, შემდეგ მთელი ოკეანის წიად თვით ბრაზილიის ნაპირებამდე, ხოლო აქედან 1000 კილომეტრის გავლით — აზორის კუნძულები. ექსპედიციამ ოკეანის სხვადასხვა ადგილას ამოიღო გრუნტის ნიმუშები. მათგან ზოგიერთი, კერძოდ, აზორის კუნძულების რაიონში მოპოვებული, ვულკანური წარმოშობისაა. მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ, როგორც პეტერსონი ამტკიცებს, ატლანტის ოკეანის ამ ნაწილში ვულკანური მოქმედება გამყინვარების შემდგომ ეპოქაში ყოფილა, ჩვენ კი ვიცით, რომ გამყინვარების პერიოდი ჩვენს წელთაღრიცხვამდე ათი ათასი წლის წინათ დამთავრდა.

ამ უკანასკნელ ხანს ატლანტის ოკეანის ფსკერს საბჭოთა ექსპედიცია ხომალდ „ვიტიაზით“ (1949 წ.) იკვლევდა, ხოლო დანიელებისა — ხომალდ „გალათეათი“ (1951 წ.). საბჭოთა ექსპედიციამ გემ „სადკოზზე“ აფრიკის დასავლეთით საგულისხმო შედეგები მოიპოვა. რადიოაქტიური დანალექების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ცენტრალური ამერიკის ნაპირებიდან აზიის ჩრდილო ნაპირებამდე ამავალი თბილი დინება გოლფსტრიმი სულ 10 000-12 000 წელიწადია არსებობს თურმე! საბჭოთა სწავლულმა ეკატერინა ჰაგემანისტერმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ მყინვარების დნობის დამაჩქარებელი ზღვის თბილი დინება არქტიკისკენ მას შემდეგ დაიძრა, რაც ატლანტიისი ჩაიძირაო.

საინტერესო იყო ატლანტის ოკეანეში მოწყობილი ექსპედიცია ინგლისური გემის „დისკავერი II-ისა“, რომელმაც 1965 წელს აზორის კუნძულების მიდამოებში გამართა კვლევა-ძიება. გემზე ოკეანოგრაფები, გეოფიზიკოსები და გეოდეზისტები იმყოფებოდნენ. მათს ექსპედიციას ატლანტისის ძიება კი არ დაუსახავს მიზნად (ამგვარი განზრახვა „ალბატროსის“ ექსპედიციის დროს შეიძლებოდა პროფესორ პეტერსონს ჰქონოდა, თავადაც ცნობილ ატლანტოლოგს), არამედ ოკეანის ფსკერის გეოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა. ექსპედიციის ამტკიცანა უფრო გასაგები შეიქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეკიპაჟის წევრებად ნავთობის საბადოთა ძიების ინსტიტუტის წარმომადგენელი იყვნენ ძირითადად.

ზღვის ფსკერის სტრუქტურის გამოსაკვლევად საგანგებოდ


შექმნილ სიღრმისეულ ნათურიან ფოტოაპარატს იყენებდნენ. დიდძალი სურათი გადაიღეს 100-დან 5000-მდე მეტრის სიღრმეზე.

ამათგან ყველაზე საინტერესოა გიბრალტარიდან ჯასავლეთით, ასე, 1000 კილომეტრზე 1500 მეტრის სიღრმეზე გადაღებული ფოტოსურათი. ზედ რამდენიმე უზარმაზარი, ფსკერზე განცალკევებით მდებარე ლოდი მოჩანს. ზოგიერთი მათგანი წყალმცენარეებს დაუფარავს. ამგვარი ლოდები იმას მოწმობს, რომ ატლანტის ოკეანის ამ ნაწილს ოდესღაც სეისმური ძალების თუ ვულკანების მოქმედება განუცლია.

ექსპედიციამ სეისმური კვლევაც აწარმოა ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორსაც ხმელეთზე იყენებენ ხოლმე მსგავს გამოკვლევათათვის. ჯერ აფეთქებას ახდენდნენ, შემდეგ კი ფსკერის სხვადასხვა ფენებში განსაზღვრავდნენ, თუ როგორი სიჩქარით ვრცელდებოდა აფეთქების ტალღა. მიღებულმა შედეგებმა სეისმოლოგები საგონებელში ჩააგდო: ატლანტის ოკეანის ცენტრალური ნაწილი „არატიპიური“ სეისმური რაიონი ყოფილა თურმე.

საგულისხმო კვლევა-ძიება წარმოებს აგრეთვე ზემოთაუკვე არაერთგზის ნახსენები რადიოაქტიური ნახშირბადის მეთოდით. ამ მეთოდს ორგანული ნამარხი საგნების — ცხიველთა თუ მცენარეთა ნაშთების ასაკის განსაზღვრად იყენებენ.

როგორც ცნობილია, ყოველი ცოცხალი ორგანიზმი შეიცავს ნახშირბადს, რომლის ერთ-ერთი იზოტოპი — რადიოაქტიური იზოტოპი C^{14} — დაშლის თვალსაზრისით არის ნიშანდობლივი: 5760 წლის შემდეგ ეს იზოტოპი ორჯერ მცირდება. ჩვენი გარემომცველი ატმოსფერო ნახშირბადის გარკვეულ რაოდენობას ნახშირორჟანგა გაზის სახით შეიცავს. მისი ნაწილი არის სწორედ ის რადიოაქტიური იზოტოპი. ყოველი ცოცხალი ორგანიზმი უშუალოდ თუ არაპირდაპირი გზით ჰაერიდან ღებულობს ნახშირბადს, ამის შედეგად კი ამ ორგანიზმებში რადიოაქტიური ნახშირბადი ისეთივე პროცენტით შედის, როგორითაც დედამიწის ატმოსფეროში. ხოლო იზოტოპ C^{14} -ის რაოდენობისა და ნახშირბადის საერთო რაოდენობის თანაფარდობა ატმოსფეროში მრავალი საუკუნის მანძილზე უცვლელია (ანდა ერთობ მცირე ზომით იცვლება). სიკვდილის მომენტი-



სეისმური რაიონები

შესამჩნევი ეკოლოგიური რაიონები

დედამიწის უმთავრესი სეისმური რაიონები.

დან ორგანიზმი ატმოსფეროდან ნახშირბადას აღარ შთანთქავს, და დაშლის შედეგად ნახშირბადის რაოდენობა ორგანიზმში მცირდება.

ასე რომ ნაპოვნ ორგანულ ნაშთებში ნახშირბად C^{14} -ის რაოდენობა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ — რამდენი წელიწადი გასულა „სიკვდილის“ შემდეგ. ამ მეთოდით განსაზღვრავენ ხოლმე ცხოველთა ჩონჩხებისა თუ კერაზე ნაღები ხის ნარჩენების ასაკს. მეთოდის სიზუსტე 5 პროცენტს არ აღემატება.

ეგვე მეთოდი გამოიყენეს ატლანტის ოკეანის ფსკერზე ნაპოვნ საგანთა ასაკის განსასაზღვრად. გარნა გამოქვეყნებული შედეგები ჭერჭერობით ისეთს არაფერს შეიცავს, რაიც ატლანტისის აღმოჩენაში დაგვეხმარებოდა.

კვლევა-ძიება მექსიკის ყურის რაიონშიც წარმოებდა. გრუნტის ნიმუშები სხვადასხვა სიღრმეზე ამოიღეს. ეს იყო

ნიჟარები (ზღვის ფსკერი უმთავრესად მათგან შედგება). იმის-
და მიხედვით, თუ რა სიღრმეზე მდებარეობენ, ისინი განსხვა-
ეებულე სიდიდისანი არიან და ცხოველურ ორგანიზმთა სხვა-
დასხვა ჯგუფს მიეკუთვნებიან. C¹⁴-ის მეთოდი შესაძლოდ ხდის
განისაზღვროს მათი ასაკი, ხოლო რაკი ამავე დროს ცოცხალ
არსებათა მოცემული სახეობის ცხოვრების წესიც ვიცით, იმის
დადგენაც შეიძლება, თუ როგორი იყო იმ დროს ზღვის ტემ-
პერატურა. აწინდელ ტემპერატურასთან მისი შედარება ოკეა-
ნის ამ ნაწილში მომხდარ ცვლილებათა თვალის გადევნებაშიც
გვიწყობს ხელს.

მასალის სიმცირე დასაბუთებულ დასკვნათა გამოტანის სა-
შუალებას არ იძლევა; კვლევის ეს მეთოდი მხოლოდ იმიტომ
ვახსენეთ, რომ აღგვენიშნა: ამ გზით მიღებულმა შედეგებმა
უახლოეს წლებში შესაძლოა ასე თუ ისე შუქი მოჰფინონ
ატლანტისის საიდუმლოს. დადგენილია, რომ მექსიკის ყურეში
ზღვის წყლის ტემპერატურა შეცვლილა, თანაც ეს ამბავი ათი
ათასზე მეტი წლის წინათ მომხდარა. ეს ამბავი ან გამყინვარე-
ბის პერიოდის დამთავრებას უკავშირდება, ან კიდევ ატლანტი-
სის კატასტროფას. ან იქნებ ორივეს ერთად.

ცხადია, ატლანტისის არსებობის საუკეთესო საბუთი ის
იქნებოდა, ატლანტის ოკეანის ფსკერზე რაიმე იარაღი, საყო-
ფაცხოვრებო ნივთები ან ადამიანის ხელით დამუშავებული ქვა
რომ ეპოვნათ (ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რასაც პაულ
შლიმანი ახსენებს). გარნა ამგვარი ნივთის ატლანტის ოკეანის
სივრცეში ძიება (მაშინ როცა მისი საშუალო სიღრმე 3000
მეტრია) დიდად საძნელო ამოცანაა.

ოლონდ ერთი ნივთი მაინც არის ისეთი, შლიმანის „საბუ-
თებს“ რომ მოგვაგონებს. ეს გახლავთ სპილენძის წვრილი
ძეწკვის რგოლი, რომელიც კუნძულ სანტა-მარიას (აზორის
კუნძულთა ჯგუფს ეკუთვნის) მახლობლად აღმოჩნდა შლამში.
ამ ნაკეთობას „ალბატროსის“ ექსპედიციის ზემოთ უკვე მოხ-
სენიებული წევრი ხ. პეტერსონი ატლანტისელი ოქრომჭედ-
ლის ქმნილების ნაშთად მიიჩნევს. ეს ძალიან ცოტაც არის და
ძალიან ბევრიც — ვისაც როგორ სურს, ისე იფიქრებს.

ცნობილია, რომ ცხოველებს ადამიანზე უკეთ უაზრებთ
ხოლმე ტანი მიწისპერის დაწყებას. გარდასული დროის ამბებ-

საც ადამიანზე უკეთ იმახსოვრებენ. კერძოდ, აქ უნდა მოვიხსენიოთ გველთევზები. ჩვენის ფიქრით, მათ დღემდე ახსოვთ ატლანტისი, სადაც მათი სამშობლო უნდა ყოფილიყო ალბათ.

ერთი რამ ცხადია: გველთევზების საიდუმლო ისევე ძველია, როგორც ატლანტისისა, და მასაც მსგავსი ბედი ჰქვდა წილად. მისი ისტორია პლატონის ხანას ეკუთვნის. ამ ისტორიის დაწყებაც იგივე სიტყვებით მოგვიხდებოდა: „ჯერ კიდევ ძველი ბერძნები...“

ამ ამბისთვის პირველად ყურადღება მიუქცევია არისტოტელეს, რომელსაც დაუდგენია, რომ ჩვენს წყლებში მხოლოდ დედალი გველთევზები გვხვდებიან. გველთევზების — ამ უმამო თევზების (თუმცა მათი დედების ამბავიც არავენ იცოდა) — წარმოშობის საკითხზე სხვადასხვა თეორიები არსებობდა, უფრო ზღაპრის მაგვარი თეორიები. არც ისე დიდი ხანია გასული მას შემდეგ, რაც ამტკიცებდნენ — გველთევზები ცოცხლად იბადებიან, ერთ-ერთი სახეობის დედალი თევზები შობენო მათ. სულ ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ დადგინდა, რომ გველთევზაც სხვადასხვა სტადიებს გადის — ქვირიითიდან ლიფსიტები იჩეკებიან და გურმანებისთვის ესოდენ კარგად ცნობილ გველის მსგავს თევზებად იქცევიან თანდათანობით. ცხადია, ჩვენს სუფრაზე მოხვედრამდე ერთ სტადიას კიდევ გადიან ისინი — კვამლში გამოყვანისას, მაგრამ ეს ამბავი ჩვენი ამჟამინდელი საუბრის საგანს არ შეადგენს.

გველთევზების საიდუმლო 1904 წელსდა გაარკვია დანიელმა იქთიოლოგმა ი. შმიდტმა.

გამოირკვა, რომ გველთევზები ბერმუდის კუნძულებიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, სარგასის ზღვაში იჩეკებიან ქვირიითიდან. ეს ატლანტის ოკეანის ყველაზე თბილი ნაწილია: აქ წყლის ტემპერატურა 400 მეტრის სიღრმეზე 17 გრადუსს აღწევს. გველთევზებს კი სითბო უყვართ და მლაშე წყალი. მათი ლიფსიტები გამჭვირვალეა. ამის მეოხებით ბუნება მტაცებელთაგან იცავს მათ. ლიფსიტები ძალიან ნელა იზრდებიან. სიცოცხლის მეორე წელს 5 სანტიმეტრს ძლივს აღწევენ სიგრძით. სწორედ საამდროოდ დაიძრებიან ზოლმე. ისინი აღმოსავლეთისკენ, ევროპის ნაპირებისკენ გოლფსტრიმის დინებას გამოყოლილნი. მოგზაურობა მთელ წელიწადს გრძელდე-

ბა, მათი ნაწილი გზადაგზა მტაცებელთა მსხვერპლად იქცევა უეჭველად, მაგრამ დანარჩენნი კი აღწევენ ევროპის მდინარეთა შესართავებამდე. ოღონდ აქ დაძმანი ერთიჟეორეს შორებიან — მამლები ზღვაში რჩებიან, მდინარეში მხოლოდ დედალი გველთევზები შეცურდებიან ხოლმე. ამ დროისთვის სამსამი წლისანი არიან, მდინარეში ხუთი წლის ასაკამდე დაყოფენ, მერე კი თავს მოწიფულად იგრძნობენ და ისევ ზღვას უბრუნდებიან, რათა მეორე სქესის წარმომადგენლებს შეეყარონ.

აქედან იწყება გველთევზების მეორე, წინასაქორწინო მოგზაურობა. ნერბობა სარგასის ზღვაში ხდება. აქ ყველანი ერთად ატარებენ საქორწინო პერიოდს, დედალნი ქვირითს აქ ყრიან და ახალი თაობაც აქვე წარმოიშობა.

რად სჭირდებათ გველთევზებს ეს მოგზაურობა? ამ კითხვის მხოლოდ ერთ ნაწილზე შეიძლება გულდაჯერებულნი პასუხის გაცემა: მდინარეთა მტკნარი წყალი იმისთვის არის საჭირო, რომ ლიფსიტა გველთევზად იქცეს. დედალნი მდინარეს აუყვებიან ხოლმე, მამალნი შესართავთან რჩებიან, ზღვაში. მაგრამ რატომ არის, რომ ეს თევზები ატლანტის ოკეანის დასავლეთ ნაწილიდან, ლამის ამერიკის ნაპირებიდან (რომელიც აგრეთვე მდიდარია მტკნარი წყლის მქონე მდინარეებით) ამ სიშორეზე მიცურავენ, ბალტიისა და ხმელთაშუა ზღვებისკენ, რატომ იგდებენ თავს ასეთ ხიფათში, მტაცებელთა შესაჭმელად რატომ ემეტებათ თავი? ამ კითხვას ვერც უმიდტმა უპასუხა და ვერც რომელიმე სხვა იქთიოლოგმა. პასუხი მხოლოდ ატლანტოლოგებს აქვთ და, აი, როგორია ეს პასუხი.

ოდესღაც, ათასეული წლების წინათ, გოლფსტრიმი სარგასის ზღვის ირგვლივ, ამერიკის ნაპირებსა და ატლანტისს შორის მბრუნავი თბილი დინება იყო. სწორედ ეს რაიონი წარმოადგებდა გველთევზების „სასიცოცხლო სივრცეს“. არავითარი შორეული გზების გადალახვა მათ არ უხდებოდათ. თოთო ლიფსიტები წყლის სიღრმეში უზრუნველად ჭყუმპალაობდნენ, ხოლო გოლფსტრიმი სწორედ იქით მიაცურებდა, საითაც საჭირო იყო — ატლანტისის მდინარეთა შესართავებისკენ, ანტილის კუნძულებისკენ, ჩრდილო, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ნაპირებისკენ. მტკნარ წყალში მომწიფებულ დედალ

გველთევზებს სახიფათო და გრძელი გზა როდი ედევათ წინ. მდინარეებს რომ დააგდებდნენ, ზღვის თბილ დინებაში ხვდებოდნენ კვლავ და ის დინება, ისევე როგორც პირველი მოგზაურობისას, ამჯერადაც მიზნისკენ მიაცურებდა მათ; ერთადერთი მცირეოდენი სხვაობა ის იყო, რომ ლიფსიტობისას მბრუნავი დინების გარე-გარე უნდა აეღოთ გეზი, ხოლო უკან დაბრუნებისას ცენტრისკენ გაქაჩულიყვნენ უფრო მეტად. ოღონდ გოლფსტრიმი მუდამ სარგასის ზღვისკენ მიაცურებდა, იქ იყო მათი საბუდარი და იქ უნდა წარმოეშვათ ახალ-ახალი ნამკრავლი.

მაგრამ დაღვა „ერთი დღე და ავბედითი ღამე“ და ყოველივე შეიცვალა. გოლფსტრიმი სარგასის ზღვის ირგვლივ კი აღარ ბრუნავს, ჩრდილოეთისკენ მიედინება, გველთევზებისთვის ახალი, ხოლო ჩვენთვის ძველი ქვეყნიერების ნაპირებისკენ. გველთევზები კი არ ირჩევენ ევროპას მოწიფულობის ასაკამდე მისაღწევ ადგილსამყოფელად, გოლფსტრიმი მიაქანებს იქითკენ; გოლფსტრიმი, რომლის ერთი ტოტი ჰერაკლეს სვეტებთან ხმელთაშუა ზღვაში ჩაედინება, ხოლო მეორე კონტინენტსა და ბრიტანეთის კუნძულებს შორის გამავალი სრუტით ბალტიკისკენ მიილტვის; გოლფსტრიმი, რომელსაც გველთევზას ლიფსიტები მინდობიან, ახლა ათასეულ კილომეტრებზე მოაცურებს მათ, ხიფათით აღსავსე გზაზე, და ამ ხიფათს გველთევზების ნაწილი თუ გადაურჩება ხოლმე. ამ შორეულ მოგზაურობას არავითარი აზრი არ აქვს — ამერიკის ისეთივე მტკნარი მდინარეები ხომ ყურის ძირში ჩამოუდით! მაგრამ ლიფსიტებს არ ძალუძთ ამ გზის გადალახვა — მდინარების წინააღმდეგ მხოლოდ ზრდადასრულებული გველთევზები ახერხებენ ცურვას.

**მინაში ჩამარხული
ქრონოლოგიური მხრილები**

ჩრდილო ერაყში, ქურთისტანის მთებში, იმ ადგილის სიახლოვეს, სადაც თურქეთისა და ირანის აწინდელი საზღვარი გადის, მდინარე დიდი ზაბის პირას მდებარეობს ვეება გამოქვაბული, რომელსაც შანიდარის დიდი გამოქვაბული ეწოდება.

ზამთრობით მასში მეჯოგე ქურთები ბინადრობენ. ირგვლივ მთის კალთებზე მოზარდი უღრანი ტყე აკრავს. გამოქვაბული ზღვის დონიდან 750-მდე მეტრის სიმაღლეზეა. იქვე მთის წმინდა წყარო გამოედინება. გამოქვაბულის შიდა ფართობი 1000 მ²-ს აღემატება, ხოლო სიმაღლე 15 მეტრს აღწევს. შიგ შეისვლება კლდეში არსებული ხვრელით, რომლის სიგანე 25 და სიმაღლე 8 მეტრია.

გამოქვაბულის კედლები და ჭერი ჭვარტლის სქელი ფენით არის დაფარული. ეს ჭვარტლი აქ ნანთებ კოცონთა კვამლისგან გაჩენილა. შიგნით ქურთებს წნული კარვები და ცხვრის სადგომი ფარეხები აქვთ გამართული. საკმელს ცეცხლზე იმზადებენ. მათი ცხოვრება ათასეული წლების წინათ მოსახლე ადამიანთა ყოფას მოგვაგონებს. ცეცხლს კაქით ანთებენ და დოლაბით დაფქვილი ხორბლის კვერებს იცხობენ.

1953-1956 წლებში ერთ-ერთი ამერიკული უნივერსიტეტის არქეოლოგებმა (რომლებმაც 1951 წელს „ღმოაჩინეს“ ეს გამოქვაბული) რ. სოლეციის ხელმძღვანელობით არქეოლოგიუ-

რი გათხრები ჩაატარეს აქ. გათხრებს სენსაციური შედეგები მოჰყვა — გამოქვაბულში სულ ცოტა 100 000 წლის მანძილზე ადამიანის ბინადრობის კვალს მიაგნეს!

გამოქვაბულის იატაკი 15-მეტრიანი სისქის მიწის ფენაა, 3000 თაობის მიერ ნატეკენი. მიწის ფენის ქვეშ კირქვის კლდეა, ისეთივე, როგორც გამოქვაბულის კედლებად დგას. ჭერჭერობით გამოქვაბულის მხოლოდ ერთ ნაწილში ჩატარებული გათხრებისას კაცთა ბინადრობის მრავალი ნაშთი აღმოჩნდა: შრომის იარაღი, ნაქერიალი, ცხოველთა ძვლები, აგრეთვე ადამიანის სამი ჩონჩხი.

გამოქვაბულში მიწის ფერთა და ნაპოვნი საგნებით განსხვავებული ოთხი ფენა გამოიყოფა. ეს ფენები, არქეოლოგთა ჩვეულებისამებრ, A, B, C და D ასოებით აღნიშნეს. ორგანული წარმოშობის საგანთა (ხის ნახშირი, ძვლები და ასე შემდეგ) ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის საფუძველზე (რადიოაქტიური ნახშირბადის მეთოდით) ყოველი ფენის ასაკი განისაზღვრა.

ზედა A, 1,5 მეტრის სისქე ფენას უკანასკნელი 7 000 წლის განმავლობაში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 5 000 წლიდან, ესე იგი იმ დროიდან მოყოლებული, როცა შუამდინარეთის ველზე შემერები და აქადები გამოჩნდნენ) ადამიანის ბინადრობის მრავალი კვალი შემოუნახავს. ზედაპირთანვე აღმოჩნდა დაახლოებით 300 წლის წინანდელი ჩიბუხი, მერე და მერე — ამჟამად ხმარებულთაგან სულ მცირედ განსხვავებული ღოღაბის ქვები, ასურეთის ისტორიული პერიოდისთვის დამახასიათებელი ყაიდის ჭურჭლის ნატეხები. კერის სიახლოვეს მრავლად ნაპოვნი ძვლები მოწმობდა, რომ გამოქვაბულის მაშინდელი ბინადარი შინაური ცხოველების ხორცს იყენებდნენ საზრდელად. ისეთივე ქვიჩაც აღმოჩნდა, ქურბები ნიგვზის დასანაყად დღესაც რომ ხმარობენ. სხვადასხვაგვარი იარაღიც იპოვნეს. ეს ნივთები ცხადყოფს, რომ მაშინდელი მოსახლენი სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობას მისდევდნენ.

ძალზე თხელი (30 სანტიმეტრამდე) B ფენა პრიმიტიულად დამზადებულ ქვის იარაღს შეიცავდა. აქ არც დოღაბები ყოფილა, არც ნიგვზის მარაგის კვალი. ცხოველთა ძვლებიც შედარებით მცირე რაოდენობით აღმოჩნდა. ეტყობა, გამოქვაბუ-

ლის მაშინდელი ბინადარნი არც მიწისმოქმედებას მისდევდნენ და არც მესაქონლეობას. როგორც ჩანს, მონაღირეებადაც არ ვარგებულან მაინცდამაინც, ან იქნებ გარეული ცხოველები არ მოიძევეებოდნენ ახლომახლო. ამავე დროს, მრავალი ნიუარა აღმოჩნდა, ასე რომ ცხადი შეიქნა — ლოკოკინა მაშინდელი მენიუს ერთი ძირითადი ელემენტი ყოფილა. იარაღიდან ძვლის საღვისები აღმოჩნდა. უაღრესად საინტერესო კი ის იყო, რომ ნახატების ნარჩენები იპოვნეს და ფერადი ქვები, რომლებსაც, ეტყობა, ცარცივით იყენებდნენ ხატვისას. მიწის ფენა აქ მურა ფერისაა წინა ფენისგან განსხვავებით, რომელიც მძიმე და პოხიერი შავმიწა ნიადაგისგან შედგებოდა. ორგანულ ნარჩენთა რადიოაქტიური ნახშირბადის მეთოდით გაანალიზებამ შესაძლო გახადა B ფენის ასაკიც განსაზღვრულიყო — ეს ასაკი 7 000-დან 12 000-მდე წელიწადის ფარგლებში მერყეობს. აპრივად, ფენის წარმოქმნა ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 10 000 წლის წინ დაწყებულა.

მომდევნო C ფენა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 32 000-დან 27 000-მდე წლებს მოიცავს. მისი ასაკიც იმავე მეთოდით დადგინდა, რომლითაც წინა ფენებისა, ხის ნახშირის ნატეხთა ანალიზის მეშვეობით. ეს ფენა სისქით 2,5 მეტრს აღემატება და გამოქვაბულის სოხანეს ახლანდელი ღონიდან თითქმის 5 მეტრის სიღრმეზეა. ეს ფენა, ეტყობა, მიწისძვრების შედეგად ჰერს მომწყვდარი სხვადასხვა ზომის ლოდებით არის გაჭედილი. აქ ნაპოვნი ქვის იარაღი პალეოლითის ეპოქისაა, ოღონდ ამ ტიპის იარაღი მცირე აზიაში სხვაგან არსად აღმოჩენილა. ეს იარაღი დასავლეთ ევროპაში მიკვლეულს უფრო ჩამოჰგავს და ლტინიაკულსა თუ კრომანიონულ კულტურას მიეკუთვნება. ეს არის მეტწილად ხის დასამუშავებელი ცულები, დანები და საფხეკები. სოლევცის აზრით, ამ იარაღის პატრონნი გვარიანი ხუროები უნდა ყოფილიყვნენ, თუმცა მათი ნახელავი არაფერი აღმოჩენილა — 30 000 წლის მანძილზე ყოველივე გაცამტვერდებოდა, ცხადია...

უკანასკნელი D ფენა 9 მეტრამდე სისქისაა და გამოქვაბულის ფსკერამდე ჩასდევს. აქ ნაპოვნი იარაღი მეტად პრიმიტიულია, ნეანდერტალელთა იარაღს შეესაბამება. სწორედ აქ ფენაში იპოვნეს აღამიანის სამი ჩონჩხი, ამათგან ერთი — ბავ-

შვისა. მათი ასაკი დაახლოებით 45 000, 60000-65000 და 70000 (უკანასკნელად ხსენებული — ბავშვის ჩონჩხი) წლებით განისაზღვრა. პირველი ჩონჩხი ფენის ზედაპირთანვე, დიდ ლოდზე აღმოჩნდა, მეორე — 7 მეტრის სიღრმეზე, ხოლო მესამე — ბავშვის ჩონჩხი — 8 მეტრის სიღრმეზე. პირველი ჩონჩხი ჩინებულად შენახულიყო, თუმცა ჩამოვარდნილ ქვას კი დაეზიანებინა. ახლა ძნელი დასადგენია, სიცოცხლეშივე დაეცა ეს ქვა ადამიანს, თუ სიკვდილის შემდეგ. თავის ქალა და ქვედა კიდურები დაუზიანებელია. ანთროპოლოგებმა დაადასტურეს — ეს არისო ნეანდერტალის პერიოდის კაცის ტიპიური ჩონჩხი.


გამოქვაბულის ფსკერი 100 000 წლის უხნესია უექველად. ასე რომ, ეს არის გათხრების დღემდე ცნობილი ერთადერთი ადგილი, დროის ესოდენ ვრცელი პერიოდის სრულ ისტორიას რომ წარმოგვიდგენს. ოღონდ უფრო ზუსტად თუ ვიტყვი — არასრულ ისტორიას. ერთი ფენა არსად ჩანს, აკლია გამოქვაბულს. დროის მიხედვით აშკარა წყვეტილია ჩვენს წინაშე. B ფენის ქვედა ნაწილი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 10 000 წლის ეპოქას შეესაბამება, ხოლო მომდევნო ფენის დასაწყისი — ჩვენს წელთაღრიცხვამდე 27 000 წელს. ამრიგად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 27 000-დან 10 000-მდე წლების მომცველი ფენა არ არსებობს.

სოლეცკი ვარაუდობს — ამ პერიოდში გამოქვაბულში ალბათ არავის უცხოვრიაო. ხოლო რაკი C ფენაში ჭერიდან მომწყდარი ქვებისა და ლოდების დიდი რაოდენობა აღმოჩნდა, მისი აზრით, ქვათა ცვენას ხალხი უნდა დაეფრთხო. გამოქვაბულს ალბათ ამის გამო აღარ ეკარებოდნენო.

მაგრამ ამგვარი ახსნა საკმაოდ დამაჯერებელი ვერაა. ძნელი წარმოასადგენია, რომ მიწისძვრის ხსოვნა 17 000 წლის განმავლობაში შემორჩენილიყოს!

ამ წიგნის ავტორის მიერ შედგენილ გრაფიკს თუ დავუკვირდებით, გარდასული 100 000 წლის მანძილზე შანიდარის გამოქვაბულში იატაკის დონის ზრდის ტემპთა გამომსახველს, უექველად სხვა აზრი გაგვიჩნდება.

D ფენის წარმოქმნის პერიოდში სოხანეს დონე წელიწადში საშუალოდ 0,15 მილიმეტრით მატულობდა, C ფენისა — 0,5 მილიმეტრით, B ფენისა — 0,06 მილიმეტრით, ხოლო სულ ზე-



შანიდარის გამოქვაბულის დონის წლიური მატება. ჯერით ის ადგილებია აღნიშნული, სადაც ადამიანის ჩონჩხი იპოვნეს.

და A ფენისა — 0,2 მილიმეტრით. 100 000 წლის განმავლობაში საშუალო წლიური მატება 0,17 მილიმეტრამდე სიმაღლეს შეადგენს. გრაფიკზე აშკარად ჩანს მატების შეჩერება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 27 000-დან 10 000 წლამდე.

რა იყო სოხანეს ამაღლების მიზეზი? იატაკი იმით მაღლდებოდა, რაც გარედან შემოჰქონდათ გამოქვაბულის ბინადართ: კარვის მოსაწნავი ტოტები, შეშა, საზრდელი, რომლის ნარჩენებიც გამოქვაბულში გროვდებოდა, ქურჭლის თიხა და მრავალი სხვა საჭირო ნივთი. ყოველსავე ამას ფეხს აკრულ მიწასთან, წვიმიან ამინდში კი ტავარნასთან ერთადაც ტყეპნიდნენ გამოქვაბულის ბინადარნი, მათი შვილები და შინაური ცხოველები. C ფენის წარმოქმნის პერიოდში წლიური მატე-

ბის გადიდება მიწისძვრების დროს ჰერიდან მომწყდარი ქვე-
ბის დიდმა რაოდენობამაც განაპირობა უეჭველად. ქვები D
ფენაშიც აღმოჩნდა და სწორედ ამის წყალობაა, რომ ამ ფენის
წლიური მატებაც სკარბობს სხვებისას.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 10.000-დან 5000-მდე წლების
პერიოდის B ფენა წელიწადში სულ 0,06 მილიმეტრს იმატებდა,
რაც გამოქვაბულის მაშინდელ ბინადართა ცხოვრების შედა-
რებით ნაკლებ ინტენსიურობას მოწმობს.

დაბოლოს, უკვე ისტორიულ ხანაში წარმოქმნილი A ფენა.
სოხანეს აწინდელი დონიდან ჰერამდე სიმაღლე 15 მეტრია
ჯერაც, ოღონდ შესასვლელთან სიმაღლე სულ 8 მეტრს უდრის.
იატაკის დონემ ამგვარივე ტემპებით რომ იმატოს, 50 000
წლის შემდეგ შესასვლელი მთლიანად ამოივსება.

გრაფიკის ცქერისას უეჭველად შევნიშნავთ, რომ ჩვენს
წელთაღრიცხვამდე 27 000-დან 10 000-მდე წლების განმავლო-
ბაში ისეთი რაღაც მომხდარა, რასაც ესოდენ წარუშლელი
კვალი დაუჩნევია აქაურობისთვის. ეს კვალი ფენის არარსებო-
ბა გახლავთ. ეს ამბავი რომ არა, სოხანეს დონე „ნორმალუ-
რად“ რომ ამდლებულიყო, მაშინ იმ 17 000 წლის მანძილზე
წარმოქმნილი ფენა 3 მეტრის სისქე მაინც იქნებოდა.

გარნა გრაფიკის მეოხებით სხვა დასკვნებიც კეთდება. ეს
გრაფიკი მთელ ისტორიას მოიცავს, გარდასული 100 000 წლის
ერთგვარ ქრონოლოგიურ ცხრილს წარმოადგენს, საშუალებას
გვაძლევს შანიდარის გამოქვაბულის საიდუმლო, ჩაუწერელი
17 000 წლის საიდუმლო გამოვიცნოთ.

გამოქვაბულის პირველი ბინადარნი ნეანდერტალელნი
იყვნენ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 32 000 წლისთვის უფრო მა-
ღალი კულტურის მქონე ხალხი მოვლენია აქაურობას. მომდევ-
ნო 20 000 წლის განმავლობაში მათი აქ ყოფნისას გამოქვაბუ-
ლის სოხანე 3 მეტრით ამდლებულა, ფენის აწინდელ დონეს
ასცილებია და, შესაძლოა, სოხანეს დღევანდელ დონესაც გა-
ტოლებია.

ამ პერიოდის დამლევს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 10 000
წლის ახლო ხანს, მოხდა კატასტროფა, — მიწისძვრა და საზა-
რელი წყალდიდობა, — რის შედეგადაც ამჟამად ზღვის დო-
ნიდან 750 მეტრის სიმაღლეზე მდებარე გამოქვაბული წყალმა

დატბორა. ჰერს მომწყდარმა ქვებმა დამბალი გრუნტის წიად C და D ფენების სიღრმეებამდე ჩაატანა. საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი მიწის ნაწილი წყალმა გადარეცხა, ხოლო წყალი რომ უკუიქცა, სოხანეს დონე C ფენის აწინდელი ზედა ნაწილის სიმაღლეზე დავიდა.

კატასტროფის დროს მობინადრეებმა გამოქვაბული სასწრაფოდ მიატოვეს და მათა მწვერვალებს შეაფარეს თავი. ამის გამოა, რომ კატასტროფის მსხვერპლთა ჩონჩხები აქ არ იპოვება; ხოლო ნაპოვნი ძვლები გაცილებით ძველი დროისაა. გამოქვაბულის მოსახლეთა ნაწილი დაიღუპა, ნაწილი განერიდა სიკვდილს. გადარჩენით მხოლოდ ისინი გადარჩებოდნენ, რომელნიც ისეთ სიმაღლეს ააღწევდნენ, სადამდისაც წყალი ვერ უწევდა. ეტყობა, ცოტანილა დარჩენილან ცოცხალნი, რაკი მომდევნო პერიოდში სოხანეს დონე ესოდენ ნელ-ნელა მატულობდა. მხოლოდ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5000 წლის ახლო ხანებში, ტიგროსისა და ევფრატის შუამდინარეთში ახალი მოსახლენი რომ გამოჩნდნენ, მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო აქ უფრო ინტენსიური ცხოვრება, ჭასაც A ფენის უფრო სწრაფი ზრდა მოწმობს.

კატასტროფა როდისღა უნდა მომხდარიყო?

ყოველ შემთხვევაში მანამდე, ვიდრე B ფენა დაიწყებდა წარმოქმნას, ეს კი, სოლეცკის თანახმად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 10 000 წლის წინანდელი ამბავი უნდა იყოს. ოღონდ აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დროის განსასაზღვრად გამოყენებული ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები თეორიულად 5 პროცენტამდე სიზუსტისაა, პრაქტიკულად კი უფრო ნაკლებისაც. მაგალითად შანიდარის გამოქვაბულის C ფენის ორი ნიმუში ავიღოთ. მიჩიგანის უნივერსიტეტის ლაბორატორია მათს ასაკს განსაზღვრავს $29\ 500 \pm 1500$ და $34\ 000$ წლით (შეცდომის ზღვარის აღუნიშნავად), ხოლო ლეიმონტის ობსერვატორიის თანახმად, ამ ორი ნიმუშის ასაკია $26\ 500 \pm 1500$ და $32\ 300 \pm 3\ 000$ წელიწადი. აქედან ჩანს, რომ პირველი ნიმუშის ასაკი 25 000-დან 31 000-მდე წლის ფარგლებში შეიძლება მერყეობდეს. ამგვარად, სოლეცკისა და სხვა ავტორების მიერ დადგენილი თარიღი — ჩვენს წელთაღრიცხვამდე 10 000 წელი, როგორც ჩანს, მხოლოდ საორიენტაციო, დაახლოებით

1000 წლამდე სოხუსტის თარიღია, რაც ჩინებულად ეხამება ატლანტისის დაღუპვის (კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მომხდართაგან უდიდესი კატასტროფის) თარიღს.

შანიდარის გამოქვაბულში არქეოლოგიური გათხრები ჯერაც არ დამთავრებულა. სამეცნიერო პრესაში დროდადრო საინტერესო ცნობები გამოჩნდება ხოლმე ამ გათხრების შემდგომი მსვლელობის შესახებ. ამგვარია სოლევცის თანამშრომლის რ. დ. სტიუარტის სენსაციური ცნობა, რომ ხსენებული ნეანდერტალელისთვის, რომლის ჩონჩხიც D ფენის ზედა ნაწილში აღმოჩნდა, მარჯვენა ხელი მის სიცოცხლეშივე მოუკვეთიათ! ორთოპედიულ გამოკვლევათა თანახმად, ხელი ბავშვობიდანვე დადამბლავებული ჰქონია (პოლიომელიტი ხომ არ სჭირდა?) და შეგნებულად მოუკვეთიათ იდაყვის ზემოთ.

ერაყის ტერიტორიაზე კიდევ რამდენიმე გამოქვაბული იქცევს არქეოლოგთა ყურადღებას. მათი თვალსაზრისით, ახლო აღმოსავლეთი კაცობრიობის კულტურის აკვნად უნდა იქნეს მიჩნეული. მიწის დამუშავება, მეცხოველეობა, სასოფლო-სამეურნეო იარაღის (გუთნის) გამოყენება, სოფლების, დასახლებების გაჩენა, საკანალიზაციო მოწყობილობის გამართვა და ტაძართა აგება აქ ათასი ან კიდევ მეტი წლით უფრო ადრე შეინიშნება, ვიდრე თვით ეგვიპტეში.

იმის თაობაზეც ყველანი შეთანხმებულნი არიან, რომ სამისო ნიშნები აქ ძირითადად 10 000 წლის წინ გაჩნდა მხოლოდ, და ამ ამბავს გამყინვარების ეპოქის დასასრულს უკავშირებენ.

შანიდარის გამოქვაბულის B ფენაში ნახატების ნაშთთა მიკვლევა იმას მოწმობს, რომ აქ იმ ხალხს უცხოვრია, ვისი კულტურაც სამხრეთ საფრანგეთისა და ესპანეთის გამოქვაბულების მობინადრეთა კულტურის მსგავსია.

იმ ჰიპოთეზის საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმადაც შანიდარის გამოქვაბული ჩვენს წელთაღრიცხვამდე 10 000 წლის წინათ „წარღვნის“ მსხვერპლი გამხდარა, ის ფაქტი მეტყველებს, რომ ეს გამოქვაბული 750 მეტრზე მდებარეობს ზღვის დონიდან. ძნელი წარმოსადგენია, რომ წყალი ასეთ სიმაღლეს ასწვდომოდა. მაგრამ ერთი ფენის არარსებობა, რასაც ჩვენი

„ქრონოლოგიური ცხრილიც“ მოწმობს, გვაიძულებს ვივარაუდოთ, რომ რაღაც უჩვეულო ამბავი მაინც მომხდარა აქ. ამას, ეტყობა, ისიც ადასტურებს, რომ B ფენის პერიოდის მობინადრენი ცხოველთა ხორცს ვერ იყენებდნენ საზრდოდ — წარღვნის დროს ხომ ცხოველები ერთიანად ამოწყდებოდნენ.

თ ა ვ ი მ ი რ ვ ე

გიაკუანაქოს „მზის ქარიბჭი“ და მთავარის მიგასება

1913 წელს მსოფლიომ პირველად შეიტყო ვენელი ინჟინრის ჰანს ჰერბიგერის კოსმოგონიური თეორიის ამბავი. მეოცე საუკუნის ასტრონომიაში ამ თეორიას ეწოდება „Weltislehre“ — „მოძღვრება კოსმოსური ყინულისათვის“. ოღონდ ღედამიწაზე ოდესღაც ნამკვიდრებ გამყინვარების პერიოდებს როდი ეხება ეს მოძღვრება. მასში საუბარია კოსმოსურ სივრცეში არსებული ყინულის ირგვლივ. ჰერბიგერის აზრით, სამყარო შეყინული წყალბადის პატარ-პატარა კრისტალებით არის აღვსებული.

ამ თეორიას ზოგიერთი სხვა ატლანტოლოგიც ემხრობა, მაგრამ მისი უმთავრესი ქომაგი ზემოხსენებულ ბელამი გახლავთ. ამავე დროს, უკვე არაერთგზის დამოწმებული მუკი ჰერბიგერსა და მის თეორიას მთლიანად უგულვებელყოფს, ისევე როგორც ის ასტრონომები, რომლებიც ამ თეორიის ავტორს უვიცად იხსენიებენ ხოლმე.

ჰერბიგერი ატლანტოლოგი არ ყოფილა და არც თავისი თეორია დაუკავშირებია ატლანტისთან. იგი სამყაროს წარმოშობის მექანიკის აზსნას ესწრაფვოდა. მაგრამ მისი თეორია ატლანტისის კატასტროფის მიზეზს საოცრად მარჯვედ ხსნის და ზოგიერთ მითოსურ თქმულებასაც (განსაკუთრებით — პროსელენიდების მითს) ჩინებულად შეესატყვისება.

ჰერბიგერის თეორიის მიხედვით (ამ თეორიას აქ სრული

სახით ვერ წარმოვადგენთ), დედამიწას თავისი არსებობის მანძილზე რამდენიმე მთვარე გამოუცვლია. პერბიგერი ამტკიცებს — ჩვენი მზის სისტემის ციური სხეულები მზის ირგვლივ ცოტათი უფრო სხვაგვარი ორბიტით ბრუნდვენ, ვიდრე კლასიკური თეორიის თვალსაზრისის გაზიარებისას შეგვეძლო გვეფიქრა, კლასიკური თეორიის თანახმად სამყარო ვაკუუმად არის დასახული, სინამდვილეში კი ციური სხეულები თავიანთი სრბოლვისას წინააღმდეგობას ჰხდებიანო. ეს წინააღმდეგობა განუზომლად მცირეა, ოღონდ საიმისოდ საკმარისი კი არის, რომ პლანეტები დაბნული მრუდით კი არ იძვროდნენ, არამედ სპირალით. ყოველი მოქცევის შემდეგ პლანეტა უფრო მცირე ორბიტით ბრუნავს — ისევე როგორც პატეფონის ნემსი ბრუნავს ფირფიტაზე — და ოდესმე მზეს უნდა შეასკდესო უეჭველად. დიდი მასის მქონე პლანეტებს სპირალური ხაზით ცენტრისკენ ძვრა თითქმის არც ემჩნევათ, ინერციის ძალა, პერბიგერის თეორიის თანახმად, ცენტრის წინააღმდეგობას სძლევის, მაგრამ მცირე ცდომილები თავიანთი საბოლოო მიზნისკენ უფრო ჩქარა იძვრიან და იქამდე ვერც აღწევენ, თუკი გზად რომელსამე დიდ პლანეტას არ გადაეყარენ და მის თანამგზავრად არ იქცნენ. ჩვენს პლანეტასაც სწორედ ეს დამართვია არაერთგზის. არცთუ ისე შორეულ წარსულში, მესამეულ პერიოდში, ესე იგი სულ რაღაც ათი მილიონი წლის წინათ, დედამიწას ამნაირი თანამგზავრი უვლიდა გარს შემცირებადი ორბიტით, ვიდრე ბოლოს ნატეხ-ნატეხ არ დაიშალა და დედამიწასვე არ დააცვივდაო. ოღონდ მანამდე მრავალი კატასტროფული მოვლენა მომხდარა. უწინარეს ყოვლისა ეს ყოფილა ზღვათა უზარმაზარი მოქცევები, რადგან თანამგზავრი ძალზე ახლოს ბრუნავდა თურმე. მაგრამ მაშინდელი მთვარის ბრუნვის პერიოდი ერთობ ხანმოკლე ყოფილა. ისეთ ხანასაც მოსწრებიდა დედამიწა, როცა ის თანამგზავრი დღე-ღამეში ერთ წრეს ავლებდა მის ირგვლივ. მაშინ თვე დღე-ღამის ტოლი იყო. ამ ხანაში თანამგზავრი ჩვენს პლანეტას დედამიწის 7 რადიუსის მანძილზე ყოფილა დამორბეული, ხოლო რაკი ირგვლივ იმ მიმართულებით უვლიდა, რომელიც მის ბრუნვითს ძვრას თანხვდებოდა, ცაზე მუდამ ერთ ადგილას ჩანდა, თითქოს ღუზა ჰქონოდეს ჩაშვებული.

მიზიდულობის ძალთა ზეგავლენით დედამიწის ფორმაც შეცვლილა, იგი დავიწროებული მხრით მთვარისკენ მიქცეულ კვერცხსა თუ მსხალს დამსგავსებია. თანამგზავრისკენ მიქცეულ მხარეს მეტი წყალი შეკრებილა, ვიდრე პოლუსებზე იყო. ატმოსფეროც ძირითადად ამ მხარეს მიქცეულა, მაშინ როცა პოლუსების რაიონებს ჰაერის თხელი ფენა ფარავდა. ხოლო სითბოს უფრო მეტი რაოდენობით დაკარგვას პოლუსების რაიონებში ტემპერატურის დაცემა და მყინვარების წარმოქმნა მოჰყოლია.

თანამგზავრის ნაწილ-ნაწილ დაშლა, ჰერბიგერის აზრით, მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა ის, დედამიწის ორ რადიუსზე უფრო ახლოს მყოფი, ჩვენს ცდომილს 3 საათსა და 30 წუთში უვლიდა გარშემო. ოღონდ კატასტროფა მისი ნამტვრევების ჩამოცვენას კი არ გამოუწვევია მხოლოდ. თანამგზავრის მიზიდულობისგან გამოთავისუფლებული წყლის მასები ტროპიკული რაიონებიდან მიმოიგრაგნა, რათა ჩვენი პლანეტა თანაბრად დაეფარა. ამის შედეგად ეკვატორის რაიონში ზღვის დონეს 5000 მეტრით დაუწვევია (ხაზგასმით შევნიშნავთ, რომ ეს ყოველივე ჰერბიგერის თეორიის მიხედვით ითქმის), ჰაერის მასებიც პოლუსებისკენ მიქცეულა და ამას გამყინვარების პერიოდის დასასრული მოჰყოლია. უფრო სწორად — გამყინვარების ერთ-ერთი პერიოდისა, რადგან, როგორც ცნობილია, გამყინვარება რამდენჯერმე მომხდარა.

დედამიწაზე, როგორც იქნა, სიმშვიდე დამკვიდრებულა. თანამგზავრის ოინებით მანამდე ასერიგად გატანჯულ კაცობრიობას ახლა უშფოთველად შეეძლო გაეტარებინა წუთისოფლის დღეები. ოღონდ დედამიწა კი უმთვარეოდ დარჩა ამ ამბის შემდეგ.

თუმცა ღიღხანს არ გაგრძელებულა ასე — დედამიწის სიახლოვეს ახალი ციური სხეული გამოჩნდა. ეს იყო მთვარე, თავისი მოცულობით წინარე თანამგზავრის უდიდესი, ოღონდ დედამიწის უმცირესი. ხოლო რაკი ჰერბიგერის თეორიის (ისევე როგორც კლასიკური მექანიკის) თანახმად, უფრო ძაღვანი ნაკლებშემძლესა და მცირეს თავის ნებას ახვევს ხოლმე თავს, მთვარე დედამიწის მიზიდულობის სფეროში მოექცა და მას შემდეგ მისი თანამგზავრის როლს ასრულებს, ხოლო ჩვენ

იმ ამბავს მივეჩვიეთ, რომ ამ თანამგზავრს მთვარეს ვუწოდებ-
თო.

ისევ აღძრულა დიდ-დიდი მოქცევები ზღვისა. რაღა თქმა
უნდა, პირველი მათგანი უძლიერესი იქნებოდა. პოლარული
რაიონებიდან ეკვატორისკენ 3000-მდე მეტრის სიმაღლე ტალ-
ღები მიზვავებულან და გზად ყოველივე წაუღეკავთ, მათ შო-
რის ატლანტისიცი. ზღვის ზედაპირზე მხოლოდ უმაღლესი
მწვერვალებიდა დარჩენილა — აწინდელი აზორის კუნძულები.

ასტრონომები ჰერბიგერის თეორიას არ დაეთანხმენ, არც
ჩვენ მივეძალებით მკითხველებს—გინდათ თუ არა, ეს თეორია
ირწმუნეთო. ის კი უეჭველად უნდა აღინიშნოს, რომ „მთვა-
რის მიტაცების“ თეორია არც ისე იოლად ხელწამოსაკრავია.
ოღონდ მის დასასაბუთებლად სულაც არ არის აუცილებელი
ვარსკვლავთშორის სივრცეში მაინცდამაინც „შეყინული
წყალბადი“ მოვათავსოთ. მიტაცება „ნორმალური“ გზითაც
შეიძლებოდა მომხდარიყო, ესე იგი ისევე, როგორც კომეტის
ბირთვის ან ასტეროიდის დედამიწაზე ჩამოვარდნა თუ დედა-
მიწასთან მოახლოება შეიძლებოდა მომხდარიყო. ამგვარი რამ
ასტრონომიის საყოველთაოდ მიღებულ კანონებს საესებით
შეესაბამება.

მთვარის წარმოშობა ჯერაც არ არის საბოლოოდ გამო-
კვეული. ამ საკითხის ირგვლივ შექმნილი თეორიები სამ ჯგუ-
ფად შეიძლება დავეყოთ. ამათგან უძველესი თეორიის თანახ-
მად, რომელიც ჯერ კიდევ ლაპლასმა წამოაყენა, შემდგომში
კი ჭინსმა, კუიპერმა და ფესენკოვმა განავითარეს, მთვარე
დედამიწასთან ერთად უნდა წარმოქმნილიყო. მთვარის წარ-
მოქმნის მეორე თეორიის ავტორია ჩარლზ დარვინის ვაჟიშვი-
ლი ჯ. გ. დარვინი. მისი აზრით, მთვარე დედამიწის გარე ფე-
ნებს მაშინ უნდა მოსწყვეტოდა, როცა ეს უკანასკნელი ჯერ
კიდევ თხიერი სხეული იყო სანახევროდ. ამ თეორიის სასარ-
გებლოდ ის ფაქტი მეტყველებს, რომ მთვარის საშუალო სიმ-
კვრივე, ისევე როგორც სიმკვრივე დედამიწის ქერქისა, 3,33-ს
შეადგენს, მაშინ როცა დედამიწის ცენტრს მიახლოების კვა-
ლობაზე სიმკვრივე მატულობს (დედამიწის საშუალო სიმკვრი-
ვე არის 5,52).

დღესდღეობით ზოგიერთი ასტრონომი მესამე თეორიას

ემხრობა—„მთვარის მიტაცების“ თეორიას, რომელიც ალფენ-მა (1946 წელს), ო. შმიდტმა და სხვებმა დაასაბუთეს. გარნა მეცნიერი ამ მოვლენის დეტალების გამო ვერ შეთანხმებულან, ნამეტნავად კი ის იწვევს დავას, თუ როდის შეიძლებაოდა ეს ამბავი მომხდარიყო. ერთნი იმ აზრის არიან, ორივე სხეული მაშინ ჯერაც ნახევრად თხიერ მდგომარეობაში იყო. სხვანი ამტკიცებენ — „მიტაცება“ მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა ამ სხეულებს საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე ჰქონდათ მიღებული.

მთვარის წარმოქმნის ზუსტ თარიღს ხსენებულთაგან არც ერთი თეორია არ ასახელებს, მით უმეტეს, „მიტაცებას“ ასე ცოტა ხნის წინათ მომხდარ ამბად არ სახავენ მსგავსად ჰერბიგერისა.

ეს თეორია აქ იმიტომ კი არ გვიხსენებია, რათა მისი მეოხებით მთვარის მიტაცების მექანიკა, აქედან კი ატლანტისის კატასტროფის ამბავი აგვეხსნა, არამედ იმიტომ, რომ იგი, სრულიად მოულოდნელად, ტიაპუანაკოს ნანგრევებით დასტურდება.

ჩვენ მზად ვართ ხოლმე ნებისმიერი თეორიის ჰეშმარიტება ვალიაოთ, თუკი ეს თეორია არა მხოლოდ იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ზოგიერთი ფაქტი ავხსნათ, არამედ იმისასაც, რომ მოსახდენიც ვიწინასწარმეტყველოთ. ასეა, მაგალითად, ნიუტონის ციური მექანიკის საქმე. მისი მეოხებით XVIII საუკუნეში ზუსტად აიხსნა პლანეტების მზის გარშემო ძვრა. მაშინ მზიდან ყველაზე დაშორებული პლანეტის — ურანის მოძრაობაში ზოგიერთი აუხსნელი უსწორობა იქნა შენიშნული. ფრანგმა ასტრონომმა ლევერიემ და ინგლისელმა ასტრონომმა ადამსმა ერთმანეთზე დამოუკიდებლად ზუსტად გამოთვალეს, რომ ურანის ჯარბიტის მიღმა კიდევ ერთი ცდომილი უნდა ბრუნავდეს მზის ირგვლივ. მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ; 1846 წელს, ეს ცდომილი სწორედ ასტრონომების მიერ ნაწინასწარმეტყველევ ადგილას აღმოაჩინეს. ეს გახლდათ პლანეტა ნეპტუნი. მსგავსი ამბავი განმეორდა, როცა 1930 წელს, მსგავსსავე ვითარებაში ცდომილ პლუტონს მიაკვლიეს. ასტრონომიას გაუმარჯვდა. ამიტომ სულაც არ არის საკვირვე-

ლი, რომ ცის მექანიკაში ახალი ელემენტების შემომტან ჰერ-
ბიგერის თეორიას ასტრონომები მხარს არ უჭერენ.

მაგრამ ზოგიერთი ატლანტოლოგი კი უჭერს მას მხარს,
რამდენადაც, როგორც ჩანს, ამ თეორიით ტიაჰუნაკოს ნან-
გრეეთა საიდუმლო აიხსნება.

სამხრეთ ამერიკაში, ტიტიაკას ტბის პირას მდებარე ამ
ქალაქის ნანგრევები ჯერ კიდევ პერუელი ინკებისთვის წარ-
მოადგენდა საიდუმლოს ამერიკის აღმოჩენის ხანაში. ამ ცოტა
ხნის წინათ ჯერაც ამოუცნობად მიაჩნდათ უცნაური ნაქანდა-
კარნი — ტიაჰუნაკოს განთქმული „მზის კარიბჭის“ ორნამენ-
ტაციები. ვეება ქვის ერთიანი ლოდისგან გამოთლილი ეს კა-
რიბჭე საკმაოდ კარგად არის შენახული. მის ზემო ნაწილში
საკვირველება რამე ნახატებიანი სარტყელია. მისი გამომკვ-
ლევი მრავალი არქეოლოგი დამაშვრალა ამოდ.

ამ გამოცანის ამოხსნას შეეცადნენ გერმანელი მკვლევარე-
ბი არტურ პოზნანსკი და ედმუნდ კისი, რომლებმაც წარწერე-
ბის ამოკითხვა შეძლეს. ჩიტისთავიან ფანტასტურ არსებათა
და სტილიზებულ ცხოველთა გეომეტრიულ ფიგურებში გა-
დაწნული გამოსახულებებით შექმნილი ორნამენტი, ამ მეც-
ნიერთა თვალსაზრისით, ყოფილა... კალენდარი. მსოფლიოს.
უძველესი კალენდარი. იმდროინდელი კალენდარი, როდესაც
დედამიწა თავისი ღერძის ირგვლივ უფრო ნელა ბრუნავდა,
30,23 აწინდელ საათს ანდომებდა ერთ შემობრუნებას. რაკი
მზის გარშემო დედამიწის შემოვლის პერიოდი საგრძნობლად
ვერ შეიცვლებოდა, ერთი წელიწადის მანძილზე დედამიწა
თავისი ღერძის ირგვლივ 290-ჯერ უნდა შემობრუნებულიყო.
ამგვარად, ტიაჰუნაკოს კალენდრის შემქმნელთა დროს წელი-
წადში იყო 290 დღე. ეს 290 დღიანი წელიწადი ოცდაოთხ-ოც-
დაოთხ დღიან 12 თვედ იყოფოდა (ორი „შემავსებელი“
დღით). პოზნანსკისა და კისის თეორიით ყოველი ნიშანი ახსნი-
ლია. ეს თეორია საოცრად მწყობრია შინაგანად. ამ საკვირვე-
ლება კალენდრის ამბავი რამდენიმე სიტყვით ვერ ითქმება,
ამიტომ ჩვენთვის ყველაზე საგულისხმო რამდენსამე დასკვნას
დავსჯერდეთ.

დღელამეში 30 „საათი“ შედიოდა (ცხადია, მთლად ჩვენი
საათებისნაირი არ ყოფილა ეს დაყოფა); თვე, ესე იგი მთვა-

რის ერთიმეორის მიძყოლ ორ გავსებას შორის განვლილი პერიოდი, 19,5 „საათს“ ითვლიდა—დღელამეზე ხანმოკლე გახლდათ! ეს დრო დედამიწის გარშემო მთვარის ბრუნვისა და თავისი ლერძის ირგვლივ დედამიწის ბრუნვის პერიოდს უკავშირდება. „მზის კარიბჭის“ კალენდარზე განმეორებულ ნახატთა გარკვეული რაოდენობა აღნუსხეს, რაც, პოზნანსკისა და კისის შეხედულებით, მზის დაბნელების სიმბოლო უნდა იყოს. კალენდრის შემდგომი ანალიზი ცხადყოფს, რომ მზის დაბნელება წარმოუდგენლად ხშირი მოვლენა ყოფილა საიმდროოდ, ყოველ 24 დღეში მზე 19-ჯერ ბნელდებოდა. მკვლევართა განგარიშების თანახმად, მთვარის სფერო მაშინ ახლანდელზე 14-ჯერ დიდი ყოფილა, ხოლო მთვარიდან დედამიწამდე მანძილი 5,9 დედამიწის რადიუსს შეადგენდა.

ტიაჰუანაკოს კალენდრის თეორია კისმა 1937 წელს გამოაქვეყნა, როცა ჰერბიგერი ცოცხალთა შორის აღარ იყო (1931 წელს გარდაიცვალა). ოღონდ ჰერბიგერმაც დაახლოებით ამგვარი ციფრები წარმოადგინა 1927 წელს, როცა „მზის კარიბჭის“ კალენდრის ამბავი საერთოდ არც სმენოდა. „Weltislehre-ს“ მოძღვრებიდან გამომდინარე დასკვნები და მასზე დამოუკიდებელი დასკვნები კისის და პოზნანსკისა მოულოდნელად დაემთხვა ერთმანეთს.

ამ ამბავში ბელამი ჰერბიგერის თეორიის დადასტურებას კი არ ხედავს მხოლოდ, არამედ 11 000 წლის წინათ დედამიწის მიერ „მთვარის მიტაცების“ თეორიისასაც, რომელიც მანამდე არაფრით ყოფილა დასაბუთებული.

ოღონდ ამით როდი ამოიწურება ყოველივე. როგორც ცნობილია, ტიაჰუანაკო ტიტუკაკას ტბის პირას მდებარეობს, მთებით მოზღლულ ტაფობში. ამ მთათა ფერდობებზე ტბის ოდინდელი ნაპირების კვალი შეინიშნება. შორეულ ხანაში ტბას დღევანდელზე გაცილებით დიდი ფართობი სჭერია. გაღმა-გამოღმა ნაპირებზე ნაკვალევებს წარმოსახული ხაზით თუ შევაერთებთ, გამოვა, რომ ტბაში წყლის ოდინდელი დონე დღევანდელი დონის მიმართ კუთხედ ყოფილა გავლებული! ძველსა და ახალ დონეებს შორის არსებული ეს დახრილობა 300 მეტრზე მეტს შეადგენს 620 კილომეტრის სივრცეზე. ამ ციფრებით შესაძლებელია განისაზღვროს, როგორ იყო მაშინ გან-

ლაგებული დედამიწის ზედაპირზე ერთნაირ სიმაღლეთა ხაზები ამერიკის ამ ნაწილში. ამ ხაზების ანალიზით იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ტიაპუანაკოს სანახებში ანდები კუნძულად ყოფილა ამოზიდული ოკეანეში, რომლის დონე ტიტიაკას ტბის აწინდელი დონის სიმაღლეზე, ესე იგი თითქმის 4000 მეტრით მაღლა გადიოდა თურმე!

ამ კუნძულს, ან, უკეთ, მატერიკს, ბელამი ანდინიას უწოდებს. ეს ამბავი ჰერბიგერის თეორიას თანხვედბა: მისი თვალსაზრისით ხომ ოკეანე ამ დონეზე იდგა წინარე თანამგზავრის დროს, რომელიც დედამიწის რამდენიმე რადიუსის სიშორეზე დაპბრუნავდა ჩვენს ცდომილს.

ამრიგად, ტიტიაკას ტბის ოდინდელი ნაპირის ნაკვალევობ „Welteislehre-ს“ ჰეშმარიტების „ხელშესახებ“ საბუთად გამოდგება, ხოლო ჯერაც ზუსტად განუსაზღვრელ დროს უცნობი ავტორის მიერ შექმნილი დოკუმენტი — „მზის კარიბჭის“ კალენდარი ჰერბიგერის თეორიის სისწორეს აგრეთვე ადასტურებსო, — ასე ამტკიცებს მისი გულმხურვალე მომხრე ბელამი.

ბ ო ლ ო თ ქ მ ა

უკანასკნელ თავს რომ ჩაიკითხავს, მკითხველმა შესაძლოა უსაფუძვლოდ დაასკვნას — ამ წიგნის ავტორს ჰერბიგერის კოსმოგონური თეორია და მასზე დამყარებული ბელამის ჰიპოთეზა (ატლანტისის დალუპვის მიზეზის შესახებ) ურწმუნებია, თანაც სხვა თეორიებზე მეტადაც ურწმუნებიაო. მაგრამ წიგნის დასაწყისშივე გაკეთებული განცხადების კვალობაზე (ატლანტისის საიდუმლოს ამოხსნის აქ წარმოდგენილ ცდათა შორის რომელიმე მათგანის უპირატესობის თაობაზე ავტორი საკუთარ თვალსაზრისს მკითხველს თავს არ მოახვევსო) უნდა მოგახსენოთ, რომ ტიტიაკას ტბის საიდუმლო შესაძლოა სხვაგვარადაც აიხსნას.

ატლანტის ოკეანეში მდებარე ჰიპოთეზური მატერიკის დალუპვის ახსნის ცდათაგან, ჩვენი ფიქრით, ყველაზე მეტად სამი თეორია შეესატყვისება მეცნიერების დღევანდელ დონეს: ეს არის კოსმოსური თეორიები — ჰერბიგერის თეორია მთვარის მიტაცებისა და თეორია სხვა ციურ სხეულთან დედამიწის შეჯახებისა, აგრეთვე „სეისმური“ თეორია, რომლის თანახმადაც აწინდელი ატლანტის ოკეანის რაიონი ათასეული წლების წინათ ძლიერ მიწისძვრას გაუტიალებია. ეს თეორიები ჩრდილოეთის ნახევარსფეროში კლიმატის მოულოდნელად შეცვლის მიზეზსაც საკმაოდ დამაჯერებლად ხსნიან. როგორც ჩანს, ეს ამბავი ატლანტისის კატასტროფის დროსვე მომხდარა.

„სეისმური“ თეორიის თანახმად, ჩრდილო ატლანტიკის შიდაპოლში ტემპერატურა იმითომ აწეულა, რომ ზღვის თბილ დინებას — გოლფსტრიმს მიმართულემა შეუცვლია. თუ მა-

ნამდებ ეს დინება მექსიკის ყურესა და ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის სანაპიროს შორის ბრუნავდა წრიულად, გიბრალტარის სრუტესა და ჩრდილო ამერიკის შუა მდებარე მატერიკის გაუჩინარების შემდეგ თავისი წყალი არქტიკისკენ მიუშვია. ამ ჰიპოთეზის სასარგებლოდ ის ფაქტი მეტყველებს, რომ ატლანტის ოკეანის ფსკერი სეისმურ რაიონებს განეკუთვნება და გეოფიზიკოსთაგან ახლაც თავსამტერევე ამოცანად მიჩნეული ადგილია.

ოლონდ „სეისმური“ კატასტროფის თეორია იმას კი ველარ ხსნის, ჩრდილო აზიაში რალატომ დაიწია იმ ხანაში ტემპერატურამ.

დედამიწის ღერძის მდებარეობის შეცვლა (ესე იგი ის თვალსაზრისი, რომელიც შესაძლოს გახდიდა ერთსა და იმავე დროს ევროპასა და ამერიკაში დათბობა, ხოლო ციმბირში აცივება ახსნილიყო) მიწისძვრის შედეგად ვერ დაისახება. 1906-1907 წლებში გეოფიზიკოსებმა ჰეიფორდმა და ბოლდუინმა გაიანგარიშეს სიდიდე ჩრდილოეთის პოლუსის გადაადგილებისა მას შემდეგ, რაც ერთი უდიდეს მიწისძვრათაგანი მოხდა 1906 წლის 18 აპრილს, როდესაც დედამიწის ქერქის ნაწილმა (40 000 კმ² სავრცის და 118 კმ სისქისამ) 3 მეტრით მოინაცვლა ადგილი. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ პოლუსის მდგომარეობა მაშინ 2 მილიმეტრით შეცვლილა. დედამიწის ღერძმა 30°-ით რომ გადაინაცვლოს, როგორც ამას ვარაუდობს სხვა კოსმოსურ სხეულთან დედამიწის შეჯახების ჰიპოთეზა, მოქმედი ძალა 1 500 000 000-ჯერ მეტი უნდა იყოს.

ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ „ასტეროიდ A-ს კოსმოსური მუხტი“ იმაზე 1000-ჯერ მეტ ენერგიას შეიცავდა სულ, რაც კალიფორნიაში მომხდარი ხსენებული მიწისძვრის დროს გამოთავისუფლებულა; მაგრამ ციური სხეულის დედამიწასთან შეჯახების შედეგები მართო ამ მონაცემთა საფუძველზე ვერ შეფასდება. აქ ზემოქმედი ძალის მიმართულებაც ასრულებს დიდ როლს.

„მთვარის მიტაცების“ თეორია ასტრონომიის თვალსაზრისით დაუჭერებელი რამ არაა. გარნა მეცნიერებას დღემდე არ დაუდასტურებია იგი. იქნებ ამ მხრივ რაიმე შეგვემატოს ჩვენი თანამგზავრის უჩინარი მხარის გამოკვლევამ, რაც ამ უკანას-

კნელ ხანს დაიწყო... მანამდე კი იმას უნდა დავსჯერდეთ, რომ ეს ჰიპოთეზა შესაძლოს ხდის პროსელენიდების მითი აიხსნას:

ეს თეორია ტიაპუანაკოს კალენდარსა და ტიტიაკას ტბის სანაპირო ხაზის შეცვლასაც ჩინებულად ხსნის. ამის სასარგებლოდ ხსენებული კალენდარი მეტყველებს. მაშინ ისიც უნდა დაგვეშვა, რომ ეს კალენდარი „წინა მთვარის“ დროინდელია, იმ თანამგზავრის დროინდელი, რომელიც, ამ თეორიის თანახმად, სულ ცოტა, 200 000 წლის წინათ ჩამოვარდნილა დედამიწაზე. მართლაც რომ მსოფლიოში უძველესი კალენდარი გამოგვივიდოდა! ოღონდ ავტორი თავს იკავებს იმისგან, რომ ეს ძალზე გაბედული თეორია დაუსახოს სარწმუნოდ მკითხველს, რადგან ავტორს წუთითაც არ ავიწყდება იუნესკოს საერთაშორისო კონფერენციის გაფრთხილება, ამ წიგნის დასაწყისში მოტანილი.

ტიტიაკას ტბის სანაპირო ხაზის საიდუმლოს რაც წეხება, საკმარისია გავიხსენოთ, რომ „ასტეროიდ A-სთან“ (მუკის მიხედვით) ან კიდევ კომეტა პალეასთან (კამენსკის მიხედვით) შეჯახებას ბრუნვის ღერძისადმი დედამიწის გადაადგილება უნდა გამოეწვია. ამის შედეგად დედამიწის ეკვატორის მდებარეობაცა და გეოგრაფიული კოორდინატებიც შეიცვლებოდა. დღესდღეობით ტიტიაკას ტბა 16 გრადუსზე მდებარეობს ეკვატორის სამხრეთით. გამყინვარების პერიოდში ეს ტბა (ხსენებული თეორიის მიხედვით) ჩრდილოეთის ნახევარსფეროში იქნებოდა გეოგრაფიული განედის დაახლოებით 14 გრადუსზე — სხვაობა 30 გრადუსს შეადგენს. ალბათ აუცილებელი აღარაა იმის დაწვრილებით დასაბუთება, რომ ამ შემთხვევაში ვერტიკალის მიმართულებაც და, მაშასადამე, ოდინდელთან მიმართებით წყლის დონის დახრილობაც უნდა შეცვლილიყო.

ხსენებული სამი თეორიიდან ყველაზე მარჯვე დედამიწისა და კოსმოსური სხეულის შეჯახების თეორია ჩანს. ოღონდ ამ თეორიასაც აქვს სუსტი მხარე.

მუკის „ასტეროიდი A“ ცაში ვერსად მოიძებნება. ასე რომ ეს თეორია, რომელიც, მართალია, გამყინვარების პერიოდის დამთავრებასაც ხსნის და პლატონისეული ატლანტისის გაუჩინარების შესაძლებლობასაც, ასტრონომიული თვალსაზრისით

ვერაა დასაბუთებული, თუმცაღა სარწმუნო კია. ბონევის ჰიპოთეზის გამოც იგივე გვეთქმის.

კომეტა ჰალეას საქმეც ასეა სწორედ. ეს კომეტა 76 წელიწადში ერთხელ გამონათდებოდა ხოლმე ჩვენს ცაზე და საუკუნეთა განმავლობაში თავზარს სცემდა კაცთა მოდგმას. მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა იმის დამტკიცება, რომ ატლანტისის დაღუპვის დროს ჰალეა დედამიწას ისე მოახლოებოდა, კაცობრიობის საგრძნობი ნაწილი მოეშთო.

შემდგომი კვლევა-ძიება უეჭველად დაგვანახვებს — შესაძლოა თუ არა ეს ამბავი ისეთ თემებს მიეკუთვნოს, „რომელთა გადაწყვეტა ცოტად თუ ბევრად ახლო მომავლის“ საქმედ ისახება.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

მითებისეული ატლანტისი

თავი პირველი — ატლანტისი პლატონის შრომებში	15
თავი მეორე — ეს რომ იხილა ღმერთთა ღმერთთა ზეესმა თქვა: „აღვხოცო კაცი პირისაგან ქვეყნისა“	54
თავი მესამე — ღმერთები და მათნი თვისტომნი	71
თავი მეოთხე — კლასიკურ თქმულებათა გამოძახილნი	91
თავი მეხუთე — აწალი ქვეყნის ლეგენდები	110
თავი შეექვსე — ოკეანეთისა და აფრიკის ზალხთა მითები	140
თავი მეშვიდე — პიპერბორეელთა მითები	147
თავი მერვე — საონო ჰაპისა და ოინბაზი შეილიშვილის ამბავი	158

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ა

ატლანტისი და გეოგრაფია

თავი პირველი — ვინც ამ წყაროს წყალს იგემებს, სიცილით მოკვდება	173
თავი მეორე — მიწა, რომელსაც კემმარიტო და სრული მატერიაკი შეიძლება ეწოდოს	191
თავი მესამე — ჩაძირული მატერიაკი ამომზევრდება ოკეანის ზეირთთაგან	201
თავი მეოთხე — პირამიდები და ციფრების მისტიკა	216
თავი მეხუთე — მზის შვილთა მიმოსვლა	230
თავი შეექვსე — მზის შვილიშვილთა საცხოვრისი	238
თავი მეშვიდე — გუანჩების წარმოშობის საიღუმლო	254

З а й д л е რ Л ю д в и კ

А Т Л А Н Т И Д А

(На грузинском языке)

Детиздат Грузинской ССР

«Накадули», Тбилиси, 1972 г.

რედაქტორი ც. ცერცვაძე, მხატვარი ჯ. ლოლუა,
მხატვრ. რედაქტორი გ. ლლონტი, ტექრედაქტო-
რი ბ. ასათიანი, კონტროლიორ-კორექტორი
მ. კალანდარიშვილი, კორექტორი თ. ენდელაძე.
გამომშები ც. ხაზაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/IX-71 წ. ქალა-
დის ზომა 84×108¹/_{ვე}, ნაბეჭდი თაბახი 19,57,
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,63.
შეკვ. № 2230 ტირაჟი 10.000 ფასი 1 მან. 18 კაბ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, მარჯა-
ნიშვილის ქ. № 5

Издательство «Накадули», Тбилиси. Мар-
джанншвили № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვით.
სტატეის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლი-
გრაფმრეწველობის სტამბა № 2, „ნაკადული“.

ფურცელაძის ქ. № 5

Типография № 2, «Накадули», Главполи-
графпрома Государственного Комитета Со-
вета Министров Грузинской ССР по печати,
Тбилиси, Пурцеладзе, 5